

K 86.462  
3



ქართული  
ერებული  
მუზეუმის

3. 252330

639.1  
საქართველო  
სიმამკინობის  
მუზეუმი



# პონდიშვილის პოვონებანი

K 86.462  
3

პონდიშვილის პოვონებანი



სახელმწიფო გამოცემალობა  
„საბჭოთა საქართველო“

თბილისი

1959

## მ. ლ. მარკოვი

(1873 — 1953)


გიორგიაშვილი ნარჩვივი

ევგენი ლევის-ძე მარკოვი დაიბადა 1873 წლის 14 ნოემბერს, ქალაქ სტავროპოლიში, პედაგოგ ლევ ლევის-ძე მარკოვის ოჯახში, რომელიც მაშინ იქ მასწავლებლობდა, ხოლო შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს მაშინდელ ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორად. ევგენი ძმის შვილია მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი პედაგოგის, მოგზაურის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ევგენი ლევის-ძე მარკოვისა, რომლის კალამისაც ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები პედაგოგიების შესახებ, განსაკუთრებით ნარკვევები კავკასიასა და ყირიმზე, აგრეთვე აღმოსავლეთში მოგზაურობაზე.

საშუალო განათლება ევგენიმ თბილისის პირველ გიმნაზიაში მიიღო, ხოლო 1896 წელს დამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნდა.

პირველად მოღვაწეობა მან ათხაზეთში დაიწყო, სადაც ოლქის გადასახადთა ინსპექტორად მუშაობდა, შემდეგ ამავე თანამდებობაზე იგი სლავიანსკში გადაიყვანეს, სლავიანსკიდან ხარკოვში გადავიდა, ხოლო ხარკოვიდან თბილისს დაბრუნდა და სასოფლო-სამეურნეო ბანქში დაიწყო მუშაობა. 1918-19 წლებში უკვე 40 წლის ევგენი სასოფლო-სამეურ-

ნეო კურსებზე შედის, მაგრამ სწვადასხვა მიზეზით მან



მოახერხა ამ კურსების დამთავრება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან მან თავის სპეციალობაზე, საგადასახადო ინსპექტორობაზე, უარი განაცხადა და სასოფლო-სამეურნეო ცოდნით შეიარაღებულმა ხელი მოჰკიდა სანადირო მეურნეობის საქმის ორგანიზაციის შესწავლას. მაშინ სრულიად ახალი იყო ეს საქმე და ბევრ საინტერესო თემას მოიცავდა; მასში შედიოდა: სარეწაო-სანადირო ცხოველების ბიოლოგია, ბუნების დაცვა, კინოლოგია და სხვა მომიჯნავე დარგები.

აი, რას წერს იგი ამის შესახებ თავის ავტობიოგრაფიაში: „ხელი მოვკიდე რა ახალ, მრავალთათვის ჯერ სრულიად უცნობ საქმეს, მე წილად მხვდა ვყოფილიყავი საქართველოში ამ საქმის არა მარტო პიონერი და პროპაგანდისტი საზოგადოების ფართო მასებში და ხელმძღვანელ ამხანაგებს შორის, არამედ ხშირად მიხდებოდა მისი ორგანიზაციისა და ცხოვრებაში გატარების გზებისა და მეთოდების გამომუშავებაც“.

და, მართლაც, 1921 წლიდან მას ვხედავთ საქართველოს მონადირეთა კავშირის პირველ დამარსებელთა შორის, იგი ამ კავშირის მდივანია სამი წლის განმავლობაში. ამასთანავე საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისარიატის მონადირეთა სექციის დაარსების შემდეგ მასვე დააკისრეს მდივნობა, ხოლო ცოტა უფრო გვიან ახლად ჩამოყალიბებულ სამხედრო მონადირეთა საზოგადოების მდივნობაც. ამავე წელს იგი საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატში მიიწვიეს სანადირო და სათევზაო საქმის სპეციალისტის თანამდებობაზე. ამ წლებში მარკოვი ამზადებს ნადირობისა და თევზაობის კანონთა პროექტებს, აზუსტებს ნადირობის ბიოლოგიურ ვადებს. 1924-1926 წლებში აქტიურად თანამშრომლობს ურნალებში — „Спорт и охота в Закавказье“ და „ნადირობა“.

1924 წლიდან ლენინის სახელობის პოლიტექნიკუმის სატყეო განყოფილებაზე იგი, პირველად ამიერკავკასიაში, იწყებს ლექციების კითხვას ნადირობისმცოდნეობის შესახებ.

ე. მარკოვის ერთ-ერთ უმთავრეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინიციატივა თბილისში ზოოლოგიური პარკის ჩამოყალიბებისა, რომლის პირველი დირექტორი თვითონ იყო 1927 წლიდან 1930 წლამდე. მისი კონსულტაციითა და პროექტით უფრო გვიან ჩამოყალიბდა ზოოლოგიური პარკები ბაქოსა და ერევანში.

სამი თეული წლის განმავლობაში იგი დაუღალავად მუ-  
შაობდა თავისი საყვარელი საქმის, სანადირო მეურნეობის,  
განვითარებისათვის საბჭოთა საქართველოში. მისი სპეცია-  
ლური ნაშრომი „ამიერკავკასიის სანადირო მეურნეობა“,  
რომელიც 1934 წელს გამოვიდა ოქვესმეტი საავტორო ფორ-  
მის ჩაოდენობით, ცალკე ნაჩეკვევები ზორჯომის, ლაგოდე-  
ხისა და ზაქათალის ნაკრძალთა შესახებ, დღესაც დიდი ინ-  
ტერესით იქითხება, ხოლო პირველი მათგანი ერთადერთი  
მეცნიერულად დამუშავებული ნაშრომია ამიერკავკასიის სა-  
ნადირო ფაუნის შესახებ. ასეთი ნაყოფიერი მუშაობისათვის  
მარკოვს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის საპატიო  
სახელი პერნა მინიჭიებული.

გარდა ნარკევებისა, მის კალამს ეკუთვნის ორი დიდი რომანი — „ყვაირლის ციხე“, „შამილის შვილი“ — და მთელი ციქლი საბავშვო მოთხრობებისა ცხოველთა შესახებ.

ასზე მეტი ნარკვევი, მოთხრობა, წერილი და სხვა ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული თავისი სპეციალობის, ნახულისა და განცდილის შესახებ. „ყველა ჩემს ნაშრომში, — წერს იგი, — ცხოველთა შესახებ მოთხრობილ ამბებშიაც კი, მე ვცდილობდი ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა ფართო მასებისათვის და სამსახური გამეწია ნაღრობბისმცოდნეთა, ჩვენი სანადირო-სარეწაო ფაუნის ქომაგთა, ბუნების მეგობართა და დამცველთა მომზადებისათვის“.

წინამდებარე „მონალიზის მოგონებანი“ შეიცავს ე. მარ-

კოვის — ჩვენში სანადირო საქმის განვითარების ამ პრო-  
ნერის — ნაწერთა ერთ ნაწილს, რომლის გამოქვეყნების კულტურულ  
კულტურულ საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ე. მარკოვის მიერ აღწერილი საქართველოს ბუნება, მისი  
ადამიანები ზოგჯერ დიდოსტატთა კალმის ნამოლვაწარს არ  
ჩამოუვარდებიან, ხოლო რაც შეეხება ნადირობის სურათე-  
ბის ბუნებრივად გადმოცემას, ე. მარკოვი საუკეთესო მხატ-  
ვართა შორის უნდა იქნას მოხსენებული.

ამ წიგნში მკითხველი მრავალფეროვან მასალას იძოვის  
უმთავრესად, ჩასაკვირველია, ნადირობაშე. მოვონებათა იმ  
განკუთვილებაში, რომელიც დასათაურებულია „ნადირობი-  
სს ნახული და გავონილი“, გამოცდილი მონადირე კარგად  
გადმოგვცემს, თუ რა უნდა ისწავლოს მონადირემ, ვიდრე  
ნადირობას დაიწყებდეს.

ე. მარკოვმა ათეული წელიწადი აფხაზეთის — საქართ-  
ველოს ამ საუცხოო კუთხის — ბუნებაში გაატარა. ამ პე-  
რიოდს ეკუთვნის მისი რამდენიმე მოთხრობა უმთავრესად  
მსხვილ ნადირზე ნადირობის შესახებ. ამ მოთხრობების და-  
დებითი მხარე მარტო ის კი არ არის, რომ ავტორი შესანიშ-  
ნავად, ლამაზი ფერებით, მთელი სიღრმით გადმოგვცემს აფხა-  
ზეთის ბუნებას, არამედ ძირი, რომ იგი ასე კარგად იც-  
ნობს და ჩვენც გვაცნობს მაშინდელი აფხაზეთის ცოცხალ  
ადამიანებს, მათ ზენ-ჩვეულებას, იქ ჩასული რუსებისა და  
ქართველების დამოკიდებულებას, მათ მეგობრობას. საერთო  
ჭირსა და ლხინს.

არ არის დარჩენილი საქართველოს თითქმის ყრც ერთი  
კუთხე და შეზობელი აზერბაიჯანის საუკეთესო სანადირო  
ადგილები, რომელთა შესახებაც არ მოგვითხრობდეს სამოცი  
წლის მანძილზე ამიერკავკასიის სანადირო სანახების მუდმი-  
ვი სტუმარი — მოგონებათა ავტორი.

ამ მოთხრობებშიაც იგი მისთვის ჩვეული დაკვირვებითა  
და სიყვარულით აგვიწერს არა მარტო ნადირობის ამბებს,  
არამედ მაშინდელ ცხოვრებასა და ადამიანებსაც.

„მონადირის მოგონებათა“ პირველი წიგნის გამოცემას  
ქართულ ენაზე თვით ავტორი მოესწრო. იგი აღფრთოვანე-

ბული შეხვდა ამ საქმეს და ოცნებობდა, რომ ყველა მისი  
მოგონება ერთად გამოცემულიყო და ქართველ მკითხველ მარკო  
თავისი თვალით ენახა მისი ავტორის უსაზღვრო და უანგარო  
სიყვარული თვალისი მეორე სამშობლოსადმი — საქართველო-  
სადმი, როგორც მას თვითონ უწოდებდა მარკოვი.

ე. მარკოვი გარდაიცვალა 1953 წლის 11 დეკემბერს,  
80 წლის ასაკში. სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე მას ხე-  
ლიდან კალამი არ გაუგდია.

ამ წიგნის გამოცემის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიცაა,  
რომ ქართულ ენაზე ძალიან ცოტაა სამონადირეო ლიტერა-  
ტურა და ამ ხარვეზს იგი ნაწილობრივ მაინც შეავსებს.

ვ. ბურჯანაძე

## აპტორისაბან

მინდა, წინასწარ გავაფრთხილო ჩემი მყითხველი: წინა-  
 მდებარე წიგნში იგი ვერ ნახავს სპეციალურ რჩევა-დარი-  
 გებებსა და მითითებებს ნადირობის ოსტატობის შესახებ.  
 ვერც სანადირო ფაუნის, ცხოველთა ჩვევებისა და ჩვეულე-  
 ბათა აღწერას იპოვის.

ამ საკითხებზე დიდი ხანია არსებობს მეტად საინტერესო  
 მასალები, რასაც თავიანთი ყოველდღიური ნაყოფიერი დაკ-  
 ვირვებებით კიდევ უფრო ამდიღრებენ საბჭოთა ქვეყნის სა-  
 ხელგანთქმული მეცნიერები.

ამ საკითხზე უძვირფასესი მასალები ქვეყნდება აგრეთვე  
 ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო უურნალებსა და სპეციალისტთა  
 ცალკეულ შრომებში. ამიტომ ამ საგანზე მე რაიმე ახალი  
 მოსაზრების გამოთქმას არ ვყისრულობ.

მე სულ სხვა მიზანს ვისახავ.

ჩემი სურვილია, მყითხველს გავუზიარო ის გამოცდი-  
 ლება, რაც ათეული წლობით უშუალო დაკვირვების შედე-  
 გად მიმილია, როგორც მონადირეს, ბუნების მოყვარულსა და  
 ნატურალისტს.

აქვე მინდა დავძინო, რომ ყველაფერი ის, რაც არის  
 მოთხრობილი, სრული სინამდვილეა და ერთი წამითაც არ  
 მიცდია შემეტერადებინა. ამას ჩავდივარ წინასწარი განზრახ-  
 ვით იმისათვის, რომ შემთხვევები, რომლებსაც მე აღწერ,  
 ეკუთვნის წარსულს, თითქმის განუმეორებელია, მაგრამ ჩემი



ლრმა რწმენით, დღევანდელი მონადირისათვის ერთგულადაც გამოიყენება მაინც წარმოადგენს.

ვიმეორებ, ამ წიგნში მოთავსებულ მოთხრობებსა და ნარკვევებში აღწერილია მხოლოდ ფაქტები, დიდი ხნის დაკვირვების შედეგად დაზუსტებული, მონადირულ-საყოფაცხოვრებო ფაქტები.

მთებედავად იმისა, რომ მრავალი ამ ფაქტთაგანი დღესაც ინტერესს მოკლებული არაა, ისინი ჩვენთან ერთად, ძველ მონადირებთან ერთად, აღბათ, მალე დავიწყებას მიეცემიან. ამიტომ, როგორც მაქსიმ გორგი ამბობდა: თუ არა ჩვენ, მაშვინ უნდა აღწეროს ის, რაც ჩვენ, „გამოცდილ“ მონადირებს გვინახავს და განვიცდია ჩვენს ლამაზ ქვეყანაში?

საქართველო ორის ჩემი სამშობლო. აქ გავიზარდე, აქ გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება, აქვე მყავდნენ და დღესაც მყვანან საუკეთესო, გულითადი მეგობრები, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ნადირობაშიც. ვინ მოსთვლის, ჭაბუკობიდან მოყიდებული დღემდე რამდენი დაუვიწყარი დღეები და ღამეები გამიტარებია მათთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — მთასა და ბარში!

ჩემი ნადირობის 60 წლის განმავლობაში სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია! თითქმის ყველა რაიონში მყოლია მეგობრები. მე შესანიშნავად ვიცნობ ქართულ სოფლებს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მისი ყოფაცხოვრების ყოველ წვრილმანს.

ამიტომ მეც, როგორც ჩვენი ლამაზი ქვეყნის ერთგულ შეილს, მინდა ამ ზნე-ჩვეულებიდან გავკიცხო და უკუვაგდო უარყოფითი და მიუღებელი, მავნე და დრომოქმული, ხოლო შევაქო და ვადიდო ის, რაც ლამაზი და კარგია, რაც შესაფერისი და მისაღებია ჩვენი დიადი ეპოქისათვის...

გარდა ამისა, საბჭოთა ახალგაზრდა მონადირეები ჩემს პატარა წიგნში იპოვიან ჩემ მიერ უშუალო დაკვირვებით მიღებულ ბევრ სასაჩვებლო დასკვნას. ჩემი ახლობელი და შორეული მონადირე მეგობრები კი ამ სტრიქონების წარმოშობის ჩემთან ერთად ოცნებით ხელახლა დაუბრუნდებიან



შორეულ წარსულს, მოიგონებენ თავიანთ თავგადასაცალს, იმ ლამაზ ადგილებს, რომლებიც მათ დაუვლიათ, აწ უკვე ფრენა  
დასულ ჭაბუკობისა და ჭარმაგობის უამს...

ეს არის ჩემი სურვილი.

ამ მოსაზრებამ მომცა ერთგვარი ბიძგი იმისა, რომ მკი-  
თხველისათვის მიმეწოდებინა ეს პატარა წიგნი...

და თუ ამით ვინმეს მცირედად მაინც ვასიამოვნებ, ჩემი  
მიზანიც მიღწეული იქნება.

ვ. შარკოვი

1952 წ. აპრილი.

თბილისი.

\* \* \*

როცა საქართველოზე ვლაპარაკობთ, თვალშინ წარმოგვი-  
 დგება ჩვენი დიდი პოეტებისა და მწერლების მიერ მრავალ-  
 გზის აღწერილი წარმტაცი ქვეყანა თავისი მარად თოვლიან-  
 ყინულიანი, ცადაბჯენილი მწვერვალებით, სალ კლდეებზე  
 გრგვინვა-ხმაურით მჩქეფარე მდინარეებითა და ჩანჩქერებით,  
 უსიერი ტყეებითა და განმკურნებელი ჰავით, ხავერდოვანი  
 დაბლობებითა და ხეობებით, ზვარებითა და მთის იალაღე-  
 ბით, სიმინდისა და პურის ყანებით, ნაირ-ნაირი ხეხილის  
 ბალებითა და ჩას, ციტრუსებისა და თამბაქოს პლანტა-  
 ციებით.

საქართველო უმდიდრესი და ულამაზესი ქვეყანაა. იგი  
 წარმოადგენს ჩვენი დიდი და ვრცელი სამშობლოს — საბჭო-  
 თა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თვალ-მარგა-  
 ლიტს. იგი მდიდარია მრეწველობის გიგანტებით, ჰიდრო-  
 ელექტროსადგურებით, ფაბრიკა-ქარხნებითა და მარგანეცის,  
 ქვანახშირის, ნავთისა და სხვა საბადოებით...

ყველაფერი ეს ცნობილია არა მარტო საშოთა ქვეყნის  
 ბეღნიერი ადამიანებისათვის; ჩვენი ქვეყნის ეს დოკლათი  
 და სიმდიდრე დღეს ცნობილია მთელი მსოფლიოსათვისაც.

მიუხედავად ამისა, არის ერთი მხარე, რომელსაც ნაკლე-  
 ბად, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ იცნობს ჩვენი სა-  
 ზოგადოებრიობა. შეიძლება ბევრს ეს ეჩვენოს წვრილმანად,  
 რომელიც ყურადღების ღირსად არც კი მიიჩნიოს. ჩვენ კი,



პირიქით, ვფიქრობთ, რომ ის წარმოადგენს საბჭოთა სამსახურის  
დოებრივი და სახელმწიფო ბრივი მეურნეობის მნიშვნელო-  
ვან დარგს.

ჩეენ ვლაპარაკობთ ნადირობაზე, იმაზე, თუ რას აძლევს  
ის ჩეენს სამშობლოს.

გარდა იმისა, რომ ნადირობა მოიცავს სპორტის ყველა  
სახეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარჯვე მსრო-  
ლელ-სნაიპერების, მზეერავების, გამყოლ-მეგზურებისა და  
იმ უჩინარი პარტიზანების მომზადებაში, რომლებიც ყოველ  
წუთს მზად არიან თავი შესწირონ ჩეენს სამშობლოს, ნადი-  
რობა აცნობს და ასწავლის ადამიანს გარეული ცხოველების  
ჩვევებსა და ცხოვრებას. ეს მეცნიერული მიზნითაც აუცი-  
ლებელია. მით უფრო აუცილებელია ამისი ცოდნა მონადი-  
რებისათვის, რომლებიც ჩეენს ქვეყანას ამარავებენ საუკე-  
თესო ხარისხის ბეჭვეულით, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნა-  
წილს კი — დამატებითი სურსათით.

იმისათვის, რომ გონივრულად გამოვიყენოთ ნადირის  
დიდი მარაგი, რითაც ასე მდიდარია ჩეენი ქვეყანა, საჭიროა  
ვიცოდეთ: სად გვხვდება, რა სახისანი არიან ისინი, როგორ  
უნდა ვინადიროთ მათზე, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ  
და შემოვინახოთ ის მომავლისათვის, ვინაიდან, თუ არ იქნე-  
ბა ნადირი, ნადირობაც აღარ იქნება.

მჯერა, ჩეენში მრავლად აღმოჩნდებიან ისეთი ჭაბუკი ენ-  
თუზიასტები, რომლებიც დაინტერესდებიან ჩეენი გამოცდი-  
ლებით და მეტად სახალისო მონადირული საქმით, რომელიც  
მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში გადაიქცა მეცნიერებით შეიარა-  
ღებულ ნამდვილ სახალხო მეურნეობის საქმედ. ახლა ნადი-  
რობის უფლება აქვს ყოველ მოქალაქეს, მაგრამ ნადირი  
წარმოადგენს სახალხო დოვლათს და მისი მოკვლა ნებადარ-  
თულია მხოლოდ განსაზღვრული წესების დაცვით, ისიც  
აუცილებლად დაწესებულ ვადებში.

ასე როდი იყო მეფის დროს, როცა ნადირობა მხოლოდ  
„მაღალი წოდების“ ადამიანების პრივილეგიას წარმოადგენ-  
და, როცა ნადირობას უყურებდნენ, როგორც კერძო საკუთ-

ამიერკავკასია, განსაკუთრებით კი საქართველოს რაიონები, სხვადასხვანაირია თავისი ტოპოგრაფიით, ჰავითა და საკედის პირობებით. ასევე უნდა ითქვას ნაღირთა სამეფო-ზეც. ამ მხრივაც საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა კუ-თხებზე გაცილებით უფრო მდიდარია.

მარად თოვლიან-ყინულიანი მთების მაღალ მწვერვალებზე და მათ ძირში მრავლად გვხვდება კავკასიური შესანიშნავი ჯიხვები და ნიამორები, რომლებიც არც ერთ სხვა ქვეყანაში უკვე აღარ არის. ექვე მოუსვენრად დაძვრებიან უზარმაზარი სამ-ოთხკილოგრამიანი შურთხები — მონაცირეთა მიერ ინდაურებად წოდებული, ჯიხვების მეგობრები და ერთგული დარაჯები. მტაცებელი ცხოველის ან ადამიანის მოახლოებისას ეს ფრთხილი ფრინველები ისეთ მკვეთრ სტვენას ასტერენ ხოლმე, გეგონებათ, მთელი მთა უსტევსო. მაშინ ხელი უნდა აიღოთ ნადირობაზე: ჯიხვები უმაღვე მიიმაღვებიან. ასეთი შემთხვევის მოწმე პირადად მეც არა ერთხელ ვყოფილვა ნადირობის დროს.

ცოტა ქვემო ზონებში აქა-იქ შეგხვდებათ წვეროსანი თხებიც—ნიამრრები; უფრო ქვემოთ, ტყეების პირას—კლდეებზე ხტომისას მეტად ფრთხილი, ფეხმარტი აჩჩები, ანუ ფსიტები; აქვე მრავლად არის კავკასიური როჭო, რომელიც თავისი გარეგნობითა და ცხოვრების პირობებითაც ძალიან განსხვავდება ჩვეულებრივი რუსული როჭოსაგან.

მთისწინა ტყის მხარეს და, ნაწილობრივად დაბლობის ტყებში ცხოვრობენ: შვლები და ირმები, გარეული ღორები და დათვები, ავაზები და მგლები, მელიები და სხვ. თბილ დაბლობებში ცხოვრობს უტიფარი და, ამავე დროს, საოცრად მშიშარა ტურა. ეს საძულველი მტაცებელი დიდ უსიამოვნებასა და ზარალს აყენებს აღამიანს: იგი ინადგურებს ხოხებს, დურაჯებსა და კურდლებს.

რუსი კურდლები და უთვალავი სხვადასხვა ჯიშის ფრინ-  
ველები, ადგილობრივი და გადმოფრენილი, სათანადო აღ-  
გილებში დღემდე მრავლად გვიჩვდებიან.

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ნადირსა და ფრინველზე  
მინადირია.



თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხარბი მონადირე არასოდეს არა ვყოფილვარ და არც მქონია მიღრეკილება მომექლა ყველაფერი, რაც შემხვედებოდა: ჩემს ნადირობაში საზღაპრო ნადავლს არასოდეს არ შევუცდენივარ.

პირიქით, რაც უფრო ხანში შევედი, გავიგე, რომ მონადირისათვის უდიდესი ბედნიერებაა — არა მარტო ხოცის, არამედ თვალყური ადევნოს, შეისწავლოს, საკუთარი თვალით ნახოს ცხოველების ზნე-ჩვეულება, ჩაწვდეს მათს თავისებურ, საინტერესო ცხოვრებას.

როცა ბორჯომის ნაკრძალ ტყეში ღამით დავდიოდი და ყურს ვუგდებდი ტყის სერენადებს, დატოტვილრქებიან ირმების ყვირილს, ანუ მყვირალობას, მათი საქორწინო ზეიშის დროს, მთვარის შუქით განათებულ ოქტომბრის ღამეებში, როცა მყუდროებასა და ტყის იდუმალებას უცებ არღვევდა ხარირმების ძლიერი ხმა, რაც მომასწავებელი იყო გამრავლების უძლევები ინსტინქტისა, ჩვეულებრივად მფრთხალი ხარირმის უშიშრად, გამბედავად გაღაეცევისა, ჩემისთანა ბედნიერი ამქვეყნად არავინ მეგულებოდა. ეს დაუეიწყარ, ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე და სიცოცხლის მთელს მანძილზე უძინოფასეს მოგონებად შემრჩა.

ავიღოთ თუ გნებავთ კიზილ-აგაჩის\* ნაკრძალი — ჩვენი დიდი კაშმირის სხვადასხვა, კუთხიდან მოფრენილი, წყალში მცურავი და ჭავაბის ფრინველების ეს საზამთრო თავშესაფარი, რომლის დავიწყება ყოვლად შეუძლებელია.

აქ მინახავს ასობით ათასი სხვადასხვა ჭიშის იხვები, თეთრი და ნაცრისფერი ბატები, თოვლივით თეთრი ულამაზესი გედები და უზარამაზარი ვარხვები, მილიონობით გრძელფეხებიანი ვარდისფერი ფლამინგოები, აურაცხელი თეთრი, მწითური და ნაცრისფერი ყანჩები, შავი ყარყატები, მყვინთვები, ყველანაირი წინტალები და თოლიები... განა ყველას ჩამოთვლა შეიძლება?

\* ტბაა აზერბაიჯანში.



ვისაც თავისი თვალით არ უნახავს კიზილ-აგაჩის ნაკრძალს. ში თავმოყრილი უთვალავი ჯიშის ფრინველები, სულთანის ულამაზესი ქათმებისა და ლეგენდარული ლურჯი ფრინველების აფრენა, ვისაც თავისი ყურით არ მოუსმენია მინდვრად ლამის გასათევად გასული ბატების ღალანი, არ უნახავს ტბებსა და გუბეებში მონავარდე მელოტა, მონადირის სუფრის დამამშვენებელი, ანაზღად აფრენილი ჭოვილო და ჭყიამპო, — სპორტული ნადირობის ეს ყველაზე უკეთესი ობიექტები, — მას არც კი შეუძლია წარმოიდგინოს ის უდიდესი სიმღიდრე, რაც შეუქმნია ბუნებას და რისი ბატონ-პატრონიც ადამიანია.

გულწრფელად ვამბობ, როცა ამ ფრინველებს შევცემროდი, სროლაზე სულ არ ვფიქრობდი: მე იმითაც ბეღნიერად ვთვლიდი თავს, რომ საშუალება მომეცა მენახა და დაკვერებოდი ამ ზღაპრულ, დაუვიწყარ სურათს და, უფრო ნატურალისტად ვთვლიდი თავს, ვიდრე მონადირედ, რომელიც თითქოს მოწოდებულია, რაც შეიძლება მეტი ხოცოს ფრინველი და ნადირი.

მიუხედავად დიდი სურვილისა, არასოდეს არ მინადინია ნიამორებსა და გარეულ ცხვრებზე, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან სომხეთში; არ მინადირია არც ზოლებიან აფთარზე, რომელიც აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდება ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში; არც თურანის ვეფხზე, რომელიც დროგამოშვებით შემოვარდება ხოლმე ირანიდან ტალიშში.

სამაგიეროდ ერთხელ შემთხვევა მქონდა, მონაწილეობა მიმეტო ავაზაზე ნადირობაში, ხოლო უფრო გვიან, ღამით, ტყეში შორიდან მოვისმინე მისი მრისხანე ღმუილი. ნადირობას მაშინ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან ჩემი თანამონადირე ისე შეაშინა მისკენ წამოსული გარეული, ფართოხალებიანი კატის შეხედვამ, რომ ლეოპარდისათვის სროლაც კი ვეღარ მოახერხა.

კავკასიაში ავაზები იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან აქა-იქ; ჭარეკობაში კი ჩემმა ამხანაგმა მოჰკლა ავაზა მცხეთის ახლოს, თითქმის იმ ადგილებში, სადაც ამეამად მა-

ლალ კლდეზე წამომდგარა რუსი პოეტის — მ. ლერმონოვის ვის მიერ „მწირში“ აღწერილი ჯერის მონასტერი.

მე არ მინადირია ზოგიერთ სხვა ცხოველზეც, მაგრამ ეს გავაკეთე სრულიად შეგნებულად, თითქმის ერთგვარი „სენ-ტიმენტალური“ მოსაზრებით.

შელებზე პირველი ნადირობის დროს სასიკვდილოდ დავჭერი ნუკრი. როცა მივირბინე მასთან, რათა ზელახლა დამეხალა თოფი და მომეკლა, ისე საცოდავად, ისე გულ-შემზარავად, ისე სასოწარკვეთით ყვიროდა და ისეთი საყვე-დურით სავსე თვალებით შემომაცქერდა, რომ ნამდვილ მკვლელად ვიგრძენი თავი. მას შემდეგ შველისათვის არა-სოდეს მისროლია.

არც ირმებისათვის მისროლია თოფი, არ მქონია შემთხვევა ძირს დამეცა ტყის ეს ულამაზესი ქმნილება, რომელიც დაჭრის შემთხვევაში ისე ნაღვლიანად, ისე საყვედურითა და ცრემლით სავსე თვალებით მიაცქერდება ხოლმე ადამიანს, როგორც ეს იცის უწყინარმა შველმა. დაბოლოს, პირველმა გედმა, რომელიც მე მოვკალი აფხაზეთში ტბა „ინჯიტზე“, გული საოცრად ამიჩუყა სიყვდილის წინა წუთებში თავისი „სიმღერით“. ამ სიმღერაში იმდენი საშინელება გამოსჭვივოდა, იმდენი შიში, ვედრება და მუდარა შევიგრძენი მასში, რომ მას შემდეგ გედებისათვის თოფი არ დამიმიზნებია.

სხვა ყველა ნადირსა და ფრინველს გულდამშვიდებით, წარბშეუხრელად გვლავდი. ისე გულცივი ვიყავი სხვა ფრინველებზე ნადირობისას, რომ თვით კავბის ნაღვლიან დიდრონ თვალებში ჩახედვაც კი არ მაშტოთებდა, მაგრამ შველი, ირემი და გედი კი არასოდეს მომიკლავს: ეს არ შემეძლო.

შესაძლებელია ეს მოხდა იმიტომ, რომ დაჭრილი ცხოველების განწირული ხმები ჩემზე ძალზე შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა, ხოლო ის ცხოველები, რომლებიც უხმოდ კვდებოდნენ, ვერ იწვევდნენ ჩემში ამ გრძნობას.

ათი წლის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ ვნადირობდი აფხაზეთში, მთავარ მთაგრეხილზე, ვხოცავდი ჯიხვებს, არჩევებსა და დათვებს, რომლებიც ჩემს დროს მრავლად გვხვდებოდნენ იქ.



ნადირობის ყველა სახეობათა შორის, რა თქმა უნდა მოგვიანებული მთაში ნადირობაა ყველაზე საინტერესო, ამაღლვებელი, მრავალმხრივი და, იმავე დროს, ძნელიც. ამისათვის საჭიროა კარგად შეგვეძლოს მთაში სიარული, ვიცოდეთ მისი წესები, გქონდეს მაგარი გული, არ გეშინოდეს თავბრუდახვევის, მზად იყო იმისათვის, რომ მყინვარის ძირში მთელი ღამე ფეხზე გაათიო, თბებოდე მხოლოდ წინ და უკან სიტბილით, ან ადგილზე ფეხების ბაჟუნით, შეგვეძლოს მხეცთან ფრთხილად ახლოს მიპარეა, ორიენტაციის კარგად აღება და, რაც მთავარია, ზუსტი სროლა. ყოველივე ეს ადვილი საქმე როდია.

უნდა წარმოიდგინოთ, რა ბეღნიერია მონადირე მაშინ, როცა მონდომებული შრომისა და მტკიცე ენერგიის შედეგად, ერთი გასროლით წამოაგორებს ნადავლს: ჩქებით დამშვენებულ ჯიხეს, ფეხმარდ არჩეს, ან მურა დათვეს! და ეს მაშინ, როცა ირგვლივ ჩამოთოვილი, თეთრად გადაპენტილი მაღალი მთების, მწვერვალების, ხეობების პანორამაა გაშლილი, რომელშიც სადღაც ქვემოთ, ორწოხებში გრგვინვა-გრიალით გადარბის ჩანჩქერი, ვერცხლისფრად ბრჭყვიალებენ ლელები, ნაკადულები, როცა ჰაერი გაელენილია ალპური ყვავილების ისეთი მსუბუქი, საამური და ტკბილი სურნელებით, რომ გგონია, თითქოს კი არ ყნოსავ მას, არამედ ხარბად სვამ, სულმოუთქმელად... ახლა სიმაღლეს არ იკითხავთ? თითქოს ცას ებგინები თავით!..

ბევრი მინადირია გარეულ ღორებზეც, თავდაპირველად საქართველოს სხვადასხვა რაიონში, მერე — აზერბაიჯანშიც.

ნადირობა მორეკვით, მთვარიან ღამეში მიპარვით ან ჩასაფრებით ერთნაირად საინტერესოა და დაუკიშყარ შთაბეჭდილებას სტოვებს. თავისი მახვილი ეშვებითა და მთელი გარეგნობით საშინელი შესახედავი გარეული ღორი სულ არაა საშიში ნადირობის დროს. მორეკვით შეშინებული ეს მოუხეშავი ნადირი პირდაპირ გარბის და ახალ თავშესაფარს ეძებს. მართალია, ამ გაქცევის დროს, თუ გზაზე გადაუდექი, მას შეუძლია ეშვები გაგრას და მაგრად დაგაზიანოს, მოგკლას კიდეც. მაგრამ გულგრილ და გამოცდილ მონადირეებს

2. ქ. მარქვა



არაფერი დაუშავდებათ. არის შემთხვევა, როცა სახურავისა  
ლოდ დაჭრილი ღორი პირდაპირ დატაკება ხოლმეტ შერო-  
ლელს, მაგრამ ამ ღროსაც, ღორის მოუხეშაობის გამო, იმის  
გამო, რომ მას ადვილად არ შეუძლია მობრუნება, მონადი-  
რეც უნდა განერიდოს გაშმაგებულ ღორს და ხიფათი თავი-  
დან აიცილოს.

ცხრა-ათფუთიანი გარეული ღორის წამოგორება სა-  
დღაც უდაბურ ტყეში განსაკუთრებული სიამოვნების მომ-  
გვრელია. მე ბევრჯერ განმიცდია ეს.

ერთხელ წითელი არმიის მებრძოლებთან ერთად ტალიშში  
გამგზავრების დროს მოვკალით 78 ღორი, მათ შორის 7 პი-  
რადად მე მოვკალი. აუწერელი იყო ჩემი სიხარული.

განსაკუთრებით საინტერესოა ნადირობა დურაჯებზე,  
რომლებსაც ვხვდებით აზერბაიჯანში, ნაწილობრივად კი ჩეენ-  
შიც — საქართველოშიც. დურაჯი გნოლზე ცოტა დიდია. მა-  
მალ დურაჯს აქვს არაჩერეულებრივად ლამაზი, მზეზე მბრწყი-  
ნავი ბუმბული, რომელშიც ჭარბობს შავ ფერზე დაყრილი  
ვერცხლის თეთრი წინუქლები და წვრილ-წვრილად გავლე-  
ბული უანგიან-ყავისფერი ზოლები. დედალი დურაჯი უბრა-  
ლო მორუხო-მოყავისფროა.

დურაჯი ცნობილია არა მარტო თავისი განსაკუთრებით  
გემრიელი ხორცით, არამედ, როგორც შესანიშნავი სანადი-  
რო ობიექტიც.

თუ ჩეენი მონადირეები ნორმალურ წესებს არ დაარღვე-  
ვენ და განუკითხავად არ დახოცავენ მათ, ეს შესანიშნავი  
ფრინველი, რომელიც ორჯერ მრავლდება წელიწადში, ჩქარა  
გავრცელდება როგორც ამიერკავკასიის თბილ ზონაში, ისე  
სხვაგანაც, უკრაინისა და ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილებში,  
ჩრდილოეთ კავკასიასა და კავშირის სხვა თბილ ოლქებშიც,  
განსაკუთრებით კი კასპიის იქითა მხარეში.

მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერება პირდაპირ მი-  
გვითითებს ამაზე და გვავალებს გავატაროთ აუცილებელი  
ღორისძიებანი იმისათვის, რომ ჩეენი დიდი კავშირის სამხრე-  
თი ნაწილები გავამდიღროთ ამ შესანიშნავი ფრინველით.



ეჭვს გარეშეა, ჩვენი ქვეყნის შეგნებული მონადირეების აღფრთვანებით უნდა შეხვდნენ ქარსაცავი ტყის ზონების გაშენებას, რომელიც გაადიდებს ჩვენი სანადირო მამულების ფართობს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს სამშობლოში ყოველგვარი სასარგებლო ნადირისა და ფრინველის მოშენებას და მომრავლებას.

ნადირობა ხოხბებსა და კაკბებზე, გნოლებსა და კავკასიურ როჭოებზე, კურდლებსა და იხვებზე, ბატებსა და შუპრებზე, აგრეთვე სხვა მრავალი ჯიშის ფრინველებზე — მაძლევდა იმის საშუალებას, რომ ბევრი და მრავალგვარი ნადირობა მეწარმოებინა.

ნადირობის დროს ბევრჯერ შემხვედრია შხამიანი გველი — გიურზაც, რომლის ნაკბენი ძალლები უმალვე იღუპებოდნენ ჩემს თვალწინ; შემხვედრია ყაჩალებიც, მათ წრეშიაც კი ცყოფილვარ. უნდა ვალიარო, რომ ხშირად ამ ყაჩალებს გაცილებით მეტი გულისხმიერება და პატიოსნება გამოუჩენიათ, ვიდრე იმდროინდელ მრავალ „მშვიდობიან“ და „ლეგალურ“ ობივატელებს.

რა თქმა უნდა, იმ დროს ნადირი მეტი იყო, მონადირეები კი გაცილებით ნაკლები, ვიდრე ახლა. ისეთ დიდ ცენტრში, როგორიცაა თბილისი, სადაც ახლა ოთხ-ხუთ ათასამდე მონადირეა, იმ დროს სამასამდე ძლივს იქნებოდა.

ჩვენს დროში მონადირეთა რაოდენობის ასე გადიდება ნუ შეაშინებს ნადირობის მოყვარულთ, ჩვენი ცხოველთა სამყაროს მეგობრებს! ჩვენ ძველებურად განუკითხავად როდი ვეკიდებით ჩვენი ქვეყნის ნადირის სიმზიდრეს. საბჭოთა ხელისუფლების ხელის შეწყობით მონადირული საქმის ენთუზიასტები და ბუნების თავგამოდებული, უანგარო დამცველები ქმედითს ზომებს ღებულობენ იმისათვის, რომ დაცული იქნას ჩვენი ქვეყნის ნადირთა და გარეულ ფრინველთა უმდიდრესი მარაგი.

უკვე შექმნილია და უდიდეს ნაყოფს იძლევიან ნაკრძალები და აღკვეთილები, სპეციალური სანადირო მეურნეობანი, საიდანაც ნადირი გადადის ახლომახლო აღვილებში.

ზოგიერთი ნადირისა და ფრინველის მოკვლის დროებით



აკრძალვამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო: კვლავ მოშენებულება  
გამრავლდა ჩვენს ქვეყანაში დაღუპვამდე მისული ციანაშე-  
რი, რომელიც ჩვენი ბეჭვეულობის თვალმარგალიტს, წარ-  
მოადგენს; დაღუპვასა და გადაშენებას გადაურჩა ჩვენი ტყეე-  
ბის გიგანტები — დომები, რომელთა ჯოგები ახლა ჯარად  
დადიან თვით მოსკოვის ახლომახლო ადგილებშიც; გადარჩე-  
ნილია წარმტაცი ფრინველები — თეთრი წეროები, რომლებ-  
საც ძველად სიამოვნებით ხოცავდნენ მარტოოდენ მისი იშ-  
ვიათი ხარისხის ბუმბულისა და ფრთის გამო; თახვები, რომ-  
ლებიც თითქმის დაღუპვამდე იყვნენ მისულნი, კვლავ შესა-  
ნიშნავად მომრავლდნენ და თანდათან კიდევ უფრო მატუ-  
ლობენ ჩვენს მიწა-წყალზე, სასტიკი დაცვის წყალობით  
კვლავ მოშენებულია ირმები, დღითი დღე მატულობენ ჯიხ-  
ვები და ნიამორები, ფსიტები და შვლები, მრავლდება დურა-  
ჭი და გრძელკუუდიანი ულამაზესი ხოხობი.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სათანა-  
დო ადგილებში უბრალო, მაგრამ ისეთ მეტად სასარგებლო  
ნადირისა და ფრინველის მოშენებას, როგორიცაა, მავალი-  
თად: კურდღელი, კაქაბი, მწყერი, სხევადასხვა ჯიშის იხვი  
და ის ცხოველები, რომლებიც მასობრივი ნადირობის სა-  
განს წარმოადგენენ და რომელთა ცხოვრებისა და კვებისა-  
თვის ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არის ყველა პირობა. უნდა  
ვიგულისხმოთ, რომ ქარსაცავი ტყეების გაშენებით კიდევ  
უფრო უკეთესი პირობები შეიქმნება მათთვის.

საჭიროა აგრეთვე სასტიკი და ქმედითი ზომები იქნას  
მიღებული მგლების, ტურების, გარეული კატებისა და სხვ.  
მტაცებელი მხეცების — ნადირის ამ დაუძინებელი მტრე-  
ბის — წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს  
ბრაკონიერებს, ანუ ისეთ მონადირეებს, რომელნიც არ იცა-  
ვენ ნადირობის წესებსა და ვადებს და რომლებიც თავიანთ  
თავსაც და ხალხსაც ჰპარავენ იმ დიდ დოვლათს, რაც ჩვენს  
ქვეყანას ასე უხვად გააჩნია.

ეს ღონისძიებანი არა მარტო შემოინახავენ ჩვენი ქვეყ-  
ნის ნადირის მდიდარ მარაგს, არამედ სანადირო მეურნეო-

პის თვალსაზრისით ჩვენს სამშობლოს მოწინავე ქვეყნად გა-  
დააქცევს მთელ მსოფლიოში.



...ვამთავრებ რა ძველი მონადირის ერთგვარ ანდერძს,  
მინდა მკითხველს მოვაგონო, რომ მე პირადად ნადირობა  
საშუალებას მაძლევდა დაკვირვებით შემესწავლა არა მარტო  
ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრება და ჩვევები, ნადირობა  
მაძლევდა არა მარტო სასიამოვნო დასვენების საშუალებას,  
არამედ ხელს მიწყობდა ღრმად გამეცნ ჩვენი ქვეყნის სხვა-  
დასხვა კუთხის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაც. მე მომისმე-  
ნია აფხაზებისა და სვანების, ლეკებისა და თუშების და სხვა  
მთიელების სიმღერები და ზღაპრები; მრავალი რამ შემიძე-  
ნია როგორც ადგილობრივ მონადირეებისაგან, ისე, საერ-  
თოდ, პატიოსანი შშრომელი ადამიანებისაგან.

ასეთია ნადირობა, თუ მას გონივრულად აწარმოებს ადა-  
მიანი, თუ მარტო ნადირისა და ფრინველის ხოცვა არ გაიტა-  
ცებს.

## სანცას უღელტეხილზე



სამ დღეს მივდიოდით სანცას უღელტეხილისაკენ მე და ჩემი მეგობარი ექიმი. ჯიხვებზე ვაპირებდით ნადირობას.

მგზავრობაში ძალიან მოვიქანეთ და ღამით ფსხუს ხეობაში შევჩერდით.

გათენდა.

ცის შორეულ პორიზონტზე მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავი კაშკაშებდა. მზე ჭერ კიდევ არ

ჩანდა, მაგრამ მისმა პირველმა სხივებმა უკვე ამოანათეს დოუს მხრიდან.

ჩვენი ცხენები მკვირცხლად მიეშურებოდნენ წინ, გზა-დაგზა მალიმალ ფრუტუნებდნენ და ადვილად მიჰყვებოდნენ აღმართებს მთებისაკენ.

საქმაოდ დიდი მანძილის გავლის შემდეგ ფოთლოვანი ხშირი ტყე დასრულდა, ჰაერში ტოტებგამლილი, თვალშეუდგამი ასწლოვანი სოჭების ზონა გავიარეთ და ალპურ მწვანე მინდორს მივადექით.

თურმე უკვე დიდი კავკასიონის უღელტეხილზე ვიყავით. ვიდრე აქ ამოვიდოდით, იმდენი სწორი და დამრეცილი ფერ-დობები გადავლახეთ, იმდენი მწვანე მინდორი მოვიტოვეთ უკან, რომ ბოლოს, ჩვენს გამყოლ ჩალვადარს რომ არ ეთქვა, უღელტეხილს ვერც კი შევნიშნავდით. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, უღელტეხილი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, აქ არც არის.

სანჭას უღელტეხილი ადვილი მისაწვდომია. ის ძალით განსხვავდება ქლუხორის უღელტეხილისაგან, სადაც მწერებული ვალის ხაზი მკვეთრადაა გამოსახული. გადალახავთ თუ არა მართვა რდნავ დაქანებულ თოვლიან მთაგრეხილს, უცებ იგრძნობთ, რომ ეს არის დიდებული კავკასიონი.

ჩვენ უღელტეხილის ჩრდილოეთ კალთაზე ვიყავით. ქვებით მოხერგილ ხევებში აქა-იქ გვხვდებოდა მთის ჭაობები, რომლებიდან გამონაჟონი ყინულის წყალი ნაკადულებად მოწანეულებდა. ქვემო მხარეს თუ დააკვირდებოდით, ადვილად შეამჩნევდით დელების სათავეებს. ხოლო იმის იქით, უფრო ქვემოთ, ალპური საძოვრების გადაღმა, ყუბანის მხარეზე გადაშლილიყო უკიდეგანო მუქი ტყე, რომელიც მთების კალთებს, მწვერვალებსა და ხეობებს ფარავდა.

ჩვენ ტყის პირად შევჩერდით, საკმაოდ განიერ ხის ქოხში. ის აეშენებინათ მრეწველებს, რომლებსაც დიდი ხნის წინათ აქ აღმოჩენათ უმაღლესი ხარისხის რკინის მაღანი და განეზრახათ მისი დამუშავება.

ქოხის პირდაპირ, მწვერვალების საერთო რიგიდან წინ წამოწეულიყო რკინის მაღალი მთა, რომლის კალთებზე მრეწველებს გაეყვანათ მიხეულ-მოხეული, თითქმის საცალფეხო, მაგრამ მაინც საკმაოდ მოხერხებული ბილიკი. ჩვენც სწორედ ამ ბილიკით უნდა აესულიყავით მთაზე სანადიროდ.

ქოხში დარაჯი დაგვიხვდა.

ეს იყო ბრეგ მოხუცი — მუქთარი. ორი-სამი ხანდაზმული მეჭოგის გარდა, რომლებიც ქოხის ახლოს ჭობს მწყემსავდნენ, არავინ ჩანდა.

ახალგაზრდები სანადიროდ წასულიყვნენ.

თუმცა ჯერ მხოლოდ თორმეტი საათი იყო, მაგრამ იმ დღეს ნადირობა მაინც არ შეიძლებოდა. მუქთარიც ამ აზრისა იყო. სამაგიეროდ გვირჩია, დრო ტყუილუბრალოდ არ დაგვეკარგა და საშიოდე კილომეტრზე „წითელი ნარზანის“ დასათვალიერებლად წავსულიყავით.

— სასიამოვნო სანახავია, კმაყოფილი იქნებით! — დინგად დასძინა მუქთარმა.

ეს ნარზანი, როგორც კარგი სამკურნალო წყალი, ძველად

განთქმული იყო მთელს აფხაზეთში. წინათაც ბევრჯერ შემეტა  
ნია: იმდენი გაზი აქვს, რომ მისი ჩატანა სოხუმში ვერ გვაძლევა  
შეძლო — მავთულშემოჭერილი საცობიანი ბოთლები გრძელები  
დასკდაო.

ჩვენც ბევრი არ დავაყოვნეთ, ხურგინები იქვე დავაწყეთ,  
ცოტა შევნაყრდით, მცირე ხანს შევძლებენ და ცხენებით  
გავუდებით გზას.

სამი კილომეტრი გზა მაღე გაილია. ერთ ხანს ტყისპირს  
მივყევით, მინდვრის დასაწყისზე გავედით და ერთ ფლატეზე  
ხევში მივადექით წყაროს.

კირნარევი კლდის ფენიდან მოვარდისფრო, გაზიანი წყა-  
ლი მაჭის სიმსხო ძლიერ ნაკადად გაღმოსჩქეფდა. აქ კლდე  
მოყვითალო-მოწითალო ფერის იყო, თან უცნაურად ლაპლა-  
პებდა. იმ ადგილას, სადაც წყალი მოსჩქეფდა, კლდე საგრძ-  
ნობლად გამოწეული იყო. თურმე დროთა განმავლობაში  
კირნარევი ფენები ერთმანეთს ედებოდა, კლდე იზრდებოდა  
და წინ მიიწევდა. ხოლო იქ, სადაც ნაკადი ეცემოდა, გაჩე-  
ნილიყო ბუნებრივი ღრმა აუზი, რომელშიაც სამკურნალოდ  
ჩამოსული ავადმყოფები ბანაობდნენ ხოლმე.

ნარზანი სასიამოვნო დასალევი იყო. ის არაფრით ჩამო-  
უვარდებოდა კისლოვიდსკის სახელგანთქმულ წყლებს, მაგ-  
რამ უანგის ძლიერი გემო დაპკრავდა და ყინულივით ცივი  
იყო.

როცა ჩვენ მივედით, წყაროსთან მარტო იჯდა მომცრო  
ტანის კაფანდარა კაცი და იმ წყალს ჭიქით ზედიზედ სვამდა.

— აქ რას აკეთებთ? — შევეკითხე მას მიახლოვებისთანავე.

— ვმკურნალობ.

— დიდი ხანია?

— არა, დღეს დილით ამოვედი სოხუმიდან.

— დიდხანს დარჩებით?

— საღამოს უკან უნდა დავბრუნდე.

— ეს რა მკურნალობაა, ერთი დღის განმავლობაში?

— რა ვქნა, მეტი დრო არა მაქვს. ხოლო იმისათვის, რომ  
სრულიად განვიკურნო, როგორც გამოცდილმა აღამიანებმა  
მირჩიეს, ასი ჭიქა წყალი უნდა დავლიო.

— ასი ჭიქა? — გავიკვირვე მე.

— ჰო, ასი! დილიდან დავიწყე, ოცდახუთმეტი ჭიქა უკრ  
დავლიყ. საღამომდე რასაც მოვასწრებ, ის იქნება...

მე გამავკვირვა ამ კაცის ნათქვამში. ხუმრობა საქმეა ერთ  
დღეში, დილიდან საღამომდე, ასი ჭიქა გაზიანი წყლის და-  
ლევა? ჭეშმარიტად უდიდესი სამკურნალო თვისება უნდა  
ჰქონოდა იმ წყალს, თუ ასეთი უგუნური მკურნალობის შე-  
დეგად უმალვე არ ისტუმრებდა ადამიანებს საიქიოში.

კიდევ ბევრი რამ მინდოდა გამომეკითხა იმ კაცისათვის,  
მაგრამ უცებ წყაროდან ასიოდე ნაბიჯზე შევნიშნე ერთა  
ჩემი ძველი ნაცნობი იფხაზი — მურზაყან არცბა, ისიც სო-  
ხუმიდან ამოსულიყო. უმალვე მისკენ გავექანე. მივუახლოვ-  
დი თუ არა, შევცბი: მიწაზე გაფენილ ნაბაღზე იწვა ხილა-  
ბანდით თავწაკრული ქალი. მურზაყანი მახლობლად იდგა  
და გარეული თხილის შეფოთლილ ტოტებს ჩეხდა ხანჭლით,  
თურმე სახელდახელო კარვის გაკეთებას აპირებდა.

— მეუღლე ჩამოვიყვანე სამკურნალოდ. დღეში ორი აბა-  
ზანა უნდა მივაღებინო, — მითხრა მან.

— მერე ეს ეყოფა?

— სრულიად საქმარისია. — მითხრა მურზაყანმა ისეთი  
დაგერებით, რომ ეჭვის მიტანაც კი უხერხული იყო.

მე არაფერი მითქვამს.

ჩემმა მეგობარმა ექიმმა, რომელიც თან მახლდა და შო-  
რიახლო ყურს უგდებდა ჩვენს საუბარს, მხრები აიჩეჩა, გაი-  
ღიმა და პირი იბრუნა. როგორც შევატყვე, მას მოჟორილ ზღა-  
პრად ეჩვენა მურზაყანის ნათქვამი...

მერე სხვა საუბარი წამოვიწყეთ.

წინათ ჭიქები და არჩევები თურმე ჯარად ჩამოდიოდნენ  
მთებიდან ამ წყლის დასალევად... მაგრამ ეს იყო წინათ,  
დიდი ხნის წინათ, როცა ამ ადგილებს ადამიანი არ ეტანე-  
ბოდა. მაშინ ნადირიც ლალად გრძნობდა თავს ამ უდაბურ  
ტყეებში. ახლა კი, როცა მეჭოგევებიც მომრავლდნენ, როცა  
მონადირეებმაც ყოველი ბილიკი და ხის ძირი შემოიარეს,  
ნადირიც დაფრთხა... ახლა ათასში ერთხელ მხოლოდ ძალიან  
გამშედავი არჩევები თუ გადმოირჩენენ ხოლმე, ისიც გან-

თიადისას! არჩევები უფრო ფრთხილობენ, ისინი წყაროზე  
მოდიან მხოლოდ შემოდგომაზე, როცა ჯოგებს გაფიქტურების  
საძოვრებიდან, როცა ადამიანები წავლენ, ძაღლების ყეფა  
და თოფის ხმა მიწყდება...

ქოხის წინ ვიჯექით კუნძხე. დაკვირვებით ვათვალიერებ-  
დი გარემოს, ფერდობსა და მწერვალს, რომელზედაც მეო-  
რე დილით უნდა ავსულიყავით სანადიროდ. თვალდაცეცე-  
ბული ვეძებდი რომელიმე ცოცხალ არსებას — ჯიხვს, არჩეს  
ან ფრინველს, მაგრამ თვალი მაინც ვერაფერს მოვკარი. მო-  
ჩანდა მხოლოდ ქვები, აქა-იქ კი მწვანე მინდვრები, უფრო  
ზემოთ კი — თვალშეუდგამი პირქუში კლდეები თოვლით გა-  
დაპენტილი მწვერვალებით.

გვერდით კი მეჭდა მუქთარი და მიყვებოდა ამბავს იქა-  
ური ნადირობის, ნადირის, მისი ჩვევებისა და იმის შესახებ,  
თუ როგორ უნდა მოქებნო და მიაგნო ნადირის კვალს.

მე გატაცებით ვუსმენდი იმ ტებილად მოსაუბრე კაცს  
და თვალმიშტერებით შევცქეროდი ზვიად მთებს.

ჩამავალი მზის სხივებმა ოქროსფრად მოავარაყა რკინის  
მთა და შორეული მწვერვალებიც. ამ დროს ერთ-ერთ კლდის  
ქიმზე გამოჩნდა ადამიანის სილუეტი. იგი შეჩერდა, მერე  
მხრიდან რაღაც ნანადირევი გადმოილო და რამდენჯერმე  
შესძახა:

— ოუი! ოუი! ოუიი!

მისი ხმა ხევიდან ხევში გადავიდა და სადღაც მიწყდა.  
მერე უცებ აფხაზური ტებილმოსასმენი სიმღერა წამოიწყო.  
ეტყობოდა, იგი მღეროდა მთელი ხმით, მისი სიმღერის ჰან-  
გები ჩვენამდე მკაფიოდ აღწევდა.

სწორედ იმ წუთას, როგორც კი სიმღერის პირველი ჰან-  
გები მოისმა, მწყემსებმა ქუდები და ყაბალახები იქვე დაკ-  
ყარეს. თითქოს ქარიშხალმა აიტაცაო, ისე მოსწყდნენ ადგი-  
ლიდან და გაექანენ იქით, საიდანაც ხმა მოისმოდა.

მწყემსებს ფეხიც კი არ დაუკარებით ჩვენ წინ ხევიდან



ჩამომდინარე ღელეზე. მეორე ნაპირზე გადაიქროლეს; ისთვის გზადაგზა ერთიმეორეს უსწრებდნენ და მიეშურებდნენ მთის კალთაზე თასმასავით დახვეულ ბილიკებზე. ზემოდან კი კვლავ მოისმოდა მონადირის მხედრული სიმღერა, თან ყაბალას იქნევდა ჰაერში.

მზის სხივებით მოოქრულ კლდეზე გადმომდგარი ადამიანის სილუეტმა, მისკენ სირბილით გაჭრილმა მწყებსებმა და სიმღერის ჰანგებმა ისე მომაჯადოეს, რომ არასოდეს ისეთი სიამოვნება არ მიგრძებია.

— რა ამბავია, მუქთარ? — შევეკითხე გვერდით მჯდომ აფხაზს.

— ჩვენი მონადირეა, ჭოტო ყოლბა. ყოჩალი ყმაწვილია, — მომიგო მან და უჩვეულო ნეტარების გამომსახველი თვალებით მიაცქერდა იმ მაღალ კლდეს, საიდანაც მოისმოდა სიმღერის ტკბილი ჰანგები. თან განაგრძობდა: — როცა აფხაზი ნადირს მოჰკლავს, აუცილებლად ეს სიმღერა უნდა იმღეროს. ეს წესი ძველთაგანვე მომდინარეობს. გამარჯვებული მონადირე წარმატების მინიჭებისათვის ამ სიმღერით მაღლობას უხდის ღმერთს, ადამიანებს კი მოუწოდებს, მიეშველონ და შინ მიატანინონ ნანადირევი...

\*

### დაღამდა.

ქოხში ვისხედით, კერის პირას და არჩეის გემრიელ მწვადს შევექცეოდით. ჩვენ მიერ ტიკჭორით მოტანილი ღვინით შეზარხოშებული ჭოტო ჰყვებოდა თავის თავგადასავალს. ჩვენც შევუქეთ ვაჟკაცობა, მუქთარი ალფროთვანებული იყო. ბოლოს, მეორე დღის ნაღირობის გეგმაც დავსახეთ. მე და ჩემი მეგობრები მთის რბილ, სურნელოვან თივაზე დავწექით, მაგრამ ჯიხვებსა და არჩებზე ნაღირობის ფიქრმა ისე გამიტაცა, რომ დიღხანს ვერ დავიძინე...



## ჯიხვისა ზორის

მწემ უკვე ამოანათა უღელ-  
ტეხილის გადაღმა. ჩვენ მივუა-  
ხლოვდით რეინის მთის მწვერ-  
ვალს.

აქ თავდებოდა ბილიკები.  
უცნაურად მიხვეულ-მოხვეუ-  
ლი ბილიკებით სიარული ადვი-  
ლი იყო, მაგრამ მიუჩვევლობის

გამო, იქ ასელას ერთ საათზე მეტი მოვანდომეთ, მაშინ როცა  
აფხაზები წინა დღეს რამდენიმე ჭუთში ავიდნენ.

ეს მთა, რომელიც ქვემოდან მახვილმწვერვალიანად გვი-  
ჩვენებოდა, სინამდვილეში გავაკებული აღმოჩნდა.

ალაგ-ალაგ აქ გაშლილი მინდორიც იყო და ვიწრო უღელ-  
ტეხილიც, რომელიც ამ მთს იერთებდა გვერდით ამართულ  
სხვა მწვერვალებსა და კლდეებთან. ესენი შეადგენენ უღელ-  
ტეხილის მთელ მასივს.

სამხრეთ-აღმოსავლეთით მთა უცებ ხეობაში გადადიოდა,  
რომლის იქით ამართული იყო მასზე უფრო მაღალი მთა.  
მის მწვერვალზე ციმციმებდა ყინული. კბილანებივით ამარ-  
თულ ზეიად კლდეებსა და ხეობაში ჩახერგილ ვეება ქვებს  
შორის იდო მუდმივი თოვლის ფენები. აღმოსავლეთის მხრი-  
დან თითქმის მწვერვალამდე მთა საქმაოდ დაქანებული და  
შედარებით ადვილად მისადგომი იყო. რამდენიმე აღგიღას  
მას სჭრიდა არცთუ ისე განიერი კლდეები და წვიმისაგან  
ჩამორეცხილი დაფშვნილი ფენა. ხეობის სიღრმიდან მწვერ-  
ვალისაკენ შეფენილი იყო საუკეთესო საძოვრები. სამაგიე-  
როდ ჩრდილო-დასავლეთი მხარე წარმოადგენდა ქვების გო-

როჩების მთლიან ქაოსს, კლდეების ტერასებს, კბილანებს,  
ფრიალო კლდეებს.

ამ მხარეზე არსად ჩანდა თუნდაც ერთი მწვანე მინდო-  
რიც კი.

ჩვენ ჩამოვჭექით ფრიალო კლდის ქიმზე, გარემო შევა-  
თვალიერეთ და ნადირობის გეგმაც შევიმზავეთ. ჯოტომ გვი-  
თხრა, ჯიხვები ღამით დაბლა ჩამოდიან, მთის კალთებსა და  
ხეობებში შეფენილ მინდორზე ბალახობენ, განთიადისას ისევ  
მაღლა ადიან, მთელ დღეს მწვერვალებზე ატარებენ.

ჩემი მეგობარი, ექიმი ივან ანდრეევიჩი და ორი აფხაზი  
მონადირე ხეობაში უნდა ჩავიდნენ, იქ დაშორდებიან ერთ-  
მანეთს და მინდვრის მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით  
ამოყვებიან მთას. დაახლოებით შუადღისას კლდეებზე ამოძ-  
ვრებიან და იქიდან ჩვენკენ — რკინის მთისკენ გამორეკავენ  
ჯიხვებს.

მე და ჯოტო აქ უნდა ჩავუსაფრდეთ.

ამ ამოცანის შესრულებას მოუნდება არა ნაკლები ოთხი-  
ხუთი საათი.

ჩვენი მეგობრები ღრმა ორწოხებისაკენ დაეშვნენ. ისინი  
უკვე თვალთ მიუფარნენ. ახლა ხანგამოშვებით მხოლოდ ფე-  
ხის წამოკერისაგან ძირს დაგორებული ქვის და თოფის კონ-  
დახის კლდეზე დარტყმის ხმა მოისმოდა.

ბოლოს ეს ხმებიც მიწყდა. ეტყობოდა, მონადირეები შორს  
წავიდნენ. კვლავ ჩამოდგა მთის მწვერვალების დიადი, და-  
ურლვეველი სიჩუმე. მხე აჭერს. ჩვენ ვწევართ სურნელოვან,  
რბილ ბალახზე. არსაიდან არ მოისმის არც მხეცის ხმა, არც  
ფრინველთა ურიამული, არც მწერების ბზუილი. ეჭვიც კი  
შეგვეპარა იმაში, რომ იქ ყოფილიყო რაიმე ცოცხალი არ-  
სება. შორეული ფრიალო კლდეების წინ წამოწეული ყოვე-  
ლი უმნიშვნელო ქიმი, მცირედი ჩალრმავებული ადგილი და  
ორმო მკაფიოდ მოჩანს დურბინდში. ზოგჯერ ხავსი ან ალ-  
პური ყვავილი მთელი კილომეტრიდან ისე მოჩანს, თითქოს  
ის რამდენიმე ნაბიჯზე იყოს ამოსული. მე შესანიშნავად და-

ვათვალიერე ყველაზე დაშორებული კლდეების ქიმების განვითარებისა და ფინანსურის მიმართ მოვკარი თვალი.

— ჯოტო, სად არიან შენი ჯიხვები? — ჩურჩულით ვიკითხები მეგობარს.

— აი, იქ, იმ კლდეებზე! — მომიგო მან და თითი შორი კლდეებისაკენ გაიშვირა.

ჩემი კითხვა-გამოკითხვის პასუხად იგი ჩურჩულით კვლავ თავიდან მომიყვა იმ ამბავს, თუ როგორ მოკლა წინა დღით დედალი ჯიხვი.

— განთიადიდან მოკიდებული კლდეებზე დავდიოდი, ჯიხვებს ვეძებდი, მაგრამ ამაოდ, ვერსად მივაკვლიე... უცებ ჩემ წინ, კილომეტრის მანძილზე, ჯიხვების მთელი ჯოგი გამოჩნდა და უმალვე მიიმალა. თვალი შევასწარი კლდეზე განმარტოებით მდგარ ერთადერთ ჯიხვს, ორას ნაბიჯზე მივეპარე, მაგრამ ჯიხემა იგრძნო მტრის მოახლოება, დაუსტვინა, უძირო ხრამში გადაეშვა და უმალვე ისიც თვალს მიეფარა.

უკვე მოჭანცული ვიყავი, გადავწყვიტე, იმ დღეს მეტი ალარ მენადირა, რადგან მზე უკვე საქმაოდ გადახრილიყო დასავლეთით. ბალახზე წამოვწექი.

უცებ ფლოქვების ფრთხილი ბაკუნი მოისმა, — განაგრძო ჯოტომ, — თავი ნელა ავწიე, რბილ ბალახზე წამოვიჩიქე და ისევ ჩავწექი: თხუთმეტიოდე ნაბიჯზე მოემართებოდა დედალი ჯიხვი, გვერდით კი ნუკრი მოსდევდა. ხელი შეუმჩნევლად გაცოცდა თოფისაკენ. ჯიხვი კი თანდათან სულ მიახლოედებოდა. აულელვებლად, სევ მწოლიარე მდგომარეობაში, ავიღე თოფი, გულმშვიდად დავუმიზნე და პირველი გასროლითვე მოვკალი ჯიხვი, ნუკრი კი ისე ელვის სისწრაფით გადახტა და გაიქცა, რომ ვერც კი მოვასწირი სროლა.

— ხომ შემეძლო ზედიზედ ოთხჯერ მესროლა! — მეუბნება და თან მიჩვენებს თურქული მოკლე თოფის სავაზნე კოლოფს.

— არ გენანებათ ნუკრი, ცოდვა არ არის?

— რატომ უნდა მენანებოდეს? ძალიან გემრიელი ხორცი აქვს: ის მრავლადაა ჩვენში.



უდელტეხილზე ყოველწლიურად ასობით ნუკრს კლასიკური განვითარების რაოდენობა კლებულობს. მოკლე დროში, ალბათ, ის ისეთი იშვიათი სანახავი იქნება აქ, როგორც ჯერ კიდევ შემორჩენილი ათიოდე ყუბანური დომბა. ამ შესანიშნავ ცხოველს კი კლავენ მხოლოდ სამეურნეო მოსახრებით, მხოლოდ იმისათვის, რომ ფარაში ერთი ზედმეტი ცხვარი შერჩეთ.

ჯოტომ საუბარი დაასრულა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ რბილ და სურნელოვან ბალახში ჩაწოლილმა თვლემა დაიწყო. მე კი დურბინდით ვზევერავ ამხანაგებს. ისინი უკვე გავიდნენ ხეობის გაღმა, მწვანე მინდორზე და საკმაოდ ჩქარი ნაბიჯებით, გამლით უახლოვდებოდნენ კლდეების პირველ წყებას. ოთხმა სილუეტმა უკვე გადაიარა მწვანე სივრცე. ისინი მუქ კლდეებს იქით მიიმალნენ.

სივრცეში კუშტად, უსიცოცხლოდ დაყუდებული ფრიალო კლდეები თავისებური იერით ალაპარაკდნენ. გაისმა წარმოუდგენლად ხმამაღალი, მკვეთრი და, იმავე დროს, მელოდიური სტევნა. პირველ სტევნას შეუერთდა მეორე, მესამე, მეხუთე, მეათე. ამგვარად, სულ ჩქარა მთის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს მოედო საიცრად გაბმული, უცნაური სტევნა. იგი ჰქვეთდა ჰაერს. მწვერვალების ზემოთ უკვე რიალებდნენ ფრთაგაშლილი მსხვილი ფრინველები. სტევნა, გაბმული ხმაური გუგუნებდა ხეობებში, ეხეთქებოდა ფრიალო კლდეებს, როგორც საგანგაშო საყვირის ხმა, აფორიაქებდა სულსა და გულს შიშის მომგვრელად, თითქოს რაღაც საშინელება ახლოვდებოდა.

„შურთხები!“ — გავითიქრე მე.

— შურთხები! — წამოიძახა ჩემმა მეგობარშაც. — დაიკარგა დლევანდელი ნალირობა! — გულის ტკივილით დაატანა მან, თან ნალვლიანი, გაოცებული თვალებით გახედა ცას...

თუ ადამიანს ასე აშფოთებს ამ ფრთხილი ფრინველების განგაში, თუ მე თვალდაჭყეტილი გავსცექოდი იქით, საღაც თავდავიწყებით უსტევნდნენ შურთხები, მაშინ ადვილი წარმოსალენია, როგორ მოქმედებს ეს გამაფრთხილებელი სტევნა მთების ბინადრებზე — ჯიხვებზე. მთიელები ტყუილ-



უბრალოდ როდი ჰყვებიან ლეგენდებს ჯიხვებისა და შემოსის მეგობრობის შესახებ. ამიტომ არის, რომ მათვალისწილების გების გუშაგებს“ უწოდებენ.

ეტყობოდა, ჩემი ამხანაგებიც განცვიფრებული იყვნენ ამ მოულოდნელი სტენით. ისინი შეჩერდნენ, თავი დახარეს, რომ შურთხებს არ შეენიშნათ. ჰერში გაფანტული შურთხები ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ჩქარა მიიმაღნენ რომელი-ლაც კლდის იქით. სტენა თანდათან მიწყდა.

როცა შურთხებმა ხელახლა დაუსტვინეს, ინსტიქტურად კვლავ შევათვალიერე მთელი მთა, ვცდილობდი კლდეებს შორის შემენიშნა ჯიხვები, მაგრამ ამაოდ, ვერსად შევნიშნეულებ, მხარმარცხნით, მთის დასავლეთით ვეება ქვებსა, ფრი-ალო კლდეებსა და კბილანა ტერასებს შორის თვალი მოვკა-რი. რაღაც მოძრაობას. უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვალი კი არ მოვკარი, არამედ ვიგრძენი. დურბინდში გავხედე, აშკარად დავინახე ჯიხვების მთელი ჭოგი.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე ისინი ასე ჯარად.

მონადირეები ადვილად მიხვდებიან, თუ რა აღტაცება გან-ვიცადე. სიხარულისაგან გული ამიძგერდა, თვალები ამენ-თო ამ წარმტაცი სანახაობის გამო: ოცზე მეტი ჯიხვი მშვი-დად იდგა ერთად. ისინი გასცემროდნენ იმ მხარეს, სადაც შურთხები უსტევნდნენ.

დურბინდში ყოველგვარი წვრილმანი მკაფიოდ ჩანდა.

საკვების ცოხნისას დროგამოშვებით, თითქოს ციებ-ცხე-ლება უვლიდა ტანში, ჯიხვს კუნთი ეკრუნჩხებოდა, განშე ისროდა უკანა ფეხებს, ეტყობოდა, მთებში შინაურ პირუტყვს აყოლილი ბუზი თუ კრაზანა აწუხებდა. ნუკრები კი, რომლებიც აქვე იდგნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ ჯიხვების გან-ცვიფრებას, ბავშვებივით მიამიტურად იდგნენ, ხან მივარდე-ბოდნენ დედებს, ჯიქნებზე დრუნჩს ამოჰკრავდნენ, მოსწოვ-დნენ და კუდებს გააქიცინებდნენ.

ორი-სამი დიდი ჯიხვი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი ნამგლისებური ჩქებით, ისინი დინჯად აბრუნებდნენ თავს და შევიანი თვალებით გასცემროდნენ სივრცეს. აშკა-

რად ეტყობოდა, რომ ქარი ჩვენი მხრისკენ აფრიალებდა მათ შემცირების შვერებს.

დიდხანს შევსცქეროდი ამ წარმტაც სანახაობას, რომლის შოწმე პირველად ვიყავი ჩემს სიცოცხლეში. უცებ, თითქოს უბრძანესო, მთელი ჯოგი ნელა შემობრუნდა და კლდის იქით მიიმალა. არავითარი აჩქარება, არევ-დარევა, საგანგაშო გან-წყობილება არ შეტყობია მათ. რაკი მტრის ახლო ყოფნა ცხადი გახდა, მშვიდად მიიმალნენ.

ზედიზედ გაისმა სროლა. უმალვე დურბინდით გავხედე დენითის მსუბუქ ბოლს. თვალი შევასწარი ერთ-ერთ ჩემს შეგობარს, რომელიც მინდვრის ბოლოს, კლდის პირას გარბოდა, მერე დაიხარა, უზარმაზარ ფრინველს ხელი დაავლო და ჰაერში აიტაცა.

მონადირეებმა შური იძიეს ჯიხვების გუშაგებზე.

შორს კი, მხარმარჯვნით, კვლავ თვალი მოვკარი ჯიხვებს. ისინი ღრმა ხეობიდან გამოვიდნენ და აუჩქარებლად ერთ-მანეთს ფეხდაფეხ მიჰყვნენ მწვერვალისაკენ. მე დავიწყე თვლა. ოცდაორი გამოვიდა. ამგვარად, ჯარად მიჰყვნენ ერთ-მანეთს მყინვარის ციცაბო ნაპირების გასწერივ აჩხის მწვერვალამდე; მერე უცებ წინა ფეხები გაჭიმეს, უკანა ფეხები კი შემოიკეცეს და ერთიმეორეზე ჩასრიალდნენ სწორ ყინულზე. წამის განმავლობაში, როგორც ბებერი, ისე ახალგაზრდა ჯიხვები, მთელი მყინვარის მანძილზე ძირს ჩაცურდნენ, კვლავ წამოდგნენ და სათითაოდ გაპქრნენ.

ბევრი ვეცადე, დიდხანს ვუთვალთვალე, ჩემმა შეგობარმა ჯოტომაც თავისი მახვილი თვალებით დიდხანს ათვალიერა, მაგრამ ამის შემდეგ ვეღარ შევნიშნეთ ისინი.

ჩემი ამხანაგები სადღაც ძირს ჩავიდნენ, ხეობაში. ეტყობოდა, უკვე აღარ ჰქონდათ იმისი იმედი, რომ იმ დღეს კვლავ შეხვდებოდნენ ჯიხვებს და გულში ალბათ წყევლიდნენ შურთებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს ნაღირობაში.

მე კი ჩემი ფიქრითა და გონებით სულ იმ ჯიხვების გარშემო ვტრიალებდი.

შურთხების გამო ნადირობა ჩაგვეშალა. მე და ჯოტო ვ. ე. მარქოვი.

მარტო წავედით იმ იმედით, რომ სადმე შემთხვევით წევ-  
ხვდებოდით ჯიხვებს...

დაახლოებით დილის ცხრა საათი იქნებოდა. მზე მაგრად  
აცხუნებდა. ბალაზე ცვარი უკვე გამშრალიყო. სულ ქვებსა  
და კლდეებზე მივდიოდით. აფხაზური ღრმა ქალამნები ისე  
შემომახმა ფეხებზე, ნაბიჯების მონაცვლება მიძნელდებოდა.  
სადღაც ყინულის წყალი მოვძებნე და მაში ჩავყავი ფეხები.  
გამხმარი ქალამნები თანდათან დარბილდა და უდიდესი სია-  
მოვნება ვიგრძენი. კვლავ გზას გავუდექით.

ფრიალო კლდეს მივადექით.

— წინ წადი, ფეხდაფეხ გამოგყვები, — მითხრა ჭოტომ.

მე კი წარმოდგენაც არა მქონდა, როგორ შეიძლებოდა  
სიარული, როცა გზის ნასახიც არსად ჩანდა.

— არა უშავს რა, ფეხებითა და ხელებით ჩაეჭიდე  
კლდეს, ნუ გეშინია, მე კი ზურგიდან... — გასამხნევებლად  
მეუბნება ჭოტო.

შტუცერი მხარზე გადავიგდე. ზედვე მეკიდა ჩანთა დ-  
ბოხჩაში ჩაგდებული საფანტის ლულები, რომლებსაც თან  
დავატარებდი შურთხებისთვის სასროლად.

გული ამიძგერდა, როცა ფრიალო კლდეს ავხედე და წარ-  
მოვიდგინე, თუ რა სიძნელის გადალახვა მომიხდებოდა იქ  
ასასვლელად. რა გზა მქონდა, ავყვეი, მივფორთხავ, ორივე  
ხელით ვეჭიდები ბალაზის ღრეულებს, იმავე ღროს, ცერებით  
ვეყრდნობი ოდნავ გამობურცულ ქვას, ზოგჯერ კი — კლდის  
მცირე ღრმულებს, რომლებზეც ამოსულა ეკლის მოცრო  
ბუჩქები და ფეხსვები გარეთ გამოუჩაჩხავს. წუთით ზედ ვე-  
კვრი ამ პატარა ბუჩქებს, რომ ამოვისუნთქო და კვლავ მაღ-  
ლა ავყვე. აი, ეს არის გზის უძნელესი ნაწილი — სალი  
კლდე. კელავ რომელიღაც ქვას ჩავეჭიდე, ის თანდათან ირ-  
ყვევა. მერე სულ მოირყა, სცილდება კლდეს და პირდაპირ  
მიექანება ჭოტოსკენ, რომელიც თან მომყვება ფორთხვით.  
თავს ბლივს ვიმაგრებ მეორე ხელით...

— არა უშავს რა, არა უშავს, უფრო მხნედ! — მეჩურ-  
ჩულება უკან მომყოლი ჭოტო.



„საცაა მოვწყდები! ვერაფერი ვერ გადამარჩენს, შეიტყოთ თქმა  
საც თან გავიყოლებ!“ — გამიელვა თავში.

მთელი ჩემი ნებისყოფითა და მოხერხებულობით ვეკვრი  
კლდეს, ვდღილობ, არ მოვწყდე.

უცებ წარმოუდგენელი სტენა და მოძრაობა ატყდა ჰაერ-  
ში. საშინელებით შეპყრობილი გავშეშდი, კვლავ კლდეს ვე-  
კვრი, თვალებს ვაჭყეტ.

— შურთხები! — წაიჩიურჩულა ჯოტომ.

თვითონაც მივწვდი, რომ შურთხები იყვნენ. უცებ ტანში  
ერუანტელმა დამიარა, როცა წარმოვიდგინე, თუ რა დამემა-  
რთებოდა, შურთხები რომ დაბლა ფრენით გადასულიყვნენ,  
რომელიმე მათგანი ფრთით რომ შემხებოდა, მეტი არ მინ-  
დოდა, უცებ მოვწყდებოდი ციცაბო კლდიდან და უფსკრულ-  
ში თავდაყირა გადავეშვებოდი.

ბოლოს, როგორც იყო, ამოვფორთხდით განიერი ქვის  
ტერასაზე. ჩამოვჭექით, რომ მცირე ხნით შეგვესვენა და გა-  
რემო დაგვეთვალიერებინა. მე სულ ოფლში ვიწურებოდი.  
ჯოტომ გაიცინა:

— ცუდი გზაა!

— რატომ, არა უშავს რა! — მივუგე ორჭოფულად.

— ჯიხვები! — უცებ წამჩიურჩულა ჯოტომ და თავი დავხარე.

მცირე ხნის შემდეგ ფრთხილად წამოვიწიე და ხუთასიო-  
დე ნაბიჯზე შევნიშნე პატარა მწვანე მინდორი, რომელიც  
დაახლოებით სამოც-სამოცდაათი მეტრის სიმაღლეზე მდება-  
რებოდა. ეს კლდე ულელტეხილის მხრიდან ხეობისაკენ კი-  
დელივით ჩამოჭრილი იყო, ჩვენკენ ოდნავ დაქანებული, მაგ-  
რამ მაინც მიუვალი. სწორედ ამ მწვანე მინდორზე შევნიშნე  
მორუხო-ყვითელი ლაქა, მეორე ასეთივე ლაქა ზედ მიკ-  
ვროდა კლდის ძირს. ეს იყო ბალახით მოფენილი პატარა  
მინდორი. უცებ დურბინდი მოვიმარჯვე, კარგად დავაკვირდი,  
აშეარად გავარჩიე ერთი მათგანი, რომელიც თავით ჩვენკენ  
იწვა. ეს იყო ორი-სამი წლის ჯიხვი, მეორე კი ოთხი-ხუთი  
წლისა მაინც იქნებოდა, იგი კლდესთან იდგა და თვლემდა.  
ორივეს პატარა რქები ამოსვლოდა.

მე და ჯოტო ჩურჩულით შევთანხმდით.



მთელი ეს ხევი ქვებით სავსე იყო. ამ ქვებს შორის მხო-  
ხავ კაცს უსათუოდ შენიშნავდნენ ჭიხვები. ამიტომ საჭირო  
იყო ხოხვა ფრთხილად, თოფის კონდახიც კი არ უნდა და-  
მეკარებინა ქვაზე და ხმაურობა არ გამომეწვია. ხეობაში  
მშვიდობიანად ჩავხორცი, ქვის იმოვეფარე და ფრთხილად  
გავხედე. ჭიხვი ისევ თავის აღვილას იდგა. წუთით შევისევ-  
ნე, კვლავ უხმაუროდ გავხორცი. ხეობის ყველაზე ღრმა აღ-  
ვილას მოვიხსენი ჩანთა, დურბინდი და ბოხჩებში ჩაწყობილი  
ლულები, მარტხენა ხელში შტუცერი დავიჭრე, ხოლო მარჯ-  
ვენა ხელი და ფეხები იგამუშავე, კვლავ გავხორცი.

ხევი თანდათან ვიწროვდება, მის ზემოთ არიან ჯიხვების უკვე მიზანს ვუახლოვდები, ცოტა დავწყნარდი და ჯიხვებსაც მიევეცი დაწყნარების საშუალება. თავს მაღლა ვწევ ფრთხილად. ჯიხვები იმავე ადგილს არიან. ჩვენს შორის დაახლოებით სამასი ნაბიჯია. ქედის ქიმისკენ გავხედე. ჯოტო უკვე იქ არის, იგი პარდაპირ ჯიხვებისაკენ მიღის. თუ ჯოტომ წრებე არ მოუარა და მათ უკან არ ამოჰყო თავი, ჯიხვები ჩემკენ კი არ წამოვლენ, არამედ პირდაპირ გაიქცევიან. გარემო შევათვალიერე თუ არა, დავწყნარდი. აშკარად ვხედავ, რომ მათ ზემოთ მიუდგომელი ციცაბო კლდეა, რომელზეც ჯიხვიც კი ვერასგზით ვერ ავა. ჯიხვების უკან კი უძირო ხრამია. ამიტომ, მხოლოდ ერთი გზა აქვთ. ჩემსა და უღელტეხილის ჩამოთლილ კლდეს შუა უნდა გაირჩინონ. ქვაზე ნელა ვდებ შტუცერს, რომელსაც ქვეშ ნაბდის ქუდი ამოვუფინე. სამას მეტრზე ვუმიზნებ, ჩახმახი შევაყონე და ველოდები. გული ისე მიძგერს, ლამის ბუდიდან ამოვარდეს. დაძაბული ლოდინის გამო, ხან სრულიად ვერა ვგრძნობ გულის ძეგრას, სუნთქვა მეკვრის. ხან მიტაცებს ფიქრი სანუკვარ ნადავლზე, ხან კი მეშინია დავაცილო. გადაწყვიტი, არ დავკლოთ ჯო-

ტოს, მიზანში ამოვილე ყველაზე დიდი ჯიხვი, რომელიც მის გადასახელზე დგას. ამ დროს ორი ჯიხვი ელვის სტანდარტული ფიტ გაუჩინარდა. მოისმის ჯოტოს სტვენაც, თვითონაც გამოჩნდა კლდის ქიმზე ჩემსა და ჯიხვს შუა. ვესროლე, მაგრამ დავაცილე; წყეული ჯიხვები უგზოუკვლოდ გაპქრნენ!

გაოგნებული ვდგავარ იმ კლდის წინ, საიდანაც ეს-ეს იყო გაპქრნენ ჯიხვები. კედელივით ამართულ კლდეზე ვერც ერთი გამობურცული აღგილი, ვერც ერთი ქვა ვერ შევნიშნე, რომელზედაც შეეძლოთ შეემაგრებინათ ჩლიქები ჯიხვებს. ჭეშმარიტად, კლდეებზე ხტომისა და სიარულის უდიდესი ოსტატები არიან ჯიხვები! კედელივით სწორად იყო ამართული ის კლდე, რომელზედაც ჯიხვებმა აირბინეს.

ყველაფერი ეს მოხდა ჩემს თვალშინ. სახტად დავრჩი.

გულდაწყვეტილი დავბრუნდი უკან, კვლავ იმ აღვილზე მოვედი, სადაც მე და ჯოტო დავშორდით ერთმანეთს. მალე ისიც იქ მოვიდა.

— შენ გგონია კარგად ხედავდი იმ აღგილს, სადაც ჯიხვი იდგა? წავიდეთ, ახლავე გაჩვენებ! — ლელავდა ჯოტო ჩემი საყვედურის გამო, რასაც სრულიად დაუმსახურებლად ვეუბნებოდი.

თურმე ულელტეხილი კიდევ დიდ მანძილზე გრძელდებოდა და არცთუ ისე ახლოს იყო ხეობა, სადაც მიიმაღნენ ჯიხვები. აღგილმდებარეობის ერთნაირობა არ იძლეოდა ორი-ენტაციის საშუალებას.

დიახ, მიუჩვეველი კაცისათვის ძნელია ჯიხვის მოკვლა.

## ჩიზი ჯიხევი



ლამით საგრძნობლად ციოდა,  
აკანკალებულს რამდენჯერმე გა-  
მომელვიძა, კოცონი ჩამქრალი-  
ყო, ავდექი და შეშა შევუკეთე-

დილით ჭოტომ მომასწრო აღ-  
გომა. ხელ-პირი საჩქაროდ  
დავიბანეთ, შევნაყრდით და  
გზას გავუდექით. მცირე ხანში  
მთაზე ავედით, დეკის მთლიანი  
ზონა გავიარეთ, წინ გაშლილი

მინდორი დაგვიხვდა. ერთ ხანს მივყევით ერთმანეთს. უცებ,  
თითქოს ფეხებში გაგვიძერაო, ცხვირწინ აგვითრინდა შავი როჭო.

ეს ისე უცბად მოხდა, რომ მხრიდან თოფის გადმოგდე-  
ბაც ვერ მოვასწარი. ამასობაში მინდორიც გავიარეთ, თან-  
დათან მხარმარცხნით მივყევით, გეზი მწვერვალისაკენ ავი-  
ღეთ.

რამდენიმე წუთში მაღალ კლდეზე ავედით. ჭოტომ და-  
კვირვებით შეათვალიერა გარემო დურბინდით, ბოლოს აღფრ-  
თოვანებით წამოიძახა:

— ევგენი ლვოვიჩ, გახედე! — კიდევ დააკვირდა და დურ-  
ბინდი ხელში მომცა. — აი, აი, იმ კლდის ფერდობზეა! —  
დაატანა და თითი ჩრდილო-აღმოსავლეთით გაიშვირა.

ლრმა ხევის გაღმა კედელივით ამართულ კლდესთან თვა-  
ლი მოვკარი ამწვანებულ პატარა მინდორს, საღაც მარტო  
იდგა ერთადერთი ჭიხვი.

— ვხედავ, ვხედავ! — ისე აღტაცებით წამოვიძახე, თით-  
ქოს ჭიხვისთვის ხელი ჩამევლოს რქებში.

ისევ დავაკვირდი.



ახლა უკვე ჯიხვს კი არა, მის ირგვლივ ადგილმდებარება ბას ვათვალიერებდი. დავრწმუნდი, რომ ამ პატარა გამჭვირვა დვრიდან ზემო მხარისაკენ ჯიხვს მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა.

ეს იყო მიუვალ კლდეზე წვიმით ჩამორეცხილი ნაპრალი.

ჩემი ვარაუდით თავისი მარჯვე, მჭიდრი ჩლიქებით ჯიხვს აქ თავი ძლიერ უნდა შეემაგრებინა; ტანით ნაპრალის კიდეს უნდა მიყრდნობოდა და ასე, უდიდესი სიფრთხილით გაქცეულიყო, თუ საიდანმე საფრთხე ელოდებოდა.

ჯოტო მარწმუნებდა, რომ შესაძლებელი იყო ქვემოდან მიპარვით ჯიხვთან ორმოციოდე ნაბიჯზე მიახლოება და მისი მოკვლა. მაგრამ რაყი წინადღით გამოვცადე ასეთ დაქანებულ კლდეზე ასვლის სიძნელე, არ მინდოდა ხელახლა განმეცადა ის.

დაყოვნების დრო არ იყო. გეგმა უცებ შევიმუშავეთ.

ჯოტო პირდაპირ გაემართა, მე კი შორიდან მოვლით გავსწიე იმ ადგილისაკენ, სადაც ჩეენი წინასწარი ვარაუდით უნდა გამოსულიყო ჯიხვი, მას შემდეგ, როცა იგი დაფრთხებოდა.

მე ვთხოვე ჯოტოს, ნელა და უხმაუროდ მიპყოლოდა ბილიქს. ამით საშუალება მოეცა ჩემთვის დროზე მივსულიყავი ადგილზე, ორი კილომეტრი ტყუილუბრალოდ არ მომევლო იმ კლდე-ღრეებში. არც ჯოტოს გზა იყო იოლი: ჯერ ღრმა ხევში უნდა ჩასულიყო, მერე ციცაბო კლდე გადაელახა. და, თუ პირდაპირი დამიზნებით სროლას ვერ მოახერხებდა, მიახლოების უმაღვე ჰაერში უნდა გაესროლა, ჯიხვი დაფრთხებოდა და გამოსწევდა იმ მიმართულებით, სადაც მე ჩავსაფრდებოდი.

ადგილზე დავყარეთ ჩანთები, სათადარიგო ლულები და სხვა ზედმეტი ნივთები, რომლებიც ხელს შეგვიშლიდა მარდად სიარულში. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ოფლში გხრურულმა გულის ფანცქალით ძლიერ მივაღწიე დანიშნულ დიდ ქვამდე.

ჩემს წინ, ასიოდე ნაბიჯზე, იწყებოდა ნაპრალი, რომლის ძირში იდგა ჯიხვი. ნაპრალის ზემოთ, ერთ ადგილას, ჩაღრმავებული ზედაპირი წვრილი და მსხვილი ქვებით იყო

სავსე. ეტყობოდა, აქ ჩამოდიოდა მაღალი მწვერვალიგზაზ  
გამოქანებული ნიაღვარი, მას გადაერეცხა ნაპრალი მოლოდინში  
ნაპირები და ასე გაჩენილიყო, აქ ჯიხვის ბილიკი.

დიდ ქვაზე დავდე დაკეცილი ყაბალახი, იქვე ამოვეფა-  
რე, თოლის ჩახმახი შევაყენე და სული გავნაბე მოლოდინში.  
წუთები საათებად მეჩევნებოდა:

„— ჯოტო ხომ განთქმული მსროლელია! იქნებ ერთი  
გასროლით წამოაგორა ჯიხვი! თუ ასე მოხდა, მე რიღასთვის  
ვიწვალე ამ კლდე-ლრეზე ფორთხვით? მაგრამ ვაითუ დააცი-  
ლოს, ჯიხვიც სხვა მიმართულებით გაიქცეს, მაშინ?“...

ჩემი ფიქრი ყრუ გასროლამ გაძფანტა. მერე მომეჩვენა,  
თითქოს კვლავ გაისმა სროლა — ერთი, ორი, სამი... ათი,  
სადღაც სულ ახლოს. სროლის ხმა ხევიდან-ხევში გრიალით  
გადადიოდა.

თოფი მოვიმარჯვე, მოლოდინში გავინაბე.

აი, სანუკვარი ჯიხვიც გამოჩნდა, მაგრამ არა იქ, სადაც  
მოველიდი, არამედ საგრძნობლად მხარმარცხნით, პირდაპირ  
ამართული ნაპრალებიდან ამოჰყო თავი. მერე გაბედული,  
დინგი ნახტომებით გამოვიდა ნაპრალის კიდეზე. უმალვე  
ამაყად მაღლა ასწია ლამაზრქებიანი თავი და გვერდით ჩემ-  
კენ დადგა.

ეს იყო ნანატრი შემთხვევა.

საქმიარისი იყო ჩახმახი გამომეშალა და ყველაფერი გა-  
თავდებოდა, მაგრამ უეცრად ერთმა ფიქრმა შემაჩერა: ვაი-  
თუ ჩემი ტყვიით განგმირული ეს მთების ულამაზესი არსება  
გადაიჩეხოს ხევში, საიდანაც მისი ამოტანა ყოვლად შეუძ-  
ლებელი გახდება, მაშინ? არ ვესროლე, თავი შევიკავე. წუ-  
თის შემდეგ ჯიხვი მობრუნდა და ჩეარი ნაბიჯით გამოსწია  
ჩემქენ. ვუმიზნებ, მაგრამ ისევ თავს ვიკავებ, მოხერხებულ  
წამს ველოდები, მინდა უფრო მომიახლოვდეს. უცებ მო-  
წყვეტით შეჩერდა და საოცარი ხმით დაუსტვინა. „უთუოდ  
იგრძნო, რომ ახლოს ვარ ჩასაფრებული!“ — გავითიქრე, და  
ის იყო ჩემმა თოფმაც იგრიალა. ჯიხვი იქვე ჩაიკეცა, მაგ-  
რამ უმალვე წამოფორხილდა, წინა ფეხები მიწას დაჟკრა,  
გასაქცევად წამოიწია. მეორეგერ დავახალე თოფი... სრო-

ლის ხმამ კლდიდან კლდეზე გადაიჭუხა. კვლავ ჩვეულებრივი  
შეუდროება დამკვიდრდა ირგვლივ. ჩემს წინ ეგდო ულამაზეა  
ზესი ქმნილება. მონადირეები ადვილად მიმიხვდებიან, თუ  
რა ბედნიერება იყო ეს ჩემთვის. ადვილი წარმოსადგენია  
ისიც, თუ რა სიხარული უნდა განმეცადა დასისხლიანებული  
ფეხებით ორი დღე კლდე-ლრეებზე ფორთხვისა და გულის  
ფანცქალის შემდეგ.

ჩემს დღეში არც მანამდე, არც მის მერე, არც ერთ ნა-  
ნადირებს იმდენი სიამოვნება არ მოუნიჭებია, რაც იმ ჯიხემა  
განმაცდევინა.

სიხარულისაგან ფრთხებშესხმული ერთ ხანს დავცემეროდი  
მოკლულ ჯიხვს, მერე უცებ ჯოტო მომაგონდა. და ის იყო,  
წინ გავექანე, რათა შემუტყობინებინა მისთვის ჩემი გამარჯ-  
ვება, რომ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ნაპრალის კიდეზე  
აღმოვჩნდი. გადავისხედე თუ არა, თვალთ დამიბნელდა —  
უძირო ხეობა თითქოს თავისიკენ მიზიდავდა და იდუმალი  
ხმით მეძახდა. უმალვე უკან დავიწიე...

ჩემ ზემოთ თვალისმომჭრელად ბრწყინვდა ულელტე-  
ხილის მწვერვალები, ირგვლივ ამართულიყო კლდეები, მათ  
ძირში კი, სადღაც ქვემოთ, გრგვინვით გადარბოდნენ ჩან-  
ჩქერები. უფრო იქით მოჩანდა საუკუნოები, უდაბური ტყე-  
ები და ყუბანის მდინარეთა სათავეები...

რაღაც წარმოუდგენელი სილალე ვიგრძენი. უცებ შეუც-  
ნობლად, უბრალოდ და ბუნებრივად მთელი ხმით წამოვიწყე  
სიმღერა. აფხაზური ჩვეულების მსგავსად, გმირული პათო-  
სით სავსე, უსიტყვო ჰანგებით გამოვხატავდი ჩემს აღფრთო-  
ვანებას. მელიმებოდა, თან ველური ადამიანივით სულ უფრო  
ხმამაღლა ვმღეროდი, თვით ჩემთვისაც გაუგებარ სიმღერას.

ჩემი ხმა ხევიდან ხევში გადადიოდა.

უცებ ჯოტოც გამოჩნდა შორიდან. დამინახა თუ არა,  
ჩემკენ გამოექანა...

— კარგია, ძალიან კარგი! მოხარული ვარ! — სიცილით  
მომეგება მეგობარი. — შენს სიმღერაზე მამა-პაპათა ჩვეულე-  
ბისამებრ თავდავიწყებით მოვრბოდი. ვიცოდი, რომ ჯიხვი  
უკვე მოკალი, მინდოდა ყველაზე აღრე ამომელწია შენთან  
და დაგხმარებოდი. ოლონდ ერთი რამ უნდა გახსოვდეს —

სუკი ჩემია... — ბავშვურად მოკრძალებით გაიღიშა   
და თვალები მომანათა.

— წაიღე, წაიღე! სუკი კი არა, მთელი ჭიხვი წაიღე,  
ოლონდ ლამაზი რქებით დამშვენებული თავი დამიტოვე...

კვლავ აღტაცებას ვეძლეოდი, გნეტარებდი გამარჯვებით  
გალალებული, მაგრამ ყოველივე ეს წუთიერი აღმოჩნდა...

— ოცდაათ ნაბიჯზე მივეპარე, ვერ შემამჩნია, შემეძლო  
ერთი გასროლით ძირს დამეცა, მაგრამ თავი შევიკავე... —  
განაგრძო ჭოტომ.

— რატომ? — შევეკითხე გაოცებით.

— აბა თუ მიხვდები! — ჭოტოს ღიმილი აუთამაშდა  
ტუჩებზე.

— ვერ მივხვდი, რატომ, მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ შენ ჩემი სტუმარი ხარ!

— მერე რაა, რომ სტუმარი ვარ?

— ვალდებული ვიყავი მესიამოვნებინა შენთვის. ვიცოდი,  
ამ სიამოვნებას მოგანიჭებდა ჭიხვის მოკვლა. ამიტომ ის  
უნდა მოგეკლა შენ და არა მე...

ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი პასუხი:  
არ ვიცოდი, თუ ასეთი ჩვეულება ჰქონდათ აფხაზ მონადი-  
რებს. იმ დღეს პირველად გავიგე ეს. მხურვალე მაღლობის  
გრძნობით ჩამოვართვი ხელი მეგობარს და გადავეხვიე...

\*

მე და ჭოტომ ჭიხვი გავატყავეთ, ასო-ასო ავჭერით,  
ორად შევკარით, მხარზე გავიდევით და წამოვედით იმ ად-  
გილისაკენ, სადაც ნივთები დავტოვეთ. სიმართლე უნდა  
ითქვას, მძიმე ტვირთმა ძალიან მატკინა შეუჩევეული ზურ-  
გი. ბოლოს, როგორც იყო, ჩამოვედით ქვემოთ. კარგად შე-  
ვისვენეთ და თამბაქოც გავაბოლეთ.

— ევენი, კიჩინთან წავიდეთ ლამის გასათევად, — მი-  
თხრა ჭოტომ, — აქვეა, სულ ახლოს, ტყის პირას, მალე  
ჩავალთ.

ჩემი საპალნები კვლავ ავიკიდეთ და გზას გავუდექით-  
ჩანთა, ჩემ მიერ მოკლული შურთხი, თოფის სათადარიგო



ლულები ჭოტომ გამომართვა და თვითონ აიკიდა. ჩემი მისი ტვირთი, მეტი თუ არა, ორმოცდათი კილოგრამი მანც იქნებოდა. მე კი, როგორც მთებში სიარულს მიუჩევ-ვილი კაცი, გაცილებით უფრო ნაკლები ტვირთის ტარებაც მიმძიმდა და ჭაპანშეყვეტით მივდიოდი.

დიდხანს ვიარეთ ნება-ნება. ბოლოს, როგორც იყო, მო-ეუახლოვდით მინდორს. ტყის მახლობლად კიჩინის კარავიც გამოჩნდა. დაგვინახეს თუ არა, ჭოგის ექვსი ძალი საშინე-ლი ყეფით გამოექანა ჩეენკენ. სიმართლე უნდა ითქვას, ორივეს ძალიან შეგვეშინდა: ჩეენი გამოჩენით გაბრაზებულ ძალებს იქნებ დავეგლიჭეთ კიდეც, რომ მათ კვალდაკვალ არ გამოდევნებოდნენ. მასპინძლები თავაზიანად მოგვეგებ-ნენ, ტვირთი გამოგვართვეს, თვითონ აიკიდეს, თან ჭოტო-თან სხაპასხუპით ლაპარაკით კარავში მიგვიყვანეს. ლამაზად გაკეთებული კარვის ირგვლივ ძროხები და ცხენები დადი-ოდნენ. შორს კი, ამწვანებულ ფერდობზე, ცხვარი შეფენი-ლიყო.

კარვის წინ მიწაში ჩარჭობილი ხმელი ხე იღვა. მის გა-ჩაჩრდულ ტოტებზე ეკიდა ახალგატყავებული არჩვი და ჭიხ-ვისა და არჩვის ოციოდე რქა. კარვის ისლის სახურავზე გასაშრობად ეფინა წნელებით გაჭიმული დათვის დიდი და პატარა ტყავები, ირგვლივ რძის, ყველისა და პირუტყვის სუნი იღვა.

კიჩინი ახალი დაბრუნებული იყო მუქთარისაგან. მან მითხრა:

— ჭიხვი თქვენმა მეგობრებმაც მოჰკლეს დღეს, დარწ-მუნებული არიან, რომ არც თქვენ დაბრუნდებით ხელ-ცარიელი.

მცირე ხანს თავაზიანი საუბრის შემდეგ კიჩინმა დასძინა:

— ამაღიმ მოისვენეთ, დილით ადრე მე თვითონ წაგიყ-ვანთ სანადიროდ. ეს ყველაზე საუკეთესო დროა ჭიხვზე ნადირობისათვის: ისინი ღამით საბალახოდ ჩამოდიან და გათენებამდე ისევ მთებში ბრუნდებიან.

კიჩინის ნათქვამი საინტერესო იყო, მაგრამ მე სულ სხვა რამე მიტაცებდა. ფიქრი უსიერ ტყისკენ მიშაქანებდა, იმ

ტყისკენ, სადაც, მეგობრების გადმოცემით, დაფილდები ირმის ჭოვები, სადაც შესაძლო იყო დომბსაც კი უშეჩხალა როდა კაცი. ესეც რომ არ ყოფილიყო, უდიდესი ზურქმლება მქონდა ისე მაინც გამევლო მთელი ამიერკავკასიის ამ ყველაზე საუკეთესო აღვილებში, რომელსაც თავისი სწორუბოვარი სილამაზითა და სიღიადით აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი.

მასპინძლებმა სახელდახელოდ მოამზადეს ვახშამი. წინ დაგვიდგეს გრძელი ტაბაკი, რომელზედაც ჩამოარიგეს ცხელი ღომი. ჭამის ღროს ლაპარაკობდა მხოლოდ კიჩინი, როგორც ყველაზე უფრო ხნიერი. ხანგამოშვებით მხოლოდ ჭოტო ჩაერეოდა საუბარში. დანარჩენები დუმღნენ და გულმოდგინედ შეექცეოდნენ საჭმელს.

საგულისხმოა, რომ იმ ღროს ჭერ კიდევ თვალსაჩინო იყო გვაროვნული წყობილების დამახასიათებელი გადმონაშთები აფხაზ მეჯოვეთა ურთიერთ დამოკიდებულებაში.

როცა უფროსები ისხდნენ და საუბრობდნენ, ახალგაზრდები ფეხზე იდგნენ და გაჩუმებული უსმენდნენ.

\*

კუშტად ამართულიყვნენ მომუქო-მწვანე ურთხმელის თვალშეუდგამი ხეები. მათი ტოტები ისე შეწნული და გადახლართულიყო ერთმანეთში, რომ გიგანტურ ფანჩატურს მოგაგონებდათ. ეტყობოდა, მზის სხივები ვერასოდეს ვერ აღწევდა იმ ტყეში: ნახევრად ბნელოდა. არსად ბალახის ნატამალი არ ჩანდა. ირველივ ყველაფერი მოტიტვლებული იყო, ივრძნობოდა მხოლოდ ნესტისა და სოკოს სუნი.

სამაგიეროდ, ლოდიდან ლოდზე გრგვინვით მჩქეფარე მთის მდინარეების ნაპირის გასწვრივ სულ სხვა სურათს ჭრდებოდით. მთელი არემარე დაფარული იყო კაცის სიმაღლე გვიმრითა და დუმფარათი, ათასგვარი ჭიშის ქოლგისებური ყვავილებითა და ბალახბულახით, გრძელი და ხავერდივით რბილი ხავსით, მეჩხერი ტყითა და შამბნარით.

ზღაპრული სანახავი იყო უსიერი და უდაბური ტყე! ერთი გავლით, ისიც მაშინ, როცა მთელი გულისყური ნადი-

რობისაკენ გვექონდა მიპყრობილი, შეუძლებელი იყო მასთან ერთ-  
საიდუმლოების ამოცნობა. ეს მოითხოვდა მეტ ღროს, მოთ-  
მინებასა და დაკვირვების დიდ უნარს...

ჩენ კი ამისი საშუალება არ გვექონდა.

ქვლავ წინ მივიწევდით.

„ბილიკი! დიახ, ბილიკი! ის გაუტკეპნია რქოსანი პირუ-  
ტყვის ჯოგს“! — გამიელვა თავში. მაგრამ არა, ბევრი ვიარე  
კლდე-ღრეში ათასი მიმართულებით თასმასავით დაკლაკნილი  
ბილიკებით, მაგრამ პირუტყვის ნაკვალევი მაინც ვერსად  
შევნიშნე. არა, ის არ იყო პირუტყვის მიერ გატკეპნილი  
ბილიკები...

იმ ღროს ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, ჭერ  
კიდევ გამოუცდელი, და არ შემეძლო ნაკვალევის იეროგლი-  
ფების ამოკითხვა, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ის გაეტ-  
კეპნა არა ადამიანს, არა პირუტყვს, არამედ ნადირს.

ვინ იცის იმ ნადირთა შორის იქნებ ღომბიც კი ერია —  
ვინ იცის! უკვე ლამდებოდა, როცა გზაზე გამოვედით. მცირე  
ხნის შემდეგ მხარმარჯვნით ოთვება დაიჭექა. მას მოჰყვა მეო-  
რე, მესამე. აშკარა იყო: ამხანაგები ნიშანს იძლეოდნენ...

მეგობრების მხიარულ წრეში ვიყავი. კერის პირას ოჯა-  
ლების ღვინოსა და ჩემ მიერ მოკლული ჯიხვის მწვალებს  
შევექცეოდით.

მუქთარი მეორე დღისთვის მპირდებოდა ახალ, წარმტაც  
ნადირობის მოწყობას თავის მეგობარ მაპმუდთან ერთად,  
უღელტეხილის გადაღმა, გრიბზის ხეობაში, სადაც მისი სა-  
ტყვით უთვალავი ჯიხვი იყო...

შუალამე უკვე გადასულიყო, ამ საუბარში ტკბილად ჩა-  
მეძინა...



## ძარუხზე

შემოდგომის წყნარი დღე, 19... წლის სექტემბერი. ჩემი მეგობარი, ტყისმცველი ივანე ანდრიას-ძე, მთაში სანადირიდ კიევიდან სპეციალურად ჩამოსული ნიკოლოზ ნიკოლოზისძე და მე იორდა ცხენებით სოხუმიდან გამოენისას გვედით. დილის გრილი პაერის სუნთქვა გვსიამოენებს. კარგ ხასიათზე ვართ. ვაზნები, სანოვავე და თბილი ტანსაცმელი ხურჭინებში გვიწყვია, რომლებიც მოხერხებულად არის შემოკიდებული ცხენებზე. თოფები მხარზე გვაქვს გადაკიდებული. ექვსი კილომეტრი გზა მდინარე მაჭარასძე შეუმჩნევლად გავიარეთ და ზღვის ნაპირს გამოვეთხოვთ.

აქ გზა აფხაზეთისაკენ უხვევს და მდინარის პირს მიჰყება. თვალწარმტაც ხეობაში შევდივართ. გზა შუაზე სჭრის იყვავებულ წებელდას, სადაც ასე უხვად მოდის ხილი, თამბაქო და სიმინდი და მდინარე ამტკელთან რკინის ხიდით მთავრდება. ხიდის შემდეგ იწყება სოხუმის სამხედრო ბილიკი ქლუხორის ულელტეხილისაკენ, ტებერდასა და ყუბანისაკენ. ბილიკი ტყეს მისდევს. ხან წიფლნარის ჩრდილში ჩაიმალება, ხან ისევ თავს ქარაფზე, მზის გულზე გამოჰყოფს და აქაცებულ კოდორზე ჩაუხვევს. ამ გზის პირველი უბანი ციცაბო კლდეშია გაჭრილი და გიური მდინარის ასმეტრიან ციცაბო ნაპირს მიჰყება. ბილიკი ვიწროა, მაგრამ საშიში არ არის, თუმცა ზოგჯერ კლდიდან ჩამოწოლილი ზვავი გზას

გვიღობავს. მაშინ ცხენებიდან ჩამოვდივართ და დამარტინული გავყავს ისინი სამშვიდობოზე.

აი ცნობილი ვაგათის ხიდი. აქ კოდორის კლდიანი ნაპირები ოციოდე მეტრზე დაახლოებია ერთმანეთს და წყალმრავალი მდინარე ღრიალითა და ელვის სისწრაფით გადის ამ ვიწრო კლდოვანში. უხსოვარ ღროში გაუკეთებიათ აქ მდინარე კოდორზე ერთადერთი ხიდი აფხაზებს. ამ ხიდზე გადადიოდნენ ჯოგები, გადაპქონდათ სავაჭრო საქონელი, აწარმოებდნენ საქმიან მიმოსვლას კოდორს იქითა აფხაზები სამურზაყანოსა და თავისუფალ აფხაზთა საზოგადოებებთან — წებელდასთან, დალასა და სხვა სოფლებთან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ხიდი ერთმანეთთან ვენახის ლერწმით შეკრული ორივე ნაპირიდან გადადებულ ხეებს წარმოადგენდა, რომლებზედაც გადებული იყო მოწნული ჩელტები.

ახლა ხიდი გაუუმჯობესებიათ: ფოლადის ორი მავთულია გადაჭიმული და ზედ მჭიდრო ფიცრებისაგან შეკრული იატაკი დევს. მივედით დასათვალიერებლად. როდესაც ზედ შევდექი, მარტო, უცხენოდ და ხიდმა საქანელასავით დაიწყო რყევა, მაშინ კი ვიგრძენი განსხვავება ჩემსა და იმ აფხაზის ნერვებს შორის, რომელიც ეს-ეს არის ცხენლაცხენ წელში ოდნავი რხევით გადმოვიდა ამ ხიდზე. როგორც ცირკში თოკზე მოსიარულე ჭამბაზი. შორს ამ ხიდიდან, რომელთანაც დაკავშირებულია 1877 წელს გენერალ კრავჩენკოს რაზმის ნაწილის დაღუპვა, რომელიც თურქების დესანტს გამოექცა სოხუმიდან.

დაღამდა, როდესაც პატარა სოფელ ლატს მივაღწიეთ. იგი სამოცდათხუთმეტი კილომეტრითაა დაშორებული სოხუმიდან. საგზაო სახლში ჩამოვტით და სიამოვნებით გავიშელართეთ საგზაო სამსახურის უფროსებისათვის გამზადებულ საწოლებზე.

ინათა თუ არა, უკვე ფეხზე ვიყავით. ოციოდე წლის ახალგაზრდა სვანი, სახელად ბაღრი, უკვე გველოდებოდა. იგი თავისი ოჯახით ჩამოსახლებულა აქ სვანეთიდან. დაუღალავი და, მიუხედავად ახალგაზრდობისა, უკვე ცნობილი მო-



ნადირე ჯიხვებსა და არჩევებზე, ივან ანდრეევიჩის მეგობარულ  
ბადრი, რომელმაც თითქოს ყნოსვით გაიგო ჩვენი ჩამოსულებები,  
მზად არის ჩვენთან წამოსასვლელად. საუზმედ დავსხედით  
ნადირობის გეგმა დავაწყვეთ.

როგორც ბადრი ამბობდა, ბევრი ჯიხვი იყო რუხის  
ულელტეხილზე, სადაც ჩვენ დღესვე შეგვეძლო მისვლა, ხვალ  
კი ნადირობის დაწყება. ბადრიმ, რომელიც რუსულს ცუდად  
ლაპარაკობდა, მაინც მოახერხა და აგვისნა, რომ ახლა მწყე-  
მსები აღარ არიან მთაში, მონადირეებიც ცოტანილა დარ-  
ჩნენ და ამიტომ ჯიხვები უფრო დაბლა ჩამოვიდნენ, ნადი-  
რობაც გაადგილებულია.

ამ დიდი ბავშვის თვალები ნაპერწელებს ყრიდნენ, რო-  
დესაც იგი ჩვენს შტუცერებს სინჯავდა.

— უჰ, რა კარგია... რა კარგი თოფია! — გაიძახოდა იგი.

გზა მდინარე ჩხალთას ნაპირს მისდევდა, ასწლოვანი წიფ-  
ლისა და წაბლის ტყეში, რომელიც საგსე იყო დათვებითა და  
გარეული ღორებით. აქაფებული მთის მდინარის ნაპირზე  
რამდენჯერმე შევჩერდით, რომ სხვადასხვა, ერთიმეორეზე  
უკეთესი მუავე წყალი დაგველია: აქ ხომ უდიდესი სიმდი-  
დრე გადმოჩუხნუხებს ყოველ ნაბიჯზე!

მდინარე ჩხალთას სათავეები ყინულოვან მთებშია, აქა-  
ფებული მდინარე კოდორს ერთვის.

ჩვენ ფეხით მივყვებით ჩრდილჩამოწოლილ ბილიკს. მდი-  
ნარე შორსაა, მაგრამ მისი ხმა მკაფიოდ ისმის, თითქოს მის  
ნაპირებს მიყვებოდეთ. გარშემო ტყეა. მას შემოდგომის წა-  
მოსასხამი ახურავს. განსაკუთრებით მრავალფეროვანია წი-  
ფელი: ყვითელი, ჩალისფერი, ფორთოხლისფერი და იქვე  
ალისფერი და სისხლივით წითელი ფოთლები გარს შემოხვე-  
ვიან მას. აქვეა წაბლისა და ცაცხვის მუქი ფოთლები, რო-  
მელთაც სიყვითლე შეპპარვიათ და განსაკუთრებით ლაპლა-  
პებენ, როდესაც ქარი დაუბერავთ. ფესვმავარა ძუხა ოქ-  
როსფრად ბრწყინავს, ვერცხლისფრად თრთის ვერხვი და  
შესანიშნავ დეკა თავისი ზურმუხტის ნოხი გაუშლია მიწაზე.  
აფხაზეთის ტყე შემოდგომაზე წააგავს იაპონიის ტყეს, რო-

ვტკბებით ამ მშვენიერებით და უსიტყვოდ მივაბიჯებთ.  
წინ დეკის ბუჩქებიდან რაღაც მოწითალო მხეცი გაიქცა:  
დათვი დავაფრთხეთ, რომელიც წაბლს შეექცეოდა. მხოლოდ  
მკვირცხლმა ივან ანდრეევიჩმა მოასწრო მხრიდან თოფის ჩა-  
მოლება და უვნებელი ტყვია მიაყოლა დამფრთხალ დათუ-  
ნიას.

გზა განვაგრძეთ. წინიდან ცხენის ფეხის ხმა შემოგვესმა.  
გამოჩნდა მხედარი, უკან მეორე დამარქაფებული ცხენით,  
ორივეს ბლომად ეკიდა ჭიხვების, არჩვების, ირმის ტყავები  
და რქები.

ჩვენ ერთმანეთს მიესალმეთ. შევჩერდით. მე მივჩერე-  
ბოდი კეთილშობილი ნადირის ამ ბარბაროსული გაელეტის  
შედეგს და ბოლმა ყელში მაწვებოდა. ბადრი ცხენოსან აფხა-  
ზებს გაესაუბრა. ეს თავაზი ანჩაბაძე აღმოჩნდა, თავისი მსა-  
ხურით. მთელი ეს ნანადირევი მას და მის ვაჟს ეკუთვნოდა.  
სანამ მისი ჯოგები საზაფხულო საძოვარზე სუქდებოდნენ,  
იგი ნადირობით ერთობოდა, ახალ კი შინ ბრუნდებოდა.

რამდენი ნადირი უნდა იყოს მთაში, ვფიქრობ მე, რომ  
მთელ კავკასიონის ქედზე, თითქმის ყველა მწყემსი განუ-  
კითხავად ანადგურებს მას. რა გასაკვირია, რომ ჭიხვებისა  
და არჩვების ასეული ფარები ერთეულებამდე შემცირდეს.  
ისინი დამფრთხალი დაძრწიან მიუვალ კლდეებში, მყინვა-  
რებთან და იქაც კი მოსვენება არა აქვთ დაუღალავი მთიე-  
ლი მონადირისაგან!

ჩვენ არ ვაწარმოებთ ნანადირევის აღრიცხვას. ჩვენი მთე-  
ბი და მათი ბინადარნი ჭერ კიდევ შესწავლილი არაა და არც  
შესაფერისად აღწერილი, თავის პოეტ-ნატურალისტს ელო-  
დებიან, თუ გნებავთ ისეთს, როგორიც იყო ცნობილი ჩუდი,  
რომელმაც ასეთი გატაცებითა და ლამაზად აღწერა შეეიცა-  
რის ალპები და მათი ბუნება!

თუ არ ვცდები, ჩახევიგის მოთხრობებში მთაში ნადი-  
რობის შესახებ, მოხსენებულია ყაბარდოელი მონადირე სო-  
ტავი, რომელსაც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში  
4. ვ. მარკოვი.



უთქვაშს: მთელი ჩემი ნადირობის დროს ორი ათას ხუთასზე  
მეტი არჩევი მყავს მოკლულიო. აქ დაუჭერებელი არაურისა  
რა: ჩუდი თავის წიგნში მოგვითხოვთ, რომ დიდმა ენგან-  
დილმა მონადირე კოლანიმ, რომელიც მეცხრამეტე საუკუ-  
ნის ოცდაათიან წლებში ცხოვრობდა, თავის სიცოცხლეში  
ორი ათას რვაასი არჩევი მოკლა, ხოლო ჯერ კიდევ სამოციან  
წლებში გლარნის მთების ცნობილმა მონადირეებმა: მ. ვალ-  
ხერმა — ოთხას ორმოცდათვრამეტი არჩევი, რ. ბოჩეზიმ —  
ექვსას სამოცდათხუთმეტი, ჰენრის გეიცმა და დავით ცვი-  
კიმ — ათას სამსაი თვითეულმა. და სხვა. თუ აյე დიდძალი  
ნადირი შეიძლებოდა მოეკლათ ამ ცოტა ხნის წინათ შედარე-  
ბით ცივილიზებულ შვეიცარიაში, — რაღა გასაკვირი იქნება,  
რომ ჩვენში, უკაცრიელი კავკასიონის გრძელ ქედზე, სადაც  
გაცილებით მეტია ნადირი და სადაც თვითეულ მთიელს  
ხელში თოფი უჭირავს, — უფრო ბევრი იხოცებოდეს! სამ-  
წუხაროა, რომ მისი აღრიცხვა არსად არ ხდება.

ნადირის განრავლებას ჩვენს მთებში ხელს უწყობდა ის  
გარემოებაც, რომ მთის ხალხებს შორის მუდმივი მტრობა  
სუფევდა, თითქმის შეუძლებელი იყო ნადირობა მთებში.  
საქონელიც ვერ მიღიოდა ალპურ საძოვრებზე. ფარებს მთა-  
ში იპყვა თურქული, საქონლის ჭირი, ყვავილი და სხვა ავად-  
მყოფობა, რაც ხშირად ჯირვა და არჩესაც ემართება და  
მუსრს ავლებს ნადირს. მონადირე მწყემსები კი დაუზოგა-  
ვად ხოცავენ მათ. ასეთ პირობებში ნადირის არავითარი მა-  
რავი არ იქნება საკმარისი და კავკასიის მთის ნადირის სა-  
ბოლოო განადგურების დღე არც ისე შორს არის\*.

დღის ოთხ საათზე ყავრისაგან გაეკეთებულ მოზრდილ  
ფარდულს მივადექით, რომელშიაც ყავრისა და ფიცრის და-  
მაშზადებელ მუშებს ეცხოვრათ. აქ დავიდეთ დროებითი  
ბინა.

ცხენები საბალახოდ გავუშვით, ჩვენ კი ცარიელ დიდ

\* საბედნიეროდ, ეს ჩემი სიტყვები არ გამართლდა: საბჭოთა ხელი-  
სუფლებამ სერიოზული ზომები მიიღო ჩვენი მთის ნადირის დასაცავად.  
ნაყოფი უკვე არის — ჯიხვები და არჩევები საგრძნობლად მომზადელდნენ.



დარბაზში მოვიკალათეთ. დავჭრით ტოტები, შევაგროვეთ ჩამოცვენილი ფოთოლი, გვიმრა და სულ მალე ოთხი მწყარენით რბილი საწოლი გავაკეთეთ, ზედ ნაბღები და საბნები დავაგეთ.

სალაშქრო ჩაიდანიც ადულდა, ვივახშემეთ და, დაბნელდა თუ არა, ნაღირობის შესახებ საუბრით გულმოჯერებულებმა, ლოგინებს მივაშურეთ.

როგორც კი მზე ამოიწვერა, ჩვენ ფეხით გავსწიეთ სანადირო ადგილისაკენ. ზურგზე თოფები, ვაზნები, ცოტა სანოვაგე და ნაბღები ავიყიდეთ, ვინაიდან ლამე მყინვარების ძირში უნდა გაგვეტარებინა, სადაც ცეცხლის დანთება არ შეიძლებოდა — ნადირს დავაფრთხობდით. თუ მოვასწარით, ამ საღმოსვე ჩავუჯდებით ჭიშვთა ბილიკებს, რომლებზედაც ისინი ლამით ძირს ჩამოდიან საბალახოდ და დილისათვის კი უკან, კლდეებში ბრუნდებიან.

პაღრი გვარწმუნებს, რომ სანადირო ადგილს ორ-სამ საათში მივაღწევთ, ჩვენ კი ერთი საათი მხოლოდ ტყის გავლას მოვუნდით. ბილიკი სადღაც მარჯვნივ უხვევს. მოუთმენელი ივან ანდრეევიჩი ბაღრის მივარდა, გრძელი გზა დაუწუნა და მოსთხოვა, პირდაპირი ბილიკი აერჩია და ისე გაგვძლოლოდა. ბაღრი განცვიფრებული მოვაჩერებია, ივან ანდრეევიჩმა წყრომით უბრძანა — გასწი პირდაპირი. ბაღრიმაც პირდაპირ აიღო გეზი და უგზო-უკვლოდ შეჰვევა ციცაბოს. აქ დაიწყო ჩვენი ტანჯვის საათები.

ასიოდე ნაბიჯზე ისეთ გაუვალ დეკის ბუჩქებს წავაწყდით, რომელთაც რატომლაც ყველა ტოტი, როგორც შუბები, ჩვენს წინააღმდეგ ჰქონდა მოშვერილი. ბაღრის გარდა ყველას თბილად გვეცვა. ზურგზე მოდებული თოფები და ნაბღები მალიმალ გამოშვერილ ტოტებს ედებოდა და უკან გვეწეოდა. დეკის ტოტები გვებლაუჭებოდა, ხელ-ფეხს გვიკრავდა, ფეხები ხეების ფესვებში გვეხლართებოდა, სუნთქვა აღარ გვყოფნიდა ამ შეუჩვეველი მოძრაობებისგან, ოფლი წურწურით ჩამოვედიოდა და თვალებს გვწვავდა.

დიდი წვალებით გადავლახეთ ეს გაუვალი ადგილი და, როგორც იქნა, ნაპირს გავედით, სადაც ქარაფი ტყე იყო და



აქა-იქ იდგნენ წიფლის ხეები. დასასვენებლად დაჭრიულია. პირი გვიხმება. ბადრიმ დაგვაიმედა, გზაზე წყაროებით. ჩვენი მათარები ცარიელია. ახლოს კი წყალი არსად ჩანს.

ასეთ გასაჭირს არ მოელოდა ჩვენი კიეველი სტუმარი, რომელიც შეშინებული ათვალიერებდა მიდამოს და მძიმედ სუნთქმედა. ნახევარი საათი ვისხედით. შემდეგ ისევ შეცუდექით აღმართს, ახლა უფრო ნელა მივდივართ, გაუვალმა ადგილმა არაქათი გამოგვაცალა.

გზა სულ უფრო და უფრო ციცაბო ხდება, თხემებს მივუვებით და ხეობები სულ უფრო და უფრო ღრმა უფსკრულებად იქცევიან, ერთი გადახედვაც კი სუნთქვას გვიკრავს. სულ უფრო ხშირ-ხშირად ვჩერდებით, ვისვენებთ, უფრო მივბობლავთ, ვიდრე მივდივართ, ხმას არავინ იღებს, წყურვილი გვახრჩობს, ალბური მზე აუტანლად აცხუნებს.

ბადრი კი მსუბუქად მიაბიჯებს წინ, ალელვებას არ იმჩნევს, მაგრამ ეტყობა, გულში კრულვით გვისსენიებს ასეთი მოუქნელობისათვის.

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ჩვენ კი ჯერ ქედის ვიწრო თხემს მივყვებით. უცბად ბილიკის ბოლოში კლდე აღიმართა. ბადრი პირველი მიხვდა და წინ გაიქცა. ჩვენ კი ერთ ადგილზე შევჩერდთ, ვიგრძენით, რომ კლდის გამოჩენა და ბადრის დაწინაურება რაღაც ფათერაკს ნიშნავდა. მალე ბადრი დაბრუნდა და შეწუხებული კილოთი გაგვიცხადა:

— გზა აღარ არის!

— როგორ თუ აღარ არის! — ერთხმად შეცყვირეთ სამივემ.

— ისე, აღარ არის... ივანემ მითხრა, პირდაპირ გასწიო. აი, წავედით და გზა აღარაა!..

— რაღა უნდა ვქნათ?

— აქ უნდა დავიძინოთ. — მოკლედ მოქრა ბადრიმ.

და, მართლაც, ჩვენ ღამე აქ გავატარეთ, აქ ამ ვიშრო თხემზე. არ გვეძინა, საშინელი იყო ეს ღამე, დაწოლაც ვერ მოვახერხეთ. შეუძლებელი იყო არა მარტო ზევით ასვლა, არამედ დაღამებამდე ქვევით ჩამოსვლაც კი.

მე და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ თხემზე ოდნავ ფართო



ადგილი ვიპოვეთ, ნაბადი გავშალეთ, ერთმანეთს ღვედებით  
გადავებით, რომ უფსკრულში არ გადავცენილიყავით, ასუფითხოვა  
სკრულში, რომელიც ორივე მხარეს აღმართულიყო, მერე  
ნაბადი დავიხურეთ და ასე ვიწექით დილამდე. ივან ანდრეე-  
ვიჩმა და ბადრიმ ჩვენ ქვემოთ მონახეს ორი ფიჭვის წერი-  
ლი ხე, მათ ძირში ჩასხდნენ, ორივე ფერებით მოეჭიდნენ და  
ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში გაატარეს დილამდე.  
ჩვენ კი ნაბადექვეშ სიცივათ კბილებს კბილებზე გვაცემინებ-  
და, ხმელ პურს ვლეჭავდით დროგამოშვებით, რომ შინაგანი  
სითბო გამოგვემუშავებინა, მაგრამ მაინც არაფერი გვშვე-  
ლოდა.

მაგრამ ამ ღამემაც გაიარა ისე, როგორც ყველა სხვა სა-  
შინელმა და სასიამოვნო ღამემ. ჩვენ თითქოს რაღაც თეთრ  
ლრუბელში ვიწექით, რომელშიაც ძლივს ატანდა აღმოსავლე-  
თის ნათელი. მაგრამ აი, როგორც თეატრში, მაღლა აიწია  
ღოლბანდის რამდენიმე ფარდა, გამოჩნდნენ გაღმა ფლა-  
ტეები, გამოჩნდა ჯერ კიდევ ჩაქუფრული ხევები, რომელ-  
თაგანაც ორთქლი ისე ამოდიოდა, როგორც ბოლი ქარხნის  
მილიდან.

მთის ნიავმა უეცრად გვერდზე გასწია რძესავით თეთრი  
ლრუბელი და ნათელი ლურჯი ცის პატარა ნაჭერი გამოა-  
ჩინა. გამოკრთა მზის პირველი ოქროსფერი სხივი, მას მეო-  
რე მოჰყვა, მერმე მესამე და ნისლისა და ლრუბლების მთე-  
ლი მასა ამოძრავდა, ერთმანეთში აირია, აღელდა და მრის-  
ხანე ქედის მწვერვალებისკენ იწყო სვლა, ჩრდილოვან ზედა  
ხეობებისაკენ, პირდაპირ უსაზღვრო ცის სივრცისაკენ.

ვინ იცის, რამდენად უფრო ჩქარა დავეშვით ახლა ქვევით.  
შუადღისას უკვე ყავრის ფარდულთან ვიყავით, დაღლილები,  
შერცხვენილები.

— მომეცი შენი თოფი, — მითხრა ბადრიმ, — მე ჯიხვს  
მოვკვლავ. — თან აგვისხნა, რომ საღამომდე კლდეებში ავი-  
დოდა, იქ ღამეს გაათევდა და დილით კი ჯიხვებზე ინადი-  
რებდა.

სისხლი ტვინში ამიგარდა. მონადირულმა ვნებამ ცახცა-  
ხი დამაწყებინა და დაღლილობა დამავიწყა. მე უკვე ვხედავ-



დი ჩემს თავს კლდეებში, თვალშინ ჯიხვები მელანდჭრულის შეს, მე მოვთხოვე ბადრის თან წავეყვანე.

— შენ არ შეგიძლია... ჩქარი სიარული უნდა... იქ ცივა, ვერ გაძლებ!

მაგრამ მე გავჭიუტდი. ბადრის სიტყვებმა კიდევ უფრო გამაჯავრა, რაოდენ ძალას ვგრძნობდი — თვითონაც ვერ წარმომედგინა. ახალგაზრდულმა თავმომწონეობამ და მონადირულმა თავმოყვარეობამ ჩამადენინა ეს სიგიუ: ვერც უძილო ღამემ, ვერც ძლიერმა დალლილობამ, ვერც ციცაბო აღმართებმა კლდეებში, ვერც კიდევ ერთმა მოსალოდნელმა უძილო ღამემ მყინვარების ძირში, — ვერაფერმა ვერ შემაშინა. დღის ორი საათი იქნებოდა, რომ წინდებიანი ფეხებია აფხაზურ ქალამნებში ჩავყავი, ცოტა დავნაყრდი, ხელში თოფი, ვაზნები და პურის ნატეხი ავიღე და ახალი ენერგიით გავყევი უკან ბადრის.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა უარი განაცხადა ხელახლა კლდეებში გაბრუნებაზე, ივან ანდრეევიჩის უეცარი ავადმყოფობა მოიმიზება და ფარდულში დარჩა, მეგობარს ვერ დავტოვებო.

ბადრის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის შტუცერი სასწაულ-მოქმედი ხატივით მოწიწებით ეჭირა ხელში და ისე მიჰქონდა. იგი პატრონმა სვანს ათხოვა. თან თორმეტი ვაზნა უწყალობა. ახალგაზრდა მთიელს არაფრად ეპიტნავა ჩემი თანხლება, მაგრამ რაღას იზამდა.

— არა უშავს... არა უშავს... მალე მივალთ, შორს არ არის! — მანუგეშებდა იგი.

ამჯერად სიარული გაცილებით უფრო მეადვილებოდა: სული აღარ მეხუთებოდა, მივდიოდი თავისუფლად, დაღლას არ ვგრძნობდი. რაღაც სამიოდე საათში უკვე კლდეებთან მიევდით. წინ ქედის სიმაღლეები და წვეტიანი კლდეები მოჩანდა, ბრწყინავდნენ მყინვარები და თოვლიანი მინდვრები. ჩვენ მივდიოდით, უფრო მივფოფხავდით ვიწრო კლდოვანი ხეობის მარცხენა ფერდობზე. ღამდებოდა. მაინტერესებდა და თან მაშინებდა ჩემი ახირებული განზრახვის ბოლო. ჩვენს ბილიკი უცბად გაფართოვდა, მოედნად იქცა.



— აქ დაჯექ, — მითხრა ბალრიმ, — იქ ჯიხვი მოვაკერძოდა ხელი გაღმა ფერდობს მიაშვირა. იქამდე დაახლოებით სამოცდაათი ნაბიჯი იქნებოდა. — მე კი იქ, თოვლიანში ავალ...

თქვა და მალე გაუჩინარდა, დამარიგა კი, როგორ უნდა გამეტარებინა ლამე: არ გაჩერდე, სულ აქეთ-იქით იარე ამ პატარა მოედანზე, მაშინ არ დაგეძინება, არ შეგვივდება, ყველაფერი რიგზე იქნება, დაშოლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

— დაწვები — გაცივდები — და მოკვდებიო, — დაუმატა მან.

ბინდი მალე სიბნელემ შესცვალა. ცოტა ხანს კიდევ თეთრად მოჩანდა შორეული კლდეები, მაგრამ მალე ისინიც თვალს მიეფარნენ. შიშისა და გამბედაობის შერეულმა გრძნობამ აავსო გული.

ყველაფერი სიბნელემ შთანთქა, სანამ თვალი არ მიეჩვია მას და ცაზე ვარსკვლავები არ გამოჩნდა. მაშინ თითქოს უფრო ნათელი მოეფინა მიდამოს, ახლა მარტოობაც აღვილად ასატანი გახდა. ღამის დიადმა დუმილმა მოიცვა მიდამო. მთებმა დაიძინეს. ჩამიჩუმიც კი არ ისმის, მხოლოდ საღლაც შორიდან, ოდნავ გასაგონად, ყრუდ ხმაურობს ჩანჩქერი.

პაპიროსს პაპიროსზე ვეწევი, ნამწვავებს ერთ ადგილას ვაგროვებ. გამთენისას კი ყველანი ერთად მიწაში დავმარხე, რომ ჯიხვს თამბაქოს სუნი არ სცემოდა. თამბაქოს ვაბოლებ და ბოლთასა ვცემ ჩემს პატარა მოედანზე, თოფი მხარზე მაქვს გადაგდებული, ხელები სათბურის ჯიბეში მიწყვია. ჯერ ხელა დავაბიჯებდი, ღამის დასასრულს კი თათქმის დავრბოდი, დავხტოდი კიდეც. იმაზე ფიქრი, რომ ბადრიც ჩემსავით ღამეს ათევდა, ჩემზე უფრო მაღლა, თოვლში, ძალას მშატებდა. ჩემს იღბალზე ღამე წყნარი გამოდგა, ქარს ერთხელაც არ დაუბერავს, მხოლოდ გამთენისას ხეობიდან სუსტი წამოვიდა და საკმაოდ შემცივდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ღამე კიდევაც სკობდა ზოგიერთ ღამებს, რომლებიც მე ნადირობის ღროს გამიტარებია. მაგრამ შეუჩეველი, შიშის-



მომგვრელი მარტოობა ძლიერ მაღელვებდა. მოუფრენულად ველოდი დილას, სინათლეს, როგორც ძვირფას დაუსასხლეა რულო მხსნელს.

აღმოსავლეთი განათდა. გამოჩნდა უახლოესი ფერდობები, ციცაბოები, კლდეები. ხეობებში დაიძრა ნისლი, ნელა ზლაზვნით მაღის იგი ზევით, თითქოს ეზარებათ ღამის სამყოფელის დატოვება. მე კლდის დიდ ქიმს მივეფარე, მეორე გვერდზედაც ქვები მოვიწყვე, ჩავჭერი, ყაბალახზე დავდე დატენილი თოფი, ჩახმახი ფეხზე შევაყენე, გავინაბე და ლოდინი დავიწყე.

ნახევარი საათი არ იყო გასული, რომ სადღაც, ქვევით, ხეობის მეორე მხარეს, ქვიშის ჩხრიალი მოისმა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კვლავ დაგორდა რამდენიმე წვრილი ქვა. გულს დაგადუგი გააქვს, ხელები მიკანკალებს.

... და მოულოდნელად, ისე როგორც ყოველთვის ნადირობისას, პირდაპირ ჩემს წინ, ხეობის მეორე მხარეს, დედალი ჯიხვი აღიმართა, გვერდში ნუკრი უდგას. ნეტავ საიდან გაჩინდნენ აქ, ალბათ, მოსვლა გამომეპარა! გავშეშდი, მხოლოდ თვალებით მივაშტერდი ამ დიდებულ სანახაობას, რომელიც ნელი ნაბიჯით მშორდებოდა. თავი ოდნავ მივიტრუნე და ხუთი ჯიხვი დავინახე, რომლებიც დედასა და შეილს მოსდევდნენ.

ჯიხვები წყნარი ნაბიჯით მოდიოდნენ, ზოგჯერ ლალად გადახტებოდნენ ხოლმე პატარა ნაპრალებსა და ქვებზე. მე ვერც მამჩნევდნენ, ვერც ჩემს იქ ყოფნას გრძნობდნენ. არც ერთს კარგი რქები არ ჰქონდა. მე მაინც ყველაზე დიდი მამალი ავარჩიე, რომელიც შესახედავად სამი-ოთხი წლისა ჩანდა და, რაწამს გამისწორდა, ჩახმახი დავსხლიტე. მეხივით დაიქუხა თოფმა და სროლის ხმა რამდენჯერმე გამეორდა ხეობებში, დენთის ბოლმა დაფარა ჯიხვები. როდესაც ბოლი გაიფარტა, ხეობის მოპირდაპირე მხარეს მოკლული ჯიხვი ეგდო. მან ერთხელ კიდევ გაიქნია უკანა ფეხი და საბოლოოდ შეწყვიტა მოძრაობა. დანარჩენები, რასაკვირველია, თვალის დახამხამებაში გაჯაიკარგნენ ისე, რომ ვერც კი შევამჩნიე, საით წავიდნენ.



სიხარულისაგან აზ ვიცოდი, რა მექნა. ხევისაკენ გულებულები ცი, მაგრამ მალე უკან დავიხიე: გასვლა შეუძლებელი იყო, მე მხოლოდ შორიდან შემეძლო დავმტკბარიყავი ჩემი ნანა-დირევით: ჩვენ შუა გაუვალი უფსკრული იღო. ახლა მხო-ლოდ ბაღრის იმედილა მქონდა, — მარტო იმას შეეძლო ჯიხვ-თან მისასვლელი გზის გამონახვა.

ნადირობის გაგრძელების სურვილი დამეკარგა. მოდუნე-ბამ შესცვალა აღზნებულობა, ახლა მხოლოდ იმაზე ვოც-ნებობდი, რომ ბაღრი მალე დაბრუნებულიყო. უფრო მო-ხერხებულად მოვიკალათვე ქვის საბუდარში და თამბაქო გა-ვაბოლე. მაგრამ ძილი თანდათან მერეოდა, თვალები მეხუ-ჭებოდა, თუმცა ვცდილობდი. რაც შეიძლებოდა თვალები დამეჭყიტა. უცბად შორიდან თოფის სროლის ხმა მომესმა, მეორე, მალე მესამე და მეოთხეც გავარდა. ძილი სადღაუ გაქრა. მე სმენად ვიქეცი. კიდევ ორჯერ გავარდა, კვლავ გა-მეორდა. სულ ცხრა გასროლა დავთვალე.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნუთუ ბაღრი ამდენს ჯიხვებს ესვრის, თითქოს გნოლის გუნდს წააწყდაო?

სროლა შეწყდა, სიჩუმე ჩამოვარდა, მე სმენად ვიქეცი და ასე გავატარე ნახევარი საათი, მაგრამ მზის სხივები ისე გემოზე მათბობდა, რომ ნებისყოფა წამერთვა, ძალა გამომე-ცალა, კლდეს მივეყრდენი და ჩამეძინა: ალბათ ორ ან სამ საათს მაინც მეძინა.

უცბად გამომელვიდა, დაგორებული ქვების ხმა მომესმა, მივიხედე და ბაღრი დავინახე. ძლიერ მთაბიჯებდა, ზურგზე თასმებით შეკრული ჯიხვების ხორცი, თვეები და ტყავები ეკიდა.

ტვირთი ძირს დააგდო, დაჭდა, სახეზე ოფლი მოიწმინდა, პაპიროსი გამომართვა, გააბოლა და დინჯად მითხრა:

— შვიდი ჯიხეი მოვკალ, ერთი მეტად დიდი იყო, შორს წაიქცა, ქვემოთ, ამოტანა შეუძლებელი იყო, მეორეც ისე... ხუთი თან მოვიტანე.

ხუთი ჯიხვის თავი და ტყავი, ხუთი სუკი, ათი ბარკალი, სათბილოები და ბევრი კიდევ სხვადასხვა ნაჟერი ხორცი მოიტანა თავისი ზურგით ამ უცნაურმა მონადირემ. მისგან



მოკლული ჯიხვები ყველანი ახალგაზრდები იყვნენ სამართლისა  
მათგანი — დედალი.

— რად ამოხოცე ასე უმიზნოდ ამდენი ნაღირი? —  
წყრომით მივმართე. — განა ორი ჯიხვი საკმარისი არ იყო.  
რამდენი ხორცი გადაპყარე ტყუილუბრალოდ... უჰ, შე უნა-  
მუსოვ!

ბადრი ვერ მიმხედარიყო ჩემს გაფავრებას, გულუბრყვი-  
ლოდ იღმიებოდა და მარწმუნებდა: ჯიხვები იმდენია ამ მთებ-  
ში, რომ ეს არაფერიაო.

როგორ უნდა მოეხდინა კაცს ზეგავლენა ასეთ მონადი-  
რეებზე — ჩემთვის მაშინ გაურჩვეველი იყო.

ბადრიმ ცოტა დაისვენა, მერე ბილიქს ზევით აჟყვა და  
ხეობის მეორე მხარეს გადავიდა, ჩემი ჯიხვი გაატყავა, ასჭრა  
და ერთ საათში აქეთ გაღმოიტანა. ჯიხვს ტყვია ბეჭში მოხ-  
ვედროდა: იგი, როგორც მონადირეები იტყვიან, ნამუსიანად  
იყო მოკლული.

ტყავში გახვეული ერთი სუკი, ბარკლები და ბეჭები ჩემ-  
თვის დიდ ტვირთს წარმოადგენდა. ნეტავ რას ფიქრობდა  
სვანი, რომელსაც ხუთჯერ მეტი ტვირთი ჰქონდა!

ნელ-ნელა, ხშირი დასვენებით, ძლივს მივაღწიეთ ჩვენს  
ფარდულამდე. ფეხები თითქოს მე აღარ მექუთვნოდა, ძლივს  
ვბანცალებდი, თავი მიბრუოდა, სასა გამშრალი მქონდა. სა-  
სწრაფოდ ერთი ჭიქა შავლვინონარევი ჩაი დავლიე, ძლივს  
ორიოდე სიტყვა ამოვილულლულე, კუნძივით დავეგდე ჩემს  
მწვანე სარეცელზე და თავის დადებისთანავე საღათას ძი-  
ლით ჩამეძინა.

ცუდი დილა გათენდა — შემოდგომის წვრილი წვიმა  
სცრიდა. მთები ნისლით დაიფარა. ირგვლივ სიბნელე გამეფდა.  
ორ დღეს კიდევ ველოდეთ გამოდარებას. ვისხედით ჩვენს  
ფარდულში, ჯიხვის გემრიელ მწვადებს შევექცეოდით, ზედ  
სახლიდან მოტანილ არაყსა და შავ ღვინოს ვაყოლებდით.  
მესამე დღეს კი, ისევ კოცისპირულ წვიმაში, ნაბდებსა და  
ყაბალახებში გახვეულნი სოხუმისაკენ გავუდექით გზას.

## პირველი არჩევი



ეს იყო გაგრას იქით.  
დილით ადრე მიხვეულ-მოხ-  
ვეული ბილიკებით მთაზე ავ-  
ღიოდით. აღმოსავლეთის შო-  
რეული ჰორიზონტი ათასგვარი  
ფერით ელვარებდა. მზე ჭერ  
კიდევ არ იყო ამოსული, მაგ-  
რამ მისი სხივები შუბებივით  
ებჯინებოდა ვარდისფრად მო-  
მინანქრებულ ცის გუმბათს.

თვალწარმტაცად მოლივლივე ფერები თანდათან გაფითრდა.

დადგა ზაფხულის ნამდვილი კაშკაშა დღე.

ბილიკი, რომელსაც ჩვენ ნება-ნება მივყვებოდით, უდა-  
ბური ტყის სიღრმეში იჭრებოდა. უკან გვრჩებოდა გულ-  
მშვიდად გადაშლილი ზღვა.

წინ ჩემი მეგობარი ივანე მიდიოდა. მე ფეხდაფეხ მივ-  
ყვებოდი. უცებ მან ხელი მალლა ასწია. ამით უსიტყვოდ  
მანიშნა: — ყურადღება! აქეთე ის, რასაც მე გავაკეთებო.  
ივანემ უცებ ფრთხილად ჩაიჩოქა მუხლზე. მეც ასევე გავა-  
ძეთე.

სულგანაბული ველოდებოდი მის შემდგომ განკარგუ-  
ლებას.

მხარმარცხნით მოისმა ტოტების ლაშუნი, ფოთლების  
შმაშური, ლალი და თავისუფალი ხრამუნი. მცირე ხნის შემ-  
დეგ გამოჩნდა ჭარად მომავალი ოციოდე ღორი. ისინი ჩქარა  
მოემართებოდნენ ჩვენს მხარეზე. თავიანთი წაწვეტილი  
დინგებით გზადაგზა გამალებით ჩიჩნიდნენ მიწის ყოველ  
ნაჭერს, გლეჭდნენ ფესვებს, ბალახს, ამტვრევდნენ აქა-იქ



ნაპოვნ წიფლის კაკლებს ან წაბლს და შეუსვენებლად მომზადება  
მუნებდნენ. ეტყობოდა, როცა განსაკუთრებით გეშრიელ  
საჭმელს წააშედებოდნენ, ხმამაღლა და გაბმით ხვენეშოდნენ.  
როგორც ეს საერთოდ იციან ღორმულებმა მათთვის გან-  
საკუთრებით სასიამოვნო საჭმლის ჭამისას.

ცალ მუხლზე ვარ დაჩოქილი, ხელში მომარჯვებით მი-  
ჭირავს შტუცერი. ყველაზე ღიდი ტახი ამოვარჩიო და დავუ-  
მიზნე. ღორები უკვე ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე არიან მოახ-  
ლოვებულნი. ისევ წინ მოიწევენ, გამალებით ჩიჩქნიან მიწას,  
ეძებენ საჭმელს, ხვენეშენ, სულაც არ გრძნობენ ჩვენს ყოფნას:  
ასე ახლოს.

უკვე აშკარად ვხედავ ყველა ღორს, მაგრამ ერთხელ  
არჩეულ ტახს, რომელიც ჩემი ვარაუდით ათი ფუთი იქნება,  
თვალს არ ვაშორებ.

დაძაბული წუთები ელვის სისწრაფით მიჰქრიან, ტახი  
თანდათან ახლოვდება, ლოდინის ღრო აღარ რჩება, პირდა-  
პირ შუბლში დავუმიზნე და... თოფმაც იგრიალა.

უცებ წამოვხტი ადგილიდან, რომ უკეთ დამენახა, თუ  
სად დაეცა ტახი და როგორ ასავსავებდა ფეხებს. წარმოიდ-  
გინეთ ჩემი გაოცება: — არც ტახია და არც დანარჩენი ღო-  
რები. თვალსა და ხელს შუა გაპქრნენ.

საოცრად დარცხვენილი ვდგავარ.

— დავაცილე! — სასოწარკვეთით წამოვიძახე.

— თავი გაგიხმეს, აი! — გაბრაზებით შემომყვირა ივანემ.

— როგორ შეიძლება ას ნაბიჯზე ესროლო ღორს? გეც-  
ლია, უფრო მოგვიახლოვდებოდნენ, თითო ღორს წამოვაწ-  
ვენდით!.. ეს რა გააკეთე? ყველაფერი ჩაშალე...

ვიგრძენი, რომ სირცხვილისაგან გავწითლდი. სიტყვის  
ამოღებაც ვერ მოვახერხე. ივანე მართალი იყო. წარუმატებ-  
ლობით გონდაკარგული უსიტყვოდ მივყევი. სრულიად უიმე-  
დოდ ვათვალიერებდი უკვე დაცარიელებულ ტყეს, სადაც  
ასე სამარცხვინოდ დასრულდა ჩემი პირველი დებიუტი...

ამ ამბის შემდეგ გზა უფრო მომქანცველი გახდა. მიუ-  
ხედავად იმისა, რომ სექტემბერი იყო, მზე ძალზე აცხუნებ-  
და, პირი გამიშრა, მთლად გავიწუწე თფლში, ხშირად შევ-  
იტ



დგებოდი, რომ გულის საოცარი ძეგრა ოდნავ მაინც დამტკიცავა  
წყნარებინა. ეტყობოდა, ჩემს მეგობარს მეტად შესაბამისობა  
სად და დაჩაგრულად ვეჩვენებოდი, თუმცა თავს ვიყავებდი,  
ვცდილობდი მხნედ მივყოლოდი და არ ჩამოვრჩენოდი.

კარგა მანძილი უსიტყვოდ გვიარეთ. ივანე უცებ შემობ-  
რუნდა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა და მითხრა:

— არა უშავს რა, ჯერ კიდევ შევხვდებით ღორებსაც  
და არჩვებსაც! ოლონდ იცოდე, ნურასოდეს ნუ აჩქარდები.  
ნადირობისას სიჩარე არ გამოდგება! ნადირს უნდა მისცე  
იმის საშუალება, რომ რაც შეიძლება უფრო მოგიახლოვდეს,  
მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ესროლო!.. აქ დამიცადე, ახლა-  
ვე მოვნახავ წყალს...

ივანემ მართლა მალე მოიტანა ცივი წყალი მათარით.  
დავლიე, სული მოვითქვი, მცირე ხანს შევისვენეთ.

იმ დღიდან ყოველთვის მახსოვ მეგობრის რჩევა:  
„ნურასოდეს ნუ აჩქარდები!“

\*

ჩვენ უდელტეხილის მწვერვალზე ავედით. ბილიკი უოეპ-  
ვარას ხეობის ნაპრალების ქიმზე მოიკლაკნებოდა. ქვემოთ  
უძირო ორწოხები იყო პირდალებული.

შუაღლისას მიეკეთებით ტყისმჭრელების მიერ ძელებისაგან  
გაკეთებულ ქოხში. აქ გავჩერდით ორ დღეს.

გაგონილი გვქონდა: აქ, სადღაც ახლოს, კლდიდან გად-  
მოდიოდა მლაშე წყალი. აფხაზი მონადირეების სიტყვით  
მას ძალიან ეტანებოდნენ არჩვები, ისინი თურმე ჯარად ჩა-  
მოჟიოდნენ მთიდან, ლოკავლენ მარილიან კლდეს და სვამ-  
დნენ მლაშე წყაროს წყალს.

მთელ სამ საათს ვიარეთ გიგანტური უძირო ხრამის ნაპ-  
რალებში, ქვემოთ ჩასასელელს ვეძებდით, მაგრამ ამაოდ:  
ვერც ერთი მხრით ვერ მივუდექით, ვერსად ვერ ვიპოვეა  
ბილიკი. უფრო მეტი: ფეხის მოსაკიდებელი ადგილიც კი  
არსად ჩანდა, რომ თავი შეგვემაგრებინა და ხრამში არ  
გადავჩეხილიყავით. ამიტომ კვლავ ქოხისაკენ გავუდექით  
გზის.



უცებ წინა მხრიდან ფეხის ხმა მოგვესმა. ხეებს აშენება  
ფარეთ. გამოჩენდა ახალგაზრდა, ტანადი აფხაზი ნახარები.  
ეტყობოდა, იგი საბანაკოდან მოღიოდა. მხარზე ეკიდა ჯიხვის  
ტყავისაგან გაკეთებული ხალთა, ხელში ეჭირა გრძელი კომ-  
ბალი.

მწყემსი შეჩერდა.

— უშუბზიაქვა! — მივესალმეთ ერთმანეთს.

უცნობმა ჭაბუქმა ღიმილის დროს თეთრი კბილები გამო-  
აჩინა, ჩემს შტუცერს ხელი გადაუსვა:

— კარგი თოფია! — კვლავ გაიღიმა ჭაბუქმა.

ჩვენ გამოვესაუბრეთ ერთმანეთს ღამტვრეული რუსუ-  
ლით.

იგი არაბიკიდან კალდახვარაში მიღიოდა, ყველი მიჰქონ-  
და შინ.

როგორც აფხაზი მწყემსების დიდი უმრავლესობა, ნახარ-  
ბეიც მონადირე აღმოჩნდა. მან მიგვიყვანა სივრცეში ამარ-  
თულ ციცაბო ნაპრალთან, რომლის ქიმი დაფარული იყო  
შექრისა და მაყვლის ბუჩქებით. იქ, ბუჩქებს შორის, აღმოჩნ-  
და ძლიერ შესამჩნევი ბილიკი, რომელიც წყაროსაკენ უხვევ-  
და. ნახარბეიმ მაღლიდანვე გვაჩვენა იმ ბილიკის ყველა  
ხვეული. ბილიკი გასდევდა ნაპრალების ძირს, იკარგებოდა  
ნაბზარებში, კვლავ ჩნდებოდა ძლდეზე, ბოლოს კი, ჩვენს  
ქვემოთ, ორმოცდათოოდე ნაბიჯზე ქვის ჭებირს ებჯინებოდა.

— იქ უნდა ჩაჯდე და ესროლო, მხოლოდ ჭერ წადი და  
უთვალთვალე! — მითხრა მან.

შემდეგ, ასიოდე ნაბიჯი გაიარა განმარტოებით მდგარ  
დაღრუცილ კუნძამდე, რომელიც ფესვებით ჩასჭიდებოდა  
კლდეს ხრამის გადასახედზე, ხელით ჩაეჭიდა ხეს, ზედ დაე-  
კიდა უძირო ხრამზე და გვიჩვენა ქვემოთ მოლაპლაპე წყალი.  
ეს იყო წყარო, სადაც თურმე არჩვები მოღიოდნენ.

— შეფოთლილ ხეებს ამოფარებული „გუშაგობენ“ მო-  
ნადირეები და უთვალთვალებენ. როგორც კი შეხედავენ წყა-  
როსთან მოახლოებულ არჩებს, სწრაფად ჩაირბენენ ქვემოთ  
და ესვრიან.

ჭაბუქმა მონადირემ ყოველივე ეს გვიამბო, ხელი თავა-  
ზიანად ჩამოგვართვა და წავიდა...

სალამომდე ორიოდე საათი რჩებოდა. სწორედ ის დრო იყო, როცა არჩევები უნდა მოსულიყვნენ თავიანთ საყვარელ წყაროზე.

მიუხედავად ჭაბუკის რჩევისა, რაკი ბილიკის მიმართულება უცნობი იყო ჩვენთვის და არჩევების გამოჩენის დროს სწრაფად ჩასვლა ძნელი მოსახერხებელი იქნებოდა, გადაწყვიტეთ, წინასწარ ჩაესულიყავით ქვემოთ და იქ გვეღარავა.

ამშვანებულ ბუჩქებში შევეღით, თავი მიწაშდე დავღუნეთ, ნაპრალებს ხელებით ჩავეჭიდეთ და ასე დავეშვით ქვემოთ. ეს გზა ძალზე დამრეცილი და სახიფათო იყო, მაგრამ არც ისე საშიში, როგორც ზემოდან გვეჩვენებოდა. რამდენიმე წუთში ჩავედით ძირს და ქვის ჯებირიდან ოციოდე ნაბიჯზე ბუჩქებში შევჩერდით. იქ ყოფილიყვნენ აღამიანები. ეტყობოდა, მონადირეებს იქ მწვადებიც შეეწვათ.

აქედან ხელისგულივით მოჩანდა ხევის ვიწრო გასავალი. ჩვენ კარგად ვიყავით შენიბობული ბუჩქებით. საჭიროების დროს ადვილად მივირბენდით ქვის ყორემდე, საიდანაც არჩევებისათვის უნდა გვესროლა. ჩუმად ჩავჭევით, თვალმოუშორებლად მივაჩერდით ყორეს გადაღმა მხარეს. კარგა ხანს ვიჯევით ასე. მოუთმენლად მომინდა თამბაქოს მოწევა, პაპიროსი ამოვილე და შორიდან უუჩვენე ივანეს, რომელმაც გაბრაზებით გადმომხედა და მოილუშა.

პაპიროსი უმალვე დავმალე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჩქამიც არსაით მოისმოდა. მხოლოდ წყაროს წყალი შხაპუნობდა. უცებ ვიგრძენი, ყურისძირი მექავება, შუბლსა და კისერზე დამქბინა რაღაცამ, ხელი მოვისვი, თითები სისხლში გამესვარა. უმალვე ივანეს გავხედე. მას შეფოთლილი ტოტი მოუტეხია და სახის წინ იქნევს. ჩვენს ირგვლივ მილიონობით დაფრინავენ ქინქლა მწერები, გვესევიან სახეზე, ხელებზე, კისერზე, გვკბენენ თავიანთი შხამიანი ნამცეცა ხორთუმებით.

მთელ საათს ვიყავით ამ წამებაში.

მეტის მომენტი შეუძლებელი შეიქნა.

— ეტყობა, დღეს არ მოვლენ! — ნაღვლიანად შაიხურ  
ჩულა ივანემ და დამწუხებული სახით შემომხედვისათვა  
ფრთხილად, უხმაუროდ წამოვდექით.

დამწუხებულნი, დაკბენილნი მივედით ქოხში.

მხოლოდ მაშინ მივხვდით, თუ რატომ ესაფრებოდნენ  
აფხაზები ქვის ყორესთან, აქედან რატომ უთვალთვალებდნენ  
არჩევების გამომხენას და მხოლოდ მერე შეიჭრებოდნენ ხოლ-  
მე ქინქლა მწერების ამ საშინელ სამეფოში.

გადავწყვიტეთ დილიდანვე გვედარაჯა არჩევებისათვის,  
რიგრიგობით, ორ-ორი საათით.

ლამე ჩქარა გავიდა.

პირეელი მორიგეობა შეხვდა ივანეს. დილაადრიან იგი  
უკვე ნაპრალის ქიმთან ამოსულ ხეზე იყო აფორთხებული.

მე ქოხში დაკრჩი.

ორი საათის შემდეგ შევცვალე ივანე.

მისი მორიგეობის დროს არ მოვიდნენ არჩევები. მიუჩ-  
ვევლობის გამო საშინლად მეჩევნა ხეზე აფოფხება. ივანესა-  
ვით მეც ხელებითა და ფეხებით ვეჭიდებოდი. მალე მივეჩ-  
ვიე „კოშკურაზე“ ჯდომას და ფხიზლად გადავცეროდი მი-  
დამოს წყაროს ირგვლივ. ისეთი დაძაბული ყურადღებით  
გავცეროდი, რომ ყოველი საგანი — კუნძი, ქვა, ცაში მო-  
რიალე არწივი — ყველაფერი არჩევად მეჩევნებოდა.

აი, უოკვარას მხრიდან უკვე გამოჩნდა ორი არჩევი. ისინი  
ნელა, უდიდესი სიფრთხილით მიპყვებიან ერთმანეთს წყა-  
როსაკენ, სხარტად ხტებიან ლოდიდან ლოდზე, ნაპრალიდან  
ნაპრალზე.

გული ამიძგერდა. უცებ მოვშორდი ხეს, შტუცერს ხელი  
დავავლე და დაღმართისაკენ გავეშურე, თან ივანეს შევძახე:

— არჩევები, არჩევები გამოჩნდნენ!

რამდენიმე წუთში მივირბინე ბუჩქებთან, სადაც გუშინ  
ისე უმოწყალოდ დაგვებინეს ქინქლა მწერებმა. იქიდან შეუ-  
მჩნევლად მივხოხდი ლოდთან, რომელიც ჯებირივით ამორ-

თულიყო ჩვენ შორის. ივანეც თან მომსდევს, ფორთხევებით ჩამოსრიალდა.

ერთი არჩვი ჩემკენ ზურგშექცევით იდგა და სვამიდა მლაშე წყალს. ვხედავდი ფერდები თანდათან ებერებოდა. მეორე კი გაპქრა. სწრაფად გადმოვიდე თოფი და ვესროლე. არჩვი უცებ შემობრუნდა ჩემკენ, ნახტომი სცადა, მაგრამ იქვე მძიმედ დაეშვა მიწაზე.

— აი, ყოჩალ! — წამოიძახა ივანემ, თან ხელი მტაცა მკლავში.

იმაოდ ვამტკიცებდი, რომ იქ იყო მეორე არჩვიც. ივანე ლაპარაქს არ მაცლიდა, მეხვეოდა, მილოცავდა.

ამ დროს მახლობელ კლდეზე მართლა გამოჩნდა წელანდელი მეორე არჩვი. უმიალვე ვესროლე, ივანემაც ესროლა, მაგრამ იგი უვნებლად წავიდა.

ჩემ მიერ მოკლულ არჩვით დაებრუნდით.

გამოირკვა, რომ ტყვია ბარეალში მოხვედროდა, წყლით გამობერილ ფერდში გასულიყო, შემდეგ კი კისერში გაევლო.

საოცარია, რომ მაინც ლამობდა წამოდგომას და გაქცევას!

სახეგაბრწყინვებული დავცემეროდი. უსაზღვრო ბედნიერებას ვგრძნობდი, რადგან ის იყო ჩემ მიერ მოკლული პირველი არჩვი.



## შაჩალთან ნადირობა

1917 წელი იყო. კავკასიონის ფრონტი და მასთან ერთად მეფის ჯარიც დაიშალა. საქართველოში მენშევიკური ქაოსი ტრიალებდა, დღითი დღე ძლიერდოდა ძარცვა-გლეხა, სხვა-დასხვა ეროვნებათა წაქეზება ერთომეორებე. ქალაქებსა და

სოფ ლებში ათასი ჭურის ბანდები განუკითხავად თარეშობდნენ.

ასეთ პირობებში ნადირობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

ნადირობა შეუძლებელი იყო თვით თბილისის მახლობელ მიღამოებშიც კი. მაშინდელ ყარაიას რაიონში ბატონობდა თავზეხელალებული ყაჩალი დალი-ალი. ერთნი ამბობდნენ: საშინელი მხეცია, განუკითხავად ხოცავს ადამიანებს; მეორენი გაიძახოდნენ: მხოლოდ პოლიციელებს მისდევს, ძველი შეურაცხყოფის გამო სამაგიეროს უხდის, სხვებს კი არ ერჩის, მეტად გულექთილი კაცია, არსენასავით — მდიდრებს ართმევს, ღარიბებს აძლევსო.

ასეთი ხმები იყო გავრცელებული ხალხში. არავის შეეძლო ამ მოარული ხმების შემოწმება. ყველას ეშინოდა. დალი-ალის შიშით თვით ძალიან გამბედავი და გულადი მონადირეებიც კი ვერ ბედავდნენ თბილისიდან გასვლას...

ნოემბერი იდგა. ერთ დღეს ჩემ მეგობარ ვანოსაგან მივიღე ბარათი, სადაც იგი მთხოვდა: შემევლო მასთან და მოვ-



ლაპარაკებოდი დავით გარეჯის უდაბნოში კაკბებზე საქართველო  
როდ წასვლის შესახებ.

„—რა აზრი მოსვლია ვანოს თავში? ასეთ ღროს სანა-  
ლიროდ წასვლა როგორ შეიძლება?“ — გავიკვირვე, მაგრამ  
სულმა წამდლია და მაინც მივედი.

— ეს ხომ დალი-ალის რაიონია, წერას ხომ არ აუტანი-  
ხარ, ჩემო ძმაო? სიცოცხლე მოგბეზრდა? — ვეუბნები მე-  
გობარს.

ვანომ მრავალმნიშვნელოვნად და ტებილად გაიღიმა:

— დალი-ალი გვეპატიუება. თვითონ მიგვყვება სანალი-  
რო! — მომიგო მან.

ვანოსთან საუბარში გამოვარკვიე, რომ მას, როგორც  
სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის წარმომადგენელს,  
ცხენის ტრანსპორტის ნარჩენის ლიკვიდაცია მოუხდენია.  
ახლა სულ რამდენიმე ასი ცხენი ჰყოლია სადგურ სოუთ-  
ბულაყის მახლობლად; ეს ცხენები თურმე მოსახლეობისა-  
თვის უნდა მიეყიდა. ყაჩალი დალი-ალი ვანოს კარგი ნაცნო-  
ბი ყოფილა და ცხენიც კი ბევრჯერ უჩუქებია მისთვის. მია-  
მბო ეს და თან დასძინა:

— დალი-ალი შემთხვევითი ყაჩალია, გულკეთილი ადა-  
მიანი, არ უყვარს უდანაშაულო ადამიანის სისხლის დაღვრა  
და თავისებურად პატიოსანი კაცია.

იმ საოცარი ხეგბის შემდეგ, რაც გავრცელებული იყო  
დალი-ალის შესახებ, ვანოს მტკიცება დაუჯერებლად მეჩვენა,  
მაგრამ ნადირობის სურვილმა წამდლია და დავეთანხმე.

დანიშნულ დღეს, განთიადისას, მონადირის მთელი სა-  
ჭურვლით მორთულ-მოკაზმულნი, ძალლების თანხლებით მე  
და ვანო დანჯლრეული „ფორდით“ გავეშურეთ სოუთ-ბულა-  
ყისაკენ. ვანო საჭესთან იჯდა, მე კი მანქანის უკანა მხარე-  
ზე მოვთავსდი, გვერდით მეჯდა ჩემი განუყრელი ძალი  
„ყაზბეგი“, თან ვთვლემდი. გულში მაინც ეჭვი მქონდა, ფიქ-  
რით სულ დალი-ალის გარშემო ეტრიალებდი, მისი გულკე-  
თილობა დაუჯერებლად მეჩვენებოდა. ვნანობდი კიდეც, რომ  
დავთანხმდი წამოსვლაზე, რადგან ეს გზა მეტად საშიშად,  
საბედისწეროდაც კი მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, მონა-



დირული გატაცება, გარეჭის უდაბნოში, როგორც მოსახი-  
რები ამბობდნენ, მრავალრიცხოვანი კაკბების გუნდებისა  
ნახვის იმედი, შესაძლებლობა გარეჭის სახელგანთქმული  
მონასტრის ნახვისა, სადაც, როგორც გადმოცემით ვიცოდი.  
ოდესლაც ათასი ბერი ცხოვრობდა, რწმენა ჩემი ბედის ვარს-  
კვლავის მიმართ, — პფანტავდა ჩემს ეჭვებსა და შეშფოთე-  
ბულ ფიქრებს. დალი-ალის პიროვნება კი მაინტერესებდა  
იმდენად, რამდენადაც ყაჩაღი არასოდეს არ მენახა.

გზაზე რწევის გამო ნელ-ნელა ჩამეძინა. როცა თვალი  
გავახილე, უკვე ტყეში ვიყავით, სადგურ სოუთ-ბულავის  
ახლოს, სადაც გაშმაგებულმა ძალებმა ყეფით ალყა შემო-  
გვარტყეს.

ჩენ ვიდექით რიგზე ჩამწყრივებული კარვების წინ, რომ-  
ლებშიც ცხოვრობდნენ ერობის ცხენის ჭოვების აღმინის-  
ტრაცია და მუშები.

მისვლისთანავე მოგვიახლოვდა ერთი კაფანდარა აზერ-  
ბაიჯანელი. იგი საშუალო ტანის კაცი იყო, ეცვა ღარიბული  
ჩოხა, მაგრად მოჭერილ ღვედის ქაშ-რზე უზარმაზარი ხან-  
ჯალი ეკიდა. თავზე გრძელბეჭვიანი რუხი ცხვრის ტყავის  
ქუდი ეხურა. ამ კაცს სათნო სახე პქონდა, მიმზიდველად  
ილიმებოდა, ნორმალური წვერ-ულვაშის ნაცვლად ბლუზა-  
ბლუჭად ეკიდა უხეში თმა. სახეზე მიწას, ავადმყოფური ფე-  
რი ედო, თუმცა მთელი გარეგანი შეხედულებით მაგარი ნე-  
ბისყოფისა და მტკიცე ძალ-ღონის იაცი ჩანდა.

— გამარჯობა, ვანო! — წარმოთქვა მან ქართულად, თან  
ხელი მკერდზე მიიღო, მერე ჩამოსართმევად გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, ჩემო დალი-ალი! როგორ ცხოვრობ? როგორაა საჭმები? — მიუგო ვანომ და თვითონაც გაუწო-  
და ხელი, თან დასძინა, — გაიცანით, ჩემი მეგობარია, ერთად  
მივდივართ გარეჭის უდაბნოში.

დალი-ალიმ მხიარულად გაიღიმა და მეც გამომიწოდა  
ხელი.

— ზალიან კარგია, რომ მოლიხარ! — მომიბრუნდა იგი. —  
უდაბნოში ბევრი ქათამია... ესროლე... ბევრი მოკალი, ბევ-  
რი... ზალიან კარგია...

  
ცოტა შევნაყრდით. მერე ორცხენიან მსუბუქ „ლენინებული კაზე“ გადავჭექით, ზედ შევსვით ჩვენი ძალლები, ნივთებული დავაწყეთ, რკინიგზის ლიანდაგი გადავიარეთ და ტყის შარა-გზით გავუდექით გზას.

ჩვენი ცხენები მსუბუქად მიპქროდნენ ყარაიას ამწვანე-ბულ ველზე. გზა გარშემო უკლიდა ჯანდარის ტბას, მერე მიემართებოდა ეგრეთ წოდებულ ყარაიას გორაკებისაკენ. „ლინეიის“ კოფოზე ჩუმად იჯდა ჩემი მეგობარი ვანო.

— დალი-ალი სადღაა? ჩვენთან ერთად არ მოდის? — შევეკითხე მას.

— ნუ გეშინია, გზა არ დაებნევა... იქიდან უხერხული იყო ყაჩაღთან ერთად წამოსვლა! — გამიღიმა ვანომ.

მალე ცხენის ფლოქვების თქარუნიც გაისმა.

დალი-ალი მოაგელვებდა თავის ლურჯა ცხენს, ფეხებს ფერდებზე ურტყამდა, სასაცილოდ იქნევდა ხელებს ჰაერში და გარდიგარდმო გადაკიდებულ შაშხანას ბაგუნი გაპქონდა მის ზურგზე, ფრთამოტეხილ ძერასავით ისე იყო გადახრილი ცალ გვერდზე, რომ სრულიადაც ვერ ტოვებდა კარგი ცხე-ნისნის შთაბეჭდილებას.

— კიდევ გამარჯობა თქვენი, კეთილებო! აი, მეც აქა ვარ! — მხიარულად მოგვაძახა დალი-ალიმ მსტვენი სმით, ცხენის სადავე მოსწია. თან ვანოს ესროლა რამდენიმე სი-ტყვა. ამის შემდევ აღარ მოგვცილებია, „ლინეიის“ მოსდევ-და, ცოტა მოშორებით, მწვანე მოლზე, თან ჩუმად, გაბმით ღიღინებდა აზერბაიჯანულ სიმღერას.

დაბლობი გავიარეთ.

თანდათან მაღლა ავყევით გარეჯის უდაბნოს გორაკებს.

ჩვენგან მხარმარჯვნით თეთრი ცხვრის დიდი ფარა იყო გაფენილი. ცხვრები კიყნიდნენ მთის ბალახს და თანდათან წინ მიიწვევდნენ. აზერბაიჯანელი მწყემსები, რომლებსაც ბე-წვებიანი დიდი ქუდები ეხურათ და ხელში გრძელი კომ-ბლები ეჭირათ, გორაქზე იდგნენ, მათ ახლოს კი ჭოვის ძალ-ლები იწვნენ მიწაზე.

დალი-ალიმ უცებ მათრახი გაატკაცუნა ჰაერში, მერე მაგრად დაპკრა ცხენს, მთელი სიმაღლით წამოიშართა უზან-



გებზე და ჩორთით შეიჭრა ცხვრის ფარაში, თან რაჭალი განვაშო თუ გამარჯვების გამომსახველი ყიფინა დაცურა ჭიათუა ჭრა ერთ-ერთ ცხვართან, მოწვეტით ძირს გადმოიხარა უნა-გირიდან, ცხვარს ზურგზე ხელი დაავლო, ჰაერში შეაქანა:

— არ ვარგაო, — თქვა და მიწაზე დააგდო. მერე კიდევ გაიჭრა წინ, ასევე დასწვდა მეორე ცხვარს, კვლავ ჰაერში შეაქანა: — არ ვარგაო, — თქვა და ისიც მიწაზე დაანარცხა. ბოლოს, მესამე ცხვარი აიტაცა ჰაერში, ისიც შეაქანა, სახე გაუბრწყინდა, ეტყობოდა, მოეწონა და მოწყვეტილი ყიფი-ნით შურდულივით გამოაქანა ჩვენებენ.

\* — აიყვანე, ვანო! კარგი ცხვარია! — მსუქანია!

ვანომ და მეეტლემ სიამოვნებით ჩაიბარეს შიშით გულ-გახეთქილი ცხვარი, ნადავლი იქვე მიაკრეს რქებითა და ფეხებით.

მწყემსებს წინააღმდეგობის გაწევაც არ უფიქრიათ, პირ-იქით, დალი-ალის შიშით ისეთი სახის გამომეტყველება მიი-ღეს, რომ თითქოს ძალიან ნასიამოვნებიც კი იყვნენ. არც ჭოვის ძალებს ამოულიათ ხმა.

ყოველივე ამან საოცრად გამაკვირვა და შევეკითხე დალის:

— ნუთუ მთელი ეს ფარა შენია?

— აქ ყველაფერი ჩონია! — ხორხოცით მიპასუხა მან, თან სახე სიხარულით გაუბრწყინდა. — ცხორი ბევრია, ყვე-ლას ეყოფა, უნდა კიდევ აფილო, რამდონიც უნდა?...

— არა, რას ამბობთ, დალი-ალი? როგორ იქნება!

ჩვენ ნელ-ნელა მივყვებოდით აღმართს მთისკენ.

მხარმარცხნით კვლავ გამოჩნდა ფერდობზე შეფენილი ცხვრის ფარა... ამჯერად მთელი ფარა შავი ფერისა იყო.

დალი-ალი კვლავ მოწყდა ადგილს, კვლავ საოცარი ყი-უინა დასცა და ელვის სისწრაფით გაექანა, ყველაზე მსუქანი ცხვარი შეარჩია, ხელი დაავლო ზურგზე, ჰაერში აიტაცა და ახალი ნადავლით აღფრთოვანებულმა ცხენი „ლინეიკასთან“ მოაგდო.

— არა, გენაცვალე, დალი, ეს საჭირო არაა! — ერთი სრუ-

ლიად საქმარისია! ორი ცხვარი სადღა უნდა გათრითო... უნდა გადლობთ.

— ეს მეორე ვანოსთუნა... წოდი უნდა გააკეთოს... ვანოს უყორს წოდი... კარგი წოდი იქნება... აიღე... ასე უნდა...

დალისთან დავა უშედეგო აღმოჩნდა. იძულებული შევიქნით შავი ცხვარიც აგვეყვანა.

თუმცა გზაზე ბევრი ფარა შემოგვხვდა, მაგრამ დალის ხელი არ გაუნდჩევია. ეს შავი ცხვარი იყო მისი უკანასკნელი მსხვერპლი.

დალი შესცემოდა ახალ ფარას, ეშმაკურად იცინოდა, დაკეცილ მათრასს იშვერდა მისკენ და თითქოს გვაღიზიანებდა: — გინდათ, კიდევ მოვიყვანო.

დიდხანს ვიარეთ, ულელტეხილი უკან მოვიტოვეთ, მოებით გარშემორტყმულ ვიწრო ხევებში მივყევით ქვებით მოხერგილ, ხან კლდეებზე მიმავალ გზას. შუადლისას უკვე მონასტრის ეზოში შევედით. მონასტრებს ყოველი მხრიდან გარს ერტყა უძველესი გალავანი, რომელიც პირდაპირ უერთდებოდა კლდეს და ამავე კლდით იყო დაკავშირებული ნაგებობებთან.

ჩვენ შემოგვეგება სახეგაფიოთრებული, საცოდავად გამომზირალი, გამხდარი ბერი სოფრომი. მას შავი ანაფორა ეცვა, თავზე პატარა შავი ქუდი ეხურა. სოფრომი იყო ერთადერთი ბინადარი ამ განმარტოებით მიტოვებული, ოდეს-ლაც უმდიდრესი მონასტრისა, რომელშიც თავის დროზე თურმე ათასი ბერი ცხოვრობდა. სოფრომის ფერმქრთალ, განაწამებ სახეზე ციმციმებდნენ ჯერ კიდევ ცეცხლგაუმჯრალი, გაკვირვებული შავი თვალები, რომლებშიც აშკარად იგრძნობოდა სიცოცხლის ძალა და ბრძა ფანატიკოსის ღრმა რწმენა. ამ მარტვილობასა და მუდმივ ტანჯვა-გაჭირვებაში პოულობდა იგი სულიერ სიმშვიდეს, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამქვეყნად ადამიანთა ამაო ფუსფუსისაგან თავის არიდებით ლამობდა სასუფეველში დამკვიდრებას. მას მიამიტურად სჯეროდა ოდითვე მომდინარე საეკლესიო ზღაპრები. სოფრომს თხელ წვერ-ულვაშში თეთრი შეპარვოდა,

სიცოცხლის ნახევარი უკვე გამოევლო, ორმოცდააზე   
გადაცილებული იყო.

სოფტომს ძალიან გაუხარდა ჩვენი მისვლა. მას მხოლოდ ქართული ენა ესმოდა, ამიტომ სიამოვნებით გაუბა საუბარი ეპნოს და ჩვენს მეეტლეს.

უნდა ითქვას, რომ თავი ღირსეულად ეჭირა, არავითარი მათხოვრული მანქვა-გრეხა არ შემინიშნავს მისთვის, რაც აგრე დამახასიათებელი იყო, საერთოდ, ბერ-მონაზვნებისა-თვის.

სოფტომის ხელმძღვანელობით ჩქარა შემოვიარეთ ნანგრევების დიდი ნაწილი, კლდეებზე გამოთხრილი გამოქვაბულები, ეკლესიები, წყლის შესანახი აუზები, სენაკები და სხვა სასამსახურო ადგილები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში არაერთგზის დაურბევია მუსულმანური ქვეყნებიდან შემოჭრილ ველურ დამპყრობლებს. ეს ადგილი ახლა წარმოადგენს არა მონასტერს, არამედ მის უბალრუკ ნაშის, ნანგრევებს, მაგრამ უაღრესად საინტერესო ობიექტს საქართველოს მდიდარი წარსულის მკვლევარ-არქეოლოგებისა-თვის.

გარეჯის უდაბნოს მონასტერი დაარსებულია დავით გარეჯის მიერ VI საუკუნეში. თავის დროზე ამ მონასტერმა დიდი სამსახური გაუშია საქართველოს. ის იყო იმდროინდელი ქართული კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერა და მტკიცე დასაყრდენი შემოსეულ ურიცხვებით მტერთან ქართველი ხალხის უმაგალითო გმირობით სავსე ბრძოლების უამს. დავით გარეჯის მონასტერმა ქართველი ხალხის ისტორიაში შეასრულა ისეთივე როლი, როგორიც ტროიცკ-სერგიევის ტაძარმა რუსი ხალხის ისტორიაში. როგორც უძველესი წყაროები გადმოგვცემენ, შაპაბასმა XVII საუკუნეში აღდგომის დღეს ექვს ათასამდე ხატი დალეჭა და საბოლოოდ გაანადგურა ეს მონასტერი.

დავით გარეჯის ხსოვნას ქართველი ხალხი წმინდად ინახავს. მისი ცხოვრების მემატიანეთა მოწმობით, იგი იყო



უაღრესად მოკრძალებული, შრომისმოყვარე, უჩვეულოფრთხოების გულჯეთილი კაცი, რომელიც უყვარდა არა მარტო ადგინდებოთ არამედ მხეცებსაც კი. მემატიანეთა რწმუნებით, თითქოს დავითს არ ერჩოდნენ მგლები, დათვები; თითქოს დავითი თავის ხელით კვებავდა ირმებსა და შვლებს, რომლებიც გამოდიოდნენ საუკუნოვანი უდაბური ტყეებიდან, რაც იმ დროს გარს ერტყა მონასტერს.

ამჟამად იმ ტყეებიდან აღარაფერია დარჩენილი, მთელი გარემო ისეა მოტიტვლებული, ხრიოკ უდაბნოდ გადაქცეული, რომ არც კი გვერა, თუ ოდესმე მართლა ტყით იყო დაფარული ეს არემარე.

პალესტინის, სიჩიისა და აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნების დარად, გარეჯის უდაბნოს მაგალითი ერთხელ კადევ თვალნათლივ აღასტურებს ფრიდრიხ ენგელსის სიტყვების სიბრძნეს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია წინდაუხედავ აღამიანს გააჩანავოს, გაატიალოს და გამოუსადეგარ ხრიოკ უდაბნოდ აქციოს მდიდარი ბუნება.

შორს რომ არ წავიდეთ, თვით ჩემს მახსოვრობაში ვიღაც უგუნურმა გადამთიელმა, გერმანელმა ზეზემანმა, გორის რაიონში ატენის თვალწარმტაცი ხეობა გააჩანაგა: ამ ხეობის კალთებზე აკაფა საუკუნოვანი უდაბური ტყეები და მთელი მხარე მთლიანად უსიცოცხლო ქვედა აქცია. ახლა მთელ ამ არემარეს მხოლოდ ასკილის პატარა ჩირგვები და აქა-იქ ამოსული ბალაბბულახი გადაპყენია.

ასევე მოხდა გარეჯის უდაბნოშიც: აქაური ტყეები მოსპეს, აკაფეს და გააჩანაგეს არა შინაურმა ულმობელმა ექსპლოატატორებმა, არამედ საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა, აღმოსავლეთიდან ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილმა ველურმა ურდოებმა...

დავით გარეჯის ვრცელი უდაბნო მრავალი ტანჭვის მოწმეა...



დალი-ალიმ ხელები დაიკაპიშა და ჩვენი მეეტლის დახმარებით თავი წააცალა საბრალო ცხვარს, უმალვე გაატყავა და ასო-ასოდ აქნა.

ერთ-ერთ პატარა, ნახევრად ბნელ სენაჟში, რომელშიც  
მზის შუქი მხოლოდ ვიწროდ გამოჭრილ სარქმელშე დატენდება  
ტლანქად გაკეთებული მაგიდა იდგა. ბერი სოფრომი ირგ-  
ვლივ დაფუსფუსებდა და საუზმის მზადებაში აქტიურ მონა-  
წილეობას იღებდა. სოფრომმა მოათრია ორი სკამი, ყუთები,  
სამარილე, დანაყილი ნიორი და ორი-სამი დანა-ჩანგალიც  
დადო. ჩვენ საგზაო მარავიდან ამოვიღეთ ძეხვი, ერთი ქილა  
კონსერვი, თუშური ყველი, ერთი ბოთლი ჭავის არაყი და  
თბილისური ქადები. იქვე კუთხეში მოკრძალებით აყუდებუ-  
ლიყო ვანოს მიერ წამოლებული კახურით სავსე მოზრდილი  
ტიკვორა.

მწვადებიც ჩქარა მოგვისწრეს.

დალი-ალიმ და მეეტლემ სენაჟში შემოარბენინეს ორი  
გრძელი შამფური, რომლებზედაც მსუქანი ცხერის ხორცის  
ნაჭრები შიშინებდა.

ყველანი მაგიდას მივუსხედით. სოფრომმა ლოცვა დაი-  
წყო და პირჯვარი გამოისახა. დილიდანვე ძალიან მოშიებული  
ვიყავით და საჭმელს მაღიანად შევექცეოდით. ახლა ერთ მა-  
გიდას მეგობრულად უჯდა საკმაოდ ჭრელი საზოგადოება:  
მამა სოფრომი, ყაჩაღი დალი-ალი, ორი მონადირე — ერთი  
ქართველი, მეორე რუსი და მოხევე მეეტლე, მეტსახელად —  
კიკო... მშვენიერი სუფრა გაიშალა, თანდათან სულ ახალ-  
ახალი, შიშხინა მწვადები შემოქმნდათ. დალი-ალი ძალიან  
კმაყოფილი იყო, მარდად თლიდა მსუქან ხორცის. იმ დღემდე  
არასდროს არ გამიშვია ვარაუდი, თუ რამდენ საჭმელს ანად-  
გურებდა ადამიანი ერთ ჭამაზე. აქამდე საკმაოდ მოკრძალე-  
ბული ბერი სოფრომი და დალი-ალი მოზრდილ ნაჭრებს ზე-  
დიზედ იტენიდნენ პირში, ზედ კახურს აყოლებდნენ, კვლავ  
ახალ ნაჭრებს იღებდნენ და თითქმის დაუღეჭავად ყლაპავ-  
დნენ. ერთი სიტყვით, იმდენი შეჭამეს, რაც ნორმალურად  
მჭამელ ადამიანს მთელ კვირას ეყოფოდა.

დალი-ალი თურმე მართალი იყო, როცა მეორე ცხვარი  
მოიტაცა: ისეთ მაღიანად მჭამელ კაცს დღეში მართლა არ  
ეყოფოდა ნახევარი ცხვარი. აღმოჩნდა, რომ თურმე პატივ-  
ცემული მამა სოფრომიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ჭამაში



დალი-ალის. გასამტყუნარიც არ იყო: ვინ იცის, ჩვენს მრეს კრისტენია ვლამდე რამდენი იმარხულა საწყალმა ბერმა. ახლა კი მოგვაროთვა შუალება შეიცა ცოტა ხელგაშლილად ეჭამა და, გასაგები იყო, რაც მანამდე დაკლდა, ცდილობდა გულმოღვინედ შეეცსო. მე და ვანომ დიდი ხნით აღრე მოვათავეთ ცხურის ხორცის ჭამა, ახლა დროგამოშვებით თუშურ ყველს წავტეხდით, თან კახურს დავაყოლებდით. დალი-ალი და სოფრომი ჭერ კიდევ გულმოღვინედ მუშაობდნენ მწვადზე. მდუმარე კიკო კი სულ ახალ-ახალ შამფურს მოაჩენინებდა და აძლევდა გაუმაძლარ მჭამელებს.

— ოჰ, ალაპ! ჭამა ეყოფა... მეტი არ გინდა... ეყოფა... ახლა კარგია... — დალიმ ჩიხის კალთით მოიწმინდა ქონიანი ტუჩი, გაიღიმა, მუცელზე ხელი დაირტყა და რამდენჯერმე ხმამალლა ამოაბოყინა.

მამა სოფრომიც კარგად გამოძლა, პირჯვარი გამოისახა, კვლავ ლოცვა წაიჩურჩულა და მიპატიუებისათვის თავაზიანად მაღლობა გადაუხადა ვანოს.

— დალი-ალი, ძეხვს რომ ჭამ და ღვინოსაც რომ აყოლებ, ეს როგორ შეიძლება? ნუთუ ამის ნებას გაძლევს შენი კანონი? — შეეკითხა ვანო.

დალი-ალიმ გადაიხარხარა.

— კანონი მე თვითონ ვარ! სულელი ვყოფილვარ, რომ წინათ არც ლორის ხორცს ვჭამდი და არც ღვინოს ვსვამდი! რეგვენი ვყოფილვარ! ჩვენი კანონი ცუდია, ქართველებისა კარგი! ცხერის ხორცი საუკეთესო ხორცია, მაგრამ ღორს არაფერი სჯობია!.. ღვინო ხომ... ჩვენ ვვიყვარს ღვინო... ჭაჭის არაყიც... — გაიცინა დალი-ალიმ და სამგზავრო ჭიხვის ჩქა მიუშვირა ვანოს, რომ ტიკჭორიდან ღვინო დაესხა.

\*

სალამოს ბინდი დგებოდა. მონასტერში მთლად ჩამობნელდა.

იმ სენაკში, სადაც ჩვენ გადავწყვიტეთ დამე გაშლილ ნაბ-



დებზე დაგვეძინა, სანთელი ბეჭტავდა. სხვა სანათუროების  
ჰქონდა ბერს: ნაეთი დიდი ბნის წინათ გამოლეოდა.

სუფთა ჰაერზე გამოვედით, მონასტრის მაღალი კედლი-  
დან გადმოვარდნილ უზარმაზარ ქვაზე ჩამოვჯექით. თამბაქო  
გავაბოლეთ.

დასავლეთის მხარეზე ჭერ კიდევ ელვარებდა ცის კიდე.  
ირგვლივ, კლდეებზე ძილის წინ კაქბები კაქანებდნენ. ცაზე  
ძე-იქ გამოჩნდა ცალკეული ვარსკვლავები. თანდათან სულ  
უფრო ბნელდებოდა. ცის გუმბათი უფრო მოიშინებულა კაშ-  
კაშა ვარსკვლავებით. ირგვლივ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ  
ჭოტები.

ჩუმად ვისხედით ნანგრევებზე. მე ფიქრით დავქროდი  
გარეჭის სამკვიდროს შორეულ წარსულში. ოდესლაც კულ-  
ტურის ამ დიდი კერის ბეღუქუღმართი თავგადასავლის მი-  
ზეზს ვეძებდი ისტორიის ხვეულებში. ჩემს თვალშინ დგებო-  
და შემოსეული ურდოების მიერ ცეცხლითა და მახვილით  
დაუნდობლად დარბეული, იავარქმნილი ქალაქები და სოფ-  
ლები... „ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობა,  
მიდის! რა უღიძესი შრომისა და ტანგვის ფასად უჯდება  
ადამიანს ბეღნიერი, მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრების  
მოპოვება, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა!“  
ათასი ასეთი ფიქრი ამერია თავში, როცა ღამის სიბნელესა  
და მყუდროებაში შთანთქმული ნანგრევებიდან შეცდებული  
გარეჭის უდაბნოს ცაზე მოკაშაშე ვარსკვლავებს.

როცა წარსულზე ფიქრი მოვიშორე, ჩემს მეგობარს მი-  
ვუბრუნდი:

— ვანო, მაინც სად წავალთ ჩეენ ხვალ კაქბებზე სანადი-  
როდ?

ვანომ პასუხი არ გამცა. ეტყობოდა, ისიც ფიქრებში იყო  
გართული.

— ვერც მამა სოფრომი, ვერც ყაჩალი დალი-ალი ვერ  
დაგვეხმარება ამ საქმეში, თვითონაც არაფერი გაეგებათ,  
თუ სად ჭობია ნადირობა! — განვაგრძე დაწყებული საუბარი.  
ვანო გამოერკვა.

— მართალი ხარ, ჩეენ თვითონ მოგვიხდება სანადირო  
76



ადგილების გამონახვა. კაქბები ყველგანაა აქ, მაგრამ სანა-  
დირო ადგილი არ ვარგა. კლდეები, ხრამები და ქვებია ასულითავა  
ჰლივ. გარდა ამისა, მამა სოფრომმაც გვთხოვა, მონასტრის  
ახლოს არ ესროლოთ კაქბებსო. მარწმუნებდა — ეს ღვთის  
ფრინველია, იგი დავით გარეშემა დალოცა, მას ბეღნიერება  
მოაქვსო!.. მოდი, პატივი ცეცეთ მოხუცს, ნუ ვაწყენინებთ!  
ხვალ თვითონ ვნახოთ, საით აჭობებს წასვლა! ახლა კი წა-  
ვიდეთ და დავიძინოთ...

\*

მზის პირველ სხივებს დავისწარით ადგომა. უკვე ჩაცმუ-  
ლი ვიყავით.

ჩემი „ყაზბეგი“ და ვანოს „ნორმა“ ნერვიულობდნენ, მლელვარებისაგან კანკალებდნენ, კაქბების საძებნელად მიი-  
წევდნენ. კაქბები კი იქვე დაგოგავდნენ, თვალშინ — კლდეებ-  
ზე, თან კავანით იყლებდნენ იქაურობას: კა-კა-რა, კა-კა-  
რა; კა-კა-რა! იქეზებდნენ მონადირეებს, თითქოს ამბობდნენ:  
„ხედავთ, რა ახლოს ვართო!“ მაგრამ თოფის გასროლაზე  
მიახლოება არ შეიძლებოდა. სრულიად მოტიტვლებული,  
ხრიოკი ადგილები კაქბებს არ აძლევდა სადმე თავისი შეფა-  
რების საშუალებას. ისინი სწრაფად გადარბოდნენ ერთი ად-  
გილიდან მეორეზე. დაინახავდნენ თუ არა, რომ ვეპარებო-  
დით, უმალვე ხეობის მეორე მხარეს გადაფრინდებოდნენ.

ჩვენ შორს წავედით. გამოჩენდა ბალახითა და ასკილის  
ბუჩქებით დაფარული დამრეცი ფერდობები. აქ კაქბები  
უფრო ნაკლები იყო, სამაგიეროდ საშუალება მოგვეცა ნა-  
დირობა წესიერად გვეწარმოებინა. ძალლები უდიდესი მონ-  
დომებით ეძებდნენ, ირგვლივ თავგამოდებით ყნოსავდნენ ბა-  
ლახბულახში მიმალულ კაქბებს, აქეობდნენ ხატოვან ნა-  
ბულს და აქა-იქ წამოაფრენდნენ ხოლმე, ჩვენ კი მშვიდად  
ჟესროდით.

შსუქანი კაქბები მძიმედ ეცემოდნენ მიწაზე, ძალლები  
დაგვლებდნენ პირს და უმალვე ჩვენებ მოექანებოდნენ.

ჩვენი ნადავლი მაინც არ იყო სახარბიელო.

ნადირობა დავისრულეთ. ვანოს რვა კავაბი ელო, მე კი



მხოლოდ ხუთი. მიუხედავად ნადავლის ასეთი სემიყვანება, მაინც დიდად ნასიამოვნები ვიყავით.

კლდე-ღრეებსა და ფერდობებზე სიარულით მოქანცულ-ნი დავბრუნდით. ხელახლა მიცუჯექით სუფრას მთელი ჩვენი შემადგენლობით და კვლავ მადიანად შევექეცით დალი-ალის მიერ მოტაცებულ მეორე ცხვრის შიშხინა მწვადებს, რომ-ლებიც გრძელ შამფურზე წამოცმული წარამარა შემოჰქონდა კიკოს.

დალი-ალი უკვე აღარ იყო ჩვენთან: შუალდისას შეეკაზმა თავისი ბედაური, კიკოსათვის ეთქვა: საქმე მაქვსო. თანაც დაებარებინა, მეგობრებთან ბოდიში მომიხადეო და გამჭრა-ლიყო.

\*

მეორე დილას ადრე ავდექით, მამა სოფრომს მადლობა მოვახსენეთ გულთბილი მასპინძლობისათვის და წამოვედით.

— რას ფიქრობ დალი-ალის შესახებ? — მეკითხება გზა-ზე ჩემი მეგობარი ვანო. — ზოგიერთი მშვიდობიანი მოქა-ლაქე ასჯერ უფრო ვერაგი და დაუნდობელია, ვიდრე ეს ნა-დირივით ტყეუში გაჭრილი ყაჩალი. არსებითად ის გულქეთი-ლი და მშვიდი ადამიანია. არასოდეს არ გაიჭრებოდა ყაჩა-ლად, რომ პოლიციურ წესებს არ აეძულებინა. შემაძრწუნე-ბელი შემთხვევები მიამბო იმის შესახებ, თუ რა დაუნანებ-ლად, უღმერთოდ ძარცვავდნენ თვით მას და მის თანასოფ-ლელებს ბოქაულები, ურიაღნიკები და ჩაფრები. დალი-ალიმ მიამბო, თუ რა უკანონოდ პატიმრებდნენ ადამიანებს, საპა-ტიმროებში ჰყოდნენ იმის საბაბით, თითქოს ისინი მალავენ აკრძალულ იარაღს და ინახავენ ყაჩალებს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ეს მოგონილი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ფული გამოეძალათ საწყალი ხალხი-სათვის. დალიმ ეს ძალმომრეობა ვერ აიტანა, აღშფოთდა. გასაგებიცაა: აბა რომელი ვაჟეაცი აიტანს ასეთ ძალადობას ნათესავ-მეგობრებისა და თანამოძმეების მიმართ?! მიუხედა-ვად ყველაფრისა, ჩემი აზრით, დალი-ალი მაინც გულკე-თილად, ლმობიერად მოექცა სისხლისმსმელ მოძალადეებს:

როგორც თვითონ ამბობს, დალი-ალის რაზმისა და პოლიტიკური საში შეხვედრისას ატეხილი სროლის დროს მან მხოლოდ ჩატარი და ერთი ბოქაული მოჰკლა, გაძარცვა ოცდაათიოდე ვაჭარი, რომლებიც ატყუებდნენ გლეხებს. სხვისთვის ხელი არ უხლია. რა თქმა უნდა, იმ ცხვრებსა და ქათმებს, რომლებიც მას წაუყვანია საჭიროების დროს, დალი-ალი წართმევად არ სთვლის. მისი აზრით, ეს არც კი არის ანგარიშში ჩასათვლელი. და თუ ახალი ხელისუფლება, რომელიც ახლა მყარდება, სამუდამოდ აპატიებს მას წარსულში ჩადენილ ცოდვებს, თუ შეიძლება ასე ეწოდოს მის მოქმედებას, იგი მზადაა ხელი აიღოს თავის „ხელობაზე“, მიატოვოს ყაჩალობა, დაუბრუნდეს პატიოსან შრომას და ადამიანურად იცხოვროს. ასე ამბობს ეს ყაჩალი, რომელიც რამდენი ხანია შიშის ზარს სცემს მთელ მხარეს. მოდი და ახლა განსაჯე იგი!..

მე გულდასმით გუსმენდი ვანოს საუბარს და ჩემთვის ჩუმად ვფიქრობდი:

— ყოველივე ეს ჩვენი უკუღმართი ცხოვრებისა და სისხლისმელი მეფის სატრაპების ალგირახსნილობის შედეგია. ალბათ მალე გაპქრება ეს შავი ღრუბლები, მთელი ეს საშინელება დასრულდება, გამოიდარებს, გამოჩნდება მზე, თავისუფლების დიალი, მარად მოკაშკაშე მზე... საწყალი, ბეჭავი ხალხი წელში გაიმართება...

ჩვენ დედაქალაქისაკენ მოვეშურებოდით. ვინ იცის ამ დროს სად იყო დალი-ალი, ან რა ახალი „საქმისათვის“ ებზადებოდა...

\*

დიდხანს, ძალიან დიდხანს მახსოვდა ყაჩალი დალი, რომელიც მოტაცებული ცხვრის მწვადებით ასე გულუხვად გავვიმასპინძლდა დავით გარეგის მონასტრის ბნელ სენაქში. მას შემდეგ ვერა გავიგე რა მისი. დღესაც არ ვიცი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დალი-ალი მართლა დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას, პატიოსან შრომას, თუ ავკაციობას თავი ვერ დააღწია და საღმე ჩაპქლეს, როგორც ყაჩალი და მძარცველი!..



## განდგომილი

მთელს აფხაზეთში განთქმული იყო მდინარე კოდორის შუაწელის ზემოთ, ორივე ნაპირას, ხეობებსა და უღელტეხილებზე გადაშლილი წიფლისა და წაბლის ტყეები. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ავრეთვე ასწლოვან მუხებსა და სხვა ძვირფასი ჭიშის ხეებსაც. აქვე ხარობდა სხვადასხვა გარეული ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ალუბალი. აქვე შეხვდებოდით ავრეთვე პატარა მინდვრებს, რომლებიც მოდებული იყო შინდის, მაყვლისა და კუნელის ბუჩქებით, ტყეების დიდ ნაწილში კი მარალმწვანე დაფნისა და დეკის ხშირ ბუჩქებს. ესენი განსაკუთრებით ხარობდნენ ჩრდილოვან აღგილებში და გარეული ღორების თავშესაფარს წარმოადგენდნენ.

ორმოციოდე წლის წინათ აქ იყო ორი პატარა სოფელი: ზემო და ქვემო ლატი. თითოეულ მათგანში მხოლოდ ათიოდე მოსახლე თუ იქნებოდა. ორივე სოფელი გაშენებული იყო ბაღათურის კლდის გადაღმა, სოხუმიდან ქლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე.

ქვემო ლატში იდგა საინუინრო დისტანციის სახლი. აქ ცხოვრობდა დარაჯი, რომელიც მომსახურეობას უწევდა გზას. აქვე ცხოვრობდნენ ტყის მცენელი, ორი-სამი ჩაფარი, ერთი ფერშალი და კიდევ ვიღაც უფროსები. იმ დროის მიხედვით ეს იყო აქაური ერთგვარი აღმინისტრაციული ცენტრი.

ზემო ლატში ცხოვრობდნენ ზემო სვანეთიდან ახალგად-

შოსახლებული სვანები. მათ მდინარე კოდორის ნოყიერ, მოსახლეობის უსაზღვრელი საცლიან ნაპირებზე ეპოვათ თავშესაფარი, თესდნენ სიმინდა, ჰყავდათ თხები, ერთობოდნენ ნადირობით და ცხოვრობდნენ მშვიდად.

ტყის წიაღში, ადამიანებისაგან მოშორებით გადმოხვეწილი სვანების ეს მყუდრო ცხოვრება თავისექნ იზიდავდა მრავალ „მოხეტიალეს“, რომლებიც ჩვეულებრივად ზაფხულობით ყუბანიდან გადმოდიოდნენ ხოლმე. ერთნი მოეშურებოდნენ თავისუფალი, ლალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნის იმედით, მეორენი იმისათვის, რომ თავი გაერიდებინათ ადამიანთა ყოველდღიური ფუსტუსისა და ურიამულისაგან...

ლატიდან ათიოდე კილომეტრზე, მივარდნილ ხეობაში სვანმა მონადირეებმა ერთხელ შენიშვნეს ძელებისაგან უშნოდ შეკრული ქოხი, რომლიდანაც ჰაერში ნელა მიიწევდა ბოლი. აქ დასახლებულიყო ვიღაც „განდგომილი“ მოხუცი ყუბანელი. არავის შეუნიშვნავს, თუ როგორ გადმოზიდა მან საოჯახო ნივთები, როგორ მოჭრა და დახერხა ხეები, როგორ ააშენა ქოხი, რუსული ღუმელი და როგორ დაბინავდა აქ. ამ განდგომილ კაცს თითქოს დამხმარე არ უნდა ჰყოლოდა ამ საქმეში.

სვანებში ხმა გავრცელდა: ხეებს შორის ხანდახან ქალის თეთრი ხილაბანდი გაიღვებსო, მაგრამ ვერასგზით ვერ გააჩვიეს, მართლა ქალი იყო ეს თუ „ავი სული“, რომელიც ცრუმორჩმუნეთა გადმოცემით, თითქოს მონადირეებს მხარს უქცევდა და ხრამში იგდებდა.

ეს მითქმა-მოთქმა დღითი დღე ვრცელდებოდა. ნამდვილად კი არავინ იცოდა, რაში იყო საქმე, ვინ იყო ის ქალი, ან კაცი, რომლებიც ასე უჩინრად შემოპარულიყვენ ტყეში და ქოხიც დაეღვათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს „განდგომილი“ თვითონ მივიღა ლატში. მას ბერის ანაფორისებური ტანსაცმელი და ფეხზე ჩექმის გადანაჭრები ეცვა, წვერ-ულვაში უცნაურად ჰქონდა გაბურებვნილი.

„განდგომილი“ თვითონ გაეცნო სვანებს: იყიდა სიმინდი, 6. ე. მარკვაზი.



ლობიო, ათიოდე კვერცხი, ორი დედალ-მამალი ქაფაშიზუდა  
ისევ ტყისკენ გაუდგა გზას.

პირველ ხანებში იყი ხშირად ჩამოდიოდა ლატში. მერე უკლო, იშვიათად ჩნდებოდა. სვანებმა შორიდან შენიშვნეს, რომ მისი ქოხის ირგვლივ აბიბინდა კაცის სიმაღლე სი-  
მინდი; მოხუცს ბალჩაც მოეწყო, კომბისტო და კარტოფი-  
ლიც დაეთესა ეტყობოდა, ახლა საკუთარი მეურნეობა ჰქო-  
ნდა, ამიტომ არ სჭირდებოდა ლატში წარამარა სიარული.

დროგამოშვებით სოფლის თემშარაზე გაივლიდა ხოლმე  
მისი „დობილი“ დუნია, რომელიც თურმე სოხუმში ჩაღიოდა  
„მოხუცი ივანესთვის“ წვრილმანების საყიდლად. ამის შემ-  
დეგ დარწმუნდნენ, რომ თეთრხეილაბანდიანი იყო არა ზღაპ-  
რული ტყის ასული, არამედ ნამდვილი, ცოცხალი ქალი, საკ-  
მაოდ ჩასუქებული, რომელიც უკვე აღარ იმაღლებოდა, არ  
ეკრძალებოდა ადამიანებს. პირიქით, აშკარად ცხოვრობდა  
„მოხუც ივანესთან“, მუშაობდა მის ბოსტანში, ამრავლებდა  
ქათმებს და მზრუნველად უვლიდა მეურნეობას.

„მოხუც ივანეს“ ტყეში სხვა „განდგომილებმაც“ მოაკვ-  
ლიეს, რომლებმაც აქა-იქ ხეობებში აიშენეს ძელებისაგან  
შეკრული ქოხები. ყოველ „განდგომილს“ ახლა თითო „გან-  
დგომილი და“ ჰყავდა. ისინი ეწეოდნენ სამეურნეო საქმეებს.

ლატელი ჩაფრები გულგრილად, მაგრამ უანგაროდ როდი  
შესცემოდნენ მათ. სათითაოდ იცნობდნენ „განდგომილებს“,  
ხშირად აკითხავდნენ ხოლმე და არცთუ ისე ცუდად ატარებ-  
დნენ დროს. რამდენი იყო ისეთი „განდგომილი“, რომელიც  
კოდორის ნაპირებზე, უდაბურ ტყეში ეძიებდა მყუდრო  
თავშესაფარს „სულისა“ და „ხორცისათვის“, რა თქმა უნდა,  
ჩაფრების გარდა, არავინ იცოდა. ისინი კი არავის უმხელ-  
დნენ საიდუმლოებას და ამ „თვინიერ“ ხალხს ხელს არ უშ-  
ლიდნენ ეცხოვრათ თავიანთი სურვილისამებრ.

„განდგომილები“ კი არც აღამიანებს აწუხებდნენ და არც  
მხეცებს, რომლებიც მრავლად იყო ამ საკვებით სავსე ტყეში.

ამ „დასახლებული“ ადგილის იქით, ტყისკენ იშვიათად  
შეხვდებოდით ქოხებს, ტყეც თავის ჩირგვებსა და ჩრდილში  
ჰყვებავდა და ჰყარავდა ათასგვარ ცხოველს.



აქ უზარმაშარი, ასწლოვანი ხეების ტოტებში თრითინულებული დასდევდნენ ლამაზი კვერნები, რომლებიც თათებს ჰყოფდნენ მათს თავშესაფარ ფულუროებში და იქიდან გამოქვნდათ ნუგბარი საჭმელი. გარეული ღორები ჯარად დაღიძნენ, დინგებით თხრიდნენ ტყის ფხვიერ ნიადაგს; დათვები მოხერხებულად დაითვენენ მაღალ ხეებზე თაფლის საძებრად. რომელსაც ფულუროებში აგროვებდა გარეული ფუტკარი; ფეხმარდი არჩევები ოსტატურად დახტოდნენ, კლდიდან კლდეზე გადადიოდნენ და უშუოთველად კიკნიდნენ ფოთლებს.

ამაზე უკეთესი სანადირო ადგილი არ მოიპოვებოდა მთელს აფხაზეთში. მაგრამ ძნელი იყო აქ ამოსვლა სოხუმიდან, ვინაიდან ზოგ მონადირეს არც დრო ჰქონდა იმდენი და არც ცხენი ჰყავდა აქ ამოსასვლელად. ამიტომ, გარდა სვანებისა, რომლებიც მარყუჟებით იჭერდნენ კვერნებს, ჰქლავდნენ არჩებსა და დათვებს, დიდხანს აქ არავინ აწუხებდა ნადირს, ტყეში იშვიათად გაისმოდა თოფის ხმა. ასეთ პირობებში ნადირი და ფრინველი მშვიდად ცხოვრობდა და მრავლდებოდა.

დროთა განმავლობაში აქ გაჩნდა თავგამოდებული მონადირე, ვიღაც გერმანიუკი. აქვე იყო შესანიშნავი მონადირე, ტყისმცველი პოლონელი მიხაილ შიდლოვსკი, მაგრამ მას ცალი თვალი ნადირობის დროს დაკარგოდა, ამიტომ მარტო ვერ ბედავდა ტყეში შორს წასვლას და მხოლოდ გერმანიუკან ერთად ნადირობდა.

გერმანიუკს ჰყავდა ჩემი ნაჩუქარი მდევრის ჯიშის უზარმაშარი ხეაღი ძალლი „ავოსკა“, რომელიც შემთხვევით ვიყიდე თბილისში. გერმანიუკმა ღორებზე ისე გაწრთვნა, რომ საუკეთესო მონადირე ძალლი გამოიყანა.

გერმანიუკი და შიდლოვსკი დიდძალ ღორებს ხოცავდნენ, ხორცს შაშხავდნენ და უზრუნველად ცხოვრობდნენ.

\*  
გერმანიუკი ხშირად ჩამოდიოდა სოხუმში თავისი საჭმეების გამო და ყოველთვის მიყვებოდა კოდორის ტყეებში უჩვეულო ნადირობის ამბავს, მახარბებდა იმ ღორის ჯოგებით,

რომლებიც თურმე დღე და ღამე დადიოდნენ მისკომის  
გარშემო.

— ევგენი ლვოვიჩ, ჩამოდით ჩემთან, ლატში! უდიდეს  
სიამოვნებას მიიღებთ! კარგად მოგასვენებთ! საწოლებიც  
გვაქვს, სუფთა ლოგინიც! ჩამოდით, ნუ გეზარებათ! — მემუ-  
დარებოდა გერმანიუკი.

და აი, ერთხელ, ოქტომბრის ერთ შშვენიერ დილით, შევ-  
კაზმე ჩემი ყორანა, უნაგირზე ხურჯინი შემოვიკარი, თოფი  
გადავიდე და გავემგზავრე.

ჩემი ცხენი ჩქარი თოხარიეთ მიდიოდა. პირში გაჩრილ  
პაპიროსს მივაბოლებდი, შესანიშნავ გუნებაზე ვიყავი. ლურ-  
ჯად გადაშლილ ზღვის წარმტაც სანაპიროზე ჩავუარე მთვლე-  
ბარედ აყუდებულ მარადმწვანე მცენარეებს. მაჟარასთან  
მხარმარცხნით გავუხვიე, გავიარე თვალწარმტაცი ხეობა.  
სადღაც დუქანთან ცხენი ერთი საათით შევასვენე, თვითო-  
ნაც ცოტა შევნაყრდი და ორიოდე ჭიქა არაყიც გადავკარი.

ჩქარა გავიარე წებელდა, მისი თამბაქოს შესანიშნავი  
პლანტაციები, მივუახლოვდი ცნობილ უძველეს სიმაგრეს,  
მქუხარე ამტკელს. გათავდა გზატკეცილი, მის იქით მიყევი  
ე. წ. სოხუმის გზას, თავდაპირველად ხშირ ტყეში მიმავალ  
ბილიქს, სულ აღმა, მთისკენ, მერე კლდეებით, კოდორის  
მაღალ სანაპიროს; ქვემოთ კი, სადღაც ხევში, გრვინვა-  
ლრიალით გადარბოდა კოდორი და ზღვისკენ მიექანებოდა.

ჩემ წინ აღიმართა ბალათის ცადაბჯენილი კლდე, რომლის  
ფერდზე გამოკრილი იყო ორიოდე მეტრის სიგანის ბილიკი.  
ამის შემდეგ შიგადექი ბონდის ხიდს. პმ, ხიდი-მეთქი! აბა, რას  
ვამბობ, სად იყო ხიდი! აი, რას წარმოადგენდა ის: ერთი  
ნაპირიდან მეორეზე მსუბუქად გადაჭიმულ და სახელდახე-  
ლოდ მიმგრებულ ფოლადის საჭ ბაგირზე დაწყობილი იყო  
თხელი ფიცრები. როგორც კი ფეხს შედგამდით, მთელი „ხი-  
დი“ იწყებდა რყევას, როგორც ორ ტოტს შუა ჩამოკიდებუ-  
ლი გამაკი, ხოლო ფიცრები კი პიანინოს კლავიშებივით არა-  
კუნდებოდნენ. როცა მასზე ჯვუფად გადადიოდნენ აღამიანე-  
ბი, ან ჭოგ შერეკავდნენ, ხიდი ისე ირწეოდა, როგორც  
მლელვარე ზღვაში შეცურებული ცეროდენა ბაიდა. ამ ხიდს



დიდი ხნის ისტორია ჰქონია; ცხენოსანი და ქვეითი მგზავრების გველთვის მასზე გადადიოდნენ, მაგრამ არასოდეს არავითარ საფრთხეს არ გრძნობდნენ. მიუჩეველი იდამიანისთვის კი ის ნამდვილი ბეჭვის ხიდი იყო.

ბაღათის გრძელი ბილიკი ალაგ-ალაგ ისე წვრილდებოდა, ისე იყო ჩამოშვებული, რომ ცხენს საშინელ ადგილებში უხდებოდა გავლა. საქმარისი იყო ფეხის ერთი დაცდენა, ერთი წაფორხილება, რომ კაცი თავს ვერ შეიძიგრებდა, უძირო ხრამში გადაეშეებოდა. ჩვენი იქ გავლის ერთი წლის წინ გერმანიუკმა იქ დაპარგა თავისი შესანიშნავი ცხენი. თურმე მოაღწია თუ არა აქამდე, დარწმუნდა, რომ ცხენდაცხენ ვერ გაივლიდა, ამიტომ გადმოსულა, აღვირზე ხელი მოუკიდია და წინ გაძლოლა. ჰქვიანი ცხენი ერთ ხასს ნება-ნება, ფრთხილად მიჰყოლია, მაგრამ უცებ ფლოქვი წამოუკრავს ქვაზე და ხრამში გადაჩეხილა, კინალამ გერმანიუკიც თან გაუტაცია.

— მალლიდან რომ დავხედე, ცრემლი მომერია, — გულის ტკივილით ამბობდა გერმანიუკი, — სადღაც ორწოხში ჩაენარცხა. ერთ ხასს გაოგნებული ვიდექი, მერე, როგორც იყო, გონება მოვიკრიბე, კედელივით ამართულ სალი კლდის ძირში ჩავედი. ჩემი „ყორანა“ უკვე მკვდარი იყო, მთელი ტანი ჩაჩეჩებილი ჰქონდა... უნაგირი მოვხსენი, ზურგზე ავიყიდე, ისევ ამოვყევი კლდეს, სული კბილით ამოვიტანე მაღლა...

გერმანიუკის ცხენი მგლებსა და მელიებს გაუძიძგნიათ; იმ დღესაც იქვე, ქვებზე ეყარა მისი ძვლები...

\*

... როგორც იყო ხრამი გათავდა. ტყეს მივყეცი. ჩქარა ლატიც გამოჩნდა.

ოთხი საათი იქნებოდა, როცა უკვე გერმანიუკის კოხტაღ მორთულ ქოხში ვიჯექი გულუხვად გაშლილ სუფრასთან და მადიანად შევექცეოდი გარეული ღორის ხორცს. ცალთვალა შიდლოვსკიც იქ მოვიდა, ჩვენ საუბარი გავაბით. როგორც

საერთოდ სჩევენიათ ხოლმე მონადირეებს, ბევრი რამ



რით ერთმანეთს...

გადავწყვიტეთ, მეორე დილას აღრე გავსულიყაფიშას სულიერი დიროდ.

სალამოს ათ საათზე უკვე რბილ ლოგინში ვიწევი.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. აღმოსავლეთით ცის კიდეს შუქი ნელ-ნელა ეფინებოდა. ასეთ ბინდბუნდშიაც კი გერმანიუკის მახვილი თვალები ყველაფერს ნათლად არკვევდა და ჩვენ არხეინად მივყვებოდით მთის მიხეეულ-მოხეეულ ბილის. თავდაპირველად აღმართს შევუდექით, მთის პატარა მდინარე უჩქურმის პირად. მერე ქვებით ჩახერგილ ვიწრო ადგილს გავფონეთ: მის მჩქეფარე, აქაფებულ ტალღებში, შევიჭერით ტყის სილრმეში; აქ უკვე ბილიკის ნასახიც არსად აჩნდა.

წინ მიდიოდა გერმანიუკი, მერე შიდლოვსკი, რომელსაც თავისი „ავოსკა“ ყელსაბამით მიჰყავდა, ბოლოს მივყვებოდი მე. ჩემს ამხანაგებს ჰქონდათ ჩვეულებრივი ბელგიური იაფენასიანი, სადალულიანი „ცენტრალკები“, მე კი — შტუცერი, რომელშიც ბერდანის ვაზნა თამამად ჩადიოდა. გერმანიუკი არ სცნობდა არავითარ გაუმჯობესებულ ტყვიას, როგორიც იყო „ფაქანი“, უბრალო, მრგვალი ტყვიითაც შესანიშნავად ჰკლავდა ღორებსა და დათვებს, ხოლო თუ ეს არ ჰქონდა, მსხვილ საფანტს, „კარტეჩს“, ხმარობდა.

„ავოსკას“ თავი მაღლა ეჭირა, ჩერდებოდა და წარამარა სუნველა ბუჩქებს; მერე შედგებოდა და ცხვირს ხან ერთ მხარეზე გასწევდა, ხან მეორეზე.

მზე მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა უკვე ხუთიოდე კილომეტრი გავიარეთ. მივდიოდით ჩუმად, თუმცა გერმანიუკმა გაგვაფრთხილა: ვიდრე „განდგომილებით“ დასახლებულ ზონას არ გავცილდებით, ნადირობას ვერ დავიწყებთ, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე საჭირო არაა.

ჩვენ სულ მივდიოდით, ვიდრე „განდგომილთა“ უკანასკნელი ქოხი თვალთ არ მიეფარა.

— აი, ყველაზე შორეული „განდგომილი“, ახლა მეტს არ შევხდებით! — წარმოთქვა გერმანიუქმა, რომელსაც საშინაო ლად ეზარებოდა ეს „განდგომილები“, ზედაცემულებს, ნაძირალებს და მუქთახორებს ეძახდა მათ. — ჩქარა შეიძლება ავუშვათ „აკოსკა“! — დასძინა მან ბოლოს.

မართლაც, ოციოდე წုံးတီ၏ შიღღლოვსკიმ ငაღლး ဖုန်း  
အျော်သာ ဖြစ်ပါသည်။ မြတ်လွှာတဲ့ မြတ်လွှာတဲ့ မြတ်လွှာတဲ့

დაღლი განიერი ნახტომებით გაექანა წყვეტის მაღალი ბუჩქებისაკენ. შეჩერდა. ცხვირი ჰაერში მიაქან-მოაქანა, დააცემინა და კვლავ განიერი ნახტომებით გასწია წინ.

ტყეში უკვე დილის სინათლე იყო. შორიდან მოჩანდა, როგორ დახტოდა „ავოსკა“, როგორ მიზბოდა ერთიდან მეორე ბუჩქამდე, როგორ სუნავდა და ეძებდა ნაღირს.

„ავოსკას“ საოცარი ყნოსვა ჰქონდა. ჩვეულებრივად იგი ფართოდ კი არ ეძებდა კვალს, არამედ, როგორც კი მიუახლოვდებოდა ბუჩქს, უმალვე ყნოსვას დაძაბავდა და ზუსტად არკვევდა, იყვნენ თუ არა იქ ღორები. ხოლო, როცა მიაკვლევდა, მოწყვეტით შეიჭრებოდა შიგ, ბოხი ხმით დაუწყებდა ყეფას, ისე შეუტევდა, რომ გამოაგდებდა იქიდან და ყეფითვე იედევნებოდა. „ავოსკას“ არ უყვარდა ძალლები, ყოველთვის მარტო ნადირობდა; გერმანიუკი გვარწმუნებდა, — ისეთი ერთგული და მუშაა, ას შეძებარში არ გავცელო.

შეც ძალიან მინდოდა დავრტმუნებულიყავი „ავოსკას“ შესანიშნავ თვისებებში. ამიტომ სამიცენი დავდიოდით ისე, რომ ის ყოველთვის ჩვენი კამპანიის შუა ადგილს იყო მოქცეული.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ „ავოსკამ“ უცებ დაბალი, ბოხი ხმით დაიყენა.

გვიმრის ხშირი ბუჩქიდან გამოვარდა უზარმაზარი ტახი  
და გაიქცა იქით, სადაც გერმანიუკი მიდიოდა.

ჩვენ ხეებს ამოვეთვარეთ.

ოცდაათიოდე ნაბიჭვე მიუშვა, დაუმიზნა და მსხვილი ტყვიით მარჯვენა წინა ფეხი გადაუმტკრია.

ლორი სამი ფეხით სწრაფად გამოექანა ჩვენკენ, მეურა  
დაღმართით გაეშურა და ასიოდე ნაბიჯზე ხრამში გაფარგლებულია

მოწყვეტით გავეშურე იქით. ვიდრე მე მივიღოდმი, კინ მაღლიერი  
მიიჭრა მასთან და მძიმედ დაჭრილ ნადირს ეცა.

ლორი ცდილობდა მოპირდაპირე დაქანებულ ნაპირზე  
ასულიყო, მაგრამ ჭრილობის გამო ვერ ახერხებდა. საში-  
ნელი გაღიზიანებით ქშურდა, ხან შემოუტევდა ძალლს, რო-  
მელიც ზედ აჯდებოდა ქეჩოზე, ხან მთელი ძალ-ღონით ცდი-  
ლობდა, როგორმე აფორთხებულიყო მეორე ნაპირზე, მაგრამ  
ამაღლ, ყოველთვის ძირს ვარდებოდა. ამასობაში ჩემმა შტუ-  
ცერმაც დაიჭიქა. ლორი იქვე დაეცა, მხოლოდ ფეხები გაა-  
სავსავა. ამხანაგები უკვე გვერდით მედგნენ, მილოცავდნენ  
გამარჯვებას. მერე ჩავედით და მის ამოთრევას შევუდექით.  
ლორი დაახლოებით ცხრა ფუთი იქნებოდა.

— რა მძიმეა ეს ვერანა! ამისი წამოგორება უფრო ადვი-  
ლია, ვიდრე თრევა, მოდით, გამოვშიგნოთ, ცოტა შემსუბუქ-  
დება! — ვეუბნები ამხანაგებს.

— არ შეიძლება, ევგენი ლვოვიჩ! — მითხრა გერმანიუკ-  
მა — ჯერ უნდა გავტრუსოთ! არა უშავს რა, ამოვათრევთ!

სამივე ერთბაშად დავეჭიდეთ: ხან ჯოხები ამოვუდეთ  
ბერკეტებივით, ხან ფეხებზე ხელი ჩავავლეთ, ხან ვაგორა-  
ვეთ... დიდხანს ვეწვალეთ. ბოლოს, როგორც იყო, ამოვათ-  
რიეთ ხევიდან, მინდორზე გავიტანეთ, უნდა გაგვეტრუსა.

მე და შიდლოვსკი ზედ დავჭიქით. სურნელოვანი თამბა-  
ქო ამოვიღე, გავაწვიე, სიამოვნებით გავაბოლე; ბედნიერე-  
ბის შეგრძნობით გულამაყად ვიჭექი მოკლულ ლორზე, მაღა-  
ლი ხეების ჩრდილში. ქვეყანა ჩემი მეგონა, ბაგშვივით მიხა-  
როდა.

უცებ სადღაც სულ იხლოს კვლავ გაისმა „ავოსკას“ ბოხი  
ხმით ყეფა. თვალის დახამხამებაში ოციოდე ლორი ერთად  
გამოჩნდა და, ჩვენს ზემოთ, მთისკენ გაეშურა. ის იყო ადგი-  
ლიდან წამოვიჭირით, უნდა გვესროლა, მაგრამ ლორები უკვე  
თვალთ მიეფარნენ.

— დე, წავიდნენ! ინავარდონ! სულ ერთია „ავოსკა“  
მაინც მიაკვლევს! — თქვა გერმანიუკმა.

ფიჩი მოვაგროვეთ.

კოცონი გავაჩაღეთ.

თავდაპირველად ლორს ზურგზე ჭავარი ავაცალეთ, მერე, როცა ალი ათამაშდა, შიგ შევაგდეთ და ტრუსვა დავუწყეთ. შიდლოვსკიმ მუხის ქერქი მოაჩხენინა, მაგრად დაუწყო ხე-ხვა, როცა ცალ მხარეზე ჭავარი სულ გააცალა და კანი მოეხ-რუკა, ცეცხლიდან გადმოვათრიეთ. შიდლოვსკიმ ისევ აამუ-შავა ხელები. ცეცხლით შეტრუსული ფერდი მალე გაფხიქა, გაათეთრა და ისე გაასუფთავა, როგორც შინაური ლორი. ასეთივე წესით გავასუფთავეთ მეორე ფერდი, თავი და ფე-ხებიც. ორიოდე საათის შემდეგ სრულიად გასუფთავებული ლორი იდო ჩამოცვენილ ფოთლებზე, კოდორის ასწლოვანი ხეების ჩრდილში.

— თურმე ნამდვილი პარიქმახერი ვყოფილვარ! შეხედე, როგორ გავაარსე! შესანიშნავია! — იცინოდა შიდლოვსკი და თვალს მიკრავდა.

მე კი უნდა გამოვტყდე, შემენანა კიდეც, როცა ვხედავდი უბრალო ხორცად ქცეულ ამ უზარმაზარ ნაღირს, რომელიც რამდენიმე ხნის წინ თავისიუფლად დაშლიგინობდა იმ უსიერ ტყეში და სრულიად არ მოელოდა, თუ მრისხანე ადამიანის მიერ ნასროლი ტყვია წააქცევდა; ამ ტყვიამ კი ის ყასაბის დახლზე დასადებად და მისი დანით დასაჭრელ უბრალო ხორცად აქცია. ახალგატრუსული ლორი გამოშიგნა გერმა-ნიუქმა, ქონმოდებული შიგნეულობა გამოაცალა, კუჭი გაჭ-რა. ის სავსე იყო დაღეჭილი თეთრი წაბლით.

ეტყობოდა, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით წაბლით იკვებებოდა. კოდორის ტყის ლორების ხორციც სწორედ იმიტომ იყო განთქმული თავისი გემოთი, რომ ისინი მხო-ლოდ წაბლით იკვებებოდნენ. როცა ყველაფერი მოვათავეთ, ხეზე ჩამოვკიდეთ, რომ მტაცებელი მხეცი არ მიჰკარებოდა.

მერე დავჭექით და მაღიანად ვისაუზმეთ.

— კიდევ ორიოდე უნდა მოვკლათ! ამაღამ მთვარე არ იქნება, სახლიდან კი ძალიან შორს წამოვედით! — თქვა გერ-მანიუქმა.

„ავოსკა“ ისევ წავაქეზეთ და მივყევით ტყეს. ლორი მარ-



თლაც ბევრი იყო. გზაზე შემთხვევით ახეტებულ დათუნისასაც წავაწყდით. ის ორასიოდე ნაბიჯზე უცებ ჩამოვორდა და მუნდულით აპყვა მთისკენ. სამჯერ ზედიზედ დავახალეთ თოფები, მაგრამ არც ერთი ტყევია არ მოხვედრია, პირიქით, სროლის შიშვა უფრო მეტი სიმარდე შემატა მის თაოებს და უმალვე გაუჩინარდა ტყეში.

განშრაბული გვერდა კიდევ ორი ღორი მოგვეყლა. მაგრამ ერთის მეტი ვერ მოვკალით, თუმცა დიდი კი იყო, რვა ფუთზე მეტი იქნებოდა. როგორც კი წამოაგდო „ავოსკამ“, უმალვე ტყისკენ გაეჭანა, საოცარი სისწრაფით მიღიოდა, მაგრამ ისე ოსტატურად მოვარტყით ტყვია, რომ საღაც დაეცა, იქვე ფეხები გაასავსავა: პირდაპირ მხარში მოხვედროდა.

ეს ახალი ღორი უკვე აღარ გაგვიტრუსავს: დრო აღარ იყო. ისედაც დიდი ხანი მოვანდომეთ პირველი ღორის გატრუსვას. ხუთი საათი იქნებოდა. ძალიან დიდი სიჩქარის გამოჩენა გვმართებდა, რომ გზა არ აგვანეოდა და დღის სინათლით გამოვსულიყავით ტყიდან.

გამოვშიგნეთ თუ არა, ისიც იქ მივათრიეთ, საღაც პირველი ღორი იყო, და მის გვერდით დავკიდეთ ხეზე.

ჩქარა გაუუდექით გზას შინისკენ.

დაახლოებით ერთი საათი ვიარეთ. გერმანიუკი ერთგან ბილიქზე შეჩერდა და აბნეულად განაცხადა:

— ნამდვილ გზაზე ვეღარ მოვხვდით, ახლა უკვე ძნელია გაგნება! ბნელი ღამით გზის ძებნა არც ისე ადვილი საქმეა: ვინ იცის, რა შეგვემთხვეს! იცით რა, ევგენი ლვოვიჩ, მოდი ნახარბეისთან გავათიოთ ღამე... აქვეა, სულ ახლოს... თქვენ რომ არ იყოთ, მე და შიდლოვსკი ამაღამაც წავიდოდით, მაგრამ თქვენთვის საშიშია, საღმე თვალები არ დაითხაროთ, ან ფეხი არ მოიტეხოთ! წავიდეთ?..

— როგორც გინდათ! თქვენი ნებაა! სიმარტლე რომ გითხრათ, არც მე შემიძლია ტყეში ხეტიალი ღამით! რა თქმა უნდა, უმჯობესია საღმე თავი შევაფაროთ, თუ მოხერხდება!

— მაშ, წავიდეთ!

აჩქარებული ნაბიჯებით მივყევით ბილიქს, რომელიც

თითქოს განზრახ იყარგებოდა, ხან გვიმრასა და წყავის ნაძირ  
ბუჩქებში, ხან კი სადღაც განზე უხვევდა.

— ნახარბეი კურდღლივით ფრთხილად ზის თავის ქონ-  
ში. ყაჩაღად გაჭრილი კაცია, შურისძიებისა ეშინია! სისხლის  
აღებას გამოექცა... კარგი კაცია, მაგრამ, აბა, რა უშველო,  
როცა ასეთია მათი ბრიყეული ჩვეულება! — გულისტკივი-  
ლით ამბობდა გერმანიუკი.

მისმა ნათქვამმა განსაკუთრებით დამაინტერესა. ძალიან  
მინდოდა ახლოს გავცნობოდი ტყეში ყაჩაღად გაჭრილ კაცს.  
რომელიც საშინელ აღათს — სისხლის აღებას — გამოქ-  
ცეოდა და ტყეს შეფარებოდა.

ამასობაში მომცრო მთის წვერისკენ ავუხვიეთ, დაღმა  
დავეშვით ხევისკენ, სადაც მიწის მცირე ნაკვეთი მოსუფთა-  
ვებული იყო. ამ ნაკვეთს ყოველის მხრიდან კედელივით  
ხშირი ტყე ერტყა. მივიხედ-მოვიხედე, ერთ მხარეზე ძლიერ  
შევნიშნე ფაცხა, რომლის სახურავიდან კვამლი ამოდიოდა.

თუმცა ფრთხილად მივდიოდით, მაგრამ ძალებმა მაინც  
გაგვიგეს, ორი პატარა ძალი ყეფით გამოექანა.

ამ ღროს ფაცხის კარი გაიღო, იქიდან გამოვარდა თო-  
ფიანი კაცი, რომელიც შვლის რამდენიმე ნახტომით მახლო-  
ბელ ხეს ამოეფარა.

— ნახარბეი, მე ვარ! ნუ გეშინია! — შესძახა გერმა-  
ნიუქმა.

კაცი მოშორდა ხეს და ნელი ნაბიჯით ჩვენკენ წამოვიდა.  
ძალებმა უთუოდ იგრძნეს, რომ სახიფათო არაფერი იყო,  
და გაჩუმდნენ, შორიახლო დაგვიარეს, მაგრამ უზარმაზარ  
„ავოსკას“ მაინც უნდობლად, ყრუდ ულრენდნენ. „ავოსკა“  
კი ყურადღებასაც არ ძეცევდა.

გერმანიუკი მეგობრულად მიესალმა ნახარბეის, ხელი ჩა-  
მოაჩთვა, ჩვეულებისამებრ მოიკითხა მისი ჭანმრთელობა.  
მერე მე გამაცნო. ჩემი კარგი მეგობარია, სოხუმიდან მე-  
წვიაო, უთხრა.

— გთხოვთ, მობრძანდეთ! სამწუხაროდ, ვერაფრით გასია-  
მოვნებთ! ხომ მოგეხსენებათ ტყეში გაჭრილი კაცის ცხოვ-  
რება! მობრძანდით! — თავაზიანად მიგვიპატიუა ნახარბეიმ.

ნახარბეი ორმოციოდე წლისა იქნებოდა. ეს იყო განაცი/სასიამოვნო შესახედავი, კაფანდარა, მაგრამ ენერგიისთვის სავსე კაცი. მას ძალიან შვენოდა აფხაზური მოკლე ჩოხა, წელზე შემოჭრილ ქამარზე ლამაზი სატევარი ეკიდა, ფეხზე ქალამანი და შინ ნაქსოვი პაჭიშები ეცვა. მისი ხშირი წარბების ქვეშ მკვირცხლად გამომზირალ თვალებში მუდმივი შიში და მოუსვენრობა იგრძნობოდა: ყოველ წამს აქეთ-იქით იც-ქირებოდა, ნერვიულად ივლებდა ხელს, ხან წვერზე, ხან სატევარზე, ხან ჯიბეზე.

როცა ფაცხაში შევედით, თვალი ვერ გავახილე, ისეთი კვამლი იდგა. როგორც იყო, კერის პირას დაეჭექით ჭორ-კოებზე, თოფები კედელზე დავკიდეთ, ხის კაუჭებზე, „ავოს-რა“ უკვე სოხანეზე დაწოლილიყო და თვალებს ნაბავდა, ძილი ერეოდა.

კერიასთან იჯდა ნახარბეის ცოლი, გარევნულად იგი ქმარზე უფრო ხნიერი ჩანდა, კალთაში მძინარე ძუძუთა ბავშვი ეწვა. იქვე, კედელთან მიღმულ ძელებისაგან სახელ-დახელოდ შეკრულ ტახტზე მიწოლილიყო ორი ბავშვი, ფეხები ერთიმეორებზე გადაეწყოთ და იმათაც ეძინათ. ხოლო ყველაზე უფროსი, შვილიოდე წლის ყმაწვილი, დედას კისერ-ზე შემოხვევოდა, გამხდარ მკერდზე მიწოლოდა და ძუძუს წოვდა. არასოდეს მენახა, რომ ამხელა ბიჭს დედის ძუძუ ეწოვოს, გამიკვირდა, თავი ვერ შევიყავე და ვკითხე:

— ეს რა არის?

— ჩვენში ასეთი კანონია! — თითქოს დანაშაულზე წაუ-სწრესო, ისე მიპასუხა ნახარბეიმ. მერე ნელი ხმით განაგ-რძო, — ამის შემდეგ კიდევ სამი ბავშვი მყავს, მაგრამ დე-დის ძუძუს მაინც წოვენ... ეს ძალიან კარგია — ჯანმრთელი და ღონიერი იქნება!

ყმაწვილი კი გართული იყო თავისი საქმით, სრულიად არ აქცევდა ყურადღებას ჩვენს საუბარს, არც მოგვრიდებია, ხბოსავით მიღვომოდა დედას, პირს აწკლარტუნებდა და წოვდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. რაღაც ძალიან შორეუ-ლი, პირველყოფილი ამბავი მომავრნა ამ სურათმა: თვალწინ წარმომიდგა ოდესლაც მღვიმეებსა და გამოქვაბულებში მცხოვრები ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრება...



— უთუოდ იქიდან არის შემორჩენილი ეს ჩვეულებებისათვეა  
გავიფიქრე გუნებაში.

აფხაზურმა სტუმართმოყვარეობამ აქაც, ამ უღარიბესი,  
დევნილი კაცის ფაცხაშიც, იჩინა თავი. მასპინძლის ბრძანე-  
ბით მისი ცოლი უმალვე შეუდგა ფქვილის ღომისთვის  
წყლის აღუღებას. ნახარბეიმ პატარა კიბე მიიდგა სხვენზე და  
იქიდან ჩამოილო სრულიად გამომხმარი, დიდი ხნის წინათ  
მოკლული ჯიხეის ბარკალი. ხორცი ისე დამჭკნარი და გამო-  
მშრალი იყო, რომ თხელ ფენად ძლივსლა გადაკვროდა ძვალს.  
ჭვარტლისა და მტვრის სქელი ფენა, რომელიც ბარკალს  
მოსდებოდა, ჯერ მუხლზე დაიფერთხა, მერე ბარკალი ხანჯ-  
ლით წვრილ-წვრილად დაჭრა, წკნელზე წამოაცვა და კერიი-  
დან გამოყრილ ნაკვერცხალზე დაატრიალა.

ნახევარ საათში ორთქლში გახვეული ცხელი ღომი, აფხა-  
ზური ყველი და მჟღე, მაგრამ მეტად გემრიელი ჯიხეის  
ხორცის მწვადი ამშვენებდა სუფრას. ჩვენ შევუდექით ჭამას,  
ზედ დავაყოლეთ არაყი, რომელიც ნადირობისას ყოველთვის  
თან დამქონდა ხოლმე. ნავახშმევს კერიის პირას, სოხანეზე,  
გავშალეთ ბეწვიანი ტყავები და დავიძინეთ.

\*

ჭილოუს თემის ერთ-ერთ სოფელში თავის მიწის მცირედ  
ნაკვეთს მშეიღობიანად ამუშავებდა ნახარბეი. მისი ეზოს  
ხეები დაებურა იზაბელას ვაზს. იქვე იდგა ექვსი უზარმაზარი  
ქალის ხე. ოჯახი უზრუნველყოფილი იყო სიმინდით. ათიო-  
დე ცხვარი და ხუთი თხა საქმაო რძეს იძლეოდა და ყველიც  
ყოველთვის სამყოფა პქონდათ. ნახარბეი ღარიბი იყო, მაგრამ  
როგორც ასობით მისი თანასოფლელი, ცხოვრობდა პატიო-  
სანი შრომით და მომავალს იმედიანად შესცეროდა.

მეზობლად, მიწის მცირედ ნაკვეთზე, ესახლა მისი მეგო-  
ბარი — კიჩინ ახუბა. მეზობლებს არასოდეს უჩხუბიათ,  
მშვიდად ცხოვრობდნენ, მეგობრებად ითვლებოდნენ და მათი  
ცოლებიც კარგად იყვნენ ერთმანეთთან განწყობილნი.

ისე იყო მრავალი წლის განმავლობაში, მაგრამ ერთხელ  
ისეთი ამბავი დატრიალდა, რომ ყოველივე ეს ჩაიფუშა,



დაირღვა მათი შეგობრული ურთიერთობა და ორივე სოფიანების  
დიდი უბედურება დატყდა თავს.

ივლისის პაპანაქება სიცხე იდგა, ნახარბეი გამალებით  
მარგლიდა სიმინდს. მუშაობაში ეხმარებოდა მისი უმცროსი  
ძმა — ძიები, რომელსაც მასთან ერთად დავალებული ჰქონდა  
თვალყური ედევნებინა ნახარბეის შებორჯილი ცხენისათვის,  
რომელიც მახლობლად ძოვდა ბალახს. შუადღისას, როცა  
მზემ მაგრად დააცხუნა, ნახარბეიმ და ძიები ჩრდილს მია-  
შურეს, წამოწვნენ. ორივეს ჩაეძინა.

მცირე ხნის შემდეგ მათთან მივარდა გაცოფებული კიჩი-  
ნი, რომელსაც სიბრაზისაგან თვალები საოცრად ანთებოდა,  
ხელები უკანკალებდა, ტუჩებზე დუუმორეულმა ლანძღვა-  
გინებით აიკლო ძმები.

— რას უყურებთ, თქვე ძალლო-მამაძალლებო! ვერ დაი-  
ნახეთ, რომ თქვენმა ცხენმა სულ მოძოვა და გადაჭეკნა ჩემი  
სიმინდი? თქვე ყაჩალებო, თქვენა, თავს გაგიხეთქავთ ამის-  
თვის...

— დამშვიდდი, კიჩინ, ნუ ღელავ, ლანძღვა-გინება რა სა-  
ჭიროა! — მშვიდად დაუწყო ნახარბეიმ. — ამისათვის რო-  
გორ გაწყენინებ... ჩემი ამბავი ხომ კარგად იცი, ერთს ორად  
გადაგიხდი, ნუ გვლანძლავ, დაწყენარდი!

ბევრს ეცადა ნახარბეი, მაგრამ მეზობელი მაინც სულ  
უფრო ანჩხლობდა, ყვიროდა, იგინებოდა, თან ირწმუნებო-  
და — ცხენი განგებ გაუშვიოთ ჩემს ყანაში, რომ შიმშილით  
ამომიწყდეს ცოლ-შვილი, შეგშურდათ, რომ თქვენზე უკე-  
ოესი ყანა მქონდაო...

ნახარბეიმ დიდხანს უთმინა, მერე თვითონაც დაუწყო  
ყვირილი. საოცრად დაემუქრნენ ერთმანეთს. კიჩინმა უცებ  
იძრო ხანგალი და, ის იყო, უნდა ჩაეცა მისთვის, მაგრამ  
ნახარბეიმ მძიმე თოხი მაგრად მოუქნია და, რაც ძალი და  
ღონე ჰქონდა, დაპკრა.

თავგაპობილი კიჩინი იქვე უსულოდ დაეცა.

მოცვივლნენ მეზობლები, შეიქნა ერთი უშველებელი წი-  
ვილ-კივილი. ნახარბეი კი ცოლმა გაიტაცა და ფაცხაში  
შეაგდო.



ნახარბეი ტახტზე იჯდა, ხელები თავზე ეტაცნა, უოველადოვა  
გვარი მოსაზრებისა და ფიქრის უნარი წართმოდა.

მახლობლად კი, წკნელის ლობის გადაღმა, მთელი სოფე-  
ლი შეყრილიყო, გაისმოდა საშინელი წივილ-კივილი...

გონიერმა ყმაწვილმა ძიყიმ საერთო არეულ-დარეულო-  
ბით ისარგებლა: ცხენი, რომელიც კიჩინს დაეჭირა და თავის  
ქოხთან მიება, უკვე ნახარბეის ფაცხის წინ მოიყვანა...

მთელი სოფელი აიყარა — დიდი და პატარა, ქალი თუ  
კაცი გამორბოდნენ მოკლულის სახლისკენ...

ნახარბეისაც მოაკითხეს ახლობლებმა და მოყვრებმა.

ნახარბეის მთელი სოფელი პატივისცემით ეპყრობოდა.  
ამიტომ უცხადებდნენ თანაგრძნობას ამ უბედური შემთხვევ-  
ვის გამო. მერე გადადიოდნენ მეზობლის ეზოში, რომ წესი-  
მებრ, ხმამაღლა ეტირათ, ეკივლათ და ამით თანაგრძნობა  
გამოეცხადებინათ მოკლულის ჭირისუფლისათვის. ასეთი იყო  
ოდითვე მომდინარე ურღვევი წესი...

— ნახარბეი, იცოდე, — წასვლისას უთხრა მას ცოლის  
ბიძამ, ას ორი წლის მოხუცმა, მთელს თემში ყველასაგან  
პატივცემულმა მისოსტრომ, — დილით აქ არც ერთი თქვენ-  
განი არ უნდა იყოს! ადათის მიხედვით „სისხლის აღება“  
იწყება მოკლულის გამოტირებისა და დაკრძალვის შემდეგ,  
მაგრამ ნათქვამია, სიფრთხილეს თვით არ სტკივაო, ვინ იცის,  
იქნებ კიჩინის რომელიმე ახალგაზრდა ნათესავი აჩქარდეს,  
შემოგივარდეს და მოგალას... მაშინ?... ამიტომ, აჯობებს,  
ამაღამვე თავს უშველე... მიიმალე... სად? ვისთან? აბა, მე  
რაღა უნდა გირჩიო?! თვითონ მოიფიქრე!.. ქვეყანა დიდია!  
ჩემი ცხენიც წაიყვანე... ოღონდ, იცოდე, არავინ შეგნიშნოს...  
მერე ვიტყვი, რომ შენ მომპარე ის... გასაგებია? ჰო, ასე!  
თავს უშველე, ამაღამვე! არ დააყოვნო...

მეორე დილის ნახარბეის ფაცხაში აღამიანის ჭაჭანება არ  
იყო — მთელი ოჯახი გახიზნულიყო: არც ცხენი ჩანდა, არც  
ცხვარი, არც თხა, ქათმებიც კი არ დაეტოვებინათ. ეზოში  
სამარისებური სიჩუმე დამკვიდრებულიყო.

აი, როგორ მომხდარა ყოველივე ეს. შუაღამე გადასული-  
ყო. მთელ სოფელს ეძინა, თვით მოკლულის სახლშიც კი არ



ისმოდა ტირილი და მოთქმა; ნახარბეიმ დატოვა უკავშირის  
სახლ-კარი. წაიღო მხოლოდ წვრილმანი ნივთები, ერთ ცხენ-  
ზე შესვა ცოლი და ძუძუთა ბავშვი, მეორეზე ხურჭინი გა-  
დაჰქიდა და ორი მოზრდილი ბავშვი ჩასვა იქეთ-აქეთ. ნა-  
ხარბეისა და ძიკის ზურგზე ეკიდათ ცხვრის ტყავის ხალთები  
და ცხვრებსა და თხებს მიერეკებოდნენ.

გზაზე არავინ შეხვედრიათ.

თუმცა ყოველი უბრალო ჩქამიც კი შიშის ზარს სცემდათ,  
დამფრთხალი მტრედებივით აცეცებდნენ თვალებს, ეშინო-  
დათ, მდევრები არ წამოგვეწიონ, ასე მოვიდნენ უდაბურ  
ტყეში და მთის ერთ პატარა მდინარის პირას შეჩერდნენ.

კიჩინს ბევრი ნათესავი და ახლობელი მეგობარი ჰყავდა,  
მაგრამ ნახარბეის საბედნიეროდ იმ უბედური შემთხვევის  
დღეს სოფელში არავინ აღმოჩნდა. ადათის მიხედვით კი  
სისხლის ამღების ამორჩევა უნდა მომხდარიყო მთელი ნა-  
თესაობის დასწრებით. მაგრამ საოჯახო საბჭომ თავი მხოლოდ  
ნახარბეის გაქცევის მესამე თუ მეოთხე დღეს მოიყარა. საბ-  
ჭომ დაადგინა, პირველად შური უნდა ეძია ჭოტოს — მოქ-  
ლულის უმცროს ძმას, ვინაიდან კიჩინის ვაჟი ვერ კიდევ მცი-  
რეწლოვანი იყო. ჭოტოს შემდეგ სისხლის აღება ეკისრებო-  
და მის ბიძას, დურუს. თუ ეს ვერ აიღებდა სისხლს, შურის-  
ძიების უფლება ენიჭებოდა კიჩინის უფროს ვაჟს — ბადრის,  
როცა იგი წამოიზრდებოდა...

ძიკის დახმარებით ნახარბეიმ ხშირ ტყეში ჩქარა გააკეთა  
კარავი. აქ დააბინავა ცოლ-შვილი, თვითონ კი მთელი დღე-  
ების განმავლობაში კლდე-ლრეებში დაეხეტებოდა და ეძებდა  
მოხერხებულ თავშესაფარს, საღაც შესაძლებელი იქნებოდა  
უფრო უშიშრად მოწყობა. ბოლოს ტყით შემოსილ მაღალ  
მთებს უჟა მოქცეული ხეობის სილრმეში მიაგნო მყუდრო  
იდგილს, აქ დადგა უფრო მაგარი ფაცხა, რომელშიც ჩვენ  
ვეწვიეთ მას ლამის გასათევად.

ეს დევნილი კაცი თავისი ცოლ-შვილით უკვე ხუთ წელს  
ცხოვრიბდა აქ. მისი სამი ბავშვი უკვე წამოიზარდა, მეოთხე  
აქ შეეძინა. თავისი ძმა ძიკი, გამოქცევისა და აქ დამკვიდრე-  
ბის შემდეგ, დაუყოვნებლივ გაგზავნა დასთან, რომელიც

გათხოვილი იყო კალდაზვარას თემში, თან უბრძანა — უმშებელი წვილს სიკვდილამდე შეენახა საიღუმლოება და მისი აღვილ-სამყოფელის შესახებ არავისთვის, თვით დისტვისაც, არაფე-რი ეთქვა. თან დაარიგა, თვითონაც ფრთხილად ყოფილიყო და კიჩინის ნათესავების შურისძიებისათვის თავი გაერი-დებინა.

გონიერმა ყმაწვილმა ყველაფერი გულდასმით მოისმინა, დაემშეიღობა ყველას და წავიდა.

გაიარა გაქცევის პირველმა საშინელმა თვეებმა, შიმშილმა და ტანჯვა-წვალებამ; მთელი ოჯახი იკვებებოდა ნადირის ხორცით, ცხვრისა და თხის რძითა და შინიდან წამოღებული ცოტაოლენი სიმინდით. ნახარბეი სულ შიშობდა, არ გამ-უდავნებულიყო მისი აღვილსამყოფელი, ამიტომ უდიდესი რისკის გაწევით ორივე ცხენი მაყარელ სვანებს მიჰყიდა, ყუ-ბანიდან ჩამოვიყვანეო, უთხრა მყიდველებს. აღებული ფუ-ლით ლატში სიმინდი შეიძინა და დიდი სიფრთხილით ნა-წილ-ნაწილად გადაზიდა ტყეში. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა ჩემი მეგობარი გერმანიუკი. ეს იყო ერთადერთი კაცი, რომელიც მას გაეცნ ნადირობისას და რომელმაც იცოდა ნახარბეს მთელი საიღუმლოება.

ამის შემდეგ ნახარბეის ოჯახი უზრუნველყოფილი იყო საკუთარი სიმინდით, ყველითა-და თაფლით.

ოჯახი არ შიმშილობდა. ეს არ აწუხებდა. მაგრამ ერთი რამ ღრღნიდა მის სულსა და გულს. ეს იყო მშრბლიური აღვილებიდან გადახვეწით გამოწვეული სევდა. თვით ამ მომ-თხენ და ამტან აღამიანებსაც კი აღარ შეეძლოთ გაშლილი ბუნების წიაღში მხეცივით ცხოვრება. იგი ეჩვენებოდათ ცი-ხის ვიწრო საქნად, საიდანაც თავი ვერაფრით ვერ დაეღწიათ; მართალია, ტყე სიცოცხლეს უნარჩუნებდა, მაგრამ თავისუფ-ლებას უკვედა.

„როდისლა დამთავრდება ეს საშინელი წამება, ეს კატორ-ლული ცხოვრება, ასე ახლოს მშობლიური აღვილებიდან?“ — ეკითხებოდა ნახარბეი თავის თავს.

ბევრჯერ კინაღამ გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ მშობ-ლიურ სოფელში, პირდაპირ მისულიყვნენ ჭოტოს სახლში,



ხელი გაეწოდებინათ მისთვის, ეთხოვათ პატიება... არმაშუალებრივია იცოდა, რომ არაფერი გამოვიდოდა, არ აპატიებდნენ დანაშაულს. ამიტომ თავის თავზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მაგრამ ენანებოდა ბავშვები, რომლებიც ეს-ესაა იშეუბდნენ ცხოვრებას; მისი სიკვდილი სამუდამოდ დაღუპავდა მთელ ოჯახს: ცოლსაც, ბავშვებსაც. აი, რა აყავებდა ნახარბეის ტყეში. ასე იმაღებოდა თავის გამოქვაბულში, ბნელ მღვიმეში, რაღაცას ელოდა, რაღაცის იმედი ჰქონდა...

— ბავშვები რომ არა მყავდეს, თავს მოვიქლავდი! — არა ერთხელ უთქვამს გერმანიუკისათვის, როცა შეხვედებოდა ტყეში, ნადირობის დროს. — აბა, რისთვის ვცოცხლობ? რა-ტომ უნდა ვიყო ასე, რატომ უნდა გავურბოდე ყველას, როგორც მგელი? განა მე აღამიანი არა ვარ? განა მე მინდოდა კიჩინის მოკვლა? ბოროტმა სულმა აღმართა ჩემი ხელი და ჩამადუნინა ის, ჩემი ნება-სურვეილის წინააღმდეგ... თავი ვერ შევიკავე, როცა მან შეურაცხყოფა მომაყენა და დედა შემაგინა... თვალთ დამიბნელდა, გავიყდი, თვითონაც არ ვიცი, როგორ ჩავიდინე ის, რაც მოხდა!.. რაღა ვქნა ახლა, რა გზას დავადგე, რა ვიღონო? მირჩიე, მასწავლე...

გერმანიუკი შესანიშნავი მონადირე იყო, მაგრამ აფხაზების ზნე-ჩვეულებისა კი არაფერი იცოდა. მისთვის რჩევა-დარიგების მიცემა არ შეეძლო! ვერც ვერაფრით დაეხმარებოდა!

ნახარბეის კი სული და გული უბრუნდებოდა, დარღისა-გან დღითი დღე სულ უფრო ღნებოდა... ასე გადიოდა მის-თვის უსაზღვრო ტანგვით სავსე დღეები იმ უდაბურ ტყეში, ხსნა კი არსაით ჩანდა...

... გავიდა ხანი. ერთხელ, რომელიღაც „განდგომილს“ ლატში დუქნის წინ თავმოყრილ ნაცნობებთან საუბრის დროს წამოსცდენია:

„ტყის ჭურღმულში ვიღაც ყაჩაღი აფხაზი იმალებაო“.

ეს ამბავი თურმე ელვის სისწრაფით გავრცელებულა. მითქმა-მოთქმა მაღლ ჭილოუშიც ჩასულა, კიჩინის ნაცნობებებრებსაც ჩასწვეთებიათ ყურში. ჭოტო უმაღვე გადავარდნილა ნახარბეის საძებნელად...

ერთხელ სოხუმში მესტუმრა ჩემი მეგობარი გერმანიუკი. შემოდგა თუ არა სახლში ფეხი, უწინარეს ყოვლისა, მიამბო ამ ამბის საშინელი დასასრული.

ჯოტოს მიუკვლევია ნახარბეის ქოხისათვის.

ერთ ბნელ ღამეს მახლობლად ჩასაფრებია, უსროლია და ბერდანის ტყვიით გულის ფიცარი შეუნგრევია მისთვის.

— ახლა მისი შვილები უნდა მოემზადონ მამის სისხლის ასალებად, — ვუთხარი მე.

— როდემდის გაგრძელდება ასე? — შემექითხა იგი.

— ვიდრე ორივე მხარეზე ცოცხლები იქნებიან მამაკაცები! ასეთია საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული წყეული ადათი!...

— საშინელებაა! — ამოიხენეშა გერმანიუკმა.

— დიახ, საშინელებაა! ვინ მოსთვლის ამ ადათს რამდენი რჩეული ვაჟყაცი შეეწირა ამ წარმტაც მხარეში, სადაც ადამიანს არასოდეს მობეზრდება სიცოცხლე!...

\*

... ჩვენი ქვეყანა თავისუფლების მზემ გააბრწყინა. მოკვდა ყოველივე ძველი, დრომოჭმული, მიუღებელი. სისხლის ოლების ადათიც მოისპო...

უთუოდ არც ნახარბეის შვილებს დასჭირვებიათ შურისძიება...

## სახუნდარიძან



სამი დღეა მწყემსების ბინაზე ვართ და გამოდარებას ველო-დებით. გრიბზაზე დიდი ნისლი დგას და გამუდმებით წვიმს, ნადირობა ყოვლად შეუძლებელია.

მოწყენით მიიზლაზნება დღე-თოფებს ვწმენდთ და ლაყბო-ბაში ვატარებთ დროს. დრო-დადრო გარეთ გამოვდივართ, ამინდს ვაკვირდებით, მაგრამ

სანუგეშოს ვერასა ვხედავთ: ისეთი შავი ღრუბლებია ირგ-ვლივ ჩამოწლოლი, რომ ეტყობა, დიდხანს არ გამოიდარებს.

კიდევ ერთი ღამეც გავიდა. დილით ისევ წვიმს და მიდა-მო ისევ ნისლითაა დაფარული. გადავწყვიტეთ, თუ ამინდი არ გაუმჯობესდა, ხვალ უკან დაებრუნდეთ სოხუმში და გზა-ზე ფსხუში დათვებზე წავინადიროთ. დილით ცხენები შევ-კაზმეთ, ნაბდები წამოვისხით, თავები ყაბალახებით შევიკა-რით და უკან გამოვბრუნდით.

მწყემსების მთელი ბანაკი გამოვიდა ჩეენს გასაცილებელად. უფროსები პატივისცემის ნიშნად უზანგებს გვიჭერებს ახალგაზრდებს კი ლაგამებით უჭირავთ ცხენები.

ჩეენმა ქარავანმა ნელა იწყო ძირს ჩასვლა. ვეშვებია. რძესავით ოეთრი ნისლის ზღვაში, წვიმა გამუდმებით სცრის. მწყემსების ბინა მალე თვალთაგან მიგვეფარა.

წინ ბურუსში ოდნავად ჩანს მიმავალი მერაბის ზურგი. სად გაპქრენ მწვანე მდელოები, ნაპრალიანი კლდეები, უღელტეხილის სალი კლდეები? ისინი ერთბაშად ნისლმა

ჩაყლაპა, თითქოს აქ არასოდეს არ ყოფილა სხვა რაიმე.   
რადა ამ მოსაბეზრებელი სკელი ტენისა.

ძირს სადღაც მდინარე ხმაურობს, მერაბის უნაგირზე კი  
შეუჩერებლად ჩხაკუნობს ჩვენი ჩაიდანი, ხანაც ცხენი ქვას  
წამოჰკრავს დაჭედილ ფეხს და დაარღვევს რიტმული სვლის  
ტემპს. სადაც მივუშვი და საგსებით მივენდე ჩემს ცხენს,  
რომელმაც ჩემზე უკეთესად იცის, როგორ ჩაჰყვეს ამ ციცა-  
ბო ბილიკებს, როგორ გავიდეს ამ ხეობიდან.

ბურუსში აქა-იქ ხეები გამოჩნდა. რამდენადაც წინ მივ-  
დივარი, მათი რიცხვი უფრო და უფრო მატულობს, ისინი  
უფრო მაღლები და მსხილები ჩანან. ტყის ბილიქს მივყვე-  
ბით. გარშემო უზარმაზარი ცაცხვებია ამართული. ნისლი  
გათხელდა, უფრო განათღა. ზოგჯერ ვამჩნევთ, რომ ნისლის  
ფარატინები ჩქარა მიიწევენ ზევით და სივრცეში იყარგე-  
ბით. ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან გაიფანტება ბურუსი  
და გამოჩნდება ტყის ნაწილი მულამმწვანე ხეებით, ან ხაუს-  
მოკიდებული კლდის ქიმი.

წვიმამ გადაიღო. ქარმა დაუბერა და ქალალის დეკორა-  
ცია შეარხია. თითქოს უხილავმა მექანიკოსმა სცენაზე ფარ-  
დები ასწი-დასწია და შემდეგი მოქმედებისათვის დეკორაცია  
შესცვალაო, ისე გამოიცვალა პეიზაჟი. კვლავ დაუბერა ქარ-  
მა, ნისლის კედელი საბოლოოდ გაარღვევა და გაფანტა. მწვა-  
ნე, ხავერდოვანი, ღანამული და ხუჭუჭა ფსხუს ღაბლობი  
გამოჩნდა.

აქაფებულ მთის მდინარის ქვიანი კალაპოტი გადავლახეთ  
და ჭოვებისაგან გატკეპნილ, ფართო, თითქმის სწორ გზაზე  
გავედით.

ერთი საათი მეგობარ ბელორუსის ოჯახში გავატარეთ,  
ვისაუზმეთ და ბზიბს იქით მიმავალ გზას გავუდექით.

ამინდი სრულიად გამოიცვალა: მცხუნვარე მზემ ნათელი  
და სითბო მოჰყონა დედამიწას, ამოშრობა დაუწყო ტენს.  
მხოლოდ ბებერი კავკასიონი იდგა ჩვენს უკან გუშინდელი-  
ვით ნისლის თეთრნაბაღწამოსხმული. მაგრამ მზე მასაც მალე  
მისწვდებოდა, შემოაღნობდა თეთრ საბურველს და ქვეყანას  
კვლავ აჩვენებდა დიდი ქედის შიშველ სილამაზეს.

ნაცნობი ფონით გავედით მდინარე ბზიბში და ერთ ხის  
სახლს მივადექით, რომელიც ტყის პირას იდგა.

ყველაფრის მცოდნე მერაბმა გვიამბო, რომ ეს სახლი უძინებელად მწყემს აფხაზს აეშენებინა მკვდარი ძმის მოსახსენებლად. „რომ დალლილ მგზავრს თავშესაფარი ჰქონდეს ცუდ ამინდში, გაჭირვებაში, ბნელ ღამეში“. აი კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ამ ხალხის სათუთი, სტუმართმოყვარე სულისა. აბა დაფიქრდით, რომელი სხვა ერის შვილი დადგამს სახლს მიყრუებულ ტყეში, უცნობი მგზავრის შესაფარებლად, რომლისაგანაც ვერასოდეს ვერავითარ ხეირს ვერ ნახავს!

— „გმადლობთ შენ, კეთილო და სათუთი გრძნობების აღამიანო“, — გავითიქრე მე, როდესაც ჩემი ბარგი ამ ხალვათ, უფასო სასტუმროში მოვიხსენი. მერაბმა კი თავიდან ყაბალახი მოიხადა და გულიანად ჭარმოსთქვა:

— კურთხეულ იყოს დედა, რომელმაც ასეთი შვილი შობა!

მე, ექიმი და ივან ანდრეევიჩი დასაზვერავად გავედით. გადაწყვეტილი გვქონდა, ღამით პანტის ქეშ დათვებს დავყარაულებოდით. ადგილები უნდა გაგვესინჯა და ღამის საფრები აგვერჩია.

მაღალი ბალახითა და შალტამით დაფარულ ტყეში მივდიოდით. მხოლოდ პანტისა და მაჟალოს დიდ ხეებს ქეშ არ იყო ამოსული ბალახი, ტენიანი მიწა მოფენილი იყო ნაცვენი ნაყოფითა და გადაჭრელებული ნაღირის ნაკვალევით. აქ ეტყობოდა, იშვიათი სტუმარი არ იყო ბანჯგვლიანი დათუნია. ამ ხეების ძირში სუქდებოდნენ გარეული ღორის ფარები. მათი სხვადასხვა ზომის ჩლიქების ნაკვალევი, ეს შეჩვეული თვალისათვის ასეთი კარგი „სადარბაზო ბარათები“, ნათლად მოწმობდნენ, რომ აქ თავს იყრიდნენ ნეზვი ღორები წლევანდელი გოჭებით, ბურვაკები და დიდი თხუთმეტფუთიანი მარტოხელა ტახებიც. ღორების ნაკვალევში აშკარად გამოხატულა დიდი დათვის თათიც, დამახასიათებელი მრუდე ბრჭყალებით და ჩვენც უნებლიერ ვაცქერდებით ამ კვალს

ისე, როგორც რობინზონი აკვირდებოდა ველურის პირველ  
ნაკვალევს თავის კუნძულზე.

— ოხ, ერთი ასეთი შემახვედრა, — ფიქრობს თვითეული ჩვენგანი, მაგრამ ხმამალლა ამის თქმა ყველას გვეთაკილება. თვალებით კი ერთმანეთს ვანიშნებთ ჩვენს განცდებს. ვერ გაგვირკვევია, შიში და მონადირული ვნება ხომ არ იწვევს აჩქარებულ გულისცემას. დათვის ქვალი ძალიან ბევრია. ჩვენც საშუალება გვეძლევა მალე შევარჩიოთ თვითეული ჩვენგანისათვის ამაღამდელი სახუნდარი.

ტყე გაყრუებულია კაჭკაჭების ჩხავილით. ზოგიერთი მათგანი ჩვენ ახლოს ხევზე ჭდება, ტოტიდან ტოტზე ხტის, ბოლოს მაღლა იპრეხს, თავს ძირს ხრის, გვათვალიერებს და შემდეგ ისევ ჩხავილით გვტოვებს. კაჭკაჭების უმრავლესობა კი სულ ერთი და იმავე მიმართულებით მიფრინავს.

— აი, სულელი მიწათმზომელები, — წაილაპარაკა ივან ანდრეევიჩმა, — სადაც ეგენი ტრიალებენ, ვერც ერთ მხეცს ვერ წევკარები, მაშინვე ორმოტრიალს ასტეხენ.

და, მართლაც, სწორი თქვა ივან ანდრეევიჩმა: თუ დღისით მიღიხარ ტყეში, კაჭკაჭები სულ თან გდევენ, თავზე დაგჩხავიან, მაგრამ თუ გაუნძრევლად დგახარ საფარში, კაჭკაჭს ხშირად სარგებლობაც მოაქვს მონადირისათვის, — გაცნობებს ნადირის მოახლოებას, განსაკუთრებით მელიის გამოჩენას, რომლის მოძრაობას ტყეში თან სდევს ფრთხილი კაჭკაჭების თავისებური და მკვეთრი ჩხავძლი.

ფხიზელი ფრინვლის ნიშნისთანავე თითქმის ყველა მხეცი ფრთხის და იმალება. ეს მე და ექიმმა ძალიან კარგად ვიცოდით, მაგრამ ვერ მივხვდით, რატომ უწოდა ივან ანდრეევიჩმა მათ მიწისმზომელები!

— იმიტომ, რომ ხომ ხედავთ, სულ ერთი მხრისაკენ მიფრინავენ. მებობენ, რომ კაჭკაჭებს ასეთი ჩვეულება აქვთ: მიფრინავენ და მიწას ზომავენ: გაფრინდებიან განსაზღვრულ მანძილზე, შემდეგ კი უკან ბრუნდებიან, რომ გაარკვიონ, რა მანძილით მოსცილდნენ ბუდეს. და ასე, ყოველდღე ზომავენ მიწას! აი მიწისმზომელები!

გარდა კაჭიაჭებისა, როგორც აფხაზეთის სხვა ტყებში, აქ მხოლოდ შაშვები გეხვდებოდნენ, რომლებიც ჭიათურული ერთი ბუჩქიდან მეორეზე გადაღიოდნენ. მხოლოდ კუსლის ფრთხოსანი აცოცხლებს აფხაზეთის მკვდარ, უსიცოცხლო ტყებს, სადაც შეიძლება მთელი დღეობით ვერ შეხვდე უჩინველს.

მცირე საღილის შემდეგ დასაძინებლად დავწექით. ღამე უნდა გვეთია ტყეში, სახუნდარში, საღაც აუცილებელია სი-იჯხიშლე, დაღლილის დაჯდომა არ შეიძლება — მოსალოდნელია ჩაგეძინოს. საღამო ხანს ავდექით, თბილად ჩავიცვით, ხანჯლები ჩამოვკიდეთ, თოფები ავიღეთ და სანადიროდ გავედით.

და მოშენდილი, სრულიად უღრუბლო იყო. დასავლეთით ჩამავალი მზის სხივები ელვარებლნენ და ჩქარა ქრებოლნენ. ბნელდებოდა. მთვარე გვიან ამოდიოდა, მაგრამ დათქმულ აღგილზე აღრე იყო მისკლა საჭირო: დაღამებამდე უნდა ჩავმჯდარიყავით სახუნდარში, რომ ნადირი არ დაგვეტრთხო.

ფრთხილად მიედი ჩემ მიერ არჩეულ აღგილზე. დღისთ იქ ტყის თხილის დიდი ბუჩქი პვირჩიე, შუაგულში დამპალი დიდი კუნძი იყო. ამ კუნძს მივუჭექი და ზურგით მივაწექი. ჩემ წინ ბუჩქებიდან ნადირის საძრომი ბილიკი გამოდიოდა. ჩემგან მარცხნივ კი, ოციოდე ნაბიჯზე, ნაყოფით ღანუნძლული პანტის დიდი ხე იდგა. ბილიქზედაც და ხის ქვეშაც ნადირის ბევრი ნაკვალევი იყო. აშკარად ჩანდა, რომ ნადირი ამ გზით გამოდიოდა ღამით საკეების საძებნელად, ხოლო დილით იმავე გზით ბრუნდებოდა უკან ბუნაგში.

დაღამდა. უკანასკნელად ვაბოლებ თამბაქოს და ნამუშვაგს მიწას ვაყრი, რომ ნადირმა სუნი არ იყნოსოს. მშვიდად ვზივარ, ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ველოდო, სამ საათს მაინც. ფრთების ოდნავ გასავონი შრიალი და ორიოდე ნაბიჯზე, პირდაპირ ჩემ წინ, ტოტზე დიდი ბუ შემოჯდა. ტანს ძლივს ვარჩევ, მაგრამ სამაგიეროდ ნათლად ვხედავ მის დიდ ყვითელ თვალებს, რომლებიც მე მომშტერებიან. არ ვინძრევი, თითქოს გავქვავდი. გაუნძრევლად ზის ბუც და მხოლოდ ხანდახან არხევს ყურებს. რაღაც შუქსა ვერძნობ ჩემს ირგვლივ!

ნეტავ რა უნდა იყოს?.. ვაკვირდები: ხმელი ფოთლები და  
დამპალი ხის ტოტები, რომლებზედაც მე გწივარ, იღუმავლ  
მტრედისფერ შუქს გამოსცემენ. სახელოზე ამიცოცლა ტუჭიროსა  
თავი. ხელის მკვეთრი მოქნევით გადავტყორცნე იგი. გულს  
ბაგაბუგი გააქვს, ნერვები დამეჭიმა. ყველაფერი თითქოს ასე  
უჩვეულოა, ამალელვებელი. ფრთების ახალი შრიალი და ბუ  
ალარ არის. ტანში ურუანტელი მივლის: ბუ, ტყის ქმნილე-  
ბები, წინამორბედნი, საიდუმლოებრივი სინათლე, ტყის ხმა-  
ური... ნეტავ რა მელის ერთი-ორი საათის შემდეგ?..

გონება ებრძეის ველური ადამიანის უძეელეს გრძნობებს,  
ჩემში რომ გაიღვიძეს ამ ბნელ ღამეს, და რომლებითაც აღ-  
სავსენი იყვნენ ოდესლაც ჩემი შორეული წინაპრები: მათ  
ხომ საშინელ შიშს ჰგვრიდა ბნელი ტყე, სადაც ცხოვრობ-  
დნენ კუდიანები და ქაჯები. თოფს მაგრად ვუჭერ ხელს, უნე-  
ბლიერ ხანჯალს ვსინჯავ, ჯიბეში ხელს ვიყოფ და სათაღარი-  
გოდ წამოღებულ ვაზნებს ვთვლი. გონება იმარჯვებს და თა-  
ვიდან მშორდება საუკუნეობრივი დანალექი, რომელიც  
ღრობით დაეუფლა ჩემს გრძნობას. თამბაქო საბოლოოდ  
აქარწყლებს მოჩვენებებს, რეალურ სინამდვილეს მიბრუ-  
ნებს. ისევ დავწყნარდი და მოთმინებით ველოდები.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. სად გაპქრნენ მხეცები?  
იქნებ ისინიც მოვარეს უცდიან, რომ სიბნელეში გზა არ  
აერიოთ? ოდნავ გასაგონი, ლორის ყბების მოძრაობის დამა-  
ხასიათებელი ხმა მესმის. ვინაბები. ლეჭვის ხმა წყდება. ისევ  
მყუდროებამ მოიცავ მიდამო... ისევ „ბნელა, როგორც ზან-  
გის იღლიის ქვეშ“, — მაგონდება ექიმის გამოთქმა და უნებ-  
ლიერ ვიღიმები... ბილიზე ფეხის ხმა ისმის. ათიოდ ნაბიჯზე  
ლორების ფარამ გაიჩინა. ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ მესმის,  
რომ ვეერდით გამირბინეს და მეზობელი პანტის ძირას გაი-  
ფანტნენ, მიწას ჩიჩქნიან, ლრუტუნებენ, პანტას ახრამუნებენ.  
ცოტა ხნის შემდეგ გადაინაცვლეს. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ძნელია და მოსაბეზრებელი ერთ ადგილზე დიდხანს ჭდო-  
ბა, ფეხები გიბუჟდება ერთსა და იმავე მდგომარეობაში ყო-  
ფნით. ოდნავ წამოვიშიე, მდგომარეობა ვიცვალე და მაშინვე  
ჩავჭექი — ახლოს საეჭვოდ გატყდა ხმელი ტოტი! ისევ გა-

ვინაბე. თითქოს ხვეწშა, ბუზღუნი და დიდი მხეცის რდნაჭ/ /  
გასაგონი მოძრაობა მომესმა. დათვია!

საქართველო  
სამართლებრივი

შემდეგ აქარად მესმის, დათვი მსხალზე როგორ შიმვრება, ტოტებს არხევს, მიწაზე მწიფე ნაყოფი ცვივა. დათვი ხვეწშის და პანტას ახრამუნებს, მე კი ვერაფერს ვხედავ. მოთმინებას ვკარგავ. ცას მივჩერებივარ და ჩემს გასახარად აღმოსავლეთით ოდნავ შესამჩნევ ნათელს ვარჩევ. მთვარე!

გადის ნახევარი საათი. ცის ტატინბზე ამოგორდა სავსე მთვარე და მთელი ტყე გაანათა. დადგა ნანატრი უამი. ახლა მეც შემიძლია მონაწილეობა მივიღო ტყის ღამეულ ცხოვრებაში.

დათვი ისევ მსხალთან ბორგავს. ფრთხილად ზეიმართე, მუხლებზე დავიჩოქე და დაეინებით დავაკვირდი მსხლის გარშემო.

მე ხის ქვეშ ვეძებ და ვერ ვპოულობ მხეცს. დიდი ყურადღებითა და მოთმინებით გათვალიერებ ყველაფერს ხის ქვეშ, მაგრამ დათვი არ ჩანს. მხოლოდ დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მხეცი მსხლის ტოტებში იჯდა.

ხის ტოტებში მოხერხებულად ჩამჯდარი დათუნია ნათლად ჩანდა, უკანა ფეხებზე იჯდა, წინა ფეხებით ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს იწევდა და გემრიელად შეექცეოდა მწიფე მსხალს. გულმა ისევ აჩქარებული ცემა იწყო, თოფს მაგრად ჩავჭიდე ხელი, ეჭვი კი შემეპარა: ვესროლო, თუ სჭობია, თავი გავანებო? რომ სასიკვდილო ადგილზე ვერ მოვარტყა, დაჭრილი მხეცი მომვარდება და, რაც მომელის, ამაზე სჭობს, არც კი ვიფიქრო. მაგრამ დიდხანს არ ვიყოყმანე, მიზანი ისეთი სულწამდლევი იყო. ბოლოს და ბოლოს იმისათვის ხომ არ ვათიო ამ ტყეში ნახევარი ღამე, რომ ვუცქირო აქედან, როგორ წავი უვნებელი ეს ამოდენა მხეცი. დათვის დიდი თავი მშვენივრად ჩანს ნათელ ცაჲე და მეც გადავწყვიტე, თავში ვესროლო. თუ მოვარტყი, ნამდვილად მოვკლავ, ავაცდენ და უვნებელი მხეცი მხოლოდ თავს უშველის და მოქუსლავს აქედან. საშიში არაფერია.

სრულიად დამშვიდებულმა დავსხლიტე ჩახმახი. დაიქუხა ჩემმა შტუცერმა. ერთ წამს თითქოს ყველაფერი გაირინდაო.

შემდეგ დაიწყო მსხლის ტოტების მტვრევა. დათუნია მსხლი  
დან უსულოდ ჩამოვარდა. მე ფეხზე წამოვარდი, თოვჭიროვა  
ახალი ვაზნა ჩავდე და მოლოდინში გავინაბე. იქ, მსხლის  
ძირში, დათუნია სიცოცხლეს ეთხოვებოდა, თათებით უძლუ-  
რად თხრიდა მიწას და მალე მიჩუმდა, სული დალია. მიუხე-  
დავად ამისა, გათენებამდე ვერ გავბედე მხეცთან ახლოს-  
მისვლა. ისევ ჩემს კუნძს მივუჯექი, მხოლოდ ახლა გავაბოლე  
მოურიდებლად თამბაქო და მოუთმენლად დავუწეულე ლოდინი  
გათენებას.

უნდა გამოვტყდე, რომ, მიუხედავად ასეთი ილბლიანი-  
ნადირობისა, მე მაინც არ ვიყავი ქმაყოფილი და ვერ განვი-  
ცადე ის საამაყო და აღტაცებული ბედნიერების გრძნობა,  
რაც განმეცადა ჯიხვის მოკვლის დროს. მიუხედავად ამისა,  
მაინც უსაზღვროდ ბედნიერად ვთვლიდი თავს დამის თევის  
შედევისათვის, იმისათვის, რომ ხვალ შემეძლო თავმომწო-  
ნედ წარდგომა ამხანაგების წინაშე.

შორიდან თოფის ხმა მოისმა. ეს ივან ანდრეევიჩი უნდა  
ყოფილიყო.

იგი დიდი პანტის ძირში დარჩენილი ექიმიდან ასიოდე  
ნაბიჯზე იჯდა. ექიმი პანტის ძირს მიეყრდნო. ივან ანდრეე-  
ვიჩი კი, პირიქით, ბუჩქებში მიიმალა სხვა მსხალთან ახლოს.  
ერთი ფიქრობდა მასთან მიმავალი ნადირისათვის სროლას,  
ხოლო მეორე, პირიქით, ჭამის დროს ფიქრობდა მის მოკ-  
ვლას. ორივენი თავისებურად მართალი იყვნენ. მაგრამ მო-  
ულოდნელმა გარემოებამ შესცვალა მათი განზრახვა: ექიმი  
დაფრთხა, როდესაც მარტო დარჩა. მალე დათვის ბურდოუნი  
და ფეხის ხმა მოესმა. როგორც შემდეგ გამოტყდა, მისდა  
უნებურად ტაში დაპქრა და თითქმის უკვე მასთან მოსული  
მხეცი დააფრთხო. ასე, მთვარის ამოსვლამდე, ორჯერ მივი-  
და მასთან დათვი, მაგრამ ამავე საშუალებით ერეკებოდა იგი  
კარზე მომდგარ ბედნიერებას. „მე ჩემთვის, შენ შენთვის!“—  
ფიქრობდა ჩვენი შეშინებული თანამგზავრი.

— ეშმაკმა იცის მათი თავი, — გვიყვებოდა შემდეგ  
იგი, — აზაფერი არა ჩანს, ვინ იცის, რა მხეცი მოდის. ყვე-  
ლაზე უფრო ხელსაყრელი იმ დროს მათი დაფრთხობა იყო.

როდესაც მთვარე ამოვიდა, როდესაც ტყე განათლა, ივან ანდრეევის დაუწყო ძახილი. ნაწყენი მიეკუთხავთ ანდრეევის და ამხანაგი ბინისკენ გააცილა, საღაც ქრისტეს არაყის დალევის შემდეგ დილამდე მაგრად ეძინა მშიშარა ექიმს.

ივან ანდრეევის კი უკან გამობრუნდა და ტყეში ფრთხილად სიარული დაიწყო. იგი იმ დროს აფხაზეთში ერთი საუკეთესო მონადირე იყო. ბელოვეჟის პუშჩიში დაბადა და გაიზარდა. იქვე ესწავლა ნადირობაც, რომელიც უდიდესი გატაცებით, თავდავიწყებამდე უყვარდა. მეფის დარაჯებით დაცულ ბელოვეჟის პუშჩიც კი ახერხებდა ნადირობას, რის გამოც კავკასიაში იყო გადმოსახლებული. სოხუმში ტყის-მცველად მუშაობდა და დაუცხრომელი ენერგიით ნადირობდა მხეცებზე და ფრინველებზე. დაღიოდა მშვენივრად, კლდე-ებზე დაძვრებოდა როგორც კატა, ესროდა შეუდარებლად, — ქორის თვალი ჰქონდა. გათენებისას თორმეტფუთიანი ტახი წააქცია. სწორედ ეს გასროლა გავიგონე, როდესაც ჩემს ნადავლს კარაულობდი.

გათენდა. ტყეში თხელი ნისლი იღვა. ფოთლები და ბალახი ცვარით იყო დაფარული. მაგრამ მზემ მალე გააშრო ყველაფერი. პირდაბანილი მიწა მხიარულად შეხვდა დღეს.

ჩემი დათუნია ათფუთიანი ძუ გამოდგა, რომელსაც ლია მოყვითალო ტყავი ჰქონდა. ტყვია კისერში მოხვედროდა და ძვლები დაემტვრია. იგი კარგად ჩასუქებული იყო. ხორცი ჩენ არ გვაინტერესებდა, თუმცა ორი ბარკალი მაინც ავაჭერით და საშაშედ თან წამოვიღეთ.

მერაბმა უსიტყვოდ აჸეიდა თავის ცხენს ხორცი და ორი ტყავი. უდარდელი ლილინით გაუდგა გზას შინისაკენ.

რამდენადაც კუახლოვდებოდით სოხუმს, იმდენად უფრო აცხუნებდა მზე. მალე ჩვენს ტვირთს სუნი დაეცა — ხორცი გაფუჭდა. ღორის ხორციც კი გადავყარეთ, ზედ საშაშე ბარკლებიც მივაყოლეთ, თუმცა გული არც ერთს არ დაგვწყვეტია.

უკან დაგვრჩა დიდი მთები თავიანთი ნისლით, სპეტაკი პარეით, წითელი ნარჩანით, ლალი ნადირით, ფრინველებით,

გულუბრყვილო მწყემსებით. დავიწყებას მიეცა გრძელი, მქანცელი გზის უხერხულობანი, მახსოვრობიდან ამოვარდა თავბრუდამხვევი სიმაღლეები და უფსკრულები, სისხლდა-დენილი ფეხები, ციცაბო აღმართ-დაღმართები, სიცხისა და წყურვილისაგან გამშრალი ხახა, გულის ფანცქალი და მლელ-ვარება, მარცხი და იმედის გაცრუება.

წარუშლელია დიდი ქედის ბუმბერაზობა, სილამაზე, სტი-ქიური ძლიერება, მისი იდუმალი ცხოვრება, მისი ცხოვე-ლები, დაუგიწყარი მონადირული ბედნიერება, ნიშანში მოხ-ვედრილი გასროლა, მთის ყვავილთა დიდებული სურნელება, მყინვართაგან მონადენი მჩქეფარე ნაკადულები.



## მოთი ზოლიჯალი მთებში

ის-ის იყო დავბრუნდი ბზი-  
ბის სათავეებიდან, ფსხუზე ნა-  
ღირობის შემდეგ. ახლა სოხუმ-  
ში ვისვენებდი და სიამოვნებით  
ვხვდებოდი იმ მცირერიცხო-  
ვან მონაღირებს, რომლებსაც  
ფსხუზე ენაღირათ, ვუზიარებ-  
დი ჩემს შთაბეჭდილებებს, ვის-  
მენდი მათ სანაღირო თავგადა-  
სავალს.

მოხიბლული ვიყავი ზემო  
ბზიბის სანაღირო სიმდიდრით, ადამიანის მიერ ხელუხლებე-  
ლი ბუნების სილამაზე მიტაცებდა თავისი ბუმბერაზობითა  
და ძლიერებით. ხეების ტანაყრილობა, ბალახის ხავერდოვ-  
ნება, გარეული ხილის სიუხვე მართლაც რომ განსაკუთრე-  
ბული იყო.

ამიტომ აღტაცებული დავრჩი, როდესაც ერთ დღეს სო-  
ხუმში ჩემს ძველ მეგობარს, სოხუმის პოლკის ყოფილ ოფი-  
ცერს, ცნობილ მონაღირესა და მსროლელს — ტარასი ანჩა-  
ბაძეს შევხვდი, რომელიც, როგორც ვიცოდი, წინათ ფსხუზე  
არა ერთხელ ყოფილა.

დავხსედით მე და ტარასი იანკო ბერძენის სასაღილოს  
უკანა ოთახის მყუდრო ადგილას, სადაც არავინ იყო და  
მთელი საღამო პურმარილით დამშვენებულ სუფრაზე გავა-  
ტარეთ.

საუბარი ფსხუზე ცხოვრებას, ბზიბის ნაპირებზე ნაღირო-  
ბას, შორეულ წარსულს ეხებოდა.

ბევრი საინტერესო ამბავი მომითხო ჩემმა მეგობარმა  
ფსხუზე გაგზავნილი სოხუმის პოლკის ექსპედიციის შესახებ,



რომელშიც თვითონ იღებდა მონაწილეობას, როგორც ახალი გაზრდა ოფიცერი და სადაც გული იჭერა მსხვილი ნაღირის ხოცით.

1878. წლის ომის დროს, როდესაც თურქები აფხაზეთი-დან განდევნეს, სოხუმის პოლკმა ბრძანება მიიღო — „დაე-მშვიდებინა“ ბზიბზე მცხოვრები ფსხული აფხაზები და ერთ ხანს იქ დაბანაკებულიყო.

თავზე ხელალებული ფსხულები, რომლებიც საბოლოოდ გადაბირებული იყნენ თურქებისაგან, თავს არ ანგებდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, თავს ესხმოდნენ კაზაკების სტანიცებს სანჭას უღელტეხილის გადაღმა, ძარცვავდნენ მოსახლეობას, ართმევდნენ საქონელსა და ცხენებს, ბოლო არ უჩანდა მათს თარეშს.

საბრძოლოდ გაწყობილი პოლკი დანიშნული ადგილისაკენ გაემართა. არავითარი გზა მაშინ არ იყო. თვითონ მოუხდათ სამთო ბილიკების გაყვანა, მთის გირ მდინარეებსა და ლელეებზე დროებითი ხიდების კეთება, საუკუნებრივი ტყეების გაჩეხვა.

განსაკუთრებით ძნელი საკეთებელი იყო გზა გუმისთას მარცხენა, კლდოვანი ნაპირის გასწვრივ. აქ საჭირო გახდა კლდეების აფეთქება, ჩამოზვავებული ქვის დიდი რაოდენობით გაწმენდა, ხევების პირებში გზის გამაგრება დიდი ხეებით, სარებითა და წნულით.

დიდი დრო დაიხარჯა აგრეთვე დოუს უღელტეხილზე ზეეული გზისა და ბზიბზე ჩასასელელი დაღმართების გასაყვანად.

განთქმულ აფხაზურ მდინარეზე ხიდის გაყვანა კი უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან აქ ჩვეულებრივზე უფრო წყნარი იყო მდინარე. აქ აფხაზებს ფონი ჰქონდათ დადებული, საღაც გადალიოდნენ მათი ჭოგები, ნაპირზე კი საუკეთესო სამშენებლო ტყე იყო.

დაუღალავად მუშაობდნენ ჯარისკაცები, რომ რამდენიმე ვერსზე გაეყვანათ ოდნავ გასავლელი გზა, შემდეგ ამ გზაზე გადაენაცვლებინათ და კვლავ განეგრძოთ გზის კეთება.

თვეზე მეტ ხანს მოუნდნენ სოხუმელები, სანამ მდინარე



გზიბს გადალახავდნენ. გავიდნენ ფსხუშე და იქ დაბულებით მერმე შეუდგნენ ახალი გზით სოხუმიდან ურმებით, ორთვალებითა და ცხენის საპალნეებით პოლკის აურაცხელი ქონების — საბრძოლო აღჭურვილობის — ორი ზარბაზნის, სურსათისა და ტანსაცმლის მარავის გადატანას. პოლკის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, რამდენ ხანს მოუხდებოდა პოლკს ამ მიყრუებულ ადგილას მტრულად განწყობილ მოსახლეობასთან დარჩენა და აშიტომ ყველაფერი ბლომად იყო მომარაგებული.

დაბანაკებისთანავე სამხედრო ინუინრების ხელმძღვანელობით ჯარისკაცები შეუდგნენ ქვის ყაზარმებისა და სახლების მშენებლობას ზამთრისათვის, რომელიც აქ საკმაოდ მეაცრი და თოვლიანია. დოუს უღელტეხილზე ჩვეულებრივ იმდენ თოვლს ჩამოყრის ხოლმე, რომ წელიწალში ოთხ თვეს უღელტეხილი გაუვალია და მთელი მიღამო მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას.

ოქტომბრის დამდეგს პოლკს უკვე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა. კარავები აშალეს და საზამთრო ბინებში შევიდნენ. საწყობები კი გაიცხო ფქვილით, ორცხობილათი, სხვადასხვა სახის ბურღლულით, ქონით, ზეთითა და საერთოდ ყოველგვარი სურსათით, რომელიც საჭირო იყო ორი ათასი კაცის საკვებად და მოსამარაგებლად.

— შეუძლებელია წარმოიდგინო, თუ რა დაუფასებელია რუსი ჯარისკაცი, — აღტაცებით ამბობდა ტარასი, — მე მასთან მშვიდობიანობის წლები გავატარე, ვმონაწილეობდი მასთან ერთად ომში, ვნახე მისი მამაცობა ბრძოლაში; კარგად გავიცანი იგი ამ უცნაური ექსპედიციის დროსაც, სადაც მან განმაცვითრა თავისი განსაკუთრებული მიღრეკილებით შრომისადმი, მუშაობისადმი, თავისი მოსაზრებულობით, მოქნილობით, მოხერხებულობით... ისინი ხომ თითქმის ყველანი გაუნათლებელი, უკულტურო გლეხები იყვნენ, რომელთაც არასოდეს არავითარი, მით უმეტეს სამთო გზა, არ გაუყვანიათ, არავითარი ხიდები და ყაზარმები არ უშენებიათ... უნდა გენახათ, როგორ დუღდა იქ მუშაობა, როგორ სწრაფად და სწორად ერკვეოდნენ ისინი სამხედრო ინუინრისა და

ტექნიკოსის ყოველი მითითების დროს, როგორი ხალისრთა, მხიარულად პეიდებდნენ ხელს ყოველგვარ საქმეს! როგორი ხალს დიდი მომავალი აქვს. მსოფლიოში კი უკეთესი ჯარის-კაცი არ არსებობს!

ფსხუელები განაციფრა რუსების ჩამოსახლებამ და გან-საკუთრებით კი გაყვანილმა გზამ: უგზოობა იყო მათი მხსნე-ლი — გზამ დაღუპა ისინი.

ამა უკვე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ყუბანში და-სარბევად წასვლაზე. ასამდე გაუსწორებელი, თავზეხელაღე-ბული აფხაზი გაიღლიტა ან ციხეებში იქნა ჩაყრილი. ფსხუშე ცხოვრების მთავარი აზრი — სრული თავისუფლება და თვითნებობა, რომლითაც აქ მცხოვრები აფხაზები სარგებ-ლობდნენ — გაპქრა. სადღაა თავისუფლება და დამოუკი-დებლობა, როდესაც მათ მეზობლად რუსების სამხედრო ბა-ნაკი დასახლდა და გარს ქვის კედელი შემოივლო. როდესაც თვითეული დანაშაულისათვის ზარბაზნებით შეუძლიათ მი-წასთან გაასწორონ აფხაზების სოფლები, ფერფლად აქციონ მათი წაბლის ფიცრულები.

მაშინ ფსხუელების თავეაცებმა, ჩერქეზის ტომების მა-გალითით გათამამებულებმა, მეფის მთავრობას სთხოვეს ნება დაერთოთ მათთვის თურქეთში გადასახლებისა, ეგრეთ წო-დებულ „მუხავირებად“ გახდომისა.

1879 წლის გაზაფხულზე ყველაფერი მზად იყო.

რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ოცნებობდა განთა-ვისუფლებულიყო მოუსვენარი მთიელებისაგან, სიამოვნებით დათანხმდა გადასახლებაზე. თურქეთიც თანახმა გახდა მიეღო აფხაზები და მიეცა მათთვის მიწა.

— ასაღელვებელი საცქერი იყო, — იგონებდა ტარასი, — თუ როგორი სინაზით ეთხოვებოდნენ ფსხუელები თავის სამ-შობლოს. დილიდან საღამომდე ისმოდა ქალებისა და ბავშვე-ბის გულსაკლავი ქვითინი, წივილ-კივილი, სევდიანი სიმღე-რები.

საღამობით, ძეელი ჩვეულების მიხედვით, სწირავდნენ მსხვერპლს, კლავდნენ ცხვრებს, ქათმებს, ამზადებდნენ სამ-გზავროდ ბასტურმას, ყველს, აცხობდნენ ქალებს, ტიკებში 8. ვ. მარქოვი.

ასხამდნენ ღვინოს. გამოსათხოვარი სადილები და ქველუხები გარდაცვლილების მოსაგონებლად, სახლებში და საფლავებში კვირაობით გრძელდებოდა. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ სტუმრები და მეგობრები გაძევებულებთან გამოსამშვიდობებლად, უსურვებდნენ მათ ბედნიერებას ახალ ქვეყანაში, სეამდნენ გამოსათხოვარ სადღეგრძელოებს.

პირქუში, ჭალარა მოხუცები შეწუხებული სახით დაეხეტებოდნენ წინაპართა საფლავებს შორის, ეთხოვებოდნენ მათ, სამუდამოდ სტოვებდნენ მამა-პაპის მიწას.

უდარდელი ახალგაზრდობა კი დროს უმთავრესად ლხინში, მარულასა და ქეიფში ატარებდა. • მკაცრ მხედრებს, რომლებსაც არ სურდათ გაეყიდათ თავიანთი ბედაურები, რომლებსაც არა ერთხელ ეხსნათ პატრონები სასიკვდილო გასაჭირისაგან, ისინი ტყის პირებში გამოჰყავდათ და ყურისძირში ტყვიის დახლით, სიცოცხლეს უსწრაფავდნენ საყვარელ არსებებს.

განსაკუთრებული წიგილ-კივილი ისმოდა, როდესაც მუხავირების ჯგუფი სოხუმისაკენ დაიძვროდა. კიოდნენ და ტიროდნენ წამსვლელებიც და გამცილებებიც.

— თვითონ იყვნენ დამნაშავენი თავის უბედურებაში, — ამბობდა ტარასი; — მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღესაც აუღელესებლად არ შემიძლია გავიხსნო აფხაზების სამშობლოსთან გამოთხოვების ეს მძიმე დღეები... რა საშინელება, რა უკანონობა მეფობდა ამ ქვეყნად!

შუა მაისისათვის ფსხუზე არ დარჩა არც ერთი აფხაზი, წასვლის წინ აფხაზებმა ცეცხლს მისცეს ყველა სახლი. და ნაგებობა.

ფსხუზე ახლა მხოლოდ რუსების პოლკი იდგა თავისი ჯარისკაცებით. გარშემო კი გადამწვარი სოფლები, მიტოვებული ხილის ბალები, სრული უკაცრიელობა. პატრონისაგან მიტოვებული მშიერი ძალლები და კატები თუ დაძრწოდნენ ნასახლარებზე.

პოლკს უკვე საქმე აღარ ჰქონდა ფსხუზე. „დასამშვიდებელი“ აღარავინ იყო. ბრძანება მოვიდა სოხუმში დაბრუნების შესახებ.



იმავე გზით, საიდანაც მოვიდნენ, უკანვე წამოვიდნენ მეტად რძოლები. იქ კი სანოვაგით სავსე საწყობების საღარეჭოდ მხოლოდ რამდენიმე კაცი დატოვეს. დაიწყეს ყველაზე ძვირფასი საქონლისა და საბრძოლო მასალის გაღმოტანა. მაგრამ როდესაც ათასობით ფუთი პურის, ბურღულისა და ორცხობილას გაღმოზიდვას შეუდგნენ, ინტენდანტებმა ყვირილი ატეხეს და მოახსენეს უფროსებს, რომ ფსხუს საწყობებში დარჩენილი სურსათის სოხუმში ჩამოტანა მათ ღირებულებაზე უფრო ძვირი დაჯდებოდა. უფროსები დაეთანხმნენ უმცროსებს, გაღმოტანაზე უარი განაცხადეს და, რომ სანოვაგე გამოუყენებელი არ დარჩენოდათ, გადაწყვიტეს ფსხუზე იმავე სოხუმის პოლკის ერთი ასეული გაეგზავნათ. იგი იქ უნდა დარჩენილიყო მანამ, სანამ არ შესჭამდა ფქვილის, ბურღულისა და ორცხობილას მთელ დარჩენილ მარაგს.

ასეც მოიქცნე: ფსხუზე მეშვიდე ასეული გაგზავნეს, რომელშიაც უმცროს ოფიცრად პრაპორშჩიკი ტარასი ანჩაბაძე მსახურობდა.

იგი ერთადერთი ოფიცერი იყო ოთხიდან, რომელიც არ შეწუხებულა ამ ხანგრძლივი და მოსაწყენი მივლინებით. უცოლშვილო, უდარდელი, ჯანმრთელი, მკვირცხლი, ბუნების მოყვარული და გატაცებული მონადირე ტარასი სიამოვნებით შეხვდა „ორცხობილას“ ექსპედიციაში, როგორც მას მოსწრებულად უწოდეს პოლკში, მონაწილეობის ამბავს.

ლაშქრობის წინ მთელი თავისუფალი დრო ტარასიმ სანაღირო მზადებას მოანდომა. გაშმინდა და მოამზადა თავისი უცხოური ითყალიბიანი ორპირი თოფი; ამ სიმძიმის თრევა მხოლოდ მკლავმაგარ და მოსულ ტარასის თუ შეეძლო. მომარაგა ბლომად დენთი, ტყვიები, საფანტი, ფისტონი, გილზები, ყოველი სახის საცობები. ფოთში, მეგობარი მონადირიდან შეიძინა სამი საუკეთესო მდევარი, რომლებიც კარგად იყვნენ დაგეშილი გარეულ ღორებსა და შველებზე. არაყისა და ღვინის მცირე მარაგით დამთავრდა ტარასის სანაღირო სამზადისი.

ასეული ლაშქრად გავიდა და სამი დღის მგზავრობის შედეგ ფსხუს სიმაგრეში დადგა.



დაიწყო ასზე მეტი ჯანმრთელი, სიცოცხლით საგუერებელი გაზრდის უქმი, მოსაწყენი ცხოვრება მთაში. მათ მთავრული გამოთავება და ჩვეულებრივი სამხედრო სწავლება შეადგენდა. ასეულის ოფიცრები მაინცდამაინც ხშირად არ აწუხებდნენ ჯარისკაცებს მეცადინეობით. მოწყენილობა მით უფრო ძარღლობდა, რომ ხალხმა არ იცოდა, როდემდის გაგრძელდებოდა ეს ტყვეობა ფსხუზე, როდის გამოილეოდა სანოვა-გის ეს უხვი მარაგი. ერთი რამ კი დანამდვილებით იცოდნენ: ოთხი მოსაწყენი ზამთრის თვე აქ უნდა გაეტარებინათ, სრულ სიმარტოვეში, ქვეყნისაგან მოწყვეტილთ, თავისიანთა წერილების გარეშე.

მოლოდ ტარასი და მისი სანადირო ჯგუფის ექვსი ჯარისკაცი გრძნობდა თავს კარგად და მთელ დღეებს, ზოგჯერ კვირებსაც, ნადირობაში ატარებდნენ.

მერმე რა ნადირი იყო, რომ არ შეხვედროდა ახალგაზრდა მონადირეს! რა შესანიშნავი ნადაცლი მოიპოვა მან ამ ხნის განმავლობაში! რამდენი მსუქანი ნანადირევის ხორცი ჩავიდა ასეულის სამზარეულო ქვაბში!

ასეულის უფროსი კაპიტანი დიმიტრი მგალობლიშვილიც მონადირე იყო, მაგრამ ნადირობაში შედარებით ნაკლებად დებულობდა მონაწილეობას, ისიც ბანაკის ახლოს. სამაგიეროდ ტარასისა და მის მონადირეებს იგი განუსაზღვრელი ღროით უშვებდა სანადიროდ, არ უშლიდა, სადაც უნდოდათ, იქ წასულიყვნენ.

სანამ მთებში თოვლს ჩამოჰყრიდა, ტარასიმ ბევრი საინტერესო ნადირობა მოაწყო ჯიხვებსა და არჩვებზე თვით კავკასიონის ქედზე. ნადირობდა სანჭას უღელტეხილზე, გრიბზაზე, ბზიბის სათავეებში, ცნობილ აჩხას მთაზე, ასამდე ჯიხვი და არჩვი დახოცა. მოიარა წითელი ნარჩანის მიღამოები, სადაც არჩვების —ასეულები მიღიოდნენ უანგიან-მქავე წყლის დასალევად. მის პატარა ოთახში ფსხუზე ეკიდა ჯიხვის ორი წყვილი რქა, რომელთა სიგრძე მეტრზე მეტი იყო, უგრძესი კი აფხაზეთში არავის არ ენახა.

რიცის ტბის ირგვლივ მაშინ საკმაო რაოდენობით იყო



ირმები. ტარასიმ მდევრებით ინადირა ირმებზე და კურორტული რქებდატოტილი ხარირემი მოკლა. იმ დროს შეელი ჟანრებით თანაც ბევრი იყო, ეს ნადირი არ წარმოადგენდა ტარასისათვის რაიმე ინტერესს, ხოცავდა კი სხვათა შორის, ოფიციალურების სუფრისათვის.

ავგვისტოსა და სექტემბერში, როდესაც აფხაზებისაგან მატოვებულ ბალებსა და ტყეებში დამშიფდა ტყემალი, პანტა, ვაშლი, კაკალი და სხვა ხილი, გარშემო ტყეები გარეული ღორებითა და დათვებით აიგსო. ისე დიდი რაოდენობით შემოესია ეს ნადირი ტყეს, რომ შეუძლებელი იყო მოკლე მანძილზე არ აშლილიყო ღორების ფარა, ან არ დამფრთხალიყო მთვლემარე დათუნია. ღორებს თითქოს შეკვეთით ხოცავდნენ, რამდენიც და როდესაც უნდოდათ. თვითონ ასეულის უფროსიც, კაპიტანი დიმიტრი მგალობლიშვილიც, ზოგჯერ დღეში სამ-ოთხ ღორს კლავდა. ასეულს ხორცი მოსწყინდა. ღორის ხორცს ამარილებდნენ, შაშხავდნენ, ზამთრისა და გაზაფხულისათვის ინახავდნენ.

ტარასი ძალებითაც ნადირობდა, მთვარიან ღამეში პანტასა და კაკალზე დათვს წაასწრებდა, ან შემთხვევით შეხვედრილ მაჩქს ესროდა, რამდენიმე საუკეთესო ბეჭვიანი კვერნაც კი მოკლა, ერთი სიტყვით, როგორც მონადირეები იტყვიან ხოლმე, „ნადირის სისხლში ცურავდა“.

ერთი რამ, რაშიც ტარასის ბედი არ სწყალობდა, ეს როჭოსა და შურთხზე ნადირობა გახლდათ: ფრთხილი როჭოები ტყის ნაპირებში ცხოვრობდნენ და ისე მოხერხებულად იმალებოდნენ ბუჩქებსა და მაღალ ბალაში, რომ მეტებრის გარეშე მათი მონახვა შეუძლებელი იყო. სულ ათიოდე როჭო თუ ააფრინა ამ ხნის განმავლობაში ტარასიმ.

ფხიზელი შურთხები ახლოს არ უშვებდნენ მონადირეს, სასროლი მანძილის იქით ფრინდებოდნენ და უგზო-უკვლოდ იყარებოდნენ კლდეებსა და ნაპრალებში. მხოლოდ ორი შურთხის მოკლა მოახერხა ტარასიმ.

სულგანაბული ვუსმენდი ამ ილბლიან მონადირეს და მშურდა მისი ბედი, „ორცხობილას“ ექსპედიციაში რომ მონაშილეობდა, ექსპედიციაში, რომელმაც საშუალება მისცა ჩემს

  
ეგობარს მთელი წელიშადი გაეტარებინა აფხაზეთის ელდო-  
რადოში და გული ეჭერებინა მსხვილ ნადირზე ნადირობის  
რასაკვირველია, შესაძლებელია, მე რომ ტარასის აღვილზე  
კუოფილიყავი, იქნებ ვერც გამეძლო მოწყენილობისა და  
მარტოობის გამო და ვერავითარ ნადირობას ვერ გაეწია მახ-  
ლობელთა საზოგადოების, საყვარელი წიგნის, მიჩვეული  
ყოველდღიური გაზეთის მაგივრობა, რომელთა გარეშე ყო-  
ველგვარ აზრს კარგავს თანამედროვე კულტურული აღამია-  
ნის ცხოვრება.

მაგრამ მაშინ იანჯოს ნახევრად ბნელ სარდაფში, ჭიქა  
ლვინით ხელში, მე დიდი კმაყოფილებით ვუსმენდი ტარასის  
და მასთან ერთად განვიცდიდი მონადირის თავგადასავალს,  
მის ახალგაზრდულ გატაცებას, მონადირულ ვნებას, მის სიძ-  
ნელით აღსავსე მოგზაურობას ქედებსა და კლდეებში, ღამის  
თევას ტყეში დიდი ცეცხლის პირას კოკისპირულ წვიმაში,  
ყინულოვანი ჩანჩქერების გადასვლას, თავბრუდახვევას უფს-  
კრულების პირას გავლის დროს, საღაც აღვილად შეიძლება  
გადაიჩეხო და უკვალოდ დაიკარგო...

ტარასის ნამბობი დიდად გამომადგა ჩემს შემდგომ ნა-  
დირობაში გაჭირვებათა გადატანისას.

„ორცხობილას“ ექსპედიციის ამბის დასამთავრებლად  
ტარასის ნამბობს უნდა დაეუმატო, რომ 1880 წლის ზაფხუ-  
ლის დამდეგს, ორცხობილასა და სხვა სანოვაგის მარაგი  
ფსხუზე, როგორც იქნა, ამოიწურა. ასეული დაბრუნდა სო-  
ხუმში.

დარჩა თუ არა ამ გარემოებით კმაყოფილი ჩემი მეგობა-  
რი ტარასი, ამის შესახებ მას იმ საღამოს არაფერი უთქვამს.

## მომღერალი მონადირე



ქართული ოპერის სახელოვანი არტისტი, უბადლო მომღერალი, აბესალომისა და ლენქის მომჯადოებელი სახეების შემქმნელი ვანო სარაჯიშვილი გატაცებული მონადირე იყო.

ყოველ თავისუფალ დროს ვანოს სანადიროდ მიუწევდა თავისი მგზნებარე გული და ახლო მეგობრებთან ერთად გადიოდა ქალაქიდან.

სამწუხაროდ, ვანომ კარგი მონადირე ძალლი ვერ შეინარჩუნა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც თვითონ, ისე მთელი მისი ოჯახის წევრები მონდომებით უვლიდნენ ძალლებს, ზრდიდნენ სხვადასხვა ჭიშის ლეკვებს, დიდ შრომას ხარჯავდნენ ამ საქმეში, ნადირობის დასაწყისისათვის ვანოს ძალლი მაინც არ ჰყავდა...

ცნობილია, რომ ნადირობის დროს სიჩქარე ყოვლად დაუშვებელია.

ვანო კი მეტად ტემპერამენტიანი, მოუთმენელი და თავ-შეუკავებელი მონადირე იყო.

ამიტომ ძალიან ხშირად ხელცარიელი რჩებოდა.

უნდა გენახათ მისი ცეცხლოვანი, საოცრად აღგზნებული საყვარელი სახე, როცა ნაბულზე დამდგარ ძალლს მიუახლოვდებოდა და სროლისათვის მოემზადებოდა. სამწუხაროდ, ცხვირწინ აფრენილი ოქროსფერი ხოხობი, ან დურაჯი ფრთების ფარფატითა და ხმაურით უვნებლად მიფრინავდა.

ვანო კი დაღონებული რჩებოდა ერთ ადგილზე.



„რა მოხდა, ხომ კარგად დავუშმიშნე?“ — ამბობენ მარტინ გერეს ასეული ვანო თავისი ხავერდოვანი ტკბილი ხდით...

მართალია, ვანოს ხშირად უსროლია მარჯვედ, მოხერხე-ბულად, აუცდენლად; ბევრჯერ მინახავს იგი მხიარული, აღ-ტაცებული, ბედნიერი, როცა მოკლულ ხოხობს ან დურიაჭს იყიდებდა წელზე გაკეთებულ თასმაზე და მოციმციმე თვა-ლებით გადას სქეროდა ამხანაგებს... მაგრამ ბევრჯერ მინა-ხავს საოცრად გაწმილებული, დანაღვლიანებულიც...

ჩეენ ხშირად ვნადირობდით ერთად. ბევრჯერ ეყოფილვარ მსა უზომო მხიარულებისა და ნაღვლიანობის მოზიარე.

აქ მინდა მოვიგონო მხოლოდ ერთი შემთხვევა, რაც თვალსაჩინოდ ახასიათებდა ვანოს, როგორც გატაცებულ მო-ნადირესა და უაღრესად გულთბილ, სამეგობრო ადამიანს.

1921 წელი იყო. თბილისის ოპერის არტისტები: ვანო სა-რაჯიშვილი, ლეონ ისეცი და მე ხოხებზე სანადიროდ წარ-დით სოუთ-ბულაყის — ახლანდელი ცივი წყაროს რაიონში.

მატარებელში შემოგვიერთდა ვიქტორ ბ.

ჩეენმა საერთო მეგობარმა ვიქტორმა ვანო და ისეცი წაიყვანა მაღალ ლაქაშებით დაფარულ უბანზე, სადაც ბევრი ხოხობი იყო.

ის იყო მონადირეები გაიშალნენ, აქეთ-იქით წავიდ-წამო-ვიდნენ, რომ ვიქტორის ძალლი ნაბულზე დადგა ვანოს წინ.

უცებ ჰაერში აფრინდა დიდი მამალი ხოხობი.

ვანომ უმალვე დაუმიზნებლად ესროლა.

ხოხობი ჩამოვარდა.

იმავე დროს საფანტი ვიქტორს სახეში მოხვდა და ისიც ადგილზე ჩაიკეცა. მან ვერ მოისაზრა, ვინ დაჭრა იგი და, როცა ვარდებოდა, თან დაიყვირა:

„დაწექით!.. თათრები გვესვრიან!..

ამ წამოვკირებაზე ხოხბის ასაღებად გაქცეული ვანოც გაწვა მიწაზე, აზრადაც არ მოსვლია, რომ მისმა ნასროლმა საფანტმა დაჭრა ამხანაგი.

როცა გამოირკვა საქმის ვითარება, ვანოს სახე გაუფით-რდა, წყლის მოსატანად გაიქცა. ვიქტორს თავი და სახე მო-ბანა და ისეცისთან ერთად ლაქაშიდან ფრთხილად გამოი-



ყველა დაჭრილი ამხანაგი. ვანო საოცრად შემთოთებული მისამართით, იყო, მოითხოვდა, დაუყოვნებლივ სადგურზე გაესულიყავით, დაჭრილი თბილისში წაგვეყვანა და საავალმყოფოში მოგვი-თავსებინა.

ვანოს სახეზე აღბეჭდოდა მწუხარება, საოცრად განიცდი-და ამ უბედურ შემთხვევას.

კველაფერი კარგად დასრულდა.

საბედნიეროდ, ვიქტორს საფანტი თვალში არ მოხვედრო-და. მიუხედავად საშინელი ტკივილით გამოწვეული მისი ყვი-რილისა, საფანტები იქვე ამოვაცალეთ და ჭრილობა შევუჩ-ვიეთ.

ვიქტორი თანდათან მოსულიერდა, უკვე მხნედ გრძნობდა თავს, თბილისში წაყვანაზე უარი განაცხადა და რამდენიმე ხნის შემდეგ განეაგრძეთ ნადირობა.

ამის შემდეგ ვანო ჩემთან წამოვიდა. ორ-სამ საათს ვია-რეთ ულრან ტყეში.

გულახდილად უნდა ვთქვა: ნადირობის დროს თავი ფრთხილად მეჭირა, ვცდილობდი, არ მომხვედროდა სიფი-ცხის გამო ვანოს მიერ უცებ გასროლილი საფანტი და ვიქ-ტორის დღეში არ ჩავვარდნილიყვეთ. ნადირობის მთელი ხნის განმავლობაში ვანო ძალიან დარცხვენილი და ნაღვლია-ნი იყო, წუხდა აჩქარებისა და იმ არასასიამოვნო შემთხვევის გამო, გზადაგზა მიზიარებდა თავის გულისტკივილს. ბოლოს, ნადირობით გაერთო, ცოტათი დამშვიდდა, ნაღვლიანი ფიქ-რები გაეფანტა და ისე კარგად ვინაღირეთ, რომ ყველა კმა-ყოფილი დავრჩით.

ლამე ტყეში გავათენეთ, მიწურში გვეძინა.

დასვენების დროს ვანომ უყოფმანოდ იმღერა კველაფე-რი, რაც დაჭრილმა სთხოვა. თვითონ ვანოსაც უნდოდა, რომ თავისი სიმღერით ესიამოვნებინა, ვიქტორისათვის და ჭრი-ლობით მიყენებული ტკივილი შეემსუბუქებინა მისთვის.

ვანო მღეროდა ისე გატაცებით, ისეთი შთაგონებით, რო-გორადაც აღბათ არასოდეს არ უმღერია მსმენელებით გაჭე-დილ თეატრშიც კი. ჩვენ დაგვავიწყდა დალლილობა, ძილიც

და უდიდესი სიამოვნებით ვუსმენდით. შუალამე გადასული  
იყო, როცა მიწურიდან სუფთა ჰაერზე გამოვედით.   
მაღლა ცაზე ბადრი მთვარე ბრწყინავდა. ჩვენ გარს გვე-  
რტყა იდუმალებით სავსე ტყე.

ვანო კი უდიდესი შთაგონებით მღეროდა.

დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მივიღე ამ დიდ მომღე-  
რალთან ნადირობის დროს. არასოდეს დამავიწყდება ის სია-  
მოვნება, რაც ვანომ მომანიჭა იმ ღამეს მისი ტკბილი ხმით  
შესრულებული არიებით.



## მონადირის საიდუმლოება

მე და ივანე ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით აღრებევრ შევხვედრივართ ერთმანეთს; ორ-სამჯერ დურაფებზე სანადიროდაც ვიყავით, აზერბაიჯანში.

ივანე არაჩვეულებრივი მოკრძალებული, უაღრესად გულკეთილი კაცი იყო. წლოვანებით ჩემზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა, ასე ოცდახუთმეტიოდე

წლისა თუ იქნებოდა. იგი გამოცდილ მონადირედ და სანადირო ადგილების დიდ მცოდნედ ითვლებოდა, შესანიშნავად ისროდა თავის თექვსმეტყალიბიან ბოარდს, შესვენებისას და ღამის გათევის დროს შეუდარებელი ამხანაგობისა და მომსახურების გაწევა იცოდა.

ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან ხოლმე, ადამიანის სული და გული იყო.

მიუხედავად ამისა, სხვა მონადირეებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა, ყოველთვის თავისითვის იყო შეუმჩნევლად.

ივანე ცოტას სვამდა, სიტყვაძვირი კაცი იყო, უფრო მოსმენა უყვარდა, ვიდრე ლაპარაკი, ეზარებოდა მეტი ლაპარაკი, როგორც ეს საერთოდ სჩვევიათ ხოლმე მონადირეებს. ივანეს ღარიბულად ეცვა, უკვე შემოცვეთილი სანადირო ტანსაცმელი, უბრალო ჩანთა, წელზე ძველი სავაზნე, — აი მთელი მისი მორთულობა.

ივანე ირლანდიელივით მუდამ ნაღვლიანად გამოიყურებოდა, მაგრამ, იმავე დროს, იყო მოუღლელი მშრომელი, სეზონში არც ერთ კვირა დღეს არ გააცდენდა, გატაცებით



ნადირობდა. სხვებზე რა მოგახსენოთ და, ჩემთან შეკრიცხამ ნავად იყო განშეობილი, უაღრესი პატივისცემით შეცვლილი და; როგორც ვატყობდი, ძალას დიდი წარმოდგენა პქონდა ჩემ მონადირულ ცოდნასა და ვამოცდილებასე.

ერთხელ გზაზე შევხვდი მას. მცირე ხანს ერთმანეთი მოვიყითხეთ, ბოლოს, გაიგო თუ არა, რომ ერთ-ერთ მეგობართან მივდიოდი ვაზნების საწურის გამოსართმევად, ხელი ჩემავლო მკლავზე და არ მომეშვა:

— ჩემთან წამოდი, საწურსაც მოგცემ და ისიც ნახე, თუ როგორ ცეხოვრობ მონადირის ბუნავში! ჯერ ხომ არასოდეა ყოფილხარ ჩემთან? უკანასკნელ ნადირობიდან წყვილი დურავი და შამჭორის ღვინო შემომრჩა. წავისაუზმოთ და მცირე ხანს ვისაუბროთო...

რაღა დიდი პატივი მინდოდა. მით უფრო, თუ ორიოდე ჭიქა ღვინოც იქნებოდა. რამდენი საინტერესო, ახალი და უჩვეულო ამბავი მომისმენია ხოლმე ისეთ შემთხვევებში. მონადირისათვის განსაკუთრებით სახალისოა მონადირესთან საუბარი.

მეც არ დავაყოვნე, წავყევი მეგობარს. რამდენიმე წუთში შევედით ნაეთის ლამპით განათებულ პატარა ოთახში, საღაც მაგიდასთან იჯდა შეტად სიმპათიური მოხუცი ქალი, რომელიც წინდებს ქსოვდა.

— დედა, იცნობდე, ჩემი მეგობარია, — უთხრა ივანემ.

— ალბათ, ესეც მონადირე იქნება! — გაიღიმა დედაბერმა და ადგილიდან წამოიშა.

— გამოჩენილი! — შემაქო ივანემ, მერე უმალვე მიტრიალდა და დედასთან ერთად მეორე ოთახში გავიდა.

ოთახში მარტო დაერჩი.

უწინარეს ყოვლისა ჩემი ყურადღება მიიქცია საწოლის ზემოთ, კედელზე მიკრულმა, ირმის რქებზე ჩამოკიდებულმა მონადირის საწურველმა: ჩანთამ, ბადემ და სავაზნებმა. რქების ქვემოთ, იაფფასიან ხალიჩაზე ეკიდა ტყავის ბუდეში ჩადებული თოფი. მაგიდაზე იდო უბრალო ჩარჩოში ჩასმული ოლეოგრაფია, რომელზეც გამოხატული იყო ირმები. ბნელი ტყის სიღრმიდან გამონაშუქ განთიადის წითელ ფონზე ისინი

კვალდაკვალ ადევნებულ მგლებს გაურბოდნენ. კედლის გისუფალ ნაწილს ამშვენებდა ოჯახის წევრების ფორმობისათვის ფიული სურათები და პეტერბურგის ოპერის ცნობილი მომღერალი ქალის მრავინას დიდი პორტრეტი, რომელსაც ამ-ზვენებდა მისივე ლამაზი ავტოგრაფი.

ამ უბრალო მორთულობის გარდა ოთახში ტანსაცმლის კარალა და რკინის პირსაბანი იდგა კუთხეში, მასპინძლის საწოლის წინ — ხის ჩარჩო, რომელზედაც გადაჭიმული იყო ბრეზენტი.

ეს იყო ბოის საწოლი.

ჩეენს დანახვაზე მასპინძლის ძაღლი ბოი უმაღვე გადმო-გიდა საწოლიდან, ერთი ლაზათიანად დაამთქნარა და ჩემს ფეხებთან დაჯდა. იგი მშვიდად და ჭიდანად შემომცეკროდა თავისი წაბლისფერი თვალებით, წარამარა ურტყამდა კუდს იატავშე, ხან მარჯვნით, ხან მარცხნით. იგი ჩემთან ბევრჯერ ყოფილა სანადიროდ. ეტყობოდა, მიცნო და ჩემი მოსვლა ძალიან ესიამოვნა.

ივანემ და მისმა დედამ მაგიდას გაქათქათებული სუფრა გადააფარეს. ჩამოდგეს ჭურჭელი, მოიტანეს დურაჯები, მეა-ვე კიტრები, პური, ფორთოხლის ქერქზე ნაყენი არაყი პატა-რა გრაფინით და ერთი ბოთლი დვინო.

— ხელს არ შეგიშლით, წავალ და დავწევები! დილით ხომ ფრინველივით ადრე უნდა ვადგე! ქათმებთან ერთად ვიძინებ და ვდგები! — ღიმილით თქვა დედაბერმა, გამოგვემშვიდობა და წავიდა.

მე და ივანე მაგიდას მივუჩექით. პირველი ჭიქის დალე-ვის შემდეგ ვეღარ მოვითმინე და მრავინას პორტრეტის შე-სახებ ერთი შეკითხვა მივეცი.

ივანე ძალზე აწითლდა.

— ჭაბუკობის წლების გატაცებაა!.. მაშინ ჭერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, პიტერში. ისე შეყვარებული ვიყავი მრა-ვინაზე, რომ იდგილს ვეღარ ვპოულობდი! ვერ მოვისვენე, ვიდრე თავისი წარწერით არ მაჩუქა ეს პორტრეტი. მას შემ-დევ სათუთად ვინახავ, როგორც უძვირფასეს განძს!.. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სასაცილოა, იქნებ, სისულელეც

აი, მაგრამ, უნდა გამოგიტყდე, რომ დღემდე სულიერი მსე-  
ლვარების გარეშე არ შემიძლია შევხედო ამ პიროვნეულს.  
თითქოს ახლაც მკაფიოდ მესმის მისი წარმტაცი ხმა, მაგონ-  
დება მისი სახე და, როგორდაც, აღტაცების ვეძლევი, თან  
სიხარულით მევსება სული და გული!.. ეს ხომ არავის არა-  
ფერს უშლის, ამით არავის არაფერს ვართმევ!.. მე კი შევებასა  
და სიხარულს მანიჭებს: ესეც არ იყოს, ჩემი ცხოვრების  
ერთი დიდი ამბავი მაკავშირებს მასთან!.. ეჭ, მოდი, დავლი-  
ოთ მისი სადღეგრძელო!

გულწრფელად მივუჭახუნეთ ჭიქები ერთმანეთს.

თავის დროზე, სტუდენტობის წლებში, მეც გატაცებული  
ვიყავი მრავინას სილამაზით, მაგრამ არა ისე ძლიერად, რო-  
გორც ივანე, რომელსაც მიუხედავად თავისი დიდი მოქრა-  
ლებისა, ასე თავდავიწყებით ჰყვარებია ეს მართლა ულამა-  
ზესი ქალი.

რას ვიფიქრებდი, თუ ამ გარეგნულად ციცსა და თითქოს  
მიუკარებელი კაცის გულში ასეთი ძლიერი გრძნობის ცეცხ-  
ლი ვიზგიზებდა!

განცვიფრებული შევცეროდი ჩემს უბრალო, მოქრამალე-  
ბულ მეგობარს, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მას ოდეს-  
შე ჰქონდა ისეთი რომანტიკული გატაცება, რაზედაც ახლა  
მელაპარაკებოდა. ჩვენმა გულითადმა საუბარმა კარგა ხანს  
გასტანა. მას შემდეგ ივანე უფრო დავაფასე, უფრო იმაღლ-  
და ჩემს თვალში, უფრო ლამაზი, აღამიანური გახდა. მისი ჭა-  
ბუკობის მეტად თავისებური გატაცებაც კარგი აღამიანის  
სუფთა გრძნობად მივიჩნიე. ეს მართლაც ასე იყო.

იმ საუბრის შემდეგ უფრო შემიყარდა ივანე.

ბოლოს მრავინაზე საუბარი - მოვათავეთ და ნადირობის  
ამბებზე გადაედით. ჩვენ ვუამბობდით ერთმანეთს ნადირო-  
ბის დროს გამოვლილი თავგადასავლის სხვადასხვა წერილმა-  
ნებს, ძალების, მათი მუშაობისა და წრთვის შესახებ.

ივანე ძალიან აქებდა თავის ბოის, მის შესანიშნავ თვისე-  
ბებს. მიამბო, თუ როგორ წვალობდა მის აღზრდაზე, ვიდ-  
რე მას გადააჩვევდა ცუდ ჩვევებს, რომელიც გამოუმუშავდა  
პირველი პატრონის ხელში.

— ვის გამოართვი? — შევეკითხე მე.

— ვის? საეჭვოა, რომ იცნობდე. ის ნადირობით ცნოვ-  
რობდა. ნანადირევსა და ძალლებს ჰყიდდა. შესანიშნავი იყო,  
როგორც მონადირე, მაგრამ როგორც იდამიანი — გაიძერა,  
საზიზღარი, უხეში და შეუბრალებელი იმ ძალლების მიმართ,  
რომლებიც ხელში ჩაუვარდებოდა. ჩემი ბოი უგვაროა, მაგ-  
რამ შესანიშნავი მუშაძალლია; იმ გაიძერას ხელში მას  
ცემა-ტყეპის გარდა არაფერი უნახავს, სულ ტანჯავდა და  
აწვალებდა ამ საცოდავს. წარმოიდგინეთ, რომ ბოი გამო-  
ვართვი მხოლოდ სიბრალულის გამო, მენანებოდა იმ ვერა-  
გის ხელში. ის ნაძირალი განსაკუთრებული ბარბაროსული  
წესებით ცდილობდა ბოი გადაჩვევოდა ნანადირევის ჭყლე-  
ტის. მის ხელში ბოის დრუნჩი ყოველთვის შეშუპებული და  
დასისხლიანებული ჰქონდა ცემისაგან.

ერთხელ ღვარძლიანი სიცილით თვითონვე მიამბო, რომ  
ბოი მოტანის დროს ნანადირევს ძალიან ჭყლეტდა კბილე-  
ბით. ამას ვერ იტანდა ის მხეცი, საოცრად ბრაზობდა თურ-  
მე. ერთხელ მწყერი მოუკლავს, ზედ ნემსები მიუბნევია, გა-  
დაუგდია და ბოისათვის უბრაძნებია — მომიტანეო. ერთგუ-  
ლი ძალლი უმალვე გაქცეულა განკარგულების შესასრულებ-  
ლად. პირი დააკარა თუ არა, თურმე მწყერი იქვე დააგდო  
და საცოდავი წერტიუნით განხე გავარდა. ეს ვიგინდარა კი  
იდგა და ხარხარებდა, თურმე ნეტარებდა ძალლის ტანჯვით.  
ამის შემდეგ ბოის სულ მიუტოვებია ნანადირევის მოტანა,  
რისთვისაც უმოწყალოდ უცემია. მაინც ვერაფერი გააწყო.  
ბოლოს მე მოყიდა გროშის ფასად. ბევრი ვეწვალე, მოფე-  
რებითა და მოთმინებით თანდათან გადავავიშუე პირვანდელ  
პატრონთან მიღებული ცუდი ჩვევები. ბოი შესანიშნავი ძალ-  
ლი გამოდგა, მას შემდეგ ბევრჯერ ვყოფილვარ სანადიროდ  
კალინასთან ერთად და მას ყოველთვის ოცებდა ბოის მუ-  
შაობა...

— პოო, თქვენ კალინაზე მეუბნებით? — გავაწყვეტინე  
საუბარი. მომაგონდა: მაღალი, გამხდარი და ბოშასავით გატ-  
რუსული, მუდამ მოღუშული სახე, ავად გამომზირალი თვა-  
ლები! მეც ვიცნობდი მას, თუმცა არც ისე კარგად, ორიოდე-

ჯერ მინადირია მასთან ერთად. რუსი ვარო — იძახდა, რამ კფიქრობ ტყუილია, რადგან ძალიან ცუდად ლაპარტენიშვილი და რუსულს. ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა. თამაზად შეეძლო საუბარი ქართულად, თურქულად, სომხურად. სანადირო ადგილებზე ყველგან ნაცნობები ჰყავდა, კარგი სროლა იცოდა, დაუღალავი მოსიარულე იყო და, უნდა ითქვას, რომ მთელ თავის სიცოცხლეს ნადირობაში ატარებდა, მარტოდ მარტო. ამხანაგები არ ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელი მონადირეები კარგად იცნობდნენ... „შავკალინას“ ეძახდნენ მეტსახელად. მუდამ ძალლებით ვაჭრობდა. მართალია, ეს ძალლები უჯიშონი იყენენ, მაგრამ საკმაოდ კარგი წართენა ჰქონდათ მიღებული. ამ ნიადაგზე გავეცანი და ერთხელ მის ბინაშიც კი ვიყავი, სიდღაც კუკის სასაულაოს გადაღმა ცხოვრობდა, ვადაკარგულში... შემაზრჩენ შთაბეჭდილებას ტოვებდა, საოცარ შიშს ჰგვრიდა ადამიანს, ნამდვილ ბოროტმოქმედს მოგაგონებდათ... ახლა ყველაფერი გასავებია, მხოლოდ კალინას შეეძლო ეწამებინა ძალლი. საინტერესოა, სად დაიკარგა? რატომ არსად ჩანს?

— ვინ იცის! — ორგოფულად მომიგო ივანემ.

— იქნებ წავიდა სადმე!

— ბნელი ადამიანი იყო. ოდესლაც რკინიგზაზე უმუშავია. ამბობდნენ საუკეთესო ზეინკალიაო. არ ვიცი, რა მოუვიდა, თვითონ წავიდა, თუ გააგდეს... ჯანდაბას მისი თავი, განა ღირს იმაზე ლაპარაკი... თქვენი დღეგრძელობისა იყოს, ევგენი ლევოვიჩ!

ისევ მივუჭახუნეთ ჭიქები ერთმანეთს.

ივანემ ნამდვილი, მეგობრული საუბრის გაბმა მაინც ვერ მოახერხა, დაბნეულივით შემომცქეროდა, სულ უკან იხედებოდა, აყურადებდა, წამოიწყებდა საუბარს და უმალვე შეწყვეტდა, თითქოს ვიღაცის ეშინიაო.

ასე ვისხედით ერთ ხანს. ბოლოს გადავწყვიტე წავსულიყავი, მაგრამ ჩამეჭიდა, მთხოვა ცოტა ხანს კიდევ დარჩიო. ვატყობნი სიამოვნებდა ჩემი იქ ყოფნა და ხათრი ვერ გავუტეხე, ისევ დავჭექი.

მცირე ხნის შემდეგ წამოდგა, ფეხაკრეფით მივიდა კარ-



თან, მძინარე დედას დახედა ოთახში, წინკარში გავიდა, მოწმა: კარი მაგრად ჩაკეტილია თუ არაო; მერე კვლავ ვის აღილას დაბრუნდა.

თვალები საოცრად უბრწყინავდა, დამშვიდდა, გონის მოვიდა, უცებ ჭიქა ღვინოც გადაჰქრა და ენაც აიღგა.

— ევენი ლვოვიჩ, მე თქვენ მოგატყუეთ წედან! გითხორით: არ ვიცი სად არის, რა მოუვიდა-მეტქი! ეს მართალი არ არის! კალინას ამბავი ძალიან კარგად ვიცი. თუ გაინტერესებთ, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ!.. ოღონდ, მარტო თქვენ! ვიდრე ცოცხალი ვარ, არავინ არ უნდა იცოდეს ეს! კარგი? მხოლოდ თქვენ გენტობით, ვაჟკაცურად შემინახეთ ეს საიდუმლოება!..

პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ მისი ნაამბობი ჩემთან ერთად მოკვდებოდა, არავის არ ვეტყოდი. თან სმენად გადაქცეული პირში მიეჩერებოდა, ისე დამაინტერესა მისმა წინასწარმა გაფრთხილებამ.

ივანემ აუჩქარებლივ ჭიქები შეავსო. მერე ოდნავ ჩემკენ მოიწია და დაბალი ხმით დაწვრილებით მიამბო „შავკალინას“ მოელი თავგადასავალი.

ივანე გულახდილობის საოცარმა აღტყინებამ შეიპყრო. ისე მანღობდა თავის საიდუმლოებას, თითქოს მღვდლის წინაშე უკანასკნელ აღსაჩებას ამბობსო. ვატყობდი, ყველაფერს სრული გულახდილობით ამბობდა, არაფერს იტოვებდა გულში. ამ საუბარში ისიც შევატყვე, რომ „შავკალინას“ თავგადასავლის საიდუმლოება, რომელიც მხოლოდ მან იცოდა ამქვეყნად, ლოდივით აწვა გულზე. ამიტომ მუდამ განიცდიდა სინდისის ქეხნას და ახლა მოხარული იყო ყოველივე ეს გაეზიარებინა ჩემთვის. ვერძნობდი, რომ ამაში ხედავდა ერთგვარ სულიერ სიმშვიდეს...

ახლა ყოველივე ეს შორეული ამბავია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს არც ივანეა ამქვეყნად და არც სხვები, რომლებსაც. მე ვიხსენიებ ამ მოთხრობაში. ამიტომ ვფიქრობ, დიდ ცოდვად არ ჩამეთვლება, თუ საჯაროდ ვალიარებ იმ საიდუმლოებას, რომელიც ივანემ გამანდო ამ ორმოციოდე წლის წინათ...

9. ე. მარკოვი.



— კალინა გავიცანი შემთხვევით, — წამოიწყო ივანე მერკერავა  
ამ ათიოდე წლის წინათ, ნადირობისას. მას შემდეგ უკანასკნელ  
ეხვდებოდით ერთმანეთს. თუმცა მისი უცნაური, შიშისმომ-  
გვრელი, ცეცხლივით მოკიაფე თვალები, ფისივით შავი წვე-  
რები და ყაჩაღური გარეგნობა ნდობას არ იმსახურებდა,  
მაგრამ ამას სრულიად არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი.  
მე მასში ეხედავდი მხოლოდ კარგ მონადირეს, შესანიშნავ  
მსროლელს და სანადირო ადგილების იშვიათ მცოდნე კაცს.  
რომელთანაც წარმატებით შეიძლებოდა ნადირობა.

იმავე დროს მას დიდი ნაცნობობა ჰქონდა სოფლელებ-  
თან. მისი ხელისშეწყობით ყოველთვის შეიძლებოდა ღამის  
გასათევად კარგ ოჯახში მოხვედრა, ხოლო თუ საჭირო იქნე-  
ბოდა, ურმისა და ცხენის შოვნაც. ერთი სიტყვით, ჩემთვის.  
როგორც ნადირობაზე გადაგებული კაცისათვის, თითქმის  
აუცილებელიც იყო მასთან სიახლოვე. ამიტომ, ხშირად დავ-  
დიოდი მასთან სანადიროდ, თუმცა როგორც ვთქვი, არც  
თვითონ მომწონდა და არც მისი წრე.

ექვსიოდე წლის წინათ ვიყიდე მისგან ჩემი ბოი. იმ დღე-  
დანვე ჭირივით შემზარდა „შავკალინა“. ერთ-ერთ ნადირო-  
ბაზე, კარად შეზარხოშდა და გულახდილად გვიამბო, თუ  
როგორ მოჰკლა ორი მძინარე მწყემსი თათარი, რომელთა  
კარავშიც ღამეს ათევდა. მოჰკლა მხოლოდ იმისათვის, რომ  
მასპინძლის ჭოვის ძალებმა დაფლითეს მისი მონადირე  
ძალი. ეს ამბავი გვიამბო მეტად ცინიურად, ხარხარით,  
ნიშნის მოგებითა და დაცინვით, იმ ადამიანების მიმართ, რომ-  
ლებმაც სტუმართმოყვარეობით კარი გაუღეს და ღამე გაა-  
თევინეს. ამ მხეცმა ქედმალური დაწვრილებით გვიამბო  
მთელი ის ტანჯვა-წამება და დამცირება, რაც მათ მიაყენა;  
გვიამბო ისიც. თუ როგორ გაუპო თავის ქალა პირველ  
მსხვერპლს, როგორ განწირვით ყვიროდა მეორე და რა სა-  
სოწარკვეთილი მუდარით სთხოვდა სიცოცხლე შეენარჩუნე-  
ბინა მისთვის.

მისმა ნაამბობმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემ-  
ზე, როგორც ვთქვი, იმ დღიდანვე შევიძულე, ვცდილობდი  
არ გავკარებოდი მის წრეს, მაგრამ მასთან კავშირის გაწყვე-  
ბინა მისთვის.

ერთხელ, ერთ-ერთ ჩემს მეგობართან, არსენალის ზეინ-კალ პეტროვთან ერთად ორი დღე გავატარე ნადირობაში. ეს ის პეტროვი იყო, რომლისაგანაც თქვენ იყიდეთ ძალლი „ყაზ-ბეგი“. ჰოდა, ნადირობით გულმოწერებული, ნადავლით საკ-ბაოდ დატვირთული შინ ვბრუნდებოდით. სადღაც გზაზე შევისვენეთ, ერთ ხანს ვილაპარაკეთ სხვადასხვა თემაზე. მე და პეტროვი ძალიან დაახლოებული ვიყავით. იგი კარგად მომზადებული, ნაკითხი მუშა იყო, სოციალისტობდა კიდეც. ჩვენ ყოველთვის გულწრფელი საუბარი გვქონდა ერთმა-ნეთთან. ალბათ ამან თუ მისცა ბიძგი. პეტროვმა უცებ ლაპა-რაკის კილო შესცალა, მომიბრუნდა, სერიოზული გამომე-ტუველებით მომაჩერდა და მეუბნება:

— რატომ მეგობრობ ისეთ ნაძირალასთან, როგორიცაა „შავკალინა?“ იქნებ არც კი იცი, რომ ის ამხანაგებმა გამო-აძევეს რეინიგზის სახელოსნოებიდან! ეს მოხდა იმის გამო, რომ უანდარმების დავალებით, ბაქოში გაემგზავრა და ჭალა-თობა იქისრა, ორი თუ სამი რევოლუციონერი მუშა ჩამო-ახრჩო. ასეთ ნაძირალასთან ახლოს ჰაერის სუნთქვაც კი შე-უძლებელია, არამცუ მეგობრობა, ლამის გათევა და პურის ჭამა! ის ხომ ქვეწარმავალია, ბილწი, გახრწნილი ქმნილება, იგი სასტიკი შურისძიების ღირსია! უკვე გამოტანილი აქვს განაჩენი — სიკვდილით უნდა დაისაჭოს...

მისმა ნაამბობმა გამაოცა, ხმა ვერ ამოვიღე, რამდენიმე წუთს გარინდებული შევცეროდი. დაუჯერებლად მეჩვენე-ბოდა ყოველივე ის, რაც მოვისმინე.

— ნუთუ მართალია?

— ისეთი უტყუარი, ეჭვმიუტანელი, როგორც შენ ზიხარ ახლა ჩემს წინ! — მითხრა ივანემ და აღგზნებული თვალე-ბით მომაჩერდა.

ცხადია, ამის შემდეგ გადავწყვიტე არაფერი საერთო არ მქონდა მასთან, გადაჭრით უარს ვუცხადებდი ყოველთვის სანადიროდ ერთად წასვლაზე: ხან ავადმყოფობას ვიმიზე-ზებდი, ხან — საქმეებს, ხან კიდევ სხვა რამეს. მიუხედავად



ამისა, ბედმა მაინც შემახვედრა მასთან ნადირობა. იმ დღეს სოუთ-ბულაუში ვნადირობდი ხოხებზე. ცოტა შოვერლი, მგონი, ხუთიოდე მამალი და სამიოდე დედალი. ძალიან დავილალე, საღამოვდებოდა. ახლომახლო თავშესაფარი არსად ჩანდა. ირგვლივ მხოლოდ ტყე იყო, უდაბური, გადავწყვიტე ღამე იქ გამეთია, ლია ცის ჭვეშ. ვიდრე კოცონს გავაჩალებდი, ლაქაშით მოდებულ პატარა მინდორს შემოვუარე. ბოიშ უცებ მამალი ხოხობი წამოაფრინა. უმალვე ვესროლე და ჩამოვაგდე. სწორედ იმავე წუთს, ყურის ძირში ზედიზედ დაიჭექა თოფმა. გავვოცდი. მივიხედ-მოვიხედე. რას ვხედავ? ლაქაშებიდან გამოძერა კალინა, ორი მოკლული ხოხობი ეჭირა ხელში და პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა.

— აა, გამარჯობა, ივან პეტროვიჩ! რამდენი ხანია არ შევხვედრივართ ერთმანეთს! როგორ მიღის ნადირობის საქმე? როგორ ცხოვრობთ? — მომეგება და ხელი გამომიწოდა.

რა გზა მქონდა, მეც მიეესალმე.

— კოცონი გავაჩალოთ, ღამე აქ გავათიოთ, ხვალ კი ისევ ვინადიროთ...

უარის თქმა შეუძლებელი იყო. მალე მოვზიდეთ ხმელი ტოტები, ფიჩი დავამტვრიეთ, მშრალი ლაქაში შევუკეთეთ, კოცონი გავაჩალეთ და ვახშამსაც შევუდექით.

ახლა პირდაპირ ვიჭექი ჭალათთან, უდაბურ ტყეში. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ვიცოდი ამ მხეცზე, მასთან საუბარსაც გავურბოდი, ვცდილობდი მოკლე პასუხი გამეცა შეკითხვებზე. ცივად, ფარული ღვარძლითა და ზიზღით შევსცეროდი მის გულისამრევ სახეს.

თვითონ კი თავხედურად ჰყვებოდა თავის ნადირობის ამბავს.

— მატარებლიდან მარტო გადმოვედი, მეზობელ სადგურზე, იქიდანვე დავიწყე ნადირობა, საშინლად მოვიქანცე. — განაგრძობდა იგი და თან ხარბად შეექცეოდა თავის საუზმეს, ხმამალლა აწკლატუნებდა პირს და შეუსვენებლად ყლაპავდა არაყს.

მე კი საშინელ სულიერ ტანჯვას განვიცდიდი მისი იქ ყოფნის გამო.



პირველი ვარსკვლავი გამოჩნდა. მთვარეც ამოვიდა. ყავის ფერი უკანა ვერცხლისფრად გადაისარკა, საღლაც ახლოს ტურქუსში საშინელი კივილი ასტეხეს.

მოუხედავად დალლილობისა, ჩემს თვალებს ძილი არ ექარებოდა. კოცონთან ვიჯექი, პაპიროსს პაპიროსზე ვაბოლებდი. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა.

„.... რა საშინელებაა ამ ნაძირალას საზოგადოებაში ყოფნა! მარტო მისი ერთი შეხედვა საოცარ ზიზღს იწვევს. მე კი ხელს ვართმევ, ღამეს ვათევ მასთან ერთად, პურ-მარილსაც კი ვეუყოფ... როგორ შემიძლია ვიყო ასე ახლოს ამ ვერავსა და სისხლისმსმელთან?! ჩემს აღგილას სხვა ვინმე გამბედავი და პატიოსანი ადამიანი სხვაგვარად მოიქცეოდა! მე კი საწყალი ვარ, საცოდავი, მშიშარა, მერყევი. ვერც კი მომისაზრებია, რა უნდა გავაკეთო...“

სული და გული ამითორიაქდა. თავი შემეზიზღა.

უცებ თვალშინ წარმომიდგა ჩემი სანუკვარი და მარად საოცნებო მრავინას სახე. მთელი თავისი მიმზიდველი, მომჯადოებელი არსებით იგი წარმოსდგა ჩემ წინ, როგორც ცოცხალი, როგორც ჩემი ოცნების წარმტაცი განსახიერება. და უცებ, წარმოუდგენელი სულიერი სიმტკიცე და გამბედაობა დამეუფლა...

დიადი ადამიანის ნათელი განსახიერება მამხნევებდა და მამალლებდა სულიერად. ვერდით, კოცონის პირას კი ხროტინებდა მთვრალი კალინა, რომელშიაც თითქოს მოგროვილიყო ადამიანთა მოდგმის მიერ ქვეყნის გაჩენიდან ჩადენილი მთელი ვერაგობა და საზიზღრობა... არასოდეს მიგრძნია ისეთი დაუკებელი სულიერი წინააღმდეგობანი, როგორიც იმ წუთს!.. მისი აწონ-დაწონა და ნათლად წარმოდგენა ახლაც აღემატება ჩემს ძალ-ღონეს. დღემდე ვერ გავერკვიე იმ ამბავში, თუ რა მოხდა, ან როგორ მოხდა ყოველივე ის, რაც იქ დატრიალდა!.. მოკლედ გეტყვით!.. ელვის სისწრაფით წამოვიჭერი! საფანტით გატენილი ორი ვაზნა ჩავდევი თოვში, ათიოდე ნაბიჯზე მივუახლოვდი ჯალათს და ორჯერ ზედიზედ ვესროლე თავში! ეს იყო და ეს! მერე დენ-

თის ბოლში შევნიშნე, რომ ხელები მაღლა აიქნია, კულტურული  
მიწაზე დაარტყა და მიყუჩდა.

მისი გვამი ჩემთვის სრულიად შეუცნობლად მივათრიე  
კოცონზე, ზედ ხმელი ფიჩი და გამშრალი ლაქაში დავაყა-  
რე. ყოველივე ამას, თითქოს სიზმარში, მაგრამ სწრაფად და  
გულგრილად ვაკეთებდი. თითქოს გვამს არც კი ვუყურებდი,  
თითქოს მის მიღმა ვიცექირებოდი.

ხელი წამოვავლე თოფს, ხოხბებს, ჩანთასა და ბუჩქებში  
შევერიე. გავშორდი იმ წყეულ ადგილს. აჩქარებით გავეშუ-  
რე მეზობელი სადგურისაკენ. არავითარი სინდისის ქენჭნა არ  
მიგრძნია. ისე დამშვიდებული ვიყავი, თითქოს არაფერი  
ჩამედინოს... ეს მაშინ, როცა ადამიანი მოვკალი, წავართვი  
სიცოცხლე, რომელიც მე არ მიმიცია მისთვის. მოვკალი,  
თუმცა ვერაგი, სისხლისმსმელი, მაგრამ მაინც ჩემივე მსგავ-  
სი ადამიანი! როგორ მოხდა ეს? ვერაფერი გავიგე!.. პირვე-  
ლი მატარებლით ჩამოვედი თბილისში. იმ წელიწადს სოუთ-  
ბულაყში არ წავსულვარ. ახლა ხომ გაიგეთ რა მოუვიდა  
„შაგკალინს“ და რატომ ვერა ხვდებით მას ქალაქში? იქნებ  
უდიდესი ცოდვა ჩავიდინე, რომ ასე თვითნებურად დავსავე  
დამნაშავე, მაგრამ რატომღაც სინდისი მიკარნახებს, რომ მე  
მართალი ვარ, სწორად მოვიქეცი, რომ აუცილებლად უნდა  
გამეშმინდა დედამიწა სიბინძურისაგან, მომესპო ვერაგი,  
გალათი, სამაგირო მიმეზლო მის მიერ ჩადენილ ბოროტე-  
ბათა გამო. თქვენ, ევგენი ლოვიჩ, თქვენ, ნუთუ ცოდვად,  
დანაშაულად ჩამითვლით ამას და მსჯავრს დამდებთ იმ თვით-  
ნებური მოქმედებისათვის, რომელიც მე ჩავიდინე სოუთ-ბუ-  
ლაყის უდაბურ ტყეში, კოცონის პირას 1912 წლის 16 ნოემ-  
ბერს? ნუთუ მე დამნაშავე ვარ?

მთელი ამ საუბრის დროს უაღრესად დაძაბული განწყო-  
ბილებით ვუსხენდი მეგობარს. როცა აღსარება მოათავა,  
ადგილიდან წამოვიჭერი, გადავეხვიე, მზად ვიყავი მარჯვენა  
ხელი დამეკოცნა მისთვის...

## ქაღლის გამო



ეს მოხდა 1918 წელს. თბილისის სადგურზე მატარებლის ვაგონში ათოლე მონადირე ამოვიდა. მათ შორის იყო ორი პოლკოვნიკი — მოროზოვი და ლიუბავსკი. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ, სანადიროდაც ერთად დადიოდნენ.

გზაზე გამოირკვა, რომ უცნობი მონადირეები ფოილოსკენ მიღიოდნენ და სხვადასხვა სად-

გურზე პირებდნენ ჩამოსვლას. მეორე დღეს იხსნებოდა ხოხობზე ნადირობის სეზონი და ყოველ მათვანს სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება უკეთ ენადირა ტყის ამ ულამაზეს, გრძელებულა ფრინველზე.

მოროზოვი და ლიუბავსკიც ამავე სურვილით იყვნენ გატაცებულნი.

— რამდენი ვაზნა წამოიღე, ლეონიდ პეტროვიჩ? — შეეკითხა მოროზოვი თავის მეგობარს ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

— იმდენი, რამდენიც ჩვეულებრივად მომაქვს ხოლმე! — მიუგო ლიუბავსკიმ, — სავაზნეში ოცდაათი მიწყვია, ჯიბეში — ათი!

ამ სიტყვებზე ლიუბავსკიმ რატომღაც ოქროს პენსნე მოიხსნა და ისევ გაიკეთა, ახლომხედველი თვალები მოჭუტა და ეშმაკურად გაიღიმა. ეტყობოდა, ვაზნები გაცილებით უფრო მეტი ჰქონდა წამოღებული, მაგრამ სწორად არ უთხრა მეგობარს.

— მე კი სამოცი ცალი წამოვიღე! — იცრუა მოროზოვ-

მაც, თუმცა მასაც გაცილებით უფრო მეტი ჰქონდა — მეტი / შეკვეთის განხილვას / გიქრობ, მეყოფა?

— მოგრჩება კიდევ! ნუთუ ამ ნადირობაზე აპარებ სო-  
უთ-ბულაყის ყველა ზოხბის ამოხოცვას? — სიცილით და-  
ტანა მან.

ლიუბავსკი პაპიროსს აბოლებდა და ზოზინით მიმავალი  
მატარებლის ფანჯრიდან გადასცეროდა მთვარის შუქით  
განათებულ ველებს.

„აი, სწორედ იმ გორაკების გადაღმა ორიოდე წლის  
წინ დავხოცე კავბები. აგერ, აი, იქ, შეღმართზე დავაცილე  
მელას, იმ ვერაგს! ცოტა ქვემოთ, სათიბში, ზედიზედ გას-  
როლით ორი კურდლელი მოვკალი!“ — ფიქრობდა იგი თა-  
ვისთვის.

მატარებელი ისევ მიიზღაზნებოდა.

მოროზოვი კუთხეში მიმჯდარიყო, თითქოს თვლემსო,  
ღრმად ჩაფიქრებულიყო, ხმას არ იღებდა.

ძალლები კი მერხის ქვეშ იწვნენ.

ლიუბავსკი ისევ ფანჯარაზე იყო გადაყუდებული, კვლავ  
ზედიზედ აბოლებდა პაპიროსს, თან ნერვიულობდა.

ორთქლმავალმა გაბმით დაიყვირა.

გამოჩენდა ბუჩქები, ცალკეული ხეები, იმის იქით — რუხად  
ამართული ტყე...

— ვლადიმერ ანდრეევიჩ, უკვე სოუთ-ბულაყში ვარო!

ჩასასვლელად მოემზადნენ.

ძალლებმაც იგრძნეს, რომ უკვე მატარებლიდან ჩამოსვ-  
ლის დრო იყო. მერხიდან გამოძვრნენ, გააზმორეს, კუდების  
ქიცინი დაიწყეს.

მატარებელი ღრჭიალითა და ბუფერების ჯაჭვურით შე-  
ჩერდა. მონადირეები გადმოვიდნენ.

— სპორტ! სპორტ! — გაისმა ლიუბავსკის ხმა.

მაგრამ ძალლები სპორტი და კარო ვაგონიდან ჩამოსვლის-  
თანავე გაიქცნენ ბაქნიდან ასიოდე ნაბიჯზე გამმარტოებით  
მდგარი ქოხისკენ, რომლის სარკმლიდან ლამპის ბეუტავი  
სინათლე მოჩანდა. ეს იყო საჩაიე, სადაც ლამის მატარებ-  
ლით ჩამოსული მონადირეები ჩერდებოდნენ დილამდე.



მოროზოვი და ლიუბავსკიც იქეთ გაუშურნენ, რომ სხვები სათვის მიესწროთ და ადგილი დაეკავებინათ ნაცნობის მშემათვა ჩაიეს ღუქანში.

მატარებელი მძიმე ხვენეშით გაუდგა გზას. ირგვლივ სიწყნარე დამკვიდრდა. ხანგამოშვებით მხოლოდ მახლობელი ტყიდან მოისმოდა ტურების ჩხავილი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელ არემარეს ავსებდა უპატრონოდ მიტოვებული ბავშვების წივილ-კივილი. სოფლის ძალლები ბოხი ხმით ტურებს ეხმაურებოდნენ.

მონადირეებმა მცირე საუზმე მოათავეს, აგუგუნებული ბუხრის წინ იატაკზე დაწვნენ, თავქვეშ ჩანთები ამოიდეს და დაიძინეს.

მოროზოვმა ჩვეულებისამებრ ბევრი და მაღიანი ჭამის დროს ცოტა ლვინოც დალია, ახლა უკვე პირაღმა გაშოტილიყო და ხვრინავდა. ეს იყო ახალგაზრდა, შავგვრემანი ჭაბუკი, ნადირობა ახალი დაწყებული ჰქონდა, მაგრამ ისეთი გატაცებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, რომ არც ერთ შემთხვევას არ გამოტოვებდა. როგორც იტყვიან ხოლმე, გატაცებული მონადირე იყო, მაგრამ ერთი ცუდი ჩვეულება დასჩემდა, — ხშირად ბრაზდებოდა და ნერვიულობდა, როცა დააცდენდა. იმავე დროს, იგი ცნობილი იყო, როგორც შეურიგებელი მტერი მწყემსის ძალლებისა, რომლებისთვისაც არა ერთხელ უსროლია თოფი: ბევრი დაუჭრია, მოუქლავს კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგები ყოველთვის აფრთხილებდნენ: ამას შეიძლება სერიოზული უსიამოვნება მოჰყვეს, ვინაიდან მწყემსები არავის აპატიებენ ძალლის მოკვლასო.

მოროზოვმა ჭაბუკური ჭიუტობა მაინც არ მოიშალა. ხშირად რთულდებოდა საქმე, მაგრამ ხან მუქარითა და გინებით, ხან ფულით, ხან ამხანაგების ჩარევითა და დახმარებით მშვიდობიანად აღწევდა თავს ძალლის მოკვლის ან დაჭრის გამო ატეხილ უსიამოვნებას.

— იმათ ას ბანჯგვლიან ბამბურა ძალლს მირჩევნია ჩემი კარო. ხომ არ შემიძლია გულმშვიდად გულმირო, როგორ

ახრჩობენ ჩემს თვალშინ! — უპასუხებდა მოროზოვი გამხდნა  
გებს, როცა რჩევა-დარიგებას მისცემდნენ.



ლეონიდ ლიუბავსკი კი გამოცდილი და თავგადადებული  
მონადირე იყო. ნადირობა ყველაზე საყვარელი საქმე იყო  
მისთვის. ისეთი პატივისცემა და ავტორიტეტი ჰქონდა, რომ  
მონადირეთა ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარედაც კი  
აირჩიეს...

\*

მოროზოვისა და ლიუბავსკის გვერდით უზარმაზარ ხის  
ტახტზე წამოწვა ინით წვერშეღებილი კაცი. ეს იყო საჩაიეს  
მეპატრონე, რომელმაც ერთი თავისი მეგობარიც მოიწვინა  
და განიერი საბანიც დაიხურა.

ბუხართან გულის შემღონებლად ჭრიჭინებდა ჭრიჭინა.

ჩაწეული ლამპა ძლიერ ანათებდა დაბალჭერიან ოთახს.

ძალები მონადირეების ახლოს მოკუნტულიყვნენ და  
ტქბილად ეძინათ.

ღამე მშვიდად გაატარეს.

დილით აღრე წამოდგნენ, ხელ-პირი დაიბანეს, ისაუზმეს,  
თითო ნატეხი პური ძალებსაც მიუგდეს, ჩანთები და თო-  
ფები აიყიდეს და წავიდნენ. ძალებმაც მხიარული ყეფით  
აღნიშნეს ნადირობის დასაწყისი.

ოქტომბრის მშვენიერი დილა დგებოდა. წითელი შუქის  
ხოლი ეფინებოდა შორეულ პორიზონტს. ტყე და ბუჩქები,  
რომლებსაც თხელი ნისლის ფენა ოდნავ გადაკცროდა, წარ-  
მტაცად ასახულიყო ცის ფონზე. დაცვარული ბალახი თვა-  
ლისმომჭრელად ციმციმებდა. მონადირეები თავისუფლად  
და ხარბად სუნთქვდნენ გრილსა და სუფთა ჰაერს. უდიდეს  
სიხარულს განიცდიდნენ, მიეშურებოდნენ წინ, რომ მალე  
დამტკბარიყვნენ დიადი ბუნების მარად უჭირნბი სილამაზით.

სპორტი წინ გარბოდა. თავი ლამაზად აეწია და ნელა,  
თითქოს ეშინია, რომ ფრინველი დააფრთხოსო, მოკლე კუ-  
დის ქნევით უხმაუროდ მიიჭრა ექლის პატარა ბუჩქთან. უცებ  
თავი გვერდით გასწია, მერე კისერი ფოლადის ჯოხივით  
გაჭიმა, ფეხი მაღლა ასწია, ერთ წერტილს მიაცქერდა და

მეხდაკრულივით გაქვავდა. კაროც შეჩერდა და ისიც დაფუძნდა შეშდა.



ლიუბავსკი ფრთხილად მიუახლოვდა თავის ძალს.

მოროზოვი ხმას არ იღებდა, აღტაცებული იდგა ცოტა მოშორებით, აკანკალებულ ხელში მაგრად ეჭირა ორლულიანი თოფი.

ვიდრე ლიუბავსკი მოვიდა სპორტთან, მის წინ, სულ რა-ლაც ათიოდე ნაბიჯზე, ხმაურითა და გამაღიზიანებელი კრია-ხით, შურდულივით ამოფრინდა ულამაზესი მამალი ხოხობი.

ლიუბავსკიმ აცალა, ვიდრე ხოხობი გასწორდა და პირდა-პირ ფრენაზე გადავიდა, მერე გაუმიზნა და ზედიზედ ესრო-ლა ორჯერ. მოროზოვის თოფმაც უმალვე დაიჭირა. ხოხობი კა ფრთხების სწრაფი მოძრაობით პირდაპირ გაფრინდა.

მონადირეებმა თოფები ძირს დაუშვეს, ხარბად მიაჩერ-დნენ იმ იმედით, რომ საცაა ჩამოვარდებაო, მაგრამ ის მაინც არხეინად მიფრინავდა. სახტად დარჩენილი, გაოგნებული მონადირეები შესცეროდნენ, ვიდრე ის მახლობელ ტყეში თვალთ არ მიეფარა.

დარცხვენილმა მეგობრებმა უსიტყვოდ შეხედეს ერთ-მანეთს.

ამ დროს, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც პირველი ხო-ხობი აფრინდა, ერთბაშად ორი მამალი და რამდენიმე დე-დალი ხოხობიც თან მიჰყა.

მონადირეები დაფაცურდნენ, თოფებში ვაზნები ხელახლა ჩააწყეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ხოხები ტყეში შეფრინ-დნენ.

— აი, სირცხვილი, თუ გინდა! დასწყევლოს ეშმაქმა! როგორ დავაცილეთ... ისიც ძალლის ნაბულზე! — თქვა მო-როზოვმა.

— რა გაეწყობა, წინ წავიდეთ! კიდევ შევხვდებით! — უთხრა ლიუბავსკიმ.

სროლის შემდეგ სპორტმა და კარომ მონდომებით და-იწყეს ძებნა აქეთ-იქით, იმედი ჰქონდათ, ჩვეულებისამებრ მოეტანათ მოკლული ნადავლი, მაგრამ ამაოდ, — ის არსად ჩანდა.



მონადირეები სხვადასხვა მიმართულებით გაუდგნენ, კარგი გადასახლება ბუჩქებსა და მინდვრებს ფრთხილად ათვალიერებდნენ შემცირებულია თიმეორეს კი თვალიდან არ იცილებდნენ. ხან ერთი, ხან მეორე მიიჭრებოდა თავის ძალთან, რომელიც აქა-იქ აკეთებდა ნაბულს, და ესროდა ხოხბებს. სამ საათში ლიუბავსკიმ მოკლა ხუთი მამალი ხოხობი, მოროზოვმა კი — ორი მამალი და ერთი დედალი.

განიერი მინდვრის ბოლოს მეგობრები კვლავ ერთად შეიყარნენ; იმ ადგილას მუქად გადაშლილიყო ირგვლივ მოდებული ეკლის ბუჩქები. აქ იყო ხოხბების საყვარელი თავ-შესაფარი ადგილი.

ლიუბავსკი მიპყვა ტყის პირს, მოროზოვმა კი მინდორი გადასჭრა და ბუჩქებისაკენ გაუხვია.

სპორტი ისევ დაწინაურდა, მცირე მანძილის შემდეგ ნაბულზე დადგა.

ამ ღროს მინდვრის მხარეზე გაისმა ჯოგის ძალლის მკვეთრი, ყურთა სმენის წამლები ყეფა. მას მოპყვა ბოხი და წერილი ხმით მყეფავი ძალლების საოცარი გნიასი. ლიუბავსკი უმალევ მიხვდა, რომ მოროზოვი წააწყდა მწყემსების ძალლებს.

ვიდრე რასმე მოიფიქრებდა, უცებ ბუჩქიდან აფრინდა მამალი ხოხობი.

გამიზნება და სროლა ერთი იყო. ოქროსფერი ფრინველი ისე დატრიალდა, თითქოს ჰაერში თავი უნდა შეიმაგროსო; მერე თავდალმა წამოვიდა და ბუჩქებში ჩავარდა. სიხარულით აღტაცებულმა სპორტმა ჩქარა მოარბენინა მოკლული ხოხობი. ლიუბავსკიმ ახალი ვაზნა ჩადო თოფში, ხოხობი კი ჩანთაზე დაიკიდა. ამ ღროს მინდვრის მხარეზე დაიჭექა თოფმა, რასაც თან მოპყვა ძალლის განწირული წკმუტუნი.

ეჭვს გარეშე იყო, რომ მოროზოვმა ესროლა მწყემსის ძალლს.

ლიუბავსკი პირდაპირ მინდვრისაკენ გაექანა, რომ მიშველებოდა ამხანაგს.

აირბინა თუ არა რკინიგზის პირის გასწვრივ ამართულ მიწაყრილზე, უმალვე სამჯერ ზედიზედ დაიჭექა შაშხანამ.

საშინელი სურათი დაინახა.

სამასიოდე ნაბიჯზე იდგა შაშხანებიანი სამი მწყემსი. მათ  
წინ მიწაზე ეგდო მოროზოვი; ეტყობოდა, იგი მქვდარი იყო.  
მისი პოინტერი — კარცი იქვე წაღმა-უკულმა ტრიალებდა  
და საცოდავად წემუტუნებდა. მოროზოვის დაჭრილი ძალ-  
ლის გარშემო წრე შემოერტყათ მწყემსის ძალლებს და საოც-  
რად იღრინებოდნენ.

მწყემსები რაღაცაზე ცხარედ დაობდნენ.

„რა არის ეს? რა უნდა ვქნა ახლა?“ — წაიჩურჩულა მან.

ფიქრისა და გრძნობის უნარი წაერთვა, არ უნდოდა დაე-  
ჭერებინა, რომ ყოველივე ეს იყო სინამდვილე, მოულოდ-  
ნელი, სამუდამოდ გამოუსწორებელი.

„მაინც რა უნდა ვიღონო? რა უნდა გავაკეთო?“ — უტ-  
რიალებდა თავში საოცარი შეკითხვები და საპასუხო სიტყვა  
ვერ ეპოვა. უცებ, თითქოს ვიღაცამ ხელი პერაო, გონება  
გაეხსნა. სწრაფად მოისაზრა ყოველივე: უნდა გაიქცეს მახ-  
ლობელ სადგურზე, გამოუძახოს დამხმარე ხალხს, მოროზო-  
ვის ცხედარი დაუყოვნებლივ უნდა წაიღოს. მკვლელები კი  
სასტიკად უნდა დაისახონ... მაგრამ უცებ შეიპვდა:

.... იქნებ მკვდარი არაა, დაჭრილია მხოლოდ და, ვიდრე  
იქიდან დაგბრუნდები... მოჰკლან კიდეც!.. მაშინ? ამას ხომ  
ვერასოდეს ვაძატიებ ჩემს თავს?!“

იმ დიდ საფრთხეზე კი, რომელშიც თვითონ ვარდებოდა,  
სრულიად არ ფიქრობდა. ლიუბავსკის იმედი მიეცა, რომ  
მოროზოვი დაჭრილია, უგონოდ წევს, მისი გადარჩენა შე-  
საძლოა...

ლიუბავსკის ყველაფერი დაავიწყდა, უმალვე აღგილს  
მოწყდა, გადარეულივით გაექანა წინ...

ამ დროს მწყემსებთან ცხენით მოვიდა ნაბდიანი კაცი,  
რომელსაც ეტყობოდა, უყვებოდნენ იმ ამბავს, რაც იქ დატ-  
რიალდა.

გოგის ძალლებმა შენიშნეს თუ არა მათენ სირბილით  
მიმავალი ლიუბავსკი და მისი სპორტი, უმალვე დაიძრნენ ად-  
გილიდან.



მწყემსებმაც შენიშნეს მათკენ გამოქანებული მონაცემების  
ძალებს დაუსტვინეს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის უშიშრება  
ხანები მოიმარჯვეს.

— ამხანაგებო! ამხანაგებო! ყარდაშებო! იოლდაშებო!  
არ მესროლოთ! — სასოწარკვეთით, მუდარით ყვიროდა ლი-  
უბავსკი, თან თოფი მხარზე მოიგდო.

მწყემსებმა შაშხანები ძირს დაუშვეს და გაოცებით მია-  
ცემარდნენ უკვე მოახლოვებულ მონადირეს.

სირბილისა და მღელვარებისაგან გულამომჯდარი ლიუ-  
ბავსკი ბალახებში დავარდნილ მორიზოვთან შეჩერდა. შიში-  
თა და იმედით დაიხარა მისკენ, იქნებ ცოცხალია, იქნებ რამე  
მითხრასო. მაგრამ, ამაოდ...

მორიზოვს განივრად დაეღო მინასავით გაქვავებული  
თვალები და მზეს შესცემროდა. იგი უკვე მკვდარი იყო.  
თავის მარცხენა მხარეზე მოუჩანდა ლრმა ჭრილობა. სისხლი  
ნელა მოჟონავდა, დაძარღვული ხელებით ბალახს ჩაჭიდებო-  
და. ფეხები საოცრად მოკრუნჩხვდა.

ბევრი სხვადასხვა მკვდარი უნახავს ლიუბავსკის ფრონტ-  
ზე, იმპერიალისტური ომის დროს. მოკლული ადამიანების  
დანახვის გამო ყოველთვის სიბრალულითა და ნაღველით  
ევსებოდა გული, საოცრად ლელავდა და განიცდიდა, მაგრამ  
ახლა თავისი მეგობრის ცხედრის წინ თავს იკავებდა, საოცარ  
სიმშვიდეს იჩენდა; ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ  
ახლა საკითხი იდგა პირადად მისი, როგორც ამ მკვლელობის  
ერთადერთი მოწმე ადამიანის, ყოფნა-არყოფნის შესახებ.

ლიუბავსკი ცდილობდა ელაპარაკი ხმაშალლა, მწყემსე-  
ბისათვის გასაგებად, თან ფიცულობდა, რომ არავის ეტყოდა  
იმას, რაც აქ მოხდა, ყოველივეს მიაწერდა უბედურ შემ-  
თხვევას, უცნობ ყაჩალთან შეტაკებას, ოლონდ ერთ რამეს  
სოხოვდა: მიეცათ უჩემი, რომ ცხედარი საღურამდე მიე-  
ტანა... რომ შინ წაესვენებინა, ცოლთან, შვილებთან, რადგან  
არ აპატიებენ, თუ მეგობრის ცხედარს თან არ ჩაიტანს...

ლიუბავსკიმ გამოიჩინა მთელი თავისი მჭერმეტყველება,  
ლოგიკისა და დარწმუნების მთელი ძალა, მაგრამ ამაოდ!  
ისინი უძრავად იდგნენ, უსიტყვოდ, ფლეგმატურად შესცემ-

როდნენ და მხოლოდ ხანგამოშვებით გადახედავდნენ ხოლმე  
ერთმანეთს.

— რუსული არ ესმით! — წარმოსთქვა ცხენოსანმა და  
თავისიანებს უთარებმნა, რაც ლიუბავსკისაგან მოისმინა.

ცხენოსანი ლაპარაკობდა სხაპასხუპით; მწყემსები ხანგა-  
მოშვებით შეაწყვეტინებდნენ შეკითხვებით, ხშირად გაიხე-  
დავდნენ ხოლმე ლიუბავსკისაკენ, რომელიც გაფაციცებით  
უგდებდა ყურს მათ ლაპარაკს.

— იახში! თანახმანი არიან! ურემი იქნება! — უთხრა  
ლიუბავსკის ცხენოსანმა.

ორი მწყემსი სადღაც გაპქრა.

ლიუბავსკის გულზე მოეშვა. იმედი მიეცა, რომ თავს  
დააღწევდა ამ საშინელებას, პირნათლად მოიხდიდა მოვა-  
ლეობას მეგობრის ცხედრისა და მისი ოჯახის წინაშე.

მერე პორტსიგარი ამოიღო, პაპიროსი შესთავაზა ცხენო-  
სანს, თვითონაც მოსწია, ნაფაზი დაარტყა და ღონემიხდილი  
ბალახში ჩაჭდა.

ცხენოსანი დაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით ათ-  
ვალიერებდა ლიუბავსკის.

— თბილისიდან ხარ? სამხედრო?

— დიახ!..

ამ მოკლე კითხვა-პასუხის შემდეგ ორივე გაჩუმდა.

ცხენოსანი მაინც თვალს არ აშორებდა მონადირეს. სა-  
შინელ ღიქრებში გართული ლიუბავსკი კი ყურადღებას არ  
აქცევდა. პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა.

ლიუბავსკის გონება დაეხშო. აზრები არათანმიმდევრო-  
ბითა და ყოველგვარი კავშირის გარეშე სცვლიდნენ ერთ-  
მანეთს. ხან მოროზოვის ცოლი ელანდებოდა, ხან ბავშვები,  
ხან მისი სახლი, ფრონტი, სამხედრო სამსახური, ხიფათები-  
თა და ათასი გაჭირვებით საგსე გზა, ხან კიდევ რაღაც სხვა  
აზრი გაუელვებდა თავში იმის შესახებ, რომ თითქოს მისი  
მეგობარი მოროზოვი კი არა, არამედ ვიღაც სხვა ეგდო ახლა  
მის წინ, მიწაზე... ხან ნათლად წარმოიდგენდა თბილისში  
მეგობრის ცხედრიანად დაბრუნებას, ხან ჩაფიქრდებოდა  
ასეთ უბრალო რამეზე: „რა ვუყო მოროზოვის ხობებს,



მის დასახიჩრებულ ძაღლსთ“. მთელი რიგი სერიოზულობისას წვრილმანი ფიქრები ირეოდა მის თავში. ერთი უკანონობა სცვლიდა მეორეს, მეორეს — მესამე. მოიქანცა, კი არ იჯდა, უსულო ლეშივით ეგდო მიწაზე... მის გონიერაში ისევ უწყვეტ წყებად მიჰყვებოდნენ ერთმანეთს მახლობელი ადამიანები, მეგობრები, ნაცნობები, მონადირეთა კავშირი, მისი მდივანი, გამგეობის ცალკეული წევრები, მოულოდნელად ოდესლაც შეხვედრილი ადამიანები, — ყველაფერი ეს ერთმანეთში აერია.

ურმის ჭრიალმა გაუფანტა ფიქრი. ფეხზე წამოიჭრა. ურემში კამეჩები იყო შებმული, ზედ თივა ეყარა.

მწყემსებმა ფრთხილად აიღეს ცხედარი, ურემზე დაყრილ თივაში ჩაწვინეს და რაღაცა უთხრეს ცხენოსანს.

— წავიდეთ! — ბრძანების კილოზე ხმამაღლა თქვა ცხენოსანმაც.

ურემი დაიძრა, მას გვერდით აედევნენ მწყემსები, მერე ნელი ნაბიჭით მიჰყვა ლიუბავსკი, უკან კი ცხენოსანი მოდიოდა. რომელილაც მწყემსის შეკითხვაზე მან რაღაც გამაღიზიანებელი პასუხი მისცა, რის შემდეგ ყველანი გასუმდნენ.

ურემი ნელა მიიზლაზნებოდა გამხმარ ბალახბულახში.

მზე მაღლა იდგა, უზოგველად აცხუნებდა, ლიუბავსკის სახე ეთუთქებოდა, პირში ნერწყევი უშრებოდა, საშინლად სწყუროდა, თავში ითასი საშინელი ფიქრი უტრიალებდა. ახლახან გამოვლილი საოცარი თავგადასავლის შემდეგ გონს ვერ მოსულიყო.

უცებ თითქოს მთელი ქვეყანა შეირყა.

ლიუბავსკი კუნძივით წაიქცა მიწაზე.

ცხენოსნის ხელში მზის შუქზე მაუზერმა გაიელვა.

ურემი შეჩერდა.

დალუპული მონადირეების, ორი განუყრელი მეგობრის ძაღლები — კარო და სპორტიც ორმა გასროლამ შეიწირა...

ადამიანებისა და ძაღლების ოთხი გვამი ღრმად ჩაფლეს თივაში. აჭრიალებული ურემი ნელი რონინით გასცილდა რკინიგზის ლიანდაგის მიწაყრილს, შევიდა სოუთ-ბულაკის

ტყეში, იმ ტყეში, სადაც მრავალჯერ უვლიათ და უნაფერობა  
იათ ლიუბავსკისა და მოროზოვს...

რამდენიმე ხნის შემდეგ მტკვრის მღვრიე ტალღები მია-  
თამაშებდნენ ლიუბავსკისა და მოროზოვის გვამებს... სპორ-  
ტი და კაროც უკან მისდევდნენ მათ ისე, როგორც სიცო-  
ცხლეში იცოდნენ ხოლმე კვალდაკვალ ადევნება სოუთ-  
ბულაყის უდაბურ ტყეებში წონბებზე წადირობის დროს...



## დიდი ნადირობა

პატარა გემი „თურქმენი“ მარდად ჭრის კასპიის ზღვის ფოლადისფერ ტალღებს და ტალიშისაკენ მივვაქროლებს.

ლამემ მშვიდად ჩაიარა. ლენჯორანთან შედარებით სიწყნარე იყო, თუმცა ჩვენს მაუბუქ გემს მაინც აქანებდა. მაგრამ, როდესაც ნაეთსადგურიდან გავედით და პირი სამხრეთისაკენ ვქენით, ლელვამ მაგრად შევვარყია, გემ-

ბანი დაცარიელდა, ქვევიდან ისეთი ხმები მოისმა, რომლებმაც ცხადყვეს, რომ ლელვა ყველასათვის სასიამოვნო არ იყო.

მიუხედავად ამისა, წითელარმიელ მონადირეთა დიდ უმრავლესობას, ჯანმრთელ, მაგარ ბიჭებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით, როდესაც ზღვის ავადმყოფობით შეცყრბილებს უცქერიან.

— ექიმო, თქვენ რაღაც გაფითრებული ბრძანდებით!

— მელნიკოვ, საით მიიჩქარი, თევზები გინდა დააპურო? — ისმის დამცინავი შეკითხვები.

უნდა გამოვტყდე, რომ მეც ძლიეს ვიმაგრებ თავს და ვოცნებობ იმ მომენტზე, როდესაც დედამიწაზე დავადგამ ფეხს. ვცდილობ „თავი არ მომეჭრას“ ამ ხალხში.

ასტარიდან ნახევარ ჭილომეტრზე შევჩერდით. ჩვენს გემს ნაფოტივით აქეთ-იქით ისვრის.

თეორქოჩორა ტალღები რიგრიგობით ენარცხებოდნენ ნაპირს, შეუილით აფრქვევდნენ შეფეხსა და ქაფმოდებუ-



ლები გარს ერტყმოდნენ ზღვას. ჩვენკენ ძლივს მობობლურაცხაში დანენ ძველი, მოუქნელი ნავები — „კირუიმები“.

თითქმის იმედი გადაგვიწყდა ამ დაუსრულებელი რწევი-საგან გადარჩენისა, მკვიდრ მიწაზე დადგომისა და ამოსუნ-თქვისა.

კირუიმები — ეს თანამეტროვე კიდობნები — გამოცდილი მეზღვაურების, ტალიშების ხელში თუმცა ნელა, მაგრამ ნამდვილად ჩვენ გვიახლოვდებოდნენ და ბოლოს ჩვენი გე-მის პირს მოადგნენ.

თოვის კიბით დავიწყეთ გემიდან ნავებში გადასვლა. მე ჩემი თოფითა და ზურგის ტოპრაჟით ძლივს გადავჭექი ნავში.

ხალხით სავსე ნავი ნაპირისაკენ დაიძრა, კასპის ზღვის ტალღები როგორც თხილის ნაჭუჭს, ისე ათამაშებენ ჩვენს ნავს, ხან ტალღების წვერზე მოექცევა იგი და ხან კი უფსკრულში ჩაეშვება.

ჩვენი ნავი ნაპირის ქვიშაში ცხვირით შეიჭრა, შეჩერდა, რაღაც მოუქნელად გვერდით დადგა და ზღვის ტალღებს გზა მისცა — ერთხელ კიდევ დავვესველებინეთ... ნაპირიდან მე-ნავე ტალიშები მოგვეშველნენ, ნავი დაიჭირეს, ჩვენ კი მუხ-ლამდე წყალში გადმოვცვივდით და თავს ვუშველეთ, ნაპირ-ზე გადავედით.

თითქოს ყველა გამოიცვალა, ისეთმა მხარულებამ მოიცვა იქაურობა. სასწრაფოდ შეუდგნენ ექსპედიციის დი-დი ბარგის გადმოტვირთვას. ხუმრობა ხომ არ იყო, ამ სანა-დირო ექსპედიციაში ას ორმოცდაათი კაცი მონაწილეობდა. ბევრი რამ მიგვქონდა თან: ფქვილი, შაქარი, ბურღული, ქვა-ბები, თოკები, სხვადასხვა ხელსაწყო, ჭურჭელი, ვაზნები.

თანდათან მოდიოდნენ ნავები, უკანასკნელი ნავით მონა-დირეთა დარჩენილი ჭგუფიც გადმოვიდა. ახლა ყველანი შე-ვიკრიბენით.

ღმელება. წვრილად წვიმს. გზაში საშინელი ტალაბია. მაგ-რამ განრიგის მიხედვით ეს ლამე სოფელ არჩევანში უნდა გავატაროთ, არჩევანში, რომელიც ასტარიდან რეა კილომეტ-რით არის დაშორებული. მონადირეების მთელი მასა, უსი-ტყვოდ, მწყრივში ორ-ორი კაცი, ჩქარი ნაბიჯით მიდის და



მალე სიბნელეში ინთემება. ლელვის ხმაური ფარავს ჭარბაზე და ფეხების ჰყაპაჲყუპს.

მე ვერ გავძედე ახალგაზრდების გაყოლა ამ სიბნელეში და ბარგთან დატოვებულ დარაჯებთან დავრჩი. ხვალ დილით ბარგის გადასატანად ურმებს ვიქირავებთ და მეც იმათ გავყვები.

ზღვისპირას გავედი. ჰაერი მარილიანი ანაორთქლით არის გაუღენთილი. ტენია, მაგრამ არ ცივა, თუმცა დეკემბრის ბოლოა. ზღვიდან თბილი ქარი უბერავს. შორს თოვლით დაფარული მთები მოჩანს. ზღვისპირას, ტალიშების ეზოებში ფერ მწვანე ხეებია. ზამთარია, მაგრამ თითქოს არც არის ზამთარი. ერთი სიტყვით — სუბტროპიკია.

ბიჭები გარეთ დაწყობილ ბარგს ჩიგ-ჩიგობით დარაჯობენ, დანარჩენები მესაზღვრეების ოთახში არიან თავიშორილი. მეც აქ მივდე თავი ჩემს ქურთუქზე... ვუკვირდები მონადირეებს — ახალგაზრდა, მარჯვე, მოსაწონი ბიჭებია. უმრავლესობა თოფებს სინჯავს და წმენდს. საუბარი იარაღს ეხება, იგონებენ საბრძოლო მზადების ამბებს. ვიღაცამ დომინო გამონახა და ამხანაგს ეთამაშება. თანდათან სიტყნარე იპყრობს იქაურობას. მეც, სხვებთან ერთად, მალე ჩამეძინა.

\*

აღმოსავლეთი ოდნავ განათდა... ჩვენ კარგა ხანია ფეხზე გართ. შესახედავად მკაცრი უფროსები დარბიან და ურმებს დაეძებენ, ევაჭრებიან მეურმეებს, აჩქარებენ მათ, მაგრამ მიუხედავად ამისა ათ საათამდე ვერ გახერხებთ აღვილიდან დაძრას.

ზღვისპირს მივყვებით, კარგად ნატარ ქვიშაზე მიღის გზა. დამარილებული თევზის სუნი დგას ირგვლივ. ზღვა კვლავ ღელავს. ჩრდილოეთიდან ცივმა ქარმა დაუბერა. მზე ანათებს, მაგრამ სითბო უკვე იღარ აქვს. თბილად გვაცვია. ზოგს მოკლე ქურთუქები. ჩვენი მეურმე ტალიშები კი ხალათის ამარა მოსდევენ ურმებს და სიამოვნებით იხურავენ. ჩვენს ქურთუქებს, რომლებიც მაშინ გავიხადეთ, როდესაც ზღვისპირა ბუჩქნარში გადავედით მონალირული ბეღის საცდელად:

ქვებ კურდლელს წავაწყდეთ, ან შემთხვევით გადმოფრენილ  
 იხვის გესროლოთ თოფი.

სრულიად მშრალზე რამდენჯერმე აფრინდნენ იხვები,  
 მაგრამ ვინც ააფრინა, იმათ საფანტიანი თოფები არა ჰქონ-  
 დათ, მონადირებს კი, რომლებსაც თან სანადირო თოფები  
 ჰქონდათ, კალადაგამდე არავითარი ნაღირი არ შეხვდათ სას-  
 როლად. კალადაგში ამავე სახელწოდების მდინარე ჩამო-  
 დის, სადაც ორიოდე საათის მგზავრობის შემდეგ მივედით.

აქედან არჩევანამდე მდინარეს უნდა შევყევთ ნავებით.  
 გამოცდილმა მეთაურებმა აქაც მალე იშოვეს და დაიჭირავეს  
 აღგილობრივი ნავები.

სანამ ისინი მენავეებს ევაჭრებოდნენ, ბარგს ტვირთავ-  
 დნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ, მონადირეთა ერთმა  
 ნაწილმა ნადირობა მოაწყო. მართალია, სახარბიელო არა  
 იყო რა, მოკლეს რამდენიმე დიდი მურტალა, რომლებიც  
 დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი მდინარისა და ზღვის  
 შესართავში. ზღვაში კი სხვადასხვა ჯიშის იხვების დიდი  
 რაოდენობა ირეოდა.

მალე ნადირობა შეწყდა. ჩვენი ხუთი ნავი ერთმანეთს  
 გაჰყვა მდინარის სათავისაკენ; აუშვეს იალქნები, მოუსვეს  
 ნიჩბები და ნელა გასწიეს წინ.

მდინარის კალაპოტი თანდათან შევიწროვდა, ნაპირებზე  
 მაღალი ყამიშებია, იალქნები ვეღარ ასრულებენ თავის მო-  
 ვალეობას, ჩვენ მხოლოდ ნიჩბებით ვმოქმედებთ, კუს ნაბი-  
 ჭით მივიწევთ წინ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ყამიშის  
 ზღვაში შევცურეთ. რომელსაც ნაპირი არ უჩანს, თითქოს  
 ცენტრალური აფრიკის ლერწმის ჭაობებში ჩავვარდით, საი-  
 დანაც ალბათ ვერასოდეს ვეღარ დავალწევთ თავს.

იხვების გუნდები გადალიან ჩვენს თავზე, ყურყუმელები  
 გვაფრინდებიან წინ და ასიოდე ნაბიჭის იქით კვლავ ეშვე-  
 ბიან მდინარეში. საერთოდ კი იხვი ცოტა იყო. დიდი რაო-  
 დენობით ისხდნენ ისინი ზღვაზე და მხოლოდ დაღამებისას  
 გადმოდიოდნენ კალადაგის გარშემო მდებარე ჭაობებსა და  
 ყამიშებში, ბრინჯის ნაყანებსა და მინდვრებში.

ორ საათს მოვუნდით არჩევანამდე მისვლას. უკვე ღამდე-

ბოდა, ჩრდილოეთის ცივი ქარი უბერავდა. წვიმდნ. ჩერებ  
ნიშანზე მოვიდნენ ჩვენზე წინ აქ მოსული ამხანაგუშენებულება  
გი ვადმოვალავეთ და ბინაში წავიღეთ.

ლობე-ყორე გადავლახე, თხრილების პირებზე გავყევი,  
ტალახის მორევები გავცურე და, როგორც იყო, ერთი ტალი-  
შელი გლეხის თბილ კერას მივაღწიე. აქ, თბილ ოთახში,  
რამდენიმე მონადირე დაბინავებულიყო.

მონადირეები დღეს დაზვერვაზე ყოფილიყვნენ. ხეალი-  
დან ნამდვილ ნადირობას უნდა შევუდგეთ. ორი-სამი დღის  
ნადირობის შემდეგ თითო დღეს დავისვენებთ. ნადირობის  
ჩატარება განზრახულია უახლოეს ტყესა და ლაქაშებში სო-  
ფლიდან ხუთი-ათი კილომეტრის მანძილზე. ყოველი ნადი-  
რობის შემდეგ მონადირეების რაზმი უკან დაბრუნდება სო-  
ფელში ღამის გასათვად.

მხიარულად ტკაცუნობს შეშა ბუხარში. საუბარი მხო-  
ლოდ ნადირობას ეხება, ვლაპარაკობთ გარეულ ლორებზე,  
ავაზებზე, რომლებიც შეიძლება შეგვხედეს აქ, ზუსტ სრო-  
ლაზე, მიუტევებელ აცლენაზე, თავდაჭერილ, გამოცდილ და  
გამოუცდელ მონადირეებზე.

დიდი ქვაბით გახშამი მოგვიტანეს, რომლისაგან მხოლოდ  
გემრიელი მოგონებაღა დარჩა. ყველამ კარგად ივაბშმა, ჩაიც  
დააყოლეს, თოფები გაამზადეს, ფალასკები გასინჯეს, რომ  
დილით დრო არ დაიკარგოს. ზოგიერთები კიდევ საუბრობენ,  
მაგრამ უმრავლესობამ კი ხერინი ამოუშვა. თავში ხეალი-  
დელი ნადირობის მოსალოდნელი სურათები იჩევა.

\*

ჩქარა გავიარეთ ტალახით აზელილი საურმე გზა. ბრინ-  
ჯის ყანებისაკენ გადაუხვიეთ და იქედან ხშირჯავებიან ტყის  
პირს მივადექით, ტყეში შევედით და, რაც უფრო სილრმეში  
შევიჭერით, ტყე მით უფრო გახშირდა, მაგრამ ნაურმალი  
კი მაინც მრავლად იყო. ურმები ყველა მიმართულებით მი-  
დიოდნენ, წინ ტალიშები გვხვდებოდნენ, რომლებიც ტყეს  
ჭრიდნენ, მოჭრიალებდნენ ფიჩით დატვირთული ურმები,  
მოდიოდნენ გუდურააკიდებული აღამიანები.



ეს ადგილი მჭიდროდაა დასახლებული, სოფლებიც შევ-  
რია, მაგრამ ზამთრობით გარეული ღორები აქ მაინც გამოიყენება  
მად იცის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტალიშის მთე-  
ბის კალთებზე თოვლს დასდებს და საკვების შემცირება  
ძირს ჩამორეკავს მათ ფარებს. ბევრი ხილი, განსაკუთრებით  
ბროშეული და მუშმალა, ბრინჯის ნაყანევი, სადაც ბლომა-  
დაა ჩაბნეული ბრინჯი, ყამიშების სიახლოვე, სადაც ღორი  
ბლომად პოულობს ჭაობის მცენარეთა ტკბილ ძირებს და  
ბრინჯის ყანების მორწყვის ღროს შემოტანილ და დატოვე-  
ბულ თევზებს, ბაყაყებს, კუსა და სხვა ცხოველებს, ეტყობა,  
აქეთ იტყუებს გაუმაძლარ ღრუტუნებს, რომელთა ნაკვალევი  
ყოველ ნაბიჯზე გვხვდება.

პირველ სარეკში მივედით. სრული სიჩუმეა. მომრეკებმა  
ძალები წაიყვანეს და ნაჩვენებ მხარეზე წავიდნენ. მონადი-  
რები მისდევენ ნადირობის ხელმძღვანელს, რომელიც უკ-  
ვირდება ნადირის ბილიკებს, გასაძრომ ადგილებს და თა-  
ვიანთ ადგილზე ტოვებს მსროლელებს.

ნადირობის ხელმძღვანელმა ყველანი დაგვაყენა. მონა-  
დირები ფეხქვეშ მიწას ასწორებენ, ბალას ტკეპნიან, ხმელ-  
ნაცვენ ჩინჩხვარს გვერდზე ყრიან, რომ უცაბედად ფეხქვეშ  
არ გატყდეს და ნადირი არ დააფრთხოს, სასროლ არეს ით-  
ვალისწინებენ და საბოლოოდ ეწყობიან სახუნდარში. ნელი  
სტვენით აცნობებენ მეზობლებს თავის ადგილსამყოფელს.  
თოფები დატენილია, ჩაბმახები ფეხზე შეყენებული, ყვა-  
ლაფერი მზადაა... ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა.

საფარის ხაზის მარჯვენა მხრიდან ხელმძღვანელის ორ-  
ჯერ გასროლის ხმა გაისმის. ერთი გასროლით უპასუხებს მას  
მარცხენა მხარე. ეს არის ნადირობის დაწყების ნიშანი.

დაირღვა სიჩუმე, მთელი ტყე ახმაურდა. გაისმა თოფის  
სროლის ხმა. ეს მომრეკები ცრუ ვაზნებს ისვრიან, ნადირს  
აფრთხობენ, ყვირიან, მარჯვედ მოიწევენ გაუვალ ტყეში.

— არიქა, ღორები!.. ღორები წავიდნენ!.. — მოისმის  
მომრეკების შორეული ხმა. სროლა და ყიუინა უფრო ძლი-  
ერდება. ამ ალიაქოს თან მდევრების წვმუტუნი და ყეფა

მოჰყვა, ეტყობა, ნადირს მოსდევენ. ძალლები ორ  გაიყო. ორივე თავის წილ ნადირს მისდევს.

ძალლების ერთ ჯგუფს ნადირი პირდაპირ ჩემსკენ შოვ-  
ყავს. სადაცა უნდა გამოჩნდნენ ღორები... მაგრამ უეფამ  
სხვა მხარეს გადაინაცელა, იგი უკვე ყრუდ ისმის, ეტყობა  
ნადირმა მიმართულება იცვალა, ძალლებიც მას გაჰყვნენ.

მდევართა მეორე ჯგუფი ჩვენს მარცხენა მხარეზე უყეფს  
და უცბად... გავარდა თოფი, მეორე, მესამე, მას კიდევ რამ-  
დენიმე გასროლა მოჰყვა...

ზორცხნივ თითქმის უველა საფრიდან ესვრიან, სროლის  
ენა თანდათან ახლოვდება. გული ლამის ამოვარდეს, შტუ-  
ცერი მაგრად მიჭირავს ხელში, კონდახი მხარეზე მაქვს მიღე-  
ბული, იმ მხარეს ვიყურები, საიდანაც სროლის ხმა მესმის.

ხუთი მორჩილი შავი ღორი გამორბის ჩემი მარცხენა მე-  
ზობლის წინ, ღორებამდე ორასი ნაბიჯი იქნება, იგი ესვრის  
უშედეგოდ, მე კი თავს ვიყავებ, სულ ერთია, შეუძლებე-  
ლია მოხვედრება, — შორსაა და თანაც ტყე დამიზნებას  
მიშლის.

ამავე დროს ჩაღაც საეჭვო ხმაური მესმის ჩემ წინ ამარ-  
თული ბუჩქებიდან, დავაკვირდი: აშკარად ვამჩნევ, რომ  
ჩემეკენ მოდის დიდი, შავი ცხოველი. ეშმაკი ტახი ნეზვებს  
ჩამოსცილდა და ცდილობს ცეცხლის ხაზს ხშირი ტყით გას-  
ცდეს. იგი ჩემს მარცხენა მეზობელთან მივიღოდა, რომ მას  
თავისი უშედეგო სროლით არ დაეფრთხო ეს სასურველი  
სტუმარი. ჩემი საფრის სიჩუმემ მოატყუა ტახი. იგი ჩუმად,  
ჩქარი ნაბიჯით მიახლოვდება მე. ოც ნაბიჯზე ვესროლე მარ-  
ჯვენა ლულიდან. მხეცი ადგილზე დატრიალდა და ხშირ  
ტყეში გაირინდა. ერთი წუთის შემდეგ ჩემი მარჯვენა მე-  
ზობლის საფრიდან თოფის ხმა გაისმა. ჩემი ღორი, რომელიც  
ტყეით გახვრეტილ მენჯს ძლიერ მიათრევდა, ჩემი მეზობლის  
საფარში მივიდა, იქ „მოწყალების“ ტყეია მიიღო და უსუ-  
ლოდ ძირს დაეცა.

მარჯვნივ ბოხი ხმით ყეფს ბურანი, ერთი საუკეთესო  
მდევარი, რომელმაც ეტყობა დიდი ტახი მოსწყვიტა ფარას  
და ახლა მას მოსდევს, საფრებისაკენ მოჰყავს.



მდევარს ბევრად გაუსწრო ტახმა, ყურებდაც ვეტილი მოძერება იგი გაუვალ ბარდებში. ყოველ ას ნაბიჯზე უშემდებობითაა გება, ყურს უგდებს ყეფას, მერმე კვლავ განაგრძობს სირბილს, შალტამსა და ბუჩქებს მიჰყევება. აი, ცოტა ხნით ქარაფუნება გამოჩნდა და გეზი იცვალა, ახლა კალინოვსკისაკენ მიდის. მოხუცი, გამოცდილი მონადირე ხედავს მისკენ მიმავალ უზარმაზარ მხეცს და განაბული ელოდება მას. თოფი გამზადა, კიდევ ერთი წუთი და ვეებერთელა ტახი უსულოდ დაეცემა მის წინ.

უცბად მეზობელი სატრილან მკვეთრი სტვენა გაისმა და ტახი, როგორც მოჩვენება, გაუჩინარდა.

შეწუხებული, იმედგაცრუებული მოხუცი მონადირე თოფს ძირს უშვებს, სიბრაზისაგან თვალაცრემლებულმა არ იცის, რა ქნას. რისთვის დაკარგვინეს ასეთი იშვიათი ნადავლი. მის მეზობელს, ახალგაზრდა მონადირეს, აუცილებლად მოეჩვენა მეზობელი „გაეფრთხილებინა“, რომ ღორი მასთან მიდის და „ოდნავ“ დაუსტვინა. აი დათვური სამსახური!

პირველ სარეკში მხოლოდ სამი ღორი მოკვდა, ბევრიც დაჭრილი წავიდა. ოცხერ გავარდა სახუნდარებში თოფი. ცუდი შედეგია, მაგრამ მიზეზი გასაგებია — მეტად ლელავ-დნენ ახალგაზრდა მონადირები. უნდა გენახათ მათი წამოწითლებული სახეები, მათი აღელვებული ლაპარაკი, ცეცხლისმფრქვეველი თვალები, რომ მიმხვდარიყავით, როგორ ცუჩქეფდა სისხლი ბიჭებს, როდესაც პირველად ნახეს ტყეში გაქცეული მხეცი, როგორ უცბად გაიღვიძა მათში „ნადირობის გრძნობამ“, პირველყოფილი მონადირის შთამომავალთა არსებაში საუკუნეობით დაფარულმა ვნებამ, კულტურით ნახევრად ჩანაბილმა, მთვლემარე მონადირულმა ინსტიქტმა, პირველ შემთხვევისთანავე მოულოდნელად იფეთქა, როგორც ნაცარში შემონახულმა ნაკვერცხალმა, რომელიც ძლიერმა ქარმა გააღვივა.

ახალი სარეკი.

— ამხანაგო, ამხანაგო! — მეძახის მეზობელი მარჯვნიდან და მთხოვს ვასწავლო, სად სჭობია დადგეს — ხის წინ თუ უკან, როგორ სჭობია ესროლოს — ფეხზე მდგომმა თუ

დაჩოქილმა. ოცეულის მეთაურის, ახალგაზრდა სომხის კაბჭარების სახე და სურვილი, გამოცდილი მონადირებულება ისწავლოს ნადირობის ილეთები, აშვარა საწინდარია იმისა, რომ მისთვის წარმატებები უზრუნველყოფილია ყველგან.

კვლავ ხმაური, სტვენა, თოფის სროლა სარეკში. ჯერ დაიწერუნეს, მერმე კი გაბმული ყეფა ასტეხეს მდევრებმა. ჩვენი საფრების გასწვრივ ათიოდე ღორი გამორბის. არავინ არ ესვრის, ფუჭია, დიდი მანძილია. ღორები ახლოვდებიან, აგრე თითქმის საფრებამდე მოაღწიეს. მარჯვნიდან შაშხანების მკვახე ხმა მოისმის, კიდევ და კიდევ ათიოდეჯერ გავარდა თოფი. ერთი წამის შემდეგ ჩემმა მარჯვენა მეზობელმაც ორჯერ გაისროლა და... ყველაფერი მიწყნარდა. სარეკი გათავდა.

მე მეზობელთან მივედი, ხელი მაგრად ჩამოვართვი, ნალავლი მივულოცე.

მის წინ, ათიოდე ნაბიჯზე, მიწაში ჩარგული დინგით უზარმაზარი, ათფუთიანი ტახი ეგლო, ცოტა იქით კი დიდი ნეზვი იყო წაქცეული.

— აი, ძვირფასო ამხანაგო, შედეგი, როდესაც დაწყნარებული, აუჩქარებლად და მოთმინებით ესვრი. — ახალგაზრდა მონადირის სახეს ბეღნიერების შარავანდედი გადაჰფენია. ეს მისი ნანადირევი პირველი ღორებია.

\*

ასე გადავდიოდით ერთი აღგილიდან მეორეზე. ყოველდღე სამ-ოთხ სარეკს ვაკეთებდით.

რამდენადაც სოფელს ვშორდებოდით და მთებისაკენ მივიწევდით, იმდენად საინტერესო ხდებოდა ტყის სურათები, იმდენად წარმტაცი იყო ხეობები, იმდენად მრავალფეროვანი და ორიგინალური იყო მცენარეულობა.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა ტალიშის ტყეების სიმშვენიერე „რკინის“ ან, როგორც მას აქ უწოდებენ, „მედალიონის“ ხე. მას მეტად მაგარი მერქანი აქვს. მისი ტოტები ერთმანეთთან შეხვედრის, ან ხის ტანთან მიახლოებისას ერთმანეთს შეუერთდებიან და უცნაური ფორმის ჩარ-



ჩემი წარმოშობენ. მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს ზოგ—  
ჯერ მრგვალ, ზოგჯერ ოთხუთხედ და ზოგჯერ რაღაც უსწორება  
საკვირველი ფორმის შენახორცებს. ეს ხე ზოგჯერ ტალიშე-  
ლების ეზოებშიაც გვხვდება, სადაც მათ ზრდას თავის ნებაზე  
წარმართავენ ადამიანები. როგორი ფორმის ჩანახლართებს არ  
შეხვდებით აქ, რომელიც ადამიანს თავის ჭიუაზე გაუკე-  
თებია.

ტყეში რამდენიმე ჯიშის მუქა ჩართბს, აქ არის ირანული  
და წაბლისფოთლებიანი მუხა, აგრეთვე წითელი, ღაელაუა-  
ტანიანი, რყინასავით მაგარი ძელქვა, ხურმა, რომელიც ძელ-  
ქვას არ ჩამორჩება მერქანის სიმაგრით, რომლისაგანაც ფაბ-  
რიკებისათვის მაქოებს აკეთებენ, სურნელოვანყვავილებიანი  
აკაცია, მუშმიალასა და ბრონტეულის ტყეები. მარადმწვანე  
ბზა ზოგან რამდენიმე მეტრი გაზრდილი. აქ მისი „წმინდა  
ტყეებია“, ტალიში ბზას ცულს არ მოუქნევს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დეკემბერია და ხეებს ფო-  
თლები გაცენილი აქვს, მარადმწვანე ბზისა და მაყვლის  
ბუჩქებზე შემორჩენილი მწვანე ფოთლები, რაღაც შეერის  
მსგავსი მარადმწვანე ბუჩქები, გვიმრა, ზაფსი, მწვანე ბალახი,  
რომელიც მთელ ტყეშია მოდებული, განსაკუთრებით ნეს-  
ტიან ადგილებსა და არხების პირებზე, ის აურაცხელი ბუჩ-  
ქები, რომლებზედაც ახლაც სურნელოვანი ყვავილებია გაშ-  
ლილი, მწვანე, ხასხასა გაზაფხულის ელფერს აძლევს ტალი-  
შის ტყეს ზამთარშიაც კი.

მართალია, ტალიშში ხშირად მოულოდნელად წამოთოვს  
კიდეც, ჩამოწვება ნისლი, მაგრამ მეორე დღეს კვლავ მოიწ-  
მინდება, ამოვა კაშკაშა მზე, თოვლს აიღებს, ნისლი მთაში  
გაიპარება, და კვლავ ამწვანდება, გამხიარულდება ტყე.

ძირსდაწეულ მუხის ტოტზე ბლომადაა, თუმცა შეყვით-  
ლებული, მაგრამ ჯერ კიდეც მაგარი ფოთლები. ერთ ფოთოლ-  
ზე რაღაც სქელი ნამატია. უკვირდები — ეს ხომ ლამაზი,  
ვარდისფერი ვაკასაა, ხის ბაყაყი, იგი ფოთოლზე გაწოლილა  
და მაგრად ჩაკვრია მას.

წყლების ახლოს კუები დაბობლავენ, ისინი აქ ზამთრო-  
ბით არ იძინებენ.



მაყვლის ბუჩქებს მივყვები. ფართქუნით ჩემს წინ გასცემულია ქათამი ამოფრინდა, მას მეორე მოპყვა. წყვილი გასცემულია შემდეგ ორივე ძირს გდია.

სროლამ ლამაზი მამალი ხოხობი დააფრთხო. კრიახით წამოტტინდა იგი ეკალ-ბარდილან და სადღაც მარჯვნივ გადაჭდა. ხოხობი აქ ბევრია, თუმცა ისე არა, როგორც წინათ. ამ სულელი ფრინველის აფრენასა და მოკვლას დიდი საქმე არ უნდა. აქ ძალიან მაგარი ადგილები არაა და შესანიშნავი ოქროსფერი ლამაზი ფრინველი, რომელიც კავკასიის ხოხბის ერთ-ერთ ტალიშურ სახეს წარმოადგენს, უწყალოდ იულიტება.

წყლის ფრინველებზე ლაპარაკს არ გავაგრძელებთ. ყვილამ იცის, რომ ტალიშში ზამთარს ატარებს აურაცხელი სანადირო და არასანადირო ფრინველი. სკვინჩების, მანჭვას, ჩიტბატონას, წიწეანას, ივგუნის, ჭილყვავების, ბოლობეჭედას, ყვავებისა და ყორნების, კოდალების, შაშვების, თეთრკუდა არწივების, სხვადასხვა სახის არწივების, ბუების, ქორებისა და სხვა ფრინველთა დიდი რაოდენობა ატარებს აქ ზამთარს და ყველა ბლობად პოლულობს საზრდოს.

ძნელად მოიპოვება ჩვენში მეორე ისეთი ადგილი, როგორიც ტალიშია, სადაც დიდი წარმატებით შეიძლება მოზამთრე ფრინველების შესჭავლა. სამუშაო აქ ბევრია სამეცნიერო დაწესებულებისათვის, შედეგები დიდი იქნებოდა, როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული სამონადირო-სამეურნეო თვალსაზრისით.

\*

როგორც ქარისაგან ატაცებული შემოდგომის ფოთოლი, ისე ეშვება ძირს ნასროლი ტყის ქათამი. ჩემი მეგობარი ბ. მილის, ბუჩქებში ჩავარდნილი ნანადირევი უნდა აიღოს. ბუჩქებიდან ქშუილით სამი დიდი ბურვაკი გამოცვივდა და კისრისტებით ტყეში შევარდა.

ჩვენმა სროლამ მარტო გარეული ღორები კი არ დააფრთხო, — ჩვენ წინ დამფრთხალი, რაღაც უცნაური, კუზიანი ცხოველები გამოცვიუდნენ და შეჩერდნენ.



ეს ხომ ზებუა — აქაური შინაური ცხოველი, რაღაც არის გინალური მოყვანილობისა და ფერის, შინაური მუშასაქონელი.

აქაური ზებუ გაცილებით უფრო პატარაა, ვიდრე მისი ინდური მოძმე. მათი სელექცია არავის უცდია და ამიტომ სხვადასხვა ფერისანი არიან, განსაკუთრებით ლამაზებია თეთრწინწკლებიანი ეგზემპლარები, შავ ტანზე ხშირი სხვადასხვა ზომის თეთრი ხალებით, ზურგზე თეთრი ზოლით, თეთრი კუდით. კარგებია აგრეთვე მთლად შავები.

ზებუ ანუ ტალიშურად გილიაკი, აქ ისევე მრავლდება, როგორც შინაური პირუტყვი და თავის დამახასიათებელ იერს აძლევს ამ მხარეს. კუზი (გილია) განსაკუთრებით დიდი და მაღალი აქვთ ხარებს, რომლებსაც აგრეთვე კარგად განვითარებული აქვთ მყერდი, რითაც ისინი მყვეთრად განიჩევიან შინაური პირუტყვისაგან და უნებლიერ ინდოეთს მოგონებენ.

უცნაური სანახავია საპალნით დატვირთული ან ურემში გაბმული წყვილი ზებუ. გაცილებით უფრო ჩეარა მიღიან ისინი, ვიდრე ჩვენებური ხარები. ზოგჯერ ძუნძულსაც კი აყოლებენ, კუზები კი აქეთ-იქით ქანაობენ.

ტალიშებთან ერთად, რომლებიც უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ ამ ადგილებში და აგრეთვე მეზობელი ირანის გილიანისა და მიზანდარანის პროვინციებში, ზებუ ამ მხარის უძეელესი მყვიდრია. საიდან მოვიღენ ტალიშები აქ, ჯერ კიდევ ჩემ დროს, გარკვეული არ იყო. არავინ იცის აგრეთვე აქაური ზებუს წარმოშობაც, რომლებიც მაშინ იქ რამდენიმე ათეულ ათასს აღწევდნენ.

თუ ზოგიერთი ავტორიტეტის აზრს დავუკერებთ, ზებუს პირობლაზმოზი არ ემართება, საკვების მხრივ დიდი მოთხოვნილება არ აქვს, მოვლაც ნაკლები უნდა. საუკეთესოა როგორც მუშასაქონელი, მყვირცხლია, არაჩვეულებრივი ცხიმიანი რე იცის, ახალგაზრდობაში ძალიან გემრიელი ხორცი აქვს. სამწუხაროა ის გარემოება, რომ აქამდე არავის უფიქრია მათზე სელექციური მუშაობის შესახებ, ამ სასაჩებლო და საინტერესო პირუტყვის ჭიშის გაუმჯობესებაზე.



ტყის პირებში უფრო ხშირად გვხვდება მესერის ლომენის ბის ტალიშები ცდილობენ შემოლობონ ნათესები, რომ დაიკვანონ ნაყოფი ღორებისაგან, რომლებიც, რასაკვირველია, თავიანთი დინგების წყალობით ანგარიშს არ უწევენ ამ უბრალო დაბრკოლებებს.

აქვე, ტყის პირებში, მრავალი „ბიჭარებია“ — მუდამ წყლით დაფარული მიწის ოთხუთხედები, ტალიშისა და მისი უბოროტესი მტრის — მალარიის — მკვებავი ბრინჯის ყანები.

ბრინჯის კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული წყალთან, უწყლოდ ბრინჯი არ გაიზრდება, ბრინჯია ყანაში მუხლებამდე წყალი დგას, აქ უმთავრესად ქალები მუშაობენ.

ტალიში ქალები, რამდენადაც მე შევამჩნიე, კარგი მოყვანილობით, სილამაზითა და სწორი სახის იერით გამოიჩინიან, მაგრამ უდროოდ დაბერებულთა შთაბეჭდილებას ტოვებენ.

დეკემბერშიც კი, თოვლსა და სიცივეში, ისინი ფეხშიშველები დადიოდნენ, ტანთ თხელი, ჭრელი ჩითის კაბები ეცვათ, თეთრი თავსაფრები ეხურათ, ყელზე სხვადასხვა სამაულები და მძივები ეკიდათ, თბილი შესამოსი არაფერი ჰქონდათ.

აიგნიანი სახლების ტიპი, ზედმიწევნით ერთმანეთზე კარგად ნაწყობი აგურის კედლები, ბოძებზე აყვანილი ორსართულიანი ტალავერები, ტალიშურად „ლამები“, სადაც ქვედა სართულში მარცვლეულს ინახევენ, ხოლო ზევით ზაფხულობით აღამიანებს სძინავთ, რომ თავი დაიფარონ კოლოსაგან, პირველყოფილი წყლის წისქვილები, რომლებიც მთელ დღეს აკაკუნებენ და ბრინჯს ცეხვავენ, მამა-პაპეული ხსს კავი ტალიშების მიერ აქ შემოტანილი უძველესი აღმოსავლური კულტურის ნიშნებს ატარებენ.

ზოოლოგი სატუნინი ტალიშის ფაუნის მთელ შემაღენლობაში ოცდაათ პროცენტს წმინდა ინდური წარმოშობის სახეებს არჩევს.

ხომ არ მოვიდნენ ტალიშებიც იმ საიდუმლოებით მო-



ცულ ინდოეთიდან, საიდანაც შეივსო ტალიშის ცხოველთა  
სამყარო? ეს საინტერესო საკითხი თავის მკვლევარს ფლობითა  
დებოდა.

აქაური ქათმებიც კი ყურადღებას იპყრობენ თავიანთი  
ჭრელი და ორიგინალური ფერებით. ეს რაღაც ყველა ფერის  
ნარევი ყვავილნარია, როდესაც მათი ათეული ერთად მოიყ-  
რის თავს.

საუცხოო სურნელებას გრძნობთ, როდესაც აივანზე გა-  
მოდინართ, სადაც ამართულია კაპრიფელიუმის დიდი ბუჩ-  
ქი, რომელიც ნაზ სუნს აფრქვევს გარშემო.

გული კი გეთანალრება... ხანების თვითნებობის მრავალმა  
საუკუნემ, ჩაგვრამ, თავისი კვალი დასტოვა ტალიშების  
ცხოვრებაში, დიდი გავლენა მოახდინა მათ განვითარებასა,  
კულტურულ დონესა და საერთო მდგომარეობაზე.

ისინი ღარიბებია, ცუდად იცვამენ, იყინებიან, ფეხშიშ-  
ველი დადიან, თავი ვერ დაუღწევიათ საუკუნეობრივი ჩა-  
მორჩენისა და ბედის ბრმა მორჩილებისაგან.

\*

### გვიან თენდება.

ამ დროისათვის უკვე ყველაფერი მზადაა, უკვე ნასაუზ-  
მები გამოვტივართ, მწყობრში ვდგებით. კითხულობენ დღე-  
ვანდელ ბრძანებას, იძლევიან განკარგულებებს და ტყისაკენ  
მივდივართ.

ათი დღის განმავლობაში ჩვენ საღამოობით ყოველდღე  
ვბრუნდებოდით არჩევანში, რაც უნდა შორს ვყოფილიყავით  
სოფლიდან, ამიტომ თან დიდი ბარგი არ მიგვქონდა. მხო-  
ლოდ პატარა ნატეხი პური გვედვა ჯიბეში, რომ შუაღლისას  
გული დაგვეცვა, ჭია მოგვეტყუებინა, თუ ძლიერ დაგვი-  
წყებდა ღრღნას.

რამდენ ტალას აზელავ, სანამ სანადირო ადგილს მიაღ-  
წევ. უგზოობა აქაური სენია, რომელიც ასე აბრკოლებს  
კულტურის შეტანას ამ კუთხეში. აქედან ლენქორანამდე  
ორმოცდახუთი კილომეტრია, მაგრამ იქამდე ზამთარში ვე-  
რავითარი ტრანსპორტი ვერ აღწევს.



დიდი გაჭირვებით ახერხებენ ამ გზის გადალა<sup>ცეკვა მომატებულია</sup> ნოსნები ან ქვეითი მგზავრები, რომელთაც გადაუდებელი საქმე აქვთ ლენქორანში, როდესაც ხშირი ღელვა ასტრაში შემოსვლის საშუალებას არ აძლევს გემებს.

მაგრამ უგზოობა ვერ გვაძრკოლებს. ვწრით მინდვრებს, ნაბრინჯალზე და მაინც დანიშნულ ადგილზე მივდივართ უკვე ტყეში ვართ. აქ კი ვიწრო ბილივებს მივყვებით, ხან ეკალბარდში მივძვრებით, ხან ღრმა მდინარეებზე გადებულ საცალფეხო ხიდებზე გადავდივართ, ხან რუებზე პირდაპირ წყალში გავდივართ.

მხიარულ, ჯანმაგარ ბიჭებს ზურგით გადაპყავთ ის ამხანაგები, რომლებსაც ფეხსაცმელში წყალი შესდით და სიცილ-ხარხარით „ყრიან“ თავიანთ ტვირთს მეორე ნაპირზე. ხუმრობა, მხიარული შეძახილები, მოსწრებული სიტყვები ან ცხრება ლაშქრობის ყველაზე მძიმე მომენტშიაც კი.

მონადირე მეომრები თითქოს სასაცილოდ იგდებენ სიძნელეებს, როგორც თამაშის დროს, პირზე ღიმილით სძლევენ დაბრკოლებებს.

მაგრამ აი ნადირობის ხელმძღვანელმა სიჩუმე გვანიშნა. ერთი კილომეტრი ჩუმალ გავიარეთ. გავჩერდით. ხელმძღვანელი მომრევებს მიმართულებას უჩევნებს. ისინც გვერდზე უხვევენ, თან ძალები მიჰყავთ. ტალიში გამყოლები გზას უჩევნებენ. მსროლელები საფრებში ჩადგნენ. იწყება მოლოდინის ამაღლვებელი წუთები.

... და როგორც ყოველთვის, ისმის სანატრელი ნიშანი, მას მოპირდაპირე მხრიდან საპასუხო გასროლა გამოეხმაურა, სარეკში კვლავ ალიაქოთი ატყდა, ადამიანების ყვირილსა და შეძახილებს ბანი მისცა ძალლების ყეფამ, ისმის თოფის სროლა და აქ კი, სახუნდარში, ჩამალული, ხმაგამენდილი მსროლელები მოუთმენლად მოელიან ნადირის გამოჩენას.

თვითეული სარეკი თავისებურად საინტერესო და დამახსინათებელია, მსროლელი ყოველთვის ახალ ადგილზე დგას, ახალ პირობებშია. ნადირიც არასოდეს ერთნაირად არ გამოდის. არასოდეს არც ერთმა მონადირემ არ იცის, მოუხდება თუ არა მას ამ სარეკში სროლა, თუ მთელი საათის, ან მეტი



დროის მღელვარების შემდეგ თოფს უშედევოდ ჩამოუშენებულ იქნა დირს.

აი მონადირისაკენ ღორების მთელი ფარა, თხუთმეტიოდე ღორის მორბის. ტყე მეჩხერია, კარგი სასროლი ადგილია, მონადირე უკვე მზადაა, მოლოდინში გაინაბა.

უცბად ღორებმა შესცვალეს მიმართულება, — გვერდზე გადაუხვიეს და გამზადებული მონადირე მშრალზე დატოვეს.

ანდა მონადირე ემზადება მასთან მომავალი დიდი ტახის სასროლად, ამ დროს კი მის ცხვირშინ, ტყეში, ნელა, უხმაუროდ გადადის მეორე კიდევ უფრო დიდი ტახი, პირველი კი საღლაც ბუჩქებში მიიმალა. ზოგიერთი სარეკში ათვერ გაისტის, სხვები კი ორ-სამ სარეკში ამაოდ ელოდებიან მხეცს, თოფები გაწმენდილი რჩებათ საღამომდე.

წარმატებული ნადირობის ფორმულაა — იღბალს მივუმატოთ მოთმინება. თუ პირველი მოვიდა და მეორე დახვდა, ხომ კარგი — ნადავლი უზრუნველყოფილია, თუ ერთი რომელიმე არ არის, მაშინ ჯობია, იღბალი არ მოვიდეს: ამ შემთხვევაში მოთმინება მაინც თვავის ადგილზეა და, იღბლის გარეშეც მონადირე ცარიელი არ დარჩება.

რამდენი მონადირე გვახლდა ამ დიდ ნადირობის დროს, რომლებთანაც ფარობით მიდიოდა ნადირი, მაგრამ დაბნეულობის, აჩქარების, მოთმინების უქონლობის მიზეზით არც ერთი ღორი არ მოგვიკლავს.

სამაგიეროდ სხვები, რომელთაც თვალითაც არ უნახავთ ნადირის ასეთი რაოდენობა, მარჯვედ ხოცავდნენ იმ ერთეულებსაც კი, რომლებიც მათ სახუნდარში გამოდიოდნენ.

საერთოდ ღორი იმდენი იყო, რომ სახუნდარებში გამოსული ყველა რომ მოგვეკლა, ათეული ურემი დაგვჭირდებოდა მათ გამოსაზიდად. ჩვეულებრივად თვითეულ სარეკში სამიდან ათ ღორამდე იხოცებოდა.

სამი დღით ადრე ჩვენი ნადირობის დამთავრებამდე მთაში დიდი თოვლი დადო. ამიტომ არჩევანის ტყეებს მოაწყდა ღორების, განსაკუთრებით მსხვილი ტახების, დიდი რაოდენობა. უკანასკნელი ორი დღის ნადირობაზე ბევრი მსხვილი ტახი დავხოცეთ.



სულ სამოცდათვრამეტი ღორი, ოცამდე ტურა და განმარტებული დენიმე გარეული კატა მოვკალათ ამ წინის განმარტებული მაში. გვიყვირდა, რომ ამ ტურების ქვეყანაში ძალიან ცოტა ტურა ვნახეთ. ეტყობოდა, რომ აქ არაფერი ესაქმებოდათ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საჭმელი არაფერი ჰქონდათ ტურებს. ისინი ახლა ზღვისპირა ბუჩქნარებში და ყამიშებში გადასახლდნენ, სადაც უთვალავი მოზამთრე ფრინველი უხვი და მუდმივი საკვებით უზრუნველყოფდა ამ წუწქსა და მშიშარა მხეცებს.

სარეკის დამთავრებისას, სპეციალურად გამოყოფილი მებრძოლები სწრაფად ფატრავდნენ ღორებს, ერთ ადგილას აგროვებდნენ ნანაღირევს — ტურებსა და გარეულ კატებს და რაზმი ახალ სარეკზე მიღიოდა.

მომჯადოებელია დღისით ტალიშის ტყე. მე უკვე აღვწერე მისი გარეგნობა, ხეები, მწვანე ბალახი, გვიმრა და ხავსი, რომლებიც მას ყოველ ნაბიჯზე ალამაზებს. მაგრამ როგორი პირქუში, საშიშია იგი ღამით, როდესაც ცხვირწინ ვერაფერს ხედავ, ფეხი ვერ გადაგიდგამს, არ იცი, რას წამოედები, საით უნდა წახვიდე, რომ სახლამდე მიაღწიო და მოისვენო. ფეხი მუხლამდე ტალახში ეფლობა და სხლტება, ხან ჩამოგარდნილ ხის ტოტს წამოედები, ხან ფეხს წამოპერავ ფეხს, ან წელამდე მორევში ჩავარდები მდინარეზე გადასვლის ღროს. ზოგჯერ კი ეკლიან ღობეს გადახვევი სიბნელეში.

ჩემთვის, ქალაქელისათვის, ძნელი ასატანი იყო ასეთი გარემო. ახალგაზრდა მებრძოლები კი აინუნშიაც არ აგდებდნენ ასეთ უმნიშვნელო რამეს. თითქოს აქაც არაფერიაო, ჩქარი, მხედრული ნაბიჯით მიემართებოდნენ წინ სიბნელეში, ზურგზე დღისით დახოცილი ნანაღირევი ეკიდათ. ზოგიერთი ღორი ათ ფუთზე მეტს იწონიდა.

უნდა გამოვტყდე, დიდი გაჭირვებით მივდევდი უკან ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ახალგაზრდა მონაღირებს, რომელთათვისაც არც ტალახი, არც დიდი ტვირთი, არც ფეხზე გატარებული მთელი დღე არაფერს წარმოადგენდა. ისინი ყოჩალადა და მხიარულად სცვლიდნენ ერთმანეთს ნანაღირევის წალებაში, მძლავრ, შეუჩერებელ ნაკადად მიედინებოდნენ

ტყეში, ეკალბარდებსა და გაუვალ ტალახში. პირდაპირ მომიღება მბეჭდური ფარნის დახმარებით გზის შეუცვლელობაზე მიემართობოდნენ ჩვენი ბინისაკენ. ზოგს კი ფარნებიც არ ჰქონდა, გზას რაღაც განსაკუთრებული ალოთი იკვლევდნენ.

ნათლად ვხედავდი იმ დიდ სარგებლობას, გამოცდილებასა და მოხერხებას, რასაც ნადირობა ანვითარებს ადამიანში, ჩვენს მებრძოლებში, აჩვევს მათ არა მარტო ზუსტ სროლას, არამედ ასწავლის გამყოლობას, მზვერავობას, მექავშირეობას.

ჩემი ახალგაზრდა მეგობრების ამტანობა, ენერგია, საუკეთესო ვარგიში და ამხანაგური შექავშირება მეც გადმომედო და მაიძულებდა მთელი ძალ-ლონე მომეკრიბა და გავყოლოდი თავის შესაძლოებებში ასე დარწმუნებულ ახალგაზრდებს. ბინაზე კი, მანამ სადილსა და დამსახურებულ დასვენებას შეუდგებოდნენ, მებრძოლები ჯერ ნანადირევს დააბინავებდნენ, ღორებს ხეებზე ჩამოჰკიდებდნენ, მდევრებს დააპურებდნენ და მხოლოდ მას შემდეგ მიუჯდებოდნენ სადილს.

\*

დადგა შინ დაბრუნების დრო. ფეხით წავედით ასტრაში, სადაც გემი გველოდებოდა. საქმაოდ დიდი ლელვა იყო, როდესაც გემი დავტვირთეთ. ორმოცდაათ ღორზე მეტი შევიტანეთ გემბანზე, დანარჩენი კი ნადირობის დროს შევჭამეთ. კმაყოფილებმა, შთაბეჭდილებებით დატვირთულებმა სახლისაკენ გამოცურეთ.

ტალიში უკან დაგვრჩა. დაეტოვეთ მისი თოვლით გადაპენტილი მთები და ხეობები, ზამთრობითაც მწვანე ტყეები რომ მოსავს. სადაც მხეცები დაძრწიან, ჩიტები ჭიჭიკებენ; სადაც დეკემბერში ია ჰყვავის, კუები ჭყანტობებში დაბობლავენ და ზამთრობით არ იძინებენ, როგორც მათი სხვა მოძმენი...

საუცხოოა ჩვენი სუბტროპიკები, — მომავალში სრულფასოვანი კულტურების ქვეყანა, ჯერჯერობით კი ყველაზე საუკეთესო სანადირო ადგილი მიერკავესიაში.



## ჩიმი პირველი ნადირობა

თორმეტი წლისა ვიყავი, როდესაც მამის ნაჩუქარი ფილთა თოფით პირველად გავედი მინდვრად და მამის თვალშინ, ყანის ნაპირას ერთი სროლით ორი ტოროლა მოვკალი.

მამაჩემი გატაცებული და გამოცდილი მონადირე იყო. იმან მასწავლა ფილთა თოფის გატენა; მაჩუქა წამალი, წვრილი საფანტი, ფისტონი; შემასწავლა

მიზანში და ანთებულ სანთელზე თოფის სროლა; გამაცნო იმ ძირითად წესებს, რომელიც მოეთხოვება მონადირეს თოფის მოპყრობისა და სიფრთხილის მხრივ; მითხრა, რომ თოფი არ უნდა მიუშვირო ადამიანს ან ცხოველს; მასწავლა, რომ საჭიროა სწრაფი, აულელვებელი და დაკვირვებული სროლა და სწავლება შემდეგი მონადირული თქმულებით დაამთავრა: „მოპყალი ყვავი და კაჭკაჭი, მარდი შევარდნის სროლასაც მოესწრებიო!“<sup>1</sup>

მერმე გამომცადა ნადირობისას და, როდესაც დარწმუნდა, რომ კარგად შევითვისე ნასწავლი, ნება დამრთო, უმისოდაც წაგსულიყავი სანადიროდ მახლობელ ტყეში, როდესაც სააგარაკოდ გავდიოდით ქალაქგარეთ.

ასეთი გასვლები, რასაკვირველია, ნამდვილი ნადირობა არ იყო. უკვე ბევრი მყავდა დახოცილი გვრიტები, შაშვები, ტოროლები და ოფოფები, მაგრამ ნამდვილი ნანადირევი

<sup>1</sup> რუსულად ასე გამოითქმის: „Бей ворону и сороку, достреляешься до ясни-сокола“ (ვ. ბ.)



ჯერ არ ვიცოდი, რა იყო. ჩემი უდიდესი სურვილი უკვე გადასცა  
იყო, რომ ნამდვილი სანადირო თოფით წავსულიყავთ და და  
დვილ ნადირობაზე და მესროლა ნამდვილი ნადირისათვის:  
კურდლისათვის, მწყრისათვის, ხოხბისათვის.

როდესაც თექვსმეტი წლისა გავხდი, მამამ თავისი ორპი-  
რიანი თექვსმეტყალიბიანი გერმანული სანადირო თოფი მა-  
ჩუქა. თოფს ლეფოშეს ეძახდნენ. იგი ქვევიდან იხსნებოდა.  
ექვსი და შვიდი ნომერი საფანტით გატენილი ოცდაათი  
ვაზნაც ზედ დაუმატა და თან მითხრა, რომ ექვსი ნომერი  
საფანტი უნივერსალურია, ბევრი სხვა და სხვა ნადირ-ფრინ-  
ველის მოკვლა შეიძლება იმითო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინვე გადავწყვი-  
ტე უბრალოდ ერთი ვაზნაც არ დამეხარჯა, მაგრამ ვერ მო-  
ვითმინე და რამდენიმე მაინც მიზანში ვესროლე, თოფს რომ  
გავცნობოდი. სულ ხელში მინდოდა მჭეროდა იგი, სულ მუ-  
დამ თავს დავტრიალებდი, თუმცა საჭირო არ იყო, მაგრამ  
ვწმენდდი, ოთახის ხან ერთ კუთხეს დავუმიზნებდი, ხან—მეო-  
რეს, ერთი სიტყვით, აღარ ვიცილებდი.

ახლა უკვე მოთმინება აღარ მყოფნიდა, სანამ ნამდვილ  
ნადირობას მოვესწრებოდი.

მამა მეტისმეტად დატვირთული იყო სამსახურის საქმეე-  
ბით და სანადიროდ გასვლის საშუალება თითქმის არ ჰქონ-  
და. თვითონ რომ ვერ შემისრულა დანაპირები, თავის მეგო-  
ბრებს, გატაცებულ მონადირეებს, მასწავლებლებს — გრი-  
გორი გრიგორიჩისა და ფრანგ მუსიო კალეს — სთხოვა წავე-  
ყვანეთ სანადიროდ.

მონადირეებს ილბათ არაფრად ეჭაშნიკათ, რომ გამოუ-  
ცდელი ბავშვი აეკიდათ, მაგრამ მეგობარს უარი ვერ უთხრეს  
და პირველ კვირასვე ღარცისკარში წამიყვანეს. მაშინ ეს იყო  
თბილისელი მონადირეების საყვარელი სანადირო ადგილი.

ღარცისკარის სანადირო ადგილები მცხეთიდან დაახლოე-  
ბით რვა კილომეტრითაა დაშორებული. იგი მუხრანის ვაკეზე  
მდებარეობს. იმ დროს აქ მშვენიერი ნადირობა იყო. ძალიან  
კარგ სანადირო ჭაობში იხვი, ჭყიამბო, სხვადასხვა წინტა-  
ლები გვხვდებოდა, გადაფრენის დროს კი ბევრი სხდებოდა



ჭოვილო. ახლომახლო პურის ყანებში დიდი რაოდენობით  
იჩეკებოდა მწყერი. პატარა მდინარის პირას ხშირი ჰუცუფითაა  
რიანი ტყე იყო, სადაც საკმაოდ იცოდა კურდღელი და ხო-  
ხობი.

ასეთი იყო მაშინ ეს სანადირო ადგილი.

ნოემბრის უკანასკნელი კვირა დღე იყო. მცხეთამდე მა-  
ტარებლით ვიმგზავრეთ, იქიდან კი ლინეიკით წამიუვანეს  
სანადირო ადგილამდე. გზის პირად სანადირო ქოხი იდგა. იქ  
გავჩერდით. ზედმეტი ბარგი დაგტოვეთ, ცოტა დავნაყრდით  
და გავედით მინდვრად.

მოწმენდილი, ხასხასა დილა იყო. მზე ის-ის იყო ამოვიდა  
და ჯერ კიდევ ვერ მორეოდა დილის სიგრილეს. ბალახზე  
ჭარბად დაღვრილიყო ცვარი.

ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი. ალბათ მარტო მონადი-  
რებს შეუძლიათ გაიგონ, თუ რას გრძნობდა და განიცდიდა  
თექვსმეტი წლის ყმაწვილი, რომელიც გამოცდილ მონადი-  
რებთან თავისი პირველი სერიოზული ნადირობის ჩატარე-  
ბას ფიქრობდა. მაღალი გრძნობები და სიხარული, ამასთა-  
ნავე შიში იმისა, რომ არ ჩამედინა მონადირისათვის რაიმე  
სამარცვინო საქმე, ერთმანეთს სცვლიდა ჩემს გონებასა და  
გულში.

მხარზე ლულებძირსდახრილი თოფი გადავიკიდე, ყურები  
ვცევიტე, რომ ჩემი თანამგზავრების ნათქვამიდან ერთი სიტყ-  
ვაც არ გამომჩარვოდა და უკან გავყევი მათ.

— უენია, გაფრენილისათვის სროლა იცი? — მეკითხება  
ფრანგი.

— დიახ, მუსიონ კალია, მართალია, ძალიან კარგად ვერა,  
მაგრამ მაინც ვესვრი, რამდენიმე გაფრენილი ჩიტი მომიკ-  
ლავს!

— მაშინ, გრიგორი გრიგორიევიჩ, ჩვენი პატარა მონადი-  
რე ტყეში შევეგზავნოთ, სადაც შეიძლება კურდღელიც და  
დამჯდარი შაშვიც შეხედეს: ჭაობში ძნელი იქნება მაგისთვის  
ნადირობა შურდულივით ჩქარ ჭყიამპოსა, ან იხვინჯებზე.  
ძალიც არა ჰყავს...

მონადირეებმა, მართლაც, ასე გადაწყვიტეს. ტყესთან



მიმიუვანეს, მე იქ დამტოვეს და თვითონ კი ჭაობისკენ გასული წიეს. თან დამიბარეს, ტყეში ნადირობის შემდეგ ავსულდებოთ ყავი ყველაზე მაღალ გორაქზე, რომელიც ტყის იქით იყო და იქ უფროსებისათვის დამეცადა.

— არც ბუმბული და არც ფრთა, უენია! — ღიმილით მითხრა გრიგორი გრიგორიევიჩმა. მეც არ ჩამოვრჩი და როჩიანად ვუპასუხე:

— თქვენც ამასვე გისურვებთ!

ისინი წავიდნენ. მე მარტო დავრჩი. ცოტა ხანს ვუყურე, როგორი აუჩქარებელი ნაბიჯით და დარწმუნებით მიდიოდნენ ჭაობისაკენ.

— მართლაცდა, — ვფიქრობი მე, — ისინი ხომ გამოცდილი მონადირები არიან, საუკეთესო მსროლელები, თანაც კარგი ძალები ჰყავთ, ბევრსაც დახოცავენ, მე კი ალბათ შევრცხვები, ხელცარიელი დავრჩები. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მეც გამილიმოს ბედმა! — და მეც ტყეს შევერიყ.

პატარა ტყე იყო, მაღალი მეჩხერი ხეებით, მაგრამ გარეული თხილის, შვინდის და მაყვლის ხშირი ბუჩქებით. ძალიან მაგარ აღვილებს ვერიდებოდი, ისე მივიწევდი წინ. ტყეში მრავალი ბილიკი იყო. იგი რაიმე საშიშროებას არ წარმოადგენდა.

არ ვიცოდი, რას შევხვდებოდი ტყეში. ამიტომ თოფში „უნივერსალური“ ექვსი ნომერი საფანტით გატენილი ვაზნა ჩავდევი. მიღდიოდი ნახირისაგან გატკეპნილ ბილიკებით და თოფი გამზადებული მეჭირა ხელში, კარგად მახსოვდა, რომ ნადირობის დროს დოკულაპიობა არ შეიძლებოდა, საჭირო იყო ფხიზლად ყოფნა.

ხის ტოტიდან ტოტზე ფრინავს მოუსვენარი კაჭკაჭი და თან ენას არ აჩერებს. ხან ხის წევერზე დაჭდება, ჩხავის, კუდს მოუსვენრად აქნევს. ბუჩქებში ჭახჭახებს ყვითელნის-კარტა შაშვი. მაგრამ არც ერთი მათგანი მე აღარ მაინტერესებს. თვალები დაჭყეტილი მაქვს, ვოცნებობ ხოხობზე, ან სხვა რომელიმე ნამდვილ ნადირზე.

1. რუსული გამოთქმაა, სანადიროდ გასულ მონადირეებს ეტყვიან: „Ни пуха, ни пера“!

წინ პატარა მინდორი გამოჩნდა. განცალკევებული შესხვა  
ძირას მაღალი ბალახია. მინდა, მინდორზე გავიდე. მასში გამოიყენები  
ბუჩქები გზას მიღობავს. დავიკუზე და მივძვრები თნილის  
ტოტებქვეშ.

უცბად, ამ პატარა მინდერიდან, ფრთების ტკაცუნით, მაშ-  
ხალასავით ცაში აკერა ხოხობი. გასწორებაც კი ვერ მოვას-  
წარი, ნახევრად მოხრილმა თოფი მხარზე მოვიგდე და თით-  
ქოს ცას ვესროლე. არ ვიცი, ფრინველი მოხვდა ჩემგან გას-  
როლილი საფანტის კონას თუ საფანტი — ფრინველს, დე-  
დალი ხოხობი კი მაინც მოსწყდა და, საიდანაც აფრინდა,  
თითქმის იმავე ადგილზე ჩამოვარდა.

გაშმაგებით მივვარდი, ხელში ავიღე და გატაცებით და-  
ვუწყე სინჯვა ჩემს პირველ ნამდვილ ნანალირებს, ჩალასფერ  
მსუქან დედალ ხოხობს.

სიამაყის უდიდესი გრძნობით ჩამოვიყიდე ქამარზე ნა-  
დავლი, თოფში ვაზნები გამოვცვალე და კვლავ ტყეს გავყევი.  
თან ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ხშირი ბუჩქები გამევ-  
ლო; მეგონა, რომ ხოხობი მხოლოდ იქ შეიძლებოდა ყოფი-  
ლიყო.

როგორც იქნა, დავწყნარდი დიდი აღელვების შემდეგ.  
ახლა კი თავს ნამდვილ მონადირედ ვთვლიდი, უკვე დარ-  
წმუნებული ვიყავი საკუთარ ძალაში, ვამაყობდი, რომ არ  
შევრცხეი ჩემ უფროს თანამგზავრებთან.

წინ კვლავ დედალი ხოხობი აფრინდა. თვალი გავაყოლე  
და ვნახე, რომ ჩემგან ასიოდე ნაბიჯზე ერთი წვრილ ხის  
ტოტზე შემოჭდა და გრძელ კუდს რხევა დაუწყო. მაშინვე  
მიეპარე, იმედი მქონდა, ამ ნადავლსაც ავიღებდი, მაგრამ  
ალბათ შემამჩნია, ხიდან აფრინდა და ტყეში მიიმალა.

საკმარისად დავიღალე ხშირ ბუჩქებში ძრომით. მხემაც  
კარგად დააცხუნა. დიდი წიფლის ჩრდილი მოვნახე, ნანადი-  
რევი და თოფი მოგიხსენი, გვერდზე მოვიწყვე, წამოვწექი  
და ფეხები სიამოცნებით გავჭიმე.

რა ბედნიერებაა, როდესაც უდარდელი, შუაღლის სი-  
ცხეში, წევხარ ტყეში, დიდი ხის ჩრდილში, მწვანე ბალაზე,

სუნთქვავ სუფთა პაერით და თვალყურს აღევნებ ლამაზი ბუ  
ნების მშევიდ ცხოვრებას!

გულალმა ვწევარ. ჩემს თავზე ხის ტოტებში მზის სხივებ-  
ზე ბრწყინავს ობობას ქსელის ლეჩაქი, შიგ პაეროვანი კოშ-  
კის პატრონს, პირქუშ მქსოველს — ობობას — მოუკალათე-  
ბია. აგერ ბუჩქებში ფრთხილად გამოჰყო თავი მშიშარა ზღა-  
რბმა, სველი შავი ცხვირით მიდამოს სუნავს, რაღაცას ეძებს.  
შვინდის ტოტებზე წითლად ლვივის უკვე დამწიფებული ნა-  
ყოფი, იქვე შავად ელვარებენ გემრიელი მაყვლის მტევნები.  
პატარა-მსხლის ხილან გამუდმებით ცვივა მომწიფებული პა-  
ტარა ნაყოფი, მიწა იცხება პანტის ქვეშ. ყველა მხეცისა და  
ფრინვლისათვის იშლება მაგიდა.

ყველა ფოთოლზე, ბალახის თვითეულ ღეროზე დუღს  
თავისებური სიცოცხლე, ცხოვრობენ გარკვეული არსებანი.  
უცბად თვალწინ აღიმართა რაღაც უზარმაზარფრთებიანი,  
გრძელებუდა პირსისხლიანი საშინელება, იგი თვალის გუგას-  
თან მოფრინდა, ხელი მოვიქნიე და მხოლოდ მაშინ შევამ-  
ჩნიო, რომ კოლო იყო. რაღაც ზღაპრულ საშინელებად მო-  
მეჩვენა იგი თვალთან ასე ახლოს მოფრენილი.

დეკემბრის დასაწყისში აქ ბუნება ისევ სრული სიცო-  
ცხლით ცხოვრობს, მზე ისევე აცხვნებს, როგორც ზაფხულში,  
ზამთარი თითქმის არ იგრძნობა... საზღაპრო პავა. დალოცვი-  
ლი ქვეყანაა!

კარგად დავისვენე. წამოვდექი, თოფი მოვიმარჯვე და  
ისევ ტყეს გავყევი. ახლა ფართო ბილიქს მივსდევ, მინდა  
ტყის ნაპირში გავიდე. ნაღირობა დამთავრებულად მიმაჩნია,  
თანამგზავრებთან უნდა მივიდე დაპირებულ ადგილას.

ტყე თანდათან თხელდება. გარშემო პატარა ხეები და  
ბუჩქნარია. მაღალი, ხშირი ბალახით დაფარულ პატარა მინ-  
დორზე გაედივარ. უცბად, შიგ ფეხებში კურდლელი წამოხტა  
და მინდორზე გაიქცა. არ დავიბენი: გავარდა ჩემი თოფი და  
ოციოდე ნაბიჯზე წაიქცა კურდლელი. თან ფეხების საშინელი  
ქნევა დაიწყო.

როდესაც დაჭრილ კურდლელს დაეხედე, გამახსენდა მა-  
მაჩემის სიტყვები იმის შესახებ, რომ სასიკვდილოდ დაჭრილ



ნადირს უნდა შეუმსუბუქო სიკვდილისწინა ტანჯვის წუთებზე და კიდევ ერთი „მოწყალების ვაზნა“ არ უნდა დაიშულოს, რომ ბოლო მოუდო მის წამებას.

მეც წარმოვიდგინე, რომ ჩემს კურდღელსაც ესაჭიროებოდა ასეთი გასროლა, ორიოდე ნაბიჯიდან თოფი შიგ თავში დავუმიზნე და ვესროლე. კურდღელი, რასაკვირველია, მაშინვე გაშეშდა, მაგრამ ნახევარი თავი და ცალი ყური კი აღარ ჰქონდა, ჭრილობიდან თქჩიალით გადმოსდიოდა სისხლი.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიძინე! — წამოვიძახე, მივვარდი ნანადირებს, დავუწყე მაღალ ბალახს გლევა და პირლია ჭრილობის ბალახით დაცობა. ბევრი ბალახი მოვგლიჯე, ჭრილობას დავუცავი, მაგრამ სისხლის დენა მაინც ვერ შევაჩერე და ლამაზი ნაცრისფერი მხეცუნა სისხლით შეიღება. შეშფოთებულმა ჩანთაში ჩავტენე გასისხლიანებული ნანადირევი, ჩანთა ზურგზე მოვიგდე და სასწრაფოდ მდინარეს მივაშურე. მდინარეში გულმოდგინედ დავიბანე ხელები, სისხლი მოვიცილე და დაოქმული გორაკისაკენ წავედი.

მონადირები უკვე მისულიყვნენ, საუზმე გაეშალათ და მე მელოდნენ.

— როგორ არის, უენია, საჭმე, როგორ ინადირე? ეგ რა არის, რადა ხარ სისხლში მოსვრილი, რა მოგივიდა, ჩქარა გვითხარი! — წამოიძახა შეშინებულმა ფრანგმა.

— არაფერი, მუსიო კალია! არაფერი არ მომხდარა... კურდღელი და ხოხობი მოვკალი. — ვუპასუხე მე.

— მაშ რადა ხარ სისხლში მოსვრილი?.. ეს რა არის, ყველგან სისხლი გცხია!

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ მიუხედავად ასე გულმოდგინედ ბალახში შეხვევისა, კურდღელს კიდევ იმდენი სისხლი დასდენოდა ჩემს ტანსაცმელზე, რომ ხალათი მთლად მოსვრილი იყო სისხლით. იძულებული ვიყავი მეამბნა „მოწყალების ვაზნის“ შესახებ. მონადირებმა სიცილი დამაყარეს.

— არა უშავს, გამოუცდელი ხარ, მიეჩვევი და ნახავ, რომ წაქცეულ კურდღელს იღარავითარი „მოწყალების ვაზნა“ აღარ სჭირდება: ფეხების ქნევა — ეს სიკვდილის ნიშანია. მაგრამ თუ მაინც აუცილებელია ასეთი გასროლა, მონადი-

რემ უკან უნდა დაიწიოს კარგ მანძილზე, რომ სროლით ნადირევი არ გააფუჭოს. ეს შენთვის კარგი გაკვეთი ახლა კი კარგად გარეცხე შენი ხალათი ამ წყაროზე.

· მე მართლაც ისე მოვიქეცი: ხალათი ამოვრეცხე და იქვე მაყვლის ბუჩქზე გავაფინე.

ორივე მონადირემ დიდად შემაქო. მომიწონეს სწრაფი და ზუსტი სროლა. მომაყოლეს ჩემი ნადირობის ყველა წვრილმანი, გამიმასპინძლდნენ სანადირო საუზმით და თანაც ერთი ჭიქა შავი კახური დამალევინეს. თავიანთი უიღბლობაც შემომჩივლეს: ორივეს სამი ჭყიამპო და ერთი იხვინგა მოეკლათ.

— შენ დღევანდელი ნადირობის მეფე ხარ, მომავალში სიამოვნებით ვივლით შენთან სანადიროდ, ყოჩალ, ყოჩალ, უენია! — მითხრა ფრანგმა.

გამოცდილი მონადირის საალერსო სიტყვებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ჩემი სიხარული გაათკეცდა. პირველი ილბლიანი ნადირობის შთაბეჭდილებანი გაორკეცდა და მას შემდეგ თანდათან ნამდვილი მონადირე გავხდი.

მას აქეთ სამოცმა წელმა განვლო. ღრმა მოხუცებულობამდე განვაგრძე ნადირობა, მრავალი ილბლიანი ნადირობა მინახავს, მაგრამ პირველი ნადირობის შთაბეჭდილებანი ისევ ნათლად მიდგას ოვალწინ.



## მთვარიან დაგით

მე და ჩემი მეგობარი ივანე ცხენებით მივედით მდინარე ბზიბის შესართავის ახლოს. ჩამავალი მზის შუქწე თვალის-მომჭრელად მბრძყინავი მდინარე სწრაფად მიემართებოდა ზღვისკენ.

ივანე აქ არასოდეს გადასულა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ფონი სწორედ ამ ადგილს იყო. თუ აქა-იქ დავაკვირდებოდით,

მართლა შეიძლებოდა შეგვენიშნა მდინარის ფსკერი. წვრილი ქვებისა და კენჭების გამო მდინარე თითქოს ანელებდა დენას, ოდნავ უფრო ვერცხლისფრად პრიალებდა და ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ კაცს ეფიქრა, აქ გადასვლა შეიძლებაო.

— სად არის აქ ფონი? — მაინც შევეკითხე მეგობარს.

— მომყევი! — წვრილი ხმით მომაძახა ივანემ.

მეც დავიძარი და ცხენები შევაგდეთ მდინარეში. ნაპირთან ცხენებს წყალი თითქმის მუცლამდე მოსწოდა, მაგრამ მალე მარჩხაზე გავედით. ცოტა გავიარეთ თუ არა, მთავარ კალაპოტში მოვხვდით და ცხენები კინალამ აცურდნენ. უზანგებში შეყოფილი ფეხები მაღლა ავწიე რამდენადაც შემეძლო, მაგრამ წყალი მაინც ჩამესხა ჩექმაში.

ჩვენთან ერთად მეორე ნაპირზე გადმოვიდნენ ძალლებიც, ივანეს „ამური“ და ჩემი „რაში“.

ახლა ჩვენ ზღვის ტალღების მიმოქცევით გამაგრებული ნაპირის სველსა და მაგარ ქვიშაზე მესაზღვრეების მიერ გატექპნილ ბილიკს მივყვებოდით.



ჩეენ ბიჭვინთიდან მოვდიოდით, ბზიბის გადაღმა ნაპირის ცეკვა  
ხევხუების ტალახსა და მდინარეში მიღებული ცივი აბანოს  
შემდეგ ცხენები თოხარიერით მიირწეოდნენ ხავერდოვან ქვი-  
შაზე. მხარმარჯვნივ, ზღვის შორეული ჰორიზონტის გადაღმა,  
ნელ-ნელა ეშვებოდა მეწამული მზე. ზღვა გულმშვიდად გა-  
დაშლილიყო, ნაპირთან ნელ-ნელა ტყაპუნობდა წვრილი  
ტალღები. მხარმარცხნივ, წიფლის უდაბური ტყის წინა მხა-  
რეზე მოჩანდა ეკლის ხშირი და დაბალი ბუჩქებით მოდებუ-  
ლი მომცრო ჭაობები, რომლებშიც იქა-იქ შესამჩნევი იყო  
გამხმარი ბალახ-ბულახი. ტყის იქით, შორს, მოჩანდა ლურჯ-  
მწვანე, მუქი ხეობა, იმის იქით — უღელტეხილის მაღლა  
აწვერილი ჩამოთვილი კლდეები, რომლებსაც მზის შუქზე  
ვარდისფერი დაპკრავდა.

„ამური“ და „რაში“ მოწყვეტით აედევნენ ერთმანეთს და  
გაექანენ. მათ წინ მოჩანდა ჭაობისკენ გაჭრილი კატის ბეწ-  
ვიანი გრძელი კუდი. უცებ შედგნენ და ყეფა ასტეხეს, თურ-  
მე კატა მოუმწყვდევიათ და ყეფით გარს ეხვეოდნენ სქელ  
ბუჩქს, სადაც იგი შემძერალიყო. უმალვე გაღმოვხტით ცხე-  
ნებიდან, თოფები მოვიმარჯვეთ და ძალლებთან მივირბინეთ.  
ბალახში ჩამჯდარი საოცრად გაანჩხლებული კატა აქეთ-იქით  
აქევდა კუდს და მრისხანე თვალებით შესცემოდა ძალ-  
ლებს.

— არ ესროლო, ისე ავიყვან! — მეუბნება ივანე. თოფი  
მე გადმომიგდო, მცირე ხნის შემდეგ დრო შეურჩია, ელვის  
უმალვე მოხერხებულად დააჭირა ზურგზე ჩექმები და მიწაზე  
მიაკრა, მერე მარჯვენა ხელი ქეჩოში ჩაავლო, მაგრად მოუ-  
ჭირა და წინ გამოშვერილი ხელით მაღლა აიყვანა.

პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში, რომ ადამიანი ხელით  
ახრჩობდეს გარეულ კატას.

უკვე ბნელოდა, როცა ჩეენ მივედით ტყის დარაჯის, რო-  
გორც თვითონ უწოდებდა თავის თავს, უფლისწულის მამუ-  
ლების „მმართველის“, მოხუცი გერმანელის ოსკარ კარლო-  
ვიჩის ქოხში.

— პაეცხი აქ არის? — შევეკითხე გერმანელს მისალმე-  
ბის უმალვე.



— აქ გახლავთ, მხოლოდ წევს... აციებს... ძალიან გამოიყენოთ და!.. — თავი გააქნია მოხუცმა.

პაევსკი, მეტსახელად „მეღორე“, იყო მოხუცი მონადირე. მე და ივანემ მოვილაპარაკეთ ოსკართან შევხვედროდით მას და ღორებზე სანადიროდ წაგსულიყავით. პაევსკის ჰყავდა ორი საქმაოდ კარგი მდევარი, ურომლისოდ ძნელი იყო ღორების მიგნება. მოხუცი გაგრაში ცხოვრობდა, აქ ჩამოსულიყო წინა დღით და უმაღვე გაეციებინა.

გერმანელის ცოლი ფრაუ ფუქა ისეთივე გამხდარი, მაღალი და ტანადი იყო, როგორც თვითონ კარლვიჩი, ქალს ჭალარაშერეული თმა უკან გადაევარცხნა და უიმედოდ აქნევდა ხელებს.

— ჩაი არ უნდა! — გვითხრა ჩურჩულით, — ჭამა არ უნდა, არაფერი არ უნდა...

ავადმყოფს თხელი საბანი ეხურა და ნერვიულად ტოკავდა. გაურკვეველი იყო ეძინა, თუ უგრძნობლად იყო.

— გამარჯობა, მეღორევ!... როგორაა საქმე, მოხუცო?... ჩაგაშვინა?

პაევსკიმ ოდნავ გაახილა თვალები. ტუჩები გაატოკა და კბილებში ძლიეს გამოსცრა სიტყვა:

— გამარჯობათ... ძმებო... ცუდად, ცუდად... კონიაკი ხომ არ გაქვთ, ა?

რა თქმა უნდა, კონიაკი აღმოგვაჩნდა. მთელი ჭიქა დავუსხით. ფრაუ ფუქამ აკანკალებული ხელით ტუჩითან მიუტანა ავადმყოფს, რომელმაც ერთი მოთქმით დალია, მერე ზედ ჩემი ჯუბა დავახურე და ჩაიძინა.

მე და ივანემ ბარგი-ბარხანა დავაშვეთ, ძალებს საჭმელი მივეცით, ვისაუზმეთ და ღამის ნადირობის სამზადისს შევუდექით. როგორც გერმანელი ამბობდა, ღორები უთვალავი იყო, ისიც იქვე, სახლთან ახლოს. თავიანთი დინგებით მთელი ტყე ისე გადათხარეს და მოჩიჩქნეს, რომ გუთნით მოხნულს ჰგავსო, — გვითხრა მან.

თურმე მთვარე თერთმეტი საათის შემდეგ ამოდიოდა. გერმანელმა გვირჩია: ცოტა წათვლიმეთ, ხოლო დაბრუნების შემდეგ კარგად დაისვენეთო. მე და ივანე პირდაპირ იატაჭე დაგებულ თივაზე დავწექით გაუხდელად. უცებ ისე ჩაგვეძინა,

რომ არც ავადმყოფი პაევსკის ბოდვა გაგვიგია და რწყილების კბენა...

— ჰეი, მონადირენო!.. ადექით, უკვე დროა! — გამოგვა-ლვიძა მეგობრის ხრინწიანმა ხმამ, იგი თავის საწოლზე იჯდა, როგორლაც აწითლებული და გაოფლიანებული... თურმე ავადმყოფის შეტევას გაუვლია, გაულვიძია, საათზე დაუხე-დავს და ახლა ჩვენ გვაღვიძებდა...

ჩვენ ელდანაკრავივით წამოვდექით. საჩქაროდ ჩავიცვით ლორის ტყავის ქალამნები; დამით სავაზნის ტარება საჭირო არ იყო, ამიტომ ვაზნები ჯიბეში ჩავიყარეთ. როგორც კი სუფთა ჰაერზე გამოვედით, ძილიდან აყოლილი მთქნარება უცებ მივატოვეთ, თბილ ოთახში წოლის შემდეგ ტანში მსუბუქად შეგვაერეოლა, მაგრამ ათიოდე ნაბიჯი გადავდგით თუ არა, ყველაფერი რიგზე მოეწყო; არც სიცივეს ვგრძნობდით, არც ურუოლას და არც გვეძინებოდა. დეკემბერი იყო, მაგრამ ისე თბილოდა, როგორც სექტემბერში.

მუქად ამართულ ტყის გადაღმა, ჰორიზონტზე სპილენძისფერი გოგორა მთვარე ამოცურდა და, რაც უფრო მაღლა აიწია, მით უფრო მუქ-ყვითელი ფერი გადაეფინა ქვეყანას. ვარსკვლავები გაპქრნენ, ცა გადაისარკა, ირგვლივ სიჩუმე დამკვიდრდა. არსათ ჩქამიც აღარ იმოდა.

უკვე ტყეში შევედით. ივანე მარცხნით წავიდა, მე მარჯვნით, წინასწარ დავთქვით, სადაც უნდა შევხვედროდით ერთ-მანეთს.

ტყეში მარტოდ-მარტო ყოფნა საშიში და საშინელი როდია, მაგრამ როგორლაც ძნელია მიუჩეველისათვის. უცხოდ, დაუპატიჟებელ სტუმრად, სადღაც სულ სხვა, ზღაპრულ სამყაროში გრძნობ თავს. ირგვლივ ისეთი სინათლეა, როგორც დღისით. თვალშეუდგამ წიფლის ხეებს ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებზე გრძელი ჩრდილები გაუფენიათ. გვიმრისა და წყავის გაუვალი ბუჩქები, რომლითაც მოდებულია მთელი არემარე, მუქ ლაქებად აჩნია მიწას აქა-იქ. ტყე მეჩხერია და ისე აღვილი სასიარულო, როგორც პარქში. სქლად დაფენილ ფოთლებში რბილად და შსუბუქად მივდივას. ნაკაფი და ტყის გზები სავსეა მთვარის შუქით, ისე ბრწყინავენ და



ლაპლაპებენ, თითქოს მზის კაშაშა სხივით იყოს განათებულებია  
ლი. უცებ პირდაპირ ფეხებში ამიტრინდა ტყის ქათამი.  
მოულოდნელობის გამო გული ამიძევრდა, ისე მოვუჭირე  
ხელი თოფს, მეგონა კონდახი შემომემტვრეოდა...

მივდივარ, წყნარად ვადგამ ნაბიჯებს, ვცდილობ ჩრდილში  
მოვყევ. ნელა, უხმაუროდ გადავდივარ ხილან ხემდე, სმენა  
გამახვილებული მაქვს, ყოველ უმნიშვნელო ჩქამს მინდა  
ყური მოვკრა, ვაყურადებ... შორს რაღაცამ გაიფაჩუნა. უმა-  
ლვე უზარმაზარ წიფელას ვეკრობი, ზედ ვეწებები, სულს  
ვნაბავ. კვლავ გაისმის ფაჩუნი. ამჯერად უფრო ახლოს, ასი-  
ოდე ნაბიჯზე, გაკაშაშებულ პატარა მინდორზე გამოჩნდა  
მუქი ღორი, გვერდით — მეორე, იმის იქით, ცოტა მოშორე-  
ბით — მესამე, მეოთხე, მეხუთე. ყველანი საქმაოდ ნელა მო-  
დიან, თავი ჩაულუნიათ და გზადაგზა დინგებით ჩიჩქნიან მიწას,  
გამხმარი ფოთლების შმაშური გარკვევით მოისმის. წინ მიმა-  
ვალი ღორები უკვე ჩრდილში იყვნენ შემოსულნი, როცა მინ-  
დორზე კიდევ ექვსი ღორი გამოვიდა. დავიჩოქე, თოფი მო-  
ვიმარჯვე, მაგრამ ღორებმა სადღაც განზე გაუხვიეს. ფაჩუნი  
თანდათან მინელდა. მალე ყველაფერი მიწყნარდა.

მეწყინა. კვლავ წინ მივდივარ და სწორედ იმ ადგილას,  
სადაც მინდორზე გამოვიდნენ ღორები, მუხის ჩრდილს შე-  
ვეფარე: პირველ წყება ღორებს იქნებ სხვებიც გამოყვნენ-  
მეთქი.

საშინლად მომინდა თამბაქოს მოწევა. რაკი ღორები ახ-  
ლომახლოს არ მეგულებოდა, ის იყო გავაბოლე, მაგრამ უმა-  
ლვე ოციოლე ნაბიჯზე ძლიერი ბაკუნი შემომესმა: ეტყობო-  
და, სამი-ოთხი ღორი ჩემგან მოპირდაპირე მხარეზე გასული-  
ყო. თამბაქო მოვწიე... გაბრაზებულმა მეორე პაპიროსიც  
ამოვიდე, ისიც მოვწიე, გული ვიჭერე და ადგილიდან დავი-  
ძარი კიდეც...

დიდი ხის ჩრდილში შევჩერდი, მთვარე მაღლა, სულ მაღ-  
ლა ჰქიდია, სადღაც ჩემს ზემოთ, ცის შორეულ კიდეზე...  
ბადრი მთვარის შუქი იღვრება ტოტებსა და ფოთლებს შუა  
და მთელ ტყეს მოლურჯო, მუქი შუქით ავსებს.

ჩემს წინ, სქლად ამოსულ გვიმრიანში კვლავ გაისმის



შმაშური. ნელა, უხმაუროდ ისე მოწყვეტით ვიჩინქებ, რომ მას გადასაცავა კინაღამ წამოვიყვირე, თურმე წაბლის გირჩაზე დამიკრავს მუხლები. გრძას განზე გადავაგდე, თოფი მოვიმარჯვე.

„წაბლი!.. წაბლი!.. ძალიან კარგია!.. ეს ლორების საყვარელი საჭმელია!.. ალბათ ხშირად შემოდიან აქ!“ — გავი-ფიქრე გუნებაში.

ყველაფერი მიწყნარდა. ჩუმად ვზივარ. ვიცოდი, რა ეშ-მაკი და ფრთხილნი იყვნენ გარეული ღორები. კიდევ წუთი და, ნელი ხმაური გაისმის, ამჯერად უფრო ახლოს. მთვარის შუქით განათებულ პატარა მინდორზე გამოვიდა ახალგაზრდა, მომცრო ღორი, მას მოჰყვა მეორე, მასზე უფრო მოზრდილი. წუთით შეჩერდნენ, მერე ჩიჩქნა დაიწყეს, თან ხმამალუ გააწკლარტუნეს პირი, ნაპოვნ წაბლს ღეჭდნენ. დავუმიზნე, მაგრამ არ მინდა ვესროლო, უფრო დიდი ღორის გამოჩენას ველოდები... და აი, მცირე ხნის შემდეგ მათ მძიმე ხვენეშითა და ღრუტუნით, ფეხდაფეხ მოჰყვა ნამდვილი დიდი ღორი. ჩვენ შორის დაახლოებით ოჩმოცდაათი ნაბიჭი იქნება, იგი ვერდით მოდის ჩემქენ. მარცხენა მხარეზე ვუმიზნებ, ჩახმახი გამოვში. სროლის გრიალმა შეარყია ტყე-ღორი ჩაიკეცა, უცებ წამოიჭრა და მხარმარცხნით გვიმრაში მიიმალა.

„შეუძლებელია ასეთ მცირე მანძილზე, ისიც ასეთი დიდი ღორისთვის დამეცილებინა!“ — გავითიქრე და უმალვე წამოვხტი, მივირბინე იმ აღგილზე, სადაც ვესროლე.

საკვირველი საქმეა. სისხლი არ ჩანს. მივყვები ნაკვალევს. მხოლოდ რამდენიმე წვეთია დაწვეთებული გამხმარ ფოთლებზე, სამაგიეროდ, გვიმრის ბუჩქი, სადაც მან თავი შეპყო, ღორის მუცლის სიმაღლეზე მარცხნითა და მარჯვნით, სულ მოსვრილია სისხლით. რაკი ორივე მხარეზე სისხლია, ცხადია, ღორს ტყვიამ გაუარა მუცელში, შორს ვერ წავა, ხვალ მდევრებით კვალდაკვალ დავედევნებით, აღმოვაჩენთ.

გვიმრის ტოტებს ვამტვრევ, რომ დავიმახსოვრო ის ადგილი, სადაც ღორმა თავი შეპყო, იქვე ჩამოვთალე ის ხე, რომლის ქვეშ ვიდექი ჩრდილში, ამით უფრო ადვილად მი-



ვაგნებდი მეორე დღეს. პაპიროსი მოვწიე. მერე კვლავთანავე  
ვაგრძე ჩემი ზღაპრული სეირნობა, მაგრამ ახლა უკვე ში-  
ნისკენ გავუდექი გზას.

ჩემი გასროლის შემდეგ ნახევარი საათი არც კი იყო გა-  
სული, რომ სადღაც ახლოს ივანეს თოფმაც ზედიზედ დაი-  
ჭირა: სროლის ხმა საოცარი გუგუნით მოეფინა უღრან ტყეს  
დამის მყუდროებაში. თითქმის იმავე წუთში ოციოდე ღორმა  
მტვრევა-ხმაურით, საოცარი სისწრაფით გაიშლიგინა ჩემ წინ.  
ისინი გამოიქრნენ სიბნელიდან, აქა-იქ აშკარად გამოჩნდნენ  
შუქით განათებულ ნაკაფში და კვლავ მიიმალნენ საიდუმ-  
ლოებით მოცულ ტყის ჭურლმულში. სროლა უშედეგო იქნე-  
ბოდა. ამიტომ ჩუმად ვდგავარ, თვალდაჭყეტილი განცვიფ-  
რებით შევცერი ამ უცხო სურათს და სულგანაბული ყურს  
მუგდებ მტვრევა-ხმაურს, რომელიც თანდათან უკვე მშორ-  
დება.

ჩუ!.. კვლავ ხმაური შემომესმა! ტოტმა გაიტქაცუნა.  
ისევ ხისკენ მივიწევ, ჩრდილს ვეფარები, ველოდები, თოფი  
მომარჯვებული მაქვს ხელში, მაგრამ ხმაურის მიხედვით  
ვატყობ, რომ ეს მხეცის მოძრაობას არ ჰვავს. მართალია,  
უხეშია, მაგრამ ისე გარკვეული არაა, როგორც მხეცის, ან  
ნადირის მოძრაობის დროს მომისმენია ხოლმე. ეს ადამია-  
ნის ფეხის ხმას უფრო მიაგავს. ნელი სტვენით ვაძლევ ნი-  
შანს. ისიც პასუხს მაძლევს. მინდორზე გამოჩნდა ივანე.

— ვერ მოვარტყი! — დამნაშავე ადამიანის ხმით დაიწყო  
მან. — მოელ ჭოგს შევეფეთე. სიხარბე არ უნდა გამომეჩინა,  
ერთი რომელიმე მოზრდილი უნდა შემეჩჩია, მე კი ზედიზედ  
გასროლით მოვინდომე წყვილი წამომეგორებინა და ვერც  
ერთი ვერ მოვკალი! ვაი, სირცხვილო!.. თქვენ რა ჰქენით?  
მოპკალით რამე?

ვუამბე ვყველაფერი, რაც შემემთხვა, მაგრამ შევატყვე, არ  
სჭეროდა ჩემი ნათქვამი და მარწმუნებდა, სულ ერთია, იმ  
ღორს ვეღარ ვიპოვითო.

მე ძალიან ამაღელვა მისმა ნათქვამმა.

— როგორ თუ ვერ ვიპოვით, როცა მუცელი გავუხვ-  
რიტე?



— გაუხვრიტე კი არა!.. საიდან იცი, რომ გაუხვრიტე მოვალეობა იქ სისხლიც კი არსად აცხია, ალბათ მოგეჩვენა?..

— როგორ გეკადრება, წავიდეთ, თვითონ ნახ! აქვეა, სულ ახლოს!

როცა მივედით გვიმრასთან, სადაც დაჭრილი ღორი დაიმალა, ივანემ სანთელს მოუკიდა, დაკვირვებით დაათვალიერა ფოთლები და სისხლის ნიშნები; ცოტა წინ გაიარა, კიდევ კარგად დაკვირდა, შენიშნა, რომ ფოთლები უფრო მეტად იყო შესვრილი.

— არა, თურმე მართალი ყოფილხართ! — მითხრა მან. ჭრილობა მუცელში აქვს, ტყვია გასულია მეორე მხარეზე. კიდევ ორ დღეს იცოცხლებს, ცხადია, ვერსად წავა!.. ხვალ ძალლები მოვიყვანოთ და მოვკლათ...

გადავწყვიტეთ ამით მოგვეთავებინა ჩვენი ნაღირობა იმ ღამეს. დაახლოებით ხუთი საათი იქნებოდა. ჩქარა უნდა გათენებულიყო. ტყეში სიბნელე ჩამოდგა, ნაღირიც დავათროთ...

გერმანელის ქოხამდე ჩქარა მივედით. მისი გაღვიძება გაგვიძნელდა. პაევსკის მკედარივით ეძინა, არც კი გაუგია, თუ რა უდიდესი სიამოვნებით წამოვგორდით მის გვერდით, ულოგინო საწოლზე.

მზე კარგად წამოწეულიყო, როცა კარგად ნასაუზმევი მე და ივანე ერთად წავედით ტყეში დაჭრილი ღორის საქებნელად. პაევსკი ისევ ცუდად გრძნობდა თავს და ამჯერადაც შინ დარჩა. რა თქმა უნდა, მისი ძალლები ჩვენ წავიყვანეთ.

ისევ ტყეში ვიყავით. მისი ცნობა ახლა ძნელი იყო. ზღაპრული, საიდუმლოებით მოცული, წარმტაცი, ნაზი ტყე გამჭრალიყო. ჩვეულებრივ, ტყის სურათს ვუცქეროდით, რომელშიც ყველაფერი აგრე განსაზღვრულია, მძაფრი, ჩვეული და ნაცნობი. ტყის გზებზე მუხლებამდე ტალახია, ირგვლივ პირუტყვისა და ცხენის განავალი, ღორებისაგან გადათხრილია მთელი არემარე, სივრცეში ატყორცნილან ფოთლებშემოძარცული, პაერში ტოტებგაჩაჩნდული ხეები, არც ერთი ცოცხალი არსება! სად გაჰქირდა მისი წინა ღამის ზღაპრული სინაზე, ნისლოვანი, გამჭვირვალე სილამაზე?.. სად არის ნა-

დირს ის საოცარი, უჩვეულო მოძრაობა, რაც მთელი კულტურული მდგრადია?..

ჩქარა ვიპოვეთ გვიმრის ბუჩქი, სადაც დაჭრილმა ღორმა თავი შეჰყო და მიიმალა. ივანე წინ მიდიოდა, „ფლეიტა“ თან მისდევდა საბმელით, მე უკან მივდევდი, „შუმილკაც“ ფეხდაფეხ მომყვებოდა. სისხლიანი ნაკვალევი თანდათან სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, თანდათან სულ უფრო სქლად ეცხო სისხლი გალაქულივით პრიალა ფოთლებს. უცებ შეწყდა სისხლის ნაშეფები, არსად წვეთიც არ აჩინა!.. „ფლეიტა“ კი ხელიდან უძვრება ივანეს, სადღაც თავგამოდებით მიიწევს, — უდაოა, გრძნობს, რომ სადღაც ახლოა ნადირი!

— ეტყობა, მის ჭრილობას ქონი გადაეკრა, ხომ ატყობ, სისხლის წვეთების ნიშანმა თანდათან იკლო! — მეუბნება ივანე.

მეც ვეთანხმები მის ვარაუდს, ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად ასეა. მეძებრებმა ცხვირით მიწა დაყნოსეს და თვალის დახამხამებაში გაპქრნენ. რამდენიმე წამში ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე „ფლეიტა“ ასტეხა ყეფა, „შუმილკაც“ აჰყვა. ორივე ძალლი თავგამოდებით ყეფდა.

— იპოვეს... წევს ის ლეში, ისა! — წამოიძახა ივანემ.

ორივე ერთბაშად გავექანეთ წინ ხშირ გვიმრიანში. ათიოდე ნაბიჯზე მივუახლოვდით თუ არა, ბუჩქებში მტვრევა და ტკაცუნი გაისმა, ღორი ტყვიასავით გაიჭრა სადღაც შორს. ძალლებიც უკან გამოენთნენ გაშმაგებული ყეფით. ისევ დაიწყეს ყეფა აღგილზე: ღორი ისევ ჩაწვა.

ზაფხულის ყველაზე სიცხიან დღეს ასე არ გავოფლიანებულვარ, როგორც დეკემბრის იმ დილით. ჩვენ ვხტოდით წაქცეულ, დამპალ ხის მორებზე, ვეფლობოდით ხორად დაყრილ დამპალ ხელეწილში, ვძვრებოდით საოცრად მჩხვლეტავ ეკლისა და მაყვლის ბუჩქებში. ხანდახან ისეთ აღგილებში გვიხდებოდა გაძრომა, რომ თავს მიწამდე ვღუნავდით, თითქმის ფორთხვა გვიხდებოდა, რომ როგორმე გაგველწია ირგვლივ მთლიანად მოდებულ ბარდებში, ზედ ვახტებოდით გვიმრის ბუჩქებს, როცა რომელიმე ჩვენთაგანი მიუახლოვ-



დებოდა დაჭრილ ნადირს, იგი წამოიჭრებოდა ადგილიდან, ასიოდე ნაბიჯით წინ გაირბენდა და ახალ ადგილას უჩიტვესავა ბოდა...

მთლად მოვიქანცე, საოცრად გავწვალდი, ხელისგულში დიდი ეკალი შემერქო, მთელი სახე დავიქაწრე და მაინც წინ მივიწევდი... ბოლოს, როგორც იყო, სულ ახლოს დაიჭირა თოფმა, მას მოჰყა ივანეს აღტაცებული შეძანილი:

— მზად არის!

ლორი ისეთ ეკლიან ბარდში იწვა, რომ იძულებული გავხდით მისასვლელი ადგილი ხანჯლით გაგვეკაფა, საიდანაც მე და ივანემ ფეხებით ძლიერ გამოვათრიეთ ის.

როცა ჭრილობა გაუსინჯეთ, ჩვენი ვარაუდი დადასტურდა: ტყვია მეორე მხარეზე გასვლოდა მუცელში, ნახვრეტს ორივე მხრიდან საცობივით ჩამჯდარი პქონდა ქონის ნაჭრები. ამიტომ შეწყვეტილიყო სისხლის დენა.

იმ გაწამაწიაში მე კი არა, გამოცდილი ივანეც საოცრად მოიქანცა. ისე გახურებული ვიყავით, რომ ძლიერ ვსუნთქავდით. ორივე ერთად ჩამოვსხედით ჭერ კიდევ თბილ ღორზე...



## ირმის ხერინადები

შუა სექტემბერია. ბორჯომი-დან ლიკანში ავდივართ მანქანით. სოფლის გასაღევარზე იწყება ნაკრძალი. გავცილდით თუ არა მის საზღვარს, დაიწყო საუკუნოვანი დაბურული ტყე.

ნელი ნაბიჯით მივყვებით დაკლანილ ბილიქს. ის სულ ზემო მხარისაკენ მიემართება. ავდივართ გორჩაჭე. ამის იქით

ფოთლოვან ტყეს ცვლის წიწვიანი „შავი ტყე“.

ნახევრად ბნელა. ირგვლივ სოკოს, ჩამოცვენილი წიწვისა და მიწაზე მიმოფანტული, ჩახურებული ფოთლის სუნი ტრიალებს. არსად ბალახის ნასახიც არა. მიწას ნესტიანი ხავსი გადაკვრია. აქა-იქ თავი ამოუყვია წითელ სოკოებს.

ნაკრძალში მოწყობილია ხელოვნური დიდი სამარილე აღგილები. მას განსაკუთრებით ეტანებიან ირმები. ისინი ლოკავენ არა მარტო ქვამარილს, არამედ ირგვლივ მიწასაც კი ჩიჩენიან ჩლიქებით, ხეების ფესვებშუა, სადაც წვიმის დროს ხელება გამდნარი მარილი და ნიაღავი მლაშდება.

აქ ყველგან აჩნია ირმის ნაკვალევი, ტალახი აზელილია, მიწა ისეა მოტკეპნილი, როგორც სასოფლო კოდთან, სადაც პირუტყვი მოდის წყლის დასალევად.

ირმები ვერ სძლებენ უმარილოდ. ამიტომ ისინი სტოვებენ იმ აღვილებს, სადაც მარილი ან მლაშე წყაროები არ არის. სწორედ ეს გაუთვალისწინებიათ ნაკრძალის მომწყობთ, ამიტომ მოუწყვიათ აქ მლაშე წყლის ამდენი ხელოვნური გუბურები.



...მზე შორეული მთების გადაღმა წვება. ავდივართ უდინერვა ტეხილის მწვერვალზე. ისევ ოდნავ გატკეპნილ ბილიქს უცხოა ყვებით. მარჯვნით და მარცხნით ხშირი ტყით დაფარული ხეობაა. მტკვრის გადაღმა მაღლა აზიდულან ცხრაწყარო, სანისლო, თოვლით გადაპენტილი, ჩამავალი მზის სხივებით მოქმროვილი მწვერვალები და ამწვანებული მთაგრეხილები.

შემოდგომაა. ოქროსფერი გადაპეკვრია მუხისა და წიფლის, ნეკერჩხლისა და ვერხვის მარადმორთოლვარე ფოთლებს, სიყვითლე შეპარვია არყის ხეების ფოთლებსაც. მხოლოდ უზარმაზარ მუქ-მწვანე ნაძვებს ბანჯგვლიანი თათებივით განიერად გაუჩაჩხავთ ტოტები და ისე დგანან თავიანთ მარად-მწვანე ტანსაბურველში კოპწიად მორთულნი, თითქოს უხარიათ სიცივის მოახლოება.

ნელდება ტყის ცხოვრების მაჯისცემა. მხოლოდ კოდალა უკაკუნებს ხეს და ამთავრებს დღიურ სამუშაოს. მომაბეჭერებელი მქვეთრი ჩხავილითა და ჩვეულებრივი მოუსვენრობით დაფრინავენ ჩხივები ტოტიდან ტოტზე. მშვიდად, ხმაჩახლეჩით მიყრანტალებს სხვებს ჩამორჩენილი ერთადერთი ყვავი, ალბათ ღამის სათევად მიეშურება სადღაც. შაშვი ჭაბეჭებს, მელოდიურად უსტვენს, მერე შურდულივით მიფრინავს ტყის სიღრმისაკენ...

\*

ჩვენ მონადირის სახლთან ვართ. ტყე ძილისთვის ემზადება. ყოველგვარი ხმაური მიწყდა, ჩქამიც არ ისმის, სიჩუმეა.

სულ ცხრა კაცი ვართ: მე, ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ნაკრძალის ზედამხედველი — ცნობილი მონადირე ნიკო და ექვსი მეთვალყურე. ესენი არიან საუკეთესო, ცნობილი მონადირეები, ბუნების წიაღში გაზრდილი ჭაბუკები. მათ გულმხურვალედ უყვართ ბუნება, ფრინველები და ცხოველები. ისინი დაუღალავად დადიან ტყეში, დღე და ღამე დასტრიალებენ მას და ებრძვიან ქურდულად მონადირეებს.

ნიკო ყველაზე უფრო გამოცდილია მათ შორის. მითითე-



ბას აძლევს ჭაბუკებს: ერთხელ კიდევ მოაგონებს, უხსნეს ხარი და ფურირების დათველის წესებს. ჭაბუკები ჩეკმი ამთავრებენ პანტაზე დაყენებულ არყის დალევას და მხია-რულად, მკვირცხლად მიღიან წინასწარ მიჩნეული სათვალ-თვალო პუნქტებისაკენ. ძალიან ჩქარობენ, რადგან ზოგიერთ-მა სამი-ოთხი კილომეტრიც კი უნდა გაიაროს ფეხით.

— შენ კი მახლობელ მწვერვალზე ახვალ! იქ დაიჭირე მოხერხებული ადგილი! შეგიძლია არ იჩქარო, ჯერ ადრეა! — მეუბნება ნიკო.

საღამოს რვა საათია, ცის კიდეზე სულ მაღლა მიიწევს გაბადრული მთვარე, ქვეყანას ვერცხლის შუქში ხვევს, თო-ფის ნაცვლად ხელში წამოსასხამი მიჭირავს, რომ სათვალ-თვალო ადგილას, ხის ძირში, მიწაზე დავიგო და წამოვწვე.

ბილიკი განათებულია მთვარის შუქით. მივდივარ ნელა, ზომინით, ვცდილობ, არ დავარღვიო ტყის იღუმალება. უხმა-უროდ, შეუმჩნევლად მივემართები ნიკოს მიერ მითითებული მწვერვალისაკენ, მთაგრეხილის გასწრივ მივყვები ბილიკს. ლია ადგილებს ცვლის ბუჩქნარი, ეკალ-ბარდები. ბილიკს უკვე ვერ ვამჩნევ, ბნელა, მაგრამ ალლოთი ვხვდები, თუ საით უნდა წაგიდე.

მივდივარ ასე, არსაით ხმა, არსაით ჩქამი, ისევ სიჩუმეა, დაურღვეველი, საოცარი, შიშის მომგვრელი. უცებ კინაღამ თავზე დამაჯდა ტყის სიღრმიდან გამოქანებული ჭოტი; რა-ტომლაც შემეზინდა, გულმა ძეგრა დამიწყო. გონს მოვედი. მიკვირს, გამეცინა: ეტყობა, ჩემში საღლაც შეუცნობლად მი-მალული ყოფილა ცრუმორწმუნეობის უჩინარი ნაპერწკალი, თორემ ჭოტის როგორ უნდა შემშინებოდა-მეთქი? — გამიე-ლვა თავში. განვაგრძობ სიარულს — წინ, სულ წინ, შეუსვე-ნებლივ, მინდა დროზე მივიდე დანიშნულ ადგილას. მეშინია, ვაი თუ ვერ მივუსწრო!.. ისევ გამოვდივარ მთვარის შუქით განათებულ არეზე. ისევ სრული სიშუნარეა ირგვლივ, წელან-დელი მღელვარება გამიქრა. ან რა მქონდა ასაღელვებელი? მართალია, უიარაღოდ ღამით ტყეში სიარული სასიამოვნო არაა, მაგრამ საშიში მაინც არაფერი იყო....

„გოხი მაინც წამომელო!“ — კვლავ გამიელვა გუნებაში  
ათასი ფიქრი მერევა თავში.

უცებ ჩითახევის მხრიდან გაისმის ხმამაღალი, გაბმული  
ყვირილი.

რეტდასხმულივით გავჩერდი...

თვალის დახამხამებაში ძლიერმა ხმებმა შესძრეს შთელი  
ხეობა, გამოძახილი ეფინება ფერდობებს, მწვერვალებს. ისევ  
შეწყდა. მცირე ხნის შემდეგ მოწყვეტით ზედი-ზედ გაისმის  
რაღაც საოცრად ყრუ ყვირილი. ვერ მივხვდი, რა არის! კვნე-  
სა, თუ ამოხვნეშა? ისევ სიჩუმე მქვიდრდება... უცებ ხეობის  
მოპირდაპირე მხრიდან ხელახლა მომესმა უფრო ძლიერი  
ყვირილი: დაუქმაყოფილებელი სურვილის თუ სევდით გამო-  
წვეული ყვირილი. ყოველ შემთხვევაში ასე შემომესმა... ესაა  
ხარირემი...

ეს ყვირილიც მოკლე და მქვეთრია.

პირველმა ხარირემმა ბევრი არ დააყოვნა, ძლიერი მაღა-  
ლი ხმით პასუხს აძლევს თავის მეტოქეს.

დაიწყო მრისხანე გადაძახილები. ყვირიან ხან ერთდროუ-  
ლად, ხან ცალ-ცალკე, რიგრიგობით... ეტყობოდა, ერთიდან  
მეორე ადგილზე გადადიოდნენ, ადგილს ინაცვლებდნენ შესა-  
ხვედრად.

ახლა ქვაბისხევიდან მოისმის ხარირების საოცარი ყვი-  
რილი. ყვირიან-ლიკანის ხეობის ირმებიც, მას მოჰყვა ყვი-  
რილი ნაერძალის ყოველი მხრიდან.

ტყე კვლავ გამოცოცხლდა.

დაიწყო ტყის უჩვეულო კონცერტი.

წამოსახამს უზარმაზარი ნაძვის ძირში ვშლი. თამბაქოს  
ვაბოლებ, ყურს ვუგდებ, თან ვითვლი ჩემს უბანში მყვირალ  
ირმებს. განსაკუთრებით ძლიერ ყვირის ერთი ხარირემი, ლი-  
კანის ხეობაში. ეს არის გამარჯვების გამომსახველი, უიმო-  
რეული ყვირილი! უდაოდ, ეს უნდა ყოფილიყო ბებერი,  
დიდი ხარირემი, რომელსაც ბევრჯერ ჰქონდა კავშირი ფურ-  
ირმებთან და ახლა თავის ზეიმს ამცნობდა ტყის სამყაროს,  
იგი თავისი მრისხანე ხმით თავისკენ იწვევდა გამბედავ, გუ-  
ლად ირმებს.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე ირმის ყველა რილი. ისე აღიქვამ ამ ყვირილს, თითქოს გაავებულა კულტურა ლომის ღმუილს უსმენ. ნაკრძალის ფართო ტერიტორიაზე გაბნეული ეს ყვირილი იძლევა წარმოდგენას ირმის უდიდესი ძალისა და უშიშროების შესახებ მის საქორწიონო პერიოდში, მარად ჩაუმჯრალ განაყოფიერების ინსტინქტის შესახებ, რომლითაც სავსეა მოელი ცოცხალი ბუნება და რომელიც შეუჩერებლად წინ ეწევა სიცოცხლეს.

და უოველთვის, როცა მე ვისმენდი ირმების ყვირილს, ირმების ამ თავისებურ კონცერტს, მაგონდებოდა სიტყვები მწერალ ალექსეი ტოლსტოის მიერ შექმნილი ანდალუზური სერენადიდან:

სიყვარულის ცეცხლში ვიწვი,  
ყველას ვუხმობ ფიცხელ ბრძოლად

მყვირალობის დროს ადამიანი იშვიათად ნახავს მყვირალი ირემს. ამისთვის საჭიროა შეუმჩნევლად, ჩქარი ნაბიჯებით მიეპარო, როცა იგი ყვირის, რაღაც ამ დროს არაფერი ეს-მის მას; ხოლო როცა შეჩერდება, შენც უმალვე იქვე უნდა შეჩერდე, გაქვავდე, რომ არ გაიგოს შენი მიახლოება. საკმარისია, ირემმა ოდნავ ყური მოპყრის უმნიშვნელო ხმასაც კი, რომ კლდე-ღრეზე გადავარდება და იმ არემარეს განშორდება.

ამიტომ ამ საქმეში უდიდესი სიფრთხილის, უდიდესი ოსტატობის გამოჩენა მართებთ „მყვირალობის“ მოსმენისა და მყვირალი ირმის ნახვის მსურველებს.

მყვირალობაზე დასწრება გატაცებით უყვარდათ ძველად პრივილეგიური კლასის, არისტოკრატიული ფენების წარმომადგენელ მონადირეებს.

მეც მერგო წილად დავსწრებოდი მყვირალობას.

... ისევ ნაძვის ძირში გაფენილ წამოსასხამზე ვზივარ. სულგანაბული ყურს ვუგდებ, თუ რა უნდა მოხდეს ამის შემდეგ, მაგრამ დახეთ, სიჩუმე ჩამოვარდა, ტყე კვლავ დუმს, „არსაით ხმა, არსით ძახილი!“ ნელა ვდგები, წამოსასხამს მხარზე ვიკიდებ, მივდივარ უხმაუროდ, ფეხაკრეფით, მეში-



ნია, ფოთოლმა არ გაიფაჩუნოს, ფიჩხი არ გავტეხო და არ გავამუღავნო ჩემი აქ ყოფნა... თორემ ყველაფერი ჩათვალითავა შება...

ისევ ყვირილი, საოცარი, საშინელი, ამაზრზენი, თანაც წარმტაცი. ადგილზე ვჩერდები, ხეს ვეფარები სულგანაბული, გული საოცრად მიძვერს. ვგრძნობ ლიკანის მხრიდან ყვირილით მოდის ხარირემი, იმასაც ვგრძნობ, რომ ის ძალიან ჩქარა მოიწეოს, თანდათან მიახლოვდება.

„ისე როგორ უნდა ჩამიაროს, რომ თვალი ვერ მოვერა! არა, ეს შეუძლებელია! ვნახავ, უსათუოდ!.. აი, აქეთ, ჩემკენ მოდის!..“ — ვფიქრობ და გული ამოვარდნას აპირებს.

ყვირილი სულ მოახლოვდა... ის უკვე ასიოდე ნაბიჯზეა! და აი, ჩემს წინ გადაშლილ, მთვარის შუქზე განათებულ ხეობის ვიწრო ფერდობზე გამოჩნდა დატოტვილრქებიანი ტყის ეს ულამაზესი ქმნილება. უცებ ჩერდება, თავს მაღლა სწევს, ყურებდაცემილი აქეთ-იქით იცეირება, ხელახლა ტყის ჭურლმულში გადასავარდნად გამზადებული.

მე კი გაოცებული შევცემერი მას. შევცემერი და სადღაც გულის სიღრმეში ჩუმად ვეკითხები ჩემს თავს:

„ნუთუ ეს არის! ნუთუ სინამდვილეა და არა ზღაპარი!“

ირემი ისევ იმავე უცვლელ პოზაში დგას: თავაწეული, გაოცებული. უცებ დაიყვირა ისეთი მჟექარე ხმით, რომ თითქოს სმენა წამერთვა. მყაფიოდ მესმის მისი ხანდაზმული, ძლიერი ამოსუნთქვა. აშკარად ვხედავ, რომ ყოველ ამოსუნთქვაზე ფერდები საოცრად ებერება და ნესტოებიდან თითქოს ორუბლის ბოლქვები ვარდება. სულ ახლოს ვარ მისგან, უდიდეს სიამოვნებას ვეძლევი, ენეტარებ ამ ჯერ არნახული სურათით. ირემი კი ბაიბურში არაა, რა იცის, რომ ასე ახლოს ვარ ჩასაფრებული. ო, რომ იცოდეს, როგორ შეეშინდება, როგორი სისწრაფით მოწყდება ადგილიდან! მაგრამ მყვირალობის ექსტაზში მოსულს, არაფერი ესმის...

მცირე ხანს ასე დგას, მერე ძირს ხრის დატოტვილ რქიან თავს, მიწას თუ ბალახს სუნავს, ჩლიქებს ურტყამს...

და აი, კვლავ სწევს თავს მაღლა, შორს იხედება, იწყებს ყვირილს: ამჯერად ისე მჟექარე ხმით, რომ ყური მიბუუის.

უცებ შეწყვიტა ყვირილი, ელვის სისწრაფით ადგილიდან /  
მოწყდა და ეს ზღაპრული მოჩვენება თვალსა და ხელში მიგვინავა  
ჰქონდა.

იქნებ ნიავმა მიიტანა მის ნესტოებამდე ადამიანის სუნი  
და აგრძნობინა მოახლოებული ხიფათი? იქნებ მისმა მახვი-  
ლმა თვალებმა შემნიშნეს და ამიტომ გაპქრა? ვინ იცის!

გაოგნებული ვდგავარ ერთ ადგილს, ხმას ვერ ვიღებ,  
მესმის მხოლოდ ხან ჩლიქების სწრაფი დარტყმის ხმა, ხან კი  
ფიჩხის ლაწალუწი.

შორს კი, შორს, ნაკრძალის ყოველი კუთხიდან ისმის ყვი-  
რილი, მაგრამ უკვე აღარ მაინტერესებს, რადგან სულ ახლა-  
ხან თვალშინ მედგა ცოცხალი, მყვირალი ხარირები!

ნელი ნაბიჯებით გარს ვუვლი ჩემს უბანს; მესმის ტყის  
სილრმეში, ხეობებსა და ფერდობებზე კვლავ შეუნელებლად  
გრძელდება ეს უცნაური სერენადები. მთვარე კი ისევ ვერ-  
ცხლისფერ შუქს ღვრის დედამიწაზე. მთელი არემარე გაკაშ-  
კაშებულია...

ბევრი ვიხეტიალე, საცაა განთიადიც მოადგება ცის კი-  
დეს. ბადრი მთვარე დასავლეთით გადაიხარა. მყუდროებაა.  
თვალშეუდგამი ხეები გარინდებულან, ღამის განმავლობაში  
აფორიაქებული ტყე განაგრძობს საგანთიადო ძილს...

მივდივარ მონადირეთა სახლისაკენ, ისე მივყვები უდა-  
ბური ტყის ვიწრო ბილიკებს, თითქოს ზმანებათა ჭადოქრუ-  
ლი ზღაპრული სამყაროდან ვიყო გამოსული...

## „ქორბუდას“ გადარჩენა



ბორჯომის ხეობის ნაკრძალ  
ტყეებში შუა სექტემბრიდან  
იწყება ირმების მყვირალობა.

არავინ ემუქრება მათ ტყვით  
მთელი სიცოცხლის ყველაზე  
უფრო ბეღნიერების უამს —  
ქორწინების დღეებში.

ასე არ იყო რევოლუციამდე:  
მაშინ ირმის მყვირალობაზე  
ბორჯომს ეწვეოდნენ „მაღალ-  
კეთილშობილი“ მონაღირეები

და დიდი მთავრის — ბორჯომის სანახების მაშინდელი მფლო-  
ბელის — მეგობრები. ღამის განმავლობაში ამ დროს ხო-  
ცავდნენ რამდენიმე მყვირალ ხარირებს.

მე მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ერთმა ტყის-  
მცველმა ასეთი ნაღირობის დროს სიკვდილს გადაარჩინა  
უზარმაზარი ხარირები, რომელსაც განსაცვიფრებლად დიდი  
და მრავალნაყარი ჩერები ჰქონდა. ამ ირემს თვითეული მცვე-  
ლი იცნობდა და მას „ქორბუდას“<sup>1</sup> ეძახდნენ.

ეს 1915 თუ 1916 წლის სექტემბრის ბოლოს მოხდა. თბი-  
ლისიდან ბორჯომს ჩამოვიდა მეფის ნაცვალის ადიუტანტი,  
ვილაც გერმანელი ბარონი. მან დაცვას მეფის ნაცვლის ბრძა-  
ნება წარუდგინა, რომ მიეცათ მისთვის გამყოლი და ნება  
დაერთოთ მყვირალობაზე სამი ხარირმის მოკვლისა.

სწორედ იმ ღამეს იყო გახურებული მყვირალობა. მყვი-

<sup>1</sup> „ქორბუდას“ ისეთ ხარირებს უწოდებენ, რომელსაც დიდი და მრა-  
ვალნაყარი ჩერები აქვს, ხოლო ორივე ჩერები ბოლოს სამი ნაყარი ისეთ  
სამთათს წარმოადგენს, რომ შეი თავისუფლად შეიძლება ქორის ბუდე  
მოთავსდეს. (ვ. ბ.)



რალობდა ირმების დიდი რაოდენობა, გაცილებით მეტობა მოვალეობისა  
დრე სხვა დროს. მაშინ ირმები დაუმფრთხალნი იყვნენ:

ბაღრი მთვარე დაპქაშკაშებდა ხეობას. ტყეში ისეთი ნა-  
თელი იდგა, თითქოს დღეაო. ბარონი კარგ ნადირობას  
ელოდა.

ნადირობის მშართველმა პატივსაცემ სტუმრის გამყოლად  
საუკეთესო ტყისმცველი — შაქრო აარჩია.

მონადირეები ცხენებზე შესხდნენ და მალე ახლანდელ  
შაქროს ბინაზე მივიღნენ. აქ მაშინ სანადირო ქოხი იდგა.

ბარონი ლაზათიანად დანაყრდა, კონიაკიც ხუხა, ალბათ,  
გასამხნევებლად და შაქროსთან ერთად სალამო ხანს სანადი-  
როდ გავიდა.

ირმები უკვე ყვირილს იწყებდნენ.

— იცით რა, მე მინდა კარგი, დიდი ხარირემი მოვკლა, —  
წაილაპარაკა ბარონმა. — წვრილმანი არ მაინტერესებს!

ამაზე შაქრომ უპასუხა, რომ ბარონს თვითონ შეუძლია  
აარჩიოს ირემი თავისი გემოვნების მიხედვით და, რომელიც  
მოეწონება, მას ესროლოს. შაქრო კი მხოლოდ უკვე დასრუ-  
ლებულ, დიდ ირმებს აჩვენებს.

გზას გაუდგნენ. ჩამავალმა მზემ წითლად შეღება დასავ-  
ლეთი. აღმოსაელეთით ამოვიდა ღამის გუშაგი, გაბადრული  
მთვარე და იქაურობას შუქი მოჰყინა. გასცდნენ თუ არა  
„როჭოების სარეკს“ და გორაკიდან თავქვე დაეშვნენ, ხეო-  
ბიდან მოისმა ყრუ, მაგრამ მრისხანე ამობლავილი. ეჭვს  
გარეშე იყო, რომ დიდი ხარირემი ყვიროდა.

— მიმიყვანეთ მასთან. — ჩასჩურჩულა შაქროს ბარონმა.

შაქრო, სარგებლობდა რა ირმის ყვირილის წუთებით,  
როგორც კატა, სწრაფი ნახტომებით უახლოვდებოდა მას.

ახმახ გერმანელს ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, წარამარა  
ბუჩქებსა და ხის ხმელ ტოტებს ეჩეხებოდა, ბორძიკობდა,  
მაგრამ დიდი გულმოღვინებით მისდევდა შაქროს და მხოლოდ  
ორიოდეჯერ წაილუღლულა:

— ძალიან ნუ ჩქარობთ... სული მეხუთება.

როდესაც ირემი გაჩუმდებოდა, მონადირეებიც ერთ ად-  
გილზე გაირინდებოდნენ.

ტყის ნაპირს მიაღწიეს. პატარა მინდორი გამოჩნდა. უპირველეს  
მოდიოდა ირემიც. იგი მონადირეებიდან ორასიოდე ნაკრძალ  
თუ იქნებოდა.

— აქ დადგენი, ხეს მოეფარეთ. — წასჩურჩულა გერმა-  
ნელს შაქრომ. — და, როდესაც ირემი მინდორზე გამოჩ-  
ნდება, ესროლეთ. — და თვითონ ერთ დიდ ხეს ამოეფარა.

გერმანელმა თოფი გამართა და მარცხენა მხარით ხეს  
მიეყრდნო.

პატარა მინდორზე, რომელიც მთვარის შუქით დღესავით  
იყო განათებული, ყველაფერი ნათლად ჩანდა.

აგერ გამოჩნდა ტყის ეს გასაოცარი სიმშვენიერე და გა-  
სმა მისი ძლიერი ხმა.

ბარონმა დაუმიზნა, მაგრამ თოფი მყისევ ძირს დაუშვა და  
შაქროს ხმამაღლა უთხრა:

— არა, ამას არ ვესვრი, რქები არ უვარვა, უფრო უკა-  
თესი მოვნახოთ.

იგრძნო რა ადამიანები, ირემი ორი ნახტომით გადაევლო  
მინდორს და ტყეს თავი შეაფარა.

კვლავ გზა განაგრძეს, ისევ ბილიქზე გავიდნენ. ირმების  
ყვირილს ყური დაუგდეს. სხვადასხვა ადგილზე და ძალიან  
ახლოც ათი სხვადასხვა ხმა ისმოდა.

— აი, ბატონო, ეს მგონი ძალიან კარგი ხარი უნდა  
იყოს. — უთხრა შაქრომ ბარონს.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, აბა მივუახლოვდეთ! —  
თქვა ბარონმა.

შაქრომ კვლავ დაიწყო მიპარვა, გადაზიოდა ხიდან ხემდე  
და თანდათან უახლოვდებოდა მყვირალ ირემს. შაქროს უკან  
მისდევდა გერმანელი, კვლავ ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა,  
კვლავ ბორძიკობდა. ბოლოს შეჩერდნენ. გადაწყვიტეს, აქ  
დალოდებოდნენ ირემს. ის კი გამუდმებული ყვირილით მო-  
დიოდა მათკენ.

შაქრო უკან და გვერდით ამოუდგა ბარონს, რომელმაც  
კვლავ მოიმარჯვა შტუცერი და სასროლად მოემზადა.

მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა ირემი, რამდენადაც  
უფრო მკაფიოდ ისმოდა მისი მრისხანე, ჭუხილის მსგავსი



ხმა, მით უფრო ჩწმუნდებოდა შეშფოთებული შაქრო რომ  
მათ ამ ადგილების ყველაზე უფრო დიდი, მძლავრიადილუაკა  
მაზი ირემი — „ქორბუდა“ უახლოვდებოდათ.

მის თავზე აღმართული იყო მთელი ბუჩქი ლამაზად ნა-  
ყარი რქებისა, რომელთა ბოლოში გვირგვინებით წამომდგა-  
რიყო ორი საბუდარი. ამ ტყეში არ იყო „ქორბუდაზე“ ულა-  
მაზესი, უძლიერესი და უდიდესი ხარირემი. ტყის ყველა  
მცველი იცნობდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას,  
მისი მოკვლის საშუალებას არ აძლევდნენ მამულის მფლო-  
ბელი მთავრის შვილსაც კი. და აი ვიღაც შემოხვევით მო-  
სულმა გერმანელმა ბარონმა, შაქროს თვალშინ უნდა ძირს  
დასცეს ბორჯომის ხეობის ეს მშვენება, უნდა წაიღოს მისი  
საუკეთესო რქები.

— ეს არ მოხდება! — გადაწყვიტა შაქრომ და ჭიბიდან  
დიდი თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ფეხქვეშ კი ფრთხილად  
ხის ხმელი ტოტი დაიღვა.

საიღბლოდ „ქორბუდა“ შეუმჩნევლად გამოჩნდა და იმ  
ადგილიდან კი არ გამოვიდა, საითაც ბარონის შემართული  
თოფის ტუჩი იყო მიშვერილი, არამედ სულ სხვა მხრიდან  
მოევლინა იგი მონადირებს. სანამ ბარონმა ირემი შენიშნა,  
სანამ შტუცერი გამოუმიზნა, შაქრომ მოასწრო ფეხქვეშ და-  
დებული ხის ხმელი ტოტისათვის ფეხი დაედგა. ტოტის გა-  
ტეხის ხმაზე ირემმა ყურები ცქვიტა, თვალი მოპერა შაქროს  
თეთრ ცხვირსახოცს, რომელსაც თავგამოდებით აქნევდა იგი,  
და თვალის დახამხამებაზე გაუჩინარდა.

შაქრომ შვებით ამოისუნთქა.

— ქორბუდა გადარჩა! დღეს იგი უკვე აღარ შეგვხდე-  
ბა! — გაიფიქრა მან.

— რაშია საქმე? რა მოხდა? რად გაქრა ასე უცბად ეს  
ულამაზესი ქმნილება? — ლუღლუღლებდა დაბნეული მონა-  
დირე.

— ალბათ თქვენ მეტად შესამჩნევად შემობრუნდით მის-  
კენ... და, მგონი, ფიჩხსაც დაადგით ფეხი. ირემი ხომ უფრ-  
თხილესი ნადირია და აი ისიც თვალის დახამხამებაზე ტყეს  
შეერია... არა უშავს რა, უფრო უკეთესს ვნახავთ, — დაამ-  
შვიდა შაქრომ აბეზარი სტუმარი.

მაგრამ ბარონს არ შეეძლო „ქორბუდას“ დავიწყებოდა უკანასკნელი სულ წყველა-კრულვით იხსენებდა ამ ამბავს.

— აი მესმის ირემი, ეს ნამდვილი ტყის მეფე იყო, აფსუს!..

მთელი ღამე იარეს ტყეში.

გამთენისას, როგორც იყო, შეხვედნენ ბარონისათვის მოსაწონ ხარირემს და ადგილზევე დააჩოქეს იგი.

მეორე ღამეს მან კიდევ ერთი ირემი მოკლა და ნაღირობაც ამით მოათავა....



## თოვლი

მზიანი და თბილი ამინდი დაიჭირა. სამხრეთის ნაზი და სამო ზამთრის პირი დადგა. თითქოს მძინარე მხეცები ღრიალით წამოიჭრენო. ხმაურობს ზღვა. შორიდან გამოქანებული ტალღები ერთმანეთს ეძალებიან, თავზე ახტებიან და საოცარი სიმძაფრით ეხეთქებიან ნაპირს. აქაფებული ტალღები სამო შრიალით უკუიცევიან და უფსერულში ინთქმებიან.

ბალებში ჰყვავიან თავხუჭუჭა ქრიზანთემები, ლურჯი პორტენზები, ფერად-ფერადი კამელიები, ირგვლივ წარმტაც სურნელებას აფრქვევენ პატარა ყვავილები, შესანიშნავი ტუბეროზები. ზამთრის წვრილმანი ყვავილები სუროსავით შებლანდულან კედლებზე, შემოპევევიან ხეებს. პალმები მთელი თავიანთი სიღიაღით არხევენ ჭრელ ფოთლებს ნიავის გამოჭროლებაზე.

ზღვისპირა ბალში მთელ დღეს ირევა ხალხი, ერთნი უსაქმობის, მეორენი ავადმყოფობის გამო. იმედი აქვთ, განიკურნებიან ავადმყოფობისაგან და ხარბად სუნთქავენ ზღვის ცუფთა ჰაერს.

ზამთრის სითბო ანებიერებს ყველას.

ჩვენ კი, მონადირეები, მოწყენილნი დავდივართ ამ მოალერსე და უშფოთველი ბუნების წიაღში. ჩვენ არ გვახარებს ზამთრის არც სითბო, არც მისი სინაზე, რადგანაც ის არ გვაშლევს უდიდესი სიამოვნების — ნაღირობის საშუალებას.



ტყის ქათმები მოშორდნენ ზღვისპირის სითბოს, მდებარეობა  
კენ წავიდნენ, ტენიან ტყეებს მიაშურეს. იხვები უთვალავ  
გუნდებად სხედან ზღვაზე. არ ც ერთი მათგანი არ ფიქრობს  
ჭაობისაკენ გადმოფრენას და ჭყუმპალაობას ლაქაშებით და-  
ფარულ ჰყანტობებსა და მდინარეებში. ზღვაზე საჭმელი  
თავზე საყარად ეშოვებათ! მაშ რილასთვის უნდა შეწუხდნენ?

ამ ხნის განმავლობაში, საღამოობით, ჩემი ერთგული ძალების, „რაშის“, თანხლებით, რამდენჯერ გავედი ქალაქება-რეთ, იხვებისათვის საყვარელ ჭაობებში. იხვების გადმოფ-რენის მოლოდინში ორი-სამი საათი ვდგავარ მუხლებამდე წყალში, მაგრამ ამაოდ. მზე უკვე დიდი ხანია ჩავიდა. მისი უკანასკნელი სხივიც კი ჩაქრა ჰორიზონტზე, ცის კიდეზე. აკიაფლნენ კაშკაშა ვარსკვლავები, იხვები მაინც არსად ჩანა...»

მხოლოდ მაშინ, როცა შინ მოებრუნდი, მესმის, რომ  
მაღლა, ძალიან მაღლა, ჰაერში ფრთების გაბმული შრიალით  
მიფრინავენ იხვები სადღაც შორს, ჩვენთვის უცნობ აღგი-  
ლებში. მე კი თოფის გაუსროლელად მოვაბოტებ შინისაკენ.  
ცუდ გუნებაზე ვარ, „რაშიც“ გაბრაზებულია, ქვეითი თვა-  
ლებით უქმაყოფილოდ ათვალიერებს გარემოს.

1

ნადირობა არაა, სამაგიეროდ არიან მეგობრები.

ეს მეგობრები გაერთიანებულნი არიან მონადირეთა ამ-ხანაგობაში „ჩვამა“. ისინი ხშირად თავს იყრიან სასადილოში, გაშლილი სუფრის გარშემო.

სუფრის ცნობილ ხელმძღვანელად და მთავარ ჩვამად  
ითვლება ძალზე ჩასუქებული, უაღრესად გულკეთილი ნიკო-  
ლოზ ვასილევიჩი, დედით აფხაზი, მამით რუსი. არაჩვეულებ-  
რივად მხიარული და მეგობრებისათვის საყვარელი იდა-  
მიანი.

— ძვირფასო „ჩვამებო“, აავსეთ ჭიქები, შევუდგეთ! — აცხადებს მთავარი „ჩვამა“. ჭიქებიც ერთიმეორებზე იცლება, იწყება ტკბილი საუზმე... მერე გადავდივართ საქმიან საუბარზე. ჩამოვარდნილი დავა უთუოთ დირხანს გაგრძელ-



დებოლა, მაგრამ ნიკოლოზ ვასილევიჩმა ტქბილი ხმით სიმაგრე  
ლერა წამოიწყო. ჩვენც უმაღვე სიმღერაზე გადავდივართ...

მთავრდება სიმღერა. იწყება წმინდა მონადირული საუ-  
ბარი. ადგენენ სანადიროდ წასვლის გეგმებს. არის მოსაზრე-  
ბა, წავიდეთ შორს, სამურზაყანოში, ხობებზე ან მთისძირის  
ტყეებში გარეულ ღორებზე. ყოველი ჩვენგანი თავის მოსაზ-  
რებას აყენებს, იწყება დავა, ხმამალლა მსჯელობა. გაცხარე-  
ბულ ლაპარაკში უცებ გაისმა:

— მე კი წინადაღება შემომაქვს, ღორებზე სანადიროდ  
წავიდეთ „წყვილი მდინარის“ პირას. აი, მესმის სანადირო  
ადგილი! თუ საღმე ღორია, სწორედ იქ არის! — განაცხადა  
ჩვეულებრივად სიტყვაძვირმა, ტანმორჩილმა რაველმა სი-  
მონიკამ, უხუცესმა „ჩვამამ“. ეს იყო ჭალარა წვერულვაშია-  
ნი, ნახშირივით შავი და მკვირცხლოთვალება კაცი.

— ბევრს დაკოცავთ საღლესასწაულოდ! შორსაც არაა,  
აქეთა! ღორი კი მართლა ბევრია! — კვლავ განაგრძობდა იგი  
თავისი მოსაზრების დასაბუთებას.

ახლა საერთო ლაპარაკი ჩამოვარდა „წყვილ მდინარეზე“.  
სერიოზულად დაიწყეს მსჯელობა ღორებით მდიდარ ამ ად-  
გილებში სანადიროდ წასვლაზე.

გადაწყდა წასვლა.

\*

გაშლილ სუფრაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ,  
როცა საქმე წასვლაზე მიღვა, სხვადასხვა მიზეზით ბევრმა  
თავი შეიქავა. მიუხედავად ამისა, მსურველები მაინც საკ-  
მაოდ აღმოჩნდნენ. ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელშიც შევი-  
დნენ: სიმონიკა, ივან ანდრეევიჩი, მე და კიდევ ექვსი სხვა  
მონადირე. ჩემი მეგობარი, ივან ანდრეევიჩი, შესანიშნავი,  
გამოცდილი მონადირე, ნადირის ქვალის სწორუპოვარი გა-  
მომცნობი, მთამსვლელი, განსაკუთრებით ღორისა და დათვის  
ჩვევების შესანიშნავი მცოდნე იყო. ახალგაზრდობაში, თურ-  
მე, ქურდულად ნადირობდა მეფის ბელოვეჟის ნაკრძალში,  
ამიტომაც იყო გადმოსახლებული საქართველოში.

ყველაფერი მზად იყო. ჩვენი საერთო მეგობრის, სიმო-

ნიკას, ძალებიდან ორი წყვილი მდევარი, რომელიც კაზ-  
გად დაგეშილნი იყვნენ ღორებზე, მოუთმენლად ეჭრუნდა  
გამგზავრებას.

ოც დეკემბერს, განთიადისას გავედით სოხუმიდან.

ჩეენი მძიმე ტვირთი ორ ცხენს აკეთდეთ.

ამ ტვირთში იყო განიერი ბრეზენტი, ავდრის შემთხვე-  
ვაში კარავის მოსაწყობად, ქვაბი, ჭურჭელი, თბილი საბნები  
ტყეში ლამის გასათევად, პური და სხვადასხვა სურსათი.  
ჩვენმა საერთო მეგობარმა, საზოგადოება „ჩვამას“ წევრმა,  
მეთუთუნე დიმიტრიადიმ გამოვაყოლა დარაჯი, მოხუცი მო-  
ნადირე გიორგი, რომელსაც ცხენების მოვლა მიანდეს.

ჩვენს ჯგუფში სულ ათი კაცი იყო: სიმონიკა, ივან ანდ-  
რევიჩი, მე, ქალაქის საავადმყოფოს ექიმი, მოსკოველი ვა-  
სილიევი — დიმიტრიადის სიძე, ბერძენი ჩოლაკისი, ახალ-  
გაზრდა ბალტიელი სივერსი, სამოქალაქო სასწავლებლის მას-  
წავლებელი ნევტონვი, ანდრეევი, დარაჯი გორგი და მდევ-  
რების გამყოლი პეტრო.

პეტროს გარდა ყველანი ცხენებით მიედივართ.

მზე ჯერ კიდევ არ ჩანს მთების მწვერვალზე. ცივა. გზა  
და ბალახი ლურჯად მოჭირხლულია. ცხენები ისე სუნთქა-  
ვენ, რომ ნესტოებიდან ორთქლის ბოლქვები ვარდებათ.  
ნაბდებს ვიხვევთ. მალე ავდივართ „ტრაპეციის“ მთაზე. ლა-  
პარაკის თავი არა გვაქვს.. ტაატით ვირწევით უნაგირზე.  
ვფიქრობთ მხოლოდ ნადირობაზე, ღორებზე, მარჯვე სრო-  
ლაზე, მდიდარ ნადავლზე. აღმართს შევუდექით. მივყვებით  
ქვებით მოხერგილ გზას, სოფელ ანდრეევკაში ვჩერდებით,  
ვსაუზმობთ, კვლავ განვაგრძობთ გზას.

ხშირი, ბნელი ტყე მთავრდება ხეობასთან, რომლის სიღრ-  
მეში ვერცხლისფერ ზოლად ბრჭყვიალებს მდინარე გუმისთა.  
ვიწრო ბილიკი თასმასავით აჰყოლია თვალშეუდგამ კლდეებს  
და მიემართება მაღლა, სულ მაღლა ციცაბოებზე. ცხენმა  
რომ ერთი წაიფორხილოს, თავქვე გადაეშვები, ხელს ვერა-  
ფერს წაატან, ისე გადაიჩეხები უძირო ხრამში. მთიან აღვი-  
ლებში მოხერხებულად სიარულს ნაჩვევი ცხენები ფლოქვე-  
ბით ეჭიდებიან ბილიკის ქვებს, ისე ფრთხილად მიაბიჯებენ,  
რომ მოსალოდნელ საფრთხეზე არავინ ფიქრობს.

ბილიკი მაღალ კლდის თავზე დამთავრდა. ამას წერი /  
იწყება წიფლის ხშირი ტყე, ბილიკიც ფართოვდება, ისრმისაც  
დევს ოღონიშოღონებს, ხეობებსა და ხეებუვებს, რომლებ-  
შიც რიყის ქვებითა და გამხმარი ტოტებით ამოვსებული  
ლელები მირაკრაკებენ. ირგვლივ ფერდობები შემოსილია  
დეკისა და წყავის ბუჩქებით, მაღლა ატყორცნილან წიფლის  
ხეები.

წამოვეწიეთ პეტროსა და მდევრებს, რომლებიც მოუთ-  
მენლად მიიწევენ ტყისაკენ. ძალებს ძლიეს ვაკავებო, რად-  
გან გრძნობენ ღორების სიახლოეს, რომლებიც შესაძლოა  
ათიოდე ნაბიჯზეც კი წვანან წყავის ბუჩქებში. ალბათ წინა-  
ლამით ძალზე გამაძლარი ღორები არც კი გრძნობენ, თუ რა  
სიურპრიზს უმზადებენ მათ სოხუმელი მონადირეები.

— კარგი ადგილებია! — წვრილი ხმით გადმომძახის ივან  
ანდრეევიჩი. — იცი რა გითხრა, მე უკვე ვგრძნობ ღორების  
სუნს, — განაგრძობს იგი და ცხვირით ჰაერს ყნოსავს, —  
თქვენ ვერა გრძნობთ? სოკოების თუ სინესტის სუნი ასდიო!  
აბა, შეიყნოსეთ!..

დაძაბულად ვყნოსავ. მართლაც, ვგრძნობ რაღაც განსა-  
კუთრებულ სუნს, მხოლოდ ვერ ვარჩევ რისია: დამპალი სო-  
კოსი, თუ სველი ტყავისა. არ ვიცი რისია, მაგრამ ერთს  
მაინც ცხადად ვგრძნობ: ეს სუნი რაღაც თავისებურია,  
მწკლარტე. მას შემდეგ, ნაღირობისას, არაერთხელ მიგრძნია  
ეს სუნი ტყეში და, ჩვეულებრივად, ძალიან მაღლე თავზე  
წავდგომივარ ღორებს.

ორიოდე საათს მივდიოდით ტყის მიხეეულ-მოხვეული  
ბილიკით, ბოლოს მივედით იმ ადგილას, სადაც გუმისთას  
ხეობის სიღრმეში ჩასასვლელი დაღმართი იწყებოდა. განიე-  
რი, სრულიად სწორი გზა თანდათან მრეცად ეშვებოდა ქვე-  
მოთ. ის წარმოადგენდა ნამდვილ ჩრდილოვან ხეივანს, რო-  
მელზეც სიარული დიდად სასიამოვნო იყო.

ჩვენ უკვე იმ ადგილას ვართ, სადაც მდინარე გუმისთა  
ორად იყოფა. ხეობა განივრად იშლება, აქ უერთდება ერთ-  
მანეთს მთის ორი მდინარე, ორი გუმისთა.

ანკარა წყალი ხმაურით გადარბის ღოდიდან ღოდზე,

ტლაშუნით ეხეთქება ქვებს, ქაფლება, გვერდს უვლის. ნამ  
პირზე გადმომდგარ კლდეებს, ირგვლივ ეშხეფება ბროლები /  
წინწკლებად დაფრქვეული.

მდინარის ნაპირის განიერი ზოლი დაფარულია მარალ-მწვანე ბუჩქებით. იმის იქით თანდათან მაღლა მიიწევს ტყე, რომელიც ყოველი მხრით გარს არტყია ხეობას.

ეს არის ჩვენი სანადირო ადგილი.

გუმისთაზე გადავდივართ ფონით. საბანაკო აღვილი უკვე შევარჩიეთ. ცხენებს ტვირთი მოვხსენით. ტოტებისაგან დიდი კარავი გავაყეოთ, ბრეზენტით გადავხურდეთ. ვჭრით წყავის მოქნილ, შეფოთლილ ტოტებს, ვაქუჩებთ გამხმარ ფოთლებს, ბალახს, რომლისაგანაც საწოლს ვამზადებთ, ზედ ნაბდებთა და საბნებს ვაფარებთ.

ნადირობის დაწყება უკვე გვიანია — დღის ოთხი საათია. საქმე ისედაც ბევრი გვაქვს, თან დალლილები ვართ. ესეც არ იყოს, საჩქარო არაფერია: ირკვევა, რომ აქ ცხენებისათვის ბალახი არ მოიპოვება. რა უნდა ვქნათ? მშიერი ცხენების დატოვება არ შეიძლება. გადავწყვიტეთ, ისინი გავრცელოთ სოფელში, სადაც თივაც იშოვება და ქერიც. ამავე დროს, მხოლოდ ახლა გამოიჩინა, რომ პურიც ისე ცოტა წამოგვილია, რომ ხვალიმდე ძლიერს გვეყოფა.

ცხენებს გიორგისა და პეტროს ვატანთ. საჩქაროდ ვუმზადებთ საუზმეს, ფულსაც ვაძლევთ.

ଶେରିଟ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଦୀଳିତ ଉନ୍ଦରା ଦାଢ଼ରୁଣ୍ଡେସ, ତାଙ୍କ ପୁରୋତ ଉନ୍ଦରା  
ହାମୋରୁବାନ୍ସ, ମେସାମ୍ର ଲେସ କି ଗିରିରୁ ହାମୋଯୁଗାନ୍ସ ପ୍ରେରେବ  
ଏବଂ ଉପାନ ଦାଢ଼ରୁଣ୍ଡେବିତ, ହାଲୁବାନ୍ତ ଗାଲାଶ୍ରୁତିଲୋ ଗୋଟିଥ,  
ମେନଲୋଲ ଏହି ଲେସ ଜିନାଫିରିତ.

1

გიორგი და პეტრო წავიდნენ. ცეცხლი გავაჩალეთ და თან წამოლებული ხორცის მწვადების დამზადებას შეკუდექით.

ძალაგამოლეული მზე ჩქარა მიეფარა ირგვლივ წამომდგარ მშვერვალებს. ბინდი შოახლოვდა, ცას ტყვიისფერი ლრუბლები გადაეფარა. იმასობაში მშვადებიც შევწყით და გემრიელად შევექეცით.

რა თქმა უნდა, ჩვენი სუფრა არ პგავდა სოხუმი<sup>ზოგადი</sup>  
მშერმეტყველი იანკოს სუფრას, მაგრამ იმ მდუმარებლათ  
ცულ ტყეში, ბუნების წილში, ისე მადიანად შევეძეცით  
ჩვენს მოქრძალებულ საჭმელს, რომ ქალაქში ისეთს ვერასო-  
დეს მოაწყობს ადამიანი. იქ, ტყეში, ყოველ ჭიქა არაყს გან-  
საკუთრებული თავმომწონებითა და სიამოვნებით ესვამდით.  
ვსაუბრობდით მხოლოდ ნადირობაზე და ორი დღის გეგმაც  
დაწვრილებით შევადგინეთ. გარითვალისწინეთ: საით უნდა  
წავსულიყავით, სად უნდა გავჩერებულიყავით, ვის და რო-  
მელ რიგში უნდა წაეყვანა ძალლები, როდის აგვეტეხა ყიუინა.

### დაბნელდა.

კარავში მქრქალად ბჟუტავს ფარანი. გამძლარი მდევრები  
გაშოტილან, ტკბილად სძინავთ, ხანგამოშვებით შეტოკდებიან  
მხოლოდ და თაოებს გააქანებენ. ძალლები უთუოდ ხედავენ  
თავიანთ მონადირულ სიზმარს. ვახშამი მოვათავეთ, ლოგი-  
ნები გავშალეთ და დაეწექით.

მონადირეთა ბანაკმა ჩაიძინა.

\*

— იდექით! — განთიადისას ხმამალლა დაიყვირა ივან  
ანდრეევიჩმა.

ჩვენც სწრაფად წამოვიშალენით.

ირგვლივ ყველაფერს თოვლის თეთრი სუდარა გადაჰქე-  
ნია. განუშვეტლივ მოდის მშრალი, წვრილი თოვლი. ცას  
რუხი ფერი გადაჟერია, თითქოს ძირს ჩამოწეულა.

— ნამდვილი სანადირო ამინდია! — ამბობს სიმონიკა. —  
ძალლები კარგად იმუშავებენ, კვალიც ნათლად ჩანს. ჩქარა,  
წავიდეთ.

სახელდახელოდ ვისაუზეთ, თითო ჭიქა არაყიც გადავ-  
კარით. თოფებს ხელი დავავლეთ და გარეთ გამოვედით.

ხყოთ მონადირე ჩასაფრდა, სამი კი ძალლებითურთ მოსა-  
რეკად წავიდა.

გავუშვით თუ არა მდევრები, უმალვე წვრილი ხმით ყეფა  
ატეხა „ფლეიტამ“, მას უპასუხა ბოხმა ხმამ. მალე ძალლების

კონცერტმა მთელი ტყე გააყრუა, რაც აგრე ახარებს და მხია-  
რულ გუნებაზე აყენებს მონადირეებს.



საქართველოს

მინისტრის

მეძებრებმა ღორები სწრაფად გარეკეს მთებისკენ, სადაც  
ჩასაფრებული იყვნენ მონადირეები. გაისმა სროლა: — ერ-  
თი, ორი; მერე ზედიზედ რამდენიმემ ერთად დაიგრიალა, და,  
ის იყო, ყეფაც შეწყდა.

ტყეში კვლავ სიწყნარე დამკვიდრდა. ხიდან ხეზე ფიცხი  
ჭაბჭაბით დაფრინავდნენ მხოლოდ შაშვები და გაბმული არა-  
სასიამოვნო ხმით ჩხაოდენ ჩხიკვები.

სიმონიკას ლოყები გამოებერა, ბუკის დაკვრით მოუხ-  
მობდა მდევრებს; ისინიც თითო-თითოდ მორბოლნენ და  
გარს ეხვეოდნენ. ჩვენ შორის მხოლოდ სიმონიკა უკრავდა  
ბუკს. იგი დიდი სტატობითა და სიმოვნებით ასრულებდა  
ამას.

სიმონიკასაგან ორმოციოდე ნაბიჯზე ეგდო შის მიერ მოკ-  
ლული ექვსფუთიანი ღორი. ერთი გოჭი სივერსმაც მოჰკლა,  
ვასილიევმა ორჯერ ესროლა დიდ ტახს და ორჯერვე დაა-  
ცილა.

— მოგვილოცავს, ამხანაგებო! — მოახლოების უმალვა  
მხიარულად შევძახეთ მონადირეებს. ისინიც მეტად კმაყო-  
ფილნი იყვნენ.

გოჭი ჩქარა მოათრიეს და ღორთან დააგდეს, ნაწლავები  
გამოაცალეს, ხეზე დაკიდეს, რომ ნადირი არ მიჰკარებოდა. სიმონიკამ კვლავ დაპკრა ბუკი, მეძებრები აიყოლია და გავს-  
წიეთ წინ.

მცირე მორეკვა გავაკეთეთ, კვლავ ავაგდეთ ღორები, ტყე  
კვლავ შეარყია სროლის გრიალმა, მაგრამ ამჯერად საქმე  
უშედეგოდ დამთავრდა. ყველამ დააცილა, ღორები გაძვრნენ  
მომრეკთა მხრიდან და მიიმალნენ.

— ცუდად ისურით, მეგობრებო! — აეტორიტეტულად  
განაცხადა ივან ანდრეევიჩმა. — უკეთ უნდა დავუმიზნოთ,  
თორემ გამოდის, რომ ტყუილუბრალოდ ვერეკებით ღორებს.

მონადირეები თავს იმართლებენ, ირწმუნებიან: ბუჩქებში  
გაქცეულ ღორებს ვესროლეთ, თოვლი თვალებს გვივსებდა  
და ზუსტად დამიზნება მოუხერხებელი გახდაო.

ამ დროს თოვა მართლა საოცრად გაძლიერდა. 

ერთგან დაებანაკლით, შევისვენეთ, ვისაუზმეთ დაუკლელავა გავუდექით გზას, ახალ ადგილებისაკენ გავეშურეთ. ჩვენი ვარაუდით ღორები იქ გაიკრიფნენ.

დღის ორი საათი იქნებოდა, ოცა. მე და ივან ანდრეე-ვიჩმა წამოვაგორეთ თითო ღორი. მისი ღორი რვა ფუთი იქნებოდა, ჩემი კი — დახლოებით ხუთ ფუთამდე.

საშინლად მოვიქანცეთ. თოვლი გვალიზიანებდა, მართლა ხელს გვიშლიდა სროლაში, ფეხსაცმელები და შარვალი და-გვისველდა, ძალლები შეიუჩდნენ. გადავწყვიტეთ, იმ დღეს ამით დაგვემთავრებინა ნადირობა. დაგბრუნდით, ღორებიც ბანაკში მოვათრიეთ, მერე ნედლი შეშა და ტოტები მოვაგ-როვეთ და ცეცხლი გავაჩალეთ. აცივდა, ეტყობოდა, ღამით უფრო იმატებდა. ჩვენ კი სათბურები იმდენი არ წამოგვი-ლია, რადგან ვერ გავითვალისწინეთ, თუ ასე მკვეთრად შეი-ცვლებოდა ამინდი.

ბოლოს საქმეები მოვათავეთ, სველი ტანსაცმელი და ფეხ-საცმელი გავაშრეთ, თოფები გავწმინდეთ, ძალლები გავაძ-ლეთ და, თვითონაც საშინლად მოშიებულნი, ვახშმად დავჭე-ქით. ვისაც ნადირობის ღროს მოკლული გარეული ღორის ღვიძლის, ჭაჭებისა და გულის მწვალები არ უჭამია, იგი ვერ წარმოიდგენს, თუ რა გემრიელი საჭმელია ეს. ნადირობისას სწორედ ამით იწყება ჭამა და, რა თქმა უნდა, ჩვენც ამ ტრადიციას არ უუღალატეთ.

წვეროსანი სიმონიკას ხელმძღვანელობით ესვამდით ერთ-მანეთის სადღეგრძელოს და არაყს ვაყოლებდით შესანიშნავ მწვადს, ვარჩევდით ცალქეული მონადირის წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზებს, ძალლების მუშაობის შედეგებს, ვოცნებობდით მეორე დღის ნადირობაზე. იმდი გვქონდა უფრო მეტი წარმატებით ჩავატარებდით მას.

საღამოს თოვა გადაიღო, მაგრამ ვარსკვლავები მაინც არ ჩანდა. ირგვლივ დაურღვეველი მყუდროება დამკვიდრდა.

კოცონს ბევრი შეშა მივაყარეთ, რაც კი გვქონდა წალე-ბული, ყველაფერი ზედ დავიხურეთ და დავიძინეთ.



დილით არასასიამოვნო მოულოდნელი აშშის მოწმენი გამოცხადა  
ხდით: მუხლებამდე თოვლი იდო, ღამე განუშევეტლივ ქურ-  
ვია. კიდევ თოვდა და თოვდა.

ღრმა თოვლში უთხილამუროდ სიარული თითქმის შეუძლებელი იყო, ნადირობა კი ყოვლად წარმოუდგენელი. საშინლად დაღონებულნი ვართ, ვზივართ კარავში, დავაგუგუნეთ ცეცხლი, ვსვამთ ჩაის და პურის უკანასკნელ ნაჭრებს ვხრავთ.

მოუთმენლად გაეცემოთ იმ მხარეს, სადაც ღრმა თოვლის ქვეშ დაფარული ბილიკი გვეგულება. ველოდებით პეტროს გამოჩენას, რომელმაც პური უნდა მოგვიტანოს, მაგრამ პეტრო არ ჩანს, თოვა კი გრძელდება, სულ უფრო თოვს და თოვს.

— ჯანდაბას მისი თავი, ასე რატომ იგვიანებს?! — წარმოთქვა მოუთმენელმა სივერსმა. — ნაბრძანები პქონდა, რაც შეიძლება ადრე მოსულიყო, უკვე ათი საათია და მაინც არ ჩანს!

— საეჭვოა, რომ დღეს ამოაღწიოს! — მიუგო ივან ანდრეევიჩმა, — ბრძანება რას შველის, როცა ბილიკი ღრმა თოვლმა დაფარა და გავლა შეუძლებელია. დაგავიშუდათ გუმისთას ნაპირზე როგორი ვიწრო ბილიკებია გამოსავლელი?! იქ გიჟიც ვერ გაბედავს გავლას, ისიც ცხენით... არც ერთი ჰერიანი ადამიანი არ იკისრებს ახლა ამას. უნდა დაიცადოს. გამოიდარებს, თოვლი ცოტა გადნება, იქნებ შზემაც გამოიხდოს, მაშინ იქნებ გამოაღწიონ... ჯერჯერობით კი უნდა მოვითმინოთ და ველოდოთ.

— პურზე რა ვქნათ? ნაჭერიც კი არ დაგვრჩია! — ჩაერია ექიმი. — უპურობა ცუდი საქმეა!

— ვინ არ იცის, რომ უპურობა ცუდი საქმეა, მაგრამ აბა, რას იზამ... ამაზე სოხუმში უნდა გვეფიქრა, მეტი უნდა წამოგველო, ახლა უქვე გვიანაა ამაზე ლაპარაკი! არა უშავს რა, შიმშილით არ მოვკვდებით, კარტოფილი გვაქვს, იოლად გავალთ! — ანუგეშა სიმონიკამ ვასილიევი.

ხელმძღვანელის სიტყვებმა მაინც სასურველი გავლენა

უერ მოახდინა. ყველას კარგად ესმოდა: მიუხედავად იმისა, რომ ხორცისა და კარტოფილის საკმაო მარაგი უკარგებდა, უპუროდ მაინც ძნელი იყო ჯდომა და ლოდინი. ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო რამდენიმე დღეს, თუ მზე არ გამოჩნდებოდა და ღრმა თოვლს არ გაადნობდა. უცებ თოვა შეწყდა, ცაც თანდათან მოიწმინდა და გადაისარეა, მაგრამ ჩვენი სიხარული ხანმოქლე აღმოჩნდა.

ერთი საათის შემდეგ ცა დამუქდა, კვლავ ახალი ძალით დაიწყო თოვა; საოცარი სისწრაფით ბარდნიდა. ამ მოულოდნელი უსიამოენების გამო, მოწყენილი და გაბრაზებული ვისხედით კარავში. ნალვლიანად შევცქეროდით ხელისგულისოდენა თოვლის ფანტელების თამაშს, მათ გულმშეიდად ცვენას მიწაზე; ის თანდათან ამაღლებდა თოვლას იმ საპყრობილის კედელს, რომელშიც მოულოდნელად მოვყევით.

მთელ დღეს უბრად მყოფი ადამიანებივით შეეცქეროდით ერთმანეთს; ხმა არ ამოგვილია, ვისხედით და თამბაქოს ვაბოლებდით. ზოგი შეშას ეზიდებოდა, ზოგი საწოლში იწვა, თავზე საბანწაფარებული.

უპუროდ ვისადილეთ, თითქოს გავძეხით, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვიყავით, მშიგრებად ვგრძნობდით თავს. ბევრმა ჩვენგანმა იმ დღეს პირველად გაიგო, თუ რას ნიშნავს ბური ადამიანისათვის, რა გაჭირვებას განიცდის ლუქმაპურს მოკლებული ადამიანი.

პეტროს უკვე აღარ ველოდებოდით. ახალ საგონებელში ჩავარდით. ვფიქრობდით იმაზე, თუ რა დაგვემართებოდა ხვალ, როგორ უნდა გამოვსულიყავით ამ ტრაგიკული მდგომარეობიდან. ნადირობა შეუძლებელი იყო, სტიქიის კლანჭებში უმოქმედოდ ჯდომა მონადირებისათვის უაზრობა და შეუფერებელი იყო. თოვა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ისე, რომ ბილიკის ნასახიც დაეფარა და ტყიდან თავიც ველარ გამოგველწია. ვიღაცამ წინადაღება შემოიტანა, ხვალ დილით, განთიადისას, ყველა მძიმე ნივთი დაგვეყარა, მარტო თოვფი აგველო ხელში, გზას გავდგომოდით და სოფელ ანდრევკაში გავსულიყავით. იქამდე ოციოდე კილომეტრი იქნებოდა. ჩვენი ვარაუდით ეს მანძილი შეიძლებოდა ათ-თორშეტ საათში გაგვევლო. დატოვებული ნივთებისა და ლორების



წამოსაღებად ცხენები უნდა გამოგვეგზავნა, თუ მზე გამოწერა გვიშავთ და დებოდა, თოვლი მოღნებოდა და ბილიკი გაიშმინდებოდა.

ამაზე შევთანხმდით. იმედი გვქონდა მეორე დღეს თოვას გადაიღებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გუმისთას ნაპირების მაღალი კლდეების ბილიკებით სიარული მეტად სახიფათო იყო, შეიძლებოდა რომელიმე ჩვენგანი გადაჩეხილიყო და დაღუპულიყო.

ამ გადაწყვეტილებამ ყველა დააშოშმინა, ნერვები დაგვიმშვიდდა, ვივახშმეო და დაეწექით. მაინც არ დამეძინა, წარამარა განთებდი ასანთს, ვეწეოდი თამბაქოს. ისევ მოუსევნარ ფიქრში ვიყავი გართული.

„ხვალ მივაღწევთ თუ არა ანდრეევკამდე? ხომ არ გადაიჩეხება რომელიმე ჩვენგანი? რა საოცარი, ენით გამოუთქმელი მიღრეკილება, რა უაზრო გართობის სურვილი ერეკება ადამიანს ოჯახურ, მშვიდობიან, მყუდრო ცხოვრებიდან? რა სურვილის ძალის მიჰყავს იგი ასეთ ყინვასა და სიცივეში, ციებ-ცხელებიან ჭაობებში, მთების მაღალ მწვერვალებსა და ხრამებში? რატომ არ ეშინია, როცა ასეთ სახიფათო მდგომარეობაში იგდებს თავს?“

ასეთ ფიქრებში დიღხანს ვიტრიალე, ბოლოს, როგორც იყო, ჩამეძინა.

მეორე დილით აღრე გამოგველვიდა.

მტრედისფერ ცაზე კაშკაშებდა ცისკრის ვარსკვლავი. სხვა ვარსკვლავები უკვე ქრებოდნენ. აღმოსავლეთით, მთების მაღალ მწვერვალების გაყოლებით, შორეულ ცის კიდეზე შუქის ზოლი ეფინებოდა, ჩვენი იმედი მართლდებოდა.

— ყმაწვილებო, ჩქარა, ისაუზმეთ! აიღეთ მარტო თოფები და ის აუცილებელი ნივთები, რისი ტარებაც შეგიძლიათ! ზედმეტს არაფერს მოჰკიდოთ ხელი! ჩქარა წავიდეთ! წინ შორი და ძნელი გზა გვიდევს! — განკარგულებას იძლეოდა სიმონიკა, თან ჩანთას ჰკრავდა.

ვისაც დაგრჩათ ნამცხვარი და შემწვარი კარტოფილი, წამოიღეთ, ვინ იცის, როდის ჩავაღწევთ ანდრეევკაში! აბა, ღმერთი იყოს მოწყალე! — კვლავ გაისმა სიმონიკას ხმა...

გზას გავუდექით.

სიმონიკა მიღიოდა წინ. ჩეენ უკან მივყვებოდით, მხეცე-  
ბივით მის ღრმა ნაკვალევში ფრთხილად ვადგამდით ფეხს. მიუხედავად ამისა, იმ იძულებითი დასვენებისა და საკმაო  
ძალ-ღონის მოკრების შემდეგ, მგზავრობის სიძნელე ვერ გვა-  
შინებდა, პირიქით, მხნედ, გაბედულად ვეყრდნობოდით ჭო-  
ხებს, მაღლა ვწევდით ფეხებს და ისე მივიწევდით წინ, რომ  
სიმონიკას ნაკვალევს არ აცდენოდით. გუმისთაზე გადასას-  
ვლელმა ცოტა ხნით შეგვაფერხა, სიცივეში ფეხის დასვე-  
ლება საშიში იყო. ამიტომ წყალში რიყის მსხვილი ქვების  
ჩაყრა და მასზე გავლა მოვიხდა. ეს არც ისე ადვილი საქმე  
ოღმოჩნდა. ვასილიევმა და ანდრეევმა მიუჩვევლობის გამო  
თავი ვერ შეიმაგრეს ქვებზე, წყალში გადავარდნენ, ფეხები  
დაუსველდათ, საბედნიეროდ, ორივეს აღმოაჩნდა მშრალი,  
თბილი წინდები. ჩქარა გამოიცვალეს და კვლავ გავუდექით  
გზას.

ბილიკი ტყეში ისე არ იყო თოვლით დაფარული, როგორც ლია აღვილებში. თვალშეუდგამი წითლის ხეების გაშლილი ტოტები ისე იყო ერთმანეთში შეხლართული, რომ მზის სხივი ოდნავადაც ვერ ატანდა ბილიკებზე. აქ სიარული გაცილებით უფრო აღვილი იყო. ჩვენც ძალიან აღვილად მივიწევდით წინ დაბურული ხეივნით. ტყის სიღრმეში შევეღით. ალაგ-ალაგ ბილიკი ოდნავ იყო მოფიფქული, ის მიემართებოდა მიხვეულ-მოხვეულ აღვილებში, დაღმართზე; ჩვენც გავმხნევდით, რაღაც ვფიქრობით, გაცილებით უფრო აღრეჩივად სოფლამდე, ვიდრე ნავარაუდევი გვერდია.

მექებრები აქამდე ჩუმად მიღიოდნენ, ფეხებში გვედებოდნენ, მაგრამ აქ უცებ გაპქრნენ, სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯზე გაისმა მათი საოცარი შემტევი ყეფა. შეიქნა თავგანწირული სირბილი. ოთფები მოვიმარჯვეთ, გადაგვავიშულა მძიმე გზა, დაღლილობა და ლორების მოლოდინში გავიფანტენით.

ლრმა ოველში ჩვენკენ მორბოდა შავი ღორების მთელი  
ჯოგი, ტყის სიღრმიდან მათ ყეფით მოსდევდნენ ჩვენი  
ძალები.

ლორები ბილიქზე გამოვარდნენ.  
შეიქნა თოფების გრიალი.  
სიმონიკამ და ვასილიევმა თითო მოზრდილი ლორი გაა-  
ვორეს.

ალელვებულნი, გაოფლილნი, უკანასკნელი ძალ-ლონის  
დაძაბვით მივიჭრებით მოქლულ ლორებთან, უმაღვე გამოვ-  
ფატრეთ, ნაწლავები გამოვაცალეთ და ლორები ხეზე ჩამოვ-  
კიდეთ.

კილომეტრიც კი არ გაგვევლო, რომ ძალლებმა კვლავ  
გამოაგდეს უშველებელი ტახი, რომელიც ლრმა თოვლში  
სირბილით გაიქცა მთისკენ და იქ ჩაწერა წყავის ხშირ ბუჩ-  
ქებში. ლორი დროდადრო უტევდა ძალლებს და მძიმედ ხვენ-  
შოდა. ეს მოხდა ჩემს ზემოთ, სულ ოციოდე ნაბიჯზე.

— ჩქარა, ჩქარა, ევგენი ლვოვიჩ! — მეძახდა ივან ანდ-  
რეევიჩი, რომელიც სირბილით მოიჭრა ჩემთან. — ავერი  
მაღლა და მოკალი. ხომ ხედავ, სულ ახლოსაა, ჩქარა!

მეც ავყევი დაქანებულ აღმართს, გზადაგზა უკიდებოდით  
ბუჩქებს, ხის ტოტებს, რომ ნაბიჯების შენაცვლება გამეადვი-  
ლებინა, რადგან ფეხს ვერ ვიყიდებდი, თავს ვერ ვიმაგრებდი.  
თბილი ჭუბა მეცვა. ოფლში ვიწურებოდი, მთელ ძალ-ლონეს  
ვძაბავდი, მაგრამ მღელვარების გამო ვეღარ ვმოძრაობდი,  
ვერასგზით ვერ დავძლიე ის ოცი ნაბიჯი, რომელიც ტახისა-  
გან მაშორებდა.

— ივან ანდრეევიჩ, არ შემიძლია, ლონე არ მყოფნის,  
თქვენ თვითონ სცადეთ! — ვეძახი ქანცმილეული.

დაულალავმა ბელორუსელმა სწრაფად აირბინა წყავის  
ბუჩქებამდე. მეძებრებმა ყეფით გააყრუეს არემარე. გაისმა  
სროლა. ივან ანდრეევიჩმა მხიარული, წვრილი ხმით გად-  
მომძახა:

— მზად არის!

ამასობაში, როგორც იყო, მეც მძიმე ქოშინით ავფორ-  
თხდი, მივედი მოქლულ ტახთან, რომელზედაც ბეღნიერებით  
სახეგაბრწყინვებული ივან ანდრეევიჩი იჯდა.

ტახს ერთად დავეჭიდეთ ფეხებში, ის დაღმართზე ჩამოს-  
რიალდა. ისიც ხეზე დავკიდეთ.



— მეგობრებო, კმარა ნადირობა! — მეაცრად განაგენაფა  
სიმონიქაძ. — უკვე სამი საათი ხდება, წინ კიდევ ყველაზე  
უფრო ძნელად გასავლელი გზა გვიდევს. მეტს ნუ ისვრით!  
ჩქარა წავიდეთ!

სიმონიქაძ რამდენჯერმე დასცა ბუკი, ძალლებს თავი მო-  
უყარა და კვლავ გავუდექით გზას.

ორი საათის ნადირობისა და ხტომა-ჩბენის შემდეგ ისე  
მოვიქანცეთ, რომ ფეხები გვეკეცებოდა, მაგრამ ჩვენი „ჯაჭ-  
ვი“ მაინც უწყვეტად მიკყვებოდა ერთმანეთს ფეხდაფეხ და  
შედარებათ ადვილად მივიკვლევდით გზას ლრმა თოვლში.  
სიმონიქაც დროდადრო დასცემდა ბუკს, რომ ძალლები შორს  
არ გაფანტულიყვნენ, მაგრამ ერთგული მდევრები ფეხდაფეხ  
მოგესდევდნენ. ისინიც ჩვენთან ერთად მიეშურებოდნენ ში-  
ნისაკენ.

\*

იმ გზაზე უადგილო იყო ნადირობის ხელახლა წამოწყება,  
მაგრამ ეს ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ გაითვალისწინა. საოც-  
რად ხარბია მონადირე: თუ ნადირს წააწყდა, ყველაფერი  
დაავიწყდება, არაფერს არ გაუწევს ანგარიშს — არც დროს,  
არც დალლილობას, არც შიმშილს. ჩვენც ასე მოგვივიდა,  
ამიტომ დაგვაგვიანდა.

მზე უკვე დოუს მწვერვალების გადაღმა წვებოდა, როცა  
გუმისთას ნაპირების ქარაფებს მოვუახლოვდით. ყველაფერი  
ლრმა ნამქერით იყო დაფარული. ამიტომ ყველაზე გამოც-  
დილ მთასვლელსაც გაუჭირდებოდა აქ ბილიკის პოვნა. ეს  
შეუძლებელიც იყო.

დავიბენით და შევჩერდით. გამოუვალი მდგომარეობა  
შეიქნა.

• მოხუცი სიმონიქა დაწინაურდა.

— ფრთხილად, ფეხდაფეხ მომყევით! — გვითხრა მან და  
გრძელი ჯოხით დაიწყო ბილიკის ძებნა ნამქერში.

ისე მოვიქანცეთ, რომ ნაბიჯის გადადგმა გვიძნელდებოდა,  
ამიტომ თოვლს აქეთ-იქით ვყრიდით და ნელა მივიწევდით

წინ; უკან კი რჩებოდა სანგარი, რომლის სიღრმე ჰქონდა მუხლებამდე გვიშევდა, ზოგან მკერდამდე.



მეწინავე ამხანაგი, სიმონიკა, მარჯვედ კვალავდა თოვლს. როცა ძალიან გაუძნელდებოდა მოძრაობა, პირდაპირ მკერდით გადაწვებოდა თოვლს, შეისვენებდა და კვლავ ნელა განაგრძობდა გზას. უკან მიმყოლები რიგრიგობით სცვლიდნენ მას, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერს შეველოდა ეს. ყველაფერი ერთიანად დაგვისველდა, ხელ-ფეხი გაგვეყინა, მსუბუქი ტვართი წარმოუდგენლად დამძიმდა, კუს ნაბიჯებით მივიწევთ წინ.

მეწინავეებად ყოფნა ყველას როდი ეხერხებოდა, ამიტომ ამ მძიმე მოვალეობას უმთავრესად სიმონიკა და ივან ანდრეევიჩი ასრულებდნენ.

ნახევარი კილომეტრი არც კი გვქონდა გავლილი, როცა სივერსმა უცებ თოვლში გადააგდო ჩანთა.

— მეტი აღარ შემიძლია ამისი თრევა! — წაიღუდუნა მან. ამ დროს მის უკან მომავალმა სიმონიკამ ხელი დაავლო ჩანთას და თვითონ წამოიგდო ზურგზე.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ ექიმმაც განაცხადა, თოფის ტარება არ შემიძლია და უნდა გადავაგდოო. ტან-მორჩილმა, ჩასკვნილმა სიმონიკამ ისიც ზედ აიკიდა.

ცოტა იქით ჩოლაკისმაც დაიწყო თოვლში ჩაწოლა, მოვიქანცე, მეტი აღარ შემიძლიაო. დაულალავმა სიმონიკამ და ჩეენ ძლიერ დავითანხმეთ, რომ ხელი აელო ამ უაზრო განზრახვაზე.

— არც მე შემიძლია სიარული, უნდა დავწვე! — განაცხადა ვასილიევმა, — თუნდაც ათი წუთით მაინც უნდა დავისვენო... მეტი აღარ შემიძლია... ღონე გამომელია...

— თქვენ, ექიმი აცხადებთ ამას? ნუთუ თქვენც უნდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ თოვლში ჩაწოლა დამღუპველია!.. ფეხზე შეისვენეთ!.. ძალიან გთხოვთ, თოვლში ნუ ჩაწვებით...

ყველანი შევქერდით, ცოტა სული მოვითქვით.

სივერსს ცოტა შოკოლადი აღმოაჩნდა და ყველას გაგვინაწილა. საოცარი სიმხნევე ვიგრძენი, თითქოს ძალ-ღონე მომემატა. სიმონიკასავით მეც მიმქონდა დაღლილი ამხანა-  
14. ე. ზარკოვი.



გის — ჩოლაკისის თოფი; რა ოქმა უნდა, სიარული მეტოვის იყო ადვილი, მაგრამ სხვებთან შეღარებით თავს უფრო მნიშვნელობდი, ხშირად მეწინავედაც კი მივდიოდი.

ამ გაჭირვებაში მოულოდნელად ჩაგვარდნამ დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ მაგარი ნებისყოფა, თავშეკავება და მტკიცება გადაწყვეტილება სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, ამარჯვებინებს ადამიანს სტიქიაზე, როგორი მრისხანე და დაუძლეველიც უნდა გვეჩენებოდეს ის. ჩვენ შორისაც მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის ადამიანები არ ჰყარგავდნენ მხნეობას, არ ეცემოდნენ სულიერად, მაშინ როცა ამ ღირსებებს მოკლებულმა ამხანაგებმა თავი დამარცხებულად აღიარეს და ბრძოლის უნარი დაპყარებს.

ნადირობის დროს ყოველგვარი მოულოდნელი წინააღმდეგობისა და გაჭირვების ადვილად დასაძლევად საუკეთესო საშუალებაა ვაჟა-ცობისა და ძლიერი ნებისყოფის წინასწარ გამომუშავება. უამისოდ გამარჯვებას ვერავინ მოიპოვებს.

მე მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში, მეშინოდა კიდეც: თუ დღის სინათლით ვერ გადავიარეთ გუმისთას კლდოვანი ნაპირი, ჩვენი საქმე ცუდად წავა, — გზას ვერ გავიკვლევთ და ადვილად შეიძლება გადავიჩეხოთ-მეთქი. ამას იმიტომ ვფიქრობდი, რომ ისეთ ღრმა თოვლში ორიენტაციის აღება დღის სინათლითაც შეუძლებელი იყო. ჩვენ ნაცნობ ადგილებსაც ვეღარ ვცნობდით, ვერც ის გამოვარდვიეთ, რამდენი გავიარეთ კლდეებზე და კიდევ რამდენი გვრჩებოდა გასავლელი. ჩქარა ბინდი წამოგვეპარა, უკვე ვერაფერს ვარჩევდით. შორეულ კიდეზე ოდნავ ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

შევჩერდით, ჯოხებზე დაყრდნობით ცოტა შევისვენეთ. სიმონიკა კვლავ მეწინავე იყო. უცებ მან კარტოფილის სანთელი ამოილო და მოუკიდა. ჩვენს ბედზე ხეობაში ნიავიც არ ჰქონდა, ამიტომ ალი არ ქრებოდა. მერე გზაღაგზა გამოირევა, ამ წინდახედულ, ჭკვიან რაჭველს, თურმე, მთელი შექვრა სანთელი წამოელო.

კველანი გამოვცოცხლდით.



ახლა უკვე სანთლის შუქზე განვაგრძეთ წინსვლა თბილის უნივერსიტეტის მიერ გადაპენტილ კლდეებზე, საშინელ უფსკრულის პირას.

მეწინავე სიმონიკა ანთებული სანთლით ხელში უდიდესი სიფრთხილით, თავისი გამოცდილებისა და ალღოს გამოყენებით ცდილობდა არ არეოდა მიმართულება, ფეხებისა და მკერდის მთელ ძალას ახმარდა იმას, რომ სწორი ორიენტირით ევლო, მოხერხებულად გაეკვალა ღრმა თოვლი. სიმონიკას კვლავ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ საოცრად მოქანცული ამხანაგები, რომლებსაც უკვე თვალები ეხუჭებოდათ. ისინი ახლა მიღიოდნენ უშიშრად, ყველაფრისაღმი გულგრილად განწყობილი, რადგან დაღლილობის გამო საშიშროების შეგრძნობის უნარი დაკარგოდათ. სივერსი მაინც მხნედ იყო, ღროდადრო გვაწვდიდა შოკოლადის ნატეხებს და ამით ჩვენც გვამხნევებდა.

— ვაშა! მივედით! მოსახვევია! — წამოვიყვირე უჩვეულო ხმით და ამხანაგებისაკენ შემოვბრუნდი. ჩვენ უკვე ვიდექით აღამიანებისა და ცხენებისაგან გადატკეპნილ პატარა მოედანზე, საიდანაც ბილიკი ტყისკენ უხვევდა. მხარმარჯვნივ, თოვლში ჩარჭობილ სარჩე წამოცმული იყო ორი მთელი პური. ეტყობოდა, ჩვენ მიერ სურსათისათვის გამოგზავნილი ამხანაგები ამას იქით ვეღარ წამოსულიყვნენ და პური აქ დაეტოვებინათ ჩვენთვის.

— გადაპრჩით! — აღფრთოვანებით წარმოთქვა სიმონიკამ, მორწმუნე ანდრეევმა კი პირვარი გამოისახა.

მხიარულ გუნებაზე დავდექით.

მთელი ღლის განმავლობაში ისე გვშიოდა, რომ პური უმალვე გავეგლიჭეთ და გავინაწილეთ. ახლა ყველა გონს მოვიდა, სივერსს, ვასილიეგსა და ჩოლაკისს გადავიწყდათ დაღლილობა და უკანვე მოიხოვეს თავიანთი თოვები, რომლებსაც აქამდე სხვები მოათრევდნენ.

ღამის სრული თორმეტი საათი იყო.

ცაზე კაშკაშებდა ახალი მთვარე.

ტყეში გატკეპნილ გზას მივყევით და ორ საათში უკვე ანდრეევკაში მივედით.

სტუმართმოყვარე ადგილობრივი მონადირეები განსაკუთ-



რებით გულთბილად დაგვიხვდნენ. ჩქარა გაგვიშრომა კუჭის  
საცმელი, ტანსაცმელი, აგუგუნებულ ბუხართან გაგვათბეს,  
მშვენიერი ვახშამი მოგვიწყვეს და სუფთა ლოგინში თბილად  
მოგვასვენეს.

მეორე დღეს, საღამოს, უკვე სოხუმში ვიყავით. ჩვენი  
საზოგადოება „ჩვამას“ წევრები უკლებლივ მოვიდნენ ჩვენს  
სანახავად. ყველას აინტერესებდა ჩვენი უჩვეულო თავგადა-  
სავალი. ყველამ ერთხმად შეუქეს ვაჟკაცობა ჩვენს გონიერ  
და წინდახედულ რაჭველს, მონადირეთა უბადლო წინა-  
მძღოლს, ყველასათვის საყვარელ სიმონიკას...

ჩვენც ერთხმად დავლიერ მისი სადღეგრძელო...

... ქარგია ნადირობა: ის ამხნევებს, აკაჟებს ადამიანის ნე-  
ბისყოფას...

## ჯეირნების ძგალდაკვალ

  
 მსუბუქი მანქანა რკინიგზის  
 რიდის ქვეშ გაძვრა და კლდიან  
 აღმართს შეჰყეა. საღური ფო-  
 ილო და მტკვარი მარჯვნივ და-  
 გვრჩა.

  
 შემოდგომის მზიანი დღეა.  
 თბილა. თბილი ნიავი გვიბე-  
 რავს.

  
 ჩქარა ავიგაკეთ, რამდენიმე  
 ხევი გადავსერეთ. გორაკი გა-  
 დავიარეთ და დაცემულ ვაკეზე

გავედით. მანქანა რბილ გზაზე მიგვაჭროლებს.

გარშემო გვალვის გამძლე, ნაცარა, დაბალი აქლემა ბა-  
 ლახი მოსდებია მთელ მინდორს. აქა-იქ ეკლიანი ბუჩქებია.  
 გორაკების შეყოლებაზე მოუთიბავი ურო ბალახი გამხმარა  
 და მიწა ყვითლად დაუფარავს. ამ ბალახს თვალისჩინივით  
 ინახავენ მწყემსები ცხვრებისა და ნახირისათვის, რომლებიც  
 მალე ამ ადგილებს გამოსაზამთრებლად ეწვევიან. მინდორში  
 აქა-იქ მოჩანს ბინები, დაბალი მიწურები ცხვრისათვის, რომ-  
 ლებიც უკვე შეუკეთებიათ, გაუსუფთავებიათ, ახლა კი უგ-  
 ზოობის გამო დავიანებულ ფარებს ელოდებიან.

მინდორს, რომელზედაც ახლა ჩვენი მანქანა მიდის, ჯეი-  
 რან-დუზი ეწოდება, იგი შემოფარგლულია დაბალი, თიხის  
 გორაკებით, ეგრეთ წოდებული „აფშერონით“, ტიპიური ნავ-  
 თის ნიადაგით. ამ მინდორს იქით ასეთივე მინდორი ძევს,  
 მას ჩათმას უწოდებენ, შემდეგ — ერიქ-დარას ტრამალები  
 იწყება, შემდეგ კი ჯეირან-ჩოლია და ასე ნახევრად უდაბური  
 ტრამალების მთელი სისტემა ძევს მდინარე ივრის მარჯვენა

ნაპირზე, ისე როგორც ივრის მარცხენა ნაპირზე შირქესად  
ელდარის მინდვრები. მთელი ივრის ნაპირები ცნობილია უკან  
გორც მთიანი ვაკე, ამიერკავკასიის დიდი საზამთრო საძოვ-  
რები.

ძნელია ამ ორიგინალური, წმინდა ბიბლიური ბუნების  
მშვენიერებისა და უბრალოების, მისი ხელუხლებლობის წარ-  
მოდგენა, თუ საკუთარი თვალით არ ნახე იგი. აქ, მხარის  
ცენტრში, ჯერ კიდევ შემონახულა შორეული წარსულის  
ხელუხლებელი ბუნების ნაწილი.

ნახევარი წლის მანძილზე, როდესაც მზე აქაურობას  
წვავს, აქ ადამიანის ჭაჭანებაც არ არის: ადამიანები, ცხვრე-  
ბის ფარები და სხვა შინაური საქონელი ამ მინდვრებს  
ზაფხულის დასაწყისში სტოვებენ. შრებიან იშვიათი წყა-  
როები, წვიმის წყლის საგუბრები, უწყლობა და აუტანელი.  
სიცხე აქ ცხოვრებას შეუძლებელს ხდის.

მხოლოდ მეტად ამტანი უდაბნოს ანტილოპა — ულამა-  
ზესი ჯეირანი, რომელიც შეჩვეულია უწყლობას, ნაცარა კა-  
ჯაბი, რომელიც ჩრდილოვან ხევებში ბუღობს, მინდვრის ტო-  
როლების ზოგიერთი სახეობა, სხვადასხვა გველები და ხვლი-  
კები და მრავალი სახის მწერი განაგრძობს აქ ცხოვრებას.  
მაგრამ როდესაც შემოღომაზე პირველი წვიმა მოვა, რო-  
დესაც მწყემსების გაეთებულ საგუბრებში წყალი ჩაღვება,  
როდესაც კვლავ ამწვანდება ნაზი, ნორჩი ბალახი, — უდა-  
ბური მინდორი გამოცოცხლდება.

დაბრუნდებიან მწყემსები თავიანთი ცხვარითა და ნახი-  
რით, მინდვრებში გაიშლებიან ცხვრის ფარები და მათ შო-  
რის მშვიდად დაიწყებენ ბალახის ძოვას ჯეირნები; დაბრუნ-  
დებიან მელიები, ყურგრძელი კურდღლები; ხევხუვებში მიი-  
მალებიან პირსისხლიანი მგლები, რომლებიც ფეხდაფეხ  
სდევენ ცხვრის ფარებს, მინდვრად გამოჩნდებიან სავათებისა  
და სარსარაკების დარფები.

მინდორში აქა-იქ ღრმა კალაპოტი გაუთხრია გორაკები-  
დან და ხევებიდან ჩამონადენ ღელეებს. ზოგან ისინი ღრმა  
და ვიწროა, ზოგან კი — ფართო და დაბალი. აქ, მზისაგან  
მოფარებულ ადგილებში, უფრო დიდხანს ინახება წყალი, აქ

უფრო მეტია ყოველგვარი მცენარეულობა. აქ მოდიან წყლის  
დასალევად ჯეირნები, ამ კალაპოტის მოპყვებიან გაეშმავებული  
ლი მტაცებლები, ივრის კალაპოტის ახლოს დახეხეტებიან გა-  
რეული ღორები და ფრთხილი მშიშარა დათვიც კი. ახალთ-  
ახალი კვალი, რომელიც სულ ერთი საათის წინ აქ დაეტოვე-  
ბინა დათვს, მე თვითონ ვნახე.

ღელეებისაგან ასეთი გათხრილი კალაპოტის გარდა ივრის  
ნაპირის ეს ტრამალები ხელისგულიგით ვაკეა. მანქანით აქ  
სიარული შეიძლება ყველა მიმართულებით, საათობით შეიძ-  
ლება იაროს მანქანამ, როგორც კარგ გზაზე. აი, აქ ნადირო-  
ბენ ჯეირნებზე მანქანით. ამ ბარბაროსულ ნადირობას, რო-  
მელიც კანონით სასტიკად აკრძალულია, ხელს უწყობს  
ივრის ნაპირის ტრამალების სისწორე.

შენიშნავენ თუ არა მინდორში ჯეირნების ფარას, ბრა-  
კონიერების მანქანა განავითარებს დიდ სიჩქარეს, ზოგჯერ  
ოთხმოც-ოთხმოცდაათ კილომეტრს საათში, და ჩქარა ეწევა  
გაქცეულ ჯეირნებს.

პირველად შავკუდაპრეხილი ჯეირნები არხეინად გარბიან,  
არც კი ფიქრობენ, რომ ეს რაღაც ჯერ უნახავი არსება მათ  
მისდევთ. კიდევაც ერთობიან, ერთმანეთს ზურგზე ახტებიან,  
კუნტრუშობენ. მაგრამ როდესაც მანქანა უკვე უახლოვდება  
მათ, დამფრთხალი ცხოველები შეჯგუფდებიან, ერთმანეთს  
ხელს უშლიან სირბილში, მხოლოდ გაფაციცებით თვალს  
ადევნებენ ყოჩის, რომელიც ფარიდან ცოტა მოშორებით და  
წინ გარბის.

სწორედ ამ მომენტით სარგებლობენ, უკაცრავად სიტყვაა,  
„მონადირეები“ და ხოცავენ მათ მსხვილი საფანტით. პატა-  
რა ჭრილობასაც კი ვერ უძლებს ეს ნაზი ცხოველი და ოდ-  
ნავ დაჭრილიც კი მიწაზე ეცემა. ასეთი ყასბური ულეტის  
შედეგად ზოგჯერ ფარას ექვს-შვიდსა და ხან კი მეტ ცალსაც  
ატოვებინებენ.

ასეთ უსინდისო საქციელს შეიძლება ყველაფერი უწო-  
დო, გარდა ნადირობისა. ასეთი ბარბაროსული საშუალებით,  
ჩვენში უკვე ცოტა რაოდენობით შემორჩენილი ჯეირნების  
დახოცვა, მათი შენარჩუნებისა და მოვლის ნაცვლად, არ

შეუძლია ჩაიდინოს არც ნამდვილმა მონადირემ და არც  
ცოცხალი ბუნების მოყვარულმა ადამიანმა.

ოთხი დღეა ვსერავთ ამ უდაბნო მინდვრებს. გადავდი-  
ვართ ხევებზე, მოხერხებულად ავდივართ მაღალ გორაკებზე,  
მივცოცავთ თავქვე, გარს ვუვლით მთებს.

ამ ხნის განმავლობაში ასამდე ჯეირანი ვნახეთ: ზოგან  
ორი-სამი ერთად, ზოგი ცალად დაეხეტება, ზოგი კი შვიდი-  
რვა ცალიდან თვრამეტ ცალამდე ფარაში.

ფრთხილი ნადირი ექვსას-შვიდას ნაბიჯზე გვიშვებდა, შემ-  
დეგ კი მანქანისგან შეშინებული, გარბოდა, ეტყობოდა, რომ  
ამ ახალ მტაცებელს, მანქანს, უკვე კარგად იცნობდნენ.

ყველა ფარის წინ უძღვის მამალი, რეებაყრილი ჯეირანი,  
რომელიც ფარის ცოტა წინ და მოშორებით გარბის, გზას  
არჩევს, მას მხოლოდ მორჩილად მისდევენ დანარჩენები.

აი, თვრამეტი ჯეირანისაგან შემდგარმა ჯოგმა შეფენილი  
გორაკისაკენ იბრუნა პირი, წინამძღოლმა სწორი კუთხით  
გადაჭრა გზა გორაკისაკენ, ელეის სისწრაფით ავარდა გორა-  
კის თხემზე, რამდენიმე ნახტომი გააკეთა მის გასწვრივ, ოდ-  
ნავ შეჩერდა და შემდეგ გორაკის მეორე კალთაზე მიიმალა,—  
ეს ალბათ პირობითი ნიშანი იყო დანარჩენებისათვის.

ჯოგიც შებრუნდა ყოჩის გზაზე, ნახტომებს უმატეს, ერთ  
წუთში გორაკს წვერზე მოექცნენ და მეორე მხარეს გაუჩი-  
ნარდნენ.

ჩვენ აქ ვამთავრებთ ჯეირნების ფარის დევნას, რომელიც  
ჩემი თხოვნით მოაწყვეს ჩემმა თანამგზავრებმა, რომ ჩემთვის  
საშუალება მოეცათ მენახა მანქანაგამოდევნებული ცხოვე-  
ლების მოქმედება, მე თვითონ განმეცადა ასეთი მხეცური  
„ნადირობის“ ყველა წვრილმანი, რასაკვირველია, გარდა  
უნამუსო თოფის სროლისა...

ახლა თავიდან ბოლომდე ნათლად მაქვს წარმოდგენილი  
ველური „ნადირობის“ ყველა პირობა და სრული სურათი,  
გავარკვეი ჯეირნების მოქმედების თანდათანობითი ცვალება-  
დობა, მათი გაქცევის სისწრაფე, რომელიც, ჩემი აზრით,  
სამოცდაათ კილომეტრს უდრის საათში, მათი სრული უმ-

წეობა და დაბნეულობა, როდესაც ჭოგს მანქანა სდევნის წე  
 დაეწევა.

ზამთარში, როგორც ვთქვით, აქ დიდი რაოდენობითაა  
 მელა, რომლებიც უმთავრესად იქ ბინადრობენ, სადაც მეტი  
 კაკაბზე ნადირობის დროს თითქმის ყოველთვის შეხვდებით  
 ქათმის ხორცის მეტად მოყვარულ ამ მსუნავ მხეცს. ამ მგზა-  
 ვრობაში კი მხოლოდ ერთი მელა ვნახეთ. გრძელეულგაპრე-  
 ხილი სამასიოდე ნაბიჯზე გარბოდა ჩვენგან.

მე დამავიწყდა თავიდანვე მეთქვა, რომ ჩვენი ამ უდაბურ  
 მინდვრებში მოგზაურობის მიზეზი ჯეირნების გამოღევნება  
 როდი იყო. ამ მანქანისა და შიგ მსხლომ ჩემ თანამგზავრთა  
 აქ ჩამოსვლის დანიშნულება სხვა რამეში მდგომარეობდა:  
 საქართველოს წყალთა მეურნეობის სამსართველოს ექსპე-  
 დიცია აქ ისეთ ადგილებს ეძებდა, სადაც მოსახერხებელი იქ-  
 ნებოდა საზამთროდ ჩამორეკილი საქონლისათვის წყალსა-  
 ცავების მოწყობა, რომ გადამწვარი მინდვრებისათვის მუდ-  
 მივ წყალს სიცოცხლე მიენიჭებინა.



## როჭოზე სანადიროდ

ჩეენი მანქანა საქართველოს სამხედრო გზაზე მიჰქინის. საჭე-  
სთან ვანო ზის. მე კი მის გვერ-  
დით ვარ მოკალათებული. უკან,  
მგზავრების ადგილზე, ჩემი ყა-  
ზბეგი — კონტინენტური მეძება-  
რი წევს, თავი მაღლა აუწევია,  
წინა ფეხები სანოვაგით სავსე  
ხურჯინზე დაუწყვია და დიდი

ყურადღებით ათვალიერებს ნაცნობ ადგილებს. ნეტავ სად მივ-  
დივართ? — ფიქრობს იგი. რაზე უნდა ვინადიროთ?

დარცისკართან მანქანამ არ შეუხვია. ეს კი აღარ მოეწონა  
ჭივიან ოთხფეხს, ადგომა დააპირა, მაგრამ პატრონის მკაცრმა  
შეძახილმა — „დაწეჭიო“, მიახვედრა, რომ ნაღირობა აქ მის-  
თვის კარგად ნაცნობ ადგილებში არ იქნება, ჯერ კიდევ დიდი  
გზაა გასავლელი. ყაზბეგი კვლავ თავის ადგილზე წვება, ხურ-  
ჯინს მაგრად ებლაუჭება წინა ფეხებით, რომ მოსახვევებში  
რბილი საჭდომიდან ძირს არ ჩამოვარდეს, თავი კი ისევ მაღ-  
ლა უჭირავს და ახლა უკვე უცნობ ადგილებს ათვალიერებს.

მე და ჩემი მეგობარი საუბარში ვართ გართული, ხვალინ-  
დელი ნაღირობის გეგმებს ვაწყობთ. ჩვენი საუბარი მხოლოდ  
მაშინ წყდება, როდესაც ვანოს მანქანა დიდი სისწრაფით მი-  
ჰყავს. მე სისწრაფის ამაღლევებელი გრძნობა მიპყრობს, რო-  
მელიც ასე გაიტაცებს და ათრობს ხოლმე ადამიანს.

უხუცეს, ჭილარა მცხეთას წილკანის მინდვრები მოჰყვა...  
გაიელვა ბაზალეთის ტბის საჩქესავით მოპრიალე ზედაპირმა,  
ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინვებულ დუშეთსაც გავ-  
ცდით, მაღალი კოშკებითა და ეკლესიებით შეჭურვილი ანა-

ნურიც უკან დაგვრჩა და ბოლოს, მოქუხარე არაგვის ჩრდილოვანი ხეივნის დასასრულს გამოჩნდა ფასანაური — შემოწილებელი მოგზაურობის საბოლოო მიზანი.

სამ საათზე მეტს მოვუნდით ფასანაურში მისვლას. თბილისის მძიმე, დახუთული ჰაერი შესცვალა ფასანაურის ხეობის გრილმა, სუფთა ჰაერმა. სექტემბრის ბოლოს ჭერ კიდევ მწვანე ტყეებს, მთებს, ფლატეებსა და კლდეებს ხმაურით ავსებს ანკარა არაგვი.

ამ დიად ბუნებაში თავი უმცირეს ქმნილებად წარმოგიდგენია, ასე გვონია, ეს ბუმბერაზი, ულამაზესი მთის ბუნება, რომელიც შენს გარშემო ასეთი სიამაყით დგას, ვერც კი გამჩნევს პატარა ქალაქელს. ხარბად სუნთქვა სპეტაკ უანგბადს, გული მძლავრად სცემს, მთელი ორგანიზმი თითქოს გაახალგაზრდავდა და გაიფურჩქნაო.

სალაში თქვენ, კავკასიონის მთებო, ძალისა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წყაროე!

წარმოუდგენელი ურიამული ატყდა ჩვენს ჩასვლაზე. ვანოს შემოეგება მთელი ოჯახის შემაღენლობა — ცოლი, პატარა რუსუდანი, ვაჟები — შოთა და ოთარი. საზღვარი არა აქვს ვანოს ძალლის — ნორმასა და ლეკვის — მარსის სიხარულს. ჩვენი ბარგი სახლში შეიტანეს.

მაგიდაზე აღულებული სამოვარი დგას, ბებრული ჩიფჩიფით სტუმარომოყვარედ გვეპატიუება. სახე მეწვის ღია მანქანაზე ჩქარი სიარულით. გული კი დამშვიდებული მაქვს. ეპეს გარეშეა, ამაღამ კარგად დავისვენებთ, ხვალ... ხვალ კი...

ვანომ მეზობელ ნაცნობ მონაღირეებთან ბავშვები აფრინა. ხვალისათვის სანაღიროდ წამოსვლა აცნობა. დასტური მოიტანეს ბავშვებმა. მამა შოთასაც წაყვანას შეპირდა. ნაპერშელები სცვივა თვალებიდან პატარა მონაღირეს, მყისვე თავის ოთახში გავარდა და „სამზადისს“ შეუდგა. ყოველ წამს შეჩრდის და გარბის, თან კითხვები არ ელევა: თოფი წამოვილო? რომელი დანა ჩავდო — ჩემი თუ ოთარის? მათარა თუ წამოვილო წყლისათვის? — და ასე დაუსრულებლად გვაყრის იგი კითხვებს.

ვანოს ამხანაგებიც მოვიდნენ. მისი ჩამოსვლა გაეგოთ.



სუფრას უჯდა მრისხანე გამომეტყველების, მაგრამ კეთილ/გულის მოხუცი მთიელი და მხიარული, ლია სახის აშენებელი რდა მონადირე ქიტესა.

სუფრაზე გაჩნდა ყველი, საუზმე, ასეთი შემთხვევების მუდმივი თანამგზავრი ღვინო და მონადირეთა კრებული თა-თბირს შეუდგა.

ბევრი იქამათეს, ყველაფერი აწონ-დაწონეს და ბოლოს დასკვნეს, რომ გჭდამაყარის ხეობას ხანდოში წასვლა სჯო-ბია, სადაც ახლა უსათუოდ უფრო მეტი როჭო იქნება.

დასაძინებლად აღრე დავწექით. მთის ძნელი და დამქან-ცველი ნადირობის წინ აუცილებელია კარგად დასკვნება, მით უმეტეს, რომ სანადიროდ სამ დღეს უნდა დავტჩით. რო-გორი მშეგიდი ძილით გვეძინა ამ ღამეს სტუმართმოყვარე დიასახლისის მიერ გაშლილ რბილ ლოგინში!

დილის ხუთი საათია. ჯერ კიდევ ბნელა. ფერდაკარგული ვარსკვლავები იდუმალად ციმციმებენ მოწმენდილ ცაზე. ჩვენ უკვე ფეხზე ვართ. არავს ობშივარი ასდის. ხეობაში ნეს-ტიანი ნისლი დგას. თითქოს ბამბის ქულებით აუგანიათო თვი-თეული ნაპრალი. მარტო მთის წევრები მოჩანს შავად ნაც-რისფერ ცაზე, იქ ჯერ ვერ მიუღწევია რძის ზღვას — ხეო-ბაში ჩაწოლილ ნისლს.

ცხენებზე შევსხედით და სამიოდე კილომეტრი უკან გა-მოვიარეთ, თბილისისაკენ. მერმე მარჯვნივ გადავუხვიერ და ყინულივით ცივ და ცრემლივით ანკარა მთის პატარა მდინა-რეს ავყევეთ. თავიდან ვიწრო ხეობა თანდათან ფართოვდება და ბოლოს ისევ პირს იქრავს პატარა მდინარის სათავეებ-თან. უზარმაშარი ქვებისა და ნაპრალიანი კლდეების კედლე-ბია ამართული ორივე მხარეს. ხეობა თანდათან ზევით იწევს, მდინარე კი უფრო და უფრო აღრმავებს თავის კალაპოტს და ხეობაში ხეობას ქმნის..

გარეული მტრედების გუნდი მოსწყდა ერთი კლდის კე-დელს და ფრთხების ტკაცუნით თავზე გადაგვიარა. ვანო ას-წრებს ერთ გასროლას — ერთი მტრედი პირდაპირ მდინა-რეში ვარდება.

სწორედ გამაცვიფრა ვანოს ლეკვმა. იგი შურდულივით



დაეშვა მდინარის ციცაბო ნაპირზე, გაასწრო დედას, <sup>კონცეცია</sup> დასტაცა ნანადირებს და მყისვე პატრონს მოურბენინა. <sup>ურთისესობა</sup> თლაც რომ გასაკვირველი საქციელია ხუთი თვის ლეკვისა-  
თვის!

ბილიკი სულ მაღლა იწევს. ერთი სათია მივდივართ.

აი სოფელი ხანდოც. გამოქვაბულები და ტიპიური მთიუ-  
ლური ბანიანი სახლები. აქ მთიულები — ამ მყაცრი ბუნე-  
ბის ნამდვილი შვილები — ცხოვრობენ.

ვანოს მეგობარ მთიულთან ჩამოვხტით. ბუხარში დიდი  
ცეცხლი ანთია. დავისვენეთ, დავნაყრდით. მძიმე ტვირთი და  
ცხენები აქ უნდა დავტოვოთ, თვითეული ჩვენგანი ეწყობა,  
თბილები მიგვაქვს, იქ, ზევით დაგვჭირდება, ღამე მთაში უნ-  
და გავათიოთ. თოფი, ვაზნების მარაგი. მართალია, საზიდავი  
ბევრი გამოდის, მაგრამ რა გაეწყობა — გამყოლები არ  
გვყავს.

მარტო კახელი სანდრო — ვანოს ძველი მეგობარი და  
ჩვენი „დიასახლისი“ ნადირობაში, თავის ზურგზე იქიდებს  
დიდ ხურჯის და ჩაიდანს, ჩინური სასმლის — ჩაის — მო-  
სამზადებლად, რომელიც მართლაც რომ აუცილებელია და  
ზოგჯერ უებარი წამალიც მთაში წასული მონადირისათვის.

მივდივართ. ხელში საბიჯგები გვიჭირავს, ვანომ გვირჩია.  
წინ ერთი საათის სავალია. გზა ორმოცდახუთ გრადუსიან  
ციცაბოზე მიდის. ჩავედით მდინარის პირას, რომელიც აქ  
პატარა რუდ ქცეულა. ნელა დავიწყეთ ასვლა. სულ მაღა-  
საყელოები გავიხსენით, დაგვცხა.

დილის შვიდი საათია. ჩვენს უკან, მთების წვერზე მზემ  
თავი ამოყო. ცივმა ჰაერმა ჩქარა იწყო გათბობა. მეზობელ  
ხეობებში ნისლმა თანდათან მაღლა აიწია.

ჯერ სოფელში არ ვიყავით მისული, რომ შორს, ქედის  
შუაზე რაღაც წითელი ზოლები შევამჩნიე, რომლებიც ნაზად  
გამოიყრებოდნენ ნაცრისფერ-მწვანე საერთო ფონზე. რა  
უნდა იყოს ეს? — ვფიქრობდი. ვანომ ამისნა, რომ ეს ცირ-  
ცლის ტყეებია, ხეები დახუნდლულია წითელი ნაყოფით. ეს  
ტყეები როჭოს საყვარელი ადგილებია და ჩვენც აქ უნდა  
ვინადიროთ.



აღმართი აღარ თავდება, შეუპოვრად მივაბიჯებული მისამართი არ გვარად ლოდ თითო წუთით ვჩერდებით, სულს ვიბრუნებთ, ღვარად ჩამონადენ ოფლს ვიშმენდთ და გზას ისევ განვაგრძობთ. წინ ფეხმარდი ქიტესა მიგვიძლვის, ხელში თოფი უჭირავს, მხარზე კი ვანოს სანადირო ჩანთა ჰკიდია.

— სად უნდა დაიძინოთ ამაღამ, ქიტეს? — მიამიტად ვეკითხები მთიულს, — იქ ალბათ საქმაოდ ცივა. ქიტესა მხოლოდ იღიმება და მარწმუნებს, რომ მთაში ჯერ კიდევ ბლომადაა თივა, შიგ რომ ჩაიფლობი, არავითარი ყინვა საშიში არ არის.

მზე კი ძალზე გვაჭერს. მხოლოდ როდესაც ღრუბლებს მიეფარება და ხეობიდან ცივი ნიავი დაუბერავს, — გაოფლიანებულებს მაშინვე მცხვნვარე მზე მოგვენატრება და მოუთმენლად ველით მის კვლავ გამოჩენას.

ქიტესას ვანო მიჰყება, ზურგზე ბრეზენტის დიდი ტომარა ჰკიდია, შიგ ობილები უწყვია თავისთვისა და შვილისათვის, ტომარას ვაზნები იმიმებს, იგი ორი ფუთი მაინც იქნება. ოდნავ წახრილი, ჩვეული მთიულური ნაბიჯით იგი დინგად მიიწევს წინ. მას უკან პატარა შოთა მიჰყება, ისიც დატვირთულია, — ზურგზე ნაბადი და სანადირო ჩანთა აქვს წამოდებული. შოთას უკან მე მივბობლავ, არც მე მაქვს ნაკლები ბარგი, — ერთი ფუთი ისიც იქნება. ბოლოში სანდრო მოდის. ეს დალოცვილი ისე მოაბიჯებს ამ ციცაბოს, თითქოს ვაკეზე სასეირნოდ იყოს გამოსული და ზურგზე უზარმაზარი, პირამდე სავსე ხურჯინი არ ეკიდოს. ძალლებიც კი მოიზლაზნებიან, ეტყობათ, ისინიც დაიღალნენ.

იმ ბილის მივყვებით, რომელზედაც ხანდოელებს მთიდან თავიანთი ყანების მოსავალი და თივა ჩამოაქვთ. ზოგან ბილიზე წუხანდელი წვიმის შემდეგ ფეხი ისე სხლტის, რომ თავს ვერ ვიმაგრებთ, ხელებს ვიშველიებთ, ატალახებულ მიწას ვებლაუჭებით. გულს კი ბაგაბუგი გააქვს, ლამის ბუდიდან გაღმოვარდეს. ზოგან ბილიკი ნამკალში გადის, აქ ცოტას ვისვენებთ. გული წყნარდება, სუნთქვა გვიადვილდება და ჩვენ კვლავ წინ მივიწევთ მაღლა. ერთი საათი საუკუნედ მოგვეჩენა. როგორც იქნა, მივედით.



შევძით ამოვისუნთქე, როტესაც ავივაპეთ. აქ ნამდებლური ბუჩქნარი სცვლის. ნახევარ კილომეტრზე კი ნაყოფით და-  
ხუნძლული ცირცლის ტყე მოჩანს. ვანომ თავისი ნაცნობი  
აღგილი მონახა. აქ პატარა წყარო ამოჩუხჩუხებს. იქვე სამი  
პატარა ზეინი თივა დგას, ისინი აქ თითქოს ჩვენს თავშესაფ-  
რად დაუტოვებიათო.

ტვირთი მოვიხსენით. დაყოვნება არ შეიძლება. თან მხო-  
ლოდ თოფი, ვაზნები, ჩანთა და შიგ ცოტა საჭმელი მიგვაქვს.  
ძალლებს მოუთმენლობა ეტყობათ, თვალებში შემოგვცე-  
რიან, თან კუდებს აქნევენ. მარტო ქიტესას პატარა ძუ, გა-  
ურკვეველი ჭიშის მექებარი, მოუთმენლად დარბის ახლო  
ბუჩქებში და რაღაცას გულმოდგინედ სუნავს.

ოფლი აღარ გვდის, ნიავმა დაუბერა და გაგვაფრთხილა,  
რომ ეს მთაა და არა თბილისი. ვივადრე ჩემი სანადირო  
ქურთუკის ღილების შეკვრა.

ვანო საუზმეს გვთავაზობს. მე უარზე ვარ. ჩქარა, იქით,  
ცირცლისაკენ, შეხრის ბუჩქებში, სადაც როჭოები იმაღე-  
ბიან. შოთა და სანდრო ბარგთან რჩებიან. ვანო, ქიტესა და  
მე ჩქარი ნაბიჯით მივდივართ.

წვრილი, ხუჭუჭა შეხრი ზოგ ადგილებში ისეა გახლართუ-  
ლი ერთმანეთში, რომ შიგ გავლა შეუძლებელია. ზოგან კი  
შეხრში გარეულა მაყვალის, შავი და წითელი მოცვის, უო-  
ლოს, მოცხარის და სხვა გარეული ნაყოფის ბუჩქები. აი,  
როჭოების საყვარელი საყოფელი, ფრთხილი ფრინველები  
აქ გემრიელ საკენჭს შეექცევიან.

ჩვენ უკვე ათას რვასი მეტრის სიმაღლეზე ვართ.

ქიტესამ თავისი პატარა ძალლით გვერდზე გადაუხვია. მე  
და ვანო ნელა შევერიეთ ბუჩქებს. ძალლებმა გატაცებით  
დაიწყეს მუშაობა. ჩემი ყაზბეგი გაურბის მაყვლის, მოცვისა  
და შეხრის ხშირ, გაუვალ ბუჩქებს, უფრო ქარაფებს უტრია-  
ლებს და ეძებს. ვანოს ნორმა კი თავის ლეკვთან ერთად არ  
ერიდება ეკლიან ბარდებს და გულმოდგინედ ეძებენ ყველა-  
ზე უფრო გაუვალ ადგილებში, როჭოების ნამდვილ საყო-  
ფელში.

უცბად ვანო შეჩერდა, თოფი მოიმარჯვა. ეტყობა, ზორ-  
მამ ფრინველი იგრძნო და ნელი ნაბიჭებით მიჰყვანიშვილის  
სიც დედას აედევნა, ფრთხილად მისდევს უკან. აგრე ორი-  
ვენი დადგნენ. ნორმა ქანდაკებასავით დგას, შვილიც დედას  
ბაძავს.

ვანო ძალლებს უახლოვდება, თოფი მზადა აქვს, სახე სე-  
რიოზული. ქუდი გვერდზე მოუქცევია, რომ გამიზნება არ  
დაუშალოს. „ნელა, ნელა, ნორმა!“ — ისმის მისი ზავერდო-  
ვანი ხმა, — „ეცი!“

ნორმას ცხვირის წინ შურდულივით აიჭრა პაერში დიდი  
შავი მამალი და მაშინვე ქვევით დაეშვა, უფსკრულს მია-  
შურა. მე უნებლიერ გავემზადე, მაგრამ...

გავარდა ვანოს თოფი და... შეერის ბუჩქებში მოწყვეტით  
ჩამოვარდა მთის სილამაზე — შავი მამალი როჭო.

— ნორმა, მოიტა, აქეთ მოიტა! — და ვანომ ამაყად გა-  
მოართვა ძალლს ნანადირევი, მაღლობის ნიშნად თავზე ხელი  
გადაუსვა საყვარელ მეგობარს და დასძინა, — ყოჩილ, ნორმა,  
შენც ყოჩილ, მორსი აბა ნახე, უყნოსე! — და ვანომ მამალი  
როჭო ლეკვს მიუგდო. საცოდავი ლეკვი შემინდა, მოიბუზა,  
კუდი ამოიძუა, ასეთ დიდ ფრინველს პირველიდ ხედავს. მაგ-  
რამ მაინც არ დაიბნა, ცხვირი მკვდარ ფრინველთან ახლო  
მიიტანა და მამლის დიდ ფრთხებს სუნვა დაუწყო.

— ეგ ერთი და სხვა ათასი, ვანოგან! ჩემ ყაზბეგსაც აჩვე-  
ნე ეგ პირველი ნანადირევი. — ვუთხარი ვანოს.

ყაზბეგი არ დაელოდა დაპატიუებას და მიუხედავად ნორ-  
მას ლრენისა, რომელიც თავისი პატრონის ნანადირევს იცავ-  
და, მაინც გასინჯა უცხო ფრინველი.

კუპრივით შავი ძველი მამალი, შავად მოელვარე ფრთე-  
ბით, წითელი წარბებითა და ლამაზი კუდით მართლაც რომ  
შესანატრი დასაწყისი იყო ძველი მონადირისათვისაც კი.

თამბაქო გავაბოლეთ. ვანოს გამოვეკითხე, როგორ გამეგნო  
გზა ამ გაუვალ ადგილებში, თუ შორს დავცილდებოდი მას  
და ნადირობა განვაგრძე. ჩემი ყაზბეგი მიხვდა, რომ ნორმა  
მასზე უფრო გამოცდილი იყო და ძებნის მაგივრად, ნორმას

დაუწყო ცქერა, მალაუნებურად უნდა დავცილდე ვინოს



მის ძალებს, ცალკე გავიდე და ვინაღირო.

ჩემი ყაზბეგი არ იცნობდა როჭოს და მის ჩევევებს. პირველად მყავდა ამ ფრინველზე სანადიროდ, ამიტომ იყო, რომ მისი გულმოლგინე ძებნა შედეგს არ იძლეოდა. ორ საათს ეიარე თითქოს საუკეთესო აღგილებში, შეერში, მაღალ ბალაბში, რაც შემეძლო გავთელე მთელი მიდამო, მაგრამ ვერც ერთი როჭო ვერ ვნახე, ვერ ავაფრინე.

მაგრამ აი ჩემი ყაზბეგი თითქოს გამზიარულდა, კუდის ქნევას მოუმატა, თავი მაღლა ასწია, პაერი სარბად შეისუნთქა, თითქოს რაღაცის ძლიერ გემრიელი სუნი ეცაო და ჩქარი ნაბიჯით შეერის ბუჩქებს შეერია. მე კვალდაკვალ მივდევ ძალლს.

ყაზბეგი დადგა.

როჭო ძალლს არ უჩერდება. მე ეს ვიცოდი და ამიტომ სასწრაფოდ ვუბრძანე ძალლს: წინ, წინ! ყაზბეგი პატარა ბუჩქს მიახტა, მაგრამ რაღაცნაირად შედგა, კუდის ქნევა დაუწყო, უცბად რაღაც მოისაზრა და სასწრაფოდ რაღაც უჩინარს დაედევნა. მე ორმოციოდე ნაბიჯით უკან დავრჩი. ყაზბეგის წინ დედალი როჭო ამოფრინდა და სწრაფად მიეფარა. სროლა ვერ მოვასწარი. ყაზბეგმა დარცხვენით შემომხედა და ისევ ძებნა დაიწყო.

მალე ძალლმა ფრინველის სუნი იგრძნო და სვლა შეანელა. წინ დიდი ბმაურით მამალი როჭო აფრინდა და კავკასიის როჭოს ჩვეულების მიხედვით, თავქვე დაშვება დააპირა. პაგრამ ჩემი გასროლის შემდეგ ფრთხები მოკეცა და სადღაც წინ ჩივარდა. აღგილა ძლიერ დაქანებული იყო და სად დავარდა, ვერ შევაძინი. სასწრაფოდ დავეშვი სანატრელი ნაღავლისაკენ. ყაზბეგმა მინასწრო და ძებნა დაუწყო.

იქაურობა გადავაბრუნეთ, მაგრამ როჭო ველარსად ვიპოვეთ.

— ნახე, ყაზბეგ, ნახე, — ვევედრებოდი ძალლს, მაგრამ ჩამოვარდნილი ფრინველი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არსად ჩანდა. მაშინ ეჭვი დამებადა, რომ მამალი მხოლოდ დაიჭრა და მისი პოვნა შეერის ხშირ ბუჩქებში უკვე შეუძლებელი

იყო. ნახევარ საათზე მეტი ვჩხრიკეთ იქაურობა მე და ჩემს  
ძალლმა, და ალბათ კიდევ დიდხანს განვაგრძობდი უშედებელი,  
რომ წვიმის მსხვილ წვეთებს არ გამოვეყვანეთ ამ უშედებო  
ძებნიდან.

ნაღირობით გატაცებულმა ვერ შევამჩნიე, როგორ ჩქარა  
მოგროვილიყო ჩემს თავზე შავი ღრუბელი. ჩქარა შევიკარ  
ქურთუკის ღილები, თოფი გადავაბრუნე და თხელტოტებიან  
პატარა ხეს მივაშურე.

დაიქუხა. ხეობამ ხმა მისცა განრისხებულ ცას და წვიმა  
ნამდევილმა, წვრილმა, მსუსხავმა სეტყვამ შესცვალა. ტყუი-  
ლად ვცდილობდით მე და ჩემი ძალლი თავი დაგვეფარა პა-  
ტარა ხის მეჩერ ტოტებქვეშ, სეტყვა სახეში მწვავედ გვცე-  
მდა და ჩაცუცეულები უწყალოდ ვსველდებოდით.

ჩვენს იღბალზე სეტყვიანმა ღრუბელმა ისევე ჩქარა გა-  
ღინაცვლა, როგორც მოვიდა. ლურჯი ცა გამოჩნდა, მზემ  
გამოანათა და მალე თავით ფეხებამდე დასველებული მონა-  
დირე და მისი ძალლი გაათბო და გააშრო. ღრუბელი კი მე-  
ზობელ ხეობაში ჩაწვა და უხვად დააყარა მას თეთრი წვრი-  
ლი ყინული.

მე და ჩემი ძალლი კვლავ სველი, მოლაპლაპე შეერის  
ბუჩქებში დავდივართ, მაღალ ნაბიჯებს ვადგამ, რომ კიდევ  
უფრო არ დავსველდე.

ყაზბეგმა სვლა შეანელა, თავი გაჭიმა, რამდენიმე ნაბიჯი  
წინ წაღვა და გაინაბა.

— ეცი! — ვეძახი ძალლს, — ეცი! — ეუმეორებ, მაგრამ  
იგი ადგილიდან არ იძვრის. მე უკვე ვდელავ და ბრძანებას  
ვიმეორებ, ძალლი კი ნაბულს თავს ანებებს, თავს ძირს სწევს  
და კუდის ქნევას იწყებს. მე თვითონ მივდივარ ძალლთან,  
თან ადგილს ვათვალიერებ. ვხედავ, ძალლის წინ მკვდარი  
როჭო ვდია. მიდამოს ვაკვირდები, თურმე ერთსა და იმავე  
ადგილს მიტრიალია. ბეღნიერმა შემთხვევამ აპოვნინა ყაზ-  
ბეგს ჩვენი პირველი ნალავლი. სიამოვნებით დავსწედი უკვე  
გაციებულ მამალს და ამაყად ჩამოვიყიდე იგი ჩანთაზე.

მეც ხომ უკვე მაქვს ნანადირევი!

გუნება შემეცვალა, კარგ ხასიათზე დავდექი. ახალი ენერ-



გით განვაგრძე ნადირობა. დამავიშუდა დაღლილობა. ყაზა-  
ბეგიც გამოცოცხლდა და მუყაითად დაიშვი ძებნა. წინ ასამითავა  
როჭო აფრინდა და დაღმა დაეშვა. ძლიერ მოვასწარი სროლა,  
მაგრამ დავაცილე. ქვევით კი, ცოტა ჩემს დაბლა, კანტიკუნ-  
ტად გაისმოდა სროლა. ვანო და ქიტესა ისროდნენ.

კლდოვან ქიმზე ვიდექი და ხარბად ვსუნთქავდი მთის  
სუფთა, სეტყვისაგან კიდევ უფრო გაშენდილ და გაცივე-  
ბულ ჰაერს, თან ჩემ გარშემო მდებარე თვალწარმტაც ქე-  
დებს, ხეობებსა და კლდეებს ვათვალიერებდი. იქვე ყაზბეგი  
ნაბულზე გაჩერდა. ხავერდოვანი ტყის ქათამი აფარფატდა  
ჩემ წინ. ვესროლე. როგორც შემოღომაზე ჩამოვარდნილი  
ხის ფოთოლი, ისე დაეცა იგი ბალახზე.

ფერდობს აღმა გვერდელად შევყევი, სველ ბალახზე  
ფეხი სხლტება, ხელებით ბუჩქებს ვეჭიდები, ვცდილობ,  
მაღლა ავიდე, იმედი მაქვს, რომ იქ მეტ როჭოს ვნახავ. და  
აი, უცბად, სადღაც ზევიდან გაჩნდა შავი მამალი, არწივივით  
გაშლილი ფრთებით ჰაერში ირაო გააკეთა და, როგორც ქვა,  
ისე ჩავარდა ჩემ ზევით, სადღაც ბუჩქებში. იმავე წამს სა-  
დღაც მეორე მხრიდან გაჩნდა მეორე მამალი და ისიც პირველ-  
თან ახლოს ბუჩქებში ჩაეშვა.

მთელი ძალლონე მოვიკიბე, რომ მივახლოვებოდი იმ  
აღგილს, სადაც ის-ის იყო როჭოები ჩასხდნენ. სველ ბალახზე  
ფეხს ვერ ვიკიდებდი. გულს ბაგაბუგი გაპქონდა. სული მე-  
ხუთებოდა. როგორც იქნა, ზევით ჩოქვით ავედი. ძალს  
ვუბრძანე — წამოსულიყო და ისიც მორჩილად ჩემს უკან  
მოიპარებოდა. უცნაური სურათი წარმომიდგა, როდესაც  
ზევით ავედი.

ჩემს ზევით, დაახლოებით ას ნაბიჯზე, ბალახით დაფარულ  
ციცაბო მთის კალთაზე, პატარა ხევის თავზე ირგვლივ, რო-  
გორც პირველად მომეჩვენა, შვიდი შავი კატა იჭდა. დღესაც  
კი ვერ გამიგია, რად ვამსგავსე შვიდი შავი როჭო კატებს,  
მაგრამ შთაბეჭდილება სწორედ ასეთი და სრულიად ნათელი  
იყო. რასაკვირველია, მალე მივხვდი, რომ ეს კატები არ იყო,  
ეს ჩემი მონადირული ოცნების საგნები — როჭოები იყვნენ  
და ისიც ასე აშკარად, გამომწვევად გამოფენილი და თითქოს

ადგილზე გაქვავებული. არც ერთი არ იძეროდა. მაგრა იმის  
ნიშანი იყო, რომ იმათ მე შემამჩნიეს და ახლა კონფინაციულ  
ჩემს მოძრაობას უთვალთვალებდნენ.

თითქოს მიწას გავეკარი, ბალას დავებლაუჭე და სანუკ-  
ვარი მიზნისაქენ ფოფხვა ვიწყე. ათი ნაბიჯის გადადგმა ვერ  
მოვასწარი, რომ ერთი მამალი აფრინდა და გაუჩინარდა.

— შორს არის, თოფი ვერ მისწვდება! — ვარწმუნებდი  
ჩემს თავს და ისევ მივფოფხავდი ზევით. პირველს მეორე  
აპყვა, შემდეგ კიდევ ორი აფრინდა. მხოლოდ სამიღა დარჩა  
ადგილზე. კიდევ რამდენსამე წამს რომ დარჩებოდნენ, სა-  
მოცდაათ ნაბიჯზე მაინც მივუახლოვდებოდი. ჰაერი არ მყო-  
ფნიდა, პირი გამიშრა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო,  
მაინც თავს ძალას ვატანდი და წინ მივიწვევდი. ახლა უკვე  
გარკვევით ვხედავ მათ წითელწარბებიან თავებს. რაღაც მოძ-  
რაობა შევამჩნიე, თითქოს თავები ერთად მიიტანეს და რა-  
ღაცას ჩურჩულებენ, და უცბად კიდევ ორი აფრინდა ადგი-  
ლიდან. მოცდა აღარ შეიძლება. ნიშანში ვიღებ დარჩენილს,  
გასაფრენად ფრთხები რომ გაშალა, მარცხენა ლულიდან სამი  
ნომერი საფანტი ვესროლე.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს, მამალი მთის კალთაზე  
ქვევით მიგორავს. ვაითუ დაჭრილია და წამივიდეს!

ფეხზე წამოვვარდი და რაც ძალი და ღონე მაქვს, მისკენ  
გავრბივარ. მთლად სველი, აკანკალებული ხელებით დავს-  
წვდი მაყვალივით შავ მამალს, იქვე ჩავიკეცე და ხარბად და-  
კუწყე სინჯვა ულამაზეს ფრინველს. მაგრამ მე შემამჩნია, მიმართუ-  
ლება შეცვალა და მთის თხემს მიეფარა. ეტყობა, ესეც ამ  
მამლების საკრებულოში მოდიოდა.

რაშია საქმე? რატომ იყრიდნენ აქ თავს მამალი როჭოე-  
ბი? ქანცგამოლეულმა ძლივს მივაღწიე იმ ადგილამდე, სადაც  
მამლებს სათათბირო მოეწყოთ. აქ ოდნავ შესამჩნევი წყარო  
გამოდიოდა — აი, თურმე რა იყო როჭოების თავმოყრის  
მიზეზი. გარდა ამისა, აშეარაა, რომ გაშლილი მაღლობი უყ-  
ვართ ჩვენს როჭოებს. ეს კერძო კიდევ აჭარაში შევამჩნიე.  
მაგალითად, გოდერძის ულელტეხილზე საღამო ხანს კლდე-



გული დამწყდა, რომ ასე გვიან წავაწყდი ამ ადგილს, მით უმეტეს, რომ რაღაც ოცდახუთიოდ ნაბიჯზე მშენები საფარი, დიდი ბუჩქი იდგა, საიდანაც ადვილად შეიძლებოდა სროლა. მე მაშინვე ამ ბუჩქს მივაშურე, იმედი მქონდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მოფრენილიყო რომელიმე დაგვიანებული სტუმარი. და, მართლაც, მალე ჩემს თავზე სტვენით გადაიფრინა მამალმა როჭომ, რომელსაც მე ასე მოულოდნელად დავაცილე.

ვზიგარ და ველოდები. ჩამობნელდა. დროის მიხედვით თითქოს გვიან არ არის, — მხოლოდ ხუთის ნახევარია. მთამ დღეს ბევრი რამ განგვაცდევინა: ჯერ მწვავე მზემ გვაცხუნა, მერმე წვიმამ დაგვასველა, სეტყვამაც დაგვსუსხა, ახლა კი წვრილი ხოშკაკალა წამოგვაყარა. მართალია, დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ შემაშინა: არც მაინცდამაინც სასიამოვნო იყო მთაში, თოვლში გარეთ ღამის გათევა.

ჩემარი ნაბიჯით თავშე დაუეშვი, ვანოს თოვის ხმას მივაშურე.

თავშე სიარული, რასაკვირველია, უფრო ძნელი იყო, სამაგიეროდ გული და ფილტვები ისევნებდნენ. ორჯერ სროლის ხმა გაისმის, ახლოს „ჰოპ, ჰოპ“ მესმის. ეს ვანოა. ქიტესას ძალლიც ყეფს.

ხოშკაკალამ გადაიღო. ბანაკს მივუახლოვდი. უკვე ღამდებოდა.

დაღლალი, მაგრამ კმაყოფილი და ბედნიერი ცეცხლს მიუჩექი და სველი ფეხები მივუფიცხე. სასიამოვნო სითბომ მალე მთელ ტანში დამიარა.

ქიტესა იყო დღევანდელი ნადირობის მეფე: მას ხუთი როჭო მოეკლა, სამი მათგანი მამალი იყო. ვანოს ერთი მამალი და სამი დედალი აეღო. მე ორი მამალი და ერთი ტყის ქათამი მქონდა.

— დღევანდელი ნადირობა აღგილების მოსინჯვაა, — თქვა ვანომ და ცხელი ჩაი მომაწოდა, — ახლა ჩვენ ვიცით, სად არიან როჭოები და ხეალ ვაჩვენებთ მაგათ...



მე ჩემს თავგადასავალს მოეყენე და ოოჭოების ჰაერშომულოს — პატარა წყაროს — შესახებ ვუამბე ვანოს.

— ხვალ აღრიანად პირდაპირ იქით უნდა გავსწიო. — დავსძინე მე, — ჩემი გამოუცდელი ძალლის იმედი არა მაქვს, თანაც დავიღალე სველ ციცაბოებზე ფოთხვით.

ნადირობამ ისე გამიტაცა, რომ მთელ დღეს ლუქმა არ ჩამსვლია პირში, სამაგიეროდ ახლა ვისრულებდი მთელი დღის დანაკლისს და მაღიანად ვილუკმებოდი სანდროს გაკეთებულ ცხვრის ბასტურმას, თანაც ზედ კახურს ვაყოლებდი.

ზღაპრულად მეჩვენებოდა ამ უკაცრიელში, დადუმებულ მთებს შუა, ათას რვაასი მეტრის სიმაღლეზე, დიდი ცეცხლის პირად გამართული ეს ვახშამი.

ვანო გვიამბობდა თავისი ნორმას მუშაობის შესახებ. იგი აღტაცებული იყო ძალლით და განსაკუთრებით ლექვით.

— წარმოგიდგენია, მარსმა დღეს ხუთი ნაბული გააკეთა! — აქებდა იგი ლექვს და ხორცის ლუკმებს ზედიზედ აწვდიდა.

დიღხანს ვისხედით ცეცხლის პირას და ვუზიარებდით ერთმანეთს დღის შთაბეჭდილებებს. მაგრამ ბოლოს დაღლილობამ თავისი ქნა. ამოვთხარეთ თივა, მოვისხით თუ რამე თბილი გვქონდა და ჩავწექით სურნელოვან ბალახში. ძალებმაც ჩვენთან მოიკალათხს.

ძალიან ვეცადე, მაგრამ დიღხანს არ დამეძინა: დღის შთაბეჭდილებები წარმოდგენაში ერთმანეთს სცვლილნენ, თანაც მხარი მტკიოდა, ოდნავ მციოდა კიდეც. მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა ღრმა, მაგრამ ხანმოკლე ძილით.

სალამოსვე სქელი ღრუბლები ჩამოწვა, ნაშუალამევს კი მთელი მთა და მასთან ერთად ჩვენი თივის ზვინებიც და ჩვენც სქელმა ნისლმა დაგვფარა. ჩემს თხელ წამოსასხამში აღვილად გაძვრა სინესტე და კანკალი დამაწყებინა. როგორ ვინატრე მაშინ ჩვენებური ნაბადი, — მთაში ღამის გათევის ეს უებარი საშუალება!

დახუჭულმა თვალებმა დღის სინათლე იგრძნო. ჩემს „ლოგინზე“ წამოვჭექი. თვალები გავახილე. მთელი მიდამო მოღუშულია. სქელი ნისლი წვრილ წვიმის შეუცვლია და გარ-



შემო ყველაფერი სველია. ისევ ცრის. აქედან ძლივს ჩანს ხანდო, ბუხრებიდან ბოლი ამოდის და ნელ-ნელა ციხავენ მიიწევს. რად ღირს ახლა გახურებულ ბუხართან ჯდომა!

ნადღის ქვეშ ხვრინვა მიწყდა. გრძელმა ცხვირმა პატრონს გარეთ გამოასწრო და ვანოც იმ წამს ნაბაღზე წამოჭდა.

— რაო, წვიმს? ერიპა! — ნაწყენი კილოთი იკითხა მან და სახე მოელუშა, თავი გაიქნია და შუბლზე სამჯერ მიირტყა ხელი.

— მახლას! — დააყოლა ვანომ და ისევ ნაბაღვეშ შეძვრა.

— მართლაც რომ მახლას, რა უნდა ვქნათ? — ვიკითხე მეც, მაგრამ პასუხი რომ ვერ მივიღე, მეც ჩემს წამოსასხამს მივმართე და თვის ბულულს დავუბრუნდი.

კვლავ სცრიდა, ეტყობოდა, მთელ დღეს ასე იქნებოდა. ქიტესამ ჩემი ვარაუდი დაადასტურა. პირდაპირ გამოვიცხადა, რომ საჭიროა დავბრუნდეთ შინ, დღეს ნადირობა არ შეიძლებაო.

და, მართლაც, ვინც წვიმაში მთაში მოხვედრილა, მან კარგად იცის, რომ სველზე მთაში სიარული შეუძლებელია: სველ ბალახზე ფეხი სხლტის და ხელის მოსაკიდი კი არსადაა.

საშინელი ჩასავალია.

ნახევარ საათში ჩენ უკვე მდინარის პირას გავჩნდით, თავით ფეხებამდე დასველებულები.

ხანდოში ცხელმა ბუხარმა გონებაზე მოგვიყვანა, ცოტა დავნაყრდით, ცხენებზე შევსხედით და მალე ფასანაურისაკენ გამოვსწიეთ.

ისევ მოგუგუნე ბუხარი. თოფები გავწმინდეთ და სუფრას შემოვუსხედით, რომელსაც ნახევარფუთიანი არაგვის ორაგული ამშევნებდა.

ჩემს სანადირო ჩანთაში ცირცლის სისხლისფრად წითელ მტევნებთან ერთად, ორი ულამაზესი როჭო დევს. ერთი მათვანი ვანოს დედალზე შევუცვალე, რომ დედალ-მამალი როჭოსაგან ერთი ჯგუფური ფიტული გამეკეთებინა.

დიდხანს ვინახავდი ცირცლის მტევნებს. როდესაც კი შევხედავ ამ ცეცხლისებურ მღელვარე გარეულ ნაყოფს,



ფიქრი მაშინვე ხანდოში ნადირობისაკენ მიმირბის, უფრო მატები  
იმ ფაქიზ გრძნობებზე, რომლებიც ასე შეიპყრობენ ზღვაზე  
ადამიანს როგორც ბუნებაში, ისე ნადირობისას.

დავიწყებას ეძლევა ყველა გაჭირვება, უხერხულობა და  
მახსოვრობაში მხოლოდ ლამაზი, მუდმივ ახალგაზრდული  
სანადირო განცდები რჩება.



## პროფესორთან

პირველი იმპერიალისტური ომის დროს თბილისელ მონა-  
ძირეთა უმრავლესობა ფრონ-  
ტზე იყო წასული. თბილისში  
დარჩენილი მონადირეები მუ-  
შაობას განაგრძობდნენ ზურგ-  
ში, დაწესებულებებში. საქართ-  
ველოს დედაქალაქის მჩქეფარე  
ცხოვრება თითქმის ჩაკვდა,  
ფრონტიდან სასიამოვნო ამბე-  
ბი არ მოდიოდა. როგორც ირ-  
წმუნებოდნენ, იქ მიუტევებელ საზიზღროებას სჩადიოდნენ  
უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, რაშიაც თვით  
მეფის ოჯახიც ერია. საქმეს ღალატის სუნი უდიოდა.

ასეთ პირობებში ადვილად გასაგებია, რა დიდი მნიშვნე-  
ლობა ექნებოდა ბუნების წიაღში სანადიროდ გასვლის თვი-  
თეულ შემთხვევას, ამხანაგების წრეში დღის გატარებას, ამაღლელვებელ სამონადირო განცდებს. თვითეული ასეთი გა-  
სვლა ყველა მონადირის თცნების საგნად იყო გადაქცეული.

მაშინ ცალკე წასვლა სანადიროდ საშიშიც იყო. დროდა-  
დრო გახერხებდით კოლექტიური ნადირობების მოწყობას, ხან  
გარეულ ღორებზე და ხან სხვა მტაცებელ მხეცებზე. ასეთი  
ნადირობები უმთავრესად ყარაიას (ახლა გარდაბნის) ტყეებ-  
ში ეწყობოდა. ეს ტყეები ყოფილი საუფლისწულო სანადი-  
რო აღგილები იყო.

1914 წლის ნოემბრის უკანასკნელი დღეები იდგა. მზიანი,  
ობილი ამინდები დაიჭირა. ყველაზე უკეთესი ღროა მხე-  
ცებზე ნადირობისათვის, როდესაც ტყეს ფოთოლი გაცვენი-



ლი აქეს, როდესაც ნადირი სუქდება გარეულ ხილსა და მარტო კალზე, დაისვენა ზაფხულის სიცხისაგან და მოათავს შემომარტონ მაცელობის გაზრდა.

ჩემთან ჩემი კარგი მეგობარი ვანო მოვიდა. იგი ასეთი ნადირობების ცნობილი ოსტატი იყო. ვანომ მოხვა მონაწილეობა მიმელო გარეულ ღორებზე ნადირობაში მომავალ კვირას, 6 დეკემბერს.

რასაკვირველია, მე დიდი სიხარულით დავთანხმდი.

უცაბედად მოულოდნელი მიზეზი გადამეღობა წინ: ომის გამო საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ჩემი ცოლის მშობლები სტუმრად ეწვივნენ ჩვენს ოჯახს და სწორედ 6 დეკემბერს გადაწყვიტეს ედლესასწაულათ ჩემი სიმამრის — მოხუცი პროფესორის — სახელშოდების დღე. ჩემი ცოლი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ მე ამ დღეს სანადიროდ წაგსულიყავი.

— მოხუცები ძალიან ნაწყენი დარჩებიან და არასოდეს არ გაძატიებენ ასეთ უყურადღებობასო, — მარწმუნებდა იგი.

დიდად გულნატკენი დავეთანხმე მას და ძლიერ დავღონდი, რადგან ვკარგავდი მეტად საინტერესო ნადირობაში მონაწილეობის საშუალებას.

ჩემს იღბალზე ვანომ კვლავ შემოიარა ჩვენთან. როდესაც ჩემი დაღონების მიზეზი შეიტყო, იგი ჩვეული აღმოსავლური მჭევრმეტყველებით შეუდგა მოხუცების „დამუშავებას“. განსაკუთრებით მყაცრ და წესრიგისმოყვარე პროფესორის მეუღლეს შეუჩნდა. ქალი ირწმუნებოდა, რომ სამოცდაათი წლის მოხუცი პროფესორი, რომელიც თავის დღეში არავითარ ნადირობას არ დასწრებია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ წავა სანადიროდ, როგორც ამას ვანო ითხოვს. ათასი რამ შეიძლება მოხდეს — გაცივდეს, ღორჩია ეშვი გაკკრას, ან რომელიმე მონადირის გასროლილი ტყვია უცაბედად მას მოხვდეს. ერთი სიტყვით, მტკიცე უარი მიიღო ვანომ.

მაგრამ ეს ენერგიით აღსაესე და თავის თავში დარწმუნებული ადამიანი არ ცხრებოდა. იგი მაინც ამტკიცებდა, რომ



თუ ნიკოლოზ დანიელის-ძე არასოდეს სანადიროდ არ ყოფილი გაიცის, რა არის ნადირობა, რომ მონადირეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მას, მოუკლიან, ხელის გულზე ატარებენ, რომ საუკეთესო ამინდია, თითქოს გაზაფხულია, რომ ტყეში პროფესორი ისე იგრძნობს თავს, როგორც აგარაკზე, დაისვენებს, თავიდან მოიშორებს ფიქრებს ომის შესახებ.

ვანო არ მოეშვა მოხუცებს, ვიდრე არ დაითანხმა ისინი, პროფესორს ნება მისცეს სანადიროდ წამოსულიყო. თბილად ჩატმული და სათანადოდ გამზადებული პროფესორი ჩემთან ერთად ნადირობის წინა დღით მატარებლის რბილი ვაგონით ციცვალში ჩავიდა.

რამდენიმე სიტყვით მინდა ავწერო ის ადგილები, სადაც ეს ნადირობა იყო განზრახული. ჩვენს დროს გარდაბანის ეს სანადირო ტყე აღკვეთილად არის გამოცხადებული, ხოლო აზერბაიჯანის სათანადო ტერიტორია კი ფოილომდე ნაკრძალია. ახლა აქ, როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყოველგვარი ნადირობა აქრძალულია, უმთავრესად ირმის, ხოხბისა და სხვა ნადირ-ფრინველის დასაცავად.

მეფის დროს მტკვრის მთელი მარცხენა ნაპირის ეს დიდი ტერიტორია ტყით იყო დაფარული. იგი უფლისწულებს ჰქონდათ მიუკუთხნებული და მეფის ნაცვლის შვილების ყარაიას სანადირო სანახებს შეადგენდა, რომლებიც სასტიკად იყო დაცული სხვა მონადირეებისაგან.

დიდი რაოდენობით იყო მაშინ იქ ნადირი: ღორების ფარებს სათვალავი არ ჰქონდა, ხოლო ათასამდე ირემს ითვლიდნენ აქაური მცველები. დროგამოშვებით აქ ნადირობას აწყობდნენ წარჩინებულ პირთათვის, მომრეკებად კი სამხედრო ნაწილებიდან გამოცდილ მონადირეთა რაზმები მოჰყავდათ. ასეთი ნადირობისას ორ დღეში კვდებოდა ორმოცდა-ათზე მეტი გარეული ღორი და ოცზე მეტი ირემი.

ომის დასაწყისში ყარაიაზის სანადირო ადგილების დაცვა მოხსნეს და სანადირო სანახები ერთბაშად გაანადგურეს ახ-



ლო სოფლების მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა გლუხებში უკავშირდება ლოდ ხოცავდნენ ღორებსა და ირმებს. ბაძავდნენ უფლის-წულების ნადირობას და ამასხრებდნენ თვით ნადირობის შინაარსს: სხდებოდნენ იმ საფრებში, რომლებიც წინათ დიდი წოდების ხალხს ეყავა და ამჟამად შიგ მსხდომთ მასხრობით უწოდებდნენ ამ საფრის ყოფილ პატრონთა ტიტულებს: „მეფისნაცვალო“, „დიდო მთავარო“, „გენერალო“ და სხვა.

ერთი თვის განმავლობაში ამოწყვიტეს ირმების ჭოგები და ღორების უმრავლესობა. ნანადირევის ხორცი გროშის ფასად იყიდებოდა თბილისის ბაზარზე.

მიუხედავად ასეთი ბაზაროსული შესევისა, ტყეში მაინც ვადარჩა საკმაო რაოდენობით ნადირი და ღორების დიდი ფარები. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ სამხარეო ხელისუფლებამ კვლავ თავის ხელში აიღო ამ სანადირო ადგილების დაცვა. თბილისელ მონადირეებს ზოგჯერ ნებას აძლევდნენ, ამ ტყეში მოეწყოთ მორეკვითი ნადირობა ღორებსა და მტაცებელ მხეცებზე.

აი, სად მიგვყავდა სანადიროდ პროფესორი!

რბილ ვაგონში კარგად გამოძინებული პროფესორი გამთენისას მარჯვედ ჩამოხტა მატარებლიდან და ჩვენთან ერთად წამოვიდა ტყისაკენ. მე იგი ამხანაგებს გავაცანი. თვითეულმა მათგანმა თავის მოვალეობად ჩათვალა, ხელი ჩამოერთმია პროფესორისათვის და ორიოდე გულთბილი სიტყვა ეთქვა. ყველანი ფეხით მიგდიოდით, პროფესორისათვის კი ვანოს ცხენი ეშოვა. დიდი გაჭირვებით შევსვით იგი უნაგირზე: გამოირკვა, რომ ჩვენი სტუმარი ცხენზე პირველად იჭდა. მე, რასაკვირველია, გვერდიდან არ მოვცილებივარ, დანარჩენებიც კი დიდი თავაზიანობით ეპყრობოდნენ მას, მიუხედავად იმისა, რომ ნადირობისას ასეთი პირი უსათუოდ ზედმეტ საზრუნავს წარმოადგენდა.

საუკეთესო თბილი ამინდი იდგა. აღმოსავლეთი ალის-ფრად შეიღება. ტყეში ხეები დილის ოდნავი ბურუსით იყვნენ მოცულნი, უნევად დაპკურებული ცვარი აბრწყინდა ამომავალი მზის სხივებზე. ჩვენც კი, მონადირეები, ტყეში დილის სილამაზეს ჩვეულნი, უნებლიერ განვიცდიდით სასიამოვნო

ალელვებას და ალტაცებულნი ვაკვირდებოდით ბუნების გარე ვიძებას. პროფესორი კი, რომელიც პირველად ხვდებოდა მზის ამოსვლას ტყეში, პირდაღებული, თავშიშველი განცვიფრებას მისცემდა ჯერ განუცდელი სანახაობისაგან და ზედიზედ იმეორებდა:

— რა ზღაპრული სილამაზეა, ევგენი! არასოდეს მსგავსი რამ მე არ მინახევს!

შეუმჩნევლად მივედით ეგრეთ წოდებულ „გრძელ სარეკამდე“. დავდექით. კენჭი ვყარეთ, ვინ რომელ საფარში უნდა ჩამდგარიყო. სარეკში დაქირავებული აზერბაიჯანელი ბიჭები გავგზავნეთ. ნადირობის ხელმძღვანელად ვანო გამოყენით.

ჩემს სარეკში ორნი წავედით — მე და პროფესორი. იგი ბუჩქებში ჩემს სამფეხა სანადირო სკამზე დავსვი, აქედან ყველაფერი კარგად ჩანდა. თან ვთხოვე, ჩუმად მჯდარიყო, არ განძრეულიყო, დამშვიდებით ედევნებინა თვალყური გარემოსათვის.

გაისმა ნადირობის ხელმძღვანელის ნიშანი. შორიდან სარეკში წასულებმა უპასუხეს. სარეკი დაიწყო.

ნელი ნაბიჯით, ბუჩქებში ჯოხების ცემით, ყვირილით, ტაშის ცემით და იშვიათი სროლით მოიწევდნენ მომრეკნი საფრებისაკენ.

დიდ ხეზე მიყრდნობილი განაბული ვდგავარ, ხელში შტუცერი მიჭირავს და ჩემს წინ გაშლილ გაუვალ ეკალ-ბარებს ვაკვირდები.

მომრეკები ჯერ შორს არიან. მაგრამ ჩემს წინ, მარჯვნივ, ხმელი მაღალი ბალახი ოდნავ შეირხა. რომელიდაც კოჭდაბალი მხეცი, — ალბათ ტურა ან გარეული კატა, — ჩემკენ მოიპარება, ჩვეულებრივად ცდილობს, გაუძვრეს ხიფასს.

თვალს არ ვაშორებ ბალახის მოძრაობას.

ბალახის თხელ წვეროებში გამოჩნდა მხეცის ლეგა ზურგი. პროფესორს თვალით ვანიშნებ, მაგრამ მან თვითონ შეამჩნია მოსული ნადირი. ვესროლე. მხეცი იქვე ჩაწვა.

როდესაც სარეკი გათავდა, მივედი მოკლულის სანახავად. ბალახებში ლერწმის გარეული დიდი კატა ეგდო. გამეხარდა,



რომ არ შევრცხვი ჩემი მოყვრის წინაშე და მარჯვე ნაკადული  
ლით იქვე გავაცივე პირველივე ნადირი.

— რა ლამაზად მოჰკალი ეს მშვენიერი კატა! — მომიწონა  
პროფესორმა და თან ხელი გადაუსვა კატის ფაფუქ ბეჭვს.

ამ სარეკში ღორები არ აღმოჩნდა.

შემდეგ სარეკი მოწინააღმდეგე მხრიდან გააკეთა ნადი-  
რობის ხელმძღვანელმა. საფარში მყოფთ გვიბრძანა მხოლოდ  
ზურგისაკენ შევბრუნებულიყავით და ისე დაგვეკავებინა  
ჩვენ-ჩვენი ადგილები. ამისდა მიხედვით შევუცვალე ადგილი  
ჩემს თანამესაფრესაც და ახლა პროფესორი ჩემს უკან დავ-  
სვი. მე კი დიდ წიფელს ამოვეფარე, რომ ნადირს არ შე-  
ვემჩნიე.

დიდხანს მოუნდნენ მომრეკნი ადგილზე მისცლას. ბოლოს  
მორეკვა დაიწყეს. მონადირენი კვლავ გაინაბენ თავთავიანთ  
სახუნდარებში და ლოდინი დაუწყეს ნადირს.

მეც მოვეფარე ჩემს ხეს და კარგად მოვათვალიერე სას-  
როლი არე. ჩემ წინ მეჩერი, სუფთა ტყე იყო, აქა-იქ დიდი  
ხეები იდგა, მიწას თხელი ბალახი ფარავდა. აქ არ იყო გაუ-  
ვალი ეკალბარდი, რომელშიაც მომრეკთაგან დამფრთხალ გა-  
რეულ ღორებს უყვართ გაძრომა.

— არა მგონია, რომ ასეთ ადგილზე ღორი გამოვიდეს,  
შეიძლება მარტო ირემმა ისუკოს ამ ქარაფში. — ვფიქრო-  
ბდი მე. მიუხედავად ამისა, ხეს ისე გავეკარი, თითქოს შევე-  
ზარდე და მომრეკთა მოსვლას ლოდინი დავუწყე. უეცრად  
იმ მხრიდან, სადაც პროფესორი დავსვი, ხმელი ფოთლების  
შრიალი და ფეხის ხმა შემომესმა. მივიხედე და რა ვნახე —  
ჩემი პატივცემული მოყვარე ჭიბეში ხელებჩაყოფილი მი-  
სეირნობდა.

— ესეც შენი პროფესორი, დაიწყო... — გავითიქრე მე  
და ახლა საბოლოოდ დავკარგე ჩემს საფართან რომელიმე  
ნადირის გამოსვლის იმედი.

მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ პროფესორმა მალე მოათავა  
ტყეში გასეირნება, უკან დაბრუნდა და ისევ თავის სკამზე  
ჩამოჭდა.

სწორედ ამ დროს, ჩემს სასროლ არეს იქით, სადაც პა-

ტარა მდინარე „კარასუ“ ჩამოდიოდა, წყალში რაღაც გადასახლდა.

— ღორია, — გავიფიქრე მე.

და მართლაც ორას ნაბიჯზე ჩემგან, დიდი შავი ტახი გამოჩნდა, რომელიც დინჯად ჩემსკენ მოაბიჯებდა. ახლად დასველებული შავად ბზინავდა, მკვეთრად მოჩანდა მეჩერ ტყეში, თეთრად კიაფობდნენ პირში ჩიბუხიერი ეშვები. ჩეენ ვერ გვამჩნევდა და აუჩქარებლად, ზოზინით მოაბიჯებდა.

განსაკუთრებული მონდომებით დაუშემზნე მარჯვენა ბეჭედი და, როდესაც ორმოცდაათ ნაბიჯზე მომიახლოვდა, სასხლეტს თითი გამოვუსვი. თოფი გავარდა და ტახმა წინა ფეხებზე წამოიჩინა. იმავე წამში მეორე ტყვია მივაყოლე. ღორი იქვე ჩაწერა. როგორც შემდეგ ვნახეთ, ორივე ტყვია გულში მოხვედროდა.

მე პროფესორისაკენ მოვიხედე. მოხუცს სახე უბრწყინავდა, ტაშს სცემდა ჩემკენ ხელებგამოწვდილი. მე კი ბედნიერ წუთებს განვიცდიდი, ჩემ წინ მდებარე ჩემ მიერ განგმირულ ცხრაფუთიან მხეცს რომ ვხედავდი. თვითეული მონადირისათვის ადვილად გასაგებია ის სიამაყის გრძნობა, რომელმაც მაშინ მთელი ჩემი არსება მოიცვა.

— საყვარელო ევგენ, გილოცავ წარმატებას! — მომაძახა პროფესორმა. — მოხარული ვარ, რომ ჩემმა აქ ყოფნამ ხელი არ შეგიშალა.

მე კი სრულიად დამავიწყდა პროფესორის უდროო სეირნობა ტყეში, რასაც სხვა შემთხვევაში შეეძლო ჩიეშალა ეს მშენენიერი ნადირობა.

ამ სარეკის შემდეგ შევისვენეთ. მონადირები ერთ პატარა მინდორში მოვგროვდით. ხელდახელ წავისაუზმეთ და ერთმანეთს დღევანდელი ნადირობის შთაბეჭდილებები გავუზიარეთ.

ჩემი ნანადირევის გარდა ორი ღორი და ოთხი ტურა იყო შევდარი. ჩემი ნადავლი ყველას ჭობდა. ამხანაგებმა ხუმრობა დაუწყეს პროფესორს და არწმუნებდნენ, რომ მე მას უნდა უუმადლოდე, რომ ღორი ჩემთან გამოვიდა. ზოგიერთი

ხუმარა თითქოს სთხოვდა კიდევაც, შემდეგი სარეკის დანართი მასთან დამჯადრიყო მხცოვანი სტუმარი.

კეთილი ხასიათის მოხუცს, რომელთანაც რიგრიგობით მიღიოდნენ მონადირეები, ჭიქას ჭიქაზე უჯახუნებდნენ და მის საღლეგრძელოს დიდი პატივისცემით სვამდნენ, გული ამოუჯდა და თვალებზე ცრემლები მოადგა.

მრავალი თბილი სიტყვა უთხრეს პროფესორს ჩვენმა მონადირეებმა. ერთმა მათგანმა დიდი საღლეგრძელოც კი წარმოთქვა. მან ამ სიტყვაში ნადირობა დაახსიათა როგორც დასვენებისა და ღრის გატარების წარმტაცი საშუალება და ბოლოს ასე დაასკვნა:

— ჩვენ არ ვაპირებთ, ძვირფასო პროფესორო, თქვენ მონადირედ გაგხადოთ, მაგრამ ვეიხარია, რომ თქვენს წლოვანებაში, შევძლით თქვენთვის გვეჩვენებინა ნადირობა და მისი წარმტაცი მხარეები... მაში იცოცხლეთ მრავალეამიერ, ნურასოდეს დავვიწყებოდეთ დღევანდელი დღე! ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს მხცოვან პროფესორს!..

მეღგარი ვაშა ვაისმა მთელ ტყეში.

ის კი დიდად კმაყოფილი, მხიარული, თვალცრემლიანი იდგა დიდი მუხის ქვეშ და ოლარ იცოდა, როგორ გადაეხადა მაღლობა ყველასათვის.

თეთრი თმითა და დიდი თეთრი შვერით პროფესორი უჩვეულოდ გამოიჩინდა ახალგაზრდა მონადირეებს შორის. აკანკალებული ხმით ვადაიხადა მან სამაღლობელი და სთქვა:

— მაღლობელი ვარ, საყვარელო და სასურველო მეგობრებო, იმ სიყვარულისა, ყურადღებისა და სათუთი მოპყრობისათვის, რაც გამოიჩინეთ მოხუცისადმი, რომელიც ზედმეტი და ხელისშემშლელი ბარგი იყო თქვენი ნადირობისათვის. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: დღევანდელი დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში, ასეთი რამ არასოდეს არ განმიცდია, იგი მოსავონებლად დამრჩება ჩემი სიცოცლის უკანასკნელ წუთებამდე. ნათლად ვხედავ და მესმის, თუ რამდენი სიხარულის მოტანა შეუძლია ნადირობას, ბუნების წიაღში ყოფნას, რა ცუდად ვიცნობთ და ვერ ვაფასებთ ჩვენ, მეცნიერი მუშაქები, თქვენ საუკეთესო და საინტერესო



სპორტს, რომელიც ადამიანს აძლევს ჭანმრთელობას, ძალას და სულის სიფაქიზეს... სულითა და გულით კიდევ ერთი შედება!

ამ შესვენების შემდეგ კიდევ ორი სარეკი მოვახერხეთ. რამდენიმე ღორი, ბურვაკი და ტურა მოვკალით.

საღამოთი კი შინ მშვიდობით დაებრუნდით. პროფესორი ბელნიერად გრძნობდა თავს ამ მგზავრობის შემდეგ და აღ-ფრთხოებული უამბობდა შინაურებს დღის თავგადასავალს. ჩემზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

პროფესორის თანდასწრებით მოქლული დიდი ტახის თავი დიდხანს ამშვენებდა ჩემს ოთახს.



## დოლიარის ორმომბი

რკინიგზის სადგურ დოლიარის ირგვლივ, განსაკუთრებით მტკვრის მხარეს, წინათ საუკეთესო სანადირო ადგილი იყო. ეს სანადირო სანახები თბილისის მონადირეთა საზოგადოებას ჰქონდა იგარით აღებული.

დოლიარში სანადიროდ წასკა მართლაც რომ სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა თვითეული მონადირისათვის, არა

მარტო ნადირის სიმრავლის მხრივ, არამედ სანადირო ობიექტების მრავალფეროვნებითაც.

სანადირო ფრინველთა შორის აქ ყველაზე ბევრი დურავი იყო. კარგ მონადირეს კარგი ძალით დღეში შეეძლო ოცი-ოცდახუთი ცალი დურავი. მოეკლა. მტკვრის ახლოს, ჭალაში, ზორბი ბუდობდა, მინდორში გნოლისა და კაპის გუნდები იცოდა, განსაკუთრებით ბევრი კაյაბი იყო მტკვრის პირას ქვიშიან გორაკებზე. ეს გორაკები არ უყვარდათ მონადირებს: ამბობდნენ, რომ აქ მონადირები ზოგჯერ ქვიშიან ორმობში ვარდებიან და შიგ ინთენდებიან.

ჭალაში და ხშირ კორულებში ტყის ქათმები იზამთრებდნენ, ყველა პატარა ჭაობში შეიძლებოდა აგფრენოდათ იხვი, კყიამბო. თეთრტროება სარსარაკების გუნდები დაფრინავდნენ დოლიარის ტრამალებზე, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხტებოდნენ კურდლები, რომლებსაც მონადირები მხოლოდ ნადირობის დამთავრებისას ესროდნენ, უფრო სადგურის ახლოს, რომ დიდ მანძილზე არ ეთრიათ გრძელყურა ნანადირევი.



ეს სანადირო ადგილი შენახული იყო თბილისელი მოწვევისა და განვითარებისათვის, ორმოცდაათი-სამოცი კაცი თუ ჩავიდოდა იქ მთელი წლის განმავლობაში. ორი სანდო დარაჯი იცავდა ათას ჰექტარზე მეტ სანადირო სანახებს.

თუ როგორი მრავალფეროვანი იყო იქ ნადირი, შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩემი ერთი დღის ნანადირევით. ეს ნადირობა 1916 თუ 1917 წელს მოხდა. ერთ დღეში იქ მოვკალი ათი დურაჯი, ორი ხოხობი, ორი გნოლი, ერთი კაკაბი, ერთი გარეული იხვი, ორი იხვინჯა, სამი სარსარაკი, ორი ჭყიაშობი და ხუთი კურდღელი.

ნოემბრის მზიანი, თბილი დღეა. დილის მატარებლით თბილისიდან დოლიარს ათი მონადირე ჩავედით.

ჩემი მეგობარი ლადო და მე ერთ მხარეს გავყევით. ერშვი, გრუზინსკი და ჩიკალინი მტკვრისაკენ წავიდნენ. დანარჩენები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ლადოს რამდენიმე დურაჯი გვიმშვერებდა სანადირო ჩანთებს. უცბად ჩვენმა ძალლებმა, ორიემ ერთად, ნაბული გააკეთეს. წყვილი დურაჯი ერთად ამოფრინდა და ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ გაფრინდა. მე მარჯვენას ვესროლე, ჭრელი ფრთები მოკეცა და ძირს ჩამოვარდა მამალი დურაჯი. ლადომ მარცხნივ გაფრენილი ჩამოაგდო და ორივე ნადავლის ასაღებად გავეშურეთ.

კიდევ ერთმა დურაჯმა დაამშვენა ჩემი ჩანთა. კმაყოფილმა პაპიროსი ამოვიღე, მოვუკიდე და ლაზათიანი ნაფაზი დავარტყი. მხოლოდ ამის შემდეგ მოვბრუნდი ლადოსაკენ. გამიკვირდა, რომ ვეღარსად დავინახე, თითქოს მიწამ ჩაყლაბაო. აქა-იქ მიმობნეული ხეები და მაყვლის ბუჩქები არ ფარავდნენ მიდამოს. გარშემო ყველაფერი კარგად ჩანდა. მაგრამ მეგობარს მაინც ვერ ვხედავდი, ვეძახდი: „ჰეი, ჰეი“, მაგრამ იგი არ პასუხობდა.

გავეშურე იმ ადგილისაკენ, სადაც ლადოს ნასროლი დურაჯი ჩამოვარდა, იმ იმედით, რომ მას იქ საღმე ბუჩქის ძირის ჩრდილში ვნახავდი დასვენებულს.

როდესაც ცოტა ახლოს მივედი, თითქოს მიწის ქვეშიდან მომესმა ყრუ ყვირილი „ჰოპ, ჰოპ, აქეთ, აქეთ!“



მალე აზერბაიჯანის ამ მიღამოებისათვის დამახსრებელი მიტოვებულ ჭას წავიშვიდი, რომელსაც ნაპირები დაფარული ჰქონდა მაღალი შალტამით. მაღალ ბალახში ლადოს რექსი იწვა, გრძელი წითელი ენა გადმოეგდო და ბაბანებდა, ეტყობოდა, პატრიონის მოლოდინში ისვენებდა, თან წკმუტუნებდა. პატრიონი კი სასოწარკვეთილი შველას თხოულობდა ღრმა, ხუთ-ექვსმეტრიანი ჭიდან.

— ხომ არაფერი იტკინე, ლადო, ხომ არაფერი მოიტეხე? — ჩავდახე მეგობარს.

— მგონი, არაფერი... დავიშეშე კი მაგრად, — მიპასუხა ლადომ ქვევიდან.

საბედნიეროდ ფეხზე შეყენებული და დატენილი თოფი წაბორძიებისას იქვე დავარდნოდა და ჭის პირას ბალახში ეგდო. ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა, თოფით ჭაში რომ ჩავარდნილიყო!

თოფის ღვედები ერთმანეთზე გადავაბი, ტყავის ქამარიც მოვიშველიე და ერთი ბოლო ლადოს მივაწოდე. დიდი გაჭირვებით მეგობარი ღრმა ორმოდან ამოვათრიე.

გაფითრებული, დაუეუილი, ტალახში ამოსვრილი ლადო ხან მუხლებზე ისგამდა ხელს, ხან წელს იზელდა და ხან თავს ისინჯავდა. იგი ჭის პირში იჯდა, საწყალისა და ტანჯულის შეხელულება ჰქონდა. მშვენიერად დაწყებული დლევანდელი ნადირობა შეიძლებოდა, სამწუხაროდ დამთავრებულიყო: გასაკვირი არ იქნებოდა, ამ სიმაღლე ჭაში ჩავარდნისას კაცს კისერი მოეტება.

მაგრამ ამჯერად ადვილად გადავრჩით. ლადო კოჭლობდა, კვენსოდა, მთელი სხეულის დაუეუვას უჩიოდა. მაგრამ ნაღირობამ ყველაფერი გადაავიწყა, წელშიაც გაიმართა და ჩვენ ისევ განვაგრძეთ ნაყოფიერი ნაღირობა. შუადღისას ძველ აზერბაიჯანულ სასაფლაოზე მივედით. საუზმისათვის აქ უნდა მოგვეყარა ყველას თავი, ასე იყო დათქმული.

ერშოვი, გრუზინსკი და ჩიკალინი უკვე მისულიყვნენ, ჩრდილში ისხდნენ და სუფრას აწყობდნენ, თან რაღაცაზე ჩიკალინს უჯავრდებოდნენ და ეკამათებოდნენ. როდესაც მივუახლოვდით, ერშოვმა მაშინვე მოგვაძახა:

— იცით, რა ჩაიდინა „მათმა ინჟინრულმა ბრწყინვალებამ“? — ჩიკალინზე მიგვითითა და შეკითხვაც კი არ გვაცემოდა არა, ისე დაიწყო მონადირე-ინჟინრის თავგადასავალის მოყვარულია ლა, რომელთან შედარებითაც ლადოს ჭაში ჩავარდნა მოგონილი იყო.

ათიოდე დურაჯი უკვე დაეხოცა ჩიკალინს, შემდეგ კი მისი საყვარელი კაპების დასახოცად ქვიშიანი გორაკებისაკენ წასულიყო. „კაკარა, კაკარა!“ — ესმოდა მონადირეს კაპების გამაღიზიანებელი კაკანი, ფერდობში მოცქრიალე ზოგიერთ მათგანს კიდევაც ხედავდა.

ყავისფერფოთლებიანი პოინტერი ფეხთან მოიხმო ჩიკალინმა, უკან გაყოლა უბრძანა და თვითონ კი კაპებისთვის მიბარება სცადა.

ჩიკალინი ქვიშიან გორაკის თხემს მიჰყვებოდა. ფეხებს ფრთხილად ადგამდა ფხვიერ სილას.

გავარდა თოფი, კაკაბი ფერდობზე ჩამოვარდა და დაგორდა. ჩიკალინმა ვერ მოითმინა და გაიქცა ნანადირევის ასაღებად. ათი ნაბიჯიც არ გაევლო, რომ მარჯვენა ფეხი სილაში მუხლამდე ჩაეფლო, მოხრილმა მარცხენა ფეხმაც სადღაც ჩაძირვა დაიწყო. რამდენიმე წამის შემდეგ მონადირე სილის ძაბრში აღმოჩნდა, რომელიც წვრილ სილასთან ერთად მას შთანთქმით ემუქრებოდა.

თოფი ხიდივით გადვა ორმოს თავზე, ორმოსი, რომელშიც უკვე წელამდე იყო ჩაფლული, ხელებით თოფს და ორმოს გვერდებს ჩაეჭიდა. სილა თანდათან ცვიოდა ორმოში და თან ძაბრში გაჭედილ მონადირეს ქვევით ეწეოდა, ფეხები კი თავისუფლად ეკიდა ჰაერში. ყოველი ცდა, როგორმე ზევით ამოსულიყო, ფუჭი გამოდგა. ორმოს გვერდების სილა კვლავ ცვიოდა, სილა ზევიდან აწვებოდა დურაჯებით საგსე ჩანთას და ხიფათში ჩავარდნილი მონადირე სულ უფრო ღრმად ეფლობოდა ორმოში. სილის ჩაცვენა მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როდესაც ჩიკალინი მოძრაობას შესწყვეტდა. მონადირე უნუგეშო მდგომარეობაში იყო. მაშინ მან ასტეხა ყვირილი, საშველად მოუხმობდა ამხანაგებს, თან ცდილობდა, გაუნძრევლად ყოფილიყო.

ჩიყალინის იღბალზე იქვე, ახლოს, ჭალაში, დაწილებული  
გრუზინსკი და ერმოვი, რომლებიც მალე მივიღნენ უმისათხურს  
ძახილზე. მაგრამ მასთან მისვლა ვერ გაძედეს, და ერმოვი  
ახლობელ სოფელში გაიქცა მაშველის მოსაყვანად.

გრუზინსკიმ მოიხსნა ზედმეტი ტვირთი, თოფი დატოვა,  
თვითონ კი დაწოლილმა გველივით დაიწყო მიცოცება ორ-  
მოში მომწყვდებულ ამხანაგთან. მიუახლოედა და დანით შეა-  
ჭრა გვერდზე ჩამოკიდებული ჩანთა, რომელიც თვალის და-  
ხამხამებაზე ორმომ შთანთქა. ჩიყალინმა კი, თითქოს ვიღაცამ  
ხელი მოპყიდაო, ისეთი სიმსუბუქე იგრძნო.

— მიშა, ძვირფასო, ერთი პაპიროსი ჩამიღე პირში! —  
უცნაური თხოვნით მიმართა სილაში ჩაფლულმა ამხანაგს. და  
როდესაც მის პირში აბოლებული პაპიროსი გაჩნდა, დაცინ-  
ვაც კი დაუწყო საკუთარ თავს, რომელიც ისეთ არც თუ სა-  
საცილო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი.

კარგა ხანი. გავიდა, სანამ ერმოვი დაბრუნდებოდა, რო-  
მელსაც თან ფიცრებით შეიარაღებული სამი აზერბაიჯანელი  
მოპყვა. მათ გამოცდილებით იცოდნენ, რომ ქვიშიან გორა-  
კებზე სილის ორმოებში ჩავარდნილ ადამიანთან მისვლა  
შეუძლებელია ფიცრების გარეშე; ორმოს ნაპირები ჩაიქცევა  
და მაშველიც თან ჩაჰუცება ხიფათში ჩავარდნილს.

მოტანილი ფიცრები სამი მხრით მიუწყვეს ჩიყალინს,  
ზედ შედგნენ და მივიღნენ მასთან, ორმა ხელი წაავლო, მე-  
სამემ კი სილას დაუწყო ამოყრა მის გარშემო.

როდესაც ფერწასული, დაუეცილი ჩიყალინი ტყვეობიდან  
განთავისუფლდა და აკანკალებული ფეხებით მიწაზე დადგა,  
ქუდი მოიხადა და... პირგვარი გადაიწერა, მერმე გადაეხვია  
ერმოვსა და გრუზინსკის, მაგრად ჩამოართვა ხელი თავის  
მსხნელ აზერბაიჯანელ გლეხებს.

— არა, ძმაო, ზელიმხანთანაც კი არ შემშინებია ასე, რო-  
გორც ამ წყეულ ორმოში. თქვენ რომ არ გამჩენოდით, ვინ  
იცის, სად ამოვყოფდი თავს.

ერთმა გლეხმა გაიცინა, ხელი მტკვრისაკენ გაიშვირა და  
სთქვა:

— სულ მალე აი, იქ იქნებოდი.

პირველად მონადირები ვერ მიხვდნენ გლეხის სიტყვებს,  
მაგრამ, როდესაც შემდეგ მტკვრის პირად ჩავიდნენ და უშედგენა  
ნარის ფლატე სილიან ნაპირებს დააკვირდნენ, მაშინ დაინა-  
ხეს პატარა გამოქვაბულები, საიდანაც მდინარეში განუწყვე-  
ტლად ცვიოდა სილა. იმ გამოქვაბულიდან კი, სადაც ჩიკალი-  
ნის ორმო გამოდიოდა, ოდნავ შესამჩნევად მოცვიოდა ახალი  
სილა.

— ალბათ თავის დროზე აქ გამოვიდოდა ჩემი გასრესილი  
ვეამი. — სთქვა ჩიკალინმა და კვლავ გაფითრდა. — ალბათ  
მალე აქ გამოიტანს დურაჯებით საგსე ჩემს ჩანთასაც.

მე თავშიარდა ცემული ვიყავი მოსმენილი ამბით და დიდი  
თანაგრძნობით მივჩერებოდი ჩიკალინს, რომელიც ის-ის იყო  
გადარჩა ასეთ ფათერაქს, ასეთ სულელურ სიკვდილს ნადი-  
რობისას და მერმე სად — ჩვენი საყვარელი დოლიარის სა-  
ნადირო სანახებში, სადაც ათეულჭერ ვყოფილვართ სანადი-  
როდ, გვიხეტიალია თოფითა და ძალლით და არასოდეს აზრა-  
დაც არ მოგვსვლია, რომ ამხანაგების თვალშინ ასეთ წიფათს  
შევეყრებოდით.

სამხედრო ინუინერი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა  
საომარი მოქმედების მონაწილე, მთის ყაჩაღის — ცნობილი  
ზელიმხანის ტყვე, რომელსაც დამით გამოეპარა და მის მდე-  
ვარსაც კი გადაურჩა, — ეს ჩიკალინი კინალამ სილაში ჩაი-  
ხრიო.

მაშინ ჩემი მეგობრის — ლადოს — ჭაში ჩავარდნის ამ-  
ბავიც გავიხსენეთ და ორივე დაზარალებულის სადლეგრძე-  
ლო ერთად დავლიეთ.

ეს დღე ძალიან ფრთხილ ნადირობაში გავატარეთ, გვი-  
შინოდა, რამე მსგავს წიფათს კვლავ არ გადავყრიდით.



## „დაიან-დოლდურუმ“

— მაშ, ბატებზე გინდა ვინა-  
ღიროთ? — თანახმა ვარ. —  
უთხრა სერგეი ივანიჩმა თავის  
მეგობარს, პიოტრ პეტროვიჩს,  
რომელიც მას სანადიროდ ეწ-  
ვია ბაქოდან ლენქორანში.

— სოფელ აირაპლიში ძველი  
მეგობარი, საუკეთესო მონადი-  
რე მაჰმადა მყავს. იმასთან წა-  
ვიდეთ — განაგრძო სერგეიმ. —

ახლა იქ სოფელთან ახლო დი-

დი რაოდენობითაა ბატი. დილისა და საღამოს გადაფრენები  
ზღაპრულია. შეიძლება ძალიან კარგად ვინადიროთ. მაჰმადას  
თავისი საფარები აქვს გაკეთებული. ჩავჭდეთ შიგ და ვუბათ-  
ქუნოთ, სანამ არ მოგვწყინდება.

— ღამით სად დავბინავდეთ? — ჰეითხა სტუმარმა.

— რასაკვირველია. მაჰმადასთან, მაშ სადღა უნდა წავი-  
დეთ? სასტუმრო იქ არ არის. ჩვენ ძველი მეგობრები  
ვართ — ყონალები. მე ყოველთვის მასთან ვათევ ლამეს. რა-  
საკვირველია, ხელცარიელი არ მივდივარ. რაღაც ფეშქაში  
მიმაქვს: თოფისწამალი, საფანტი, ფისტონი...

— ძალიან კარგი, მეც მივაროთმევ საჩუქარს. ისეთი „მარ-  
გალიტა“ თოფისწამალი მაქვს წამოლებული, რომ უკეთესი  
არ შეიძლება.

მზემ ძუნწად გამოანათა და ისევ ღრუბლებს მიეფარა.  
მსუბუქი ქარი ღრუბლებს ზღვიდან სავანალის ქედისავენ  
ერექებოდა და ქედის თხემზე ერთმანეთზე აწყობდა, რო-  
გორც ზღაპრულ ბალიშებს.



ციოდა. ზღვა ზანზარით ეხეთქებოდა ნაპირებს. აქაფებული ლი ტალღები ნისლიან სივრცეში იყარგებოდნენ. უთვალურებელი იხვი იჯდა ზღვაზე. ცაში ყოველ წუთს გადადიოდა გარეული იხვებისა და იხვინჯების ქარავნები. ყიყინით მიტრინავდნენ ბატების სამკუთხედები. შორს ისმოდა გედების წკრიალა ხმა. არ ცხრებოდა თოფის სროლა: მონადირეები უხვად ხოცავდნენ მსუქან მელოტებს, ჩალიანში შერჩენილ გარეულ იხვებს.

მეგობრები ეტლში ისხდნენ, ქურქებში გამოხვეულნი თამ-ბაქოს აბოლებდნენ და სასიამოენოდ მასლაათობდნენ მომა-ვალი ნადირობის შესახებ. სტუმარი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ლენქორანის ზღვისპირეთის საინტერესო ბუ-ნებას.

ზღვიდან მარცხნივ გადაუხვიეს და სოფლის ტალახიან გზას გაჰყვნენ. ხან გზას მიატოვებდნენ ხოლმე და პირდაპირ ყამირზე, ბუჩქებში მიღიოდნენ. რა ბეღნიერი ქვეყანაა — დეკემბერია და თოვლის ფიფქიც კი არსად ჩანს, — ფიქ-რობდა კოსენჯო და უნებლიერ ადარებდა თავის სამშობლოს, ხარკოვის მხარეს, სადაც დიდი ხანია ზამთარი თავის უფლე-ბებში შევიდა.

ღამდებოდა, როდესაც აირაპლის მიაღწიეს.

მასპინძელი გულლიად დახვდათ. ბუხარი გააჩაღა. ხმელ შეშას ტკაცუნით ეკიდება. მალე დათბა. ფეხშიშველი, ძირს გაშლილ ნოხებზე წამოწოლილი მონადირეები რბილ ბალი-შებზე იდაყვდაყრდნობით ნებივრობდნენ.

სანდომიანი მოხუცი მასპინძელი მაპმადაც აქვე ფეხ-მორთხმული იჯდა, აღმოსავლური სიდინჯით უთვალთვალებ-და საოჯახო ფუსფუსს, რომელიც მის გარშემო გაჩაღებული-ყო. მისი „მოხუცი“, კაფანდარა ცოლი, რომელსაც ლამაზი, ტანწერწეტა ქალიშვილი და ორი ცხვრის ტყავის ქუდჩამო-ფხატული ვაჟი ეხმარებოდა, ჩაის ამზადებდა.

მალე ვახშამი მზად იყო. იატაქზე გაშლილ თეთრ სუფ-რაზე სამოვარი წამოასკუპეს, ტაბლაზე დაწყობილი ჭიქები, ლამბაქები და წვრილად დამტვრეული შაქარი მოიტანეს, ზედ

ცხელი, თხელ-თხელი ლავაშები მოაყოლეს. სუფრაზე გაჩადგ  
ჯამით ერბო და მსუქანი, თეთრი ფლავის გორაკი. გრძელებულისა  
მაპმადამ კარგად იცოდა თავისი დიასახლისის მარიფათი

სტუმრების გამასპინძლებისას. იგი მხოლოდ კანტიკუნტად,  
თითქოს სხვათა შორის, ჩაურთავდა რამდენიმე სიტყვას, ალ-  
ბათ რაიმე დამატებით განკარგულებას აძლევდა ოჯახის მო-  
ფუსფუსე წევრებს.

მიუხედავად თავისი ასაკისა, მაღალი, მხარებეჭიანი და  
სხარტი მაპმადა, რომელიც უკვე მეექვეს ათეულ წელიწადს  
ითვლიდა, გატაცებული მონადირე იყო და მთელ თავისუ-  
ფალ დროს ნადირობაში ატარებდა. მასზე უკეთესად არავინ  
არ იცოდა, სად და როდის სუქდებოდნენ გარეული ღორები,  
სად უნდა გაკეთებულიყო საფარი ბატებზე სანადიროდ, სად  
იყრიდნენ თავს იხვის გუნდები, როდესაც ერთი სროლით  
ათეულის მოკვლა შეიძლება.

მაპმადს ძელებური, ცალპირიანი, მეტად გრძელლულია-  
ნი, მძიმე ფილთა თოფი ჰქონდა, რომელიც ცალკე გაფრენი-  
ლი ბატისა თუ იხვის, იგრეთვე წვრილი ფრინვლისა და ნა-  
დირისათვის სასროლად მაინც და მაინც მოხერხებული არ  
იყო. სამაგიეროდ, როდესაც ჩასაფრებულ მაპმადას თავზე  
ბატების ან იხვების მთელი ფარა გადაუელიდა, როდესაც  
ნაბრინჯალში ჩასუქებული იხვების გუნდი ერთიმეორებზე  
მჭიდროდ მიწყობილი დაცურავდა ტბის ყურეში, სადაც  
მონადირე ელოდებოდა მათ, ან როდესაც იგი გარეულ ტახს  
სასროლად ეპარებოდა, — მაშინ ნაცადი თოფი მიზანს არ  
ასცდებოდა.

მართალია, იშვიათად კი ვარდებოდა ნადირობისას მაპმა-  
დას თოფი: ფილთა თოფი სავაზნე ცენტრალი კი არ არის,  
რომ ადვილად გაიტენოს და ერთ წუთში შეიძლება ათვერ-  
გაისროლო: სანამ ფილთას გასტენიდე, დიდი ხანი გაივლის.  
ამიტომ იყო, რომ მონადირე აზერბაიჯანელებმა ფილთა  
თოფს ძლიერ მოსწრებული სახელი შეარქვეს — „დაიან-  
დოლდურუმ“, რაც ნიშნავს: „მომიცადე — გავტენო“.

ასეთი სახელწოდებით მაპმადას თოფს იცნობდა ბევრი  
ახლომახლო სოფლის მცხოვრები მონადირე, რომლებიც გან-

— აბა, მაჲმად, ერთი აჩვენე სტუმარს შენი ზარბაზანი, შენი დაიან-დოლდურუმი. — ღიმილით მიმართა მასპინძელს სერგეი ივანიჩმა, როდესაც სტუმრებმა ვახშამი მოათავეს, დანაყრდნენ და ნადირობაზე საუბარი ჩამოაგდეს.

— პიოტრ პეტროვიჩ, აბა იმ თოფს დაუკვირდით. არა მეონია, სადმე კიდევ იყოს რაიმე ამისი მსგავსი. მოხუცი ვერ ელევა მას, ხომ შეეძლო ამდენ ხანს პეტროვი თრლულიანი ვაზნიანი თოფი.

მაჲმადამ რაღაც უთხრა შვილს, იმანაც მოათრია ცნობილი თოფი. ბიჭს უჭირდა თოფის აწევა და ორივე ხელით, დიდი მოწიწებით მოპქონდა იგი.

სტუმრის სახეზე ჯერ გაკვირვება და მერმე უნებლიერ ღიმილი გამოკრთა, როდესაც ამ უცნაურ იარაღს შეხედა, ძლიერ ასწია იგი, მაგრამ გამიზნება ვერ შესძლო: მეტისმეტად გრძელი ლულების პირდაპირ დაჭერა შეუძლებელი იყო.

მოხუცმა მონადირემ გულიანად გაიცინა, სტუმარს თოფი გამოართვა, სწრაფად მხართან მიიღვა და დაუმიზნა.

— აი, ისე უნდა. — თქვა მან და გაიღიმა.

თოფი კაცზე მაღალი ჩანდა, მრავალკუთხიანი, მძიმე ლულა პეტროვი; ვეებერთელა ჩახმახი უფრო ჩაქუჩის ჰეგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ჩახმახს. სოფლის მშედლის უხეში ხელით მიღულებული ფალია გვერდზე გამოშვერილიყო.

— ეგ რა თოფი გქონიათ, მასპინძელო. — სთქვა პიოტრ პეტროვიჩმა, — ალბათ არასოდეს არ ასცდება მიზანს.

— იოხ, იოხ, — არასოდეს. — უპასუხა მასპინძელმა, — მაგრამ ბევრი წამალი სჭირდება, ბევრს ვერ ვისვრი: ჩვენში ახლა ძალიან ცოტაა თოფისწამალი..

მოხუცმა ბევრი ილაპარაკა თავისთავზე, აქაურ ნადირობაზე, ფრინველებზე და მხეცებზე, რომლებიც მას მოუნადიებია და ბოლოს სტუმრებისათვის მეტად საინტერესო საკითხზე — ხვალინდელ ნადირობაზე — ჩამოაგდო საუბარი.

გათენებამდე უნდა მივიღნენ საფრებთან, რომლებიც ერთი კილომეტრით თუ იქნება დაცილებული სოფლიდან, იქ



აისის ნადირობას ჩატარებენ, ე. ი. მზის ამოსვლამდე დირებენ გადასაფრენად წამოშლილ ბატებსა და უწევდებით საღამოსაც იქ წავლენ და ასე იმეორებენ, სანამ სტუმრებს არ მოსწყინდებათ ბატებისა და იხვების ხოცვა.

— ქარი ჰერის, ცივა, ცოტა წვიმს კიდეც, მაშასაღამე, კარგი ამინდია, ბატი ბევრია, ნადირობაც კარგი იქნება. — დაასკვნა მაჰმადამ.

თბილ მატყლის საბნებში გახვეულმა სტუმრებმა მალე ხერინვა ამოუშვეს, სიზმარში კი ბატის და იხვის უთვალავ ფარას ხედავდნენ.

მაჰმადა კი უკანა ოთახში გავიდა, თან სტუმრების ნაფეშ-ქაშევი ორი კოლოფი „მარგალიტა“ თოფისწამალი გაიტანა, ამოილო თავისი სანადირო ხელსაწყო და თოფს დატენა დაუწყო. ხელისგულზე სტუმრების ნაჩუქარი თოფის წამალი დაიყარა, თოფის ლულაში ჩაყარა და მაგრად დაუწყო დატენა ზუმბით, რომ გასროლა ზუსტი, სწრაფი ყოფილიყო, არ გაეჭიანურებინა, თორემ იმისი ნიშანი იქნებოდა, რომ პატრონმა დატენა არ იცოდა.

მაჰმადა საზომს არ ხმარობდა და თოფის წამალსა და საფანტს თვალზომით იღებდა, როგორც კარგი მზარეული თვალდათვალ ჩაყრის მარილს კერძში და იშვიათად დაამლაშებს ან უმარილოს დატოვებს ხოლმე.

მარცხენა ხელისგულზე დაიყარა მაჰმადამ თოფისწამლის დიდი რაოდენობა, თან სიამოვნებით უცქერდა „მარგალიტას“ ბრჭყვიალა მარცვლებს, რომლებიც ლამპის შუქზე ელვარებდნენ.

— აი, ნამდვილი წამალი. — ფიქრობდა ძველი მონადირე. — ასეთი წამლით სროლა სასიამოვნოა, მძლავრად გავარდება და მთელ გროვა ბატებს ჩამოჰყრის.

ჭერ კიდევ კარგა ხანი იყო გათენებამდე, როდესაც სამი მონადირე გამოვიდა სოფლიდან და ჭაობიან მინდვრებსა და ნაბრინგალს გაჰყვნენ. მალე ყამიშით დახურულ მაჰმადას საფრებთან მიერთნენ.

პირველ საფარში უცხო სტუმარი ჩასვეს, მეორე სერგეი ივანვიჩმა დაიკავა, უკანასკნელში კი მაჰმადა ჩაჯდა.



თვალი სიბნელეს შეეჩერია, მონადირეები მიღამოს აუგისტი ცეკვა  
დებოდნენ. მოწყვნენ, რომ სროლა გაადვილებოდათ. თამ-  
ბაქო გააბოლეს.

აღმოსავლეთმა ოდნავ იშვით კიაფი.

წინ, ხშირ ყამიშებში და მთელ ჭაობში, სადაც ლამეს  
ათევდნენ ბატები, ისმოდა მათი ყიყინი. ხმა ხან იმატებდა,  
ხან იქლებდა. განსაკუთრებით ყიყინს სტეხნენ ბატები აფ-  
რენის წინ, თითქოს ერთმანეთს ჰაერში ასვლას ეცილებიან.

აი ჩასაფრებული მონადირეების თავზე სტევნით გადაია-  
რა იხვების პირველმა ფარამ. გადაიფრინა ნაცარა ბატების  
პირველმა გუნდმა. ყიყინით და უწესრიგოდ აიშალნენ თეთრ-  
შუბლა ბატები, კისრები წაიგრძელეს და მიწიდან მოსალოდ-  
ნელ ფათერაკს თვალ-თვალი დაუწეუს. ჰაერი გაიგსო ფრთე-  
ბის ხმაურითა და სტევნით, ფრინველთა გადაძახილებით. გა-  
დაფრენა დაიშვი. მონადირეებმაც გამუდმებული სროლა  
ასტეხეს.

რამდენიმე ლურჯყელა მამალი იხვი, ორ ათეულზე მეტი  
მსუქანი ბატი და სხვადასხვა ჭიშის იხვი უკვე ეყარა საფრე-  
ბის გარშემო. მონადირეებს გულები სიხარულით უცემდათ,  
მონადირული ვნება უკიდურეს წერტილს აღწევდა, მეტსა და  
მეტ ნალავლს ითხოვდა.

უცბად მაპმადას საფრიდან მოისმა თოფის გამაყრუებე-  
ლი, მეხისებური ჭახანი. გავარდა მისი „დაიან-დოლურუ-  
მი“. ცეცხლის ალი ამოვარდა საფრიდან. რიერაჟზე მონადი-  
რეებმა შენიშნეს, რომ საფართან მიფრენილ ბატების მოზ-  
რდილ გუნდს მოწყდა ბატების დიდი თაიგული და ძირს ჩა-  
მოცვივდა.

სტუმრებს უბნებლიერ გაელიმათ, მაშინვე გაიფიქრეს მო-  
ხუცის მოფიქრებული, აულელვებელი და უჩქარებელი მოქ-  
მედების შესახებ. დიდხანს ელოდა, სამაგიეროდ ერთი სრო-  
ლით იმდენი ფრინველი ჩამოჰყარა, რისთვისაც ჩვეულებრივ  
მონადირეს მთელი სავაზნე არ ეყოფოდა.

განათდა. გადაფრენამ იქლო. ფრინველები უკვე დიდ სი-  
მაღლეზე აფრინდნენ, თოფით მიწვდომა შეუძლებელი იყო.  
მზე ამოიშვერა. ნადირობა გათავდა.



მონადირეები საფრებიდან გამოვიდნენ, ნადავლუმიშველი ადგილზე მოაგროვეს, თამბაქო გააბოლეს და მასპინძელებ გამოეხმაურნენ.

— ჰოპ, ჰოპ, მაჰმად, ჰოპ, ჰოპ, შინ წასვლის დროა!

მაგრამ მაჰმადი არ პასუხობდა, საფრიდან არც კი გამოიხდა.

რაღაც მწუხარების, შეშფოთების ცუდმა წინაგრძნობამ გაბზარა მონადირეების გული. მაშინვე მოხუცის საფრისაკენ გაეშურნენ.

საცოდავი მაჰმადი პირქვე ეგდო, ხელები ფართოდ გაეშალა, ფეხები კი ორმოში მოეკეცა. მისი თოფი წინ ეგდო ორ ნაბიჯზე. მონადირეს მარჯვენა საფეთქელი იმოგლეჭილი ჰქონდა, ტვინი თითქოს თეთრად კიათობდა პირდაღებული ჰრილობიდან, სისხლის გუბეში ცურავდა.

„თოფი გახეთქია“, — გაუელვათ შავმა ფიქრმა.

თუმცა თოფის მრავალჯუთხოვანი ლულა მთელი იყო, არავითარი ზიანი არ მოსვლოდა. თოფისწამლის დიდ რაოდენობას მიღულებული ფალია მოეგლიჭა და საცოდავი მოხუცის თავი გაეპო...

\*

ტალახიან გზაზე ეტლი მიიჩქარის. მზე ხალისიანად აცხუნებს. თბილა. მტრედისფერ, მოხასხასებულ ცას თითქოს ხელი გადაუხვევია დედამიწისათვის. ლურჯად მობიბინე ზღვა წყნარად ჩაწოლილა თავის კალაპოტში და ტალღების ოდნავი რხევით რაღაცას ჩასჩურჩულებს მწვანე ნაპირებს. ცაში წინ და უკან დაპქრიან იხვების და ბატების ქარავნები, შავი ლრუბელივით დაფრენენ. შოშიების გუნდები და სხვა მრავალი წვრილი ფრთოსანი. ბუნება თავის ჩვეულებრივ დაწყნარებულ ცხოვრებას განაგრძობს.

ჩვენს ნაცნობ მონადირეებს კი მწუხარების. ჩრდილი აძევთ სახეზე და უცნაური ტკივილით ეკუმშებათ გული.

თავში კი მხოლოდ მიუტევებელი გაუფრთხილებლობით გამოწვეული უნებლივ დანაშაულის ფიქრი ტრიალებს, ფიქ-



რი დანაშულისა, რომელმაც დიდი უბედურება მიაყენა მიმკრთავა  
მაღას მყუდრო ოჯახს.

გონება უდილობს უკუაგდოს შემაძრწუნებელი მოგონება  
განცდილი საშინელებისა, უბედური მოხუცის ახლობელთა  
მწუხარება, საკუთარი სიმხდალე და აჩქარებული გამოქ-  
ვება...

მაგრამ შემაძრწუნებელი განცდა როდი სცილდებათ,  
ქვალდაკვალ სდევთ, არ ეშვებათ...

## რიზა



მანქანა მისდევს ასფალტიან გზას მდინარე ბზიფის ნაპირის გასწვრივ. მდინარის მარჯვნითა და მარცხნით ცალ აზიდულან ტყეებით შემოსილი მთის მწვერვალები, ულამაზეს ხეობებში სალ კლდეთა შორის ზღვისკენ მიექანება აფხაზეთის ეს განთქმული მდინარე.

მანქანა ერთბაშად მარჯვნით უხვევს. თვალშეუდგამი სალი კლდეები ავიწროებენ ხეობას. ქვემოთ, სადღაც ორწოხებში გრგვინვა-გრიალით გადარჩის მოჩუხჩუხე, აქაფებული, ცრემლივით სუფთა გეგა. მისი დაუცხრომელი ტალღები ეხეთქებიან კლდეებს, ირგვლივ ჰაერში მილიონობით იფანტებიან წვრილ-წვრილი მძივისებური შხეფები. კლდეების მწვერვალები ელვარებენ მზის შუქზე, ქვემოთ, ხეობის ძირში კი მზე არასოდეს არ წვდება.

სწრაფად ვშორდებით ხეობას. ისევ მოსახვევთან ვართ, გეგასა და იუშპარას შესართავთან, რომელსაც მისდევს გზა. მდინარე უცებ გაქრა, ის მიედინება მიწის ქვეშ, თითქმის ასეა ტბა რიწიდან მოკიდებული, საიდანაც ის გამოდის.

ჩვენ მივდივართ ტენიან, მარადმწვანე სუბტროპიკულ ტყეში. ირგვლივ გაუვალი ბზა აქოჩრილა და უზარმაზარი მუქ-მწვანე წითელი ხეები ამართულან, აქა-იქ ჩნდებიან სოჭები და ფიჭვები, არე-მარე დაფარულია წყალისა და გვიმრის ბუჩქებით, ეკალ-ბარდებით, ტოტებს შემოხვევია სურო. მისი სქელი, ბრტყელი ფოთლები გალავულივით პრიალებენ, ხეებიდან ძირს ეშვება ისლანდიური ხავსი, ჩვენებური, ჩვე-

ულებრივი მწვანე ხავსი კი მოსდებია ქვებსა და კლდეებს ასე მარტივად  
ხეობა განიერდება. მას ყოველი მხრით გარს ასე უკარისია  
მწვანე ტყით შემოსილი თვალშეუღვამი მოები. ტყის ერთიან  
პეიზაჟს ალაგ-ალაგ ნაძვისა და სოჭის, მუხის, ნეკერჩელისა  
და სხვადასხვა ჭიშის ხეები ასხვაფერებენ.

გზა რამდენიმე მანძილზე მიხვეულ-მოხვეულად შიდის,  
გადის სრულიად ჩამობურულ ტყეში, თანდათან მალლა, მთი-  
საკენ მიემართება...

და აი, ჩვენც უკვე ტბასთან ვართ!

იგი იშლება ჩვენს თვალშინ სრულიად მოულოდნელად,  
მთელი თავისი წარმტაცი, მომაჯადოებელი სილამაზით. ირგ-  
ვლივ საუკუნოვანი, მარადმწვანე ყდაში ჩასმული ეს მაღალი  
მთის ტბა ისე უძრავად გადაშლილა, გეგონებათ ვიღაც უხი-  
ლავი გოლიათის მარჯვენას ზურმუხტისფერი სითხით ხავსე  
უზარმაზარი აზარფეშა უჭირავსო.

ეს არის სახელგანთქმული ტბა რიწა. მის ზემოთ ფანტას-  
ტიკურად ელვარებენ ცის კიდეს მწვერვალით მიბჯენილი  
თოვლიანი მთები. აქედან კავკასიონის მარად თოვლიან-ყი-  
ნულიან ქედამდე სულ რამდენიმე კილომეტრით.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დეკემბერია, ტბის ზღაპ-  
რული სილამაზე, მის ნაპირებზე დამკაიდრებული მყუდ-  
როება, მოკამქამე მტრედისფერი ცა, ირგვლივ უღრანი, საუ-  
კუნოვანი ტყე — უჩვეულო, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახ-  
დენს მნახველზე.

ჩამოვდივართ მანქანიდან. ერთ ხანს ვსხდებით, შევცემ-  
რით ბუნების ამ სიღიაღეს; განცვიფრებული ვართ ამ ხელთ-  
უქმნელი სილამაზით.

ჩვენს მახლობლიად გუნდ-გუნდად დიოტრინივენ ჩიტები.  
ისინი კი არ ფრთხებიან, თანდათან სულ უფრო გვიახლოვ-  
დებიან; მათ უღურტულში თითქოს ხვეწნა-მუდარი მოისმის.  
ფერად-ფერადი ჩიტები მოწყალებას გვთხოვენ, აღმართ პუ-  
რის ნამცეცებს თუ ელიან ჩვენგან, რისთვისაც ისინი შეუჩ-  
ევიათ ათასობით ექსკურსანტსა და ტურისტს, რომლებიც  
მოეშურებიან ამ ზღაპრული ტბის დასათვალიერებლად.

უცებ თხუთმეტიოდე ნაბიჯზე გამოჩნდა საზამთრო ტან-  
17. ე. მარკოვი.

საბურველში გამოწყობილი თოვლივით თეთრი რომელია პატარა „მხეცი“; იგი ნაზი რხევით სინჯავს ყველაფერს ერთიდას მეორე ადგილზე გადარბის. უთუოდ, ისიც სისტემატიკა ლია ისაჩერებლოს ექსკურსანტების მიერ აქ დატოვებული საუზმის ნაჩერებით.

ჩევნ მთის მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით მარჯვნიდან შუვლით ტბას, უკვე მდინარე ლაშიპსეს შესართავთან ვართ, ესვამთ მის გამამხნევებელ რეინანარევ ანკარა წყალს, ვეონობით რიწის ნაკრძალის ამ ნაწილს, მის ცენტრალურ ნაწილს კი თვით ეს წარმტაცი ტბა წარმოადგენს.

სწავლულების ჩრდილნებით ასეული წლების წინათ აქ ჩამოიქცა ტბის პირას ცამდე ამართული ავათხარას მთის გრანდიოზული ნაწილი. ზვავმა ჩახერგა ხეობა, სადაც მოედინებიან ჩევულებრივად უწყინარი, მაგრამ თოვლის დნობის დროს წყალმრავალი და მგრგვინავი მდინარეები — ლაშიპსე და ოთხი სხვა მთის ნაკადული. წყალს აუკისია ხეობა. ამრიგად ბუნებას, მისთვის სრულიად შეუგნებლად, შეუქმნია ეს წარმტაცი ტბა.

იგი საესეა კალმახითა და ორაგულით.

აფხაზეთის შესანიშნავ ნაკრძალში, ტბის გარდა, მრავალი თვალსაჩინო მინერალური წყაროა, იშვიათი ხეების ჭიშები, მინერალური სიმდიდრე და თავისი სილამაზით განსაკუთრებელი ლანდშაფტი; აქ დღემდე შემონახულია მრავალი ჭიშის მეტად ძვირფასი ცხოველები; ისინი საერთოდ მრავლად გვედებიან მთელი მხარის ტყეებში. აქ შემონახულია აგრეთვე იჩმები; უღელტეხილის მწვერვალებზე ცხოვრობენ ჭიხვები და კავკასიური შურთები. ქვემოთ, ტყეების პირას შეხვდებით არჩევბს — მთების ამ ჭეშმარიტ ნაშიერთ, ტყეებში ჭარად დაშლიგინობენ გარეული ღორები, დახტიან ფეხმარდი შვლები, დაბორიალობენ მშიშარა დათვები და დაძრებიან ეშმაკი მელიები.

მაინც უნდა ითქვის, რომ ნაკრძალში ნაკლებად არიან ცხოველები.

როცა ამ ნაკრძალში გაიყვანენ მთის მოხერხებულ ბილიკებს, როცა შეუდგებიან მის უძვირფასეს ბუნებრივ სიმდი-

დრეთა მეცნიერულად შესწავლას, — მაშინ ნაკრძალი „რიტორისტი“  
სავსებით სამართლიანად დაიჭერს უპირველეს ადგილს ჩვენი მომავალი  
განუზომელი სამშობლოს ბუნების ძეგლთა შორის... გილაკოსია

ეს დრო თანდათან ახლოვდება, ჩვენმა მეცნიერებმა, ჩვენ-  
მა ბუნებისმეტყველებმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები  
უკვე გადადგეს.

საქართველოს ულამაზესი კუთხის — აფხაზეთის მარად-  
მწვანე ტყით შემოსილი მაღალი მთების თვალშეუდგამ  
კლდეთა შორის მოქცეული ეს წარმტაცი ტბა სულ მაღა-  
კიდევ მეტ ექსკურსანტს მიიზიდავს...

## მნიშვნელოვანი კიბრის პირას



ნადირობა ღორებსა და ჭიხუებზე, არჩევებსა და დათვებზე, სიარული მთებში, სადაც იმდენი არ მისროლია, რამდენი დაკვირვებაც მიწარმოებია, სროლა გადმოფრენილ მწყრებსა, მოზამთრე ტყის ქამებსა და იხვებზე, — ყველაფერი ეს კარგად ნაცნობი იყო ჩემთვის. ყოველწლიურად მრავალჯერ მიხდებოდა სიარული ასეთ ნადირობაზე, მაგრამ მონადირეს მუდამ იტაცებს ის ცხოველი და ფრინველი, რაზეც ჭერ არ უნადირია.

ასეთი იყო ჩემთვის ხოხობი.

უკანასკნელ ხოხბებს მე ჭერ კიდევ სოხუმის მიდამოებში მიეუსწორი. იმ დროს მდინარე გუმისთასა და მის იქით, ზღვისპირეთში, ახალ ათონამდე, ჭერ კიდევ დაფრინავდა ოციოდე ხოხობი. უკანასკნელი მათგანი, უთუოდ ჩემ თვალწინ იქნა მოკლული.

ამ ადგილებში ოდესლაც სქლად მოდებული ეკალ-ბარდების აწალდვამ და მოსუფთავებული მიწების მოხვნამ გამრავლებისა და მოშენების საშუალება მოუსპო ხოხბებს. ერთხელ ვიმგზავრე გუდაუთის მხარის სოფლებში. ორი დღე დავდიოდი ეკალ-ბარდებით საოცრად მოდებულ ადგილებში და მხოლოდ ერთადერთ ხოხობს წავაწყდი სადღაც, ისიც სრულიად შემთხვევით.

არა ერთგზის მივლია ჩემი ძალების თანხლებით ოჩამჩირის მიდამოებში, სადაც თითქოს მრავლად უნდა ყოფილიყო ხოხობი, მაგრამ ამაოდ! ვინ მოსთვლის, სად დამღა



შებია და სად გამთენებია, რამდენჯერ ლამე გამითევია ოცა-  
რეშში, რომელიც ხოხბის სამშობლოდ ითვლებოდა. ბეჭუნის მიყიალია მდინარე კოდორის შესართავის თვალშაჩქრაც ზი-  
დამოებში. ხოხბების ძებნაში გალამდეც კი მიმიღწევია, მაგ-  
რამ ამაოდ ჩაუვლია ყოველგვარ შრომას. იშვიათად, თითო-  
ოროლა თუ შემხვედრია, ისიც აქა-იქ; ხან კი მთელი დღის  
განმავლობაში გაუვალ ეკალ-ბარდებში ხეტიალის შემდეგ  
ერთი თუ მომიკლავს!

ამ ახალი ადგილიდანაც დალლილ-დაქანცული და, რაც  
მთავარია, გულგატეხილი დაებრუნებულვარ შინ.

ასე გადიოდა დრო.

ერთხელ, შემთხვევით სტუმრად მეწვია ერთი, ენგურის  
მხარეში მოსახლე, ახლობელი მეგობარი, პეტრე. ისიც გატა-  
ცებული მონადირე იყო. პეტრემ ისეთი რამეები მელაპარაკა  
ხოხბების სიმრავლეზე ენგურის სანაპირო ადგილებში, რომ  
ძალიან დავინტერესდი. სიტყვა ჩამომართვა, რომ თავის  
დროზე აუცილებლად ჩაესულიყავი მასთან სანადიროდ.

დაახლოებით შუა დეკემბერში, ერთ მშვენიერ დილით  
ადრე ავდექი, ცხენი გავწმინდე, უნაგირის კოტზე ხურჭინი  
თასმებით მივაკარი, თოფი გადავიკრდე... რამდენიმე წუთში  
ჩემი ცეროდენა ცხენი მიმათოხარიკებდა ოჩიმჩირის გზაზე,  
გვერდით კი მკვირცხლად მომდევდნენ ჩემი განუყრელი  
ძალები — რაში და კოდორი.

შორს, კოდორის კონცხის ზემოთ, ამართულიყო მაღალი  
მთები, რომლის გადაღმა კაშკაშა მზე მიღწევდა მაღლა; მხარ-  
მარჯვნით, ნაპირთან მშვიდად შრიალებდა ზღვა, რომლის  
ზედაპირი ოდნავ შეენაოჭებინა განთიაღის ცივ ნიაგს. შორს  
მოჩანდა დიდი და მომცრო იალქნიანი ხომალდები, აქა-იქ  
ბორბლებივით ნელა ტრიალებდნენ დელფინები. მხარმარ-  
ცხნით კი გადაშლილიყო წარმტაცი ბალები, დამშვენებული  
მაგნოლიებით, პალმებით, კვიპაროსებით.

ვერც კი გავიგე, როგორ გავშორდო დრანდას, აძიუბეას  
ხშირ ტყეს — გარეული ღორებისა და ტურების ამ ბუნავს.  
ტამიშში გზის პირას წამოდგმულ ერთადერთ დუქანში შე-  
ვისვენე. ცხენს საკვები მივეცი, მეც ვისაუზმე.

დეკემბერი იყო, მაგრამ მხე მაინც ძლიერ აცუსტებული, მთელ ორ საათს სიამოვნებით ვიჯექი დუქნის აივანზე ჩრდილში; მაღიანად გეახელით ქათმის ხორცი, თავისი საწებელით, იზაბელას სასიამოვნო სასმელი ლინიც დავაყოლე და ენამახვილ მედუქნესთან საუბრითაც გული ვიჯერე.

ამასობაში ჩემმა ცხენმაც მოათვა თავისი ულფა — ოქროსფერი სიმინდი, ძალებიც გამოძნენ და ნელი თოხარიკით გავუდექი ოჩამჩირის გზას.

ისევ გამოჩნდა ზღვა — მშვიდი და წყნარი. მივუახლოვდი მას. ირგვლივ სველი დაბლობი იყო, აქა-იქ გვხვდებოდა ჭაობიანი, ჩამპალი, ჩალორწილი, პირთამდე წყლით სავსე ლელები, რომელთა ნაპირები მოდებული იყო ლაქაშებით. ზღვის პირას ეყარა გიგანტური კაკლის ხის მორები, რომლებიც ვინ იცის ვის, ან რისთვის დაეყარა აქ. ჭაობზე ჭარად გადაფრინდნენ გარეული იხვები, თოლიები დაფარფატებდნენ ჰაერში, მაღლა ნელა მიფრინავდა მორუხო ყანჩა, რომელსაც გრძელი ფეხები უკან გაეშვირა და მკეთრი, ჩახლეჩილი, საგანგაშო ხმით ყიოდა. მხე სულ დაბლა დაეშვა, საცაა ის უნდა ჩაძირულიყო ჰორიზონტის გადაღმა, წყლის ცივ, უძირო სიღრმეში.

ოჩამჩირის ერთადერთ სასტუმროს ღარიბულ პატარა ოთახში დაგბინავდი; მერე წავედი მეორე ღლისთვის ვინმე მეგზურის საშოვნელად, ვინაიდან გადავწყვიტე წავსულიყავი ოტობაიაში, ზუგდიდის გზით, იქიდან კი უნდა მეგლო ზღვის პირით — გუდავასა და გაგიდაზე გავლით. ეს იყო ჩემთვის სრულიად ახალი და საინტერესო გზა. იმედიც გამიმართლდა... იქვე, დუქანში შევხვდი სოფლის გზირი, რომელიც დილით ჩემ მიერ არჩეული გზით უნდა წასულიყო ნაბაკევში, ე. ი. თითქმის იქ, სადაც მე ვაპირებდი ჩასვლას.

თივის ნაცვლად ბალლინჯოებითა და რწყილებით გატენილ ნალზე ტრიალში გავატარე მთელი ღამე. დილით ადრე ავდექი, ხელ-პირი დავიბანე, ჩაი დავლიე, ჩემი იორდაც შევკაზმე, მაგრამ სოფლის გზირი, რომელსაც მურზაყანს ეძახნენ, არსად ჩანდა. უკვე შვილი საათი იყო, მაგრამ მაინც არ მოდიოდა. მოუთმენლობის გამო პაპიროსს ზედიზედ ვაბო-

ლებდი. ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა იგი. პატარა კუნძული ცხენზე იჯდა, ჩემსავით მასაც ყაბალახი შემოეკრა თავზე და მეგრულ-აფხაზურ ყაიდაზე ნაბადიც წამოესხა.

ნაბადი არაჩვეულებრივად პრაქტიკული წამოსასხმია ცხენით მგზავრობის დროს, განსაკუთრებით წვიმასა და ქარში. როცა ცხენზე ზიხარ, ნაბადის შესაქრავი ანუ, როგორც მეგრელები ეძახიან, „საბუნი“ დევს მარჯვენა მხარეზე, ხოლო მისი მარცხენა კალთა წინა მხარეზე უნაგირის კოტზეა გადმოფენილი — მარცხნილან მარჯვნით. ავდარში ის სიცივისა-გან იცავს ცხენოსნის მქერდს.

მე და ჩემთა თანამგზავრმა ჩქარი მდინარე ღალიძეა გავ-ფონეთ და ზღვის ნაპირის გასწრივ რბილ ბილიქს პირდაპირ ენგურისაკენ მივყევით. მზე უკვე წამოდგა მთების ზემოთ, მაგრამ ჭერ კიდევ გვახალისებდა და გვამხნევებდა დილის სასიამოვნო სიგრილე, ზღვის ზედაპირიდან ჭერ კიდევ ჰაერ-ში მიიწევდა მსუბუქი ორთქლი.

მურზაყანი ცუდად ლაპარაკობდა რუსულად, მე კი არ მესმოდა მეგრული, ამიტომ უფრო მეტად ვდუმდით.

ძალები კუდის ქიცინით შორიახლო მორბოდნენ, სუ-ნავდნენ ყოველ ბუჩქს, ზოგჯერ მაღლა ასწევდნენ წინა თა-თებს და ხარბად ისუნთქავდნენ რაღაც უჩინარ სურნელებას, თან გზაღაგზა ყოველ ტბორსა და ღელეში სვამდნენ წყალს. ჩემს სტენაზე, ყოველთვის მყვირცხლი და მოქმედი რაში, სწრაფად მოიჩნენდა ხოლმე და ისე შემომაცემერდებოდა, თითქოს მეკათხებოდა:

„რაშია საქმე?“

ზარმაცი კოლორი კი მხოლოდ ადგილზე შეჩერდებოდა, კუდს გააქიცინებდა და გაოცებით მომაჩერდებოდა შორი-დან. ორივე ძალს ერთიმეორის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათი ჰქონდა.

ოჩამჩირიდან ოციოდე კილომეტრი გავიარეთ, გაგიდაში-ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან შევისვენეთ დუქანში.

გაგიდის გარშემო გადაშლილი ჭაობებისა და ჭყანტობე-



ბის ტალახში მთლიანად ამოსვრილი კამეჩები ახლოშაბულო  
ტყეებიდან უზარმაზარ მორებს მოათრევდნენ ქართველთა მარკების  
წინათ აქ იყო საუკუნოვანი მუხნარი, სადაც ყოველ ნაბიჯზე  
შეხედებოდით ირმებს. მე მყავდა მეგობრები, რომლებიც  
მრავალჯერ ყოფილან აქაურ ტყეებში სანადიროდ და რომ-  
ლებსაც ერთი დღის განმავლობაში ათობით ირემი უნახავთ.  
მაგრამ მოვიდნენ საქმოსანი ბელგიელები, ააგეს ორთქლის  
ძლიერი ქარხანა, დაიქირავეს მუშები და რაღაც ათიოდე  
წლის განმავლობაში ტყე სრულიად გაწმინდეს მუხებისაგან.  
უზარმაზარი მორები დახერხეს, ხორა-ხორა ლამაზად დაა-  
წყვეს და საზღვარგარეთ გაზიდეს. მაშინ ქარხნის საყვირისა  
და ხერხის გამსჭვალავი წივილი პირველად მოეფინა ამ არე-  
ბარეს. მუშების მიერ მოკრილი საუკუნოვანი მუხები ტოტე-  
ბის ლაწალუწითა და მტვრევა-ხმაურით ეცემოდნენ ძირს,  
კაჯუნობდნენ ნაჯახები, ხმაურობდნენ ბირდაბირი ხერხები.  
ირმები ყველა სეზონში, ყოველ დღე, დილიდან სალამომდე  
განუწყვეტლივ ხვდებოდნენ აღამიანებს. ესროდნენ მათ ბელ-  
გიელი დირექტორები, მათზე სანადიროდ ჩამოდიოდნენ  
„წარჩინებული“ უცხოელები — ვიღაც გერმანელი პრინცე-  
ბი; ირმებს შეუბრალებლად ხოცავდნენ ქარხნის მცველები  
და მუშებიც.

ამიტომ ირმებიც ჩქარა გაქრნენ.

მათი ნაწილი გადავიდა ენგურს გალმა — ანაკლიისა და  
ფოთის მიდამოების ჭაობიან ტყეებში, ნაწილი კი გაპყვა  
ენგურის ნაპირებს ზემოთ და მთების ფერდობებზე შეფენილ  
უსიერ ტყეებს შეაფარა თავი. ჩვენ მიერ აწერილ აღვი-  
ლებში იმ დროს არც ირემი იყო და არც მუხის ტყეები.  
დარჩენილიყო მხოლოდ ჭაობი, ტბორი, ჭყანტობი და კო-  
პიტის ტყე. იმასაც განუკითხავიდ აჩანაგებლენ. აქვე იყო  
რომელიღაც მემამულე თავადის ნასახლარი და მამული —  
ასიოდე ჰექტარი საუკეთესო მიწა, რომელზეც ხარობდა საუ-  
კეთესო ხარისხის მეგრული სიმინდი. ეს სიმინდი ორი მეტ-  
რის სიმაღლეზე იზრდებოდა და ყოველწლიურად ჰექტარი-  
დან სამას ფუთ ნაყოფს იძლეოდა...

გავიარეთ ენგურის ძელი კალაპოტის ბუჩქნარებსა, ჭა-  
 ლბებსა და ტბორებში გადაყარგული მიხეულ-მოხვეული  
 ბილიკები. ნაშუადღევის სრულ სამ საათზე დაშორდით  
 ერთმანეთს მე და მურზაყანი. გამოთხოვებისას მან მაჩვენა  
 მიმართულება, მასწავლა როგორ უნდა მეცლო, მეც მარტო  
 წავედი.

გზა მეგრულ-აფხაზური ტიპის სახლებით მოფენილ, და-  
 სახლებულ ადგილებში გადიოდა. ყველგან, ეზოებში ფრთ-  
 ლებით დახუნძლული ჭაღრები და აკაციები იდგა. ჩემი გამო-  
 ჩენა აღიზიანებდა ტურების მსგავსად წერილი თვალებით  
 ავად გამომზირალ სოფლის პატარა ძალლებს და ისინი წკავ-  
 წკავით იკლებდნენ იქაურობას. ასე მივემართებოდი სოფლე-  
 ბის თემშარაზე.

ბოლოს, როგორც იყო, ჩემი მეგობრის პეტრე ა—ძის სახ-  
 ლიც გამოჩნდა. მისი სახლი და კარ-მიდამო უცებ ვიცანი იმ  
 ხეივნის მიხედვით, რომელიც თვითონ ამიწერა, ჯერ კიდევ  
 სოხუმში ყოფნის დროს. უნებლიერ წელში გავიმართე დიდ-  
 კაცურად, ცხენს მათრახი გადაკვარი და ათიოდე ძალლის  
 წკავწკავსა და ყეფაში ეზოში შევედი.

გულკეთილმა მასპინძელმა მშვენიერად მორთული ოთახი  
 დამითმო. შემოიტანეს კუნძები და ფიჩი. ბუხარში დააგუ-  
 გუნეს ცეცხლი, რომელიც ჩემი ატკაცუნდა და ირგვლივ  
 სასიამოენო სითბო დააყენა. იმ სიჩუმეში უმალვე ვიგრძენი  
 სოფლური იდილია და მყუდრო ცხოვრების სიამე. დაღლი-  
 ლი ძალლები ნოხეჲ მიწვნენ, მაღლე ჩაეძინათ. ამასობაში  
 ცოტა გავკოხტავდი, გზის მტვერი ჩამოვიფერთხე, ხელ-პირი  
 დამაბანინეს და სასტუმრო „დარბაზში“ გამოვედი. იქ უკვე  
 ფუსფუსებდა დიასახლისი, ღვინით სავსე ბოთლები ჩამოედგა  
 მაგიდაზე და საჭმელი გამოპქონდა.

უთვალავი ხოხობია აქ. სამი დღის წინათ განზრახ წავედი  
 დასაზვერავად და სამიოდე საათში ათი მამალი მოვკალი! —  
 მითხრა პეტრემ.

მისმა ნათქვაშია საოცრად ამაღლელვა.

„ნუთუ მართლა ხოხბების სამშობლოში მოვხდა უზუსუაფუ  
მეც ამდენს მოვკლავ?“ — ვფიქრობდი ჩემთვის.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ პეტრეს ახალგაზრდა ნა-  
თესავები. ორი მათგანი მონადირე ბლმოჩნდა. ერთმა წინა-  
დადება შემოიტანა მიმინოც წაგვეყვანა, რაზედაც მე თავა-  
ზიანად უარი მოვახსენე. მეორემ კი სურვილი განაცხადა  
ჩემთან ერთად წამოსულიყო, შეგვპირდა წალდსაც წამოვი-  
ღებ, რომ ეკალ-ბარდი ადვილად გავჭრათო. მე ამ წინადადე-  
ბაზეც უარი უნდა მეოქვეა, მაგრამ პეტრემ გვირჩია: ეს აუცი-  
ლებელია, არის შემთხვევა, როცა უწალდოდ ეკალ-ბარდიდან  
თავს ვერ გამოაღწევო.

პეტრეს ნათქვამის სისწორეში მეორე დღეს თვითონვე  
დაერწმუნდი.

შევთანხმდით, მეორე დილით, საათის შეიძზე, უნდა გავ-  
სულიყავით, და ის იყო, მაგიდას მივუჭექით. დიასახლისს  
შემოჰკონდა ნაირ-ნაირი გემრიელი საჭმელი: ბეჭი, კურდღ-  
ლის საცივი, შებრაშული ქათამი თვისი საწებელით, ღომი,  
ხაჭაპური, ხილი და მშვენიერი, სასიამოვნო დასალევი ზუგ-  
დიდური ღვინო. გაჩაღდა სმა, საღლეგრძელოები, სიმღერები.  
შუალამე გადასული იყო, როცა სუფრიდან ავიშალენით.

უცებ პეტრე შეჭირვებული სახით მიაჩერდა ცოლს. მერე  
თითო ყურში ჩაიყო.

— ფეოდოსია, შენ არაფერს გრძნობ ყურში? — შეე-  
კითხა იგი.

დიასახლისმა თავი დაუქნია.

— სინესტეს ვგრძნობ! — მიუგო მან.

თურმე ჩემი მასპინძლების „ყურის ბარომეტრი“ წვიმას  
წინასწარმეტყველებდა.

„აი, სეირი თუ გინდა!“ — გავიფიქრე მე.

გავრბივართ აივანზე. შევცემით ცას, არსად ღრუბლის  
ნასახი, ან რაიმე ნიშანი იმისა, რომ მოსალოდნელი ყოფი-  
ლიყო გაავდრება! პირიქით, ცა მოკიჭიჭებული იყო ვარს-  
კვლავებით.

გულდამშვიდებით შემოვბრუნდი ოთახში და თავი ძილს  
მივეცი.

დაახლოებით ექვს საათზე წამოვხტი ლოგნიდან, ცხრის  
როდ ჩავიცვი. გამიკვირდა, დილის შუქი ძლივს ატანდა ფარ-  
დებში. ფანჯარასთან მივიჭერი.

მთელი ეზო წყლით იყო დაფარული. წვიმდა ისე, რო-  
გორც სოხუმსა და საერთოდ ზღვისპირის ქალაქებში იცის-  
ხოლმე, — განუწყვეტლივ, გადაუდებლად. ასეთი წვიმა-  
ზღვისპირა რაიონებში მთელ კვირას გრძელდება, ზოგჯერ ორ-  
კვირას და უფრო მეტხანსაც კი გასტანს.

„აი, წადი და ინადირე ახლა!“ — გავიფიქრე და დალო-  
ნებული შემოვბრუნდი ოთახში.

— პეტრე, ჩემო ძვირფასო, რა არის ეს?! — კინალამ წა-  
მომცდა: — ეს რა ჰქენი-მეთქი!

— ჩემს ყურაში სინესტე იდგა! თქვენ გუშინ არ დამიჯე-  
რეთ, ცრუმორწმუნეობად გეჩვენათ!..

რა თქმა უნდა, პეტრეს სიტყვები სრულიად შემთხვევით  
გამართლდა, ცოლ-ქმრის ყურებს მართლაც წინასწარ კა-  
არ უგრძენიათ, რომ გაწეიმდებოდა, მაგრამ მაინც საოცარი  
დამთხვევა იყო ეს.

გარეთ კი წვიმდა და, წვიმდა.

პეტრე მაინც არ ჰქარგავდა იმედს.

— გამოიდარებს თუ არა, სანადიროდ მაინც გავიდეთ!  
ვინადიროთ მაშინ, როცა ჩვეულებრივად ორი-სამი საათით  
გადაიღებს, ხოლო თუ უმატა, სადმე შევაფაროთ თავი!

ეს წინადადება არაფრად მეჭაშნიკა, მაგრამ რა უნდა მექ-  
ნა. ძალიან ვწუხდი იმაზე, რომ წინა სამი დღე ისეთი მზიანი-  
იყო და უქმად დავკარგე. ნაწიმარზე ბუჩქებსა და ჭაობებში-  
სიარული ნიშნავდა იმას, რომ ყველაფერი დაგვსველებოდა.  
თუმცა, დასველებას ვიღა ჩიოდა, საქმე ის იყო, რომ ასეთ-  
ამინდში ხოხები არ აფრინდებოდნენ.

ვისაუზმეთ, ჩაიც დავლიეთ. მთელი საჭურველი ავიკი-  
დეთ, მაგრამ გარეთ ვერ გამოვედით. წვიმის გადაღებას ვი-  
ლოდებოდით. თან საოცრად გაბრაზებულნი და დანაღვლია-  
ნებულნი ვიყავით, ვოცნებობდით იმაზე, თუ როდის უნდა-  
დამთავრებულიყო ეს სასჯელი.

წვიმა კი, თითქოს გაჯიბრდაო, განუწყვეტლივ მოდიოდა.



ასე ველოდეთ დიდხანს. ბოლოს, როგორც იყო, ესოში წყალი გაპქრა, წვიმამაც გადაიღო. ცას ჯერ კიდევ ტუჭისშემავალი ფერი გადაკვროდა, მაგრამ მისი ერთი მხარე გადაისარება.

— წავიდეთ. — მითხრა პეტრემ.

მაგრად შევიკარი ჯუბა, სავაზნე შემოვირტყი, თავზე დავიხურე სავდრო ქუდი; ასეთ ქუდებს ჩვეულებრივად ავდარში იხურავენ ხოლმე ფოთელი, ბათუმელი, სოხუმელა და ზღვისპირის სხვა ქალაქების მეტლები; თოფი თავდალმა გადავიყიდე მხარზე და მორჩილად მივყევი პეტრეს. მისი ნათესავი სერაპიონი კი წალდიანად მოგვყებოდა უკან. ჩვენს ახლო მორბოდა ორი მდევარი, მასპინძლის სამი სხვა ძალლი, ჩემი რაში და კოდორი.

ცოტა ხანს გზას მივყევით, მერე რომელილაც მიტოვებულ ბოსტანში გადაუჟვიეთ და ლობეს მივადექით, რომლის გადალმა მოჩანდა ბუჩქები, მათ შორის კი სიმინდის ჩალის ღეროები.

— მოვედით! — მითხრა პეტრემ.

თოფებში ვაზნები ჩავაწყვეთ, პეტრემ დაბალ ლობეზე ფეხი გადადგა. ის იყო, მეც თან უნდა მივყოლოდი, მაგრამ ვიდრე პეტრე მიწაზე ფეხს დაკარებდა, უცებ ცხვირშინ აფრინდა ხოხობი, წამით ზედ ჩვენს თავზე პაერში შედგა. ორივემ, ერთსა და იმავე დროს, ელვის სისწრაფით გადმოვიდეთ თოფები და ორმა ერთბაშმა გასროლამ არემარე გააყრუა. მომავონდა ჩემი ოცნება „მეფური გასროლის“ შესახებ. ხოხობი უვნებლად გაფრინდა, ჩვენ დარცხვენით გადავხედეთ ერთმანეთს, ჩემმა ძალლებმა ძებნა დაიწყეს, მდევრებმა სროლის ხმაზე დაიყეფეს, მერე წინ გაექანენ.

დავრწმუნდი, რომ ხოხობი მართლა ბევრი უნდა ყოფილიყო.

მდევრები მოვიხმეთ და წინ წავედით, თხრილზე გადავიარეთ, უცეთ აღმოვჩნდით რომელილაც მიტოვებულ ბალჩაში, თუ ნორჩ ტყეში, საღაც ხეებს შუა მოდებული იყო ბუჩქები, ეკალ-ბარდები. ძალლები წინ გაექანენ. არამდენიმე წამში საოცარი ხმაურით მამალი და დედალი ხოხბების მთელი გუნდი

აფრინდა ძალების ცხვირშინ და აქეთ-იქით მიმოიდანტრაჟა  
ჰავერში.

მთლად დავიბენი, არ ვიცოდი საით გამეხედა, რა გამე-  
კეთებინა და სრულიად უიმედოდ, გაუსროლელად უშმიზნებ-  
დი თოფს ხან ერთს, ხან მეორე ხოხობს. უცებ შევნიშნე,  
რომ ერთი მამალი ხოხობი პირდაპირ გაფრინდა, ხმამაღალი-  
კაკანით ჩამოჭდა მაღალ ხის ტოტზე, კისერი წაიგრძელა და  
აქეთ-იქით დაუწყო თვალიერება გარემოს.

წუთით გადამავიწყდა პეტრეც, ძალებიც, ყველაფერი  
ამჯერად. ბუჩქებზე ამოფარებით გავეშურე ხისკენ, რომელ-  
ზეც ხოხობი იჯდა. უკვე მივუახლოვდი, ორმოციოდე ნაბი-  
ჭილა მრჩებოდა, თოფის კონდახი მხარზე მივიბჭინე, ჩახმახი  
გამოვშალე და ოქროსფერი ფრინველი ძირს ჩამოვაგდე; იგი  
მთლად ძიგძიგებდა, ფეხებით ფხოჭნიდა მიწას, თითქოს გაფ-  
რენას აპირებსო. სირბილით გავსწიო მისკენ, ვიდრე ჩემი  
ძალები პირს დაავლებდნენ. აკანკალებული ხელით ავიღე  
და ქამარზე ჩამოვიკიდე. და, მხოლოდ ამის შემდეგ შემრცხვა  
ჩემი ბავშვური სიფიცხისა და სიხარბის გამო, იმ წმინდა  
მხეცური ინსტიქტის გამო, რამაც ისე შემიპყრო იმ წუთში,  
რომ დამავიწყდა ჩევულებრივი თავდაჭერილობაც, მონადი-  
რის ლირსებაც, ჩემი ერთგული ძალებიც, რომლებსაც ასეთ  
შემთხვევებში მოკლული ფრინველის მოტანის გარდა გასა-  
კეთებელი სხვა არაფერი ჰქონდათ. ცოტა ხანს შევჩერდი,  
თამბაქო გავაბოლე და გადავწყვიტე ამის შემდეგ განმეგრძო-  
ნადირობა წესიერად, კულტურულად, ხელი ამეღო ამ სუ-  
ლელურ სიფიცხეზე — ხეზე შემჭდარი ხოხბის მოკვლაზე-  
ამასობაში პეტრეც მომიახლოვდა და პატივისცემით შემო-  
მაცქერდა. მის უსიტყვო მზერაში ამოვიკითხე:

„ასე რომ დააცხრი, ნუთუ ქილორი\* არ გინახავსო?“

ახლა უფრო შემრცხვა, მაგრამ ისევ მისმა სიტყვებმა გა-  
მომიყვანა უხერხული მდგომარეობიდან. პეტრემ მასწავლა  
ადგილმდებარეობა, რომ ორიენტაცია ადგილად ამეღო და  
ჩვენ ერთმანეთს დავშორდით.

\* ქილორი — ხოხობი (შეგრულად).

მისი მდევრები და ეზოს ძალლები შეუსვენებლად უძებდენ ხოხებს. მათ ცხვირწინ წარამარა დგებოდნენ ფრთხების მძიმე ფარფატით წვიმაში დასველებული ფრინველშია უჭირდა გამოშეებით მოისმოდა პეტრეს თოფის გრიალი.

ძალლებს თავზე ხელს გადაუსვამდი, მოკლულ ხოხებს დავასუნვინებდი და კვლავ აუჩქარებლად, ნელა მივყვებოდი იმ ადგილებს, სადაც ჭერ კიდევ მეძებრებს არ გაევლოთ. სერაპიონი შორიახლო მომყვებოდა.

ჩემი რაში ენერგიულად უტრიალებდა ბუჩქებს, ყოველ ჩირგვს, ყოველ ჭეროდ ამოსულ ბალას სუნავდა; კოდორი კი თავაწევით, ზანტად დაღითდა. ერთგან, ღელის პირას, სქლად ამოსულ ლელიანში ორივე ძალლი ერთბაშად შეჩერდა, უცებ გაშეშდნენ. რაში თითქოს ოთხივე თათით მიწაში ჩარჭობილივით შედგა და ერთ წერტილს მიაშტერა თვალები. კოდორი კი მოპირდაპირე მხრიდან მიადგა ლელის ბუჩქს, თავი ნახევრად მოაბრუნა, ხატოვანად ამართა მარჯენა ფეხი და მიწისქენ ოდნავ გადახრით ქანდაკებასავით გაქვავდა. აღფრთოვანებით მივაცქერდი ამ შესანიშნავ სანახობას, უცებ თავში გამიელვა ხეზე ჩამომჭდარ ხოხობზე სროლის სამარცხებინ ამბავმა. თოფი მოვიმარჯვე, ნელა გავსწიე წინ, ძალლებს შუა. ჰაერში ხმაურით მაშხალასავით აიჭრა ულამაზესი მამალი ხოხობი. ვესროლე, უმალევ უსულოდ დავარდა. თვალის დახამხამებაში იმავე ჩირგვიდან ასეთივე ხმაურითა და ყვირილით აფრინდა მეორე. ვესროლე და, ისიც მახლობლად დავარდა. რამდენიმე წუთში ორივე ხოხობი პირში ეჭირათ ჩემს ძალლებს.

მხოლოდ ნამდვილი მონადირე მიმიხვდება, რა ბედნიერი წუთები განვიცავე მაშინ, მარჯვე სროლის შეღეგად წყვილი ხოხების ჩამოგდების გამო. მზად ვიყავი გადამექოცნა ძალლები, ხოლო სერაპიონს კი მხიარულად გადავძახე — „ჟირი ქილორი!“

გავიარე თუ არა, ათიოდე ნაბიჯი, რაში კვლავ ნაბულზე დადგა. მაყვლის ბუჩქიდან აფრინდა კიდევ ერთი ხოხობი. ვესროლე, მაგრამ მაინც განაგრძო ფრენა, ვესროლე მეო-

\* ჟირი ქილორი — ორი ხოხობი (მეგრულად).

რედ — ბუჩქებში ჩავარდა. ძალლები გაექანენ, მაგრამ ფრონ-  
ველმა იცოდა, სადაც უნდა შემძვრალიყო: შეულწეველიც ეკალბარდის კედელი აღიმართა ჩვენ შორის. ხოხბის ოქანის მიზანით ფერი ბუმბული მკაფიოდ მოჩანდა. დაჭრილი ფრინველი  
ცახცახებდა, მიწაზე ურტყამდა ფრთებს, მაგრამ ვერც მე  
შივევარე ახლოს და ვერც ძალლები. აი, სწორედ აქ დავა-  
ფასე სერაპიონის წალდის მაგიური ძალა. სერაპიონმა უმალ-  
ვე შემოაწალდა ეკალ-ბარდი და გამოიტანა, — ეს უკვე  
მეოთხე ხოხბი იყო. ახლა უკვე საკმაოდ დიდი ტვირთი მე-  
კიდა, მაგრამ გამარჯვებით აღფრთოვანებული მის სიმძიმეს  
სულაც არ ეგრძნობდი და მხნედ მივდიოდი წინ.

რაში კვლავ შედგა, სწრაფად გავსწიე მისკენ, მაგრამ ხო-  
ხობმა ახლოსაც არ მიუშვა ძალლები და ისე აფრინდა, რომ  
სროლა ვერც კი მოვასწარი. რაში დამნაშავესავით შემომც-  
ქეროდა, თან კუდს აქიცინებდა, ძალლებმა კვლავ განაგრძეს  
ძებნა. მცირე მანძილი გაიარეს თუ არა, ბუჩქთან ისევ შედ-  
გნენ. კისერი წაიგრძელეს, მიწა დასუნეს, წინ გაეშურნენ,  
გაძერნენ და გამოძვრნენ ეკალ-ბარდებში. ხელში მომარჯვე-  
ბული თოფით კვალდაკვალ მიესდიე, თანდათან უფრო ღრმად  
შევიჭრი ბუჩქებში. ბოლოს შედგნენ.

— ჰა, მიდი! — შევძახე ნელი ხმით.

კოდორი არ გაინძრა, რაშიმ ირგვლივ შემოურბინა ბუჩქს  
და მეორე მხრიდან ეცა. ბებერი მამალი ხოხბი ეკალ-ბარ-  
დიდან ხმაურით ამოვარდა, ძლიერი ფრთები გაშალა, ჰაერში  
აიჭრა, წამით შეტრიალდა იმისათვის, რომ გეზი აელო, მაგ-  
რამ ამაოდ. ჩემმა თოფმაც დაიჭექა და უმალვე ქვასავით  
ჩავარდა იმავე ბუჩქში, საიდანაც ის-ის იყო ასეთი ხმაურით  
აფრინდა. ძალიან გავწვალდი, არც კი ვიცი, თუ როგორ  
მოვხვდი იქ: ირგვლივ გაუვალი ბარდი იყო, მაყვლის ბუჩქს  
შემოხვეოდა რაღაც ეკლისმაგვარი მცენარე. ხელები გვერ-  
დით ჯიბეებში ჩავიწყვე, ჩანთა მხარზე მოვიგდე, რომ ეკ-  
ლებზე არ მიმეხია ხოხბები და, ჯუბის სიმაგრეში დარწმუნე-  
ბულმა, პირდაპირ გავსწიე ბარდების მეორე მხარისაკენ;  
ჩემი ვარაუდით სერაპიონისკენ მივიწევდი.

ასე ვიხოხე ოციოდე ნაბიჯზე, ოფლში გავიწურე, გამო-

სასვლელი მაინც ვერ ვიპოვე. ამასობაში სულ გაუვალი ბართვი  
ში შევსულვარ. ძალები გაოცებით შემომაცექრდნ უნდა მოვარდოს  
ფრთხილად მომყვნენ ფეხდათებ. რა უნდა მექნა? ერთგან  
უფრო თავისუფლად მომეჩვენა გასასვლელი. ამ მიმართულე-  
ბით მივყევი და ძლივს გამოვაღწი ბარდითა და გარეული  
ვაზით დაბურულ მაღალ ხესთან, რომლის გარშემო ამოსუ-  
ლიყო მყვალის ბუჩქები. კოდორი პირდაპირ ეცა ამ ბუჩქს,  
იქიდან ააფრინა წყვილი ხოხობი. ერთი მათგანი იქვე ჩამო-  
ვავდე ეკლებში, მაგრამ მისი იქიდან გამოთრევის იმედი აღარ  
მქონდა. ის იყო უკვე საბოლოოდ გავეხლართ ეკლებში. ამ  
დროს უცებ სერაპიონის შორეული, ძლივს გასაგონი ყვი-  
რილი მომესმა. სასოჭარკვეთის შემდეგ მისი დახმარებისა და  
ზოაპრული წალდის საშუალებით იქიდან თავის დალშევის  
იმედი მომეცა.

— აქეთ, აქეთ!.. სერაპიონ, უუუ! — ხმაჩახლეჩით ვე-  
ძახდი ჩემს დამჩხნელს.

თანდათან სულ უფრო ახლოს ისმოდა საპასუხო შეძახი-  
ლი, მაგრამ ცხადი იყო, ძალიან ნელა და ვაივაგლახით მოი-  
წევდა ჩემსკენ. მერე შევნიშნე, რომ თურმე ძალიან დაისვე-  
ლებულვარ, შარვალიცა და ჭუბაც გაედენთილიყო ბუჩქებსა  
და ბალახბულახისაგან ჩამობერტყილი წყლის წვეთებით.  
ჩემებიც დამსეველებოდა ტალახში და ეკლიო გაკაწრულიყო.  
მაგრამ მყვალის ბუჩქებსა და ეკალ-ბარდებში სიარულის  
დროს გავხურდი, ისე ამდიოდა ორთქლი, როგორც ფოსტის  
ცხენს წვიმაში...

სერაპიონი უკვე მოახლოებული იყო, როცა სახეზე სამი  
წვეთი წყალი დამეცა. კვლავ წამოვიდა საზარელი, ნელი წვი-  
მა. იძულებული გავხდი ნადირობისათვის თავი მიმენებებინა.

მოლად გაწუწული, მაგრამ ბეღნიერი შემთხვევით აღტა-  
ცებული ვიდეეჭი პეტრესთან ერთად, ვიღაცის ფაცხის წინ,  
რომელმაც გულთბილად მიგვიღო და თავი შეგვაფარებინა.  
ბავშვები ჭარალ შემოგვეხვივნენ, ისინი ეკლურტულებოდნენ  
ერთმანეთს, ხანდახან გაუბედავად წაჟკრავდნენ ხელს ხოხ-  
ბებს და რაღაცას უხსნიდნენ ერთიმეორეს.

პეტრეს მოეკლა სამი ხოხობი და ერთი ტყის ქათამი, მე



კი უფრო მეტი მოვკალი. ექვსი ხოხობი ერთად შეკრულობული მეტიდა წელზე.

— რა ვქნათ, სახლში წავიდეთ და ვისაღილოთ? — შემეტითხა პეტრე.

მე კი მოსმენაც არ მინდოდა ამისი. შინ წასვლაზე უარი ვთქვი.

— რატომ უნდა დავანებოთ თავი, როცა ჭერ კიდევ შუადლეა მხოლოდ? ნუთუ საღამომდე არ გადაიღებს? — მივუგე მე.

ჩემმა მტკიცებამ გასჭრა, ბუხარში ცეცხლი აგიზგიზდა, ყველაფერი კარგად გავიშრეთ და გავთბით. ჩვენც არც ძალები ჩამოგვრჩნენ, ჩქარა გაიშრეს დასველებული ბალანი და ეკლით გავაწრულ აღგილებს ლოკვა დაუწყეს.

ოთხ საათზე წვიმა გადაიღო. მსევ ბუჩქებს მივაშურეთ. ამჯერად უკვე პეტრეს რჩევით შევარჩიეთ უფრო ღია აღგილები და მინდვრები, სადაც მისი აზრით უფრო აღვილად შეიძლებოდა ხოხის წამოთრენა.

ჩემმა განუყრელმა თანამგზავრმა, სერაპიონმა, მირჩია გავსულიყავით მახლობლად ტყეში გაშლილ, სველი ბუჩქებითა და ბალახბულახებით მოდებულ მინდორზე, რომელსაც აღგილობრივი მქვიდრნი ოისირეში\* ეძახდნენ. ღობეზე ფეხი გადავდგი და ოისირეში შევედი თუ არა, ძალები სხვადასხვა აღგილას შეჩერდნენ. უცებ ორი ხოხობი აფრინდა. ფეხიც კი არ გამიღვამს, ორჯერ ვესროლე და ორივე ჩამოვაგდე. უცნაური კი არის, მაგრამ დაცდილი მქონდა, როგორც კი ას პატარა, სამას-ოთხასი კვადრატული მეტრის ფართობის მინდორზე მოვხვდებოდი, ათობით ხოხობს წამოვაფრენდი ხოლმე. მართალია, ბევრი მათგანი ისე გაფრინდებოდა, რომ სროლასაც ეერ ვასწრებდი, ბევრს დავაცილებდი კიდეც, მაგრამ დღის ბოლოს მაინც საქმაო ნადავლით ვიყავი დატვირთული. იმ დღესაც ასე მოხდა, მხრები ამტკივდა ისეთი ტვირთის თრევით, მაგრამ მაინც მარჯვედ დავდიო-

\* ოისირე — საისლე აღგილი (შეგრულად).



ღი, უფრო მეტიც, სამ-ოთხ ადგილას საკმაოდ განიერ კურსების  
ლებზეც კი გადავხტო.

ცნობილია, რომ საღამოხანს ხოხობი უფრო სუფთა ად-  
გილებში გამოდის, ამიტომ, ეკალ-ბარდებიან ტყეწი კი არ  
შევდიოდი, არამედ ნელა მივყვებოდი მინდობს. გადაწყვე-  
ტილი მქონდა მეთორმეტე მამალი ხოხობიც ჩამომეგდო და  
ამით მომეთავებინა იმ დღეს ნადირობა, სულ მალე რაშიმ  
ბუჩქიდან წამოაფრინა კიდევ ერთი ხოხობი, თოფი დაუუმი-  
ზნე და ისიც ძირს ჩამოვაგდე.

„ახლა კი კმარია!“ — გავიფიქრე გუნებაში, ჩანთა მოვი-  
სენი, უკანასკნელი მამალი ხოხობი ქამარზე ჩამოვიკიდე,  
თან სიხარულით დავაცქერდი მოელი დღის განმავლობაში  
მოკლულ ოქროსფერი ფრინველების თაიგულს, დავიწყე  
თვლა. უნდა გამოვტყდე, რომ ეს მანიჭებდა უდიდეს სიამოვ-  
ნებას.

საოცრად გამიკვირდა, მხოლოდ ცხრა ხოხობი დავთვა-  
ლე. — სამი სადღაა? — გავიფიქრე და კვლავ დავთვალე.  
ისევ ცხრა გამოვიდა. — ეს რა უცნაური ამბავია? დავაკი-  
რდი. შევნიშნე, რომ ჩანთის ჩამოსაკიდზე შერჩენილიყო  
ერთმანეთზე გადაბმული ხოხბის სამი თავი... კიდევ კარგად  
შევამოწმე... ყველაფერი ნათლად წარმომიდგა. მომავინდა  
განიერი თხრილები, რომლებზეც ისე ენერგიულად და ფე-  
ხისდაუკარებლად ვხტოდი...

„ალბათ უკვე ჩამომივარდა!“ — გავიფიქრე. ძალიან დავ-  
ლონდი, მაგრამ უკვე ვერაფერს ვშველოდი. ანგარიშის გას-  
წორებაც გვიან იყო, მზე უკვე ჩავიდა, ზამთრისპირის საღა-  
მოს ბინდი ახლოედებოდა, ცაც ისე მოქურუშდა და ჩამოწვა,  
რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კოკისპირული წვიმა,  
შორიდან კიდევ მოუთმენლად მექახოდა ჩემი მასპინძელი,  
მთხოვდა, ვიდრე წვიმა დაუშენდა, გამოვსულიყავი.

ნახევარ საათში უკვე შინ ვიყავით, გემრიელად შევექცე-  
ოდით საჭმელს, ჭიქას ერთმანეთს ვუჯახუნებდით და ტკბი-  
ლად ვსაუბრობდით იმ დღის განმავლობაში ისე წარმატე-  
ბით ჩატარებულ ნადირობაზე.

რა თქმა უნდა, პირველი ჭიქით დავლიე ჩემი კეთილი



მასპინძლების ფეოდოსიასა და პეტრეს სადღეგრძელო, რომ-  
ლებმაც არ იცოდნენ, როგორ ესიამოვნებინათ ჩემი მუსიკა  
მერე დავლიე სერაპიონის სადღეგრძელო, რომელიც მთელი  
დღე ფეხდაფეხ დამსდევდა წალდით ხელში და უდიდესი  
მონდომებით მიადგილებდა ნადირობას ეკალ-ბარდებით მო-  
დებულ ადგილებში.

ნავახშეევს რბილ და სუფთა ლოგინში ჩავწექი, კიზევ  
დიდხანს ვოცნებობდი მეორე დღის ნადირობაზე, ხოხებზე,  
ძალებზე, მათ სიმარჯვეზე... წვიმა კი განუწყვეტლივ შხა-  
ბუნებდა, თანდათან სულ უფრო ძლიერდებოდა:

„არა უშავს რა! დე, იწვიმოს, რაც კი შეუძლია, ჩამოთავ-  
დება, ხვალისთვის ნაკლები იქნება!“ — ვფიქრობდი გუნება-  
ში და ამ ფიქრში ჩამძინებოდა.

გათენდა. გამოირკეა, რომ ჩემი ფიქრი წვიმის „ჩამოთა-  
ვების“ შესახებ ამაო გამოდგა. წვიმა საკმაო აღმოჩნდა არა  
მარტო მეორე, მესამე დღისთვისაც კი... თუმცა უნდა ითქვას,  
რომ ხანგამოშვებით გადაიღებდა ხოლმე, მაგრამ ეს მაინც  
არ იყო საკმარისი. იმ სამ დღეში სულ ხუთჯერ გადაიღო და,  
ამ ხნის განმავლობაში, დაქარგულის გამოკლებით, მოვაგროვე  
ოცდაშვიდი ხოხობი, თოთხმეტი ტყის ჭათაში, ერთი კურ-  
დღელი და, გზადაგზა, შემთხვევით, როგორც იტყვიან ხოლ-  
მე, ძალაუნებურად მოკლული ხუთი სხვა ფრინველი.

ნადირობის დასასრულს ჩემმა მასპინძელმა მის მიერ მოკ-  
ლული ცამეტი ხოხობი და შვიდი ტყის ჭათაშიც მე მაჩუქა. ამან საგონებელში ჩამაგდო. არ ვიცოდი, როგორ უნდა ჩამე-  
ტანა სოხუმში ეს ტვირთი. მაგრამ საქმე ჩინებულად მოე-  
წყო, აღმოჩნდა სოხუმში ვიმავალი ვილაც მახლობელი მეზო-  
ბელი, რომელიც თავაზიანად შემპირდა დახმარებას გზაზე.

არ შევუდგები იმის აწერას, თუ როგორი ვახშამი მომიწ-  
ზადეს წასვლის წინ ჩემმა გულუხვემა მასპინძლებმა, არც იმის  
აწერას დავიწყებ, თუ როგორ გავფონეთ ღამით იმ საშინელ  
თავსხმაში ელვა-ქუხილის ფანტასტიკური შუქით განათებუ-  
ლი მდინარე ლალიძგა, ან როგორ ჩავაღწიე სოხუმამდე.

ვიტყვი მხოლოდ, რომ არასოდეს არ დამავიწყდება ის  
ნადირობა. დიდხანს ვოცნებობდი მენახა ენგურის თვალ-



წარმტაცი სანაპიროები, მისი ამწვანებული მიდამოები, ზურა-  
ბური ტყეები და ხოხბებზე ნაღირობით გული მეჭურაში მარად

ეს ოცნება ავისრულე. ვეწვიე ამ მხარეს: ბევრი ვისრო-  
ლე, ბევრი დაეხოცე, ნადავლით დავიტვირთე და უდიდესი  
პატივისცემით გამომისტუმრეს ჩემმა მარად ტკბილად მოსა-  
გონარმა, გულუხვმა მასპინძლებმა!

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა...

ეს იყო ჩემი ჭაბუკობის დროს. ეს ტკბილი მოგონება  
ხშირად გამკრავს გულში და ვნატრობ:

ნეტავი, ერთხელ კიდევ მაჩვენა ენგურის წარმტაცი სანა-  
პიროები, ის „უა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი!“



## ირმებზე, ლიხის მთაში

ტირიფონის ველის აღმოსავალეთ კუთხეში, მთიდან ჩამონადენ მჩქეფარე მდინარის პირად, ცალ აწვდილან ოთარაშენის ციხესიმაგრის კოშკურები. აქ ცხოვრობდა ოსმალეთიდან ახლად დაბრუნებული თავადი გიორგი ამილახვარი.

იგი ხუთ წელს თბილისის გიმნაზიაში „სწავლობდა“, იქვე პანსიონში ცხოვრობდა და რუ-

სულად კარგად ლაპარაკობდა. მაგრამ სწავლა არ იყო მისი საქმე. ძლივს მიაღწია მეორე კლასში თოთო კლასში ორორ წელიწადს იჯდა და, ბოლოს, როგორც მაშინ ამბობდნენ, „მოკრძალებული წარმატებებისა და თავაშვებული ყოფაქვევისათვის“ გიმნაზიიდან გარიცხეს. მას შემდეგ იგი ოთარაშენში დაბინავდა, ნადირობდა და ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა.

დაუსრულებელი საჩივრები მიწის შესახებ, სასამართლოს პროცესები და დავა, ურომლისოდაც იმ დროს წარმოუდგენელი იყო მემამულის ცხოვრება, მოითხოვდნენ ამილახვარსაც ჰყოლოდა თბილისში თავისი იურისტი, ადვოკატი.

იმ დროს ამილახვარის ადვოკატად, ნიჭიერი, გამოცდილი თბილისელი იურისტი, ჩემი კარგი მეგობარი ზ-ი მუშაობდა. მე მასთან დიდი ხნის მონადირული მეგობრობა მაკავშირებდა. ნადირობით ჩვენ ორიეე ერთნაირად ვიყავით გატაცებული და ხშირად ერთად დავდიოდით სანადიროდ საქართველოსა და აზერბაიჯანის სხვადასხვა ადგილებში.

ზ-ი გულწრფელად აღიარებდა, რომ აბეზარი თავადის



ადვოკატობაზე მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ საშაქატავში მისცემოდა ესარგებლა იმ დიდი ნადირობებით, რომლებიც ხშირად იმართებოდა ოთარაშენის მიღამოებში, სადაც ბლობად იცოდა კურდოლი და გნოლი, გადაფრენის დროს დიდი რაოდენობით ჩერდებოდა მწყერი და ჭოვილო.

ერთხელ როგორდაც ჩემთან ზ-ი მოვიდა და გადმომცა, რომ ოთარაშენის მფლობელი სექტემბრის დამდეგს ნადირობას აწყობდა ირმებზე სადგურ მარელისის ახლოს, მთებში. ასეთივე ნადირობა გასულ წელსაც მოეწყო, რამლის დროსაც სამი ხარირემი მოკლეს. ადგილები კარგადაა შესწავლილი, თან ეყოლებათ მდევრები და მომრეკნი. სტუმრებისათვის მზადაა ცხენები, ბინა, საჭმელ-სასმელი და ყველაფერი, რაც კი საჭიროა ნადირობისას.

— წავიდეთ, ევგენი ლვოვიჩ, — მაქეზებდა ზ-ი, — იქნება ველარც კი მოვესწროთ ირმებზე ნადირობას და, მით უმეტეს, ასეთი მოწყობილობით! თან მხოლოდ თოფები, ვაზნები და... კარგი განწყობილება უნდა ვიქონიოთ... დანარჩენი ყველაფერი იქ დაგვხვდება. როდესაც ამილახვარი მპატიუებდა, მე ვუთხარი, რომ ძალიან მსურდა თან ამხანავი წამეუკანა, და თქვენი თავი დავუსახელე. მაშინ მას რაღაც გაახსენდა და იქვა:

— მარკოვი? უენია? ის ხომ ჩემი ძეელი ნაცნობია, ჩვენ გიმნაზიაში ერთ კლასში ვიყავით. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, წამოიყეანოთ, მოხარული ვიქნები, თუ კიდევ შევხვდები მას.

— მაშ კარგი, წავიდეთ ხომ? — კიდევ შემეკითხა ზ-ი.

ბერი არ მიფიქრია, თანხმობა მივეცი და ჩვენი წასვლაც გადაწყდა. მაშინ მომაგონდა გამხდარი, მაღალი ტანის, გრძელმელავა ამილახვრის ბიჭი, რომელიც ჩემთან ერთად უფროს მოსამზადებელ კლასში სწავლობდა და რომელსაც შემდეგ, როდესაც იგი მეორე წელს დარჩა ამავე კლასში, მხოლოდ გიმნაზიის დიდ ეზოში თამაშის დროს ვხვდებოდი ხოლმე.

თამაშობაში იგი გამოირჩეოდა სიმკვირცხლით, კარგად თამაშობდა ლახტს, ოთურმას, საუკეთესოდ ხტოდა, ხშირად და სიამოვნებით ებმებოდა კრივში, შეუბრალებლად იცოდა

მასზე უფრო სუსტების ცემა. სხვა შთაბეჭდილება მასზე მადიპირებელი არ დამრჩენია. ისიც ვიცოდი, თუ რას წარმოადგუნდა ასაჭრება მად იგი. და ეს მიმაჩნდა დაბრკოლებად, რომ მიმელო მისი მიპატიუება, წავსულიყავი სტუმრად ისეთ კაცთან, რომლის სულიერი თვისებები მძღლდა, რომლის ყოფაცევა და შეხედულებები დიდ აღმფოთებას იწვევდა ჩემში, მიუხედავად ამისა, მონადირის გულმა და მონადირულმა ვნებამ ნება არ მომცეს ღრმად ჩავწდომოდი იდეოლოგიურ მოსაზრებებს, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ფეოდალური კლასის ამ უკანასკნელი ნაშთის გაცნობა დიდ ინტერესს იწვევდა ჩემში: ასეთები მე ჯერ არ შემხედროდნენ.

დანიშნულ ზღეს მე და ზ-ი მატარებლით სადგურ მარელისში ჩავედით. პატარა სადგურზე ჩვენ ამილახერის მოსამსახურები შეგვევდნენ ცხენებით. მასპინძელი უკვე მთაში იყო. ვიწრო, მაგრამ კარგად ნატარი ბილიკი ხვეულებად ადიოდა ზევით. გამყოლის უკან ჩქარი ნაბიჯით მივიწევდით მაღლა.

საუკეთესო, ოდნავ შენისლული დილა. მზე სადლაც ღრუბლებს იქით არის. გრილა.

ჯერ მთის ღელეს მივყვებით, რომელზედაც ჩამწერივებულია ხევში მელოდიურად მოჩახუნე პატარა წისკვილები. აქა-იქ პატარა ნაჭერი ვენახებია, ციცაბოზე სიმინდის ყანებია მითესილი. ზოგჯერ ბაღში ლამაზი იმერული ოდა მოჩანს. ხალხი არსად სჩანს. მალე ნაამაგარის ეს პატარა ნიშნებიც დაილია. დარჩა მხოლოდ მწვანე ხეობა.

რამდენადაც უფრო ზევით მივდიოდით, ჰაერი სულ უფრო და უფრო სუფთა ხდებოდა, სურნელოვანი ბალაზი და ყვავილები გვერტყა გარს, მკერდი თავისუფლად, სასიამოვნოდ სუნთქვავდა.

ახლანდელი ორგონიკიძის რაიონის მაღლობი ავიგაკეთ, რომელიც ბორჯომის მხარისაკენ მიიმართება, მის ტყეებს ესაზღვრება და სუბტროპიკული ტყეებით არის დაფარული. ზაფხულის ხეარტის, ბუზის, ბორას და მუმლისაგან დევნილი ირმების ნაწილი ბორჯომის ტყეებიდან ზაფხულობით აქ გადმოდის, ტყიან ხეობებში იფანტება. ისინი მდიდარ საძოვ-

რებზე სუქდებიან, ძალასა და ღონეს იკრებენ და სექტემბრის  
შუა რიცხვებში მზად არიან მყვირალობისათვის.

დიდი ლურჯი მაღალი კარავი, როგორც შემჯევ შევი-  
ტყვეთ, თურქეთის ფაშის საჩქარი, რომელთანაც რევოლუ-  
ციის პირველ წელს გლეხებისაგან დევნილი ამილახვარი აფა-  
რებდა თავს, გორაქზე იყო წამოდგმული. გარშემო თეთრი  
სამხედრო კარვები იდგა, რამდენიმე კოცონი ენთო, შორი-  
დანვე სცემდა გემრიელი მწვადის სუნი, ჭიხვინებდნენ მიბ-  
მული ცხენები, წემუტუნებდნენ მდევრები, ხალხით იყო  
სავსე იქაურობა.

ჩვენ სანადირო ბანაქში მივედით.

თურქულ კარავში, ნოხის ბალიშებზე, თავადი აღმოსავ-  
ლურაზ, მორთხმით იჭვა... მწვადს შეექცეოდა, ატენურს აყო-  
ლებდა.

ჩვენი მისვლა რომ შეიტყო, ფიცხლავ წამოხტა, ხელსა-  
ხოცით გაიწმინდა გაქონილი ხელები და შემოგვევება.

— დიდად სასიამოვნოა თქვენი მობრძანება! გმადლობთ!  
გული არ დაგწყდებათ, კარგად ვინადირებთ... ა, ეს მარჯო-  
ვია?... უენია?... გამარჯობათ, გამარჯობათ, ძველო ამხანაგო!  
მცნობთ?... გახსოვართ?...

ჩასუქებული, ლეგა ჩიხაში გამოწყობილი, ვერცხლის ქა-  
ბარშემორტყმული, ზედ პატარა ხანჭლითა და რევოლვერით,  
მასპინძელი ვერ ვამსგავსე იმ კაფანდარა, შეუხედავ ბიჭს,  
ჩემი სკოლის ამხანაგს. მხოლოდ როცა კარგად დავუკვირდი,  
მე მის თვალებში რაღაც ნაცნობი გამოხედვა შევიცან: თავ-  
გასული ქედმალლობის, ჯაუტობისა და მტაცებლობის დამა-  
ხასიათებელი იერი როგორც წინათ, ახლაც ახასიათებდა იმ  
თვალებს.

— თქვენი თვალები რომ არა, რასაკვირველია, თქვენი  
ცნობა შეუძლებელი იყო, ახლა კი კარგად ვიგონებ. — ვუ-  
პასუხე მე.

ჩვენ ცალკე კარავში შეგვიძლვნენ, სადაც მშვენიერი,  
სურნელოვანი მთის თვეა ეყარა და ზედ ნოხები იყო დაგე-  
ბული. შემდეგ მასპინძლის კარავში საღილზე მიგვიწვიეს.



ფართო თურქულ კარავში მაგიდის ნაცვლად ნოხები იყო  
დაგებული და ზედ სუფთა ფიცრები ეწყო, რომლებზე უწყებელი იყო  
დალაგებული იყო ყოველგვარი საუზმე. იმერეთის მთების  
ცივ მდინარეებში დაჭრილი კალმახი, შინაური ღორი, გე-  
რიელი ყველი, ნიგვზით შეკმაზული ლობით და კიდევ მრა-  
ვალი რამ ამშვენებდა თავადის სუფრას, რომელთა სახელე-  
ბიც კი დამავიწყდა.

შამფურზე აგებული მწვადები, რომლებსაც თვალის და-  
ხამხამებაზე ყლაპავდნენ სუფრის გარშემო ბალიშებზე მოკა-  
ლათებული მონადირეები, შეუჩერებლად მოჰქონდათ. იქ  
იყვნენ ამილახერის მეგობარი, მეზობელი თავადები და სა-  
მიოდე ოფაცერი.

მსუბუქი ატენური ღვინო დიოდა და გადმოდიოდა, სა-  
დლეგრძელოებს სადლეგრძელოები მოჰყვებოდა, ქუხდა მრა-  
ვალუამიერი.

თამადა ჩევეულებისამებრ თვით მასპინძელი იყო. ჩენდა  
სასიხარულოდ, გრძელ სადლეგრძელოებს არ ამბობდა, ოვი-  
თეულს რიგრიგობით უსურვებდა ხანგრძლივ სიცოცხლეს.

როდესაც სადილს მოვრჩით და სახელგანთქმულ გორის  
ხილსა და ატენის ტკბილ ყურძენს შევექცეოდით, მასპინ-  
ძელმა გამოვვიცხადა: ხვალისათვის ნადირობაა დანიშნული  
იქედან რვა კილომეტრზე. სამ-ოთხ სარეკს გავაკეთებთ დიდ  
ტყიან ხეობაში, სადაც, როგორც მზვერავები ამბობდნენ,  
რამდენიმე რქებდატოტვილი ხარირემია. ნადირობის ხელ-  
მძღვანელად ცნობილი მონადირე, კაპიტანი დაინიშნა. ბანა-  
კიდან დილის ხუთ საათზე უნდა გავიდეთ, რომ ასიცხებამდე  
პირველი ორი სარეკი გავაკეთოთ. მომრეკები კი ძალებით  
უფრო ადრე წავლენო.

ცხენზე ჯდომით დალლილები, ნალებივით სქელი და სურ-  
ნელოვანი მთის ჰაერით დამთვრალნი, ახალი შთაბეჭდილე-  
ბებით დატვირთულნი, მე და ჩემი მეგობარი ძლივს ვე-  
ლირსეთ დაღამებას. როგორც კი ცაზე პირველი ვარსკვლა-  
ვები აინთნენ, ხეობიდან კი სალამოს სიომ დაპბერა, — ჩენ  
რბილ სურნელოვან საწოლებზე გავგორდით, ნაბდებში გა-  
ვეხვიეთ და დავიძინეთ.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როდესაც მკეთრმა სანადირო შეკრის კის ხმამ გაგვაღვიძა. სახეზე შესხმულმა ცივმა წყალმა ძილი გაგვიფრთხო. ხელდახელ ვისაუზმეთ. კვლავ ცხენებზე შევს-ხედით და სანადირო ადგილისაკენ გავსწიეთ. ერთი კილო-მეტრით ადრე ჩამოვხტით. თავი მოვიყარეთ ნადირობის ხელმძღვანელის გარშემო. ტრადიციული კენჭი ვყარეთ.

სულ თვრამეტი მონადირე ვიყავით.

მე მეხუთე ნომერი მერგო, საფრების მარჯვენა მხარეს-თან, შედარებით ახლოს. სანადირო თეორიის მიხედვით, ასე-თი ნომერი არ ვარგა, ვინაიდან უკეთესად საშუალო ნომრები ითვლება. თუმცა ჩემი მრავალი წლის გამოცდილებით ვი-ცოდი, რომ მორეკვითი ნადირობის დროს არ არსებობს იღბლიანი და უიღბლო სახუნდარები. ზოგჯერ სულ უპრალო მიზეზებზეა დამოკიდებული ნადირის მიმართულება, ხშირად უკეთესი ნაპირა ნომრები აღმოჩნდება ხოლმე. „ნადირი მო-ნადირეს ეტანებაო“, — ამბობს ანდაზა. საქმე ისაა, ვის რო-გორ და როდის გაუმართლებს მონადირის ყისმათი.

აუღელვებლად მივსდევ ხელმძღვანელს, რომელმაც მი-ჩვენა ჩემი ადგილი. საფრების ხაზი ხეობის შეეულ ნაპირს მიჰყვება და ტყიანით ძირს, ხეობაში ეშვება.

ერთი ხის ძირში, სქელ ბუჩქებში ვიმალები. ფეხებით ხმელ ბალახს, ჩამოცვენილ ფოთლებსა და ტოტებს ვასწო-რებ, რომ ფეხქვეშ არ იხმაურონ, თვალით სასროლ ადგილს ვსინგავ, ვვარაუდობ სასროლ მანძილს, თოფს ვტენი და ვი-ნაბები. მომრეკები ხეობიდან ზევით დაიწყებენ ნადირის მო-რეკვას.

მზე ჯერ არ ამოსულა, მაგრამ ოქროსფერმა სხივებმა უკვე ამოჰყვეს თავი შორეული მთების იქით. ნაზმა ვარდის-ფერმა იერმა გადაპკრა გაღვიძებულ ბუნებას.

მარცხენა მხრიდან ბუქის ხმა მოისმა. სარეკი დაიწყო.

რამდენი მღელვარება, რამდენი მწვავე განცდა გაუფლება სახუნდარში მღვიმ მონადირეს! წინათ ჩატარებულ ნადირო-ბათა უკვე დავიწყებული შთაბეჭდილებები, ოცნებანი მოხ-დენილ გასროლასა და ნადავლზე, სურვილი — ფეხის ხმით



ან ძალლების ყეფით გამოიცნოს ნადირის მოახლოება კუთხით ერთმანეთს სცვლიან მონადირის გონებაში. თვალები დაშტე რებიან ნადირის გამოსასვლელ ადგილს, ყურები დაცევებილია, გულს დროგამოშვებით დაგადუგი გააქვს, ზოგჯერ კი, თითქოს შეჩერდათ, ისე მიყუჩდება, ხელებით თოფი ჩაუბლუჯავს... და როდესაც შორს გაისმის მღევრების სხვადასხვა ხმით წკავწკავი, როდესაც მთელი ტყე აიცხება მოახლოებული ყეფით, „მონადირე განიცდის შეუდარებელ, მუდამ დასამახსოვრებელ სიამოვნებას. ყოველგვარი სევდა, ვარამი, გაჭირება, შეურაცხოფა, ცხოვრების ყველა სიღუბჭირე დავიწყებას ეძლევა. იგი მთელი არსებით, მთელი თავისი მონადირული განცდებით იქ არის, სახუნდარში. რაღაც სასიამოვნოს და ამაღლევებლის მოლოდინშია... და ეს მოლოდინი თითქოს უფრო სასიამოვნო და სასიხარულოა, ვიდრე ის, რასაც საბოლოოდ ელოდება მონადირე: მე ვფიქრობ, რომ სახუნდარში ნადირის მოლოდინი უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მისი მოკვლა.

მომრეკთა შორეული ყიუინა ისმის. საღლაც ძალლმა მიაყეფა, მეორემაც ხმა მისცა პირველს. შორს, ქვევით, ხეობაში, მარცხნივ, უცბად რამდენიმე მდევარმა დაჰყეფა. მოისმა წვრილი, თითქოს მოტირალი, გადაბმული წკავწკავი, შიგ ჩაერია ბებერი ხვადის მაღალბანი. მალე მდევრების მთელი დასტა, ეტყობა, ახალ კვალს იდევნა, ტყე თავისებური კონცერტით გაყრუცდა. ყეფა თითქოს ჩვენები მოღიოდა, იმედი ჩაგვესახა, რომ ნადირი ჩვენი საფრებისაკენ მოიწევდა. მაგრამ მალე ყეფა შებრუნდა და მოწინააღმდეგე მხარისაკენ წავიდა, ძალლების ხმა თანდათან დაგვშორდა და ახლა ოდნავ მოისმოდა შორიდან.

გამზადებული თოფი ძირს დაუშვი. გული დაწყნარდა. საჭირო იყო მომინებით მოლოდინი.

მომრეკების ხმა კი თანდათან ახლოვდება. ნუთუ ისინი ნადირს ვერ აყრიან?

საფრების ხაზის მარცხენა მხარეს თოფი გავარდა. მას მეორე და მესამე მოჰყვა, ერთი მეორის მიყოლებით... ძალლების თავგამოდებული ყეფა მოისმა. ეტყობოდათ, ან კვალ-

დაკვალ მისდევდნენ, ან პირდაპირ ხედავდნენ ნადირს, რომელ  
ლიც საფრების გასწორივ ჩვენები მორბოდა.



გულმა კვლავ დაგადუგი დაიწყო. თოფი ისევ გავმართე.

ყეფა მომიახლოვდა. ძალლები ენა ჩავარდნილივით ლულ-  
ლულებენ, კვალდაკვალ მისდევენ. უკვე ახლობელი საფრი-  
დან ესვრიან. აშკარად მესმის ირმის მძიმე ნახტომის ხმა.

გავარდა ჩემი მარცხენა მეზობლის, ახალგაზრდა ოფიც-  
რის თოფი.

უზარმაზარი, დატოტეილრქებიანი ირემი, მარჯვედ ნას-  
როლი ტყვიით განგმირული, ტოტებისა და ბუჩქების მტვრე-  
ვით ჩემგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე მიწას დაეცა მოწყვე-  
ტით.

მე მაინც ადგილიდან არ ვიძროდი, ვიცოდი, რომ ძალლე-  
ბი მარტო ერთს არ მოსდევდნენ. მაგრამ იმედი არ გამიმარ-  
თლდა: ირემს თან მოჰყვნენ მდევრები და წკმუტუნით თავს  
წაადგნენ წაქცეულ ნადირს, ლოკავდნენ კისრიდან დადენილ  
სისხლს, ცდილობდნენ, ხორცი გამოეგლიჭათ.

სარეკში მეტი ირემი არ არის. მომრეკებიც გამოჩნდნენ,  
საფრებს მოუახლოვდნენ.

პირველი სარეკი მორჩა. გაისმის ბუქის ხმა.

თოფებიდან ვაზნები გამოვიღეთ, თავი მოვიყარეთ, მოკ-  
ლული ირემი ვავსინჯეთ: მარჯვედ ნასროლი ტყვია მთელი  
სისწრაფით მიმავალ ნადირს კისერში მოხვედროდა.

ადგილი ვიცვალეთ იმავე ხეობაში. მეორე სარეკი გავა-  
კეთეთ. იგი უშედეგო აღმოჩნდა.

დაცხა. ჩრდილში შევიკრიბენით. დავისვენეთ. დავნაყ-  
რდით. ნაშუადლებს კიდევ ორი სარეკი მოვახერხეთ. ჩვენდა  
სამწუხაროდ, ნადირი ვერ ვნახეთ. მზეერავების ცნობები არ  
გამართლდა. დიდ ხეობაში, სადაც ოთხი სარეკი გაკეთდა,  
მხოლოდ სამი ხარირემი აღმოჩნდა, ერთი მათგანი პირველ  
სარეკშივე მოკვდა, ორნი კი გვერდზე გაჰყვნენ და საფარში  
არ გამოვიდნენ.

მიუხედავად ასეთი ნაკლებ შედეგიანი ნადირობისა, მე  
და ზ-ი ძალიან ნასიამოვნებნი ვიყავით. არც ერთი ჩვენთა-  
განი არ დაღონებული. მე კი, მართალი მოგახსენოთ, მოხა-



რულიც კი ვიყავი, რომ არ მომიშვია ირმისათვის სროლებულების ეს ტყის მშენება ჩემში განსაკუთრებულ პატივისცემას ვევს. მე გაუმართლებელ სიქაცრედ მიმაჩნია საქართველოს ტყეების ამ დამამშვენებელი არსების მოკვლა.

მთელი ჩემი მონადირული ცხოვრების მომდევნო პერიოდში ერთხელაც არ განმიზრახავს თოფი ამეშვია ირმის სასროლად და ჩემს სინდისს არ ჰქენების არც ერთი ჩემ მიერ მოკლული იქნი.

და ეს სანტიმენტალობა იყოს, მონადირისათვის გაუმართლებელი საქციელი, მონადირისა, რომელიც ყველა სხვა ნაღირს აუღელვებლად კლავდა, მაგრამ ეს ფაქტია, ფაქტებთან კამათი კი უხერხულია.

სანადირო დღე მასპინძლის კარავში უხვი ვახშმით დამთავრდა. იყო ღრეობა, სმა, ლხინი.

თავადი უმთავრესად დღისით მოკლული ირმის მწვადებით გვიმასპინძლდებოდა. ზოგმა სტუმარმა არ იცოდა, რომ ახლად მოკლული ირმის ხორცი მაწყინარია და აქაც „ვინც მეტი ქნა, მას იმ ღამესვე ეკითხა“. ნაცადმა მონადირებმა კარგად იცოდნენ ასეთი ხორცის უარყოფითი გავლენა კუჭზე და თავი შეიკავეს.

მასპინძელი გულით გვთხოვდა დავრჩენილიყავით მეორე დღესაც, იგი გვარწმუნებდა, რომ წვალ უფრო სარფიანი იქნებოდა ნაღირობა, მაგრამ მე და ზ-იმ მაღლობა გადავუხადეთ მასპინძელს, მეორე დილით გამოვეთხოვეთ და უკან გამოვბრუნდით.

ასე მოვხედი სანადიროდ ერთ-ერთ უკანასკნელ ქართველ მემამულე თავადთან, რომლის დღეები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, უკვე დათვლილი იყო.



## ჩიმი ზკანასძნელი ნადირობა

განსაცვიფრებელი და ზოგჯერ დაუჯერებელია მონაღირის მახსოვრობის სიზუსტე: რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მას შეუძლია მეხსიერებაში აღაღვინოს და ხელახლა განიცადოს ზოგიერთი წვრილმანი მოვლენაც კი, რომლებიც ნადირობისას შეხვედრია. მაგალითად, წარმოიდგინოს, რა განიცადა, როდესაც ერთ მშვენიერ შემოღვომის დღეს მისი ნანაღირევი ტყის ქათამი ვერხვის ფოთოლგაცვენილ ტოტებში ჩამოვარდა; თუ როგორ ააცდინა ძალლის ნაბულზე ამოფრენილ მამალ ხოხობს, ან როგორ გაუშვა ათფუთიანი ტაბი, რომელსაც უკან მდევრები მოსდევდნენ, ანდა როგორ წამოაგდო თოფის ლულებით მძინარე კურდღელი, რომელსაც თავზე წაადგა და არ უნდოდა მძინარი მოექლა.

ნადირობის ასეთი და მრავალი სხვა ეპიზოდი ნათლად წარმოუდგება ხოლმე თვალწინ მონაღირეს, როდესაც გაიხსენებს მათ. მე მგონია, რომ ნადირობის დროს რამდენიმე წლის წინათ განცდილის ასე ნათლად წარმოლდგენას რაღაც იდუმალი კავშირი იქნება ადამიანის გრძნობებსა და მრავალი საუკუნის წინათ მის არსებაში ჩანერგილ ნადირობის სურვილსა და გატაცებასთან.

მკითხველს მინდა მოუთხრო ჩემი უკანასკნელი ნადირობის ეპიზოდი, რომელიც ასე ნათლად მიდგას თვალწინ და



1940 წლის დეკემბერში მეგობრებმა ღორებზე სანადი-  
როდ დამპატიუეს. წითელწყაროში ვერცივ ივანე მარქოვს.

აქ ცხოვრობდნენ ჩემი ძევლი მეგობრები, საუკეთესო  
მონადირეები, რომლებმაც ზედმიწვნით იცოდნენ ახლო  
მდებარე სანადირო ადგილები და გარეული ღორების ყველა  
ჩვევაც. ისინი საერთოდ პატარა, ოთხ-ხუთი კაცისაგან შემ-  
დგარ ჯგუფებად მიდიოდნენ სანადიროდ. თან ერთი ან ორი  
წყვილი მდევარი მიჰყავდათ, ზოგჯერ კი უძალლოდაც ნადი-  
რობდნენ. ყოველთვის ერიდებოდნენ ბევრ ხალხსა და ალია-  
ქოთს. სანადიროდ ფეხით მიდიოდნენ, იქ ორ ან სამ დღეს  
რჩებოდნენ. თან ცალცხენიანი ურიკა მიჰყავდათ, რომ ოც  
კილომეტრზე საგზალი ზურგით არ ეთრიათ, და უქან ნანა-  
დირევიც ურიკით წამოელოთ.

წითელწყაროები უმთავრესად ალაზანზე ჩადიოდნენ.  
ალაზანს ბორნით გადავიდოდნენ და მდინარის მარცხენა მხა-  
რეს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნადირობდნენ. მდინარის  
ეს ნაპირი დაფარული იყო ხშირი ტყით, ბუჩქებით, ჩალია-  
ნით და შიგ თავს ინახავდნენ გარეული ღორის ფარები.

სალამოთი ჩემს მასპინძელთან თავი მოიყარეს მისმა მეგო-  
ბარმა მონადირეებმა. მხიარულ ვახშამზე მომავალი ნადირო-  
ბის გეგმა შევიმუშავეთ. თავმოყრილ მონადირეთა შორის  
განსაკუთრებით გამოიჩინეოდა მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი,  
აქაური ცხენოსანი პოლკის ყოფილი ოფიცერი, გატაცებული  
მონადირე და საუკეთესო მსროლელი გრიშა. იგი დიდი ხანია  
ადგილობრივი კოლმეურნეობის წევრი იყო და ერთ-ერთ  
სანიმუშო კოლმეურნედ ითვლებოდა მეზობლებს შორის. მას  
დიდი ხანია ვიცნობდი და პატივს ვცემდი, როგორც კარგ მო-  
ნადირესა და საუკეთესო ამხანაგს ნადირობაში.

ერთხმად გადავწყვიტეთ, დრო არ დაგვეკარგა და იმ ღა-  
მითვე ჩავსულიყავით ჩარდახლოს ბორანზე, გადავსულიყა-  
ვით ალაზნის მარცხენა ნაპირზე და ორ დღეს დავრჩენილი-  
ყავით სანადიროდ. ამბობდნენ, რომ წელს იქ ძალიან ბევრი  
ღორი იყო.

## სიტყვა საქმედ გაქციეთ.

ღამეა. მართალია, ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავენ, შეგრამ მაინც სიბნელეა. უმთვარო ღამეა. ჩვენ კი წითელწყაროს გაცდით. მივდივართ: ჩემი მასპინძელი, გრიშა, ორი მათი მეგობარი ავრამენჯო და ბოიკო და მე. ერთცხენიან ურიკაში აწყვია ჩვენი საგზალი და ბარგი. თოფები ზედ გვიდია. მარჯვედ მივაბიჯებთ ჭიქა ჭაჭის არაყისა და ნოყიერი ვახშმის შემდეგ.

წითელწყაროს გორაკიდან ალაზნის ველზე ჩავივაკეთ და მდინარის გასწვრივ მიმავალ საურმე გზას დავადექით. გრილა, სიარული არ გვიჭირს, თუმცა ფეხები ტალახში გვეფლობა. მალე დაგვცხა კიდევაც, საყელოები გავიხსენით, მაგრამ დაღლა არ გვინდა შევიმჩნიოთ, შეუპოვრად მივიწევთ მიზნისავენ. ლაპარაკის ხასიათზე არ ვართ. ჩუმად მივაბიჯებთ, ხანგამოშვებით თამბაქოს ვაბოლებთ.

სამ საათს განუწყვეტლივ ვიარეთ. აღმოსავლეთი ოდნავ ალისფრად შეიღება და დღის დასაშუალი გვამცნო. მივედით ბორანთან. მაგრამ ვაი უბედურებას: ბორანი ადგილზე როდიღა დაგვხვდა — თურმე რამდენიმე დღის წინათ ნავებს წყალი შესვლია და ჩაძირულა. მეორე მხარეზე გადასვლა უკვე შეუძლებელია. მებორნეც იქ არ არის, მეზობელ სოფელში გაქცეულა მაშველის მოსაყვანად. რაღა ვენათ, როგორ მოვიქცეთ? როგორ გადავლახოთ ფართო და ლრმა ალაზნი? ნუთუ ჩვენმა ცდამ უქმად უნდა ჩაიაროს? ნუთუ ვერ ვინაღირებთ?

მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ჩემი მეგობრები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენ მეორე მხარეზე გადავიდეთ.

ჩემი აზრის დასაღასტურებლად მათ თავი მოიყარეს და რაღაცას თათბირობენ.

მე კი, უნდა გამოვტყდე, ისე დავიღალე ღამის ტეხითა და ოც კილომეტრზე ფეხით სიარულით, რომ მოუთმენლად ველი ერთი საათით თავი მივდვა და თვალი მოვატყუო.

— თქვენ ალბათ დაიღალეთ — თითქოს მიმინდაო ჩემი მასპინძელი, — მიუჩვეველი კაცისათვის ძნელია ღამის თევა. აი აქ, ამ შეშების შუაში ჩაწერით, აქ თბილა... ჩვენ კი რაი-

შეს მოვახერხებთ. მებორნეს აქ სადღაც ნავი ჰქონდა... უკავშირთა  
მონახოთ და გაღმა გავიდეთ. მაშ შინ ხომ არ დავგზრუნდე-  
ბით შუა გზიდან! თქვენ კი ცოტა წაიძინეთ!..

დიდი სიამოვნებით ვისარგებლე კეთილი ჩევით. სასწრა-  
ფოდ გავშალე ჩემი წამოსასხამი წითელწყაროში წასაღებად  
დამზადებული შეშის ხორებს შუა, შიგ გავეხვიე და, მიუხე-  
დავად საგრძნობი სიცივისა, ჩქარა ჩამეძინა.

ჩემ ძილში გრიშას სადღაც ბუჩქებში მოედებნა მებორ-  
ნის დამალული ძველი პატარა ნავი, ურიკისათვის თრივი  
ბორბალი მოეხსნათ და მდინარის მეორე ნაპირზე გადაეტა-  
ნათ. ასევე გადაეტანათ იქით მთელი ჩვენი ბარგი. მერე  
უბორბლებო ურიკა წყალში შეეცურებინათ, ნავზე მიებათ  
ცხენის მისართავებით, წინ ცხენი გაეგდოთ, დიდი გაჭირვე-  
ბით მეორე მხარეს გადასულიყვნენ და ურიკაც ნაპირზე  
გაეთრიათ.

ერთი საათის შემდეგ გრიშამ გამალვიძა. ყველაფერი გა-  
დატანილი იყო მეორე ნაპირზე. მარტო მე, ჩემი მასპინძელი  
და გრიშა ვიყავით გადასასვლელი. ჩვენ ჩაგსხედით ამ ძველ  
ნავში და მშვიდობით გავედით მდინარის გაღმა. იქ მონადი-  
რებს უკვე შეებათ ცხენი და ჩვენ გველოდებოდნენ.

მე განცვიფრებული ვიყავი ჩემი თანამგზავრების მოხერ-  
ხებულობით და ვერ წარმომედგინა, როგორ შესძლეს ამ პა-  
ტარა ძველი ნავით ამდენი ბარგის, ურიკის გადმოტანა და  
ხალხის გადმოყვანა ფართო და ღრმა ალაზანზე.

მალე სანადირო ადგილს მივაღწიეთ.

ცოტა წავისაუზმეთ, გამძლეობისათვის თითო ჭიქა ჭაჭის  
არაყიც გეახელით და ტყეს შევყიდით.

გარშემო დაბურული, ხელუხლებელი ძველი ჭალაა, იგი  
გაუვალი ეკალ-ბარდით არის დაფარული. მაყვლის, კატა-  
ბარდისა და კიდევ, ვინ იცის, სხვადასხვა ჯურის ეკლიანი  
რა მცენარე არ არის გადახლართული ერთმანეთში. ასეთ  
ეკალ-ბარდში მხოლოდ გარეულ ღორს შეუძლია გაატანოს  
თავისი წაგრძელებული დინგით, მაგარი ჯაგრით, მძლავრი  
მქერდითა და დევგმირული ძალით. ამ ტყის ზოგიერთ ადგილ-  
ში უზარმაზარი კამეჩები ბალახობენ, რომლებიც საქმაოდ

დიდ ბილიკებს აკეთებენ ტყეში. ასეთი ბილიკები ქართველი შეელის მონადირეებს აქ სიარულის დროს.



მსხვილ მუხებს, წიფლებს და ვერხვებს ცად აუტყორცნიათ წვეროები, მათ ჩრდილში კი უხვად ამოსულა და გაზრდილა ტყის სხვადასხვა ნაყოფიანი მცენარე; აქ არის პანტა, მაჟალო, ბროჭეული, კოწახური, თუთა, კვრინჩხი, კუნელი, რომლებიც გარეული ღორების სანუკვარ საჭმელს წარმოადგენენ.

ტყე დასერილია პატარა მდინარეებითა და რუებით, რომლებიც ალაზანს უერთდებიან. აქ, მათ ნაპირებში, ნებივრობენ გარეული ღორები.

დიდი ხნის გამოცდილებით და რაღაც განსაკუთრებული მონადირული ლოოთი ჩეენი მონადირეები ასე მშენივრად სცნობენ ღორების საყვარელ ადგილებს, იციან სად უნდა ეძიონ ისინი, სად შეიძლება წარმატებით მოეწყოს მორეკვა, სად უნდა დადგნენ მსროლელები.

ღამით დადებული ცვარი ჯერ კიდევ მარგალიტივით ბრწყინავს ბალახზე, ტყეში ნესტია, შმორის სუნი დგას. მჩემ ცაზე წამოიწია, ტყის ქარაფებში ჩამოანათა, თავისი შცხუნვარე სხივები გვტყორცნა.

ნადირობის განმკარგულებელი გრიშაა.

— ნოდათ, აქ ვსინჯოთ, — იმბობს იგი. შევჩერდით.

ურიყიდან ცხენი გამოვუშვით, დავბორკეთ და იქვე ბალახზე მივუშვით. ბარგს ურიკაზე ვტოვებთ, თან მხოლოდ თოფები და ვაზნები მიგვაქვს.

გრიშას განკარგულებით, ჩემი მოგვარე, იერამენკო და ბირი წინ წავიდნენ, რომ ღორების გასასვლელები დაიკაონ, მე და გრიშა კი აქედან იმათვენ გავრეკავთ.

ჩვენ წინ პატარა მდინარის ეკალ-ბარდით გადავლილი ნაპირებია. მივყვებით მდინარეს სათავისაკენ ის მარჯვენა, მეზარცხენა ნაპირით. ხელში გრძელი ჯოხები გვიჭირავს, გულ-ზოდგინედ ვცემთ ეკალ-ბარდს, ტაშს ვუკრავთ, ხშირი შეძაზილებით „ვერეკებით“ წინ წასული ამხანაგებისაკენ ამ ბარდებში განაბულ ღორებს. გაჭირვებით მივიწევთ წინ.

მალე მომესმა გრიშას ხმამაღალი ყვირილი: „ოპო, მოვიდა, ღორია!“

ამ ძახილს ჩემ წინაც მოჰყვა ბუჩქების მტვრევა და განსაკუთრებული ხმაური, რომელიც ღორის ბუნაგიდან ადგომის ნიშანია. აშკარაა, რომ ღორების ფარა წამოიშალა საწოლიდან და იქით გაიქცა, საღაც ჩვენი ამხანაგები არიან ჩასაფრებული. მეც მივაყოლე „მოვიდნენ... ღორები მოვიდნენ!..“ და კიდევ უფრო მაგრად დავუწყე ჭოხს ცემა ბარებში.

წინ წყვილი გასროლის ხმა მოისმა.

ჩვენც სახუნდარს ვუახლოვდებოდით.

ავრამენკოს წინ ორფუთიანი ბურვაკი გდია. გრიშას მიერ აგდებული ტახი არავის შეხვდა.

იმ დღეს ოთხი სარეკი გავაკეთეთ. ბევრი ღორი ვნახეთ. ჩვენმა მონადირეებმა კიდევ ერთი შვიდფუთიანი ნეზვი და ერთი ბურვაკი მოკლეს.

საღამოს ურიკასთან დაებრუნდით, ნანადირევიც იქ მოვათრიეთ, დიდი ცეცხლი დავანთეთ და ვახშმის სამზადისს შევუდექით.

მონადირეთა ძველ ტრადიციის არც დღეს ვუღალატეთ: მოკლული ღორები გამოვშიგნეთ, გავასუფთავეთ, ხეებზე ჩამოვკიდეთ. დიდი ცეცხლიც გავაჩალეთ და ზედ ღორის ღვიძლის და გულის ნაჭრებით სავსე თხილის შამფურები მივაფიცხეთ. ნადირობის ღროს ღორის ღვიძლის მშვადი, გარდა იმისა, რომ პირველი ტრადიციული საუზმეა, ისე გემრიელიცაა, რომ ვერც ერთი კარგი გასტრონომი ვერ დაიწუნებს.

კარგმა მწვადებმა და მავარმა ჭაჭამ ლაპარაკის საღერღელი აუშალა ჩვენს მონადირეებს. მსჯელობდნენ დღევანდელი ნადირობის შესახებ, იგონებდნენ ყველა წვრილმან შემთხვევას, წინანდელ ნადირობას ამ ადგილებში, გვაქებდნენ მე და გრიშას კარგად მოწყობილი სარეკისათვის, რომ ამდენი ღორი დაეახოცინეთ და თანაც ხვალ სამაგიეროს გაღახდას გვპირდებოდნენ.

— ჩვენმა დღევანდელმა ნადირობამ, ჩემი აზრით, კარგად ჩაიარა. — სოჭვა გრიშამ. — ნეტავ სულ ასე დოვლათიანად გვანადირა. მაგრამ საინტერესოა, რას იტყვით თქვენ,

ძვირფასო სტუმარო, როდესაც გაიგებთ, რომ სოფელ ქედის კოლმეურნეობის ერთმა მწყემსმა, არამონადირეჭავორთა სროლით ოცდაოთხი გარეული ღორი მოჰკლა!.. მოკორილი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია. ჩვენში ეს ამბავი ყველამ იცის... ხომ მართალია, ყმაწვილებო!

დანარჩენებმაც დაადასტურეს, რომ ეს ამბავი ნამდვილია და არა მონადირული ტყუილი. მე ძლიერ დამაინტერესეა ამ ამბავმა და ვთხოვე გრიშას, რომ დაწვრილებით ეამბნა ამ საზღაპრო შემთხვევის შესახებ.

თურმე ამ დღეს ერთი ქედელი მწყემსი აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვართან, ერთი დიდი ხევის პირას ცხვარს აძოვებდა. ეს ხევი ტყით იყო დაფარული.

უკელაზე მაღალი აღგილი აირჩია მწყემსმა ხევის პირას, რომ კარგად ედევნებინა თვალი ფარისათვის და თავისი შაშხანა თოფით იქ მოიკალათ.

უცბად, ხევს იქით, ტყეში, რაღაც უჩვეულო ხმაური მოისმა, თითქოს საქონლის ფარა მორბოდა. მწყემსმა გაიფიქრა, ალბათ აზერბაიჯანელთა ჯოგს მგლები მოსდევსო, ჩახმახი ფეხზე შეაყენა და თოფი მოიმარჯვა.

ამ დროს ხევის პირას ტყიდან უზარმაზარი ტახი გამოხტა. მწყემსმა ინსტიქტურად ესროლა და ტახი შეუჩერებლად ხევში გადაეშვა. ტახს უკან მოსდევდა ღორების მთელი ფარა. დანარჩენებიც შეუჩერებლად მიჰყენენ წინამძღოლს ხევში და შიგ ჩაიჩენ ისე, როგორც მათი მეთაური.

ჯერ დაიბნა უნებლიერ მონადირე, მაგრამ როდესაც ნახა, რომ ხევში ღომხალივით არეულიყვნენ გადაჩეხილი ღორები, გონზე მოვიდა, ხევში ჩავიდა და ფეხებდამტერეულებს, ჯერ კიდევ ცოცხლებს ხანჭლით ყელები დასჭრა. დიდი და პარარა სულ ოცდაოთხი ღორი ჩაცვენილიყო ხევში.

— აი, იღბალი, — დაამთავრა გრიშამ, — კოლმეურნეობამ დახოცილი ღორები სოფელში მიიტანა და გაყიდა. ყისმათიანმა მწყემსმა კარგი ფული იშოვა ამ შემთხვევით.

დიდი კმაყოფილებით მოვისმინე ეს განსაცვიფრებელი ამბავი ზღაპრული ნანადირევის შესახებ. ვერავითარი ფანტაზია ვერ შეთხავს ისეთ საზღაპრო ამბავს, რაც ზოგჯერ



სინამდვილეში მოხდება, რასაც თვით ცხოვრება და ბუნებრივია  
წარმოშობას. უნდა გამოვტყდე, რომ არ შემხარებია იმ  
მწყემსის ბედი: მე ვარჩევდი ნადირობის ღროს მომეკლა  
ურთი ტახი, ვიდრე დანით დამეკლა მთელი ფარა.

ბეკრი ვისაუბრეთ. მერე საბნებში გავეხვიეთ და გუზ-  
გუზა ცეცხლის პირად მივწერით. ჩვენ გარშემო ატეხილ ტუ-  
რების წივილ-კივილს ხელი არ შეუშლია, ხელებ და სახე-  
დაკაწრულებს მალე ტკბილი ძილით ჩაგვეძინა.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ყველანი ფეხზე ვიყავით.  
დილის საუზე აუცილებელია ტყეში ღამენათვე მონადირი-  
სათვის. წკენც ჩვეულებას არ ვუღალატეთ და სახელდახე-  
ლოდ წავისაუზმეთ. მერმე ურიყა შევაბით და სამიოდე კი-  
ლომეტრი გადავინაცვლეთ იმ ადგილიდან.

ამჯერად სახუნდარში მე და გრიშა დაგვაყენეს. ტყის  
მორეკვა კი დანარჩენებმა იდვეს თავს.

პირველმა სარეკმა გული დაგვწყვიტა: ღორები იყო, მაგ-  
რამ ვერც ერთი ვერ ვიგდეთ სასროლად.

მეორე სარეკში, გრიშას რჩევით, ერთ დიდ ბარლთან  
ავირჩიე სახუნდარი. აქ ღორებისგან გატკეპნილი პატარა ბი-  
ლიკი გამოდიოდა ტყიდან. ბუჩქებში მიმალულს, ხელში მარ-  
ჭვედ მეჭირა ჩემი ნაცალი შტუცერი, განაბული ვიზექ და  
ყურს ვუგდებდი სარეკში ატეხილ განგაშს.

მარჯვნივ, უღრან ტყეში, ფრთხილი, საეჭვო ფაჩუნი  
მოისმა. რაღაც ფრთხილად მოძერებოდა ეკალბარდში, ოდ-  
ნავ ეხებოდა ხმელ ტოტებსა და ფოთლებს.

— ალბათ წუწკი, მშიშარა ტურაა, ან ფრთხილი გარეუ-  
ლი კატა, — გავიფიქრე მე და იმ ადგილს დაუინებით მივაშ-  
ტერდი. ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცვიფრებას, როდესაც ამ  
გაუვალ ადგილში ნათლად გამოჩნდა დიდი შავი ღორის ტანი  
და ჩემგან მარჯვნივ, ოცდაათ ნაბიჯზე დადგა.

სიო ჩემკენ უბერავდა და მხეცი ვერ გრძნობდა ჩემს იქ  
ყოფნას. მაგრამ ჩვენ შორის მანძილი ისე მცირე იყო, რომ  
იგი მალე იყნოსავდა ადამიანის სუნს და გაქრებოდა რო-  
გორც მოჩვენება.

ერთი წამის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. აღარ შეიძლე-

ბოდა სასიკვდილო აღგილის არჩევა და დამიზნება, რადგან/  
ლორი მთლიანად არ ჩანდა. მთელი იმედი მხოლოდ შტუცერი  
და ჩემი შტუცერის დიდ ძალაზე იყო დამყარებული.

— ტანის შუა ნაწილზე უნდა ვესროლო. — გავიფიქრე  
მე.

სასხლეტს თითი გამოვუსვი. თოფმა დაიჭექა. აღელვებუ-  
ლი მივაშტერდი იმ აღგილს, სადაც ლორი იდგა. ჩამიზუმიც  
აღარ ისმოდა: ნადირს ფეხიც არ გადაუდგამს, იქვე ჩაწოლი-  
ლიყო და დიდი ტანით ლაქაში მოეთელა. თან ფეხებს იქნე-  
ვდა, სიკვდილს ებრძოდა. მალე ფეხების მოძრაობაც შეს-  
წყვიტა: ჩემ წინ განგმირული უზარმაზარი ტახის უსიცო-  
ცხლო ლეში ეგდო. ეტყობოდა, შტუცერის პატარა ტყვიას  
სათანადო აღგილი მოეძებნა. მაგრამ ახლოს მისვლა მაინც  
ვერ გავბედე, — მისი დიდი ეშვების მეშინოდა, ვფრთხი-  
ლობდი, ხომ შეიძლებოდა დაჭრილი ყოფილიყო და შემოე-  
ტია.

მოშორებით ვდგავარ და წარმატების გრძნობით ვტკბები.  
გული მშვიდად და სიხარულით ძეგრს. მიხარია, რომ ამხა-  
ნაგები არ მოვატყუე, არ ავაცდინე, საერთო ნადავლში ჩემი  
წვლილიც შევიტანე. მერმე როგორ უცბად, უბრალოდ მოხ-  
და ყოველივე ეს. სწორედ გასაკვირია! ვფიქრობ, რომ მე  
უფრო ბეღნიერი და კმაყოფილი ვიყავი, ვიღრე ის მშეგმსი,  
რომელმაც ერთი სროლით ლორებით აავსო ხევი.

თავი მოიყარეს სარექში მყოფმა ამხანაგებმა. ყველანი  
მილოცავდნენ, უხაროდათ ჩემი წარმატება. ძლივს გამოვათ-  
რიეთ ეკალ-ბარდიდან მოკლული მხეცი. ცხრა ფუთზე მეტი  
აღმოჩნდა იგი, რომელსაც ტყვია შიგ გულში მოხვედროდა.  
დიდი გაჭირვებით მივათრიეთ საურმე გზამდე.

კიდევ ორი აღგილი მოვრექეთ, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ.  
ლორები შორს გვივლიდნენ გვერდს, სროლა ვერ მოვახერ-  
ხეთ. გრიშამ მხოლოდ ერთი ტურა მოკლა. მე ლორების მო-  
ლოდინში სიამოვნებით ვუთვალთვალებდი ხოხებს, რომლე-  
ბიც ჩემ გარშემო დაფუსფუსებდნენ, ან ხმაურით უფრინ-  
დებოდნენ სარექში მომავალ მონადირეებს. ერთხელ თავგზა-  
აბნეული ტურაც გაძვრა შორს ბუჩქებში. თავზე, დიდი ხეე-

ბის ტოტებში გულშემზარავად ჩხაოდნენ ჩხიკვები, ბარლებში  
ჭახვახებდნენ ყვითელნისკარტა შაშვები.



საღილობამდე ნადირობა მოვათავეთ. ერთი ტახი, ერთი  
ნეზვი და ორი ბურვაკი შეაღენდა ჩვენს ნადავლს. სრუ-  
ლიად საქმიარისი იყო და უველას გვაკმაყოფილებდა იგი.  
ალაზანზე ახლა უფრო დიდი ტეირთი გვექონდა გადასატანი.  
უნდა გვეჩქარა.

მაგრამ ჩვეულებას მაინც არ ვულალატეთ. ტახის ლვიძ-  
ლის მწვალი აქაც შევწევით, თითო ჭიქა ჭაჭის არაყი დავაყო-  
ლეთ და ბორანისაკენ გაესწიეთ.

ჩვენს იღბალზე ბორანი წყლიდან ამოელოთ და გაემარ-  
თათ. ახლა ადვილად გაღმოვედით აქეთა ნაპირზე და სახლის  
გზას გავუდექით.

\*

მალე დიდი სამამულო ომი დაიწყო. ნადირობა დავიწყე-  
ბას მიეცა.

ეს ჩემი უკანასკნელი ნადირობა აღმოჩნდა. აქ მოქლული  
ტახი კი — ჩემი უკანასკნელი ნანადირევი.

ყველი უკანასკნელად განცდილი ხომ განსაკუთრებით  
ძვირფასია! იგი უფრო ნათლად და ცოცხლად წარმოისახება  
ადამიანის მეხსიერებაში. პუშკინის თქმისა არ იყოს:

Цветы осенние милее нам,  
Пышных первенцев весны!...



## 20860 საკოდრისზე

თბილისიდან დასავლეთით, ოცდახუთ კილომეტრზე, ტყიან გორაკებსა და ხევებში შენიშნულა მთიულების პატარა სოფელი ლელობი. ათეული პატარა სახლი გაღმოსცემის ქვევით საკოდრისის პატარა ხეობას, რომელიც რამდენადაც მაღლა იწევს, იმდენად უფრო ფართოვდება. ხეობაში მცვირცხლი პატარა მდინარე დილომი მოხტის და მოწანწყარებს ქვიან კალაპოტში.

შავი მიწის პატარა ნაკვეთებს ხნავდნენ კავით შრომისმოყვარე მთიელები, აქ პურს თესავდნენ, მაგრამ მათი ცხოვრების მთავარ წყაროს მესაქონლეობა შეადგენდა.

თვითეულ ოჯახს ჰყავდა მეწველი და მუშა საქონელი, პატარა ხევსურული ძროხები, რომელთა მსუქანი და სქელი რძე განთქმულია ყველგან.

ზამთარი ამ წელს თბილი იყო. თოვლი არ მოსულა. ბალახი ჭველგან არის. მაყვლის ბუჩქებზე პირუტყვის საყვარელი ფოთლები ჯერ კიდევ მწვანეა, მდინარე დიღმის პირებზე ბლომადაა შემჭინარი ბალახი, რომელსაც სიამოვნებით ახრა-მუნებს საქონელი.

თხუთმეტი წლის პატარა მწყემსი სიკო და მისი კიდევ უფრო პატარა თანაშემწე პეტრე, ნაბდებში გახვეულები,

მსხვილ ფულურობან მუხას ამოფარებიან, თავს არიდებინ ცივ ქარს.

იქვე, ტყის პირში, მათი მცირერიცხოვანი ნახირი გაფანტულა და გულმოდგინედ ძოვს გაყვითლებულ ბალასს. ძროხებსა და ხარებს შუა, დაძრწიან სქელდუმიანი ცხვრები.

მწყემსების ფეხებთან ბანჯგვლიან მურიას სველი ცხვირი კუდჭვეშ ამოუდვია და სთვლებს.

შემ გორაკებს მიეფარა. დასავლეთი წითლად შეიღება, მალე დალამდება.

უცბად ბიჭებს რაღაც ღმუილი მოესმათ ტყიდან. სასოწარკვეთით დაიბლავლა და თვალის დახამხამებაზე ხმა ჩაიწყვიტა ძროხამ.

რამდენიმე ცხვარი, ხტომით მორბის მწყემსებისაკენ, მათ უკან მოსდევენ კუდაშვერილი ძროხები.

ბიჭებმა ხანჯლები იშიშვლეს და იქით გაიქცნენ, საიდანაც საქონელი გამორბოდა, მურია მიუსიეს, მიხვდნენ, რომ ძროხას რაღაც შეემთხვა, მაგრამ არ იციან კი, რა.

მალე მიირბინეს იქ, სადაც ამ რამდენიმე წუთის წინ დესპინე ძალოს წაბლისფერი ძროხა ძოვდა. მაგრამ ძროხა იქ აღარ იყო, დატკეპნილ მიწაზე კი ჭერ კიდევ თბილი სისხლის გუბეები დამდგარა.

მურია ტყეში შევარდა, მაგრამ მალე უკანვე გამოვარდა კუდამოძუებული, აბურძევნილი ბალნით. გაფაციცებით უკვირდებიან პატარა მთიელები მიწას, მაგრამ ვერსად ვერავითარ კვალს ვერ ამჩნევენ: ძროხა უგზო-უკვლოდ დაიკარგა, თითქოს ჰაერში აიტაცესო.

მომხდარი უბედურებით შეწუხებული, თვალცრემლიანი სიკო პაპა კოტესთან მივიდა და დაწვრილებით უამბო ამ საღამოს მომხდარი ამბავი. მისი აზრით, ძროხა მგლებშა მოიტაცეს, მაგრამ როგორ არ შეეშინდათ ბიჭებისა და მურიასი? „ჭერ ხომ არც ერთი მხეცი არ მიჰყარებია ნაწირს დღისით, არასოდეს არ დაუგლეჭიათ მგლებს ჩვენი საქონელი!“.

მოხუცი კოტე დაფიქრდა. დიდი ხანია მან ნადირობას თავი დაანება, მაგრამ კარგად იცის, რომ მგლებს ძროხის წა-

ღება არ შეუძლიათ. მათ შეუძლიათ ძროხა დაკლან, წალენჯი  
ციონ, მაგრამ თან წაღებას ვერ მოახერხებენ.

— სიკო, ძროხა მგლების წაღებული არ არის!.. ვფიქ-  
რობ, რომ იგი დათვმა მოგუდა და იქვე სადმე დაითრია:  
მხოლოდ მისი ძალის პატრონს შეუძლია ასეთი საქმის გაკე-  
თება... ნუ სტირი, შვილო! შენი რა ბრალია... დათვს კი ჩვენ  
გავისწორდებით.

მიუხედავად ნუგეშისა, სიკოს იმ ღამეს ცუდად ეძინა-  
მთელ ღამეს დიდი შავი დათვი ესიზმრებოდა, რომელიც მის  
თვალშინ გლეჯდა და მიათრევდა საცოდავ პირუტყვეს.

დილით, საქონელთან ერთად, ძროხის მოტაცების ადგილ-  
ზე მივიღნენ სამი მთიელი და დესპინე ძალო. იქაურობა  
მოიარეს და ძალლებით მოჩხრიკეს გარშემო ტყე. ორასიოდე  
ნაბიჯზე ნახეს დაგლეგილი წაბლას ტყავის ნაფლეთები,  
რქები და ჩლიქები. ორავითარი კვალი არ ჩანდა, თუმცა  
ძლალები რაღაცას სუნავდნენ, ყურებს ცეკვეტდნენ და შეში-  
ნებულნი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ.

სოფლელებმა სიკოს მსხვილი საფანტით გატენილი მამა-  
პაპეული ფილთა თოფი მისცეს ხელში, დაუბარეს, ფხიზლად  
ყოფილიყვნენ და, თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევდნენ, თოფია  
გაესროლათ: თოფის სროლაზე სოფლიდან თვალის დახამხა-  
მებაზე მოვიდოდნენ საშველად, თვითონ კი მტირალ დესპი-  
ნესთან ერთად სოფელში დაბრუნდნენ.

სიკომ ვაჟკაცურად გადაიკიდა თოფი მხარზე და პეტრეს-  
თან ერთად თვალებდაპრაშული მთელ დღეს საქონელს მწყე-  
მსავდა.

ღრუბლიანი დღე იყო. შუადღისას სველი თოვა დაიშყო  
და მიწა თანდათან დაფარა. ბიჭებმა ნაბდები წამოისხეს და  
საყვარელ ფუღურო მუხას მიაშურეს, თუმცა საქონლისათვის  
თვალი არ მოუშორებიათ. სიკო ოცნებობდა, რომ დათვი  
კიდევ გამოჩენილიყო, ახლა კი სამაგიეროს გადაუხდის მას  
დესპინე ძალოს ძროხის მოტაცებისათვის, ერთი სროლით  
ძირს დასცემს ამ ავაზაკს. ამ ოცნებაში საღამომაც მოატანა.  
ჩამობნელდა. თოვლი ისევ მოღიოდა, თითქმის ნახევარი მეტ-  
რი დადო.



— პეტრე, გავრეკოთ ნახირი შინ! — თქვა სიკომ.

— ჰო, უკვე აღარა ჩანს, კიდევ შეიძლება მოგვეპიზოდი მხეცები. — უპასუხა პეტრემ.

სწორედ ამ დროს ტყის პირიდან კვლავ ნაცნობი ღმუილი მოისმა, შემდეგ საქონლის მოკლე ბლავილი და უველაფერი მიჩუმდა.

ორივე ბიჭი იმ ადგილისაკენ გაიქცა.

და კვლავ ვერაფერი ვერ ნახეს მოტკეპნილი, სისხლით მოსვრილი თოვლის მეტი. ახლა შავი ორი წლის მოზვერი წაელო მხეცს. მოზვერის მოტაცების ადგილიდან ტყეში მიღიოდა თოვლზე აშკარად დამჩნეული დიდი, თეფშისოდენა ღრმა ნაკვალევი.

გავავრებული და შეურაცხოფილი სიკო სულ ცახცახებდა, როდესაც პაპას ახალი უბედურების ამბავი მიუტანა.

ჭაღარა კოტე აუღელვებლად უსმენდა ბიჭს და ყალიონს აბოლებდა. ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა.

— რა გაეწყობა! — თქვა მან ბოლოს. — თუ ჩვენ თავს ჩვენ თვითონ არ მივხედეთ, სხვა ვერავინ გვიშველის. დაუძახე მეზობლებს. უთხარი, ძლიერ საჭირო საქმეა.

მალე მოხუცთან სოფლის მამაკაცები შეიკრიბნენ. კოტე ბეჭაურმა მოხუცის სიღინჯით უამბო მეზობლებს მომხდარი შემთხვევების შესახებ:

— ეტყობა, ეს ამბები მგლებს არ ჩაუდენია, ეჭვი არ არის, რომ დიდი დათვი შემოგვეჩია და საქონელს გვტაცებს. მე მეგონა, რომ ძროხას იქმარებდა და მოგვცილდებოდა, მაგრამ, ეტყობა, შევცდი. დათვს სამაგიერო უნდა მივუზლოთ, უნდა მოვსპოთ, თორემ მთლად დაგვლუპავს. გუშინ თოვლი არ იყო. მხეცის კვალი ვერ ვნახეთ, დევნა უშედეგო იქნებოდა. დღეს კი ჩვენს იღბალზე თოვლი მოვიდა, კვალი არის და ჩვენც ადვილად შეგვიძლია მივაგნოთ და მოვკლათ ჩვენი დამაქცევარი.

ყველანი დაეთანხმნენ მოხუცს და გადაწყვიტეს დილით ადრე გასულიყვნენ, მოეძებნათ და მოექლათ დათვი.

დათვის მოძებნა და მოკვლა ძმებს — ვანო და სანდრო წიკლაურებს მიანდვეს. ორივე ძმა ახლახან დაბრუნდა წითე-

ლი არმიიდან, სადაც მოხალისეებად მსახურობდნენ, შეკრიცხულ  
მშვენივრად ესროდა, კარგი მონადირეები, კვალის საჭუჭუჭუა  
სო გამომცნობი, დინჯი და ფრთხილი გაუკაცები იყენენ.

მაგრამ ლაპარაკში პატარა სიკო ჩეერია და პაპას დაუწყო  
ხევწნა, მონადირეებთან ერთად ისიც გაეგზავნათ მხეცის მო-  
სანახავად. ფიცხი ბიჭუნა თითქმის ტირილით არწმუნებდა:  
ყველას, რომ ისიც კარგად ისვრის შაშხანით, რომ ძალიან  
კარგად იცის ყველა ადგილი ტყესა და ხევში და, როგორც  
დამნაშავე ორი სული საქონლის დაკარგვაში, ვალდებული:  
მანაც ტყვია დაახალოს დათვს და სამაგიერო გადაუხადოს  
აეაზაյ მხეცს.

მოხუცი ბოლოს დაეთანხმა პატარა შვილიშვილს. გახარე-  
ბულ ბიჭს მისცეს შაშხანა და ათიოდე ვაზნა.

როგორც კი ინათა, შაშხანებით შეიარაღებული სამი მო-  
ნადირე სოფლიდან გავიდა.

ღამე არ უთოვია. მოზერის გატაცების ადგილიდან ტყეში  
თოვლზე ლრმა კვალი მიღიოდა. მონადირეები არ დააკვირ-  
დნენ ნაკვალევს, არ გასინჯეს, თუ რომელ მხეცის ეკუთვნო-  
და იგი და გვერდზე მიჰყვნენ მას, რომ მხეცის ნაკვალევი არ  
მოეშალათ. მთელი გზა სისხლით იყო მორწყული. ბოლოს,  
ორასამდე ნაბიჯს იქით, მდინარე დიღმის პირას, ნახეს ის  
ადგილი, სადაც დათვს შეეჭამა თავისი მსხვერპლი. თოვლი  
სისხლით იყო შეღებილი, ზოგ ადგილას კი, სადაც მხეცი წო-  
ლილიყო, თოვლი გამდნარი იყო. ირგვლივ ეყარა მოზერის  
მსხვილი ძვლები, თავი, ბევრი ხორცი და შიგნეული.

აქედან მხეცის კვალი პატარა მინდორზე გადადიოდა და  
დაბალ და ხშირ წიფლნარში შედიოდა.

ვანომ ამხანაგებს ანიშნა შეჩერებულიყვნენ, თვითონ  
ფეხაკრეფით დაიწყო გარს შემოვლა. ტყეს ირგვლივ მოუ-  
რა და შეორე მხრიდან მივიდა, მონადირეებთან. ხელი ტუჩ-  
ზე მიიღვა სიჩუმის ნიშნად და ხელით მიუთითა ამხანაგებს  
ტყეზე, მხეცი აქ არის და უნდა აქ მოვქებნოთ.

თოფები გაამზადეს, ჩახმახები ფეხზე შეაყენეს. ტყე  
გაპყვნენ ერთი მეორის ცოტა მოშორებით. სიკომ თოვლით  
დაფარულ ხის ხმელ ტოტს დაადგა ფეხი, ტოტი გატყდა,

ვაიტქაცუნა, უფროსებმა საყვედურის თვალით შეხეძემი განო თითოთ დაემუქრა.

იმავე წუთს მონადირეები ადგილზე გაშეშდნენ.

წინ, ორმოც ნაბიჭე, ბექობზე, მაყვლის მწვანე ბუჩქის ძირში, უცბად უზარმაზარი მოწითალო ჩალისფერი, შავზოლებიანი კატა აიმართა. იგი წელში შვილდივით მოიხარა და შემდეგ გასწორდა, დიდი პირი დაბლო, დაამთქნარა, საშინელი კბილები გამოაჩინა და პირიდან ორთქლი ბოლქვად გამოუშვა. ნელა, კუდის ოდნავი ქნევით, მოქნილ, მძლავრ ფეხებზე ნელი რჩევით, შებრუნდა წასასვლელად და სიკოსაკენ ჩვერდი მიაშვირა.

შაშხანის მკვიხე ხმა გაისმა.

მხეცი უკანა ფეხებზე ჩაიკეცა და საშინელი ღრიალით მონადირეებისაკენ შემობრუნდა. უკვე ჩანდა, რომ არც ნახტომის გაეკეთება შეეძლო და აღარც მოძრაობის თავი ჰქონდა. სიკოს ტყვიას ორივე უკანა ფეხი მოეტეხა ვეტხისათვის.

დიახ, ეს იყო ვეფხი, რომელიც ახლა უკანა ტანს ძლიერ მიათრევდა, მაგრამ მაინც ცდალობდა მტერთან შებრძოლებას, სისხლის პირს აღებდა, კბილებს აღრქენდა, გაბოროტებით ლმუოდა, ცეცხლს აფრქვევდა ოდნავ მოხუცული თვალებიდან.

მონადირეები ხეებს მოეფარენ და იქიდან დაუშეეს სროლა ვეფხს. მაგრამ ამ სროლაში სიდინჯით ყველას პატარა სიკო სქობნიდა. მისმა ბელნიერმა გასროლამ მოუსპოვების საშუალება გაეკეთებინა საშინელი ნახტომი და თავა დასხოდა მონადირეებს. ვერც ერთი ვერ გადაურჩებოდა მის ბრჭყალებს, რომ სიკოს არ გაეხადა უვნებლად ეს მძლავო, მხეცი. გამოუცდელმა სოფლის ბიჭმა არაფერი იცოდა. ვიფხის შესახებ, ვერ ხვდებოდა, თუ როგორი საშინელი მხეცი იყო მის წინ, ვერ გაეგო ის საშინელი ფათერაკი, რომელსაც ყველანი შემთხვევით გადარჩენენ.

სამაგიეროდ, ვანომ და სანდრომ, რომლებსაც არა ერთხელ ენახათ ვეფხვები სამხეცეში, კარგად იცოდნენ, როგორა სახდევათო იყო ასეთ საშიშ მხეცთან შეხედრა. მიუხედავად



დიდი მონაცირული გამოცდილებისა, დაიბნენ, რეჟისურად  
შეიშარა, ბანჯგვლიანი დათვის ნაცვლად ვეფხს წააწყონენ!

ათეული ვაზნა მიაწვეს მხეცს, აღელვებისაგან თითქმის  
ვერც ერთი ზუსტად ვერ მოარტყეს.

რ. კიბლინგის მოთხოვნების გმირი „შირ-ჩანი“ კი, ამა-  
უად მაღლა თავაწეული, წინა თათებს ულმობლად სცემდა  
მიწას და თვითეულ ტყვიაზე, რომლებიც ფუტკარივით ბზუ-  
ოდნენ მის გარშემო, გაბოროტებით ღმუოდა და უშიშრად  
ელოდა სიკვდილს.

როდესაც თოფის ხმაზე მთელი სოფელი შეიკრიბა, „შირ-  
ჩანი“ მკვდარი ეგდო.

მონაცირეებმა მთიულურ ურემზე დაადეს ნანაცირევი  
და მალე იგი თბილისში ჩამოიტანეს.

ლელობელი პატარა მთიელის მამაცურად ნასროლმა  
ტყვიამ განგმირა ეს უსაშინელესი მხეცი, პატარა მწყემსმა  
თავისი მუქარა სისრულეში მოიყვანა.

\*

ეს ამბავი 1922 წლის 5 დეკემბერს მოხდა. როგორც გა-  
მოქვლევით დადასტურდა, ეს თურანული ვეფხი ჩვენში  
ირანიდან გადმოვიდა, გამოიარა ტალიში, მტკერის ნაპირე-  
ბით თბილისის მიდამოებში ამოჰყო თავი და მთიელების  
ტყვიებით განგმირულმა აქ დაამთავრა თავისი მოგზაურობა.  
მისი ტანი ორ მეტრამდე აღწევს, კუდი თითქმის ერთი მეტ-  
რია, სულ ცხვირის წვერიდან კუდის ბოლომდე სამი მეტრი,  
ანუ თითქმის საუენნახევარია. წინა ფეხის მოცულობა ნახე-  
ვარ მეტრზე მეტია. ვეფხი, შიგნეულის გარეშე, ას სამოცდა-  
რვა კილოგრამს, ანუ ათ ფუთსა და ოცდაორ გირვანქას  
იწონიდა.

მთიელების საჩუქარი ახლაც ამშვენებს თბილისის სახელ-  
მწიფო მუზეუმს.



033010 გეოგრაფია

როდესაც ცნობილი ზოოლო-  
გის — ბრემის „ცხოველთა  
ცხოვრებაში“ შინაური ლორის  
გაწაფვისა და დაგეშვის მაგა-  
ლითის შესახებ ცნობა ამოვი-  
კითხე, ვერ დავიჯორე, რომ შე-  
იძლება ასეთი რამ მომხდარი-  
ყო. ბრემი წერს, რომ ერთმა  
ინგლისელმა თვის შინაურ  
ლორს, რომელსაც სახელად  
„სლუდს“ უწოდებდა, ნადი-

რობა ასწავლა: დაპყავდა იგი მინდორში და ძალლის მაგივ-  
რად ნადირს აძებნინებდა. დაუკერებლად მიმაჩნდა ეს ამბა-  
ვი, სანამ ჩემი თვალით არ ვნახე გარეული ორის მოშინაუ-  
რებისა და გაწვრთნის იშვიათი ნიმუში.

ევლაპის სადგურის ახლო მდებარე ერთ პატარა სადგურზე ხშირად დავდიოდი სანადიროდ. ღილით აღრე მივდიოდით მატარებლით, შეუჩერებლად მინდორში გავდიოდით და საღამოს გვიან ვბრუნდებოდით. არაფერი არაჩვეულებრივი აქ არ იყო. იყო პატარა, თითქმის მიყრულებული სადგური, სადაც მატარებლები მხოლოდ ორ წუთს ჩერჩებოდნენ, უმრავლესობა კი გაუჩერებლადაც გაივლიდა ხოლმე.

ერთ დღეს ნადირობიდან შედარებით ადრე დავგზრუნდი. როდესაც სადგურს მივუახლოვდი, დავინახე, რომ თითქმის ლიანდაგის პირზე დიდი გარეული ლორი დგას. ლია ნაცრის-ფერი წაწვეტილი დინგი მაღლა აუწევია, დიდი შავი ბან-ჯვლიანი ყურები დაუცევეტია და შემოცექერის.

მაშინ გამახსენდა, რომ ჩვენი მონალირეები ხშირად იმეო-



რებდნენ ამ სადგურის ერთი მუშაյის მიერ მოშინაურებული  
გარეული ღორის ამბავს, რომელსაც სახელად „ვასიაშვილი“  
მივხვდი, რომ ეს ის უნდა ყოფილიყო.

სანალირო ჩანთაში ხელი ჩავყავი, პურის ნატეხი ამოვილე  
და ღორის გავუწოდე.

— ვასია, ვასია, აპა, დაიჭი! — შევეხმაურე მას.

ვასიამ არ დააყოვნა, მოვიდა ჩემთან, დიდი პირი დააღო,  
პური ხელიდან თითქმის გამომგლივა, გვერდზე დადგა და  
გემრიელად ჩახრამუნა.

გრძელი, გვერდებზე ხუჭუჭა მუქი ჯაგარი, რომლის ქვე-  
შაც შავი ღინდლი მოჩანს, ლამაზად მოსავს ვასიას. ჯაგარი  
უბზინავს.

— ჩვენი ვასია სუფთაა — იგი დღეს ტბაზე იყო საბა-  
ნაოდ, — ამბობს ღორის პატრონის ცოლი, ქმარი კი ნაზად  
უსვამს ჯაგარზე ხელს ამ გარეული მხეცების უშუალო წარ-  
მომაღვენელს. ვასიაც დინგით ეხება პატრონის ფეხებს,  
ქმაყოფილი ღრუტუნებს და ცდილობს წინა ფეხებით ზედ  
აეტოტოს.

— არა, არ შეიძლება, ვასია... კარგი, გეყოფი! — ეწი-  
ნააღმდეგება ღორის ალერსს პატრონი.

ვასია ძუძუთა გოჭი იყო, როდესაც ახლანდელმა პატ-  
რონმა, აქაურმა ცნობილმა მონადირემ, სახლში პირდაპირ  
ტყიდან მოიყვანა.

იაპოლსკი გატაცებული მონადირეა, მას თავდავიწყებით  
უყვარს ცხოველები. თითქმის ათი წელია, რაც იგი აზერბაი-  
ჯანის პატარა, მაგრამ სანალიროდ განთქმულ სადგურებზე  
მუშაობს. მას ყოველთვის ჰყავს რომელიმე მოშინაურებული  
ნადირი ან ფრინველი. ერთ ხანს გარეული კატები ჰყავდა  
სახლში, მერმე — მელის ლექვები, მელიები, ჭეირანი, გედი,  
დურაჭი და სხვა ცხოველები, რომლებსაც ასე თუ ისე იჩვევ-  
და, აშინაურებდა, მაგრამ ყველაზე უფრო მას გარეული ღო-  
რები უყვარდა, ვინაიდან ისინი უფრო ჭკვიანები და აღვი-  
ლად მოსაშინაურებლები აღმოჩნდნენ. ამ ხნის განმავლობაში  
რამდენიმე გარეულმა ღორმა გაიარა ამ უცნაური რკინიგზე-  
ლის ხელში.



არასოდეს არ დაავიწყდება მას მახლობელ ჩალიანებში შეცვალა  
დაჭერილი პატარა გოჭი ვასია, რომელიც სამი წლის გვიათ დაიცვა  
ლობაში ცხოვრობდა მასთან, ძალიან დიდი, შესაშინებელი  
შეხედულების, დალესილებულებიანი ტახი დადგა. შესახედა-  
ვად ასე საშიში მხეცი ისეთი თვითი თვითი რი იყო, რომ თავისუფ-  
ლად დასეირნობდა სადგურის ახლომახლო და არავის არა-  
ფერს არ უშავებდა. ოთხი წლის წინათ ვასია მინდვრად გა-  
სულიყო და ვიღაც მონადირეს წასწყდომოდა. ამ ვაი-მონა-  
დირემ კი უერ მოისაზრა, რომ რკინიგზის სადგურთან ასე  
თვითი არ მეტად არ შეიძლებოდა ყოფილიყო გარეული ღორი,  
ესროლა და მოკლა ეს უვნებელი ცხოველი.

იამპოლსკიმ ვასიას სამახსოვროდ მისი სახელი უწოდა  
ახლანდელ დედალ ღორს, რომელიც ამ ორი წლის წინათ  
დაიჭირა და რომელიც პირველად ტახი ეგონა. ასე შერჩა  
ტახის სახელი ამ ნეზვს. ვასიასთან ერთად კიდევ ორი გოჭი  
დაიჭირა იამპოლსკიმ, მაგრამ მარტო ვასია გადარჩა და გაი-  
ზარდა. დანარჩენი ორი მალე მოკვდა. მაღალ შავ ფეხებზე  
მდგომი ვასია ახლა ეჭვს ფუთს იწონიდა.

ვასია ღამე სახლის ქვეშ გაქეთებულ პატარა სალორეში  
ცხოვრობს. დღისით კი თავისუფლად დაღის სადგურის გარ-  
შემო და ხშირად რამდენიმე კილომეტრით დაცილებულ ჩა-  
ლიანებსაც კი ეწვევა ხოლმე. აქ ღაზათიანად ამოგორდება  
ლაფში, იბანავებს წყალში, ჭაობის ნორჩი მცენარეებისა და  
მათი ძირების ჭამით გულს მოიჯრებს, მიწის თხრით დაიღ-  
ლება და საღამოს, ჩვეულებრივ ჭამის ღროს ვასია აუცი-  
ლებლად შინ არის და მოუთმენლად ელოდება საყვარელი  
ქერის ულუფას და პურის ნატეხს პატრონის უხვი ხელ-  
დან.

იამპოლსკის ვასია ძაღლივით უკან დასდევს, დაპყვება მას  
სანადიროდ, თოფის სროლის არ ეშინია და დურაჭების, ხოხ-  
ბებისა და სხვა ნადირ-ფრინველის ძებნაში, თავისი საუკე-  
თესო ყნოსვის წყალობით, კარგ ჯიშიან მექებარს არ ჩამოუ-  
ვარდება. მოკლულ დურაჭს იგი მალე პოულობს შეუვალ  
ჯაგშიაც კი, მაგრად სტაცებს თავის მძლავრ ყბებს და თვა-  
ლის დახამხამებაზე ბუმბულიანად გადასანსლავს, ალბათ, მას  
20. გ. მარკოვი.

თავის კანონიერ ნადავლადა თვლის. ვერავითარ შემთხვევაში გვერ წართმევთ მას ასე მოპოვებულ ფრინველს. გამოიყენეთ მას არაფერის შესახებ, თუ როგორ იქცევდა ასეთ შემთხვევაში ინგლისელი მონადირის მიერ გაწერთნილი შინაური ღორი „სლუდი“, მაგრამ, ვფიქრობ, რომ იამპოლსკის გაწერთნის ხელოვნება და ვასის მოსაზრებულობა არ ჩამოუვარდება ცნობილი მეცნიერის მიერ აღწერილ შემთხვევას.

გამბედავი ექსპერიმენტატორი კიდევ უფრო შორს ფიქრობდა წასვლას. დეკემბერში, როდესაც იშუება გარეული ღორების მაკეობა, ვასია მახლობელ ჩალიანებში უნდა წაეყვანა, ღამით იქ დაეტოვებინა, დილით კი გამოეძახა იქიდან სტვენით, რომელიც მას კარგად ესმის. პატრონი ფიქრობდა, თუ ვასია შემთხვევითი ტყვიით არ დაიღუპებოდა, მომავალი გაზაფხულისათვის გარეული გოჭები ჰყოლოდა სახლის ქვეშ მოწყობილ სალორეში. დაიმედებული იყო, რომ ისინი კიდევ უფრო უკეთესად მოშინაურდებოდნენ.

უმთავრესი იყო მონადირეებს გადარჩენოდა ვასია. ამიტომ პატრონმა სცადა მოშინაურებული ღორისათვის ეუვნებიანი საყელო შეება, მაგრამ ასეთმა ცდამ ყოველთვის ფუჭიად ჩაიარა: ვასია ყოველთვის ახერხებდა ჩალიანში თავიდან წაეძრო თავმომაბეზრებელი საყელო და შინ უიმისოდ დაბრუნებულიყო.

ჩვეულებრივი იყო, რომ ვასიას, როგორც ყველა ღორს, არ უყვარდა ძალები და ეშინოდა კიდეც მათი, მაგრამ განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ვასია გაურბოდა გარეულ შვილი თვის ტახს, რომელიც ამავე სადგურზე სხვა შინაურ ღორებთან ერთად ჰყავდა მეორე რკინიგზელს. როგორც კი ეს პატარა ტახი გამოჩნდებოდა იმ ეზოში, სადაც ვასია ცხოვრობდა, ეს უზარმაზარი ღორი დაფრთხებოდა, გაიქცეოდა და თავის პატარა სალორეში დაიმალებოდა, თითქოს თავისი უშუალო მოძმე გოჭის ეშინოდა. ამავე ღრის იგი უშიშრად იდგა ლიანდაგის პირას და არაფრად არ აგდებდა სადგურში წივილ-კივილით შემოჭრილ ორთქლმავალს, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მატარებლების მიღება-გაცილების მეტი არა გაუკეთებია რაო.

ერთხელ ასეთი შემთხვევაც მოხდა: სადგურში ვიტონუ გადასახლება  
„დიდ უფროსს“ ელოდნენ. როდესაც მოსამსახურეები უფ-  
როსის შესახვედრად სადგურის წინ ჩამუქრივდნენ, ვასიამ  
მონახა პატრონი და გვერდში ამოუდგა. ამან მრისხანე უფ-  
როს ჯერ ღიმილი მოჰყარა, მაგრამ მერმე შენიშვნა მისცა  
იამპოლსკის თითქოს უადგილო ხუმრობისათვის.

მე ძალიან დამაინტერესა ამ მხეცის არსებაში შემჩნეულ-  
მა განსაკუთრებულმა უნარმა და რეფლექსებმა, რომლებიც  
გვიჩვენებდა არა მარტო დაგეშვის დიდ შესაძლებლობებს,  
არამედ მეცნიერებს კარგ მასალას აძლევდა შემდგომი დაქ-  
ვირებებისათვის. განვიზრახე კიდევაც შეგვეძინა იგი თბი-  
ლისის ზოოპარკისათვის, რომლის ხელმძღვანელებთან გაჭირ-  
ურებულ მოლაპარაკებაში იმდენი დრო გავიდა, რომ ვასიას  
ვეღარ მივუსწარით.

იამპოლსკის შიში გამართლდა: ვასია მეზობელ ჩალია-  
ნებში მონალირის შემთხვევით ტყვიას მოეკლა.



## ფრინველთა სამყაროში

ოცნებად მქონდა გადაქცეული, მენახა ლენქორანი — ფრინველთა გამოზამთრების ეს განთქმული ადგილი. ვნატრობდი, საკუთარი თვალით დამენახა მოზამთრე ფრთოსანთა უთვალავი გუნდი, გული მეჭერებინა ნადირობით.

და აი ბაქოს ნავსადგურში ვარ, გემიც მზად არის გასასვლელად. უბერავს აღმოსავლე-

თის მძაფრი, ცივი ქარი. ზღვა იქოჩიება და გაავებული სცემს ნაპირს ტალღებს. მორჩილი „ახუნდოვი“ ნავსადგურის ჯებირებთან ისე ირწევა, თითქოს ნაფოტიაო. მოღუშული ცა ღრუბლებით არის დაფარული. ცუდ ხასიათზე ვარ. მიუჩვეველ როგორლაც მეშინია აღლვებული ზღვით მგზავრობისა.

ნაშუადღევის ხუთი საათია. „ახუნდოვმა“ ღუზა აიკრიფა და ზღვაში შეცურა. უცბად რაღაც მოხვდა ანძის თავს და გემბანზე ჩამოვარდა. იხვი. მეზღვაურის ხელში ფართხალებს ცოცხალ-მკვდარი ბატასინი. კარგი ნიშანია! ხვალინდელ დღეზე ოცნებამ შემიპყრო. რაღა იქნება იქ, ლენქორანში?

დილის შვიდ საათზე ლენქორანს მივუახლოვდით.

ზღვა მოკასკასებულია. ლენქორანში თოვლი დევს. შორს მოსჩანან თოვლით დაფარული ტყეები და ხეირანის კალთები. ერთი საათის შემდეგ ილიჩის ნავსადგურში მივედით. ლენქორანიდან ილიჩის ნავსადგურამდე გემი იხვებით გადაშავებულ ზღვაზე მიცურავდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით სარინის ტბორს, იხვების რაოდენობა მით უფრო იზრდებოდა. რამდენერმე პირდაპირ გარეული იხვების, თეთრშუბლა იხვე-

ბის, კუდსადგისების, ჭიკვარების, ყურყუმალების და სხვადა-  
სხვა სახის იხვების ფარებში შევცურეთ, საიდანაც ჩვენი მრავალი  
ხლოებისთანავე ყველაზე აღრე ფრთხილი - ბატები ღალახით  
აიშლებოდნენ ხოლმე, ხოლო იხვები გვერდზე გაცურავდნენ  
და გზას უთმობდნენ გემს, თავებს მოუსევენრად იქით-აქეთ  
აქნევდნენ და ბოლოს ნელა, გამომწვევი ყაყანით, წყალზე  
ფრთხების ცემით აიშლებოდნენ და გაფრინდებოდნენ. გემს  
თავს დასტრიალებდნენ დიდი და პატარა თოლიების ასეუ-  
ლები, უშიშრად ცურავდნენ მელოტები და სხვა წვრილი იხ-  
ვები, ჰორიზონტზე კი, ირანის მხრიდან მოფრინავდნენ და  
მოფრინავდნენ იხვების, ბატების, ჩვამების აურაცხელი ქა-  
რავნები. განსაცვიფრებელი, დაუკიწყარი, გრანდიოზული, ნა-  
ტურალისტისა და მონადირის გულის ამაღლელებელი სურათი  
იყო.

## \*

გული აღარ ითმენდა. ცოტა დავისვენე, მენავე ივანეს ნავი  
გავამზადებინე, თბილად ჩავიცვი, ვინაიდან საღამოსაც ნავში  
ვაპირებდი დარჩენას, ფეხი ჭაობის დიდ წალებში ჩავდგი  
(სხვა ფეხსაცმელით აქ ნადირობა შეუძლებელია) და შევ-  
დექი ამ აღვილებში პირველ სანადირო მოგზაურობას.

ყამიშით გარშემორტყმული მდორე მდინარე აერთიანებს  
ორ ცნობილ მცირე ზღვას — ზემოს (ვარაულის) ლენქორიან-  
თან, ილიჩის ნავსადგურიდან 12 კილომეტრის დაცილებით და  
ქვემოს (ბელადინის), რომელიც ნავსადგურთან მდებარეობს.  
შემდეგ ჩრდილოეთისაკენ იგი ზღვის პირს მიჰყვება, ამ მცირე  
ზღვით შეიძლება მიხვიდეთ სოფელ ქუმბაშამდე, საღაც ყი-  
ზილ-აგაჩის სახელმწიფოს ნაკრძალი იწყება.

ჭაობებისა და ტბების ნაერთს აქ მცირე ზღვებს უშოდე-  
ბენ, რომელიც სქლად არის დაფარული ყამიშით. ზღვაში მრა-  
ვალი სუფთა აღვილი და გასავლელია, რომლებიც ქუჩებს,  
შესახვევებსა და ჩიხებს მოგაგონებენ და რომლებშიც  
ბრტყელძირიანი კულაზები დაძვრებიან. ჭაობებისა და ტბების  
ნაერთი ეს მცირე ზღვები წარმოშობილია დიდი ტყეებით და-

ფარულ მახლობელი მთებიდან ჩამონადენი მდინარეზე და  
რუებისაგან, რომელთაც არ შეუძლიათ ზღვის მოქმედობა კაშა-  
კლავება. ნაპირებიდან გაღმოდიან და თითქმის ოც კილომეტრ-  
ზე ტბებსა და ჭაობებს წარმოშობენ.

ვიწრო ქვიშიანი ნაპირის ზოლი, რომელიც სიფარგით  
ორასი ნაბიჯიდან რეას ნაბიჯამდე აღწევს, საზღვრავს ამ მცი-  
რე ზღვებს კასპიის ზღვიდან, ამ ზოლს ადგილობრივი მცხოვ-  
რებლების „ფაფარს“ უწოდებენ.

ჭაობში, სადაც კი ყამიშია ამოსული, ყველგან შეიძლება  
ჩექმით გავლა, წყალი მუხლამდე, მაგრამ იქ კი, სადაც სუფ-  
თა წყალი დგას, წყლის სიმაღლე ერთ მეტრამდე აღწევს.

ამ ჭაობების სიფართე ორი ან ოთხი კილომეტრია.

გარშემო დიდი რაოდენობითაა მცირე ზღვებთან დაუკავ-  
შირებული ცალკე ჭაობები, ბრინჯის ყანები და მინდვრები,  
სადაც დიდძალ საკვებს ნახულობს ყველა სახის ფრინველი,  
რომელიც აქ, თბილ ყამიშებში მოდის ზამთრის გასატარებ-  
ლად შორეული ჩრდილოეთიდან, ციმბირიდან და სხვა ცივა  
ქვეყნებიდან. შემოდგომისა და გაზაფხულის გადაფრენების  
დროს ფრინველთა კიდევ უფრო დიდი რაოდენობა ისევნებს  
აქ, იკვებება, სუქდება და შემდეგ განაგრძობს გზას შემოდ-  
გომაზე სამხრეთისაკენ, ხოლო გაზაფხულზე ჩრდილოეთისა-  
კენ, საბუდორისაკენ.

თევზის საზღაპრო რაოდენობა, განსაკუთრებით წვრილი  
თევზისა, ზღვასა და ტბებში, წყლის მუდამმწვანე მცენარეუ-  
ლობა, ბალახი — ყველაფერი ეს ფრინველთა საუცხოო და  
ულეველი საკვებია.

ცნობილ მეცნიერს — რადეს დასახელებული ჰყავს ამ ად-  
გილებში შენიშნულ ფრინველთა ორას ხუთი სხვადასხვა სა-  
ხეობა. ა. ნ. კარამზინს პირადად აქ უნახავს ას ოცდათექვს-  
მეტი სხვადასხვა სახეობა. სატუნინი ტალიშის რაიონში ასახე-  
ლებს ფრინველთა ას ოც მცვიდრ და ას ოცდაოთხ მოზამთრე  
სახეობას. მე პირადად აქ მხოლოდ რამდენიმე დღის ნადირო-  
ბის დროს ვნახე სხვადასხვა სახის ბატების, თეთრშუბლა ბატის,  
იხვების, ჩვამების, გედების, ყანჩების, ივეოსების, მელოტე-

ბის, თოლიების, მურტალების, ყარყატების, ფლამინგოს, ვარდი-  
ვების, ჰყიამპოს, ტყის ქათამის სხვადასხვა წინტალებული და კუ-  
სხვათა უთვალავი ქარავნები. სქელ ყამიშში ბუღობენ ბაცი-  
ლურჯი სულთანის ქათმები, ეკალ-ბარდში — ხოხები.

\*

ნელა მიცურავს ჩვენი ნავი გაბლანტებულ მდინარეზე. ნა-  
ვის შუაგულში ვზიგარ, თოფი მზადა მაქეს, გაფაციცებით ვათ-  
ვალიერებ საკბილოს.

წინ ჩალიანში ათეული მელოტა, ადგილობრივ მონადირეთა  
საყვარელი ნანადირევი, დაცურავს და ყვითაობს, დანარჩე-  
ნები ჯგუფ-ჯგუფად რაღაცას პერენავენ მწვანე ნაპირზე. აქე  
მრავალი იხვი ცურავს, ჩვენ ნავს გაფაციცებით ადევნებენ  
თვალს. საკმარისია ასიოდე ნაბიჯზე მივუახლოვდეთ, რომ  
ყველანი ერთად წამოიშალონ და გაფრინდნენ. ყველაზე ად-  
რე შეჩერებული მელოტები ასტეხენ ალიაქოთს, ფეხებს  
წყალზე ატყაპუნებენ — გარბიან, შემდეგ აფრინდებიან, ფე-  
ხებს უკან გაიშვერენ და ისე მიფრინავენ, როგორც რომე-  
ლიმე გრძელებუდიანი ფრინველი. ისეთი შთაბეჭდილებაა,  
თითქოს წყლიდან ხოხობის მთელი გუნდი აფრინდაო. ნაპი-  
რის ჩალიანებიდან ყიყინით, მძიმედ ამოფრინდებიან გარეუ-  
ლი იხვები და ისე მიფრინავენ, რომ თოფის სროლაც კი არ  
შეიძლება, შორსაა.

რამდენჯერმე შემთხვევით გადაფრენილ იხვს ვესროლე,  
ვერც ერთს კარგად წამოფრენილს ვერ გავეკარე.

ეს რა ბედენა?

უკან მოვიხედე და ყველაფერი ნათელი გახდა: ნავის  
ცხვირზე აყუდებულა ივანე და ორსაეენიან ჭოგს აქეთ-იქით  
იქნევს, ხან ჰაერშიც დაატრიალებს, როდესაც მეორე გვერდ-  
ზე უნდა გადაიტანოს. გამოდის, რომ განგებ მიფრთხობს  
ფრინველების გუნდს!

თხელ ყამიშში, ფრთხილი გარეული იხვები, უკვე დაში-  
ნებულნი გამუდმებული თოფის სროლით, კარგად ხედავენ  
მოახლოებულ საფრთხეს და თავის დროზე შველიან თავს,  
აფრინდებიან ხოლმე.

თავს ზევით ძალა არ არის! ივანეს ვერ გადავაჩვევ ჭოვის  
ტრიალს: აქ ნავები საერთოდ ასე დაჰყავთ.

მზრთალი გითხრათ, არც კი ლირს შენიღბვა, მე ადგილე-  
ბის ნახვა და ფრინველთა ცხოვრების გაცნობა უფრო მაინ-  
ტერესებს, ვიდრე დიდი რაოდენობის ნანადირევი.

მდინარიდან, თხელი ყამიშებით ქვედა მცირე ზღვის ფარ-  
თო სუფთა წყალში გავდივართ და მივყვებით მას, ვათვა-  
ლიერებთ მის „ქუჩებსა“ და „შესახვევებს“. ხანდახან ყამი-  
შებში მივიმალებით და იხვების მოფრენას ველოდებით. ხან-  
დახან ნავიდან ჩამოეხტები, ჭაობში მივატყაპუნებ ჩემ უხეშ  
წაღებს, ხან ჩალიანში მიმალულ გარეულ იხვებს ვეპარები,  
ხან კი ნაპირზე ჩამწყრივებულ მაყვლის ბუჩქებში ვისაფრები  
და ივანეს ნავით ვაგზავნი, რომ იხვები „მომირეკოს“.

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემმა ხრიკებმა არ გაჭრა, იხვები  
ჩემზე ეშმაკები გამოდგნენ, — ჩემკენ კი არ მოფრინავდნენ,  
პირიქით, ჩემგან ორას-სამას ნაბიჯზე წამოშლებოდნენ და  
კიდევ იქით მიფრინავდნენ, თითქოს მასხარადაც კი მიგდებ-  
დნენ.

სალაშოს ფრენამ იმატა. დაისს მე ნავით ყამიშებში შევ-  
ცურე, ჩავსაფრდი და ოცდაათამდე ვაზნა დავწვი. სულ  
წერილმანი ყურყუმელები მოფრინავდნენ, განსაკუთრებით  
ბევრი იყო წითელთავა ყურყუმელა და ცხვირფარა.

სამაგიეროდ მე ოცნება მისრულდებოდა, მთელ დღეს  
ჭაობის ფრინველთა სამყაროში ვალამებდი, სხვადასხვა ფრინ-  
ველებში ვიყავი, რომლებიც ჰაერში ყოველი მიმართულე-  
ბით დაძრწოდნენ, ფრინავდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე,  
ჩემ თვალშინ კომწიაობდნენ და ყურყუმალაობდნენ.

საწყალობელი სტენით მოფრინავს ნამგალნისკარტების  
დარფა! ძერების, ბოლობეჭედების, თეთრკუდა არწივების  
ასეულები ირაოს აკეთებენ ჩალიანების თავზე და საკბილოს  
უთვალთვალებენ. შურდულივით გაიშეუვლებს ჭიკვარების ან  
ნაცარების მჭიდროდ შეკრული დარფა და თხლაშანს მოადენს  
კრიალა წყალზე. მაღლა ცაში ბრინჯის ყანებისაკენ ლალანიდ  
მიფრინავენ ან უკან ზღვაზე ღამის სათევად ბრუნდებიან ბა-  
ტების დიდი ქარავნები. მზის ჩასულისას ჰორიზონტზე კია-

სხვადასხვა სახის — ნაცრისფერი, თეთრი და კიდევ რა-  
ღაც სხვაგვარი ყანჩები დგანან ყამიშის პირებში და ჭკვია-  
ნური გამომეტყველებით გვადევნებენ თვალს; შორს თითქოს  
თეთრი ნავები მოჩანან. მივდივართ ახლოს: ოთხი დიდი ვარ-  
ხვი მძიმედ ადის ჰაერში. ბეჭებზე თავებგადადებული,  
გრძელნისკარტიანები ფრთების ნელი რხევით თავისუფლად  
მიფრინავენ, თითქოს ფრინველები კი არა, საპარო ხომალ-  
დებიაო.

\*

ოთხი დღე დილის ექვსი საათიდან საღამოს შეიდ საათა-  
მდე მე და ივანემ ჭაობებში გავატარეთ, ვნახე ორივე მცარე  
ზღვა, ამ წყლის ლაბირინთის ყველა კუნძული შემოვიარეთ.  
ვიყავი ჭაობის იმ ადგილზეც, სადაც ყამიშით დაფარული  
ტალახია მუხლამდე. აურაცხელი იხვისა და ჩვამას გუნდები  
ავაფრინე. ბევრი ავაცდინე, ამაოდ ვუბათქუნე, ჩაფიქრებული  
შშვენივრად მოსულ ფრინველს სამარცხვინოდ ვაცდენდი ხოლ-  
მე, თუმცა საქმაოდ ვიჯერე გული კარგი სროლითაც, რო-  
მელიც ასე ნათლად გრჩება მახსოვრობაში, და ბედნიერ წუ-  
თებს განგაცდევინებს ნადირობის დროს. განსაკუთრებით  
სასიამოვნო იყო საღამოს გადაფრენებზე იხვების ხოცვა მდი-  
ნარის პირას, სადაც დიდი სისწრაფით ფრინავდნენ ისინი წინ  
და უკან.

ერთ დღეს დილიდანვე სქელი ნისლი იღვა და მეც შე-  
ვონა, რომ ძალიან კარგად ვინადირებდი, მაგრამ ჩემი ვარა-  
უდი არ გამართლდა: ყველა საგანი ნისლში განსაკუთრებუ-  
ლად გამსხვილებული და დიდი ჩანდა. ყამიშის პირად მდუო-  
მი ყანჩები, გაფრენილი ვარჩები, პატარა იხვებიც კი განსა-  
ცვიფრებლად გადიდებულიყვნენ. ალბათ ივანეც თავისი ჭო-  
გით უზარმაზარ სამრეკლოდ ეჩვენებოდათ ფრინველებს, ვი-  
ნაიდან ნისლში ფრინველები მეტად ფრთხილობდნენ და  
უფრო ადრე დგებოდნენ და თავს გვარიდებდნენ, ვიდრე სხვა  
დროს.

სამასზე მეტი ვაზნა გავისროლე ამ ოთხი დღის განმავლო-

ბაში. სხვადასხვა სახეობის იხვთა მთელი კოლექცია ღია როვე, ჩემს ნადავლში ბევრი იყო გარეული იხვი, მუჭატყისა ვები — ქოჩორა, ზღვის იხვი, გოგოლი, წითელთავა, ყურ-ყუმელა, კუდსადგისა, თეთრშუბლა, ნაცარა და სხვა მრავალი. ორი ნამგალნისკარტა, რამდენიმე ჰყიამპო, ტყის ქათმები და სხვადასხვა წინტალებიც მოჰყვნენ ჩემ სანადირო ჩანთაში.

მთელი ნადირობის განმავლობაში ზღვა სარკესავით იყო, წყლის ფრინველთა მთელი მასა წყალტბორზე იჯდა. და ამათ აიხსნებოდა, ლენქორანელთა სიტყვით, ფრინველის მცირე რაოდენობა ჭაობებში.

სულ ოთხი გედი ვნახე. თეთრშუბლა ბატები დიდი რაოდენობით მულანის ტრამალებისაკენ მიიმართებოდნენ, ვინაიდან აქ ამ ცოტა ხნის წინათ დიდი ყინვები და თოვლი იყო და მცირე ზღვები და ჭაობები მთლიანად გაეყინა.

მთელი ოთხი დღის განმავლობაში ირგვლივ გამუდმებული თოვლის სროლა ისმოდა, ხან ისეთი, თითქოს ზარბაზანი გავარდაო. მდინარის თვითეულ მოხვეულში, ყველა ტბორზე, ყამიშების თვითეულ კუნძულში გვხვდებოდა ყულაზები ვონადირებით.

ვერ ვიტყვით, რომ აქ ფრინველები მყუდროებაში ზამთრობდნენ, რომ ეს ადგილი მათთვის მშვიდი და უზრუნველი ცხოვრების მიმცემი იყოს, განსაკუთრებით თუ ადამიანს, რომელიც განუწყვეტლად აქ ნადირობს, დავუმატებთ ყამიშებში წუწკ ტურებსა და გარეულ კატებს, ჰაერში კი ფრთოსან მტაცებლებს.

გემი დიდი სისწრაფით აპობს ზღვის ტალღებს. თბილი ზღვაური უბერავს გემბანზე. ბატებისა და იხვების უთვალავი გუნდები გადადიან ზღვიდან ჭაობებში და უკან. ისმის დაუსრულებელი თოვლის გრიალი.

რამდენი აქ მოზამთრე ფრინველი დაბრუნდება ჩრდილოეთში თავის ბუდეზე? რამდენი მოესწრება გაზაფხულზე გაიკეთოს საბუდარი და გამოჩეკოს თავისი შთამომავლობა? რამდენი კიდევ გზას შეეწირება სამშობლოში დაბრუნებისა? გზაში დადარაჯებული რამდენი მონადირის თოვი გავარდება საბუდარში მიღწევამდე?

ჭობს, ამაზე არ ვიფიქროთ.

## ფლამინგო



ოცდაათიან წლებში, გვიან შემოდგომაზე მე ყიზილ-აგაჩის სახელმწიფო ნაკრძალში მოვხვდი. ყველაზე საინტერესო იმ მილიონობით ფრინველთა გუნდებში, რომლებიც აქ ზამთრობენ, იყო იშვიათი, განსაკუიფრებელი ფრინველი — წითელფრთა, ანუ ფლამინგო, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი შეუძლებელია, თუ იგი საკუთარი თვალით არ ნახე.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. ნაკრძალში ბევრა რამ შეიცვალა, მისი ტერიტორიაც კი, მაგრამ ის, რაც მე მინდა მკითხველს ქვევით ვუამბო ამ საინტერესო ფრინველისა და საერთოდ ფრინველთა ზამთრობის შესახებ, არ იქნება ინტერესმოქლებული განსაკუთრებით ბიოლოგებისა და ნატურალისტებისათვის.

ძლიერ მცირე გამონაკლისის გარდა, ფრინველები გადაფრენის დროსა და განსაკუთრებით გამოზამთრების ადგილებში გუნდებად იქრიბებიან, გუნდებსა და დარფებში ისინი რამდენიმე ათეულიდან ათასეულ ფრთამდე იყრიან თავს. ასეთი ზღაპრული მრავალრიცხვანი შენაერთები, რაც თავდაცვის საზოგადოებრივ-გუნდური ინსტინქტის შედეგია, ღიღი ინტერესს ალუძრავს ადამიანს.

ცალკე ყოფნას მიჩვეული ყანჩები და ბუღებიც კი ზამთარს აქ ერთად ატარებენ, ზელმეტია, რასაკვირველია, ლაპარაკი ყველა იხვსა, ბატსა, გედსა და სხვა ფრინველებზე,



რომლებიც აქ წარმოუდგენელი რაოდენობით ერთად იკონის შემთხვევაში ბებიან. ერთი სახის ფრინველთა ასეთი შენაერთებდა ადამიანის გენ ერთსა და იმავე ადგილს საკვებად, დასასვენებლად, ღლისა და ღამის გასატარებლად. გაერთიანებული ძალით საშიშ-როებასთან ბრძოლისა და თავის გადარჩენის ინსტინქტი ფრინველებს განსაკუთრებით გადაფრენისა და ხანგრძლივი ზამთრობის დროს გაუძლიერდებათ.

ფრინველთა უთვალავ შენაერთებში, ცხოვრების თავისებურებებით, ერთობლივი გადაფრენის, კვების, თამაშის და დაუსრულებელი „ყაყანის“ დროს ისინი წყვილებად დაიყოფიან, საფუძველი ჩაეყრება ფრინველთა ოჯახებს, ბევრი მათგანი კი სიკვდილამდე აღარ სცილდება ერთმანეთს. სამშობლოში, საბუდარზე დაბრუნების შემდეგ კი ფრინველები სულ სხვაგვარ — კარჩაერტილ სუფთა ოჯახურ ცხოვრებას იწყებენ, რომელსაც მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს — მთამომავლობის გამოჩეკა და აღზრდა.

ფლამინგო, წითელფრთა, ან როგორც მას კიდევ მესამე სახელს — წითელ ბატს უწოდებენ, უმთავრესად ყაზახეთის მლაშე ტებეზე და კასპიის ზღვის ნაპირის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილში ბუდობს. ზამთარს კი იგი იმავე ზღვის სამხრეთით — ყიზილ-აგაჩის, ჰასან-ყულეს და ზღვის ირანის სანაპიროზე ატარებს.

მოტორიანი ნავით ძლივს გავაღწიეთ დაბალწყლიან ტბაში „ძალის ქბილთან“. წყლის სილრმე ოცდაათ სანტიმეტრს არ აღემატებოდა, მალე მოტორიანმა ნავმა წინსვლა ვეღარ შესძლო და ჩვენ ბრტყელძირა ნავში — ყულაზში გადავჭექით, რომელიც მოტორიან ნავზე გვქონდა გამობმული. დიდი ჭირის საშუალებით ნელა მივიწევთ უთვალავი წყლის ფრინველებით სავსე ტბაში, რომლებიც უშიშრად ცურავენ ჩვენს ირგვლივ, ან გრძელი ფეხებით დაატყაპუნებენ ამ დაბალ წყალში.

განცვიფრებული შევცერი ამ საოცარ სანახობას, უჩვეულო შთაბეჭდილება მექმნება ფრინველთა წარმოუდგენელი რაოდენობისაგან, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვეებერთელა ვარდისფერი „კედელი“, რომელსაც ჩვენ

წინ თითქმის მთელი ყურე გადაუღობავს სანაპირო ყამზე — უკრაინული კუნძულებამდე.

ღურბინდი ააშკარავებს უჩვეულო „კედლის“ საიდუმლოებას. ეს თურმე ფლამინგოს დიდი გუნდების თავყრილობაა. გასაგებია ჩემი მღელვარება, რომელიც საუცხოო სურათმა გამოიწვია, იშვიათად თუ უნახავს რომელიმე ნატურალისტს ასეთი რამ. ფრინველებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კილომეტრია, მაგრამ ღურბინდით ადვილი დასანახავია უთვალიავი ფრინვლის გრძელი და წვრილი კისრების ტყე დამახასიათებელი თავებით, რომლებიც მაღალ ფეხებზე მჭიდროდ დგანან წყალში. ზოგიერთები შლიან შავზოლებიან წითელ ფრთებს და აშკარად გამოირჩევიან ბაც ვარდისფერ ფონზე.

ყრუ გუგუნი ისმის, თითქოს მარტო ფაგოტებისაგან შემდგარი ორკესტრი უკრავსო. საერთო ხმაურსა და ყაყანში ზოგჯერ მკვეთრად გამოირჩეოდა ცალკე ფრინველთა მაღალი ხმა და წითელფრთება მომღერალთა გუნდის გალობას ფარავდა.

ჩვენი ნავი ნელა უახლოვდება ფლამინგოების ვარდისფერ მასას.

რა უთვალავი რაოდენობა შეგროვილა აქ, თითქმის გადაშენების გზაზე დამდგარი ამ ორიგინალური ფრინველისა? — ასეული ათასი მილიონი!

უცნაურმა აზრმა გამიელვა: სურვილი აღმეძრა, დაახლოებით მაინც დამეთვალა ფლამინგოების რაოდენობა. ჩემ წინ მჭიდრო „კედლად“ იღენენ ისინი. ამ კედლის სიგანე სამიოდე კილომეტრი იქნებოდა, სიღრმე კი ასი მეტრი მაინც. ამგვარად სამასი ათასი კვადრატული მეტრი მოედანი ეჭირა ამ ფრინველების თავყრილობას. ოვითეულ კვადრატულ მეტრზე ორი ფრინველი რომ ვიანგარიშოთ, — თუმცა ისინი გაცილებით უფრო მჭიდროდ ისხდნენ, — ეჭვსასი ათასი ფლამინგო მაინც იქნებოდა აქ თავმოყრილი.

ჩვენ სამასი თუ ოთხასი მეტრით დავუახლოვდით ფრინველებს. წინა რიგებში მდგომა ფრინველებმა შეშფოთებით დაიწყეს ჩვენები თავისი უცნაური თავების მობრუნება, ზოგიერთებმა ფრთები გაშალეს და ასაფრენად გაემზადნენ, გუგუნი შეწყდა, სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩვენ კი თუმცა ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ მივიწერდეთ  
წინ.

და უცბად, ჩვნთან უახლოესი ნაპირიდან დაწყებული,  
წყალში უთვალავი ფეხები ატყაპუნდა, წყალი თითქოს აღუ-  
ლდა, ისეთი ხმა გაისმა, გეგონებოდათ, ჩანჩქერი გადმოვარ-  
დათ და ვარდისფერი ფრინველების მთელი გუნდი, წითელ-  
სარჩულიანი ფრთებით, გაუძლევლად და შეუხტომლად მძი-  
მედ აიშალა და პაერში ავიდა.

თვალები ამიჭრელდა. ცა დაიფარა ყოველი მხრიდან  
აფრენილი უცნაური ფრინველებით. ხან ცალკე წითელ და  
ვარდისფერ ჯგუფებად, ხანაც გრძელ ალისფერ ზოლებად  
დაფრინავდნენ ისინი, ერთმანეთში ირეოდნენ, სანამ სასწრა-  
ფოდ ლამაზ მწერივებად არ დაეწყენენ და უზარმაზარ თა-  
ვისებურ მწყობრად, ორგანიზებულად ყურის აღმოსავლეთ  
ნაპირისაკენ არ გაფრინდნენ.

ფლამინგოს წითელი და შავნარევი ფრთების შიგა ნაწილი  
მეტად ლამაზი და ეფექტურია, ზოგჯერ ფრენის დროს  
ფრთები განსაცვიფრებლად ბრწყინავენ მზის სხივებზე. მაგ-  
რამ თვითეული ცალკე გაფრენილი ფლამინგო სასაცილო და  
საცოდავ სანახაობას წარმოადგენს, შუაზე მოკლე ფრთებგა-  
მოსხმულ გრძელ ჯოხსა ჰგავს, თითქოს ფრინველი კი არ  
არის, არამედ უფრო რაღაც უცნაური მწერია, დიდი კალიააო.

ეს ორიგინალური ფრინველები პირველად ვნახე ბუნებ-  
რივ პირობებში ოცნებისათვის მიუწვდომელი დიდი რაოდე-  
ნობით. თვითეული ნატურალისტი, თვითეული მონადირე,  
თევითეული ცოცხალი ბუნების მოყვარული მიხვდება ჩემ  
მიერ განცდილ მღელვარებას და იმ სიხარულის გრძნობა-  
საც, რომელმაც შემიპყრო იმ საზღაპრო სანახაობის, ასეთი  
ძლიერების, უთვალობის და ცოცხალი ბუნების ამგვარი სი-  
ლამაზის ხილვისას.

სამი დღის შემდეგ მე იმავე გზით უკან გბრუნდებოდი  
და მაშინ შევხვდი ფლამინგოების არა ერთ, არამედ ოთხს  
ასეთ დაჯგუფებას, რომელთათვის წყნარ ყურეში თავი მოე-  
ყარა ზღვაზე ატეხილ დიდ ქარიშხალს. ამგვარად ყიზილ-  
აგაჩის ნაკრძალში იმ წელიწადს საზამოროდ თავმოყრილი  
ფლამინგოების რიცხვი ალბათ ორ მილიონამდე აღწევდა.



ფრინველთა უდიდესი სიმდიდრე, ჩვენი ქვეყნის თავისებრუობა  
ბური ბუნებრივი კაპიტალი ერთგული დარაჯის ხელში მდებრობა  
რძალის სახით. ფლამინგოებს კი განსაკუთრებული ყურა-  
დღება ექცევა: ნაღირობა ფლამინგოზე აკრძალულია.

სამწუხაროზ, ასე არ იყო ძველად: საინტერესო, იშვიათი  
ფრინველი სრულიად დაუცველი იყო. ვინ როდესაც მოისურ-  
ვებდა, კლავდა და იჭერდა მას, განსაკუთრებით იჩაგრებო-  
დნენ წითელფრთებიანები ზამთრობით, ქარიშხლისა და ყინ-  
ვების დროს, როდესაც ისინი იმდენად იყინებოდნენ, რომ  
კარგავდნენ ფრენის უნარს და შეუგნებელი ველურების ჯო-  
ნების მსხვერპლი ხდებოდნენ.

ასე იყო, მაგრამ ასე აღარ არის და არც იქნება!



## „თითრი ხოხობი“

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სოხუმის ახლოს ხოხები უკვე აღარ იყვნენ. ისინი სულ ამოხოცეს. ქალაქიდან ოციოდე კილომეტრზე, მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ აძიუბეს ხიდთან, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ეს შესანიშნავი ფრინველი და მეც იქ დროგამოშვებით ჩავდიოდი ხოლმე სანადიროდ.

მართალია, ხოხობი აქ უკვე მცირე რაოდენობით იყო, მაგრამ დღის განმავლობაში ორიოდეს აღება მაინც შეიძლებოდა.

მოვაჯდებოდი. ჩემს ჩერქეზულ ცხენს, ტანზე ისე ჩავიცვამდი, რომ მაყვლის ბუჩქებში არ გავხლართულიყავი, ან არ შემომექია ტანსაცმელი, მხარზე თოფს გადავიკიდებდი, სანადირო ჩანთაში მსუბუქ საუზმეს ჩავდებდი, ჩემს ერთგულ თანამგზავრს, ნარევი ჯიშის ირლანდიულ სეტერს — რაშს — წინ გავიგდებდი და კოლორისაკენ მივათოხარიერდი ჩემ ყორანას. საღამოს კი ისევ შინ ვგრძელდებოდი.

შარაგზის პირად, ხიდთან, ერთი პატარა დუქანი იყო, სადაც ცხენს ვტოვებდი ხოლმე, თვითონ კი ფეხით გავყვებოდი სანადირო ადგილებს, რომლებიც დუქნის უკანვე იწყებოდა.

წელიწადზე მეტი იყო, იქ არ წავსულიყავი, მომენატრა გრძელკუდიანებზე ნადირობა და წასვლა გადავწყვიტე იმ იმედით, რომ ნადირობით გულს ვიჯერებდი.



დუქანი უკვე აღარ დამხვდა: იგი პატრონს მიეტოვებდეს სამართლებრივი უნიტარული ნახევრად დანგრეული იდგა.

იძულებული ვიყავი, ცხენი გზის ოსტატისას დამეტოვებინა, რომელიც იქვე, ხიდთან, ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა. ოსტატმა გადმომცა, რომ დუქანი ერთი წელიწადია რაც დაიხურა და შიგ აღარავინ ცხოვრობსო. გამეხარდა კიდევაც, ვიცოდი, რომ მედუქნე ხოსტებს ხოცავდა და მესიამოვნა, რომ აქ ერთი მონადირით ნაკლები იქნებოდა.

გზიდან გადავუხვიე და ხშირ ეკალ-ბარდში შევედი. რაში ჩემ წინ გამჯლებით დადიოდა და ექებდა. იგი გულმოდგინედ სინჯავდა ყველა ბუჩქს, პატარა მინდვრებს, შალტამს, ერთ-ბაშად კვალს წააწყდა და გაპყვა მას.

თოფი მოვიმარჯვე და ძაღლს უკან გავდიე.

წინ, ბუჩქებში, რაღაც თეთრმა გაირბინა. მე რატომლაც გვითვიქუ, თეთრი ხოსტი ხომ არ არის-მეთქი, ძვირფასი და იშეიათი რამ, რომელსაც ზოგჯერ წააწყდება ხოლმე ბედ-ნიერი მონადირე.

რაში თანდათან ეტანებოდა ფრინველს. და უცბად, თითქოს ჩემი ფიქრების გასამართლებლად, ფრთების დამახასიათებელი ტყლაშუნით თეთრი ხოსტი მძიმედ ამოფრინდა ხშირი ბუჩქებიდან და მახლობელ ხეზე შეჭდა.

რაში განცეიტრებული შეჩერდა, თავი ასწია და ორჯერ შეპყეფა. ხოსტი ფრთების მძიმე და ჩქარი ქნევით აფრინდა ხიდან და მეორე ხეზე გადაჭდა.

სროლა ვერ მოვასწარი, მაგრამ სასწრაფოდ გავიქეცი იმ ხისკენ, რომელზედაც იგი იგდა. ძალლმა მიმასწრო და ორი-ოდეჭერ კვლავ შეპყეფა. ყეფით შეშინებული თეთრი ფრინველი კვლავ მოსწყდა ტოტს, უკან გამოფრინდა და თავზე გადმომიარა. ვესროლე. იგი მოწყვეტით ჩამოვარდა ბუჩქებში. რაში მივარდა, მაგრამ მანამ არ აიღო, სანამ რამდენწერმე არ გაეუმეორე: „რაშ, მოიტა, მოიტა..“

ძაღლი ბუჩქებში შეძვრა, მოკლული ფრინველი გამოიტანა და ჩემ ფეხებთან დადო.

დავხედე ნანადირებს. არ მესიამოვნა. თეთრი ხოსტის ნაცვლად ჩემს ფეხებთან ჩვეულებრივი თეთრი შინაური დედა-  
21. ე. მარკოვი.



ლი ქათამი იდვა. ასეთ ქათმებს მრავლად აშენებულია მიზანისა აფხაზეთში.

ესეც შენი თეთრი ხოხობი, იშვიათი ნანადირევი, რომლის შესახებ ოცნებამაც კი გამიტაცა.

გაველურებული შინაური ქათამი, რომელიც ტყეში ცხოვრობდა, როგორც გარეული ფრინველი, და კარგადაც ფრინავდა, კარგახნის განმავლობაში რომ გადარჩენოდა ამ აღგილებში დიდი რაოდენობით მოხეტიალე ტურებსა და გარეულ კატებს, — ჩემთვის საქმაოდ საინტერესო ბიოლოგიურ მოვლენას წარმოადგენდა. ჩემი თვალით პირველად ვნახე და მით უმეტეს მოვკალი კიდეც გაველურებული შინაური ქათამი. თუმცა ქათმების გაველურებაზე ბევრი მქონდა წაკითხული და გაგონილი.

ეს ქათამი ალბათ შემთხვევით დარჩა ტყეში მედუქნის წასვლის შემდეგ. ხელიდან ფამოეცალა რა ადამიანის მფარველობის ქვეშ ცხოვრების ყველა პირობა და შეეგუა საშიშ ცხოვრებას ტყეში, რომელშიაც ყოფნა უხდება გარეულ ფრინველს. გაძლების უმთავრესი პირობა ფრენის შეჩვევა იყო, რომელიც უზრუნველყოფს გარეულ ფრინველს — თავი ისსნას გაჭირვებისაგან. ამას კი მან სრულყოფილად მიაღწია.

გასაკვირია, ფრინველთა ცხოვრების საუკეთესო მცოდნეს — ზოოლოგ ბრემსაც კი ეჭვი ეპარება, რომ შინაურ ქათმებს შეუძლიათ გაველურება და კატეგორიულად ამტკიცებს, თითქოს არსად და არასოდეს, მიუხედავად ადამიანის ბევრი დაკინებითი ცდისა, შინაური ქათმები არ გაველურებულანო.

მიუხედავად ცნობილი მეცნიერის ასეთი კატეგორიული მტკიცებისა, რუსი მონადირეებისათვის კარგად ცნობილია ნიუნი-ნოვგოროდის ახლო ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოხდარი შემთხვევა.

მდინარე ცოლგის ერთ-ერთ პატარა კუნძულზე გამრავლდა გაველურებული შინაური ქათამი, რომელიც იქ ვაღაეყვანა და გაეშვა ერთ-ერთ ცნობისმოყვარე მონადირეს. ნოვ-

გოროდელი მონაცირეები გადაღიოდნენ ამ კუნძულზე და სიამოვნებით ნადირობდნენ „გარეულ“ ქათმებზე.

ცნობილი ინგლისელი ბიოლოგი ხელსონი, თავის შესანიშნავ წიგნში „ნატურალისტი ლა-პლატაში“ აღწერს გაველურებული ქათმების საინტერესო ცხოვრებას სამხრეთ ამერიკის პამპასებში.

ჩვენი საუკეთესო მონაცირე და ბუნების იშვიათი შემცნობი, არსენიევი, თავის წიგნში „დერსუ-უზალა“ მოგვითხრობს, თუ როგორ ნახა მან გაველურებული ქათმები უსურიის მხარეში.

თანამედროვე საბჭოთა ბიოლოგი ე. სპანგერბერგი პირად შეხვედრია გაველურებულ ქათმებს ყაზახსტანში, აზერბაიჯანსა და ჩვენი დიდი ქვეყნის სხვა კუთხეებში.

ცნობილ რუს აკლიმატიზაციონ შილინგერს, ბესარაბიაში მეტყველ ყოფნის დროს თვითონ გამოჰყავდა ტყეში ქათმები, რომელიც ჩქარა ველურდებოდნენ.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება, რომ გვაბათილოთ ცნობილი ზოოლოგის — ბრემის აზრი.

ქათამი ადამიანმა მოაშინაურა უხსოვარ დროს. იგი მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდა. შინაური ქათმების გარეული წინაპრები — ექვსი ერთი მეორის ახლო სახეობა (ბანკივის, ზონერატის, სტენლის და სხვა) დღემდე ცხოვრობს ინდოეთის, მალაის და ზონდის კუნძულების გაუვალ ტევრებში. საერთო შეხედულებით, უჯიშო შინაური ქათმებისათვის დამახასიათებელი მოქნილი მოძრაობით, გამხდარი აგებულებით ისინი ძალიან ჰგვანან ჩვენს შინაურ ქათმებს. ოღონდ, რასაკვირველია, ყველა მათგანი კარგად ფრინავს. შინაური ქათმებისაგან განსხვავდებიან ყრუ ყიყინა კავანით, რაც სრულიად არა ჰგავს ჩვენი მამლის ყიყილს.

მრავალი საუკუნე მოანდომა ადამიანშა გარეული ქათმის მოშინაურებას და მართლაც განსაცვიდურებელ შედეგებს მიაღწია, რომელიც ასე ნათლად ლაპარაკობს საბჭოთა ავრობითოლოგის მტკიცების სისწორეზე იმის შესახებ, რომ გარემოს, რომელიც გარს არტყია ადამიანის მიერ აღსაზრდელ მცენარესა თუ ცხოველს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ადამიანმა მრავალი წლის განმავლობაში ბევრი წევა-  
სხვა ქათმის ჯიში გამოიყვანა, რომელთა შორის ზოგი უძველესი და  
ბი, როგორიცაა: კონინკინები, ბრამები, ლონგრამანები, როდ-  
აილანდები და სხვა, მეტად დიდტანიანებია, ფრენა სრულიად  
არ შეუძლიათ და ვერც გასძლებენ ადამიანის მოვლის გარე-  
შე: სხვა ჯიშიანი ქათმები — მეცვერცხები წონითაც და სი-  
დიდითაც უფრო ნაკლებია, ვიდრე სახორცე ქათმები, მაგრამ  
ამ ძვირფას ქათმებს ადამიანი არ უშევებს საქათმიდან და მათ  
არ უხდებათ ცხოვრება ბუნებრივ პირობებში, რომ ფრენას  
მიეჩიონ.

სამაგიეროდ უჯიშო, პატარა ქათმები, მოქნილად რომ  
მოძრაობენ უსურიის მხარეში, ყაზახსტანსა და ამიერკავკა-  
სიაში, რომლებიც თავისუფლად არიან გაშვებული სოფლად,  
საკვების ძებნაში ადამიანის საცხოვრებელ აღგილს ხშირად  
დიდ მანძილზე სცილდებიან, სადაც მათ საფრთხე ელით  
მტაცებელთაგან: მალე გაიხსენებენ ხოლმე შთამომავლობით  
ჩეფლექსებს, მყისვე გაველურდებიან და, უპირველესად  
ყოვლისა, ეჩვევიან ფრთხების კარგად გამოყენებას, რაც ქათ-  
მის ხორცის მოყვარულ მტაცებელთა კბილებისა და სხვა ფა-  
თერაჟისაგან იცავს მათ.

თანდათან, ბუნებრივი შერჩევის გზით, რომლის დროსაც  
იღუპებოდნენ ისინი, რომლებმაც სრულიად არ იცოდნენ  
ფრენა, ან ცუდად დაფრინავდნენ, ცოცხალი რჩებოდნენ და  
მრავლდებოდნენ მხოლოდ სავსებით გაველურებულნი, საუ-  
კეთესო მფრინავნი, ჩემი „თეთრი ხოხბის“ მსგავსად, რომე-  
ლიც მეც კი, ძველ მონადირეს, ნამდვილ ხოხობში ამერია.

ამ დღეს ერთი ნამდვილი დედალი ხოხობი და ორი ტყის  
ქათამი მოვკალი, თუ არ ჩავთვლით „თეთრ ხოხობს“, რომ-  
ლის ფიტული დიდი ხანი ამშვენებდა ჩემს ოთახს.

ნამდვილი თეთრი ხოხობი — ალბინოსი კი მართლაც  
მოკლეს ამიერკავკასიაში 1924 წელს. უურნალი „სპორტი  
და ნადირობა ამიერკავკასიაში“ ამის შესახებ ასე სწერდა:

„იანვრის შუა რიცხვებში სადგურ მეგამის ახლოს ნადი-  
რობის დროს მდინარე მტკვრის პირას, საქართველოს მონა-  
დირეთა კავშირის წევრმა ლ-მ მოკლა მეტად იშვიათი ხოხო-  
324

ბი — ალბინოსი, რომელიც, მონადირის გადმოცემით, უსახლოესიად თეთრი იყო.

მეცნიერებისათვის სამწუხაროდ და ამ შეუგნებელი მონადირის სამარცხვინოდ, იშვიათი ხოხობი მან შეწვა და შეჭამა, ნაცვლად იმისა, რომ ამ საინტერესო ფრინველის ფიტულს საქართველოს მუზეუმი დაემშვენებინა“.

ექსპონატებით მდიდარ მოსკოვის დარვინის მუზეუმში და ორგონიკიძის სამხარეო მუზეუმში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ალბინოს ფრინველების საუკეთესო ეგზემპლარები, მაგრამ იქ, როგორც მასსოვს, არ არის ალბინოსი ხობის ფიტული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველ შემთხვევისთანავე, ახალგაზრდა საბჭოთა მონადირეები, როდესაც ასეთ იშვიათ ფრინველს მოკლავენ. მუზეუმს გადასცემენ მას მეცნიერული მიზნებისათვის.

## მეგობრისადმი მიზარილი ჯირილიდან

(ფანტასტიკური მოთხოვა)



„...როდესაც მე აქეთ წამო-  
სასკლელად ვემზადებოდი, ოც-  
ნებაც კი არ შემეძლო იმ ნადი-  
რობაზე, რაც აქ, მზიურ საქარ-  
თველოში, ნამდვილად ვნახე და  
განვიცადე. ვერ წარმომედგინა,  
თუ ამ დალოცვილ ქვეყანაში  
ამდენი ნადირ-ფრინველი იქნე-  
ბოდა, თუ ამდენ სხვადასხვა სა-  
ხის, განსაცვითრებელი სილამა-  
ზის ფრინველსა და მხეცების  
საკვირველ თავისებურებას წავაწყდებოდი... თუ გინდა ავი-  
ლოთ მშენიერი დურავები, რომლებიც მე ბლომად დავხო-  
ცე... თუმცა სჭობს თანამიმდევრობით აეწერო, თუ როგორ  
გავატარე ეს ზღაპრული ოცი დღე.

თბილისში 28 ოქტომბერს ჩამოვედი. როგორც იცი, თან  
ჩემი „კარო“ ჩამოვიყვანე. ორ დღეში სერიოზული, ნამდვი-  
ლი ნადირობის სეზონი ისსნებოდა. მწყერს ის-ის იყო გა-  
დაფრენა დაემთავრებინა. ამბობენ, ძლიერ ბევრი იყოო. მო-  
ნადირები თურმე ვაზნების დატენასა და თოფის გაწმენდას  
ვერ ასწრებდნენ, მთელ დღეებს მინდვრად ატარებდნენ. შენ  
ხომ იცი, რომ მე არც მწყერი, არც ოქტომბრის შუა რი-  
ცხვებში გადამფრენი ტყის ქათამი, არც კაჯაბი, არც გნოლი და  
არც კურდღელი, რომელიც აქ ყოველი ფეხის ნაბიჭვე გვხვდე-  
ბა, არ მაინტერესებდა. ყველა ეს ნადირი მე ბევრი მიხოცა,  
ამით აღარა ვარ ახლა გატაცებული. მე რაღაც ახალი შთა-  
ბეჭდილება მინდვრად მიმეღო და სწორედ ეს სურვილი აქ  
შემისრულდა ისე, რომ ოცნებაც კი არ შემეძლო.

სიმართლე უნდა გითხრა, რომ ალბათ მთელ დედამიწაზე  
არ მოიძებნება ისეთი სტუმართმოყვარე ხალხი, როგორიცაც კართველებია, განსაკუთრებით კი ქართველი მონადირეები.  
სიტყვებს ვერ ვნახულობ, რომ გადმოგცე, როგორი სიხარუ-  
ლით მიმიღეს მათთვის სრულიად უცნობი ადამიანი, როგორი სიამოვნებით მომცეს ნადირობის ნებართვები და საგზურები საქართველოს ყველა სანადირო ბაზაში, როგორ მელოლია-  
ვებოდნენ და თავს მევლებოდნენ, როგორ მლებულობდნენ და პატივსა მცემდნენ სანადირო აღგილებზე!

დიახ, ეს იყო დაუვიწყარი, მეხსიერებიდან წარუხოცელი დღეები.

პირველად კახეთისაკენ, მდინარე იორჩე გამაგზავნეს. მე იქ, ალანდარად წოდებულ აღგილში, იმდენი დურაჭი და ხო-  
ხობი ვნახე, რომ რამდენიმე საათში ნადირობის დაწესებული  
ნორმა შევასრულე — თხუთმეტი დურაჭი და ათი ხოხობი  
ავიღე. მეორე დილას კი ნორმა გავიმეორე ძალიან ადრე.  
რომ იტყვიან, გაეძეხი და დავტკბი ამ მშვენიერი ნადირო-  
ბით.

ჩემ „კაროს“ ხშირად თავგზა ებნეოდა ამდენი ფრინველის  
დანახვით და ვერ ასწრებდა ულამაზესი ნაბულების გაკეთე-  
ბას ხან ხოხობსა და ხან დურაჭზე. ჯერ, ჩემდა სამარცხვი-  
ნოდ, ზორბად ვაცილე და ათიოდე დურაჭი სუფთად გავუშ-  
ვი, თუმცა ისე თანაბრად და ნელა მითრინავდნენ, რომ ბრა-  
ზით ვსკდებოდი. მეტად კი ვლელავდი, როდესაც ნაბული-  
ლან კაჯანითა და ხმაურით ამოფრინდებოდა ხოლმე ულამა-  
ზესი მამალი დურაჭი, ხან ვჩეარობდი და თითქმის იქვე,  
ცხვირწინ ვესროდი, ან კიდევ ვიბნეოდი და შორს ვუშვებდი.  
მალე მივეჩვიე ამ ჩემთვის უცხო ფრინველს და უკეთ დავი-  
წყე სროლა.

ხოხები ხომ ისეთი ვახვახითა და ფრთების ტკაცუნით  
ამოვარდებიან ხოლმე ბუჩქებიდან, რომ გეგონებათ ზეცა  
ჩამოინგრაო. პირველად დაუმიზნებლად ვესროდი მამალ  
ხოხობს გრძელ კუდში, ბუმბული ცვიოდა, ხორცი კი ვანა-  
გრძობდა ფრენას.

ბოლოს მათაც შევეჩვიე. ამას გარდა, მახლობელ ტყეებში

დასაზამთრებლად შემორჩენილი რამდენიმე ტყის ჭავაში /  
დაქხოცე, ახლო გორებზე ათითდე კაյაბი და გნოჭავაში /  
კალი, კოლექციისათვის კი წყვილი კურდღელი გადავაკო-  
ტრიალე. როგორც ხედავ, ორი დღის ნადირობის შედეგები  
თითქმის საზღაპრო.

ორ დღეს საგარეჭოელი მონადირეების სტუმარი ვიყავი.  
რა საჭმელებით არ გამიშასპინძლდნენ ეს ახალშეძენილი მე-  
გობრები! ღვინოები ხომ აუწერელი გემოვნებისა იყო! იმ-  
დენი დავლიე, რომ მაგონდება, კიდევაც მრცხვენია.

კახეთიდან გარდაბნის სანადირო მეურნეობაში გადმოვი-  
ნაცვლე. თბილისიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრზე,  
მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქ რუსთავის გვერდით, მდი-  
ნარე მტკვრის პირად მე ახალი საკვირველება მელოდა.

მეორე დღეს ჩვენ აქ მოვრეკეთ გარდაბნის ტყეები, სა-  
დაც უხვადაა ირმები და გარეული ღორები. მე ბედნიერება  
მხვდა და პირველ სარექშივე ხარირემი წავაქციე, რომლის  
ჩები დაამშვენებენ ჩემს მოსკოვურ ბინას. ბევრი ღორი  
ვნახე, ვესროლე კიდევაც, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოვქალი,  
სამაგიეროდ სხვებმა დიდი, შავი, ალესილეშვებიანი და სანა-  
ხავად საშიში თხუთმეტი ღორი მოკლეს.

დილით აქაურმა მონადირეთა საზოგადოების თავმჯდო-  
მარებ ტყის პირისაკენ გამასეირნა, სადაც მაღალი ბალახით  
დაფარული თეთრი აკაციის პლანტაციაა გაშენებული.

უცბად, ჩვენგან ას ნაბიჯზე უცნაური სურათი დავინახე: ექვსი ლეგა ბეწვით დაფარული, მოზრდილი ძალლისოდენა...  
კენგურუ. უკან ორ ფეხზე ისხდნენ. მიწაზე კულებდაბჭე-  
ნილნი, წინა მოკლე თათები გულზე დაეშუოთ, ელვის სის-  
წრაფით დარბოლენენ და დაძვრებოდნენ მაღალ ბალახში.  
ცოტა მოშორებით კიდევ ხუთი ცალი შევამჩნიეთ, რომლე-  
ბიც ალბათ ბალახობდნენ და ლროგამოშვებით ჩვენები იცქი-  
რებოდნენ.

— ხომ არ გინდათ ესროლოთ ავსტრალიელებს? — შე-  
მექითხა მასპინძელი. — მაშინ ამ ბუჩქებში დაიმალეთ და მე  
ვეცდები მოგირეკოთ ისინი. ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეთ,  
აქ ბლომადაა აგრეთვე სირაჭლემები „ემუ“. იმათაც შეგიძ-

ლიათ ესროლოთ, შემდეგ ჩვენს გამგეობაში გადაიხდით  
მოკლულთა საფასურს.

მე მაშინვე ბუჩქებს მივეფარე. მასპინძელი ჯერ ნელა  
წავიდა გვერდზე, შემდეგ კი შორიდან დაუარა თავი კენგუ-  
რუს ერთ ჭგუფს და ძალიან მოხერხებულად გამორეკა ჩემ-  
კენ გრძელკუდა მხტუნავები, რომლებიც მოხდენილად გაუ-  
რბოდნენ მას...

თოფში მსხვილი საფანტი ჩავდევი.

ჩემს ახლო გარბენილი ხუთი კენგურუდან მე ერთი დიდი  
მამალი წავაქციე და ბუჩქებიდან გამოსვლა დავაპირე, რომ  
შალტამიდან რაღაც ხმაურობა მომესმა და ჩემ წინ სამი სი-  
რაქლემა გამოვარდა. თოფის გამართვაც კი ვერ მოვასწარი,  
რომ ფრთებგაშლილი უცხო ფრინველები გაიქცნენ და ტყეს  
შეეფარნენ.

ბუჩქებიდან ხოხბები ზედიზედ ამოდიოდნენ, მოურიდებ-  
ლად დახტოდნენ კურდლები... მაგრამ მე მათ ყურადღებას  
აღარ ვაქცევდი, ისე ვიყავი გატაცებული უნახავი ნანადი-  
რევით.

ბედნიერი არიან ქართველი მონადირეები, რომლებსაც  
ნადირის ასეთი სიმდიდრე შეუქმნიათ! მათთვის საჭირო არ  
არის ცხრამთას იქით წასვლა, რომ ინადირონ კენგურუზე,  
გარეულ ინდაურზე, ლამაზ იტაგანზე და სხვა ეგზოტიკურ  
ნადირზე.

საქართველოს ბუნება საშუალებას იძლევა მოშენდეს აქ  
თითქმის მთელი დედამიწის ნადირი. სამონადირო მეურნეო-  
ბის კკვიანურმა მოვლამ საქართველოს სანადირო სანახები  
სხვადასხვა სახის ნადირით აავსო.

საკმარისია გიოხრა, ჩემო ძვირფასო, რომ კახეთსა და  
ბორჩალოში გამრავლდა ამერიკული მთახვი. ტყეები აივსო  
უსურიის ენოტით, ალაზანზე, ხრამზე, ალგეთზე და სხვა  
მდინარეებზე გამრავლდა ამერიკული წავანა. ბორჯომის  
ტყეებში ბევრია ციმბირის ციყვი, ყრუანჩელა, რიაბჩიკი,  
კავკასიური კეთილშობილი ორმის ჭოგები, კლდეებში დანა-  
ვარდობენ ჭიხვები და არჩევები, ხოლო დაბლობ ტყეებში  
— ირემლაღები.

დავილალე სანადირო თავგადასავლისა და განცდების წერით, მაგრამ მეტშეუნდა, რომ მთაში ჯიხვებს, არჩევული იტიგანებზე ნადირობას, რომელიც მე ეს-ეს არის გამოვცა-დე, ვერავთარი სხვა ნადირობა ვერ შეეღრება. ამ ნადირო-ბის შესახებ, როდესაც გნახავ, დაწერილებით გიამბობ. ახლა კი ორიოდე სიტყვას გეტყვი იმის შესახებ. თუ როგორ მიაღ-წიეს ქართველმა მონადირეებმა ამ აურაცხელ სანადირო სიმ-დიდრეს.

ყველა სანადირო სანახები იქ ცალკე მონადირეთ სახო-გადოებებს ეკუთვნის, რომლებიც დიდი მონდომებით აწარ-მოებენ თავიანთ სანადირო მეურნეობებს. ტყავში ძვრე-ბიან, რომ გამოირჩეოდნენ თავისი წარმატებებითა და სხვებს სჭობნიდნენ.

გარდაბნელ მონადირეებს, როგორც ამ წერილიდან ჩანს, რაღაც ზღაპრული სანადირო მეურნეობა აქვთ. აღწერილის გარდა მათ შეუძლიათ ინადირონ კაებზე მონასტრის ქედებ-ში და წყლის ფრინველებზე ჯანდარის ტბაზე. ნახშირგორა-ში, თბილისის თითქმის გარეუბანში, ისეთი მეურნეობაა მო-წყობილი, რომ უთვალავადა გამრავლებული გნოლი, კაკაბი, და კურდლელი, აუარებელია მელა. ქუთაისის რაიონში მშვე-ნივრად გავრცელდა ხალებიანი ირემი, აგამეთის ნაკრძალში გამრავლდა კოლხიდის ხოხობი. ქობულეთისა და ჩაქვის ჩაის მეურნეობები ხოხობით გაივსო, დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის წყალსატევებში ათეული ათასობითაა ძვირ-ფასი ნუტრია, მთის მდინარეების პირებზე ცხოვრობს ამე-რიკული წავანა, დაბლობის ბუჩქებში კი აქაც, სამურზაყა-ნოში, აუარებელი დურაჭია. განსაკუთრებით ბევრი სათქმე-ლი მაქვს აფხაზეთზე, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილ-ში... რამდენი ახალი განცდა მომელის კიდევ, რამდენი ახა-ლი სახის ნაღირსა და ფრინველს უნდა ვესროლო საქართვე-ლოს სხვადასხვა კუთხეში, არ ვიცი. ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფერ ამას სიზმარში ვხედავ, მაგრამ უფრო სწორია, რომ ეს რაღაც ზღაპრული სინამდვილეა“.

წერილის ბოლოში ზის თარილი: 1965 წლის 25 ნოემ-ბერი.

ჩვენ ნამდვილად არა გვჯერა, რომ ზუსტად ასეთი შეტანილი როდისმე დაიწერება, რომ ზუსტად განხორციელდება ავტორის თავხედური ოცნება, რომელმაც თავის თავს ნება მისცა ფანტაზიას გაჰყოლოდა. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ქართველი მონადირები ამ თარიღი-სათვის შესძლებენ მოაწყონ ჩვენს სამშობლოში ყველაზე უკეთესი სანადირო მეურნეობები, მრავალი სახის და დიდი რაოდენობის ნადირ-ფრინვლით თუ... თუ საბოლოოდ აღმოფხვრიან ბრაჟონიერობას, მინიმუმამდე გაანადგურებენ მგლებს, ტურებსა და გარეულ კატებს. თუ თვითეული მათგანი ზუსტად დაიცავს ნადირობის დადგენილ ვადებსა და წესებს, თუ გაამრავლებენ მიწერილ სანადირო მეურნეობების რიცხვს და თვალისხინივით მოუვლიან და განავითარებენ მათ მთელ საქართველოში...



## სათაფლია

ქუთაისელებს სრულიად აღა-  
 რა აქვთ სანადირო აღგილი.  
 ჩემს დროსაც კი ლამაზი და  
 მოხერხებული მდებარეობის  
 ტყეები და სანახები უსიცო-  
 ცხლო იყო, ნადირი აღარსად ჩან-  
 და, იგი დიდი ხანია განაღვუ-  
 რებული იყო აღგილობრივი  
 მონადირებისაგან.

მხოლოდ გაზაფხულზე და  
 უმთავრესად შემოლგომაზე ახ-  
 ლო მდებარე ტყეებში მრავლად გამოჩნდება ხოლმე ტყის  
 ქათამი.

ამ საუცხოო გრძელნისკარტა ფრინვლის საძებნელად ხში-  
 რად გავდიოდი ხოლმე ქუთაისში ცხოვრების დროს, გარს  
 უვალიდი ქალაქის გარშემო მდებარე ტყეებსა და ბუჩქნარებს.  
 ერთ-ერთი ასეთი ხეტიალისას შემთხვევით შევხვდი სათაფ-  
 ლიას ნაკრძალის დირექტორს პ. ჭაბუკიანს და მისი წყალო-  
 ბით გავეცანი ამ აღგილების უძვირფასეს ბუნებრივ განძს,  
 რომელსაც სათაფლიას მთა ინახავს.

ბაგრატის ტაძრის ნაგრევებიდან ორი საათის სავალზე,  
 დაახლოებით ხუთი კილომეტრის მანძილზე ქალაქიდან, ძევს  
 ეს საინტერესო მთა.

სამწუხაროა, რომ საქართველოში ბევრი არ იცნობს მშობ-  
 ლიური ბუნების ამ განსაცვიფრებელი ძეგლის გეოლოგიურ-  
 პალეონთოლოგიურ სიმდიდრეს, ჩემს დროში იგი არასაკმა-  
 რისად იყო გამოკვლეული და შესწავლილი. ეს განძეული კი  
 სულ ახლოა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ და კულტუ-

რულ ცენტრთან — ქუთაისთან, საკავშირო მნიშვნელობის კულტურული ძეგლი არის წარმოადგენს ტურიზმისა და მეცნიერული გამოქვეყნისათვის და, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სათაფლის მთა ეგრეთ წოდებულ ურგონული კირქვებისაგან შედგება და შიგ ერთი დიდი და ორი პატარა კარსტული გამოქვაბულია.

მთას სახელიად სათაფლია ეწოდა იმიტომ, რომ მის სამხრეთ კირქვის კარნიზებში ბევრი გარეული ფუტკარი ბუდობდა, რომელთა ნაწილი ახლაც არის იქ შემორჩენილი. აქ თაფლს იღებდნენ და აქედანვე წარმოსდგა მთის სახელიც — სათაფლია.

მთის სხვა ფერდობებზე ახალგაზრდა ფოთლოვანი ტყეა ამოსული, სადაც უმთავრესად წაბლი ხარობს. აქ არის სხვა საინტერესო ჯიშებიც, მათ შორის ბზა და ურთხმელი.

მთავარ გამოქვაბულში შესასვლელი მთის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს. ფერდობი თავდება მოზრდილი მწვანე მინდვრით, რომელსაც გარს შემორტყმია ლამაზი გორაკები (ვფიქრობ, ეს აქ ოდესლაც ამოხეთქილი ვულკანის ყელი უნდა იყოს).

გამოქვაბულში შესავალი შავად გამოიყურება, იგი კლი-ტედადებული დიდი რკინის კარით არის დაცული. მხოლოდ ინიციატორის შემთხვევითი შეხვედრის წყალობით შევძელი დამეთვალიერებინა იგი.

ორი ჩირალდნებით შეიარაღებული დარაჯის თანხლებით გამოქვაბულში შევედით. ჩირალდნები მკრთალად გვინათებენ გზას. ვიწრო ორმეტრიანი შესასვლელიდან სველი ხის კიბით სამი მეტრით ძირს ჩავდივართ.

გამოქვაბული აქ შესამჩნევად ფართოვდება, საშუალო ნაწილის ჭერი კი თითქმის ოცი მეტრით ზემოთ იწევს. ჩვენ სველ ტერასებს მივყებით პატარა მდინარის ხან მარცხენა სა ხან მარჯვენა ნაპირზე, რომელიც გამოქვაბულის შეაგულში მიჩურჩებს და შემდეგ მის მარცხენა განშტოებაში იკარგება.

ვჩერდები. მხედველობას ძალას ვატან. განცვიფრებული ვარ უჩევეულო სურათით, სანახაობის სილამაზითა და ნალობით.

ჭერში ჩამოკიდებულია ზოგან გრძელი და ზოგან მოკლე კირქვის ლოლუები — სტალაქტიტები. დასაბამიდან ჩამოწვეთავს მათზე კირქვანატარი სქელი მოთეთრო წყლის წვეთები, ნელა, საუკუნეების მანძილზე შეუმჩნევლად მატულობენ და სქელდებიან სტალაქტიტები.

ზოგიერთი ლოლუების ბოლო მოტეხილია, მიზეზი თოვის ან რევოლუცირის ტყვია, რომელიც შეუგნებელ აღამიანს უსროლია. უძირფასები მსხვილი სტალაქტიტები, რომელთა შექმნას ბუნებამ მილიონი წლები მოანდომა, დამახინჯებულია ერთ წამში ვიღაც უღირსი აღამიანისაგან! სწორედ ასეთი ვაი მნახველებისაგან იცავენ რეინის კარები ამ უძირფასებს ძეგლს.

თხუთმეტი მეტრის იქით კიდევ უფრო დიდ ბუნებრივ დარბაზში მიეღივართ. მის ჭერში უფრო ლამაზი და მსხვილი სტალაქტიტები ჰკიდია, მათ შორის სხვადასხვა ფორმის პატარა ნამატები ჩაპეკრიან ერთმანეთს. ქვევიდან, მიწიდან კი სტალაქტიტებისაკენ მიიშევენ წვერწაწვეტილი სტალაგმიტები, უერთდებიან მათ და რაღაც ზღაპრულ სკეტებს, ქონგურებს, ფანტასტიკურ ქანდაკებებს ქმნიან. გამოქვაბულის კედლების გასწვრივ თითქოს ერთბაშად გაქვავებულან კალციტის ნაკადები და ჩანჩქერები. ისინი არ მოძრაობენ, მაგრამ უძრავნი ცოცხლობენ.

მთელ თავის სიგრძეზე გამოქვაბული წარმოადგენს ულამაზესი ჩუქურთმებით მორთულ დარბაზებს და ნათლად გვიჩვენებს ბუნების უდიდეს ხელოვნებას, რომლის წინაშე დიდხანს ჩერდება განცვიფრებული მნახველი...

გამოქვაბულის დათვალიერების შემდეგ სათაფლიას მთის დასავლეთ კალთაზე გამოვედით, რომელიც სოფელ გუმბრასაკენ ეშვება. აქ მე ბუნების მეორე ძვირფასი განი ვნახე, — ეს არის იშვიათი, განსაცვიფრებელი, საქართველოში პირველად აღმოჩენილი ცარცის პერიოდის გადაშენებულ ქვეწარ-

მავალთა — უზარმაშარი ჯოჯოების ერთ-ერთი ოჯახის ნოზავრების წარმომადგენელთა ნაკვალევი.



მრავალი მილიონი წლის წინათ ჩეენ დრომდე, მაშინდელ ცხელ ტროპიკულ ჰავაში, პალმებსა და შესაფერ მცენარეულობათა შორის, ახლანდელ ქუთაისის რაიონში ცხოვრობდნენ სხვადასხვა სიდიდისა და ცხოვრების სხვადასხვა პირობებს შეგუებული, შემდეგში გადაშენებული ჯოჯოები, დინოზავრების მრავალრიცხოვანი ოჯახიდან. მათ შორის იყვნენ პატარა ტანის მტაცებლებიც და უზარმაშარი, ათმეტრიანი სიმაღლის ბალახის მძოველი იგუანოდონებიც, რომლებიც მოუქნელი უკანა ფეხებით დახტოდნენ იმ ადგილებში. სადაც ახლა მე დავაბორტებდი ჩემი სანადირო წალებით.

მღელვარებამ მოიცვა მთელი ჩემი არსება, როდესაც მრავალი ათეული მილიონიანი წლების სიძველეს დაცუქეროდი, თითქოს შიშის გრძნობა გიპყრობს, როდესაც იმაზე ფიქრობ, თუ როგორი იყო პირველყოფილი დედამიწისა და მისი პირველი ცოცხალი არსებების ცხოვრება.

აქ პირველყოფილ ცხოველთა ნაკვალევი აღმოჩენილია 1933 წლის იანვარში, შემთხვევით გადარეცხილი კირქვის ნიაღავზე პ. ჭაბუკიანის მიერ.

პროფესორ ა. ჯანელიძის სკოლის მეცნიერმა მუშაქებმა ნ. კანდელაქმა და გ. ძოწენიძემ დაასკვნეს: „კვალთა საერთო მოყვანილობა და მისი განლაგება გვაფიქრებინებს, რომ ისინი იანგუანოდონებს ეკუთვნიანო“.

მეცნიერთა აზრი მხოლოდ ცხოველის სახეობას ეხება და საეჭვოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ეს არის ცარცის პერიოდის რომელიმაც ჯოჯოებულის მიერ დატოვებული ნატერტალი. შემდგომი გამოკვლევები აღმათ უფრო ნათლად განსაზღვრავენ ჯოჯოთა იმ ჯიშს, რომლებმაც აქ, სათაფლიას დასავლეთ ფერდობზე, საუკუნეებს დაუტოვეს თავიანთი საზარბაზო ბარათი.

პირველად დინოზავრთა ნაკვალევი აღმოჩენილი იყო ნალექი კირქვის ერთ პატარა ნაკვეთზე, რომლის სიფართე უცდახუთ კვადრატულ მეტრს უდრის. მეორე მცირე ნაკვეთი



ნაკვალევით აღმოჩენილია უფრო გვიან\*. ნაკვალებით მოადგენს აშკარა ჩაღრმავებებს, დამჩნეულს, შესაძლებელია, გოჭოების კუდის ბოლოთი, ან გრძელი დეზით, რომელიც ზოგიერთ სახეობას მეოთხე თითზე ჰქონდა.

„სულ, როგორც ჭაბუკიანმა დამარწმუნა, ორივე ნაკვეთზე სხვადასხვა ზომის სამოცამდე ნაკვალევია აღმოჩენილი“. არის ნაკვალევი, რომელსაც თვრამეტი სანტიმეტრი სიგრძე და თხუთმეტი სიგანე აქვს, არის აგრეთვე ნაკვალევი, რომელსაც ოცდათორმეტი სიგანე აქვს. ცხოველის ნაბიჯის სიგრძე სამოცდათ სანტიმეტრს უდრის, ზოგან კი 110 სანტიმეტრს აღწევს.

საფიქრებელია, რომ აქ გიგანტური გოჭოების, იანგუანოდონების მთელ ოჯახს გაუვლია. სადაც იყვნენ დიდებიცა და პატარებიც.

უფრო დაწვრილებით ეს ნაკვალევი შესწავლილია ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. გაბუნიას მიერ. მას გაუგრძელებია მოედნის გაწმენდა სილისაგან და ნაკვალევის ორი შრე აღმოჩენია: ქვედა შრეზე აღმოჩენილია კარგად დატყობილი მრავალი მცირე ნაკვალევი. ხოლო ზედა შრეზე ცამეტი მსხვილი ნაკვალევი.

მკვლევარის აზრით, ქვედა შრეზე აღმოჩენილი ნაკვალევი ოთხფეხა დინოზაგრისაა, რომელსაც ძლიერ დამკულებული წინა თაოები ჰქონდა, იგი უმეტეს შემთხვევაში სამი თითის, ხოლო იშვიათად ოთხი თითის კვალს ატარებს. ნაკვალევი 25 ცალ თითზე მოსიარულე მცირე მტაცებელ დინოზაგრს ეკუთვნის. ხოლო ზემო შრის ნაკვალევი პირველისაგან განსხვავდება ფართო მრგვალი მოხაზულობით, რომელიც არ არის კარგად შენახული. მკვლევარი ფიქრობს, რომ ისინი ეკუთვნიან ნახევრად თითებზე მოსიარულე ბალანისმძოველ დინოზაგრებს — იაგუანოდონებს.

ნაკვალევთა მოხაზულობა გვაფიქრებინებს, რომ მხეცებმა

\* მსგავსი ნაკვალევი კიდევ უფრო გვიან იმავე პ. ჭაბუკიანის მიერ აღმოჩენილია თვით ქალაქ ქუთაისის ფარგლებში მც. რიონის კალაპოტის კირქვიან სიპეზზე. (ვ. ბ.).



იგი წყლით დაფარულ ნიადაგში დატოვეს. ეს აზრი მით უფრო მიმდინარება საფუძვლიანია, რამდენადაც ყველაფერი ადასტურებს იმ გა-  
რემობას, რომ სათაფლიას მთის ღინოზავრები ცხოვრობ-  
დნენ სწორედ მაშინდელი მცირეწყლოვანი ზღვის ნაპირებზე,  
რომელიც ამ რაიონს ფარავდა. მათი ნაკვალევი კი სწორედ  
ზღვის ნალექებზე არის დატოვებული.

მეცნიერება ჯერ ნაკლებად იცნობს იმ გარემოს, რომელ-  
შიც ეს უხსოვარი დროის ცხოველები ცხოვრობდნენ. გაურ-  
კვეველია აგრეთვე ღინოზავრების ყველა სახეობა ერთსა და  
იმავე დროს ცხოვრობდა, თუ სხვადასხვა დროს, ან როგორი  
დამოკიდებულება იყო მათ შორის.

თუმცა ეს არ გვართმევს ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს,  
უფლებას, კიოცნებოთ და წარმოვიდგინოთ პირველყოფილ  
ცოცხალ არსებათა ცხოვრების სურათი ახლანდელ ქუთაისის  
რაიონში, წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დატოვეს აქ სამან-  
სოვროდ თავიანთი ნატერფალი ღინოზავრებმა.

... ამშვანებული, გარეული ფუტკარის საყვარელი ადგი-  
ლის, აყვავებული სათაფლის მთის ნაცვლად აქ დიდი ვულ-  
კანი მოქმედებს, გადმოდის გავარვარებული წიაღვარი; ცად  
იტყორცნება ქვები, ჰაერი გაედენთილია გამღნარი ქვიშითა  
და ფერფლით, დუღს და ქაფდება ცხელი ზღვა. მეზობელი  
ტყეებიდან გამორბის ღინოზავრების მთელი ოჯახი, რომ თავს  
უშველოს, გადაურჩეს ვულკანის ყელიდან ამოხეთქილ წიაღ-  
ვარს...

აქ მომხდარი ამბების უფრო ზუსტი და ნამდვილი სურა-  
თის დახატვა და ამ ნაკვალევის წარმოშობის ახსნა მხოლოდ  
ჩვენს მეცნიერებს შეუძლიათ. მაგრამ პირველად ყოვლისა  
მათ უნდა მიიღონ ზომები, რომ სამუდამოდ ხელუხლებლად  
შეინახონ ეს იშვიათი განძი, უფრო მეტად გაშმინდონ სილი-  
საგან ახლო მდებარე კირქვების მოედანი, სადაც ეჭვს გარეშეა  
კიდევ იქნება ჯერ აღმოუჩენელი კვალი, არსებული კი უნდა  
დაცულ იქნას ნიაღვრებისა და ბუნების სხვა მოვლენები-  
საგან.

სათაფლიას მთიდან რიონის დაბლობის საუცხოო სურათი  
იშლება: აქედან სჩანს გუმბრი, კურორტი წყალტუბო, ხვა-  
22. ე. მარკოვი.

მლის მთა, მრისხანე ნაქერალი, მათ მიღმა კი თოვლიანი დი-  
დი კავკასიონი, სვანეთის თოვლიანი მთები, მრისხანე უშამა-  
სასტიკი თეთნულდი და სხვა მყინვარები...

მხოლოდ პირადად ნახვის შემდეგ შეიძლება შეაფასო ის  
დიდი მნიშვნელობა და განძი, რომელსაც სათაფლიას მთა  
წარმოადგენს. საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტ-  
რის, ქუთაისის გვერდით მოთავსებული ბუნების ეს დაუფა-  
სებელი ძეგლი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. იგი  
უნდა გახდეს ჩვენი მეცნიერების გამოკვლევის საგნად და  
გადაიქცეს ჩვენი ტურისტების ერთ-ერთ საინტერესო სამო-  
გზაურო აღგალად.

დაუვიწყარია სათაფლიის მთაზე მიღებული შთაბეჭდი-  
ლება!



## ფარშავანგი

ეს იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე.

ერთ დღეს ქუთაისში ნადირობიდან ვბრუნდებოდი.

ჩემი მეტლე სოფელ ტყაჩირში შეჩერდა, ცხენებისათვის რომ საკვები მიეცა და თვითონაც შენაყრებულიყო. ეტლი ერთი ნაცნობი კაცის ეზოში დააყენა, ტოტებგადაშლილი ცაცხვის ჩრდილში.

ცხენები ისვენებდნენ, თან ხარბად ახრამუნებდნენ თოფტებში ჩაყრილ სიმინდს. მეც ვისარგებლე ამ შემთხვევით, საგზაო საუზმე იმოვილე და იქვე ეტლში შევუდექი ჭამას.

ჩავიდევი ლუქმა პირში თუ არა, უცნაური ხმაური მომესმა; ბუჩქებით მოვებული ეწერის, თუ უპატრონოდ მიტოვებული ბალის მხრიდან ჯარად გამოჩნდნენ მოზრდილი, მაგრამ თავწვრილი და გრძელეუდიანი ფარშავანგები.

გამიკვირდა, ისე ლამაზად მოიჩრდეოდნენ, თან ყველაფერს ჰქექავდნენ გზადაგზა, ყველგან იხედებოდნენ, იქნებრამ საკენკი ვიპოვოთო. ასე მიდიოდნენ ეზოსკენ.

წინ ბაჯბაჯითა და რხევით გამორბოდა შვიდიოდე ულამაზესი მამალი ფარშავანგი, რომლებსაც ფრთხი და გრძელი კუდები ლამაზად დაეწყოთ, წვრილ კისერს კი წარმტაცი ფერის ბუმბული უმშვენებდათ. კისერი კოპტიად მოელერებინათ და ასე მოიჩქაროდნენ ძველისძველი ორსართულიანი სახლისაკენ.

მეორე სართულის აივანზე გამოჩნდა შავებში გამოწყო-



ბილი მოხუცი ქალი, რომელიც ნელა დადიოდა მოაგვიზოდა  
გასწვრივ, თან მაღლიდან ნელ-ნელა ყრიდა სიმინდა.

მამალ ფარშავანგებს კვალდაკვალ მოპყვებოდნენ დედ-  
ლები და სხვადასხვა ასაკის ჭუკები. ისინი ეზოში შემოვი-  
დნენ თუ არა, აქეთ-იქით გაიფანტნენ, სახლისაკენ გაიქცნენ  
და შეუდგნენ დედაბრის მიერ გადმოყრილი ოქროსფერი  
მარცვლების კენკვას. მამლებმა კი ფრთები განივრად გაშა-  
ლეს; სწრაფად ავიდნენ აივანზე, დედაბერთან და მისი ხე-  
ლიდან მიიღეს თავიანთი ულუფა.

მერე მობრუნდნენ, დარბაისლურად ჩამოსხდნენ მოაგირ-  
ზე, ერთმანეთის გვერდით, ხარის თვალისოდენა წინწკლე-  
ბით დამშვენებული გრძელი კუდები ეზოსაკენ გამოპყიდეს  
და ნისკარტებით დაუწყეს დალაგება აქა-იქ აბურძგვნილ ლა-  
მაზ ბუმბულს.

მოხუცი შავ მოჩვენებასავით დადიოდა მათ შორის და  
ხან ერთს, ხან მეორეს თავზე უსვამდა გამხდარ ხელს.

რამდენიმე ფარშევანგი აფრინდა და ცაცხის ტოტებზე  
ჩამოჭდა; დანარჩენები ეზოში გამოედევნენ ერთმანეთს, რა-  
ღაც არასასიამოვნო, მკვანე კაკანით.

თვალდაშვეტილი შევცემეროდი ამ უცხო სანახაობას და  
ვტექბებოდი.

„სადა ვარ? საქართველოში, თუ სადმე სხვაგან, ზღაპ-  
რული ფრინველების ქვეყანაში, ინდოეთში? საიდან მოვიდა  
აქ ამდენი ფარშავანგი?“ — გაოცებით ვფიქრობდი გუნებაში.

მზე ჰორიზონტს უახლოვდებოდა. მისი უკანასკნელი სხი-  
ვები ოქროსფრად ავარაყებდა მოაგირზე ჩამომჭდარი ფრინ-  
ველების ისედაც ზღაპრული ფერადებით მოქარგულ ტანსა-  
ბურველს. ფანტასტიკურად მეჩვენა ის საოცრად ჩამომხმარი,  
შავებში გამოწყობილი დედაბერი.

მართლაც, რაღაც ზღაპრული მოლანდება იყო ეს!

„ჰო, დიახ! ზღაპარია ნამდვილად!“ — კვლავ გამიელვა  
თავში.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა არა მარტო იმ  
ოჯახში, არამედ მთელ სოფელში ასეთი სურათი ვნახე.

ფარშავანგები იყვნენ ყველგან, ეზოებში, თემშარაზე, წერ-  
ერსა თუ ბალჩა-ბალებში!



ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს სოფელ ტყაჩი-  
რის მთელი მოსახლეობა მხოლოდ ფარშავანგების მოშენებას  
მისდევდა, თითქოს სხვა საქმისა არა იცოდნენ რა.


იმ სოფელში სრულიად უცხო კაცი ვიყავი, პირველად  
მხოლოდ იმ დღეს ჩავედი, ისიც შემთხვევით და, ცოტა არ  
უკის, მეუხერხულა კითხვა-გამოკითხვა, მაგრამ იმდენი ფარ-  
შავანგის ნახვამ იმერეთის ჩვეულებრივ სოფელში ისე გამა-  
კვირვა, რომ სულაც აღარ მერიდებოდა.

მცირე ხანში მოხუცებისა და ამ ადგილების ისტორიის  
მცოდნე პირთა ნაამბობით თვალშინ გადამეშალა გადასული  
დროის შესანიშნავი ფურცლები.

უწინარეს ყოვლისა გამოიჩინა, რომ სოფელ ტყაჩირში  
დასახლებული ყოფილან მხოლოდ თავადი აგიაშვილები,  
თუმცა არც მოსახლეობით, არც საქმიანობით და არც სიმ-  
დიდრით ისინი არაფრით არ გამოიჩინდნენ იმ უბრალო  
გლეხებისაგან, რომლებიც მათ გარშემო მდებარე სოფლებში  
ესახლნენ.

სოფელ ტყაჩირში ფარშავანგების გაჩენის შესახებ უხუ-  
ცესები ასეთ ამბავს ჰყვებოდნენ: ოდესლაც, თურმე, საქართ-  
ველო თავისი ჯარით ეხმარებოდა ირანის შაპს ინდოეთის  
წინააღმდეგ ომში. ქართველთა ჯარში მეომრად ყოფილა ვი-  
ლაც ტყაჩირელი თავადი აგიაშვილი... როცა ომი დამთავრე-  
ბულა, იგი სამშობლოში დაბრუნებულა, ინდოეთიდან თან  
ჩამოუყვანია ფარშავანგები და, როგორც ტახტის ერთგულ  
მამულიშვილს, ეს ძვირფასი საჩუქარი იმერეთის მეფე სო-  
ლომონისათვის მიურთმევია.

მეფე აღტაცებაში მოსულა ამ უცხო ძლვენით, მაგრამ რო-  
გორც გონიერსა და შორსმჭვრეტელ კაცს, უწინარეს ყოვ-  
ლისა, უკითხავს: შეიძლება თუ არა ამ ფრინველის ხორცის  
ჭამიო? როცა მეფისათვის მოუხსენებიათ, რომ მოზრდილი  
ფარშავანგის ხორცი მაგარი და უგემურია, ხოლო ნორჩისა  
კი — პირიქით, სასიამოვნო, რბილი და გემრიელი საჭმელია,  
ძლვენი მომტანისათვის დაუბრუნებია, თან უბრძანებია: მხო-

ლოდ ამის მოშენებისათვის მოეკიდა ხელი, რათა  წლიურად მეფის სუფრაზე მიეწოდებინა ნორჩი ფარშემოგვიან  
რბილი და გემრიელი ხორცი. იმავე დროს, მეფეს  აგიაშვილების მთელი მოდგმა იმ დღიდან გაუთავისუფლებია  
ყოველგვარი გადასახადისაგან და მათვის დაუკისრებია მხო-  
ლოდ ფარშავანგების მოშენება.

მას შემდეგ აგიაშვილების სამშობლო სოფელი ტყაჩირი,  
თურმე, მხოლოდ ფარშავანგების მოშენებას მისდევდა და,  
როგორც იმავე უხუცესებმა გადმომცეს, აგიაშვილები ამ  
ტრადიციას ბოლომდე მტკიცედ იცავდნენ...

ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რამდენად სწორია ყველა-  
ფერი ეს ისტორიულად, მაგრამ ვფიქრობ, ძირითადში მაინც  
არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, ვინაიდან ამ ფრინ-  
ველის ქართული სახელწოდება „ფარშავანგი“ ინდურად  
უდერს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ფარშავანგები ჩვენში  
მართლა ინდოეთიდან იყოს შემოყვანილი.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია ამოწყდნენ მცონარა თავა-  
დები და მეფეები...

დღეს ტყაჩირელებიც მზიური საქართველოს სხვა სოფ-  
ლების კოლმეურნეებთან ერთად ბეღნიერად ცხოვრობენ,  
არავის უხდიან ხარჯსა და ბეგარას, ჩაბმული არიან გმირუ-  
ლი შრომის ფერხულში და ჰქმნიან სოციალისტური საზო-  
გადოების დოკუმენტებს. მაგრამ, ის კი არ ვიცი, თავიანთი წი-  
ნაპრებივით ტყაჩირელები დღესაც მისდევენ თუ არა ფარშა-  
ვანგების მოშენებას!

## ლეგენდა ბოლიათზე



— დალახვროს ეშმაქმა, ისევ წეიმს. — ჩამესმა ძილში ივან ანდრეევიჩის გაბზარული ბოლ-მანარევი ხმა.

თავიდან ნაბადი გადავიძრე და ლოგინზე წამოვჭერი. კარის ღრიშეში ნისლიანი განთიადის ოდნავ შესამჩნევი სინათლე შემოდიოდა. ავდექი. გარეთ გამოვიხედე. მთებზე სქელი ღრუბლები ჩამოწოლილიყო, ლელეებ-

ში ანგარა მთის წყაროს ნაცვლად შოკოლადისფერი დურდო მოდიოდა. ხეობებიდან სქელი ნისლი მოგორავდა და, როგორც სუდარა, ისე ეფინებოდა არემარეს, ტყე აღარ ჩანდა, გადაუღებელი წვრილი წვიმა მოდიოდა.

თავს ზეცით ძალა არ არის, უნდა ითმინო!

მთაში ასეთი სიურპრიზები ხშირია და მონაღირის ბედიც ამინდზეა დამოკიდებული.

ნისლსა და წვიმაში ყველაზე უფრო მამაცი მთიელიც კი ვერ გაბედავს კლდეებში წასვლას. ასეთი წინდახედულება მით უფრო ჩვენთვის, გამოუცდელი ქალაქელი მონაღირებისათვის, არის სავალდებულო.

მოსაწყენად მიიზლაზნება დღე. ლაყბობაში ვატარებთ დროს. გაწმენდილ თოფებს ხელახლა ვწმენდო, — რა ვწნათ, სხვა საქმე არა გვაქვს. ხშირად გარეთ გამოვდივართ, მაგრამ ვერაფერს სანუგეშოს ვერ ვხედავთ: ისევ სქელი ღრუბლები, ისევ წვრილად წვიმს, ეტყობა, დიღხანს არ გამოიდარებს.

საღამოს ქოხში თითქმის მთელი იალაღი შეიკრიბა. ჩქარა და ჩუმად შეჭამეს მცირე ვაბშამი — ხელდახელ ამოზე-

ლილი ღომი და მაწონი. მჭიდროდ შემოუსხდნენ გარშემო ცეცხლს და ჩვენთან ერთად ჩამოსულ მუხავირს—მუხავირს—სთხოვეს დაპირების თანახმად ეამბნა მათთვის პფესაჟებს საყვარელი ლეგენდა გოლიათ აბრსკილის შესახებ.

მუხტარი ნაქები იყო ძველი ლეგენდებისა და ხალხური გადმოცემების თხრობაში.

ლეგენდა გოლიათი აბრსკილის შესახებ გავრცელებული იყო ჩემს დროს მთელ აფხაზეთში. იგი არა ერთხელ მსმენია მეც სხვიდასხვა ვარიანტით.

სინამდვილეში ეს არის აფხაზური გადმოცემა ცნობილი მითისა პრომეთეოსის შესახებ, იგი უფრო უახლოვდება მითის ვარიანტს ქართველთა ამირანზე. ლეგენდა აფხაზეთის ცხოვრების პირობებთან არის შეგუებული, მხოლოდ მას აკლია გმირის დახასიათებისათვის საჭირო გამართულობა და იდეოლოგიური სრულყოფა. გმირს უფრო მეტი უარყოფითი თვისებები ახასიათებს, ვიდრე დადებითი, იგი არ წარმოადგენს ადამიანთა კეთილდღეობისათვის მებრძოლის მამაც სახეს, ისეთს როგორიც არის ბერძნების მიერ კავკასიიდან აღებული, თავისებურად გაგებული და იდეალიზირებული მითი პრომეთეოსის შესახებ.

პრომეთეოსი გმირია, რომელიც ღმერთებს პირადი ინტერესებისათვის კი არ ებრძვის, არმედ კაცობრიბის ბედნიერებისათვის სტაცებს მათ ზეციურ ცეცხლს—ძლიერების, სიცოცხლისა და უკვდავების, სიმართლისა და სრულყოფის ემბლემას, უდიდეს ძალას ბუნებასთან საბრძოლველად.

სრულიად სხვაგვარად ჰყავთ წარმოდგენილი აფხაზებს აბრსკილი: იგი არ იტაცებს ციდან ხალხისათვის საჭირო ცეცხლს, მაგრამ როგორც პრომეთეოსი, ისიც ებრძვის ზეცას ადამიანების ჩაგვრისაგან გასათავისუფლებლად, უმთავრესად კი სახელგანთქმულია როგორც აფხაზეთის დამცველი უცხოელ დამპყრობთაგან. ამ დამსახურებათა გამო აფხაზები მიუტევებენ შას ყველა იმ უარყოფით საქციელს და ებრალებათ კიდევაც იმ მკაცრი სასჯელისათვის, რომელიც პრომეთეოსის სასჯელს წააგავს.

ლეგენდის მიხედვით აბრსკილი დაჭილდოებულია შესა-



ნიშნავი თვისებებით, ჭკუით, სილამაზითა და ძალით, რგორმოდგენილია როგორც სამშობლოს მამაცი და თავდადურანისა ბული დამცელი, მაგრამ ამავე დროს მრავალი უდანაშაულო აღამიანისა და სასაჩვებლო ვაზის მომსპობი.

იგი თავგამოდებით ებრძევის ზეციურ თვითმპყრობელობას, მაგრამ ამას უმთავრესად თავისი პირადი სიამაყის გამოსხიადის, ვინაიდან ზეცასაც კი არ უნდა დაემორჩილოს. თითქმის ღვთიურ ძლიერებას მიღწეული, იგი უსამართლო, სისხლისმუშაველ დესპოტად იქცევა და ბოროტად უცქერის აღამიანებს.


მიუხედავად აბრსკილის ასეთი სიმკაცრისა და დანაშაულებრივი საქციელისა, აფხაზები ამ ავყიასა და უხიას სიყვარულით ეპყრობიან, ალბათ იმიტომ, რომ მისი წყალობით მათმა სამშობლომ მიაღწია დიდ ძლიერებას. განსაკუთრებული ყურადღებით უსმენენ ისინი ამბავს მისი არაჩვეულებრივი თავგადასავლის და იმ ზღაპრული ცხოვრების შესახებ, რომელიც ცნობილ ჩილოვის გამოქვაბულში დღემდე გრძელდება.

ლეგენდა აბრსკილის შესახებ, როგორც აღამიანის პირები ურჩიბის შესახებ ღვთაებასთან, სპეციალისტების ყურადღების ღირსია, რომელიც შედარებით საინტერესო მასალას იძლევა პრომეთეონის შესახებ ახსებულ ლეგენდათა ციკლში. მე მხოლოდ მინდა ჩემს მკითხველს იგი გავაცნო ისე, როგორც ეს არა ერთხელ მომისმენია აფხაზეთში.

\*

მუხტარმა ცეცხლიდან ხელით გამოიღო ნაკვერჩხალი, დატენილ მოქლეტარიან ჩიბუხზე დადვა, თითი დააჭირა, გააბოლა და საზეიმო ტონით, დაბალი ხმით, როგორც გამოცდილმა მთხრობელმა, დაიწყო აბრსკილის ამბავი.

დიდი ხნის წინათ აფხაზეთში ცხოვრობდა სახელოვანი გვარის ულამაზესი ასული, რომელმაც ფიცი დადო, რომ სამუდამოდ ქალწულად დარჩებოდა. ამიტომ ყველა სასიძოს უარს ეუბნებოდა. მიუხედავად ამისა, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ამაყი ქალიშვილი ორსულად არის, მალე



დედა იქნება. და მაინც მისი მშობლები და ყველა ახლობელი  
დარწმუნებული იყო მის სიქალწულეში და სჯეროდათ აუკირავდებოდა  
ბავშვი რომელიღაც ლვთაებას ეკუთვნის და არა ვინმე ჩვეუ-  
ლებრივ მომაკვდავსო.

ახალშობალი აბრსკილი მართლაც რომ ადასტურებდა ამ  
აზრს და პირველი დღეებიდანვე ყველას ანცვითრებდა თა-  
ვისი ჭიუით, სილამაზით, უნარით და ათი წლისა ოცი წლის  
ჭიაბუქს ემსგავსებოდა. ვერავინ ვერ შეედრებოდა მას ვაჟ-  
კაცობასა და სიმკვირცხლეში, ტანით ხომ ნამდვილი გოლია-  
თი იყო.

აფხაზეთს მუდამ თავს ესხმოდნენ მეზობლები, რომელთა  
შინააღმდეგ ძლევამოსილად იბრძოდა აბრსკილი, იცავდა  
სამშობლოს და შურს იძიებდა მტერზე.

მისი წყალობით მაშინ ჩვენი აფხაზეთი ძლიერ ქვეყნად  
გადაიქცა.

ღმერთი ყველაფერში ხელს უწყობდა მას, აფხაზებს იგი  
უყვარდათ, როგორც თავისი დამცველი და საუკეთესო ვაჟ-  
კაცი. მტრებს კი ეშინოდათ მისი და სძულდათ.

ძნელი იყო აბრსკილისათვის თავმდაბლობის შენარჩუ-  
ნება, როდესაც მას ბედი ასე სწყალობდა. იგი გაამაყდა. თავი  
ლვთაების სწორად წარმოიდგინა, ადამიანებს ზევიდან დაუ-  
წყო ცქერა, ზიზღით უყურებდა მათ, ეჩხუბებოდა და შეუბ-  
რალებლად სდევნიდა.

უმიზეზოდ შესძულდა მას მწითური ცისფერთვალება  
ადამიანები და შეუბრალებლად ხოცავდა მათ არა მარტო  
სხვა ხალხებში, არამედ აფხაზთა შორისაც კი. მეტად უბრა-  
ლო რამისათვის წაეჩხუბა იგი ახუბასა და კაცუბას გვართა  
შთამომავლობას, დაუწყო დევნა აფხაზების ამ პატივცემულ  
გვარების წევრებს და მტრობის ნიადაგზე ბევრი უდანაშაუ-  
ლო ადამიანი ამოწყვიტა.

მისი სიამაყე სისულელემდე მივიდა: ერთხელ მას გზაზე  
ვაზი გადაეღობა, თავი რომ ძირს დაეხარა, თავისუფლად  
შეეძლო ქვეშ გაევლო. მაგრამ მან ეს არ იყადრა, ეშინოდა,  
რომ ხალხს დაენახა, ასე იფიქრებდნენ: აბრსკილმა ვიღაცის  
წინაშე ამაყი თავი დახარაო.

მას შემდეგ როგორც გივი, ისე ჩეხდა და სპობდა ხელი სასარგებლო ვაზს.

მეორე მხრივ კი გვიმრასაც არ ინდობდა იგი, — სპობდა მიწის მუშა აფხაზთა ყანების ამ საშინელ მტერს.

— როგორ გავიგოთ აბრსკილის ასეთი ახირებული ხასიათი, სწორედ არ ვიცი, — თქვა მუხტარმა და ჩაფიქრდა. — თითქოს ჭკვიანი კაცი იყო იგი, კეთილ საქმეებს აეთებდა ხალხისათვის და ამასთანავე ასეთ სისასტიკესა და სისულელეს ჩადიოდა. შეიძლება მისი მამა კეთილი ღვთაება კი არ იყო, არამედ თვით ეშმაკი... მან ასწავლა ყოველივე ავი და ცუდი...

მუხტარმა ჩიბუხი გააბოლა და განაგრძო.

აბრსკილის მუდმივმა ველურმა საქციელმა ღვთის რისხვა გამოიწვია. ღმერთმა მოსთხოვა მას შეეწყვიტა უდანაშაულო ხალხის ხოცვა და სასარგებლო ვაზის ჩეხვა. სასჯელად ორმოცი მეტანის გაკეთება უბრძანა. მართალია, სასჯელი სასტიკი და ძნელად მოსახდელი არ იყო, მაგრამ ამაყი აბრსკილისათვის იგი შეუძლებული შეიქნა.

გათამამებული გმირი თავს ღვთის ტოლად თვლიდა და მის ბრძანებას არ დაემორჩილა. ღმერთმა კიდევ დიდხანს ითმინა მისი ცუდი საქციელი, იმედი ჰქონდა, რომ გმირი ჭკვაზე მოვიდოდა და მის განკარგულებას შეასრულებდა, მაგრამ აბრსკილი ქედს არ ხრიდა, ზეციერ განკარგულებებს არ სცნობდა და წინანდებურად თვითნებობდა.

მაშინ ღმერთი ძლიერ განრისხდა და ზეციერ ანგელოზთა რაზმს უბრძანა — დაჭირათ ურჩი გმირი და სასტიკად დაესაჯათ.

მაგრამ არც ისეთი ადვილი იყო ღვთის ბრძანების შესრულება მიამიტი ანგელოზებისათვის, რომლებსაც ეგონათ, რომ აბრსკილი უსიტყვოდ დაემორჩილება სასტიკ ბრძანებას. ჭიუტი ადამიანი, პირიქით, ემალებოდა ანგელოზებს და გაურბოდა მათ თავისი ერთგული ბედაურის — არაშის წყალობით.

ჯერ იგი ზღვისპირას, მდინარე გუდავას ახლო, გაუვალი ტყეებით დაფარულ ჭაობში, ჩასახლდა და იქ არხეინად

ცხოვრობდა, ირმებსა და შვლებზე ნაღირობდა, ქეიფისძე /  
და დროს ატარებდა მეგობრებთან.

საქართველო  
უკანასკნელი

უკანასკნელი

როდესაც ანგელოზებმა გაიგეს, სადაც იმალებოდა და  
ჭაობში თავს დაესხნენ, ერთგულმა ბედაურმა ერთი ნახტო-  
მით იგი ერცახუს მთის ქედზე იყვანა. ბოლოს ანგელოზებმა  
იქც მოაღწიეს, მაგრამ აბრსკილი არაშის მეოხებით ისევ  
გუდავას ტყეებში გადახტა. გაშიბილებული ღვთის დარაჯები  
კი ისევ ამაოდ დაედევნენ მას. დიდხანს გაუჩბოდა ანგელო-  
ზებს აბრსკილი: გუდავიდან ერცახუს მთაზე, იქიდან კი  
ისევ — გუდავაზე. საკოდავმა ანგელოზებმა ამ მიუკარებე-  
ლი აღამიანს დაჭერის ყოველგვარი იმედი დაკარგეს. ბო-  
ლოს კაცუბას გვარის ერთმა ჰყვიანმა მოხუცმა დედაკაცმა  
ისნნა ამ გაჭირვებისაგან ისინი. ამ დედაკაცს აბრსკილმა ორი  
ვაჟი მოუკლა და ახლა მას სისხლის აღება ეწადა.

მისი რჩევით ანგელოზები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი  
რაზმი გუდავაში მიუხტა დამნაშავეს, მეორემ კი მთაზე დაუ-  
წყო დარაჯობა. ანგელოზებმა მთის წვერზე კამეჩის გაქონი-  
ლი ტყავი დააგეს, და, როდესაც არაშმა ზღვის პირიდან  
ერცახუს მთის წვერზე ნახტომი გააკეთა, მას კამეჩის გაქო-  
ნილ ტყავზე ფეხი დაუცურდა და მხედართან ერთად წაიქცა.  
აბრსკილი მძიმედ დაშავდა.

ანგელოზები მისცვიდნენ, მაგრად შეკრეს გმირი და მისი  
ცხენი. დედაბრის რჩევით ჩილოვის გამოქვაბულის ბოლოში  
ჩაამწყედიეს, ორივენი რეინის გაჭვებით მიაბეს.

დღემდე იქ არის დამწყვდეული აბრსკილი თავისი არა-  
შით, მშიერი და დამწუხრებული, მაგრამ ძველებურად ისევ  
ამაყი, შეურიგებელი, ჭიუტი და ღვთის ურჩი. იგი არ ემორჩი-  
ლება მის ბრძანებას, რომლის შესრულება მას თავისუფლე-  
ბას მიანიჭებდა, სამშობლოში დაბრუნებისა და ბედნიერი  
ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

\*

მუხტარმა ამბავი დაამთავრა. ყველანი სდუმდნენ. მერმე  
მოხუც მუხაჯირს კითხვები დააყარეს.

— საიდან იცის ხალხმა, რომ აბრსკილი და არაში ისევ



ცოცხლები არიან? შეიძლება ისინი უკვე დიდი ხანია ჭრიალი ხოცნენ? — შეეკითხა ერთი მწყემსი.

— ნუთუ არავინ არ მისულა გამოქვაბულში აბრსკილის სანახავად? ალბათ ვინმე ნახავდა მას, თუ იგი მართლაც ცოცხალია, — დაუმატა მეორემ.

მუხტარმა წარბშეუხრელად უპასუხა მათ:

— ჩვენებურად იმ გამოქვაბულს, რომელშიც დამწყვდეული არიან აბრსკილი და არაში, „აჩ-კი-ტიზგო“ ეწოდება, ვინაიდან ნაკადულს, გამოქვაბულიდან რომ გამოდის, ყოველ გაზაფხულზე ცხენის ნაკელი გამოაქვს. აბა ვისი იქნება ეს ნაკელი, თუ არა არაშისა? სხვა ცხენები ხომ გამოქვაბულში არ არის! მაშამაღამე, არაში თუ ცოცხალია, აბრსკილიც ცოცხალი იქნება. — ავტორიტეტულად განაცხადა მუხტარმა. — ჩვენი აფხაზებიც იყვნენ აბრსკილთან, თუმცა იგი ვერ ნახეს, მაგრამ კედელს იქით ელაპარაკნენ მას და კარგად იციან, რომ იგი ცოცხალია... მე თვითონ გამოქვაბულში არ ვყოფილვარ, მაგრამ თავადი ხაბუგა ანჩხიასა და აძიუბეინელ ხვარწყიასაგან მაქვს გაგონილი ეს ამბავი. ისინი იქ იყვნენ და გვიამბეს გამოქვაბულის უცნაური სილამაზის შესახებ, გამოქვაბულისა, რომელიც სავსეა ზევიდან ჩამოკიდებული და ქვევიდან ამოსული ქვის ლოლუებით.

ახლა გამოქვაბულში შესვლა ძალიან ძნელია. წინათ კი, როგორც ამბობენ, იგი გაშვენდილი იყო და იქიდან შეიძლებოდა ქედის მეორე მხარეს, კააზკების ქვეყანაში გასვლა.

მე ბაბუაჩეშმა მიამბო, რომ როდესაც რუსებმა თურქების ჯარი დაამარცხეს, ამის შესახებ სოხუმში იმავ დღეს ამბავი მოიტანა მთხრობელმა, რომელმაც ჩილოვის გამოქვაბულში გამოირბინა, და ამით ძლიერ შეამოკლა გზაო.

მუხტარი ვაჩუმდა.

· მე ერთხელ ნახული მქონდა ჩილოვის გამოქვაბული, კარგად ვიცნობდი ლიტერატურას, რომელშიც ალწერილი იყო იგი და ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, განმემარტა მუხტარისა და მწყემსებისათვის მოქორილი ამბები დღემდე ცოცხალი აბრსკილის შესახებ.

ვშიშობდი, რომ მუხტარის ავტორიტეტი არ შემებლალა,



ამიტომ ჭერ მას ვთხოვე, ნება მოეცა, ცოტა ოამ და მოგვიაულესი ბინა მისი ნაამბობისათვის და მეთქვა მსემენელთათვის, ზუროვორ ხსნის მეცნიერება ჩილოვის გამოქვაბულის სასწაულებს, რომელშიაც თვითონ ვიყავი და ორავითარი აბრსკილი და ორაში მე იქ არ მინახავს.

გაძიკვირდა, როდესაც ჩემს წინადადებაზე ასე ადვილად და სიაპოვნებით დამეთანხმა მუხტარი.

— ძალიან გთხოვ, ევგენი, გვიამბე, — ოას ამბობენ ამის შესახებ ჰქვიანი, ნასწავლი ადამიანები. ჩეენ ხომ ბნელი ხალხი ვართ, გაუნათლებელნი, არაფერი არ ვიცით, გარდა იმისა, რაც ჩეენი ბებიებისა და ბაბუებისაგან გვსმენია... ძალიან გთხოვთ, გვიამბეთ!..

და მეც პატარა საუბარი მოვაწყვე მაღალ მთაზე წამოდგმულ აფხაზურ ფაცხაში, ალპური საძოვრების მწყემსებთან.

ძლიერ ვცდილობდი, ჩემი ნაამბობი უბრალო და გასაგები ყოფილიყო. მოვყევი მთების აღნაგობის კარსტული სისტემის შესახებ, რომელსაც გამოქვაბულის აღგილსამყოფელი — ჩილოვის მთაც ეკუთვნის. მიწის ძაბრების საშუალებით, რომელიც გამოქვაბულის თავზე მთის ნიადაგშია, წყალი გამოქვაბულში ჩადის და იქ ნაკადულს წარმოშობს, ხოლო იქიდან გარეთ გამოდის. გამოქვაბულის თავზე საუცხოო საბალახოებია, სადაც საქონლისა და ცხენების ჭოგები ბალახობენ. ცხენის ნაკელის მცირე ნაწილი ძაბრების საშუალებით წყალს გამოქვაბულში ჩააქვს და იქიდან კი ნაკადულს გარეთ გამოაქვს. აი ეს ნაკელი მიამიტ ადამიანებს არაშის ნაკელად მიაჩნიათ. აბა, საიდან იქნება ნაკელი, არაში ცოცხალიც რომ იყოს! — ის ხომ რამდენიმე საუკუნეა არაფერს ჰამს? და, რაც მთავარია, ვის გაუგონია, რომ კაცი და ცხენი ათასწლობით უჭმელ-უსმელად სძლებდნენ! „მაგრამ ხომ არის ხალხი, რომლებმაც გაიგონეს აბრსკილის ხმაო“ — იტყვით თქვენ. თვითეულ გამოქვაბულს ხომ აქვს თავისი გამძახილი — ეგრეთ წოდებული ეხო, იგი განსაკუთრებით ძლიერ და გარკვევით ისმის ჩილოვის გამოქვაბულში.



— „აბრსკილი მანდ არის?“ — შესძახებს ხოლმე მისუ-  
ლი ხალხი გამოქვაბულს, იქიდანაც უკანასკნელი სიტყვითათვა  
უპასუხებს ეხო — „არის!“.

— არაშიც იქ არის? — მიმართავენ ისინი გამოქვაბულს,  
რომელიც კვლავ გაიმეორებს — „არის!“.

აი საუბარი აბრსკილთან!

ასეთი საუბრის შემდეგ, მიამიტ იდამიანებს პგონიათ, რომ  
თვით აბრსკილს ესაუბრნენ და სხვასაც არწმუნებენ თავიან-  
თი ნაამბობის სისწორეში.

განა შეიძლება ასეთ ზღაპრებს დავუკეროთ ჩეენს  
დროში?!

მუხტარმა თავი გაიქნია უარყოფითად, მწყემსებმა კი  
მრავალმნიშვნელოვნად ერთმანეთს გადახედეს, ჩიბუხები  
გააბოლეს და ჩურჩული დაიწყეს, თან მუხტარს მისჩერებო-  
დნენ.

ამ საუბარში კარგი ხანი გასულიყო. მწყემსები წავიდ-  
წამოვიდნენ. მე ჩემს ნაბადზე წამოვწექი. მუხტარი მომიახ-  
ლოვდა და თითქმის ჩურჩულით, მითხრა:

— მე ახლა აღარავის აღარ ვუამბობ აბრსკილის შესა-  
ხებ... არავინ აღარ დამიჯერებს ამ ამბავს...

— რას იზამ, ჩემო მუხტარ, ძველი კვდება, ახალი იბა-  
დება. გზა მივცეთ მას!



## ნადირობა შევარდნითა და მიმინოთი

შევარდნით და მიმინოთი ნადირობა, უფრო სწორედ, გაწვრთნილი მტაცებელი ფრინველებით ნადირობა, ოდესლაც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, ისე როგორც წინათ პზიის ქვეყნებში.

საქართველოს მეფეები და წარჩინებული პირები გატაცებული იყვნენ ამ გართობით. როგორც ქართული, ისე რუსული წყაროები ადსტურებენ, რომ ამ ნიადაგზე მოსკოვის დიდ მთავრებსა და მეფეებს საკმაოდ დიდი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მეფეებსა და თავადებთან.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში საქართველომ დიდი განსაცდელი გადაიტანა. რუსეთთან შეერთებამ, სამეფო ტახტის მოშლამ და თავადაზნაურობის გაღატაკებამ დაპნინა და გადაგვარების გზაზე დაყენა აგრეთვე შევარდნით ნადირობაც.

მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს შერჩნენ შევარდნითა და მიმინოთი ნადირობის მოყვარულნი, რომლებიც ძალიან იშვიათად ნადირობდენ, ერიდებოდენ ხარჯებს, რომლებიც საჭირო იყო დამჭერ ფრინველთა შესაძნად და შესანახად, ცოტა ღროს ხარჯავდენ შევარდნით სანადიროდ, აღარ მისდევდენ საჭირო ჩვევების განვითარებას, ავიწყდებოდათ პრაქტიკა და ამ ნადირობის ტექნიკის წვრილმანები.



ჩემ დროს თბილისში მხოლოდ ერთ მონადირეს, მქონე იყოთთვა  
ვ. ნ. შარაშენიძეს ვცნობდი, რომელიც დროგამოშვებით იქნერ-  
და შევარდენსა და მიმინოს და წვრთნიდა მათ. მაგრამ ეწოუ-  
ზიასტი ექიმის ნადირობას არავითარი საერთო არ ჰქონდა  
ძელი დროის შევარდნით ნადირობასთან. ექიმი ქვეითად მი-  
დის სანადირო ადგილზე, მას ერთი პატარა ბიჭი ახლავს  
თანაშემწედ. ბაზიერი და მგეშავები არ ჰყავს, არც ნამდვილი  
თანაშემწედი. თვითონ კვებავს თავის შევარდნენს, უვლის  
მას, თვითონ „წვრთნის“ და დაშვავს ხელზე დამჯდარი.

როგორც იგი გადმოგვცემს, საქართველოში შევარდნით  
ნადირობა სამი სახისაა: როდესაც შევარდნი ჰაერში აიჭრე-  
ბა და იქიდან დაცემა თავს საკბილოს, როდესაც იგი ძლიერ  
მაღლა არ აღის და როდესაც ფრინველს უკან დაედევნება.

საქართველოში გარდა შევარდნისა სანადიროდ იყენებენ  
აგრეთვე მიმინოსა და ქორს. ამ მტაცებლებით ნადირობა  
უფრო დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აჭარასა  
და აფხაზეთშია გავრცელებული.

მიმინოთი და ქორით ნადირობა შემონახულია ამ მხარეზე  
იმიტომ, რომ იგი უფრო მარტივი და ადვილია, უფრო იაუი  
ჯდება და უფრო შემოსავლიანია, ვიდრე შევარდნით ნადი-  
რობა. რასაკვირველია, მტაცებელი ფრინველით მონადირე-  
თა რიცხვი მცველობად შემცირდა: ახლა ცოტალა დარჩა ისე-  
თი, რომელსაც შეეძლოს ძვირფასი დროს სანადიროდ გამო-  
ყენება.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ყერ კიდევ ბევრი ქალაქელი  
და სოფლელი მონადირეა ამ საინტერესო სპორტული ნადი-  
რობით გატაცებული.

ავტისტოს ბოლოდან, როდესაც დასავლეთ საქართველოში  
მწყერზე ნადირობის სეზონი დგება, მწყერი უკვე მასობრი-  
ვად იწყებს გადაფრენას, მას თან სდევს ფრთოსან მტაცე-  
ბელთა დიდი რაოდენობა.

ამ დროს ბევრ ადგილას, განსაკუთრებით კი გორაკების  
წევრზე, ნახავთ ეკალ-ბარდში მიმალულ მონადირეს, გრძელი  
ჯოხის ბოლოთი იგი გამუდმებით მაღლა ისვრის პატარა  
ჩიტს, მონადირის წინ კი ორ ჯოხზე გაშლილია ბადე: იგი



შიმინოს იჭერს. ჯოხზე დასმული ჩიტი ბეღურაა, უმარესი შემთხვევაში კი ლაქო, რომელსაც თვალის უპეები აკერილი აქვს და მოკლე თოკით ჯოხის ბოლოზეა მიბმული. დაბრმა-  
ვებული ფრინველი, როდესაც მონადირე ჯოხს აქანებს და  
ფრინველს მაღლა ისვრის, ცდილობს ჯოხზე ფეხი მოიკიდოს,  
იქით-აქეთ ფრთხიალობს და ამით იზიდავს ჰაერში მფრინავ  
ქორს. ლაქოს ასეთ ფრთხიალს ფეთქებას ეძახიან.

მიმინო, რომელიც ბადესა და ბუჩქში მიმალულ მონადი-  
რეს ვერ ხედავს, ჩიტს დაეცემა, ბადეს დაეჭახება, რომელიც  
ძირს დავარდება და მიმინოც შიგ გაიხლართება. ამგვარად,  
მტაცებელი მონადირის ხელში ვარდება.

მონადირე დაკვირვებით სინჯავს დაჭერილ ფრინველს,  
აფასებს მას და, თუ შესაფერად სცნობს, თვალებს აუხვევს,  
რომ მან ვერაფერი დაინახოს და შინ წასალებად დახურულ  
კალათაში მოათავსებს. თუ მონადირე ატყობს, რომ დაჭერი-  
ლი მიმინო ან ქორი სანადიროდ არ გამოდგება, მას იქვე  
კლავენ, როვორც შინაური ფრინველის მტაცებელს.

მიმინოსა და ქორის არჩევა ან თვით მონადირის პირადი  
გემოვნების, ან იმ ფრინველის მიხედვით ხდება, რომელზე-  
დაც ამ მტაცებლით პირებენ ნადირობას. ერთნი უფრო  
მუქი ფერის ფრინველებს ამჯობინებენ, ზოგს უფრო დიდები  
მოსწონთ, უმთავრესად კი დედლებს არჩევენ. ყველა პატარა  
დამჭერ სანადირო ფრინველს მარჯანს უწოდებენ, საშუალოს  
მიმინო ჰქვია, ხოლო დიდებს — ქორი. დაგილობრივი მონა-  
დირეები ფიქრობენ, რომ ესენი მტაცებელთა სხვადასხვა  
ჯიშებია. მე კი მგონია, რომ ისინი ჩვეულებრივი პატარა მი-  
მინოს სხვადასხვა სახეობაა. მხედველობაში მაქვს ის გარე-  
მოება, რომ ახალგაზრდა და დიდი დედალი, აგრეთვე, მამა-  
ლი მიმინოები მრავალფეროვანი და სხვადასხვა სიდიდისაა.  
გამონაკლისის სახით შესაძლებელია, რომ ქორთა ჯგუფში  
მოხვდეს დიდი მიმინოც.

დაჭერილი მიმინოები უმრავლეს შემთხვევაში ჩქარა ეჩვე-  
უიან ადამიანს და ახალ გარემოს, სწავლობენ ნადირობას,  
ხოლო სეზონის დამთავრების შემდეგ, პატრონი მას თავი-  
სუფლად უშვებს ან უფრო ხშირად კლავს, ვინაიდან, მონა-

დირეთა აზრით, მიმინო მიჩვეულ ეზოში შინაურ ჟურნალის  
ველზე დაიწყებს ნადირობას.

მხოლოდ ძალიან კარგად დაგეშილ მიმინოებს, ცოტად თუ ბევრად შეძლებული და თავისუფალი მონადირეები ინახავენ სახლში ნადირობის მომავალი სეზონისათვის. ასეთ გამოზამთრებულ მიმინოებს კაპუეტებს უწოდებენ. მათთვის ეზოში სპეციალურ ძარს მოსწნავენ, რომლის სიგრძე სამ-ოთხ მეტრს, ხოლო განი და სიმაღლე ორ მეტრს უდრის. ძარის ჭრი მორგვალებულია. ძარს მაღალ სვეტებზე შესდგამენ. ძარის ნახევარი დაცულია წვიმისა და მზისაგან, მეორე ნახევარი კი ქარაფადა მოწნული, რომელშიც თავისუფლად გადის წვიმაც და მზის სხივებიც. ორივე ნახევარში კეთდება ქანდარა, რომ მიმინოს სადაც მოესურვება, იქ იჯდეს. დასალევად და საბანაოდ ძარში წყლიან გობს უდგამენ.

დაჭრილ მიმინოს პირველი ორი დღის განმავლობაში ქანცავენ ყველა საშუალებებით, აწვალებენ, არაფერს აჭმევენ. დაჭრის დროს აბმულ თვალებს სახლში მოყვანისთანავე გაუხსნიან, რომ მიმინომ დაუყოვნებლივ ნახოს, როგორ გარე-მოში მოხდა.

ზოვიერთი მონაღირე ფეხებზე თასმაშებმულ მიმინოს სულ ხელზე დასმულს ატარებს, თვითონ მთელი ლამე არ სძინავს და არც მიმინოს აძლევს ძილისა და მოსვენებით ჯდომის საშუალებას.

სხვები კი, როგორც მე არა ერთხელ მინახავს, ოთახში გასჭიმავენ თოქს, რომელზედაც თასმებით მიაბამენ მიმინოს, დასვამენ მას თოკზე და მეორე, გაჭიმულ თოკზე მიბმული თოკით მუდამ არხევენ თოქს. თოქის ქანდარა დღე და ლამე ქანაობს, მიმინო ცდილობს შეჩრჩს მასზე... საბოლოოდ ქანც-გამოლეულ და მშეირ ფრინველს ორი დღის შემდეგ ჩამოხ-სნიან, აიყვანენ ხელში, ნელ-ნელა, ცოტა ხორცს აძლევენ, თა-ნაც ეფერებიან, თავზე ხელს უსვამენ, ყველანაირად ცდი-ლობენ მიიჩვითნ, ხელიდან აჩ იშორებენ, ყველგან თან დაპ-ყავთ, აჩვევენ ძალებს, ცხენებს, ადამიანებს.

მიმინოს მხოლოდ უცხიმოსა და უძარღვო მჰლე ხორცს აქმევენ, რომელსაც გრძელ და წვრილ ნაჭრებად ჭრიან, ჰა-



მის წინ ხელით აქნევენ, რომ მიმინოს ყურადღება მიეცავს კულტურული მიმინოს გული ითვლება, თუ მიმინოს საჭმელად ახალმოკლულ ფრინველებს აძლევენ, მათ გაპუტავენ და შიგნეულს გამოაცლიან.

მსუქან ხორცის მხოლოდ კაპუეტებს აძლევენ ბუმბულის ცვენის პერიოდში. ყევლაზე უკეთეს საჭვებად კაპუეტისათვის ყაპყაპი ითვლება, რომელიც ამ დროს მეტად მსუქანია და თითქოს ხელს უწყობს ბუმბულის ცვენის დაჩქარებას.

როდესაც მიმინო კარგად მიეჩვევა პატრონს, აღარ ეშინია ძალის, უცხო ადამიანების, უეცარი ხმაურის, მაგალითად, არაფრად ჩააგდებს ჭოხით ყუთზე ცემას და ა. შ., მას დააწყებინებენ მონადირის ხელზე მოფრენას ხორცის მისალებად. ამისათვის სწორ ადგილზე რკალიერი მიწაში ჩაასობენ ჭოხს, რომელზედაც თოკით მიაბამენ თასმით შებმულ მიმინოს. თოკს თანდათან აგრძელებენ. მიმინოს სულ უფრო და უფრო შორს შეუძლია გაფრენს ან გადასვლა. როდესაც მას მონადირე დაუწრებულებს და ხორცის შეუგდებს, იგი უნდა გადაფრინდეს ან გადაჯდეს მის ხელზე ხორცის მისალებად.

მიმინოს წერთნა სულ ცხრა-ათი დღე გრძელდება. ამას შემდეგ მას ფეხებზე ევვნებს შეაბამენ, რომელსაც იგი მალე ეჩვევა. შემდეგ გადაან მინდორში და იწყებენ ნადირობას მწყერზე, უმთავრეს სანადირო ობიექტზე, რომელზედაც საქართველოში ნადირობენ მიმინოთი. პირველ ნადირობაზე მიმინოს მიერ დაჭერილ მწყრისათვის ტვინის ამოცლას მიმინოს დაცლიან, ამას ჩაბურებას უწოდებენ.

კარგად დამჭერი მიმინო მწყრის მრავალრიცხვანი გადაფრენის დროს ოც-ორმოც მწყერს და ზოგჯერ მეტსაც იჭერს.

ნადირობა საერთოდ ფეხდაფეხ ხდება, ზოგჯერ კი ცხნითაც დადიან, განსაკუთრებით მაღალ სიმინდის ყანაში, რაც, რასაკეირველია, უკეთეს შედეგს იძლევა, ვინაიდან მიმინო მაღლა ზის და უკეთ ამჩნევს აფრენილ მწყერს.

წლევანდელი მიმინოთი საქართველოში მხოლოდ მწყერზე .



ნადირობენ, ხოლო გამოზამთრებული კაპუეტებით ნადირობების შეიძლება იგრეთვე ხოხებზე და სხვა წვრილ ნადირობები, გარდა იხვისა.

საქართველოში საერთოდ მიმინის, რომელიც პირდაპირ მისდევს დასაჭირ ფრინველს, მხოლოდ შეისვრიან გაფრენილი მწყრის მიმართულებით, აჭარასა და ნაწილობრივ აფხაზეთში კი — მიმინო მწყრის აფრენამდე მუჭაში უჭირავთ და აფრენისთანავე გასტყორცნიან მწყრისაკენ.

ხშირად ნაჩქარევად დაგეშილი მიმინო ნადირობის დროს არ უსმენს მონადირის ძახილს, მიტოვების შემდეგ გაფრინდება და უკან აღარ ბრუნდება. ზოგჯერ დაჭერილ მწყერსაც თან წაიღებს. ასეთი ურჩი მიმინო შემოჯდება მახლობელი ხის წვერზე და პეორტნის ნადავლს, ყურადღებას არ აქცევს ხის ქვეშ მოფუსტუსე მონადირეს, რომელიც ფუჭად ხარჯავს დროს და უძახის გაუგონარ ფრინველს. ასეთი უილბლო მონადირეთა თხოვნით რამდენჯერმე ხის წვეროდან ძირს ჩამომიგდია მონადირის ურჩი თანაშემწერ, რომ პატრონს თასმები და ექვნები მაინც არ დაჰკარგოდა.

დამჭერი ფრინველით მონადირისათვის, ისე როგორც ყველგან, საქართველოშიც აუცილებელია ტყავის ხელთამანი იმ ხელზე, რომელზედაც მიმინო უზის.

რაც შეეხება აზერბაიჯანში დამჭერი ფრინველებით ნადირობას, იქ ოქტომბრის რევოლუციამდე ფართოდ იყო გავრცელებული მიმინოთი ნადირობა ბეგებსა და მემამულეებში. ამ ნადირობას იქ სულ სხვა ხასიათი ჰქონდა, ვიდრე საქართველოში.

აზერბაიჯანში მრავალ მინდორსა და კაობში, რომლებიც ყოველთვის სავსე იყო ყოველგვარი ნადირ-ფრინველით, ხშირად ნადირობდნენ ადგილობრივი ბეგები და მემამულეები. ისინი გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე ქართველი თავადაზნაურობა. ამიტომ იქ დამჭერი ფრინველებით ნადირობას უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა, უფრო მღიღრულად წარმოებდა.

ასეთ ნადირობაზე ჯგუფ-ჯგუფად მიღიოდნენ ცხენდაცხენ, ჰყავდათ რამდენიმე დამჭერი ფრინველი, რომელთა შორის



უმთავრესად დიდი ეგზემპლარები, ძალოვანი მიტროფაზა  
იყო, რომლებიც მწყერს კი არ იქნებოდნენ, აჩამედ უშიშრებელია  
დნენ ხოხობს, დურაჯს, კავაბს, გნოლსა და კურდლელს, უფ-  
რო იშვიათად — იხვს, სარსარაჯს და სავათსაც კი.

ასეთი ნადირობა ნამდვილი თავადური ნადირობა იყო.

ერთხელ მეც მივიღე მონაშილეობა ასეთ ნადირობაში  
სადგ. ფოილოს ახლოს, სოფ. შიხლისთან, მტკვარზე. თუმცა  
დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ ახლაც ამ ნადირო-  
ბის ყველა წვრილმანი ნათლად მაგონდება.

ათი თუ თორმეტი ცხენოსანი ვიყავით. ორ მონადირეს  
ხელზე თითო მიმინო უჯდა და თითოს თითო პატარა ფინია  
მისდევდა, რომლებსაც ნადირი უნდა იყარათ.

ტყის პირის ყამიშებში მამალი ხოხობი ავაფტრინეთ, რო-  
მელსაც დაუყოვნებლივ გამოუდგა ერთ-ერთი მიმინო. დევ-  
ნილმა ხოხობმა უახლოეს დიდ ხეს მიაშურა და ქვედა ტოტ-  
ზე დაჭდა, მიმინოც იქვე ზემოთ მეორე ტოტზე შემოჭდა. ში-  
შით შეპყრობილი ხოხობი ადგილიდან არ იძროდა.

ერთი ცხენოსანთაგანი ხესთან მიიჭრა, ზედ ავიდა და ხე-  
ლით იყვანა გონებადაკარგული ხოხობი.

მინდერად კურდლელი წამოგვიხტა, ამას კი მეორე მიმი-  
ნო დაედევნა და, როგორც მერე გავიგე, დაეწია, ბრჭყალები  
ჩასჭიდა, და თავში ნისკარტი ჩასცხო. კურდლელი მონადი-  
რებმა იყვანეს.

ჩემს ახლოს პატარა ძალმა გნოლის დარფა ააფრინა.  
ერთი გნოლი სხვებს დასცილდა და ცალკე გაფრინდა. სწო-  
რედ იმას გამოუდგა მიმინო, რომელიც ჩემ გვერდით მომა-  
ვალ მონადირეს უჯდა ხელზე, ჩვენ ჭენებით გავყევით უკან  
გნოლსა და მიმინოს.

გნოლმა, როდესაც ნახა, რომ ულმობელი მტერი ის-ის  
იყო უნდა წასწვდომოდა, როგორც ქვა, ისე ჩავარდა გან-  
ცალკევებულ წარაფის ბუჩქში და შიგ გაინაბა.

მიმინოც იმავე ბუჩქზე შემოჭდა.

როდესაც ჩვენ ბუჩქთან მივედით, ჩემი თანამგზავრი ცხე-  
ნიდან ჩამოხტა, ბუჩქიდან განაბული გნოლი გამოიყვანა და  
მე, როგორც სტუმარს, დიდი მოწიწებით მომაწოდა. საცო-



დავი ადგილიდანაც არ დაძრულა, როდესაც მას მონაფერებული  
იყვანდა, როგორც ჩანს, მან არჩია ადამიანის ხელში მჭედლობის  
დროდა, ვიდრე მტაცებლის კლანჭებში. მაგრამ უნდა გენა-  
ხათ, როგორი სისწრაფით სცემდა და ფართხალებდა მისი პა-  
წარა გული.

მიმინების დაჭერისა და გაწვრთნის ხერხები აზერბაი-  
ჯანში იგივეა: რაც საქართველოში. ბოლო ხანებში, როგორც  
ვიცი, აზერბაიჯანშიც აღარ ნადირობენ დამჭერი ფრინველე-  
ბით. აქაც თითქმის მთლიანად გადავარდა ნადირობის ეს  
სახე.

ამ ნადირობის აღდგენა ჩვენში, მე მგონია, შეიძლება,  
როგორც ლამაზი და საინტერესო სპორტისა. დამჭერი ფრინ-  
ველებით ნადირობამ თავისი ისტორიული როლი შეასრულა  
ნადირობაში. ამიერკავკასიაში იგი მხოლოდ წარსული დროის  
გაღმონაშოად უნდა მივიჩნიოთ.



დაპირვება,  
სიცონილე, მოთხოვება

თოფი გავარდა და ყვითელ-  
ნისკარტა შაშვი ეკლიან ბარდებ-  
ში უსულოდ ჩავარდა. პატარა  
ვანო, მაშინდელ თბილისში კარ-  
გად ცნობილი ექიმ ბ-ს თორმე-  
ტი წლის ვაჟი, სახეგაბრწყინე-  
ბული მივარდა ეკლიან ბუჩქთან  
და, ნანადირევს ხელით რომ ვერ  
მისწვდა, თოფის კონდახით და-  
უწყო გამოლება. ვანოს თოფი  
ლულებით ეჭირა ხელში, ერთი

ლულიდან მოკლა ვანომ შაშვი, მეორე ლულაში კი გატენილი  
ვაზნა იღო. ფეხზე შეყენებული თოფის ჩახმახი ბუჩქში ბარ-  
დებს გამოედო, თოფმა იგრიალა და ერთი წუთის წინათ  
აშავე თოფით მკვდარი შაშვის გვერდით პატარა მონადირეც  
დაეცა.

ეს ამბავი გომბორთან მოხდა. საფანტის მთელი კონა  
ბავშვს საზრდლულში მოხვდა და სამუდამოდ დასახიჩირა.

თბილისელ მონადირეთა ერთი ჯგუფი შებინდებისას  
თბილისიდან ბორჩალოში საბარგო მანქანით სანადიროდ  
გაემგზავრა. ქალაქის ბოლოს მანქანას. საბურავი გაუსკდა.  
იგი გაჩერდა. მონადირეთა ერთმა ნაწილმა ფეხით დაიწინა-  
ურა. საბურავი გამოცვალეს და მანქანამ გზა განაგრძო. მან-  
ქანაზე მსხდომებს, წესის მიუხედავად, ხელში გატენილი თო-  
ფები ეჭირათ.

დაწინაურებული ამხანაგები კარგა შორს წასულიყვნენ.  
როდესაც მანქანა ქალაქს გასცდა და ბორჩალოს გზაზე გა-



ვიდა, ერთ-ერთ მონადირეს, რომელიც მანქანაზე იჯდა, მონადირე ჩვენა, რომ გზის პირად, ბუჩქებში მგელი დგას. დიდხანის უფიქრია ამ მოუთმენელ ადამიანს, თოფი მხარზე შეიგდო და გაქანებული მანქანიდან ბუჩქებში მდგარ თავისივე ამხანაგს ესროლა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ფეხით დაწინაურდა და ახლა თავისი წითელი სეტერით აქ მანქანას ელოდებოდა. ძაღლი მგლად მოეჩენა ამ ფუქსავატ მონადირეს, ტყვია კი ძაღლის მაგიერ თავისივე ამხანაგს ნ-ს დაახალა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გატაცებულმა მონადირე ს-მ, რომელიც საოცრად ფიცხი იყო ნადირობისას, ცივ წყაროში ხოხობს ბუჩქებიდან ამოფრენა არ აცალა და მამალი ხოხბის მოკველის ნაცვლად თავისივე მეგობარს ბ-ს მთელი სახე საფანტით დაუცხრილა.

გარდამნის ტყეში ღორებზე ნადირობისას სახუნდარში დაყენებულმა მონადირე ხ-მ, მიუხედავად მორეკვითი ნადირობის სასტიკი წესისა, თოფი სახუნდარში მდგომ მონადირეთა ხაზის გასწვრივ გაისროლა და თავისივე ამხანაგი კ. თავში დაჭრა.

ტყეშავატმა მონადირე ლ-მ, რომელიც არა ერთხელ იყო გაფრთხილებული — მწყემსის ძაღლებისათვის თოფი არ ესროლა, მაინც მოკლა მწყემსის ძაღლი, რომელმაც შემოუტია ლ-ს ცივწყაროში ნადირობისას. ამ მოუფიქრებელ ნაბიჯს თან საშინელი უბედურება მოჰყეა: ძაღლის პატრონმა მწყემსებმა მოკლეს თვით ლ. და მისი ამხანაგი, ჩემი მეგობარი პ.

მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითი გითხარით იმ მრავალი შემთხვევიდან, რომლებიც მე თვით მინახავს, ან მსმენია მეტად სანდო და პატივცემული პირებისაგან. არ ვლაპარაკობ იმ დიდი რაოდენობის დასახიჩრების, დაჭრის ან საკუთარი ძაღლების მოკველის შესახებ, რაც არცთუ ასე იშვიათად მოსდით ფიცხსა და დაუკვირვებელ მონადირეებს.

აი, ბუჩქებში რაღაცამ წითლად თუ ყვითლად გაიელვა. რა არის, არ ჩამს. მონადირეს კი ჰერნია, რომ ეს ან ტურაა, ან მელა, ანდა კურდლელი. იგი დაუფიქრებლად თოფს ჩაახლის ბუჩქებში. საშინელი ყმუილი და წყმუტუნი ამცნობს ამ



დაუკვირვებელ ადამიანს, რომ ეს არც ტურა იყო, არც უფრთხოება  
დღელი, არამედ მისი ნადირობის საუკეთესო მეგობარი წინ  
თელი სეტერია, რომელიც ერთი წუთის წინ მის თვალშინ  
ბუჩქებს მიეფარა. შემდეგ კი იწყება მუდმივი სინანული.

რამდენად უფრო ადგილია ასეთი უბედური შემთხვევე—  
ბის თავიდან ასაცილებელი უებარი საშუალების — ნადი—  
რობის ძირითადი კანონის შესრულება: ესროლე მხოლოდ  
მაშინ, როდესაც კარგად არჩევ მიზანს! რამდენად უკეთესია  
ბუჩქებში კარგად შეუმჩნეველი ათი კურდღელი გაუშვა და  
არ ესროლო, ვიდრე დასახიჩრო ან მოჰკლა საკუთარი  
ძალი!

რა არის ძირითადი მიზეზები ამ სამწუხარო შემთხვევე—  
ბისა და გამოუსწორებელი უბედურებისა, რაც შავ ლაქად  
რჩება დამნაშავეთა გულში სიცოცხლის მთელ მანძილზე?

პირველი და უმთავრესი — ნადირობის წარმოების წესე—  
ბის დავიწყება ან უცოდინარობა.

სამწუხაროდ, არა მარტო ახალგაზრდა მონადირეებმა,  
რომლებიც პირველად იღებენ ხელში სანადირო თოფს, არა—  
მედ ხშირად ხნიერებმაც კი არ იციან, ან ცუდად იციან და  
ანდა იციან და არ ასრულებენ ხანგრძლივი ნადირობის გა—  
მოცდილებათა საფუძველზე შექმნილ წესებს. ზედმეტად  
მიაჩნიათ მრავალი წლის ნადირობის შემდეგ კიდევ რამე  
უესწავლონ.

უსაფუძვლოა ასეთი ამპარტავნობა!

ეს ამბავი გურიაში მოხდა. მდინარე ფიჩორის პირას ერთ  
მწყემსს კარავი ედგა. ერთ შემოდგომის საღამოს მას რამდე—  
ნიმე გურული მონადირე ეწვია. ფიჩორის ნაპირის ჭაობებში  
იხვზე უნდა ენადირათ. თან დინამიტები მოიტანეს ფიჩორის  
მორევების ასაფეთქებლად. ნადირობის დროს კარგია მდინა—  
რის წყალში მოხარშული ნედლი თევზი.

დალამდა. მონადირეებმა წამოღებული საგზალი ამოალა—  
გეს, მასპინძელიც მიიწვიეს, ღვინით სავსე მოზრდილი ჭი—  
ქები ჩამოაყოლეს და სადღეგრძელოები გააჩალეს. კარგად  
რომ დანაყრდნენ, ცეცხლის პირად დასაძინებლად მოწყობა



დაიწყეს. ერთმა მათგანმა კი დინამიტით სავსე კოლოფსაჭიროება  
უწყო გახსნა...

...საშინელი ქუხილი გაისმა. გამოუცდელ მეთევზეს ცეცხ-  
ლის პირას დინამიტი აუფეთქდა, აფეთქდა დენთიც, გატე-  
ნილი ვაზნებიც...

მწყემსის ქოჩის, სამი მონადირისა და მასპინძლის ნაკვა-  
ლევიც კი აღარ დარჩა ფიჩორის პირზე.

ვინ მოსოფლის, რამდენი ტყე გადამწვარა მონადირეების  
მიერ ჩაუქრობლად მიტოვებული კოცონისაგან!

ყველა ამ უბედურების მიზეზია სანადირო წესების დარ-  
ღვევა და გაუფრთხილებლობა.

მონადირეს უდიდესი მოვალეობა აწევს: იგი ისე, როგორც  
საკუთარ თავს, უნდა გაუფრთხილდეს მის გარშემო მყოფ  
სხვა ადამიანებსაც. მას ხელთ უპყრია მომაკვდინებელი იარა-  
ლი, ადვილად ასაფეთქებელი ნივთიერებანი. სანადირო ვაზ-  
ნების გაუფრთხილებლად დატენასაც კი ზოგჯერ სამწუხარო  
შედეგი მოსდევს: არა ერთი თითი მოუწყვეტია აფეთქებულ  
ვაზნას, არა ერთი ხელი დასახიჩრებულა, არა ერთი თვალი  
დაზიანებულა გაუფრთხილებლობის გამო.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ერთადერთი დასკვნა:  
თვითეული მონადირისათვის აუცილებელია შეისწავლოს სა-  
ნადირო საქმის ყველა წვრილმანი, გაეცნოს ყოველივეს, რაც  
კი დაკავშირებულია ნადირებთან, განსაკუთრებით თოფის-  
ხმარებასთან, სროლასთან, იყოს ნამდვილი მონადირე მთელი  
ამ სიტყვის მნიშვნელობით და არა ყველაფრისა და ამასთა-  
ნავე არაფრის მცოდნე, ფუქსავატი, რომელიც არაფრად  
აგდებს საყოველთაოდ მიღებულ, თვითეული შეგნებული და  
ნამდვილი მონადირისათვის აუცილებელ წესებს — ნადირო-  
ბის კანონებს.

სანადირო ლიტერატურის გაცნობა, გამოცდილ ამხანა-  
გებთან საუბარი, სანადირო წესების ცოდნა — აი, გზები,  
რომელთა საშუალებითაც შეიძლება სანადირო ტექნიკის  
შესწავლა საერთოდ და კერძოდ კი იმისათვის, რომ ნადირო-  
ბის დროს ან სანადირო სამზადისისას თავიდან ავიცილოთ  
მოსალოდნელი უბედური შემთხვევები.

  
როდესაც მონადირეს კარგად აქვს შეთვისებული ენაფეზა  
რობის საერთო თეორია, მისთვის აღვილია ნადირობის დამტკიცება  
ჩევულებრივი ნერვიულობის, სიფიცებისა და ყველა იმ მოვ-  
ლენის დაძლევა, რასაც შეიძლება გაუფრთხილებლობა და  
თავშეუკავებლობა ვუწოდოთ. მოსაზრებულობა, სიმშვიდე,  
თავდაკერილობა — კარგი მონადირის საუკეთესო და სა-  
სურველი თვისებებია. აუცილებელია თვითეული მონადირე  
ეცადოს, გამოიმუშაოს ისინი.

არ შეიძლება არ შევეხოთ კულტურული მონადირისა-  
თვის შეუწყნარებელ და დამამცირებელ „გაუმაძღრობას“ —  
რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ხოცოს ნადირი. ამ ყოვ-  
ლად მიუტევებელ დანაშაულს ჩადის ბევრი ისეთი მონადი-  
რე, რომელიც თავის თავს კულტურულს უწოდებს.

სიხარბე აიძულებს მათ, რომ აგვისტოს პაპანაქებაში და-  
ხოცონ ასობით მწყერი, რომელიც სახლში მიტანამდე ფუჭ-  
დება, დაარღიონ წესი და უდროო დროს ინადირონ აკრძა-  
ლულ ნადირზე, ხოცონ იგი ნებადართულზე მეტი რაოდე-  
ნობით.

სიხარბეა იმის მიზეზი, როდესაც მონადირე დაუშვებლად  
შორ მანძილზე ესვრის, ვერც კლავს ნადირს და ხშირად დაჭ-  
რილი მხეცი ან ფრინველი მტაცებელთა ლუკმად ხდება, ან  
ამოფრენას არ აცლის ფრინველს, რამდენიმე ნაბიჯზე ეს-  
ვრის, ან სულ აცილებს ან დაკეპილ ხორცად აქცევს მას.  
ესვრის ბუჩქებში მოჩვენებულ ნადირს, ოლონდ კი არ გაუშ-  
ვას კიდევ ერთი ნადავლი.

პიგიენის უგულებელყოფა ნადირობის დროს აღვილად  
შესამჩნევი არ არის, ვინაიდან რევმატიზმი, მალარია, ფილ-  
ტვების ანთება, ტიფი და ზოგიერთი სხვა ავადმყოფობა მო-  
ნადირეს მხოლოდ შინ დაბრუნების შემდეგ გამოაჩნდება  
ხოლმე. მაგრამ ნადირობის დროს დამართებული ავადმყო-  
ფობის შედეგად მრავალი მონადირე დასახიჩრებულა და  
ზოგჯერ სიკვდილითაც კი დამთავრებულა ნადირობის დროს  
პიგიენის უგულებელყოფა. ამ შემთხვევაში ნადირობამ სარ-  
გებლობა კი არა, მხოლოდ ზიანი შეიძლება მოუტანოს აღ-  
მიანს.

ზევით ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევების შესახებ ვილაპარაკეთ, როდესაც გამომწვევი დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა, უყურადღებობა და წესების უცოდინარობა, ერთი სიტყვით, მხოლოდ უარყოფითი მიზეზებია. მაგრამ არსებობს აგრეთვე ისეთი მიზეზები, რომლებიც არ შეიძლება დანაშაულებრივად ჩაითვალოს, თუმცა ხშირად ისინი უფრო დიდ უბედურებათა გამომწვევია.

ფუჭ გმირობას, გაჭირვებაში ჩავარდნილი ამხანაგისადმი დახმარების გასაწევად მოუფიქრებელ მოქმედებას და ზოგიერთ სხვა წასაქეზებელ საქციელს მრავალჯერ უბედური შემთხვევა მოჰყოლია, რის შედეგად სიცოცხლეს გამოსალმებიან საუკეთესო ადამიანები.

ნურავინ ნუ დამაბრალებს, თითქოს მე წინააღმდეგი ვიყო განსაცდელში ჩავარდნილი მეგობრის დახმარებისა — ეს ხომ ყველასათვის უწმინდესი მოვალეობაა! მე მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ ამ კეთილშობილ საქმეშიაც, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში ნადირობის დროს, მონადირეები არ უნდა დაიბნენ, არ აჩქარდნენ, არამედ უნდა გამოიჩინონ უდიდესი სიფრთხილე, მოსაზრება და სიღინჯე.

არასოდეს არ დამავიწყდება 1930 წელს ჯანდარის (ყარაიას) ტბაზე ტრაგიკულად დაღუპული საუკეთესო მონადირე და ძვირფასი ადამიანი რ. ამიროვი და მისი თანამგზავრით. ანტონიუკი. ბევრ თბილისელ მონადირეს ახსოვს ეს შემთხვევა. მე მინდა მოკლედ მოგითხოვთ იგი, რომ უფრო ნათელი გახდეს ჩემი აზრი ფუჭი გმირობის შესახებ.

იანვრის დასაწყისი იყო. ყინავდა. ყარაიას ტბის გარშემო თოვლი იდვა. ოთხი მონადირე გამოჩნდა სოფელ ჯანდარიდან ტბისაკენ მიმავალ გზაზე. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო.

ტბასთან მისვლამდე, არხის პირად რამდენიმე იხვი აფრინდა. ერთმა მონადირემ წყვილად გაისროლა. პირველი ნანადირევი უკვე იყო. ლურჯყელა მამალი იხვი არხის პირში ჩამოვარდა. გახალისდნენ მონადირეები. ტბას მიადგნენ და ჩალებში ჩასაფრდნენ.



ნადირობას კარგი პირი უჩანდა. მზის ამოსვლამდე უშემცია თეულ მათგანს უკვე რამდენიმე იხვი ეკიდა.

ერთმა ამხანაგმა, ჩ-მ, ჩალიანს იქით იხვების მთელ ფარას მოჰკრა თვალი. მისაპარავად ტბის გაყინულ ნაპირს გაჰყა. მოსალოდნელი ნადავლით გატაცებულმა მონადირემ ვერც კი შეამჩნია, რომ ნაპირს თანდათან მოსცილდა და ტბის შუაგულისაკენ წავიდა. უცბად ყინული ჩატყდა და ჩ-მ ყელამდე წყალში ამოჰკო თავი, მაგრამ მოახერხა მაშინევ ყინულზე ამოცოცება და იქიდან მორთო ყვირილი. ამხანაგებს ეძახდა, საშველად უხმობდა.

როდესაც ამიროვმა და ანტონიუქმა გაჭირვებაში ჩავარდნილი ამხანაგი ნახეს, არც კი დაფიქრებულან, ისე გაიქცენ ყინულზე მის საშველად. ნაპირიდან კარგა მოშორებით ყინულმა ვერც მათ გაუძლო და ისინიც წელამდე ცივ წყალში ჩაცვიდნენ. ვერც ერთმა ვერ მოახერხა ყინულზე ამოცოცება. თვითეული ცდა ყინულის ჩამტვრევით მთავრდებოდა. ფეხდაფეხს ნაპირისაკენ წამოსვლა კი აშკარა დაღუპვას ნიშნავდა, ნაპირამდე ბევრი ღრმა ადგილი იყო.

ყვირილზე მეოთხე მონადირე მიიჭრა. ასეთ განსაცდელში რომ ნახა ამხანაგები, მყისვე წალები გაიძრო და წინდების ამარა მოჰკურცხლა სოფლისკენ მაშველის დასაძახებულად. სანამ თოკებითა და ფიცრებით შეიარაღებული გლეხები ტბასთან მივიდნენ, ძალაგამოცლილი ანტონიუკი და ამიროვი ისე გაიყინენ, რომ გონება დაჰკარგეს, ტბაში ჩაიძირნენ და დაიხრჩნენ.

ამ უბედურების ნამდვილი მიზეზი, გაუფრთხილებელი ჩ. კი, თუმცა ძლიერ გაყინული, მაგრამ მაინც ყინულს შერჩა, სანამ საშველად მოსულმა გლეხებმა ტბიდან არ გამოიყვანეს.

მამაც მონადირებს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ თავიანთი გმირობა, რომელიც გამოუსადეგარი და ფუჭი გამოდგა. ამხანაგს ვერ დაეხმარენ, თავები კი შესწირეს.

ისინი რომ უფრო დინჯად და დაფიქრებულად მოქცეულიყვნენ, თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდოთ და



თავიდანვე საშველად სოფლისათვის მიეშურებინათ, — უკუკი განვითარებისათვის

ლაფერი კარგად დამთავრდებოდა.

ნაოქვამმა რომ ფუჭად არ ჩაიძიოს და უფრო კარგად დაამახსოვრდეთ ჩემს ახალგაზრდა მკითხველებს, მინდა. ისინი გავაცნო იმ მოკლე სამონადირო წესებს და რჩევებს, რომელთა მტკიცედ დაცვა თავიდან ააცდენს მათ ბევრ სამწუხარო განსაცდელსა და შემთხვევას.

ეს წესები მე არ შემიქმნია, იგი გამომუშავებულია მონადირეთა მრავალი წლის გამოცდილებით და პრაქტიკით. ბევრი მათგანი სამონადირო წესებშია მოხსენებული, ზოგს კი აქვე მივაწოდებთ დანტერესებულ მკითხველს.

1. სანამ სანადიროდ წესვიდოდე, მტკიცედ შეისწავლე და კარგად დამახსოვრე ყველა სანადირო წესი, ვადა და ნაღირობისათვის ნებადართული ადგილი.

2. ნაღირობის დროს უმთავრესია: მოთმინება და სიფრთხილე. თუ დელავ, ნუ ესვრი. დაწყნარდი. უკეთესია, არ ესროლო ნაღირს. გაშვებულს კვლავ შეხვდები, შენ კი მოთმინებას დაეჩვევი.

3. ესროლე მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად ხედავ მიზანს და მის უკან ადამიანი ან შინაური ცხოველი არ დგას! ზმაურზე ან ბუჩქის შრიალზე გაურჩევლად, დაუმიზნებლად, ძლიერ ჩქარა ან ძლიერ შორს სროლა არ გაბედო.

4. ნუ იქნები ხარბი ნაღირობისას.

5. მორევითი ნაღირობისას ესროლე მხოლოდ შენკენ მომავალ, ან შენს უკანა მხარეზე გასულ ნაღირს. სახუნულარში ჰყოფი ამხანაგების ხაზზე სროლა არ შეიძლება. მომრეკთა მხრისაკენ სროლა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს.

6. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის დროს თოფის ჩახმახები დაუშვი, თუ უჩახმახო თოფი გაქვს, საკეტი გადაკეტე, თოფის ლულა არ მიუშვირო ამხანაგებს; დასვენების ან თავმოყრის ადგილზე, ტრანსპორტით მოგზაურობის დროს აუცილებლად გამოიღე თოფიდან ვაზნები.

7. თუ თოფი მიწაზე დაგივარდეს, ან წყალში ჩაგივარდეს, აღებისთანავე კარგად გასინჯე ლულები — ხომ არაფერი

ჩაცვიდა შიგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალად უკურნახა  
ლულები გასკდეს.

8. გაზნების გატენის დროს თამბაქოს ნუ მოსწევ, ცეც-  
ხლის ახლოს ნუ მიიტან დენთს და ნურც დიდი რაოდენო-  
ბით იქონიებ მას, აუცილებლად დაიცავი სიფრთხილის ყვე-  
ლა წესი.

9. გაუფრთხილდი შენს ჭანმრთელობას, რომელსაც ნა-  
დირობა იკაუებს, მაგრამ რომელიც შეიძლება დააზიანო.  
მოერიდე „ვაუკაცობას“: ჩაიცვი წლის დროის მიხედვით, თავს  
ნუ გაიცვებ, ნუ გადაღლი გულს, ნუ სვამ ბევრ წყალს, გან-  
საკუთრებით სიცხეში, ზედმეტად ნუ გაძლები და ბევრ მა-  
გარ სასმელს ნუ დალევ.

10. ნუ მიატოვებ საფრთხეში ჩავარდნილ ამხანაგს, მო-  
ფიქრებულად გაუწიე მას დახმარება, ნუ აჩქარდები, ანგა-  
რიში გაუწიე მდგომარეობასა და საკუთარ შესაძლებლობას.

11. ძალს ნუ სცემ თოფით, ნუ ესვრი მას, თუ იგი ნა-  
დირს მისდევს: ამით ვერაფერს მიაღწევ, გამოუსწორებელი  
უბედურება კი შეგიძლია გამოიწვიო.

12. თუ ზუსტად შეასრულებ ნადირობის ყველა წესს და  
მუდამ ფრთხილი იქნები, არასოდეს არ ინანებ და ნადირო-  
ბაში მხოლოდ სიამოვნებასა და სარგებლობას ნახავ.

სამოცი წელიწადია ენადირობ. ვეკუთვნი იმ ადამიანებს,  
რომელთაც ნადირობა ყველაზე უძვირფასეს, წარმტაც, მრა-  
ვალსახეობათა შემცველ და სასარგებლო სპორტად მიაჩ-  
ნიათ, არავის დაშინება აზრადაც არა მაქვს, მაგრამ... არ  
მინდა, რომ ძვირფასი ახალგაზრდობა ისეთი ამბების მომ-  
სწრე იყოს, როგორიც აქ არის აღწერილი.

ამიტომ მკითხველს კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო, თუ  
იგი მონადირეა, ან მომავალში აპირებს ნადირობას, კარგად  
დაუკვირდეს ძველი მონადირის ამ ნაამბობს.

## ს ა რ ჩ ე ბ ი

ე. ლ. მარკოვი (1873 — 1953) — ბიოგრაფიული ნარკვები  
 აეტორისაგან

3

8

\* \* \*

• სანქას ულელტეხილზე — თარგმანი პ. აბრაშიასი	22
• ჭიხვთა შორის — მისივე	28
• ჩემი ჭიხვი — მისივე	38
• მარცხზე — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	46
• პირველი არჩევი — თარგმანი პ. აბრაშიასი	59
• ყაჩაღთან ნადირობა — თარგმანი პ. აბრაშიასი	66
• განდგომილი — მისივე	80
• სახუნდარიდან — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	100
• ერთი წელიწადი მთებში — მისივე	110
• მომღერალი მონადირე — თარგმანი პ. აბრაშიასი	113
• მონადირის საიდუმლოება — მისივე	123
• ძაღლის გამო — მისივე	135
• დაღი ნადირობა — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	146
• ჩემი პირველი ნადირობა — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	164
• მთვარიან ღმით — მისივე	172
• ირმის სერენადები — თარგმანი პ. აბრაშიასი	182
• „ქორბუდას“ გადარჩენა — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	189
• თოვლში — თარგმანი პ. აბრაშიასი	194
• ჭეირნების კვალდაკვალ — თარგმანი ე. ბურჯანაძისა	213
• როჭოზე სანადიროდ — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	218

პროფესიონალი — მისივე	232
დოლიარის ორმოები — მისივე	242
„დაიან-დოლდურუმ“ — მისივე	248
როშა — თარგმანი პ. აბრამიასი	256
„ენგურის პირას — მისივე	260
ირმებზე, ლიხის მთაში — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	277
ჩემი უკანასკნელი ნადირობა — მისივე	286
ვეფხეო საკოდრისზე — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	296
იშვიათი შემთხვევა — მისივე	303
ურინველთა სამყაროში — მისივე	308
ულამინგო — მისივე	315
„ოქტოი ხოხობი“ — მისივე	320
გეგობრისადმი მიწერილი წერილიდან — მისივე	326
სათაფლია — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	332
ფარშავენგები — თარგმანი პ. აბრამიასი	339
ლეგენდა გოლიათზე — თარგმანი ვ. ბურჯანაძისა	343
ნადირობა შევარცნითა და მიმინოთი — მისივე	352
დაკირვება, სიფრთხილე, მომზინება — მისივე	360

---



Э. Марков

Воспоминания охотника

(На грузинском языке)

Государственное издательство  
„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1959

8/19  
157

